ალბერა

№16 2010

სალიტერატურო
რელიგიურ-ფილოსოფიური და
საზოგადოებრივი ჟურნალი

„კავკასიური სახლი“
თბილისი
2010

UDC (უაკ) 050 (479·22)
ა-923

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდ
HORIZON-ს ფინანსური დახმარებისთვის

Our deep gratitude for financial support to
the European Foundation HORIZON

მთავარი რედაქტორი **ნაირა გელაშვილი**

ნომრის რედაქტორი **შოთა იათაშვილი**

მხატვარი **კოტე სულაბერიძე**

დამკაბადონებელი **ნიკოლოზ გელაშვილი**

ს ა რ ჩ ე ვ ი

ახალი თარგმანები

პოეზია

აბუ საიდი — რობაიები
სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ 5
იოსიფ ბროდსკი
რუსულიდან თარგმნა ვასილ გულეურმა 10
ბიჟან ჯალალი
სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ 18
ავსტრიული პოეზიიდან (პაულ ცელანი, ალბერტ ერენშტეინი, ჰაინც ჩეხოვსკი)
გერმანულიდან თარგმნა ვლადიმერ კორტავამ 27

პროზა

ნოვალისი — საისელი მოწაფეები
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა 31

კრიტიკა

ლევ ტოლსტოი — შექსპირისა და დრამის შესახებ
რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა 55

ესეისტიკა

მორის მეტერლინკი — ყვავილთა სიბრძნე
ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა 87
ჰერმან ჰესე — პატარ-პატარა სიხარულები; მარტინის დღიურიდან
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა 113

დოკუმენტური პროზა

მარინა ცვეტაევა — ანდრეი ბელი
რუსულიდან თარგმნა მზია გელაშვილმა 119

რელიგია

ანტონი სუროჟელი; ანატოლი გოლდბერგი — მორწმუნის დიალოგი ურწმუნოსთან
თარგმნა ნაირა გელაშვილმა 135
ალექსანდრე მენი — ჭეშმარიტი ქრისტეს ძიებაში
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ 155
იოზეფ რაცინგერი — ახალი დროის ზღურბლზე
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ 172

ქართველი ავტორები

პოეზია

შალვა ბაკურაძე 190
ნიკა ჯორჯანელი 204
რუსუდან კაიშაური 209
ეკა ქევანიშვილი 219
გიორგი კეკელიძე 228
მარსიანი 235
ლუკა ბაქანიძე 239

პროზა

თეონა დოლენჯაშვილი — რეალური არსებები 244

დრამატურგია

შოთა იათაშვილი — მავედრებელნი (II ნაწილი) 258
ბესო ხვედელიძე — ორი მე 294

ესეისტიკა

მერაბ ღაღანიძე — ფრანც ვერფელი — პოეტი და რომანისტი 306
ზელიმხან უძილაური — ესეები 309

თეოლოგია

თამარ ჯაყელი — რენე გენონის დიდი ტრიადა 313

ფილოსოფია

ხათუნა თავდგირიძე — „გაუჩინარებისა“ და „დაბრუნების“ მითოსურ-ფილოსოფიური სიმულაციები 325

აბუ საიდი

აბუ საიდ ფაზოლოლაჰ იბნ აბილ ხეირ მოჰამად იბნ აჰმად მეიჰანელი დაიბადა 957 წლის 24 ნოემბერს და გარდაიცვალა 1049 წლის 1 იანვარს. მთელი მისი ცხოვრება ირანში სუფიური მოძღვრების გავრცელებასთან არის დაკავშირებული. ამასთან იგი პირველი სუფი ავტორია სპარსულ ლიტერატურაში, რომელმაც ფართოდ დაამკვიდრა რობაი, როგორც საკუთარი იდეების პროპაგანდისა და ხალხში გავრცელების ერთ-ერთი ეფექტიანი და ყველაზე დემოკრატიული საშუალება.

რობაიები

* * *

გულო, სატრფოს რომ დაინახავ, ადიხარ ცამდე,
მაგრამ არ უგდო ყური სოფლის ხრიკებს და ფანდებს,
ნუ უჭვრეტ სარკეს, რათა შენი თავი იხილო,
თვით იქეც სარკედ, რომ შიგ მთელი სამყარო ჩანდეს.

* * *

ოდეს პირველად მოვიხურე ტრფობის მანტია,
კვნესით ვხვდებოდი ყოველ დღეს და ყოველ განთიადს,
ახლა კი ოხვრა დამიძვირდა, დარდმა იმატა,
კვამლიც კლებულობს, როცა ცეცხლი კარგად ანთია.

* * *

ბნელში შთენილი შენ დაგეძებ ხელისცეცებით,
სხეულს მიფლეთენ ცოფიანი დარდის მხეცები,
ვით შენი ჩრდილი, ახლოსა ვარ შენთან მარადის,
თუმცაღა, შენგან მუდამ შორი-ახლოს ვეცემი.

* * *

რამ გამახაროს ვერმჭვრეტელი მიჯნურის სახის,
ეს რა მრისხანედ მომექუფრა ციური თაღი,
მითხრეს, სამოთხეს დაგადგენთო, მაგრამ უშენოდ,
ვაჰთუ, უდაბნოდ მომეჩვენოს სამოთხის ბაღი.

* * *

გულის სანთელი მეღვენთება დარდის ალებით,
შენით ვიცოცხლებ კვლავაც, შენგნით განაწვალები,
მე, როგორც სარკეს, შენი სახის ლანდი ამავსებს
და ამ სარკიდან შემოგცქერი შენივ თვალებით.

* * *

ღმერთო, ნუ განმსჯი ნაჩქარევად და ნაადრევად
ნუ დამიდუმებ ამ ცხოვრების მჩქეფარ შადრევანს;
ის არ მიბოძო ცოდვილს, თვითონ რისი ღირსიც ვარ,
ის მიწყალობე, შენს სიქველეს რაც ეკადრება.

* * *

ჩემზე არ ითქმის — შემეხედოს ვინმესთვის ბრუნდად,
ანდა ჯიბეში ჩამეტოვოს ვისიმე ხურდა,
მადლობა უფალს, რომ სხვებს ჩემი შურდათ ყოველთვის
ხოლო მე თვითონ სხვის სიკეთე არასდროს მშურდა.

* * *

ნუ ააჟღერებ ამოდ ლხენის ხმატკბილ ნაღარებს,
ძნელად მისწვდები ყვავილს ბედის ბაღში ნახარებს,
იმედის ვარდი სასოების რტოზე გაშლილა,
ისე ვერ მოწყვეტ, თავი დაბლა თუ არ დახარე.

* * *

თუნდ ხანჯლის წვერზე დავიღვრები სისხლად და ოფლად,
ზურგი მაქციოს ობლად შთენილს ყველამ ამ სოფლად;
ამბობენ — მოხვალ ურწმუნოთა შესამუსრავად,
თუკი შენ დამსჯი, საამოა ურწმუნოდ ყოფნაც.

* * *

საწუთროს ჩარხის აღმა ტრიალს ამაოდ ლამობ,
ჯობს, უზრუნველად გაატარო ცხოვრება ამო,
არაფერი ვართ ჩვენც, სამყაროც, ლხენაც, ნაღველიც,
არ არის კარგი, ცუდად იყო არაფრის გამო.

* * *

ღვთის შემეცნების გზებზე თავი გარდამიგია,
სწავლულთა რიგში მეც მეძახდნენ სწავლულს რიგიანს,
ახლა, როს მთავარ საიდუმლოს ავხადე ფარდა,
ის გავიგე, რომ არაფერი არ გამიგია.

* * *

ვერაფერს ვხედავ ქვეყანაზე, რაც შენ წახველი,
ყველა სიტყვის არსს იტევს ახლა შენი სახელი,
ნეტავი, დარდი მცირე იყოს, როგორც ცხოვრება,
ანდა ცხოვრება უხვი იყოს, როგორც ნაღველი.

* * *

მეც გავიტანჯე ამა სოფლის ურცხვი ჭორებით,
გული მისკდება, როს უგულოდ განმეშორები,
მსურს შენი ხილვა, შენამდე კი ვერ მოვაღწიე,
ვერ გადმოვლახე საკუთარი ცრემლის მორევი.

* * *

მთელი სხეული ცრემლად მექცა — უხვად მდინარი,
უნუგეშობის ქარმა მლეწა, როგორც ჩინარი,
ამ სიყვარულმა ჩემგან კვალიც აღარ დატოვა,
მე სატრფოდ ვიქეცი, მაგრამ ნეტავ, მეტრფე ვინ არი?!

* * *

ვერას ვუხერხებ ცრემლს — თვალთაგან უხვად ნაწვიმებს,
მორწმუნესავით ვესავ ხსოვნის წმინდა ნაწილებს,

მითხრეს — დაწექ და ეგებ, სატრფო სიზმრად იხილო,
ვეცადე, მაგრამ ცეცხლმოდებულს რა დამაძინებს?!

* * *

მკითხეს: — სად არის, სატრფო, ხსნა თუ სიყვარულშია?
ვუთხარ: — ამ გულში; განა სადღაც დაკარგულშია!
— გული სადღა გაქვს? — მკითხეს, ვუთხარ: — სატრფოსთან არი!
— სატრფო სად არის? — მკითხეს, ვუთხარ: — სატრფო გულშია!

* * *

სხვათა არყოფნით ამოვხსენი ყოფნის იგავი,
მეც ხომ ვლაღობდი, ცხოვრებისგან გაურიყავი,
ერთხელ ლოცვად ვთქვი: — ღმერთმა ავი თვალი გაშოროს!
სატრფოვ, ის ავი თვალი, ალბათ, თვითონ ვიყავი.

* * *

ენა და სული ურთიერთის მტრობამ შენისლა,
თუ სული გიდგას, მოფრთხილება გმართებს ენისა,
ტკბილი სიტყვა თქვი, რადგან თავი არის ფოთოლი,
ხოლო ენა კი — ქარიშხალი ფოთოლცვენისა.

* * *

არ გსაყვედურობ, ულმობელი ხარ და მკაცრიო,
ვეღარ მოვწყდები დღეის შემდეგ ტრფობის ტაძრიონს,
ტკივილიღა მაქვს შენგან და მას ვერავის მივცემ,
თუნდ უებარი წამალიც რომ შემომაძლიონ.

* * *

თვით ბედისწერამ დაუწესა მეტრფეს კირთება,
წუხილი, მის გულს რომ ასკდება მჩქეფარ ზვირთებად,
ტრფობით სნეული რაღა ხელს ყრის სჯულსა და რწმენას,
ან სამოთხე და ჯოჯოხეთი რაში სჭირდება?!

* * *

წუთით თუ მოგწყდი, მყისვე შენთან ყოფნას ვინატრებ,
რა უნდა ვუთხრა სიყვარულზე მიწის ბინადრებს?! —
შენს არსებაში დანთქმული ვარ, როცა არ ვჩანვარ,
გამოვჩნდები, თუ მომეფინა შენი სინათლე.

* * *

ვაგლახ, ცხოვრება შეიწირა ამაო გარჯამ,
ვერ დავეწაფე შენი თლილი ტუჩების მარჯანს,
რაც ვთქვი და ვერ ვქმენ, სამარეში დარდად მიმყვება,
მაგრამ რაც ვქმენ და ვერ კი მითქვამს, ის უფრო მტანჯავს.

* * *

ათასი დარდი ტრფობას გულში დაუთესია,
უძილობა და სიძაბუნე მეტრფის წესია,
ტრფობის გარეშე არ გვჭირდება თქვენი სამოთხე,
ჩვენი გეენა ათასწილად უკეთესია.

* * *

გულო, იმედი ნუ გექნება სალბუნის, წამლის,
ვერავინ გხედავს, ვით მოგწვეთავს სისხლი და თხრამლი,
იმგვარად ტირი, რომ შენი ხმა არავის ესმის,
ისე უცეცხლოდ იწვები, რომ არ აგდის კვამლი.

* * *

ღმერთო, ტრფობის ცას რად ეკვეთე შლეგი მეხივით,
რად დაგვისეტყვე სიხარულის ნორჩი ხეხილი,
გულგატეხილთა ახლოს ვარო, თვითონვე ბრძანე,
არც ჩვენ გახლავართ სხვაზე ნაკლებ გულგატეხილი.

* * *

რა ნაყოფსა სთხოვთ ჩვენი სულის სთველს და მწიფობას,
ოდეს სხეული საყვარელის დარდით იპობა,
გულის სისხლი და ცრემლი არის ღვთიური ღვინო,
მიძმეთ, თვალებო: გამიწიეთ მერიქიფობა!

* * *

ვსვამ, რადგან სული ფიალაა, იმის ვნებიან
ხელში სასმისობს, აგერ უკვე მთელი წლებია,
ვიწვი იმ ცეცხლით, რომელსაც მზე, როგორც ფარვანა,
სასომიხდილი მეტრფესავით ასდევნებია.

* * *

შენი სალბუნით მოგვაცილე წყეული ეჭვი,
მთელი სხეული რომ აგვინთო ძარღვების გლეჯვით,
მადლის მნატვრელი, ტუჩგამშრალი უფლის ყანა ვართ,
წვიმა აღირსე ჩვენი ლორთქო იმედის ჯეჯილს.

* * *

რომ არ გეგონოს, მეშინია ქვეყნის, მაშინ მე,
ეგ ვარაუდი რომ ჩაგიხშო გულისთქმაშივე,
გეტყვი: სიკვდილის არ მეშინის, რადგან ნაღდია,
ეს ამაო და ცრუ სიცოცხლე უფრო მაშინებს.

* * *

შენს გზებს ვაწყდები უილაჯო, სუსტი მწერივით,
ამ განშორებით დამსხვრეული, გულდასერილი,
წაველ და ჩემი სულის ჩიტი შენთან დავტოვე,
რათა მტრედივით მომიტანოს შენი წერილი.

* * *

შეხე სატრფოს წელს — ვით ირხევა კენარი სარო,
არ დაიშრიტო მაცოცხლებელ გრძნობათა წყარო,
ვიდრე მეჩეთს და ეკლესიას ზურგს არ შეაქცევ,
ნუ დაიქადნი, ჭეშმარიტი მორწმუნე ვარო.

* * *

მზის სხივს ედრები მაგ წარბების უცხო მორკალვით,
ხელად აქცია შენმა სახემ მეტრფე მბორგავი,
ჩვენი სიცოცხლის წყარო შენი თლილი ბაგეა,
ჩვენი გული კი მაგ შენი თმის ძაფთა გორგალი.

* * *

გაქებთ შენ, ვინაც მიჯნური ხარ გულის წამღები,
გმონებთ შენ, ვისი მტკიცე ბეჭდით დავიდამღებით,
უფალო, ლხენის ჩარაზული კარი განგვიღე,
რამეთუ შენ ხარ ქვეყნად ყველა კარის გამღები.

* * *

ტრფობის მხარეში შევიგრძენი სიმშვიდის ყადრი,
აქ კი ყველაფერს მხოლოდ ცეცხლს და ჯოჯოხეთს ვადრი;
სნების გარეშე არ არსებობს წამლის იმედი,
ცოდვის გარეშე არ არსებობს შენდობის მადლი.

* * *

ვინ უნდა გვითხრას შენზე, სატრფოვ ბაგენაკვეთო,
სიცრუეს ამბობს, ნუ ენდობით მაგის ბაგეთო,
თუ არა გულში სადა ჰპოვოს ტრფობამ სამშობლო,
თუ არა ტრფობა, მაშინ გულმა რაღა აკეთოს?!

* * *

ჭკვიანი ამ დროს მარტოობის დილეგს ვარდება,
ბაღში მიჯნურის ღაწვებს უჭვრეტს გაშლილ ვარდებად,
თავს შეაფარებს ღვინის დუქანს და მანამდე სვამს,
სანამ მაცდური სოფლის ღელვა არ დამთავრდება.

* * *

თუკი ცხოვრებას შეუდრკები მხდალი, მშიშარა,
მარგალიტით არ გაგევსება ყოფის ნიჟარა,
ამ ბუჩქმაც სანამ ზამთრის სუსხი არ გამოსცადა,
მანამ მის ტანზე ერთი ვარდიც არ გაიშალა.

* * *

გრძნობას რომ მიმღვრევს, შეფაკლული შენი ღაწვია,
გულთა ბეჭედად ზედ ხალიც რომ აზის პაწია,
ჩვენ კი გავიგეთ, შენს ყურს რაღაც სნება რომ სტანჯავს,
ამ გულის დარდმა შენს ყურამდე თუ მოაღწია?!

* * *

გიხმს, რომ ცხოვრებას სამუდამოდ შეეკრა ზავით,
არად ჩათვალო წუთისოფლის კარგი და ავი,
ღვთისკენ სავალზე შენივ ყოფა გიხვდება ზღუდედ,
ღმერთთან მიხვალ, თუ გადალახე შენივე თავი.

სპარსულიდან თარგმნა ***გიორგი ლობჟანიძემ***

იოსიფ ბროდსკი

თანამედროვე სიმღერა

ადამიანი ნანგრევებთან კვლავ და კვლავ მიდის,
იგი აქ იყო გუშინწინაც, გუშინაც და
ხვალაც აქ მოვა,
მას ნანგრევები ძალიან ხიბლავს.
ამბობს:
თანდათან,
თანდათან ბევრს, ძალიან ბევრ რამეს ისწავლი,
ისწავლი როგორ ამოქექო დამტვრეული ღორღის გროვაში
ის საათები, შენთვის რომ რეკდნენ და დაფერფლილი ალბომების ყდის ნაგლეჯები,
მიეჩვევი,
აქ მოხვიდე ყოველდღიურად,
მიეჩვევი, ნანგრევები რომ არსებობენ,
შეეგუები ამ აზრს თანდათან.

ხან გეჩვენება — ეს საჭიროა,
ხან გეჩვენება, შეისწავლე უკვე ყოველი,
ახლა ადვილად ესაუბრები
ქუჩაში შემხვედრ უცნობ ბავშვს
და ყველაფერს უხსნი. ეს საჭიროა.
ადამიანი ნანგრევებთან მიდის ხელახლა,
ყოველთვის, როცა კვლავ სურს უყვარდეს,
კვლავ მაღვიძარას როცა მომართავს.

ჩვენ, ნორმალურ ხალხს, ფიქრადაც კი არ მოგვივა, ეს როგორ ხდება,
რომ ბრუნდები სახლში და ხედავ, სახლის ნაცვლად — ნანგრევებია. არა, არ ვიცით,
მატარებელმა
ანდა ტრამვაიმ როგორ უნდა წაგაცალოს ხელი და ფეხი — ეს ყოველივე ჩვენთან მოდის
— მადლობა ღმერთს — სამწუხარო ამბების სახით, და ამავ დროს სწორედ ესაა
უბედურების
საჭირო წილი, ეს — ვარდია უბედურების.
ადამიანი ნანგრევებთან მიდის ხელახლა,
ჯოხს დიდხანს ურევს სველ შპალერსა და ღორღის გროვაში,
მოიხრება, იღებს და უმზერს.

ვიღაც სახლს აგებს,
ვიღაც მუდამ ანგრევს, ვიღაც ისევ აშენებს,
ქალაქების ზრდა და სიმრავლე ყველა ჩვენგანს ოპტიმიზმს გვმატებს.
ადამიანი ნანგრევებზე ადის და უმზერს,
ამ ხალხს ტირილი არა სჩვევია.
მაშინაც, როცა ეწვევიან — მადლობა ღმერთს — უვნებელ ნაცნობს,
გამკილავ მზერით უყურებენ ჩამწკრივებულ ფოტოალბომებს.
„ჩვენს დროში, — ასე იძახიან, — ფოტოების შენახვა არ ღირს.“

ბევრი აშენო შეიძლება და ამდენივე დაანგრიო
და ხელახლა აშენო ისევ.
არაფერია უსაზარლესი, ვიდრე გულში ნანგრევთა გროვა,

არაფერია უსაზარლესი ნანგრევებზე,
წვიმა რომ დასდის და მათ მახლობლად
ახალთახალი ავტოების ნაკადი დაქრის,
რომლებზეც ნახავთ ლანდებივით მოხეტიალე
ბერეტიან ბავშვებსა და გულგატეხილ ადამიანებს,
არაფერია უსაზარლესი ნანგრევებზე,
რომლებიც უკვე მეტაფორად აღარ მოჩანან
და იქცევიან იმად, რანიც ოდესღაც იყვნენ:
სახლებად.

ფედია დოგროვოლსკის ხსოვნას

ჩვენ ისევ ვცხოვრობთ.
ისევ ვკითხულობთ ანდა ვწერთ ლექსებს.
ვათვალიერებთ ლამაზმანებს,
ილუსტრირებულ ჟურნალების ყდებიდან რომ
უღიმიან ქვეყნიერებას.
ფიქრებში განვსჯით ჩვენს მეგობრებს,
როცა გაივლის მთელ ქალაქს და უკან გვაბრუნებს
მოძაგძაგე და გათოშილი, ცივი ტრამვაი.
ჩვენ ისევ ვცხოვრობთ.

ზოგჯერ ჩვენ ვხედავთ ხეებს,
რომლებიც
გაშიშვლებული შავი ხელებით
ცის უსაშველო ტვირთს იკავებენ,
ან იმტვრევიან ზეცის სიმძიმით,
ღამღამობით რომ მიწას გვაგონებს.
ჩვენ ვხედავთ ხეებს,
მიწაზე გართხმულთ.
ჩვენ ისევ ვცხოვრობთ.
ჩვენ, რომლებთანაც ძალზე დიდხანს საუბრობდი
თანამედროვე ფერწერაზე,
ანდა ვისთანაც კათხა ლუდს სვამდი
ნევის პროსპექტის
კუთხეში მდგარი, —
იშვიათად გიხსენებთ ახლა.
და თუ გიხსენებთ,
ჩვენი თავი გვებრალება იმავე წუთში,
გვებრალება საკუთარი მოხრილი ზურგი,
საკუთარი გული, რომელიც ძველებურად აღარ მუშაობს,
საზიზღრად ფეთქავს და მკერდიდან
თითქოს ამოხტეს
უკვე სამი სართულის შემდეგ.
და უცებ ვფიქრობთ,
ერთ მშვენიერ დღეს
მასაც — ამ გულსაც —
შეემთხვევა რამე უაზრო
და მაშინ ერთი ჩვენთაგანი
შენგან რვა ათას კილომეტრზე

დასავლეთისკენ
დაასკდება მოასფალტებულ ბინძურ ტროტუარს,
ძირს მიმოფანტავს თავის წიგნებს,
და რასაც იგი დაინახავს უკანასკნელად,
იქნება უცხო სახეები, ამ შემთხვევით შეშფოთებული,
რომელიღაც სახლის კედელი
და სადენებზე დაკიდული ზეცის ნაჭერი, —
ზეცის,
რომელიც ებჯინება იმავე ხეებს,
ხანდახან რომ შევამჩნევთ ხოლმე.

ძეგლი

აღვმართოთ ძეგლი
ქალაქის გრძელი ქუჩის ბოლოს
ანდა დიდი მოედნის ცენტრში,
ძეგლი,
რომელიც მოერგება ნებისმიერ არქიტექტურას,
რადგან იქნება ცოტაოდენ კონსტრუქციული და ძალიან რეალისტური.
აღვმართოთ ძეგლი,
არავის რომ ხელს არ შეუშლის.

პიედესტალთან კი
გავაშენებთ ლამაზ ყვავილნარს,
ან თუ მოგვცემენ ამის ნებას ქალაქის თავნი —
პატარა სკვერსაც,
ჩვენი ბავშვები
ნარინჯისფერ თამთამა მზისგან
თვალს მოჭუტავენ,
პიედესტალზე მდგარ ფიგურას
აღიარებულ მოაზროვნედ,
კომპოზიტორად
ან გენერლად წარმოიდგენენ.

პიედესტალთან — თავს ვდებ —
ყვავილებს ყოველ დილით
თვლა არ ექნება.
აღვმართოთ ძეგლი,
არავის რომ ხელს არ შეუშლის.
თვით შოფრებიც კი
დატკბებიან, მის დიდებულ სილუეტს რომ დაინახავენ.
პაემანებსაც
ძეგლის ირგვლივ სკვერში დათქვამენ.
აღვმართოთ ძეგლი,
სამსახურისკენ აჩქარებით მიმავალნი გვერდს რომ ჩავუვლით,
მის შორიახლოს
დაიწყებენ სურათების გადაღებას უცხოელები.
ღამით ქვემოდან გავანათებთ პროჟექტორებით.

აღვმართოთ ძეგლი სიცრუისა.

ლექსი ბრმა მუსიკოსებზე

ბრმები ყიალებენ
ღამით.
ღამით არის ბევრად იოლი
მოედანი გადაიარო.

ბრმები შეიგრძნობენ
ხელით,
სხვაგვარად სამყარო ქრება,
არა აქვთ სინათლე, ჩრდილი
და გრძნობენ, სად არის ქვები:
ქვებისგან აგებენ
კედლებს.
მათ მიღმა ცხოვრობენ კაცნი.
ქალები.
ბავშვები.
ფული.
ამიტომ
ურყევს და მკაცრებს
კედლებს, სჯობს გვერდს თუ
უვლი.
მუსიკა — ემწყვდევა
მათში.
მუსიკას ახშობენ ქვები.
მუსიკა
სულს ლევს და მერე
ხელდახელ თანდათან ქრება.
ცუდია სიკვდილი ღამით.
სიკვდილს რომ შეიგრძნობ
ხელით.

ბრმას, ალბათ — ნაკლებად ადარდებს...
ბრმა ახლა
მოედანზე გადადის.

მამლები

ვარსკვლავები არ მინავლულან.
ვარსკვლავები კვლავ ენთო ცაზე,
როცა ისინი იღვიძებდნენ
საქათმეში
ქანდარაზე
და ხორხიდან უშვებდნენ ბგერებს.

ირგვლივ სიჩუმე კვდებოდა წამსვე,
როგორც ტაძარში მდუმარება
ქორალის პირველი ბგერების ხმაზე.
ირგვლივ სიჩუმე კვდებოდა წამსვე.
აიშლებოდნენ მეხრეები,

აპეურებს უჭერდნენ ხარებს,
ნამძინარევი სახეებით
და მთქნარებით იფშვნეტდნენ ხელებს.

ეს ყოველივე იყო საწყისი.
მზე შორს იყო
უკვე არც ისე,
ამოდიოდა
მინდვრების და
გორების მაღლა.

მარგალიტის მარცვლებისათვის
მიდიოდნენ მამლები ახლა.
მათ არ მოსწონდათ ფეტვი.
უფრო კარგი რამ სურდათ.
ჩაეფლობოდნენ მამლები ნეხვში,
ქექავდნენ უნდოდ.
მაგრამ მარცვალს წააწყდებოდნენ.
მაგრამ მარცვალს ამოაძრობდნენ
და ალიონზე ქანდარიდან
ყველას ამცნობდნენ:
— თავად ვიპოვეთ.
და თავადვე გავასუფთავეთ.
წარმატებაზეც
ჩვენივე ხმით გამცნობთ უდავოდ.
ამ ჩახლეჩილ და ხრინწიან ხმებში
მიღმა ასწლეულთ,
წელთა და დღეთა,
მე მამლებისგან გამჟღავნებულ
მატერიას დროისას ვხედავ.

თევზები ზამთარში

თევზები ცოცხლობენ ზამთარში.
ჟანგბადს იზოგავენ ლუკმებად.
თევზები ცურავენ ზამთარში,
ყინული თვალებზე ულხვებათ.
იქ.
  ზღვაში.
სიღრმეებს ეძებენ.
თევზები.
      თევზები.
            თევზები.
თევზები ცურავენ ზამთარში.
თევზებს სურთ აცურდნენ ტალღებზე.
თევზები ცურავენ წყვდიადში,
ზამთარში
        ძლივს ახელს თვალებს მზე.
თევზები თავის გზას მისდევენ
სიკვდილს გაურბიან ისევე.

თევზები არც ცრემლებს არ ღვრიან:
ლოდებს ეხლებიან
        თავებით,
ცივ წყალში
        ცივ მზერას აბნევენ
წყალზე უფრო ცივი
        თვალები.
თევზები
        ხმას სულ არ იღებენ,
რადგან —
        ვერ შეძლებენ ლაპარაკს.
ლექსები თევზებზე,
        მათივე
ფხასავით
        ფხაჭნიან საყლაპავს.

* * *

წადი,
დაივიწყე
და ნურავის ძრახავ.
დაწვი წერილები,
ხიდი წარსულისკენ.
იყოს მამაცური
გზა, რომელსაც ნახავ,
არ შეფერხდე, მასზე
ისე გასულიყვე.
დაე, ღამის წყვდიადს
შენთვის სანათებლად
ვარსკვლავთ წვიმა სცრიდეს.
დაე, შენს კოცონთან
ხელებმიფიცხებულ
იმედს არ შესცივდეს.
იყოს ქარბუქი და
თოვლი, წვიმის თქეში,
ცეცხლის მძლავრი ალი.
გქონდეს წარმატება, რაც მე შემხვედრია,
მასზე უამრავი.
გქონდეს გულისცემა საუცხოო,
მძლავრი,
დიდებული მეტად.

მე მათ გამო ვხარობ,
ვინც იქნება მგზავრი,
გზაზე შენთან
ერთად.

ქვები მიწაზე

ესაა ლექსი, თუ როგორ ალაგია ქვები მიწაზე,
უბრალო ქვები, რომელთაგან ნახევარიც ვერ ხედავს მზის სხივს,
უბრალო ქვები რუხი ფერისა,
უბრალო ქვები, — ქვები არა ეპიტაფიით.

ქვები, რომლებიც ჩვენს ნაბიჯებს ქვეშ ეგებიან,
თეთრია დღისით, ხოლო ღამით კი
თევზის დიდ თვალებს მოჰგვანან ქვები,
ქვები, რომლებიც ჩვენს ნაბიჯებს პირწმინდად ფქვავენ, —
მარადიული დოლაბები მარადი პურის.

ქვები, რომლებიც ჩვენს ნაბიჯებს ქვეშ ეგებიან,
თითქოს წყალია შავი — ქვები რუხი ფერისა,
ქვები, რომლებიც თვითმკვლელის ყელს ალამაზებენ,
ძვირფასი ქვები, მოხვეჭილი კაცთა კეთილგონიერებით.

ქვები, რომლებზეც დააწერენ: „თავისუფლება“.
ქვები, ოდესმე რომლებითაც გზებს მოკირწყლავენ.
ქვები, ციხეებს რომლებითაც ააშენებენ,
ანდა ის ქვები, უძრავებად რომ დარჩებიან,
ვით მხოლოდ ქვები, არაფერს რომ არ გაგონებენ.

ასე
აწყვია ქვები მიწაზე,
უბრალო ქვები, თითოეული რომ მოჰგავს კეფას,
უბრალო ქვები, — ქვები არა ეპიტაფიით.

გლადიატორები

გამოვეთხოვოთ.
სამარეში შევხვდებით მალე.
სულ ახლოს არის ჩვენი ჟამი.
რა ვუყოთ მერე?

ვერ გავიმარჯვეთ.
არენაზე დავხუჭავთ თვალებს.
მით უკეთესი.
თმა რომ გაგვცვივდეს,
არ დავაცდით ღვინოს და ქალებს.

კოლიზეუმის მაღლა ცაა
ისეთივე უძიროდ ლურჯი,
როგორც ჩვენი სამშობლოს თავზე,
ჭეშმარიტების ძიებაში
რომ დავტოვეთ
და დავთმეთ ასე
რომაელთა სიმდიდრის გამო.

არც გული გვწყდება.
განა ვინმეს
რაიმეს ვყვედრით?
ხან ასე ხდება,
ჩანს,
რომ ჩვენი
ეს არის ხვედრი.

სულ ახლოს არის ჩვენი ჟამი.
ხალხი დასხდა. როგორ ხარობენ.
არენაზე შევხვდებით სიკვდილს.

ხალხს სწყურია სანახაობა.

რუსულიდან თარგმნა ***ვასილ გულეურმა***

ბიჟან ჯალალი

უახლესი ირანული პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ბიჟან ჯალალი ორი წლის წინათ გარდაიცვალა. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ბოლო წლების სპარსული სალიტერატურო პროცესების განვითარებაზე. ირანელი კრიტიკოსები ბიჟან ჯალალის სოჰრაბ სეფეჰრის პოეტური გეზის გამგრძელებლად და სრულმყოფად მიიჩნევენ. თუმცა აქ არ იგულისხმება ამ ორი პოეტის ფორმალური ან გარეგნული მსგავსება ერთმანეთთან. თუ ვინმეს არ ჰგავს ბიჟან ჯალალი, არ ჰგავს სოჰრაბ სეფეჰრის, რომელთანაც სინამდვილე ფანტასმაგორიულ მხატვრულ რეალობად გადატყდება და ეს რეალობა თან უამრავ ქვეტექსტს მოიყოლებს. ჯალალისთან, პირიქით, ფანტასმაგორიული რეალობა ეძებს ცხოვრებისეულ სინამდვილეს, სიზმარი ეძებს ცხადს, რათა ახდეს და საკუთარი ყველაზე ღრმად დაფარული მნიშვნელობა გაამჟღავნოს. ბიჟან ჯალალი მინიმალისტია და ამითაც მკვეთრად განსხვავდება სეფეჰრისაგან. სეფეჰრის ლექსი მორევივითაა, უამრავ თემას, სახეს, განწყობილებას ატრიალებს თავისთავში და ამიტომაც ზოგჯერ კოშკიდან სატრფოს მიერ ჩამოშლილი ნაწნავივით გრძელდება და იტალღება. ჯალალის ლექსი კი სინამდვილის ნაფლეთია, სადაც პოეტის ოცნებამ, ცხოვრებისეულმა სიბრძნემ და საფიქრალმა თავისთავი უნდა მოიხელთოს. ამდენად ეს ლექსები მცირე ზომისაა, როგორც სარკიდან უცაბედად, ერთი წამით ამსხლტარი ათინათი.

მთარგმნელი

* * *

ბედნიერება მომიჩარჩოვეს.
ფანჯრის ჩარჩოში
რამდენიმე ხის
ჩრდილი მოჩანს.

* * *

სინამდვილე რა ძვირფასია:
გინდ მაშინ, როცა ფოთლის ჩრდილია — კედელზე
და გინდ მაშინ, როცა მზეა — ზეცაში.

* * *

ვიცი ჩემი დასასრული:
უიმედობის წყლით გამბანენ,
უნატვრებო მიწაში ჩამაწვენენ,
მარტოსულობის ცას მიმაბარებენ.

* * *

ყველაფერი ლექსმა წარეცხა:
შენი ნაფეხურიც,
კედელზე დარჩენილი შენი ღიმილიცა
და ჩემი ხმაც წაიღო —
სიტყვათა უფსკრულამდე.

* * *

თითქოს ქაღალდი სარკე იყოს
და უკან მიბრუნებდეს
იმას,
რაც დამიკარგავს.

* * *

მე მსოფლიოდან უკან დავიხიე
ირანის საზღვრებში,
ირანიდან უკან დავიხიე
თეირანის საზღვრებში,
თეირანიდან უკან დავიხიე
დარუსის საზღვრებში
და ჩემს სახლშიც
უკან დავიხიე
საკუთარ ლოგინამდე.

* * *

მე გუშინდელის
და ყოველი დღის
შესახება ვწერ.
მაშ, ლექსს ბოლოში
რატომ ვუსვამ
დღევანდელ თარიღს?

* * *

ყველაზე შორეულ ვარსკვლავებზე,
ყველაზე შორეულ პლანეტებზე
სწორედ ის ხდება,
რაც მოხდებოდა,
დედამიწა ერთი შორეული ვარსკვლავი
ან ყველაზე შორეული პლანეტა
რომ ყოფილიყო.

* * *

დილის ხუთია
და ხეები ფერმოციაგე ცის სივრცეში
ჯერაც ისევ შავად მოჩანან.
ჩიტი მღერის ფოთლისა და ტოტის წყვდიადში,
ეგებ: ხეთა გასაღვიძებლად.

* * *

დამესიზმრა:
სამოცდაათი წლის მოვიყარე.
კვლავ დავიძინე:
ოთხმოცამდე რომ მიმეღწია.
აღარასოდეს გამიღვიძია
მარადიული ცხოვრების მოლოდინში.

* * *

მარტოდმარტო ვარ:
არც ყვავილი მაქვს ხელში,
არც — ყავარჯენი,
არც გუშინდელი წარსულში
და არც მომავალში ხვალინდელი.

* * *

რა უბიწოდ ცვიოდა
წყალი
პატარა ჩანჩქერიდან
და რა კისრისტეხით მირბოდა
დასასვრელად.

* * *

ჩემი სიყვარული
ვერცერთ თარგს ვერ მოერგო
და სამუდამოდ
შიშველი დამირჩა.

* * *

სინამდვილეს რა მოვუხერო,
თან მწარე რომ არის,
თანაც ტკბილი...
სინამდვილეს რა მოვუხერხო,
რომელიც ისე მყავს,
ვით გველი უბეში
ან ყვავილი ღილ-კილოში.

* * *

საკუთარი სიბერისაკენ
წელში მოვიხარე,
როგორც კაცი,
წყალს ან სარკეს
რომ ჩაშტერებია,
რათა ეგებ ერთხელ მაინც
მოკრას თვალი
თავის სიყმაწვილეს.

* * *

ნათელზე ვფიქრობ,
ჩრდილივით რომ უკან დამყვება.

* * *

შენი სახე
სხვა სახეებში გადამსხვრეული,
შენი ტანი სხვა ტანებში გადამსხვრეული...
ახლა ტრფობის ძონძებსღა ვხედავ,
უიმედობის ქარში რომ ფრიალებენ.

* * *

სული მიწაში ვეძებე და
პირი მიწის სევდით გამევსო,
წყალს მივაშურე
და მდინარემ ქვებს მიმანარცხა,
ქარს მოვეჭიდე
და სულისა და ხორცის ძონძით
ეკლებს წამომდო,

ცეცხლს შევეფარე
და ცეცხლმა შთანმთქა.

* * *.
დავიღალე იმისი თქმით,
რაც
არ ითქმება.

* * *
უფრო მძიმე ტალღა მინდა,
უფრო სალი კლდე,
რათა უფრო დიდებული
მიჩანდეს მარცხი.

* * *
შესაძლებლობებმა
სახეში შემომცინეს და
გვერდი ამიარეს.
მხოლოდ შეუძლებლობებსღა
მოვეჭიდე.

* * *
მე, ჩაის ჭიქა და ლამბაქი —
სამივენი ერთადა ვართ
და... სამივე ჩვენგანი — მარტო.

* * *
რა მოხდებოდა,
მეც რომ წვიმად ვქცეულიყავი,
ვიწვიმებდი,
ვიწვიმებდი
დასასრულამდე.

* * *
შეუძლებელია
საკუთარ სახელს გასცდე,
იგი მიწას მიაბარო,
შენ კი მარტო
იმოგზაურო.

* * *
როგორ დავცილდით გონს,
რომელიც დროშასავით ფრიალებს ქარში,
ჩვენ კი დაჭრილი ჯარისკაცივით
მიწას გავრთხმივართ.

* * *
თქვენი ხელია,
რომლითაც ვწერ,
თქვენი ხმაა,
რომლითაც ვამბობ

და თქვენი თვალია,
რომლითაც ვკითხულობ.

* * *.
ჩემი და სამყაროს ჭიდილში
სიტყვაა,
რომელიც იმარჯვებს.

* * *
ფიქრმა ფრთები
ზღვაში უნდა დაიბანოს
და სიხარულის მზის გულზე
შეშრეს.

* * *
კაცთა ფიქრი
სიკვდილისგან მომდინარეობს,
ქალები კი
ცხოვრებას კბილებით იცავენ.

* * *
ენა ტაძარია
და ყოველი კარგი ლექსი —
სარკმელი ტაძარში.

* * *
წელს გაზაფხული
მხოლოდ მინის მიღმა
ვიხილე:
ფანჯრის მინათა
და სათვალის მინათა
მიღმა.

* * *
სიკვდილი ჩემთან
სიყვარულთან ერთად მოვიდა.
ტრფობამ თავი მიმანება,
სიკვდილი დამრჩა.

* * *
ზემოთ რომელი კიბით ახვედი,
რომელ სარდაფში ჩააღწიე,
რომელ ჰაერში გამოეკიდე,
რომ
ყველგან შენ გხედავ?

* * *
ყველაფერი სიტყვად იქცა,
საუბრად იქცა,
მხოლოდ დუმილი
დარჩა დუმილად.

* * *

ვერ გამეგო,
სიყვარული სათქმელად მსურდა,
საწერად
თუ ცხოვრებისათვის.

* * *

ქვეყანა
რა ენაზე მღერის იავნანას,
რომ ყველა ჩვენგანს დაგვეძინება
და ამ საამო ძილ-სიზმრიდან
აღარასდროს გამოვიღვიძებთ?

* * *

ჯოჯოხეთის მკვიდრთა
ცეკვით ვროკავ,
ყური კი სამოთხის ბინადართა
გალობით მაქვს სავსე.

* * *

შენი ცარიელი სკამი
ჩემს გულში
სევდამ ამოავსო,
შენი ცარიელი ადგილი —
სევდამ;
შენი ადგილი,
რომელიც სკამსა და ჩვენს გულში
ისევ ისე ცარიელია.

* * *

სამყარო
დიდი გალიაა.
ჩიტები
ხეთა ტოტებზე ჩამომსხდარან.

* * *

შორს სიყვარულისგან,
შორს საამურ წყალთაგან,
შორს ამწვანებული მინდვრისაგან,
შორს სიყვარულისაგან,
მარტო საკუთარ თავთან,
შორს ყოველივე იმისგან, რაც არის,
შორს ყოველივე იმისგან, რაც იქნება.

* * *

სამყარო სიტყვათა ნანგრევებია
და ჩვენ, ამ ნანგრევებში მოყოლილნი,
ხელ-ფეხს ვასავსავებთ.

* * *

ჩვენ ყველანი სიმღერას ვმღერით:
ყველა ჩვენგანი თავისებურს, თავის ენაზე:

ფოთოლი თავის სიმწვანეთი,
პეპელა ფრენით,
ჩვენ ყველანი სიმღერას ვმღერით,
ყველა ჩვენგანი ჩვენ-ჩვენს ენაზე:
ბულბული სტვენით,
ვარდი სიცილით,
წყალი დინებით
ჩვენ ყველანი სიმღერას ვმღერით
ჩვენ-ჩვენს ენაზე:
სამყარო ბრუნვით,
ჩვენ — საფიქრალ-საწუხარით
სხვადასხვაფერ სიკვდილსა და ცხოვრებაში
ვიხოცებით და ვიბადებით.

* * *

თავი
ყველგან,
ყველაფერში
დავკარგე
და ახლა
ყველგან,
ყველაფერში
ჩემს ნაფეხურებს
ვეძებ.

* * *

ჩვენ გვგონია, ყველაფერი
ჩვენთვის არისო,
მაგრამ, არა...
ყველაფერი თავისთვისაა.

* * *

რეალობის კიდეზე ვდგავარ,
ბასრია, მჭრელი
და ყოველ წამს საკუთარ თავს
კვეთს ორ ნაწილად.

* * *

როგორ აღმიქვამს ნეტა ქაღალდი? —
ხელს ხედავს თუ თვალს,
დარდის ზღვას ხედავს
თუ უნაპირო იმედს.
როგორ აღმიქვამს ნეტა ქაღალდი? —
ულმობელ ხელად და ცნობისმოყვარე თვალად
თუ ღვთიურ სიყვარულად,
რომელიც მელნის წყვიდადს
სინათლედ ისურვებს.

* * *

ერთ დღესაც ღმერთები იტყვიან:
გახსოვთ,
რა დიდებული ხუმრობა იყო,

სამყარო
რომ არსებობდა
და როცა ჩვენ ღმერთები ვიყავითო...

* * *

სიყვარული დამალული დავტოვოთ
ხეთა ფოთლების ჩრდილში,
ჩანჩქერთა ხმაურს მიღმა
სიყვარული,
მზესთან ერთად რომ მოდის,
მწუხარების ღრუბლებში გადავმალოთ.

* * *

სიმძიმე ხეთა ტოტებისა,
სიმძიმე მიწისა,
სიმძიმე ჩრდილისა
და სიმძიმე
კაეშნისა
ზამთრის ამ ნათელ
დღეში.

* * *

სული სხეულში მოწრიალე,
სული ბაღნარში მოწრიალე,
სულ ზეცაში მოწრიალე,
სული სამყაროში მოწრიალე,
სული ლექსებში მოწრიალე,
რომელიც სიტყვებს
უიმედობის ჰანგზე აცეკვებს.

* * *

სიტყვები რომ არ ყოფილიყვნენ,
სად წავიდოდი,
ან რას ვიტყოდი,
სიტყვები რომ არ ყოფილიყვნენ,
რაღას ვიზამდი?

* * *

ვიდრე ცოცხლები ვართ,
კარგია ცა და მყარი
თავის ადგილას იყოს,
იყოს კედლები,
ქუჩის ასფალტი,
გარემოს დაბინძურება
და წკვარამი სიბნელე,
ვით სატრფოს ნაწნავები,
რადგან
ვიდრე ცოცხლები ვართ,
ყველაფერი, რაც არის,
უკეთესია იმაზე,
რაც არ არის..

* * *

მთელი
ჩემი არსებობა
პეპლად იქცა
და მიფრინავს
არარსებული
ყვავილისაკენ...

* * *

რატომ აკაკუნებს
სიკვდილი
კარზე,
რომელიც მუდამ ღია იყო
ცივი ქარებისთვის?

* * *

დუმილმა მხოლოდ
ერთადერთხელ გააღო და დამუწა პირი,
რაც გავიგონე, მუდამ იმას გავიმეორებ.

* * *

ყველაფერი მომლოდინეა:
ჭიქა, ფანქარი, ქაღალდი და ჭერის ნათურა.
ყველაფერი ელოდება
ლექსისკენ წასვლას,
მე კი გულხელი მაქვს დაკრეფილი,
რომ ყველაფერი,
როგორც არის,
ისევე დარჩეს.

* * *.

შიმშილისა და
წყურვილისათვის
პური და წყალი
არ მითხოვია,
მხოლოდ ჰაერს,
ჰაერს გთხოვდი
ყვირილისათვის.

* * *

სამყარო, რასაც ვხედავ,
ჩიტსა ჰგავს,
ჭრელფრთებიანს,
ქვეყნიერების
მაღალ ხეზე შემომჯდარს.
სამყარო, რასაც ვხედავ,
ერთ მშვენიერ დღესაც
გაფრინდება.

სპარსულიდან თარგმნა ***გიორგი ლობჟანიძემ***

ავსტრიული პოეზიიდან

ალბერტ ერენშტაინი

* * *
ასე გამთოშა მკვდარმა დროებამ.

ნურაფერს ელი ჩემგან.
მე არასოდეს მინახავს მზე.
მე ქვებს მივმართავდი ჩემი სიმღერით,
სითბოს კი ველოდი ცხოველისაგან.

არასდროს ჩემსკენ არ მომართულა
სურვილი ჯიშწართმეული როსკიპისა,
და არასდროს მსმენია გერმანელი ქალისაგან:
მე შენ მიყვარხარ!

მორჩილად უხრიდნენ ისინი ჩარჩებს
თავიანთ უძვლო კისრებს.
მე კი ზიზღნარევი მთქნარებით მომახლიდნენ:
უსაზღვრო ლოდინს ვერსად წაუხვალ.

ასე გამთოშა მკვდარმა დროებამ.
მადლობის უთქმელად დამიცალა ქვევრი და
რასაც იგი მთავაზობს,
მთლად ამოაშრობს გრძნობათა წყაროს.

ანაზდად უმწიკვლო აჩქარებით
სხეულზე ფიქრით დამძიმებული
მოსაწყენი წამი წამს გამოება:
მეძავი არის დროება.

პაულ ცელანი

CORONA*

შემოდგომა ჩემი ხელიდან თავის ფოთოლს მიირთმევს:
ჩვენ მეგობრები ვართ.
ჩვენ ჩამოვხსენით დროს საბურველი და
სიარულს ვასწავლით მას.
სარკეში კვირადღე ირეკლება,
სიზმარი თავის ჩახლართულ ამბებს თხზავს,
ბაგეები ჭეშმარიტებას ღაღადებენ.
ჩემი მზერა შეყვარებულის ფეხებზე სრიალებს ზევიდან ქვევით:

---

* (ლათ.) გვირგვინი

ჩვენ შევცქერით ერთმანეთს, რაღაცეებს ვბუტბუტებთ,
ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, როგორც ყაყაჩოსა და მეხსიერებას,
ჩვენ გარინდებული ვართ, როგორც ღვინო ქვევრში,
როგორც ზღვა მთვარის სისხლიან სხივში.
ჩვენი ხელები ერთმანეთზეა გადაჭდობილი სარკმლის წინ,
ქუჩიდან თვალებდაჭყეტილი გამვლელები შემოგვშტერებიან:
უკვე დროა, კაცმა რომ თქვას!
უკვე დროა, რომ აყვავილდნენ ქვები,
უკვე დროა, რომ შფოთვამ მოიცვას გულები.
უკვე დროა, რომ მოვიდეს დრო, უკვე დროა.

შავი ფიფქები

თოვლი მოვიდა. ბინდია, თვეა უკვე თუ ორი,
რაც ანაფორაში გამოწყობილმა შემოდგომამ
მეც შემატყობინა ფოთლით უკრაინის მაღლობებიდან:
წარმოიდგინე, რომ ზამთრდება აქაც მეათასეჯერ,
ქვეყანაში, სადაც უფართოვესი ნაკადი მოედინება:
იაკობის ციური სისხლი, ნაჯახებით ღვთივკურთხეული...
ო, არამიწიერო წითელყინულო — ეს ხომ გეტმანი
მიეხეტება თავისი ამალით ჩამავალი მზეების
შუქზე... ბავშვო, როგორ მჭირდება მოსასხამი,
როდესაც ელავენ მუზარადები, როდესაც ლოდი
ცისარტყელად ფეთქდება და თოვლის მტვრად იქცევა
ჩონჩხი მამაშენის, ფლოქვებით გათელილია
სიმღერა ჭადრებზე...
მოსასხამი, ოღონდ ვიწრო, რათა შევინახო
სივიწროვე ამა სოფლისა, სანამ შენ ტირილს სწავლობ,
ამა სოფლისა, რომელიც არასოდეს აყვავდება,
ჩემო ბიჭუნავ, შენი შვილისთვის!
შემოდგომა, — მშობელი, — სისხლად დიოდა ჩემგან
და მწვავდა თოვლი:
ვეძებდი ჩემს გულს, რომ მეტირა, ვპოულობდი, ოო,
სუნთქვას ზაფხულისა.
ის და შენ იყავით ერთი.
მოვიდა ცრემლი. მე ვქსოვდი ხელსაფენს.

* * *

გაფრინდი იქით, სადაც ღამის ფლეიტა ბგერით
განგმირავს მას,
ვისაც მარადიული დუმილი სწყურია.
აი ის, ზუსტად ისეთი, როგორიც არის,
არეკლილი წყალთა სარკეში.

მე მოვაგროვე კუპრი გუნდს ჩამორჩენილი
დაგვიანებული ფრინველისათვის.
ფიფქი არ გადნება მის სისხლწითელ ფრთებზე,

მის ნისკარტში კი გაყინული თოვლის ნამსხვრევია.
მას იგი მიაქვს, ვითარცა მარცვალი ხორბლის
ზაფხულის გვალვის სისასტიკეში.
რისხვით, როგორც სიტყვა ციცერონისა,
ჯერ კიდევ ბინდის ჩამოწოლამდე ფეთქდება ღამე.
ნაჭრილობევი ზეცის იაგუნდის ჩრდილში
ფეხმოუცვლელად დგომისაგან.

არავისთვის, არარაᲘსთვის.
მხოლოდ შენთვის.
მკერდში მოქცეულა მთელი სამყარო,
მაგრამ არცერთი სიტყვა არ ისმის...

ჰაინც ჩეხოვსკი

კულინარიული ოდა
საზანეებით მთავარ როლში

რენატას და ვოლფგანგ ბრომეს

1.
ნიჟარებში შებრაწული რაგუ, თევზის წვნიანი, საზანი, შემწვარი, მოხარშული —
ოქტომბრიდან მარტამდე. დედის გამუდმებული ხველება
სასულეში გადაცდენილი ძვლისაგან, მამა
მეუღლეს ხელისგულის ზურგზე დადებით ამშვიდებს.

2.
შემოსალტულნი ხავსმოკიდებული ქვის მშრალი კედლებით,
გადაშლილან ტბორები — მელანქოლიის ნისლით მოცული თვალები:
კოშკის ტბორი, ავგუსტუსის ტბორი, ქალთა ტბორი,
ძლევამოსილი ავგუსტუსის მიერ შექმნილნი.

მოყინული ჭაობის ხრაშუნა ზედაპირის
მშრალ ლელქაშს მივარღვევთ
დეკემბრის თვეში — თევზჭერა დამთავრდა.
გუბურებში ზანტად იზამთრებენ საზანები.

ქერცლოვანი საზანები, სარკისებრნი, ჭანარები —
მასა, რომელიც ენას ადნება.
არ დაგვვიწყებია ქარსალა, წვერა, ქაშაპი,
კანგაცლილი ამხანაგები, დიდი ოჯახი
დავიწყებული სკომბერით, ჩხირათი, ლოტათი.

3.
მეჩხერ წყლებზე მოსრიალე ნავში სოლიდურ
მეთევზეებთან ერთად —
სიზმრის იშვიათი განსხეულებული სურათი.
მე — ჩეხ ბერებთან, რუმინელ გლეხებთან,
ლაუზიცის წყალსაცავების მფლობელებთან

საუბარში ჩაღრმავებული.
საუბრის თემები: ჩამონგრეული ჯებირები,
გამქრალი კედლები, ამომშრალი ტბორები.

4.
ოთხგირვანქიან საზანს მივათრევ ბადით სამზარეულოსკენ.
მომზადებული უძველესი რიტუალის — მკვლელობის აღსასრულებლად.
უკვე დავადგი ტაფები, ქვაბები, კიდევ ერთხელ
ვამოწმებ, ყველაფერია თუ არა სანელებელ-საკმაზისაგან:
დიდების მძებნელი დაფნის ფოთლები, ჩამიჩი, სკიჭი,
ნუში — ტკბილი და მწარე, საკმაზის მარცვლები, ხახვი,
წიწაკა, ნედლეული წვნიანისათვის, მარილი და ლიმონი.

5.
მოვიდა ჯერ კიდევ მტოკავი თევზის ჯერიც;
დანააღმართული, წარმოვთქვამ შელოცვას;
თევზო, თევზო (ხტუნავს ვარცლში,
ხტუნავს მაგიდაზე) ისკუპე ტაფაში.

მუცლის ღრუში (ჩაკერილი) ბინადრობს ყველაფერი საუკეთესო,
ღვიძლი და ელენთა, ქვირითი ან ხვაში, ნაწლავები,
ძალზე ნელ ალზე, მდუღარე წყალში
საზანი ნელ-ნელა იმოსება ლურჯად. მზად არის!

6.
დაორთქლილია თეთრი კარტოფილი,
შემთბარი — ღრმა თეფშები, გვირგვინდებული,
დამშვენებული ნიახურით, ოხრახუშით, ლიმონით —
გამოჩნდა თევზი. აქვე პოლონური სოუზი.

ვერცხლის კანდელაბრებში იწვიან სანთლები,
საქმის ცოდნითაა ტემპერირებული წითელი ღვინო,
შეზავებულია ერთმანეთში კარაქი, ზღვის ბოლოკი,
არაჟანი, გახეხილი ვაშლი. ენა ლხენით აღნიშნავს ზეიმს.

7.
ნიჟარებში შებრაწული რაგუ, თევზის წვნიანი, საზანი — შემწვარი, მოხარშული.
ოქტომბრიდან მარტამდე. დედის გამუდმებული ხველება
სასულეში გადაცდენილი ძვლისაგან, მამა
მეუღლეს ხელისგულის დადებით ამშვიდებს.

გერმანულიდან თარგმნა ***ვლადიმერ კორტავამ***

ნოვალისი

საისელი მოწაფეები

„საისელი მოწაფეები“ რომანტიკოსი პოეტისა და მოაზროვნის, ნოვალისის (1775-1801) პირველი შედარებით დიდი პროზაული ნამუშევარია, რომელიც, ისევე როგორც მისი რომანი „ჰაინრიჰ ფონ ოფტერდინგენი“ (ანუ „ცისფერი ყვავილი“) დაუმთავრებელი დარჩა.

როგორც ჩვენი ჟურნალის მკითხველებს უკვე მოვუთხრობდით (იხ. „აფრა“ №№10), ნოვალისმა შემოქმედებითი მოღვაწეობა და უაღრესად ინტენსიური კვლევები ბუნებისმეტყველების, ფილოსოფიის, რელიგიის, ალქიმიისა და მისტიკის სფეროში იმ დიდი ტრაგედიის შემდეგ დაიწყო, მას 1797 წლის გაზაფხულზე რომ დაატყდა თავს და სულის სიღრმემდე შეძრა: მან ჯერ საცოლე, 15 წლის სოფია ფონ კიუნი და ერთი თვის შემდეგ კი საყვარელი ძმა ერაზმი დაჰკარგა. ძვირფასი ადამიანების უეცარმა სიკვდილმა უბიძგა პოეტს, ჩაღრმავებოდა ხილული და უხილავი სფეროებისაგან აგებული სამყაროს, სულის, პოეზიის, აზროვნების საიდუმლოს. თვითშემეცნების ამ გზაზე ნოვალისი განსაცვიფრებელ აღმოჩენებთან მივიდა, რამაც განსაზღვრა მისი მხატვრული შემოქმედებისა და აზროვნების გამორჩეული სიღრმე და საიდუმლო ხასიათი.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ სამ წელიწადს იგი სულმოუთქმელად მუშაობდა. ჰქონდა გრანდიოზული შემოქმედებითი გეგმები. გარდა დიდი მხატვრული პროექტებისა, აპირებდა „ენციკლოპედიის“ შექმნას, სადაც მეცნიერების ყველა დარგის მიღწევები ერთ — ფილოსოფიურ, რელიგიურ-მისტიკურ და პოეტურ საფუძველზე უნდა დაელაგებინა.

„უპირველესად პოეზია — შემდეგ პოლიტიკა — შემდეგ ფიზიკა მიტრიალებს თავში“ — წერს იგი 1797 წლის 26 დკემბერს. მაგრამ თავისი შინაგანი წინსვლის დასრულებულ მხატვრულ ქმნილებებად გარდასახვა მან ვეღარ მოასწრო.

როგორც ცნობილია, მაშინდელ, კლასიკა-რომანტიზმის გერმანიაში სულიერი ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა და იშვიათ სიმაღლეებს აღწევდა. ამ ცხოვრების განსაკუთრებულ დინამიურობას ის არსებითი მომენტიც განსაზღვრავდა, რომ ძველი და ახალი თაობის გენიოსები: მწერლები, ფილოსოფოსები თუ თეოლოგები ერთმანეთის შემოქმედებას ინტენსიურად ითვისებდნენ და ეხმიანებოდნენ, რის გამოც მავანის ნაწარმოებში წარმოჩენილი აზრი, თემა თუ პრობლემა ირგვლივ სხვადასხვაგვარად იტოტებოდა, თაობიდან თაობასაც გადაეცემოდა და კულტურის უწყვეტობას უზრუნველყოფდა. ინტელექტუალური გადაძახილებებისა თუ გამოძახილებების ამ ბადეში მთელი არსებით იყო ჩართული ახალგაზრდა ფრიდრიჰ ფონ ჰარდენბერგიც, იგივე ნოვალისი.

„საისელი მოწაფეების“ ერთ-ერთ იმპულსად აშკარად იკვეთება შინაგანი კამათი გოეთეს გახმაურებულ რომანთან „ვილჰელმ მაისტერის მოწაფეობის წლები“ (რომელიც, როგორც ცნობილია, ფრიდრიჰ შლეგელმა ფიჰტეს „მეცნიერების მოძღვრებასა“ და საფრანგეთის რევოლუციასთან ერთად გერმანული რომანტიზმის წყაროდ დაასახელა). ამგვარად, სიტყვა „მოწაფეებს“ ნოვალისი შემთხვევით არ იყენებს. საქმე ის გახლდათ, რომ „ვილჰელმ მაისტერს“ ნოვალისი პრაგმატული სულის ხორცშესხმად, პოეზიის არსის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებად აღიქვამდა („ვილჰელმ მაისტერი არის კანდიდი პოეზიის წინააღმდეგ“). შემდეგი ბიძგის როლი შეასრულა ნოვალისის მიერ ფრაიბერგის სამთო აკადემიაში სწავლა-განათლებისა და იქაური ვერცხლის მაღაროებში პრაქტიკული კვლევა-ძიების დაწყებამ პროფესორ ა. გ. ვერნერის ხელმძღვანელობით. ბევრი ინტერპრეტატორის აზრით „საისელი მოწაფეების“ მასწავლებლის პროტოტიპი სწორედ ვერნერია, რომელმაც ნოვალისზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ზოგი კი ფიქრობს, რომ აქ გოეთე უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ არსებითი მაინც ის არის, რომ ნოვალისმა პიროვნულად აღმოაჩინა უმჭიდროესი, ბედისწერული კავშირი ბუნების შემეცნებასა და საკუთარი თავის შემეცნებას შორის, ის, რომ ბუნების შინაგანობაში ჩაღრმავება საკუთარ შინაგანობაში შთასვლას ნიშნავს ან პირიქით.

ბუნება. *გერმანული კლასიკა-რომანტიზმის ყველაზე დიდი წარმომადგენლებისთვის იგი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ გარემომცველი სინამდვილე, ან ყველაფერი, რაც არსებობს. ბუნება ღმერთის უმთავრეს მანიფესტაციად, მის სახებად, მის ცოცხალ, საიდუმლო დამწერლობად, მისი იეროგლიფებისა თუ რუნების ცოცხალ, საკრალურ ერთობლიობად, სიცოცხლის ღვთაებრივ წყაროდ განიცდებოდა პოეტებისა თუ ფილოსოფოსების მიერ.*

მაგალითად, ჰიოლდერლინისთვის ბუნება უფრო ასაკოვანია, ვიდრე დრო, უფრო მეტია, ვიდრე უმაღლესი ღმერთის ცალკეული ძალები: ბუნება „უხნესია, ვიდრე დროები, და უმაღლესი, ვიდრე ღმერთები დასავლისა და აღმოსავლისა.“ მისი რომანის „ჰიპერიონის“ მთავარი გმირი ასე შეჰღაღადებს მის წინ გადაშლილ სამყაროს: ***„ო, ღვთაებრივო ბუნებავ, არ ვიცი რა მემართება, როდესაც შენს სილამაზეს მივაპყრობ მზერას, მაგრამ ზეცის ყველა სიხარულია იმ ცრემლებში, შენს წინაშე რომ ვღვრი, როგორც მეტრფე სატრფოს წინაშე... შეერწყა ყველაფერს, რაც ცოცხლობს, თავდავიწყებით დაუბრუნდე ბუნების ყოვლადობას, ეს არის აზრისა და სიხარულის მწვერვალი.“***

ახალი თაობის სხვა გენიალური წარმომადგენელი, ჰიოლდერლინისა და ჰეგელის სტუდენტობისდროინდელი მეგობარი — ფილოსოფოსი ფრიდრიჰ შელინგი დაუნდობლად აკრიტიკებს უკვე სახელმოხვეჭილი მოაზროვნის, ფიჰტეს შეხედულებებს ბუნებაზე: „ეს ობიექტური სამყარო, რომელსაც გულისხმობს ფიჰტე, მკვდარიც კი არ არის; ის საერთოდ არაფერია, ცარიელი აჩრდილია. ფიჰტე სიამოვნებით გაანადგურებდა მას, მაგრამ თან სურს შეინარჩუნოს მორალური სარგებლიანობის გულისთვის; ბუნება მკვდარი უნდა იყოს, რათა მასზე ზემოქმედება შეძლონ; მაგრამ მისი მთლიანად გაქრობა არ არის მიზანი. რადგან, ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს ბუნებაზე ფიჰტეს შეხედულების ესენცია? აი, რას: ბუნება უნდა მოიხმარონ და გამოიყენონ, იგი სხვა არაფრისთვის არსებობს, გარდა იმისა, რომ მოხმარებულ იქნას. პრინციპი, რომლითაც ფიჰტე ბუნებას განიხილავს, ეკონომიკურ-ტელეოლოგიური პრინციპია. ***ძველ სისტემებში ბუნება, სულ ცოტა, სიკეთის, სიბრძნისა და ძალმოსილების გამოცხადება იყო და ეს გვევლინებოდა მისი თავდაპირველი მიზანდასახულობის საფუძვლად: ფიჰტეს სისტემაში ბუნებამ თავისი ამაღლებულობის ბოლო ნარჩენიც დაკარგა და მთელ მის არსებობას ის აზრიღა შერჩა, რომ ადამიანმა იგი უნდა დაამუშაოს და თავის მეურნეობად აქციოს... ბუნების ძალები მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ ადამიანის მიზნებს დაექვემდებარონ. ეს დაქვემდებარება ერთ მშვენიერ დღესაც მოგვევლინება ადამიანის მიერ ბუნების თანდათანობით გადაფასებად და განადგურებად... განა ადამიანური მიზნებისადმი დაქვემდებარება ყოველი ცოცხალის მოკვლას არ ნიშნავს?“*** *ასე უპირისპირდება ფილოსოფოსი შელინგი იმ მსოფლმხედველობას, რომლის თანახმადაც ბუნება საკრალური ღირებულება კი არა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალება, ექსპლოატაციის საგანი, მკვდარი ნედლეულია.* ***„ეს არის ბირთვი ბუნების ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური და ამავე დროს მარქსისტული აღქმისა“*** *— წერს შელინგის ფილოსოფიის გვიანდელი მკვლევარი ი. კირხჰოფი. და ამ აღქმას, როგორც უკვე ვიცით, მომდევნო საუკუნეებში მართლაც მოჰყვა ბუნების პერმანენტული განადგურება, დღეს უკვე აპოკალიფსის ჩრდილებს რომ ჰფენს დედამიწას.*

„ეკონომიკურ აზროვნებაში“ ფესვგადგმულ ***„ბუნების უბრმავეს აბუჩად აგდებას“*** *შელინგის აზრით შეესაბამებოდა მათემატიკური ბუნებისმეტყველებისა და გაბატონებული მორალის არსებითი ტენდენცია: ეს არის „მთელი დღემდე მოქმედი მორალის შედეგი.“* ***„ამით შელინგი მძაფრად მიანიშნებდა დასავლური ბუნებისმოძულეობიდან ამოზრდილ მორალურ ცნებებზე“*** *— წერს ი. კირხჰოფი და აგრძელებს: „მაინც რას აკრიტიკებდა შელინგი „მათემატიკურ ბუნებისმცოდნეობაში“? ეს გახლდათ მისი მექანისტურ-მატერიალისტური საფუძველი, რომელმაც მთელი მე-18 და მე-19 საუკუნეები გამოიარა და პირველად მხოლოდ აინშტაინის, ბორისა და ჰაიზენბერგის ფიზიკაში განიცადა ძირეული ცვლილება. მათემატიკური ბუნებისმცოდნეობის პროტოტიპად კი ნიუტონის მექანიკა ითვლებოდა“. შელინგს გაცნობიერებული ჰქონდა ის განსხვავება, რაც არსებობდა ნიუტონის მექანიკასა და ნიუტონისავე ფიზიკალურ და ნატურფილოსოფიურ საფუძვლებს შორის და საჭიროდ მიაჩნდა ამის წარმოჩენა. მაგრამ:*

მიუხედავად იმისა, რომ თავად მუდამ მეცნიერების დიდი ადეპტი იყო, ნიუტონის ნააზრევის ყოველგვარ კრიტიკას მისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი კრიტიკოსისათვის, შეეძლო მეცნიერების უარმყოფლის სახელი დაემკვიდრებინა.

მაგრამ შელინგმა უკან არ დაიხია: 1803 წელს იგი წერდა: „მექანიკას ყოველი მოვლენა კიდეც რომ სრულყოფილად აეხსნა, მაინც იმ შემთხვევასთან გვექნებოდა საქმე, მავანს რომ მოენდომებინა ჰომეროსის ან რომელიმე სხვა ავტორის ახსნა სასტამბო ლითონის ასოებისა და შემდეგ იმის აღწერით, თუ როგორ არიან ისინი ერთმანეთზე მიწყობილი და ბოლოს, თუ როგორ იბეჭდება და წარმოიქმნება მათგან ნაწარმოების ტექსტი. მეტ-ნაკლებად ასეთი რამ ხდება ბუნების მოძღვრებაშიც, რომელიც მათემატიკური კონსტრუქციებით აავსეს. ...მართალია, ისწავლეს მათემატიკის გამოყენებით პლანეტებს შორის მანძილის, მათი წრებრუნვებისა და ხელახლა გამოჩენების დროის წინასწარ და ზუსტად განსაზღვრა, მაგრამ ამით იოტისოდენადაც არაფერი თქმულა თავად ამ მოძრაობის არსზე. მაშასადამე, ეგრეთ წოდებული მათემატიკური ბუნებისმოძღვრება დღემდე წმინდაწყლის ფორმალიზმია, სადაც ბუნების ჭეშმარიტი მოძღვრებისა არაფერი ჭაჭანებს“. ახლა ძნელი წარმოსადგენია, რა გაბედულება სჭირდებოდა მაშინ ნიუტონის მექანიკის ასეთ კრიტიკას.

იგივე სულიერი იმპულსით ეკამათებოდა გოეთეც ნიუტონს და საყვედურობდა სინათლის ურფენომენის (თაურფენომენის) მათემატიზაციას. ეს იყო გერმანული იდეალიზმის პოეტური სული, რელიგიური სული, მგზნებარედ რომ ებრძოდა სამყაროს დესაკრალიზაციასა და მექანისტურ გაგებას. და ალბათ ეს იყო ერთ-ერთი ბოლო დიდი გაბრძოლება ათეისტურ-მანქანური ეპოქის საბოლოო გამარჯვებამდე.

რაც შეეხება ძველი ეგვიპტის ლეგენდარულ ქალაქ საისს და მის საიდუმლოს — რიდეჩამოფარებულ ქალღმერთ იზიდას — ეს თემა და სახე ნოვალისის ირგვლივ განფენილ სულიერ სივრცეში სხვადასხვაგვარად ამოტივტივდებოდა ხოლმე. თუმცა, უმნიშვნელოვანესი როლი მაინც შილერმა შეასრულა: ნოვალისმა, როგორც შილერის მოწაფემ (იგი ისმენდა შილერის ლექციების კურსს იენის უნივერსიტეტში), რა თქმა უნდა, იცოდა მისი „მოსეს გზავნილი“ (1790), სადაც მოცემულია საისის მისტერიების დაწვრილებითი აღწერა. 1795 წელს კი გამოჩნდა შილერის ლექსი „შებურული სურათი საისში.“ ფრიდრიჰ ჰიოლდერლინის რომანშიც „ჰიპერიონი“ ვხვდებით მინიშნებას ეგვიპტურ კულტზე. და, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანი იყო 1786 წელს ლაიპციგში გამოცემული წიგნი „ძველი და ახალი ეგვიპტის ღირსშესანიშნაობანი.“ ეს წიგნი ეხება საისის ბუნების რელიგიასა და იზიდას კულტს და მან მალევე დაიდო ბინა ნოვალისის ბიბლიოთეკაში.

ნოვალისს ასევე შეეძლო წაეკითხა შელინგის ასეთი აზრები: „მთელმა საუკუნეებმა ჩაიარეს ბუნების კვლევაში და მკვლევრებს მაინც არ ეტყობათ დაღლა. ზოგმა მათგანმა ამ კვლევაში მთელი ცხოვრება გაატარა და მაინც არ შეუწყვეტია რიდეჩამოფარებული ქალღმერთის თაყვანისცემა. დიდმა სულებმა საკუთარ სამყაროში იცხოვრეს და ნაკლებ ანაღვლებდათ თავიანთი გამოგონებების პრინციპები. და რას შეედრება ყველაზე უფრო გონებამახვილი სკეპტიკოსის მთელი დიდება ასეთი კაცის ცხოვრებას, რომელმაც სამყარო თავის გონებაში და მთელი ბუნება თავის წარმოსახვაში ატარა?“

საისი იყო ეგვიპტური და ანტიკური სამყაროების შეხების ადგილი: აქედან იზიდას კულტი საბერძნეთსა და რომში გავრცელდა. ამ კულტის სხივების მოფენას იუდაიზმსა და ქრისტიანობაზე კარგად აჩვენებს შილერი „მოსეს გზავნილში“.

მაგრამ 1798 წელს „საისელი მოწაფეების“ მხოლოდ ერთი ნაწილი იყო დასრულებული, რადგან ნოვალისი მთლიანად შთანთქა საბუნებისმეტყველო და ნატურფილოსოფიურმა შტუდიებმა. მან, სავარაუდოდ, 1799 წლის დასაწყისისთვის დაამთავრა ეს ჩვენამდე მოღწეული ტექსტი და აქ გაჩერდა. ნოვალისი აპირებდა შეექმნა დიდი რომანი, რომელსაც „შინაარსითა“ და „სიღრმით“ უკან უნდა მოეტოვებინა გოეთეს „ვილჰელმ მაისტერი“. ამიტომ არ ჩქარობდა და ამ რთული მიზნის განსახორციელებლად განსაკუთრებულად ემზადებოდა. მთელი 1799 წელი იგი ინტენსიურად შეისწავლიდა ქრისტიანობას და ძალიან ახლოს მივიდა შუასაუკუნეებთან. ამან პრობლემის არეალი უაღრესად გააფართოვა. 1799 წლის ბოლოს ნოვალისი უკვე ლაპარა-

კობს „ჰაინრიჰ ფონ ოფტერდინგენზე“, როგორც იმ ნაწარმოებზე, რომელიც შესაბამება მის დიდ გეგმას: მხატვრულ ქმნილებაში ასახოს თავისი აზრები ბუნებისა და სულის, ადამიანისა და პოეზიის შესახებ. ის, რაც „საისელ მოწაფეებში“ ჩანასახად დარჩა, განვითარდა „ოფტერდინგენში“. მაგრამ ნოვალისს საბოლოოდ არ აუღია ხელი ამ ტექსტზე და მის გაგრძელებას აპირებდა. 1800 წელს იგი წერს ლუდვიგ ტიკს: „მით უფრო უკეთესია, რომ „მოწაფეები“ ისვენებენ — ახლა ისინი სულ სხვა სახით უნდა გამოჩნდნენ — ეს უნდა იყოს ჭეშმარიტად სიმბოლური, ბუნების რომანი.“ მაგრამ ნოვალისს ამ მიზნის მიღწევა აღარ დასცალდა.

„საისელი მოწაფეები“ ორ ნაწილად, უფრო სწორად, ორ ფრაგმენტად არის დარჩენილი. საეჭვოა, რომ ავტორს ისინი ასეთ თანმიმდევრობაში ჰქონდა წარმოდგენილი, რადგან მათ შინაგანი კავშირი აკლიათ. ეს ორი ნაწილი სტილისტურადაც იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ სხვადასხვა დროს უნდა იყოს შექმნილი. უმნიშვნელოვანესი და ულამაზესი მონაკვეთიც — ზღაპარი როზენბლუტსა და იაკინთზე — ცალკე დაწერილი და ტექსტში შემდეგ ჩართული ჩანს.

ფრაგმენტში პოეტურად მინიშნებულია ნოვალისის ეპოქის ფილოსოფიასა და ბუნების მეცნიერებაში გავრცელებული იდეები, რომელთა სკრუპულოზურ შტუდირებასაც პოეტი დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა ფრაიბერგის სამთო აკადემიაში სწავლის დროს. რაც ნატურფილოსოფიას ეხება, იგი, უპირველეს ყოვლისა, ფიჰტეს, შელინგისა და ბაადერის აზრებს ეყრდნობოდა, მედიცინისა და გეოლოგიის სფეროში კი პარაცელსუსის და გეოლოგ ვერნერისას.

ცნობილი გერმანისტი პაულ კლუკჰონი ნაწარმოების მიზანდასახულობაზე წერს: „ბუნების, როგორც დიდი ერთიანობის იდეა ვარიაციებში უნდა წარმოდგენილიყო და ბუნებასთან ათასგვარი ადამიანის: ბუნების მკვლევართა, თეორეტიკოსთა, მომხმარებელთა და ა. შ. დამოკიდებულებას უნდა დაპირისპირებოდა რომანტიული შთაგრძნობა, „ბუნებისადმი „ადამიანის გულის განსაცვიფრებელი სიმპათია“; უნდა დაპირისპირებოდა ბუნებაში შემოქმედებითი მონაწილეობა, რომლის უნარსაც იძლევა „შეპყრობილობა ბუნების უზომოდ გამანაყოფიერებილი ძალით“, შინაგანი მუცლადღება. მხოლოდ შეყვარებულებს და პოეტებს ესმით ბუნება. მათთვის პოეტური ენის ხატებს ჭეშმარიტი რეალობა გააჩნიათ, რადგანაც ერთიანი ყოფიერების სიღრმეებიდან არიან ამოზრდილნი“

„პოეტს სწამს, რომ მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის საშუალებით შეიძლება ეზიარო სიცოცხლის, ბუნების კავშირებს. ბუნების მეცნიერული შესწავლა მისთვის არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. ყოველგვარ კვლევასა და ნატურფილოსოფიურ თეორიაზე მნიშვნელოვანი მისთვის ბუნებასთან შინაგანი კავშირია, კავშირი, რომელიც მხოლოდ სულიერი თავმიცემით, შთაგრძნობითა და სიყვარულით შეიძლება მოიპოვო. ეს არის საისელი მოწაფეების აზრი.“

1

მოწაფე

მრავალნაირ გზებს გადიან ადამიანები. ვინც ამ გზებს თვალს მიადევნებს და ერთმანეთს შეუდარებს, განსაცვიფრებელი ფიგურების წარმოქმნას იხილავს; ფიგურების, რომლებიც, როგორც ჩანს, იმ საიდუმლო დამწერლობას განეკუთვნებიან, ყველგან რომ ვამჩნევთ: ფრინველთა ფრთებზე, კვერცხის ნაჭუჭებზე, ღრუბლებში, თოვლში, კრისტალებში და ქვებზე, გაყინულ წყლებზე, მთების, მცენარეების, ცხოველების, ადამიანების სხეულებზე და მათ შიგნით, მინისა და გაქვავებული კუპრის ზედაპირზე, რომელსაც ხემს უსვამენ*, რკინის ნაქლიბში მაგნიტის გარშემო, შემთხვევის უცნაურ კონფიგურაციებში. მათში წინათგრძნობენ ამ სასწაულებრივი დამწერლობის გასაღებს, მისი ენის მოძღვრებას; მაგრამ წინათგრძნობას არ სურს რაიმენაირ მკაცრ ფორმებში მოქცევა და, ჩანს, არც რაიმე უფრო მაღალ გასაღებად ქცევა სწადია. თითქოს ადამიანთა გრძნობებზე ალკაჰესტი* გადაუსხამთ: მხოლოდ წამიერად თუ შენივთდებიან ხოლმე მათი სურვილები, მათი აზრები. ამ დროს წარმოიქმნება მათი წინათგრძნობები, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ყველაფერი ისევ მიცურავს, უწინდებურად, მათ თვალთა წინაშე.

შორიდან მსმენია: ვერგაგება მხოლოდ არა-გონების შედეგიაო*. არა-გონება მხოლოდ იმას ეძებს, რაც თავად აქვს, და მეტს არც არაფერს პოულობს. ენა იმიტომ არ ესმით, რომ ენას თავად არ ესმის და არც სურს ესმოდეს თავისი თავი. ჭეშმარიტი სანსკრიტი* ლაპარაკობს, რათა ილაპარაკოს, რადგან ლაპარაკი მისი არსი და სიხარულიაო.

მალევე ამის თაობაზე უთქვამს ერთს: „წმიდა წერილს განმარტება არ სჭირდება. ვინც ჭეშმარიტად ლაპარაკობს, მარადიული სიცოცხლით არის სავსე. და მისი დამწერლობა გასაოცრად დანათესავებული გვეჩვენება ჭეშმარიტ საიდუმლოებებთან, რადგან ის არის აკორდი სამყაროს სიმფონიიდან.“

ჩვენს მასწავლებელს შეეხება ნამდვილად ეს ნათქვამი, რადგან მან იცის, როგორ უნდა შეაგროვოს და შეკრას ნაწილები, ირგვლივ ყველგან რომ მიმოფანტულან. ამ ადამიანს ცეცხლი ენთება მზერაში, როდესაც თვალწინ მაღალი რუნი* უძევს და ჩვენს თვალებში დაეძებს ვარსკვლავის ამონათებას, რომელიც ფიგურას ხილულსა და გასაგებს გახდიდა. თუ დამწუხრებულებს გვხედავს იმით, რომ ღამე არ იხევს უკან, — გვანუგეშებს და გულმოდგინე, ერთგულ მჭვრეტელს მომავალ ბედნიერებას პირდება. ხშირად მოუყოლია ჩვენთვის, თუ ბავშვობაში როგორ არ აძლევდა საშველს წყურვილი, ევარჯიშებინა თავისი გრძნობები, დაესაქმებინა და განეხორციელებინა ისინი.

იგი ვარსკვლავებს შესცქეროდა და მათ შტრიხებსა და განლაგებას ბაძავდა ქვიშაში. აუჩქარებლად იცქირებოდა ჰაერის ზღვაში და არ იღლებოდა მისი სიკამკამის, მისი მოძრაობის, მისი ღრუბლების, მისი სინათლეების თვალიერებით. ის აგროვებდა ქვებს, ყვავილებს, ყველა სახეობის ხოჭოებს, და მათ სხვადასხვაგვარი წესრიგით ილაგებდა წინ. ადამიანებსა და ცხოველებს აკვირდებოდა, ზღვის პირას იჯდა და ნიჟარებს აგროვებდა.

თავის გრძნობებსა და აზრებს გულდასმით უყურადებდა. მან არ იცოდა, საით მიჰყავდა თავის მონატრებას. როდესაც გაიზარდა, გზას გაუყვა, სხვა ქვეყნები მოინახულა, სხვა ზღვები, ახალი ჰაერები, უცხო ვარსკვლავები, უცნობი მცენარეები, ცხოველები, ადამიანები; შედიოდა მღვიმეებში, ფერად ფენებსა და ქანებზე დაკვირვებით ეცნობოდა დედამიწის აგებულებას. და თიხაზე კლდის საკვირველ ნახატებს ტვიფრავდა. და ყველგან ისევ და ისევ ნაცნობ საგნებს პოულობდა, ოღონდ ერთმანეთში უცნაურად შერეულს, ერთმანეთთან უცნაურად დაწყვილებულს და ასე წარმოიქმნებოდა თავად მასში უცნაურ საგანთა განლაგებანი. მალე ის ყველაფერში აკვირდებოდა კავშირებს, შეხვედრებს, შეერთებებს. შემდეგ კი მხოლოდ მზერით ვეღარაფერს აღიქვამდა: იგი ერთდროულად ისმენდა, ხედავდა, ეხებოდა და იაზრებდა. მას უხაროდა უცხო არსებების ერთმანეთთან დაკავშირება. მისთვის ხან ვარსკვლავები იყვნენ ადამიანები, ხან ადამიანები — ვარსკვლავები, ქვები — ცხოველები, ღრუბლები — მცენარეები, ის ეთამაშებოდა ძალებსა და მოვლენებს, მან იცოდა, რა, სად და როგორ უნდა ეპოვა და როგორ გამოეჩინა. და თავად დაეძებდა სიმებში ბგერებს და ჰანგებს.

რა გამოვიდა შემდეგ მისგან, ამის შესახებ არაფერს გვატყობინებს. გვეუბნება, რომ თავად აღმოვაჩენთ, თუ რა დაემართა მას, და ამ აღმოჩენასთან მისი დახმარება და ჩვენი წყურვილი მიგვიყვანს. რამდენიმე მოწაფე ჩამოშორდა. ისინი თავიანთ მშობლებს დაუბრუნდნენ და რაღაც პრაქტიკული საქმე შეისწავლეს. ზოგი მოწაფე კი თავად გააგზავნა სადღაც, არ ვიცით, სად; შემდეგ ისინი ისევ მოძებნა. ამ მოწაფეთაგან ზოგმა მცირე ხანს დაჰყო ჩვენთან, ზოგმა — დიდხანს.

ერთხელ ერთი ბავშვი* გამოჩნდა, ჯერ წესიერად მოსულიც არ იყო, რომ მასწავლებელს უკვე უნდოდა მისთვის მიენდო გაკვეთილების ჩატარება. ამ ბავშვს ლურჯგუგებიანი, დიდი, მუქი თვალები ჰქონდა, კანი შროშანივით უბრწყინავდა და კულულები ღრუბლის ნათელ ფთილებს მიუგავდა, საღამოს ნიავი რომ აახვევს ხოლმე. მისი ხმა ყველას გულში გვწვდებოდა და ყველას გვსურდა ჩვენი შეგროვილი ყვავილები, ქვები და ბუმბულები გვეჩუქებინა. ის უსასრულოდ სერიოზულად იღიმებოდა და მის გვერდით განსაცვიფრებლად კარგად ვგრძნობდით თავს. „ერთხელაც დაბრუნდება“, ამბობდა ხოლმე მასწავლებელი, „და ჩვენს შორის იცხოვრებს. მაშინ გაკვეთილები შეწყდება“. ერთი მოწაფე თან გააყოლა, ხშირად რომ გვიჩენდა ხოლმე საფიქრალს: ყოველთვის ნაღვლიანად გამოიყურებოდა. თუმცა დიდი ხნის წინ მოსულიყო

აქ, არაფერი გამოსდიოდა; ვერაფერს პოულობდა, როცა კრისტალებს ან ყვავილებს ვეძებდით. შორს ცუდად ხედავდა, ფერადი ხაზების გავლება არ იცოდა. ადვილად ემსხვრეოდა ყველაფერი ხელებში. თუმცა, მასავით არავის სწყურებია დანახვა და მოსმენა. ერთი ხანობა — მანამდე, ვიდრე ბავშვი შემოგვიერთდებოდა, — ერთბაშად გახალისდა და გაყოჩაღდა. ერთხელ, დღისით, სახლიდან სევდიანი გავიდა და აღარ დაბრუნებულა. ღამე ჩამოწვა, წუხილი დავიწყეთ; უცებ, როცა უკვე ირიჟრაჟა, ახლო მდებარე ჭალიდან მისი ხმამაღალი, მხიარული სიმღერა შემოგვესმა.

ყველანი განვცვიფრდით; მასწავლებელმა ისეთი მზერა შეავლო განთიადს, როგორიც მერე აღარასდროს მინახავს. წუთის შემდეგ ჩვენს შორის ჩადგა, და საოცარი ნეტარების შემცველი იერით რაღაც ძლივს შესამჩნევი, უცნაური ფორმის კენჭი გვიჩვენა. მასწავლებელმა კენჭი მაღლა ასწია, ხანგრძლივი კოცნით აღბეჭდა, შემდეგ სველი თვალებით შემოგვხედა და კენჭი ერთ ცარიელ, ლოდებს შორის მოქცეულ ადგილას დადო, სწორედ იქ, საიდანაც სხვადასხვა საგანთა მწკრივები მზის სხივებივით ყველა მხარეს იშლებოდა. მის ამ გამოხედვას ვეღარასდროს დავივიწყებ. ასე გვეგონა, თითქოსდა ჩვენმა წინათგრძნობამ უცებ მოიხელთა ამ საოცარი სამყაროს ხატი.

მეც სხვებზე მოუხერხებელი ვარ, და თითქოსდა ბუნების განძეულს მაინცადამიანც არ უხარია, მე მაპოვნინოს თავი. მაგრამ მასწავლებელი დინჯად მექცევა, და საშუალებას მაძლევს, ჩემს ფიქრებს მივეცე, როდესაც სხვები საძებნელად მიდიან. ჩემი მდგომარეობა მუდამ განსხვავდებოდა ჩემი მასწავლებლის მდგომარეობისაგან. მე ყველაფერს ჩემსავ შინაგანობაში შევყავარ. რაც ერთხელ მეორე ხმამ თქვა, კარგად გავიგე. მეც მახარებს დარბაზებში დაგროვილი ათასნაირი საგანი და ფიგურა, მაგრამ მეჩვენება, რომ ისინი მხოლოდ სახეები, რიდეები, სამკაულებია, დახვავებული ღვთაების სასწაულებრივი სახების ირგვლივ, და ისინი მუდამ ჩემს აზრებს კვებავენ. მე მათ არ ვეძებ, მე მათში ვეძებ. ისეა, თითქოს მათ გზა უნდა მიჩვენონ, იმ ადგილისაკენ, სადაც ქალწულს* ზეზეულად სძინავს ღრმა ძილით. ქალწულს, ვისკენაც ჩემი სული ისწრაფვის. მასწავლებელს არასდროს უთქვამს რაიმე მის შესახებ, მეც ვერაფერს გავანდობ, გაუმჟღავნებელი საიდუმლოა ჩემთვის ეს ამბავი. სიამოვნებით ვკითხავდი იმ ბავშვს, მისი სახის ნაკვთებში რაღაც ნათესაურს ვპოულობდი. თანაც მის სიახლოვეს ყველაფერი თითქოს უფრო ღრმა და ნათელ შინაგანობას იძენდა. დიდხანს რომ დარჩენილიყო ჩვენთან, ნამდვილად უკეთ გავერკვეოდი ჩემს თავში. ბოლოს ალბათ უფრო თავისუფლადაც ამოვისუნთქავდი, უფრო თავისუფლად ავმეტყველდებოდი. სიამოვნებით ვივლიდი კიდეც მასთან ერთად.

არ მოხდა ასე. კიდევ რამდენ ხანს დავრჩები აქ, არ ვიცი. ასე მგონია, სამუდამოდ. ძლივს ვბედავ, გამოვუტყდე საკუთარ თავს, მაგრამ მეტისმეტად ძლიერად ზვირთდება ჩემს შიგნით რწმენა: ერთხელაც ვიპოვი აქ იმას, რაც განუწყვეტლივ მაღელვებს; ის მისაწვდომია. როდესაც აქაურობაში ამ რწმენით დავიარები, ყველაფერი რაღაც უფრო მაღალი სახით, ახალ წესრიგში მოქცეული მეწვდება, ყველა და ყველაფერი ერთი, ერთიანი მიდამოს ნაწილებად წარმომიდგება. ამ დროს ყველაფერი ისე ნაცნობი, ისე საყვარელი მეჩვენება; და ისიც, რასაც ჯერ კიდევ უცხოდ და უცნაურად აღვიქვამ, ერთხელაც უცებ საოჯახო ნივთივით ახლობელი გახდება ჩემთვის.

სწორედ ეს სიუცხოვეა ჩემთვის უცხო, და ამიტომ არის, ეს ერთად შეკრებილი ბუნების საგნები ერთდროულად რომ მიზიდავს და მიმანძილებს. მასწავლებლის შეცნობა არც შემიძლია და არც მსურს. ის სწორდაც რომ ასეთი მიუწვდომელი მიყვარს.

ვიცი, მას ესმის ჩემი, არასოდეს ულაპარაკია ჩემი სურვილებისა და გრძნობების საწინააღმდეგოდ. მას უფრო ის სურს, რომ ჩვენ ჩვენი გზა ვიპოვოთ, რადგან ყოველი ახალი გზა ახალი ქვეყნებზე გადის, და ბოლოს ყოველი მათგანი იმ სავანეებთან, იმ წმიდა სამშობლოსთან მიგვიყვანს. და, მაშასადამე, მეც მსურს ჩემი გზის აღწერა. და თუ ტაძარზე ის წერია, ვერცერთი მოკვდავი ქალწულს რიდეს ვერ ახდისო, მაშინ ჩვენ უკვდავები უნდა გავხდეთ. და ვისაც არ სურს რიდე ახადოს, ის არ არის ჭეშმარიტი საისელი მოწაფე.

2

ბუნება

დიდი ხანი უნდა გასულიყო, ვიდრე ადამიანებს აზრად მოუვიდოდათ, ათასგვარი საგანი, რომლებსაც გრძნობით აღიქვამდნენ, ერთი სახელით გაეერთიანებინათ და თავის პირისპირ წარმოედგინათ. ვარჯიში განვითარებას უზრუნველყოფს, ყოველგვარი განვითარება კი გულისხმობს დაყოფას და დანაწევრებას, რაც საკმაოდ მარჯვედ შეიძლება სინათლის სხივის გარდატეხებს შევადაროთ. და ასე დაიშალა, ოღონდ თანდათან, ჩვენი შინაგანობაც ათასგვარ ძალად და განუხრელი ვარჯიში კიდევ უფრო გააძლიერებს დაშლის ამ პროცესს.

ვინ იცის, ეგებ გვიანდელ ადამიანთა ავადმყოფობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მათ დაკარგეს უნარი, კვლავ შეაერთონ თავიანთი სულის გაფანტული ფერები და სურვილისამებრ აღადგინონ ძველი, უბრალო, ბუნებრივი მდგომარეობა, ან გამოიწვიონ ამ ფერების ახალი, მრავალფეროვანი კავშირები. შინაგანად რაც უფრო ერთიანი იქნებიან, მით უფრო სრული და ერთიანი სახით, მით უფრო პიროვნულად შეცურდება მათში ბუნების ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა: რადგანაც აზრის ბუნება შთაბეჭდილების ბუნებას შეესაბამება და ამიტომაც ძველ ადამიანებს ყველაფერი ადამიანურად, ნაცნობად და კეთილგანწყობილად უნდა მოსჩვენებოდათ; ყველაზე უფრო ცინცხალი თავისებურებანი მათ შეხედულებებში უნდა გახილვადებულიყო, მათი ყოველი გამონათქვამი ბუნების ნაკვთი უნდა ყოფილიყო, მათი წარმოდგენები თანხმობაში უნდა ყოფილიყო გარემომცველ სამყაროსთან და ერთგულებით გამოეხატა იგი.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ჩვენი წინაპრების აზრები სამყაროს საგნების შესახებ აუცილებელ წარმონაქმნად, ბუნების მაშინდელი მდგომარეობის თვითგამოსახვად განვიხილოთ. დიახ, ჩვენი შორეული წინაპრები უნდა მივიჩნიოთ სამყაროზე დაკვირვების უმარჯვეს ხელსაწყოებად და მათგან გადავიღოთ ძირითადი მიმართება: სამყაროს მიმართება თავის ბინადართადმი, და ბინადართა მიმართება სამყაროსადმი.

ჩვენ ვხედავთ, რომ მათ ყურადღებას პირველ რიგში ყველაზე უფრო ამაღლებული საგნები იპყრობდნენ, და რომ სამყაროს სასწაულებრივი შენობის გასაღებს ხან უამრავ ნამდვილ საგანში, ხან უცნობი ყოფიერების იმ სახეებში ხედავდნენ, პოეტური სული რომ თხზავდა.

აღსანიშნავია, რომ საერთო წინათგრძნობას* ეს გასაღები თხევად, თხელ, უფორმო მატერიაში ეგულებოდა. ალბათ მყარი სხეულების სიზანტე და უმწეობა იწვევდა რწმენას, რომ ისინი რაღაც სხვაზე დამოკიდებული, დაბალი რანგის ფენომენები იყვნენ.

მაგრამ ადრევე შეეჯახა ერთი მჩხრეკელი გონება* უფორმო მატერიით ფორმების ახსნის სიძნელეს. და იგი გარკვეული ტიპის შეერთებებით შეეცადა კვანძის გახსნას: მან დაიწყო პატარა, მყარი, ფორმირებული სხეულებით, თუმცა, ისინი უმნიშვნელოდ მიაჩნდა. იგი ფიქრობდა, რომ შესძლებდა ამ მტვრის ზღვიდან, — თუმცა არა თანამოღვაწე სულიერი არსებების, მიმზიდველი და საზარელი ძალების დახმარების გარეშე, — უზარმაზარი ნაგებობის აგებას.

ამაზე უფრო ადრეულ ხანაში მეცნიერულ ახსნა-განმარტებათა ნაცვლად ვპოულობთ ზღაპრებსა და ლექსებს, აღსავსეს სურათ-ხატებით, ადამიანებით, ღმერთებითა და ცხოველებით და ვისმენთ სამყაროს წარმოქმნის უბუნებრივეს აღწერას. ვეცნობით მყარ წარმოდგენას მისი შემთხვევითი წარმოშობის შესახებ და ეს წარმოდგენა საკმაოდ მნიშვნელოვანია იმათთვისაც, უწეს-კანონო ფანტაზიის წარმონაქმნებს არავითარ პატივს რომ არ სცემენ. სამყაროს ისტორიის წარმოდგენა ადამიანთა ისტორიად, ყველგან ადამიანური ამბებისა და ურთიერთობების დანახვა, მარადცოცხალ იდეად იქცა, ხელახლა რომ იჩენს ხოლმე თავს სხვადასხვა ეპოქებში ახალ-ახალი სახით და აშკარად ჯაბნის სხვა იდეებს თავისი საოცარი ზემოქმედებით, ადვილად დარწმუნების ძალით.

ბუნების შემთხვევითობაც თითქოსდა თავისთავად ებმის ადამიანის პიროვნების იდეას და ადამიანის არსიც ამით თითქოს უფრო გასაგები ხდება.

ალბათ ამიტომ ექცათ პოეზია უსაყვარლეს ინსტრუმენტად ბუნების ნამდვილ მეგობრებს, და ბუნების სულიც ხომ ყველაზე უფრო ნათლად ლექსებში ცხადდება. როდესაც ჭეშმარიტ ლექსებს ვკითხულობთ და ვისმენთ, ვგრძნობთ, როგორ იძვრის ბუნების შინაგანი გონება, როგორ ლივლივებს როგორც ბუნების ციური სხეული, ერთდროულად მასში და მის ზემოთ.

ბუნების მკვლევარი და პოეტი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ და ამიტომაც ერთ ხალხს ქმნიან. რასაც მკვლევარნი გმთლიანობაში აგროვებდნენ და დიდ, მოწესრიგებულ გროვებად გამოჰფენდნენ, იმას პოეტები ადამიანთა გულებისათვის აუცილებელ ყოველდღიურ საზრდოდ გადაამუშავებდნენ: უკიდეგანო ბუნებას პატარ-პატარა, გულმისასვლელ ნაწილებად ჰყოფდნენ და სახეს აძლევდნენ. თუ პოეტები უფრო თხევადსა და აქროლებადს მიჰყვებოდნენ მსუბუქი გრძნობით, მკვლევარნი ბასრი დანებით სერავდნენ ბუნების სხეულს და მისი შინაგანი აგებულებისა და ნაწილების ურთიერთკავშირს იკვლევდნენ. მათ ხელებქვეშ ბოლო ეღებოდა მეგობარ ბუნებას და მხოლოდ მისი მკვდარი, მოცახცახე ნაშთიღა რჩებოდა. სამაგიეროდ პოეტის სული, როგორც უხილავი ღვინო, ბუნებას კიდევ უფრო ასულიერებდა და ისიც ყველაზე უფრო ღვთაებრივი და აღტაცებული მიგნებებებისკენ მიუძღოდა მათ, იგი მაღლდებოდა მათ ყოველდღიურობაზე, ზეცას წვდებოდა, ცეკვავდა და წინასწარმეტყველებდა, ყოველ სტუმარს სიხარულით ეგებებოდა, და თავის განძეულს უშურველად გასცემდა. ასე ტკბებოდა ბუნება პოეტთან ერთად ზეციური წუთებით და მკვლევარს მხოლოდ მაშინ უხმობდა, როცა ავად იყო და მაშინ ზუსტად პასუხობდა მის შეკითხვებს და სიამოვნებით გამოუხატავდა პატივისცემას სერიოზულ, მკაცრ კაცს*.

მაშასადამე, ვისაც სურს ბუნების ზნესა და ხასიათს გაეცნოს, პოეტთა საზოგადოებას უნდა მიაშუროს, აქ ის მუდამ ღიაა და უშუალოდ გადმოღვრის თავის საოცარ გულს. მაგრამ კაცი, ვისაც ბუნება გულით არ უყვარს და მხოლოდ აღტაცებულია მისი საგნებით, და მხოლოდ გონებით სურს შეიცნოს ისინი, — ბუნების საავადმყოფოს უნდა ეწვიოს, ბეჯითად იაროს სნეულის სანახავად.

ბუნებასთან ისეთივე აუხსნელად მრავალფეროვანი ურთიერთობა გვაქვს, როგორც ადამიანებთან. ბუნება ბავშვს ბავშვურად ევლინება და მის ბავშვურ გულს საამურად ელამუნება, ღმერთს კი — ღვთაებრივად და მის მაღალ სულს უწყობს ხმას.

ვერ იტყვი, ბუნება არსებობსო, ისე, რომ ამით რაღაც ზედმეტი არ სთქვა. ყოველი სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ, რომელიც ბუნების შესახებ ლაპარაკსა და საუბრებში ვლინდება, მხოლოდ განუხრელად გვაშორებს ბუნებას.

უკვე დიდ მონაგებად უნდა ჩათვალოს, თუკი ლტოლვა ბუნების სრული შემეცნებისაკენ მონატრების სიმაღლეზე ავა და ამით გაკეთილშობილდება, თუკი ის ნაზ, მოკრძალებულ მონატრებად იქცევა, რომელიც ბუნების უცხო, ცივ არსს ალმობიერებს და გულმისასვლელს ხდის, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ იმედი აქვს, რომ ოდესმე განდობილი საუბარი შედგება. ჩვენს შინაგანობაში ერთი რაღაც ნაკვთი არსებობს, რომელიც უსასრულოდ ღრმა შუაგულიდან ყოველი მიმართულებით მიემართება და ირგვლივ ვრცელდება. და როცა ჩვენს გარშემო სასწაულებრივი, ხილული და უხილავი ბუნებაა გაშლილი, ასე გვგონია, რომ ის ნაკვთია სწორედ, ბუნება რომ იზიდავს, ის არის ბუნებისადმი ჩვენი სიმპათიის გამოხატულება: ერთი ეს არის, რომ ზოგი მაღლა, ბუნების შორეული, ლაჟვარდოვანი სახების მიღმა სამშობლოსაც ეძებს, რომელსაც ეს სახება უფარავს, ეძებს თავისი სიყმაწვილის შეყვარებულს, მშობლებსა და და-ძმას, ძველ მეგობრებსა და საყვარელი წარსულის ფურცლებს; ზოგი კი ფიქრობს, რომ იქ, მიღმა, უცნობი სიდიადეები ელიან, სიცოცხლით სავსე მომავალი ეგულება ლურჯ სიმაღლეში გადამალული, და მწყურვალი მაღლა იწვდის ხელებს დიდი, ახალი სამყაროსაკენ.

მხოლოდ მცირენი დგანან მშვიდად ბუნების ბრწყინვით გარემოცულნი და ცდილობენ, თავად მას ჩასწვდნენ, და ამოიცნონ იგი თავად მის სისავსესა და კავშირებში, და ამ მრავალფეროვნებაში არც ის მოციმციმე ძაფი დაივიწყონ, რომელიც მწყობრად კრავს ცალკეულ ნაწილებს და ღვთაებრივ ჭაღს ქმნის. და ისინი სულით აღივსებიან ცოცხალი, ღამეული სიღრმეების თავზე მოლივლივე ამ სამკაულის ჭვრეტაში. ასე წარმოიქმნება ბუნებაზე მრავალფეროვანი დაკვირვებები, და თუ ბოლოს ბუნების შეგრძნება მხიარულ მიგნებად, რაღაც ტრაპეზად იქცევა, იქ დავინახავთ, რომ ეს დაკვირვებები ყველაზე უფრო ღვთისმოსავ რელიგიად გადაქცეულან და მთელ ცხოვრებას გეზს, პოზიციასა და მნიშვნელობას ანიჭებენ.

უკვე ბავშვურ ხალხებს შორის არსებობდნენ ისეთი სერიოზული შინაგანი წყობის ადამიანები, რომლებისთვისაც ბუნება ღვთაების სახე იყო, მაშინ როდესაც, სხვები, მხიარული გულის პატრონები მხოლოდ სუფრასთან ლოცულობდნენ ბუნებისადმი; ამათთვის ჰაერი გამახალისებელი სასმელი იყო, ვარსკვლავები — შუქურები, ღამის ცეკვების გასანათებლად; მცენარეები

და ცხოველები მხოლოდ გემრიელი საჭმელი და ასე აღიქვამდნენ ისინი ბუნებას, არა როგორც ჩუმ, სასწაულებრივ ტაძარს, არამედ როგორც მხიარულ სამზარეულოსა და სასადილო დარბაზს. ამათ შორის იყვნენ უფრო აზრიანი სულები, რომლებიც თავიანთ თანამედროვე ბუნებას თანდაყოლილ, დიდ, მაგრამ გაველურებულ მიდრეკილებებს ამჩნევდნენ და დღედაღამ იმით იყვნენ დაკავებულნი, რომ უფრო კეთილშობილი ბუნების ნიმუშები შეექმნათ. — ისინი გუნდურად მონაწილეობდნენ დიდ საქმეში, ერთნი ცდილობდნენ დამუნჯებული და ჩამკვდარი ტონები გაეცოცხლებინათ ჰაერსა და ტყეებში, სხვები უკეთეს მოდგმათა შესახებ საკუთარ წარმოდგენასა თუ წინათგრძნობას სურათებად ტვიფრავდნენ ქვასა და სპილენძში, უფრო ლამაზ კლდეებს აგებდნენ საცხოვრისად, დედამიწის სიღრმეებში დამალული განძეული ისევ მზის სინათლეზე ამოჰქონდათ; ათვინიერებდნენ თავაწყვეტილ მდინარეებს, სახლდებოდნენ არასტუმართმოყვარე ზღვებთან, უდაბურ ადგილებში აბრუნებდნენ ძველ, დიდებულ მცენარეებსა და ცხოველებს, აფერხებდნენ ტყეების მეტისმეტ ზრდას, უვლიდნენ უფრო კეთილშობილ ყვავილებს და მწვანეულს, გულს უჩენდნენ მიწას გამანაყოფიერებელი ნიავებისა და მცხუნვარე ნათლის მისაღებად, ასწავლიდნენ ფერებს წარმტაც გამოსახულებებად ერთმანეთში შერევასა და განლაგებას, და ტყეებსა და მდელოებს, წყაროებსა და კლდეებს კვლავ ერთმანეთთან შეკავშირებას საყვარელ ბაღებად, შთაბერავდნენ ბგერებს ბუნების ცოცხალ ნაწილებს გასაშლელად და ლაღ რხევებში გადასაზრდელად, იშინაურებდნენ საწყალ, მიტოვებულ ნადირებს, ადამიანთა წეს-ჩვეულებათა შეგრძნება რომ შეეძლოთ, და წმენდნენ ტყეებს მავნე ურჩხულებისგან, გადაგვარებული ფანტაზიის ამ უდღეური ნაყოფებისგან.

და ბუნებამაც მალე ისწავლა მეგობრული ქცევის წესები, უფრო ლმობიერი და გამახალისებელი გახდა, და თავადვე ეგებებოდა ადამიანთა მოთხოვნილებებს. თანდათან მისმა გულმა ისევ დაიწყო ადამიანურად ძგერა, მისი ფანტაზიები უფრო გალაღდა, ის კვლავ მისაწვდომი შეიქნა და ხალისით პასუხობდა მეგობრულ შემკითხველს. და, ჩანს, ასე დაბრუნდება ნელნელა ოქროს საუკუნე, როცა ბუნება ადამიანებისთვის მეგობარი, ნუგეშისმცემელი, ქურუმი და სასწაულმოქმედი იყო, როცა ის ადამიანთა შორის ცხოვრობდა და მისი ზეციური მოპყრობა ადამიანებს უკვდავებას ანიჭებდა. და მაშინ ვარსკვლავები კვლავ ეწვევიან მიწას, რომელსაც კუშტად გაუუცხოვდნენ დაბნელების ხანებში; მაშინ ძირს დაუშვებს მზე თავის მკაცრ კვერთხს და კვლავ გახდება ვარსკვლავი ვარსკვლავთა შორის, და მსოფლიოს ყველა მოდგმა დიდი ხნის განშორების შემდეგ კვლავ ერთად შეიყრება. მაშინ გამოჩნდებიან ძველი, დაობლებული ოჯახები, და ყოველდღე იხილავენ ახალ-ახალ მისალმებებს, ახალ მოხვევნებს; მაშინ უკან დაბრუნდებიან დედამიწის ყოფილი ბინადარნი, საფლავის ყოველი ბორცვის წიაღ ფერფლი შეთრთოლდება, ყველგან სიცოცხლე აალდება, ძველი საცხოვრისები აღორძინდება, ძველი დროები გაახლდებიან, ისტორია იქცევა უსასრულო, თვალუწდენელი აწმყოს სიზმრად.

ვინც ამ მოდგმისა და რწმენისაა, და სურს თავისი წვლილიც შეიტანოს ველური ბუნების მოშინაურებაში, ის დღენიადაგ დაიარება ხელოვანთა სახელოსნოებში, უყურადებს პოეზიის ხელოვნებას, საზოგადოების ყველა ფენაში რომ ამოსჩქეფს, არასდროს იღლება ბუნების ჭვრეტითა და მასთან ურთიერთობით, ყველგან მის მინიშნებებსა და მითითებებს მისდევს, არ უკრთის არანაირ მძიმე გზას, თუკი ბუნება ამ გზისკენ უხმობს, გინდაც ის ჭაობსა და შმორში გადიოდეს: მამაცი მაძიებელი ყველგან აღმოაჩენს ენით გამოუთქმელ განძეულს, მაღაროს ლამპა წყნარად ლიცლიცებს ბოლოში და ვინ იცის, მიწისქვეშა სამყაროს მომხიბლავი ბინადარი ქალი რომელ ზეციურ საიდუმლოებებს აზიარებს მას. არავინ დასცილდება ძალიან თავის მიზანს, იმ კაცის გარდა, რომელიც მეტისმეტად დარწმუნებულია, რომ ბუნების უცნაურ სამეფოს უკვე იცნობს, რომ ორიოდ სიტყვით შეუძლია მისი კანონის დადგენა და ყველგან სწორი გზის პოვნა. არც ერთს იმათგან, ვინც მარტოობაში გაიჭრა და თავი კუნძულად იქცია, გონება თავისთავად არ ეხსნება, არც ძალისხმევით და არც უძალისხმევოდ. ეს შეიძლება მხოლოდ ბავშვებს და ბავშვურ არსებებს დაემართოთ, რომლებმაც არ იციან, რას აკეთებენ. ხანგრძლივი, განუხრელი ურთიერთობა ბუნებასთან, მასზე თავისუფალი და შემოქმედებითი დაკვირვება, ყურადღება მისი ჩუმი ნიშნებისა და შტრიხების მიმართ, შინაგანი პოეტური ცხოვრება, გავარჯიშებული აზროვნება, უბრალო და ღვთისმოშიში ზნე, აი, რა თვისებები უნდა გააჩნდეს ბუნების ნამდვილ მკვლევარს, რომელთა გარეშეც მის არცერთ სურვილს აღსრულება არ უწერია. არ უნდა იყოს ბრძნული, გინდოდეს ჩასწვდე და გაიგო ერთი ადამიანური სამყარო მთელი აყვავებული

კაცობრიობის გარეშე. არცერთ გრძნობას არ უნდა ეძინოს და თუ ყველა მაშინვე არ ფხიზლდება, ხომ არც მოდუნებული და დათრგუნული უნდა რჩებოდეს. როგორც მომავალ მხატვარს ვხედავთ ხოლმე იმ ბიჭში, ვინც ყველა კედელს და მოსწორებულ ქვიშრობს ნახატებით ავსებს, და ფერებს ფიგურებად კრავს, ასევე ვხედავთ მომავალ მსოფლიო ბრძენს მასში, რომელიც ყველა ბუნებრივ საგანს აუჩქარებლად იკვლევს, სინჯავს, ყველაფერს ყურადღებას აქცევს, ყველაფერ უცნაურს უფიქრდება და უხარია, როცა ყველა ახალი მოვლენის, ახალი ძალისა და ცოდნის ოსტატი და მფლობელი ხდება.

და აი, ზოგს ეჩვენება, რომ არ ღირს წვალებად, უშიშრად მიადევნო თვალი ბუნების უსასრულო დაშლა-დანაწევრებას, მით უფრო რომ ეს სახიფათო საქმიანობაც გახლავთ: უნაყოფო და გამოუვალი; ისევე როგორც ვერასოდეს იპოვით მყარი სხეულის უმცირეს ნაწილაკს, უუბრალოეს ბოჭკოს, რადგან ყველა სიდიდე წინიდანაც და უკნიდანაც უსასრულობას ერთვის, ასევეა სხეულებისა და ძალების სახეობათა შემთხვევაშიცო, ამბობენ; აქაც უსასრულობაში გარდამავალ ახალ-ახალ სახეობებს, ახალ-ახალ კავშირებს, ახალ-ახალ მოვლენებს გადააწყდებიო. და შემდეგ, ისინი თითქოს თავისთვის წყნარად დგანან, მაშინ როდესაც ჩვენი სიბეჯითე უკვე სულს ღაფავს და ასე ფლანგავენ ძვირფას დროს უსაგნო ჭვრეტა-დაკვირვებებში და მოსაწყენ თვლა-აღრიცხვებში, ვიდრე ეს ყველაფერი ბოლოს ნამდვილი სიგიჟით, შემზარავად ღრმა და მყარი ილუზიებით არ დამთავრდებაო.

და ბუნებაც, რამდენი ხანიც არ უნდა არსებობდს, მუდამ სიკვდილის საზარელ წისქვილად დარჩება: ყველგან თავზარდამცემად ჭარბი მოძრაობა, რყევები და გადატრიალებანი; განუხრელი კორიანტელი, შთანთქმისა და თქვლეფის საუფლო, შეშლილი თავზეხელაღებულობა, უბედურების მშობი უზომობა; თითო-ოროლა ნათელი პუნქტი თუ ანათებს კიდევ უფრო საზარელ ღამეს, ათასნაირი შიში ადამბლავებს ბუნების მკვლევართ და ყველანაირ გრძნობას უკლავსო.

და მხსნელად სიკვდილიღა უდგას გვერდით კაცთა ბედკრულ მოდგმას, რადგან სიკვდილის გარეშე ყველაზე უფრო შეშლილი ყველაზე ბედნიერი იქნებოდაო; და სწორედ ეს სწრაფვა ინსტინქტების ამ უზარმაზარი საამქროს კვლევისა და მისი კანონების დადგენისაკენ უნდა ჩაითვალოს იმ სიღრმეში გადადგმულ პირველ ნაბიჯად, რომელიც სიგიჟის დასაწყისს წარმოადგენს: რადგან ბუნების საუფლო მზარდი კორიანტელია, რომელიც მალევე დაიპყრობს უბედური მკვლევარის გონებას, და საბოლოოდ ჩაითრევს და შთანთქავს კიდეც შიშებით მოთუხთუხე თავისი ღამით. აქ არის დაგებული ვერაგი ხაფანგი ადამიანის გონებისათვის, რომელსაც მუდამ დაეძებს ბუნება გასანადგურებლად, რადგან თავის უდიდეს მტრად მიაჩნია იგი. დიდება ბავშვურ უმეცრებას და იმ ადამიანთა უცოდველობას, რომელთაც ბუნება არ აგრძნობინებს შემზარავ საფრთხეებს, ტყვიისფერი ღრუბლებივით რომ დაკიდებულან ყველგან მშვიდობიან საცხოვრისთა თავზე და ჩამომხობით იმუქრებიანო; დღემდე ადამიანები მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ ბუნების ძალებს ერთიანობა არ ახასიათებთ, მაგრამ ვერც იმ წუთს გამოვრიცხავთ, როდესაც ადამიანთა ერთობამ შეიძლება დიდი საზოგადოებრივი გადაწყვეტილება მიიღოს და ამ საცოდავი მდგომარეობიდან, ამ შემზარავი საპყრობილიდან თავის დაღწევას შეეცადოს; ძალები მოიკრიფოს თავის ძველ სამფლობელოებზე უარის სათქმელად და ამით თავისი მოდგმა საბოლოოდ გაათავისუფლოს ამ უბედურებისაგან, რათა უფრო ბედნიერ სამყაროში, მოხუც მამასთან აპოვნინოს შვება და ხსნა. ასე ხომ ისინი ღირსეულად გაასრულებენ თავიანთ სიცოცხლეს, და თავიდან აირიდებდნენ გარდაუვალ, ნაძალადევ ამოწყვეტას, ან, რაც კიდევ უფრო შემზარავია, — გადაგვარებას მხეცებად, აზროვნების ორგანოთა თანდათან დაჩლუნგების, სიგიჟის შედეგად. ბუნების ძალებთან, ცხოველებთან, მცენარეებთან, კლდეებთან, ქარიშხლებთან და ზვირთებთან ურთიერთობა აუცილებლად დაამსგავსებს ადამიანებს ბუნების ამ საგნებს, და ეს დამსგავსება, გარდაქმნა და განზავება ღვთაებრივისა და ადამიანურისა სამყაროს შეუბოჭავ ძალებში არის სწორედ ბუნების სული, მისი ეს შემზარავი, მშთანთქმელი ძალაო: და განა ყველაფერი, რასაც ვხედავთ, უკვე ცისგან წაგლეჯილი ნაძარცვი არ არის, ყოფილი დიდების დიდი ნანგრევი, შემზარავი ტრაპეზის ნარჩენებიო?

„ოღონდაც“ — ამბობენ უფრო მამაცები — „მაგრამ დააცადეთ ჩვენს მოდგმას, გაუჩაღოს ამ ბუნებას კარგად მოფიქრებული, გამანადგურებელი ომი. შემპარავი შხამებით უნდა მოვდრიკოთ იგი და დავიყოლიოთ. ბუნების მკვლევარი კეთილშობილი გმირია, რომელიც ღია უფსკრულში ვარდება თანამოქალაქეთა გადასარჩენად. ხელოვანებმა მას უკვე მიანიჭეს ზოგი იდუმ-

ალი შტრიხი. ასე რომ, წადით წინ, მოიხელთეთ ფარული ძაფი, თქვენდა სასიამოდ, ისარგებლეთ ბუნების შინაგანი კონფლიქტით,* რათა ის, ცეცხლისმფრქვეველი ხარივით, თქვენი ნება-სურვილით მართოთ. უნდა დაიქვემდებაროთ და დაიმორჩილოთ იგი. მოთმინება და რწმენა მართებთ ადამიანებს. შორეულ ძმებსაც იგივე მიზანი აერთიანებთ ჩვენთან: ვარსკვლავთა ბორბალი* ჩვენს ჯარად იქცევა, და მერე შევძლებთ კიდეც ჩვენი შრომით ახალი ჯინისტანის* აგებას. და შინაგანი ტრიუმფით მივადევნებთ თვალს ბუნების განადგურებას, მის ალიაქოთს, მან თავად უნდა მოგვყიდოს თავი, და ყოველი ძალადობა მწარე სინანულად უნდა ექცეს. დე, ჩვენი თავისუფლების აღტაცებულ განცდებში ვიცოცხლოთ და დავიხოცოთ, აქ ამოსჩქეფს ნაკადი, რომელიც ერთხელაც ადიდდება და ბუნებას გადაფარავს. გადაფარავს და მოათვინიერებს. დე, ამ ნაკადში განვიბანოთ და საგმირო საქმეებისათვის ახალი შემართებით გავხალისდეთ. და მაშინ უკვე ვეღარ მოგვწვდება ბუნება-ურჩხულის გააფთრება, ჩვენი თავისუფლების ერთი წვეთიც საკმარისი იქნება მის სამუდამოდ დასათრგუნად და მისი თარეშის ასალაგმად“.

„მართალი ბრძანებაა“ — ამბობს რამდენიმე ადამიანი ერთად; „ან აქ იმალება ავგაროზი, ან არსად. ჩვენ თავისუფლების სათავესთან ვსხედვართ და გაფაციცებულ თვალთვალად ვართ ქცეულნი. ეს სათავე დიდი ჯადოსნური სარკეა, რომელშიც წმიდად და მკაფიოდ ცხადდება მთელი საქმე, მასში ბანაობენ ნაზი სულები და ბუნების ყველა საგნის გამოსახულებანი, და მასში ყველა საგანძურს გაღებულს ვხედავთ. რაში გვჭირდება ხილული საგნების დაღვრემილ და მღვრიე სამყაროში ვაი-ვაგლახით სიარული? უფრო წმიდა სამყარო ხომ თავად ჩვენშია, ამ სათავეში! აქ ცხადდება დიდი, ჭრელი, ქაოსური სანახაობის ჭეშმარიტი აზრი. და როცა ასეთი მზერით შევდივართ ბუნებაში, იქ ყველაფერი გვეცნობა, და დანამდვილებით ვცნობთ მის ყოველ სახებას. სულაც არ გვჭირდება ბუნების ხანგრძლივი შესწავლა. მსუბუქი შედარება, რამდენიმე შტრიხი ქვიშისა საკმარისია, რომ ის გავიგოთ. ასე, ჩვენთვის ყველაფერი ერთი დიდი დამწერლობაა, რომლის გასაღებიც ხელთ გვიპყრია, და აღარაფერი შეგვემთხვევა მოულოდნელად, რადგან წინასწარ ვიცით დიადი პირველქმნილების სვლები. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია მთელი არსებით ბუნების განცდა, ბუნებით ტკბობა, რადგან ის გონებას ვერ გვაკარგვინებს და გრძნობებს ვერ გვირევს, რადგან ჩვენ სიცხიანი ზმანებები კი არ გვაშინებენ, არამედ ნათელი სიფხიზლე გვანიჭებს ნამდვილ სიმშვიდესა და დაცულობას.

„სხვები მცდარად განსჯიან“ — ეუბნება მათ ერთი სერიოზული კაცი. „ნუთუ ისინი ბუნებაში თავიანთსავე ანარეკლს ვერ ხედავენ? ისინი თავად შთანთქავენ საკუთარ თავს ველურ უაზრობაში. მათ არ იციან, რომ მათი ბუნება მათივე ფიქრების თამაშია, მათი სიზმრების ხრიოკი ფანტაზიაა. დიახ, ბუნება მათთვის მართლაც შემზარავი მხეცია, მათი ჟინისა და ნდომების უცნაური, ავანტიურისტული ნიღაბი. ფხიზელი ადამიანი კი ძრწოლის გარეშე უყურებს თავისი, წესებგარეშე მოქმედი წარმოსახვის ნაყოფს, რადგან იცის, რომ ეს ყველაფერი მისივე სისუსტის უბადრუკი მოჩვენებებია. ის სამყაროს პატრონად გრძნობს თავს. მისი მე ძალუმად დალივლივებს ამ უფსკრულის თავზე და მარადიულად ასე ილივლივებს ამ უსასრულო ცვლილებათა ზემოთ. მის შინაგანობას სწყურია, ყველას ამცნოს, ყველას აუწყოს ჰარმონიის შესახებ, სამყაროსთან რომ დაამყარა. ის სულ, მთელი სიცოცხლის მანძილზე, მარადისობაშიც კი უფრო და უფრო მეტ ერთიანობას მოიპოვებს საკუთარ თავთან და თავის სამყაროსთან, და ყოველი ნაბიჯით სულ უფრო მეტად დაინახავს, როგორ იწევს წინ მაღალი, ზნეობრივი მსოფლიო წესრიგის საყოველთაო ზემოქმედება, მისი მეს ციხესიმაგრე.

სამყაროს აზრი გონებაა: მისი გულისთვის არსებობს იგი. და თუ სამყარო თავიდან ბავშვური, ამომავალი გონების ასპარეზია, ოდესმე იგი მისი გაშლილი ქმედების ღვთაებრივ სურათად, ნამდვილი ეკლესიის მოედნად იქცევა. მანამდე კი პატივი უნდა სცეს მას ადამიანმა, როგორც თავისი სულის სიმბოლოს, რომელიც მასთან ერთად საფეხურებრივ კეთილშობილდება. მაშასადამე, ვისაც სურს ბუნების შემეცნებას მიაღწიოს, ზნეობრივი გრძნობა უნდა განივითაროს, თავისი შინაგანობის კეთილშობილი ბირთვის შესაბამისად უნდა იმოქმედოს, და ბუნება თავისთავად გაიხსნება მის წინაშე. ზნეობრივი საქციელი არის ის დიდი და ერთადერთი ქმედება, რომელშიც უმრავალფეროვანეს მოვლენათა ყველა საიდუმლო ერთმანეთში გაჯერდება. ვისაც ეს ესმის, და თავის მკაცრ აზროვნებას ზნეობრივ პრინციპს დაუქვემდებარებს, ბუნების მარადიულ ოსტატად იქცევა.“

მოწაფე შემკრთალი უგდებს ყურს ამ ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმებს. ეჩვენება რომ

თითოეული მათგანი მართალია, და უცნაური შფოთი უწრიალებს სულს. თანდათანობით შინაგანი ქაოსი ცხრება, და მღვრიე, ერთმანეთს მიმწყდარი ზვირთების თავზე თითქოს ნელა ამოლივლივდება მშვიდობის სული, რომლის შემოვანებაც ჭაბუკის გულში ახალ შემართებასა და სილაღეს გამოიხმობს.

ერთმა ხალისიანმა თანატოლმა, რომელსაც სურო და ვარდები უმკობდნენ საფეთქლებს, ხტუნვა-ხტუნვით მიირბინა მასთან და, როდესაც მხრებჩამოყრილი დაინახა, შესძახა: „აი, შე ჩხირკედელა! ეს რა მცდარ გზაზე ამოგიყვია თავი! მანდ ნამდვილად ვერ მიაღწევ დიდ წარმატებებს. ყველგან და ყოველთვის საუკეთესო რამ კარგი გუნება-განწყობაა! ნამდვილად ეს არის თავად ბუნების მდგომარეობაც! ჯერ ახალგაზრდა ხარ და ნუთუ ვერ გრძნობ ყველა ძარღვით ახალგაზრდობას? განა სიყვარული და მონატრება არ გივსებს მკერდს? რანაირად შეგიძლია მარტოდმარტო იჯდე? განა ბუნება მარტო ზის? მარტოსულს სიხარული და სურვილი გაურბის, და სურვილის გარეშე რას გარგებს ბუნება? მხოლოდ ადამიანთა შორის ჰპოვებ მშობლიურ სიახლოვეს! სული, რომელიც ათასფეროვნად შეიჭრება შენს ყველა გრძნობაში, უხილავი სატრფოსავით შემოგხვევია, ჩვენს დღესასწაულებზე ხმას იღებს, ზემოთ ზის და სიხარულით სავსე სიცოცხლეს უმღერის. შენ ჯერ არ იცი, რა არის სიყვარული, საწყალო! პირველი კოცნა ახალ სამყაროს ამოგიმზევებს, და მასთან ერთად ათასი სხივით შემოიფრქვევა სიცოცხლე შენს აღტაცებულ გულში. ერთი ზღაპარი მინდა მოგიყვე, მისმინე:

„ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ დასავლეთის ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა კაცი. კარგი ადამიანი იყო, მაგრამ ზღვარგადასულად უცნაური. ერთთავად წუხდა და იქუფრებოდა, მიზეზი კი არაფერი უჩანდა. მუდამ გარინდებული დაიარებოდა, მარტო ჩამოჯდებოდა ხოლმე სადმე, როდესაც სხვები მხიარულად თამაშობდნენ, და უცნაური საგნები იზიდავდა. მღვიმეებსა და ტყეებში ყოფნას არაფერი ერჩია, და თან გამუდმებით ცხოველებსა და ჩიტებს, ხეებსა და კლდეებს ელაპარაკებოდა. ჭკვიანური რა უნდა ეთქვა, წმინდაწყლის სისულელეებს აფრქვევდა და ვინმეს ყური რომ მოეკრა, გვარიანად იჯერებდა სიცილით გულს. მაგრამ თავად რა გააცინებდა! სახე ჩამოსტიროდა და მეტისმეტი სერიოზულობა არასდროს სტოვებდა, თუმცა, პატარა ციყვი, მაიმუნი, თუთიყუში და კაჭკაჭი რაღას არ აკეთებდნენ მის გასართობად და სწორ გზაზე დასაყენებლად. ბატი ზღაპრებს უყვებოდა, იმ ზღაპარსა და ზღაპარს შორის, ნაკადული ბალადას რაკრაკებდა დიდი, სქელი ლოდი სასაცილოდ დაკუნტრუშებდა, ვარდი მეგობრულად ეპარებოდა ზურგიდან, კულულებში უძვრებოდა და სურო ზრუნვით დამძიმებულ შუბლზე ეფერებოდა. მაგრამ მის ხვაშიადსა და სერიოზულობას ნირს ვერაფერი უცვლიდა.

გულშემოყრილმა დედ-მამამ აღარ იცოდა, რა ექნა. ბიჭი არაფერს იტკიებდა, მშობლებს არასდროს არაფერი უწყენინებიათ, თვითონაც ბოლო ორ წლამდე მხიარული და ხალისიანი ზნით გამოირჩეოდა, თამაშებში პირველობას არავის უთმობდა და გოგონებიც თვალს არ აშორებდნენ ხოლმე. თან იშვიათი სილამაზის პატრონიც გახლდათ და ყველაფერთან ერთად გასაოცრად ცეკვავდა კიდეც.

გოგონებს შორის იყო ერთი — უსაყვარლესი, კალმით ნახატი ბავშვი, ცვილისგან ჩამოქნილს ჰგავდა, თმა ოქროსფერი აბრეშუმივით ულივლივებდა, ტუჩები მწიფე ალუბლებივით უღვიოდა, გიშერივით შავი თვალები ჰქონდა და დედოფალასავით ტანკენარი იყო. მის შემხედვარეს შეიძლებოდა სიკვდილი ენატრა, ისეთი ძალა ჰქონდა მის სილამაზეს. ჰოდა, როზენბლუტს, ასე ერქვა გოგონას, გული შევარდნოდა იაკინთზე, ასე ერქვა ვაჟს. იაკინთიც სამუდამოდ დაეპყრო მისდამი სიყვარულს.

სხვა ბავშვები ბაიბურშიც არ იყვნენ. იამ გაანდო მათ ეს ამბავი. როგორც ჩანს, შეყვარებულების კატებმა შეამჩნიეს პირველად, მათი სახლები ახლო-ახლო იდგნენ ერთმანეთთან. როცა ღამღამობით იაკინთი თავის ფანჯარასთან აისვეტებოდა ხოლმე და როზენბლუტი თავისთან, თაგვებზე სანადიროდ გამოსულ კატებს, მათი სახლების წინ რომ მირბი-მორბოდნენ, ეს ამბავი სასაცილოდ არა ჰყოფნიდათ! ისეთი ხმამაღალი ხითხითი აუტყდებოდათ ხოლმე, რომ შეყვარებულების ყურამდე აღწევდა და მათ ძალიან აბრაზებდა. იამ ჩურჩულით უამბო ყველაფერი მოცხარს და ისიც ჩხვლეტას აღარ დაერიდა, როცა იაკინთმა გვერდით ჩაუარა. ასე მოედო ეს ამბავი მთელ ბაღს და მთელ ტყეს და როცა იაკინთი გარეთ გამოდიოდა, ყოველი მხრიდან გაის-

მოდა: „როზენბლუტი ჩემი გული!“ იაკინთი ჯერ მართლა გაბრაზდა , მაგრამ მერე გულიანი სიცილი აუტყდა, როცა ხვლიკი მოცუხცუხდა, თბილ ქვაზე წამოსკუპდა, კუდის ტრიალს მოჰყვა და სიმღერა ააყოლა:

როზენბლუტი, საყვარელი გოგონა,
რაღაც უცებ შეიცვალა ერთობ,
ახლა დედა იაკინთი ჰგონია,
და კისერზე ეკიდება ხოლმე.

შეამჩნიოს გინდაც ვინმე უცხომ,
დაიჯერეთ, არაფრად არ აგდებს,
მოეხვევა თავის შეყვარებულს
და კოცნებით დაუფარავს სახეს.

მაგრამ, ეჰ! რა მალე დასრულდა ეს ბედნიერება!

ერთხელაც იმ მხარეში ერთი ყარიბი გამოჩნდა, უცხო ქვეყნებიდან მოდიოდა, განსაცვიფრებლად ბევრი ეხეტიალა, გრძელი წვერი დასთრევდა, ღრმა თვალები და შემზარავი წარბები ჰქონდა, უცნაურზე უცნაური, ნაოჭებაყრილი კაბა ემოსა, რომელსაც რაღაც გაუგებარი ფიგურები ჰქონდა ჩაქსოვილი. ის იაკინთის მშობლების სახლთან ჩამოჯდა. ბიჭი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, უცნობს გვერდით მიუჯდა და სახლიდან გამოტანილი პური და ღვინო მიაწოდა. მან კი თეთრი წვერი შუაზე გადაიყო და თხრობას შეუდგა. შუაღამემდე ჰყვებოდა, იაკინთი გაფაციცებით უგდებდა ყურს, არც იღლებოდა და არც ძილი ერეოდა. როგორც მერე შეიტყვეს, ყარიბი უცხო ქვეყნებზე, უცნობ მხარეებზე, საკვირველ საგნებზე ჰყვებოდა თურმე. სამი დღე დარჩა, ამ ხნის მანძილზე იაკინთთან ერთად ხშირად ძვრებოდა ღრმა მაღაროებში. როზენბლუტი ქოქოლას აყრიდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა ამ ბებერ ჯადოქარს, რადგან ხედავდა, როგორ მონუსხულიყო იაკინთი მისი ლაპარაკით, ამქვეყნად აღარაფერი ახსოვდა, თითო ლუკმას ძლივსღა ჩაიდებდა ხოლმე პირში. ბოლოს და ბოლოს უცნაურმა სტუმარმა გუდა-ნაბადი აიკრა და გზას გაუდგა, მაგრამ იაკინთს ერთი პატარა წიგნი დაუტოვა, რომლის წაკითხვაც არავის შეეძლო, მან კი ხილი, პური და ღვინო გაატანა საგზლად, და კარგ მანძილზეც გააცილა. შემდეგ კი ღრმად ჩაფიქრებული დაბრუნდა და სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყო. და როზენბლუტი მართლა შესაბრალი გახდა, რადგან იაკინთი თითქმის არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა და სულ თავისთვის უნდოდა ყოფნა. და აი, ერთ დღესაც საიდანღაც შინ დაბრუნდა და ისეთი იყო, თითქოს ეს-ეს არის დაიბადაო. მშობლებს კისერზე ჩამოეკიდა და აქვითინდა. „უნდა წავიდე, უცხო ქვეყნებს მივაშურო, ტყეში მოხუცმა, უცნაურმა ქალმა მიამბო, როგორ უნდა მოვიპოვო ჯანმრთელობა. ის წიგნი ცეცხლში შემიგდო, და თქვენსკენ გამომამწესა, სთხოვე შენს მშობლებს, დაგლოცონო. შეიძლება მალე დავბრუნდე, შეიძლება აღარასოდეს, მომიკითხეთ როზენბლუტი. სიამოვნებით დაველაპარაკებოდი, მაგრამ არ ვიცი, რა მემართება. როდესაც ძველ დროებზე ვფიქრობ, უმძლავრესი აზრები აზვირთდებიან ხოლმე, სიმშვიდე დამეკარგა, გული და სიყვარულიც თან მიჰყვა, უნდა წავიდე და ისევ ვიპოვო. გეტყოდით, სად მივდივარ, მაგრამ მე თვითონ არ ვიცი, იქ უნდა მივიდე, სადაც საგანთა დედა — რიდეჩამოფარებული ქალწული ცხოვრობს. მისკენ გიზგიზებს ჩემი სული. კარგად იყავით“. სახლიდან გაიჭრა და წავიდა. მშობლები მოთქვამდნენ, როზენბლუტი თავის ოთახში ჩაიკეტა და მწარედ ატირდა. იაკინთი კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარბოდა. მირბოდა დაბლობებზე და ტყეებში, გადადიოდა მთებზე და მიტოპავდა მდინარეებში. ასე უახლოვდებოდა საიდუმლო ქვეყანას. გზაში ყველგან იმას კითხულობდა, წმიდათაწმიდა ქალღმერთს (იზიდას) როგორ მივაგნოო. ეკითხებოდა ცხოველებს, კლდეებს და ხეებს. ზოგი იცინოდა, ზოგი დუმდა, ვერავისგან იღებდა ზუსტ პასუხს.

თავიდან ერთ უხეშ, ველურ ქვეყანას მიადგა, ყოველ წუთს ნისლი და ღრუბლები ჩამოემხობოდნენ ხოლმე გზაზე, ქარიშხალიც მძვინვარებდა და გზას უღობავდა. შემდეგ თვალუწვდენ უდაბნოში ამოყო თავი და ცხელ, მოელვარე მტვერში გაეხვა. რაც უფრო დიდხანს მიეხეტებოდა, მით უფრო მეტად ეცვლებოდა სული. ახლა დრო სულ უფრო მატულობდა მისთვის და შინაგანი მოუსვენრობაც თანდათან დაუცხრა. უფრო ლმობიერდებოდა და მძაფრმა ლტოლ-

ვამ მასში ადგილი დაუთმო ჩუმ, მაგრამ ძლიერ მოძრაობას, რომელშიც მთელი მისი შინაგანობა ლღვებოდა.

მრავალი წელი მოიტოვა უკან. და აი, ბუნება ისევ მდიდრული და მრავალფეროვანი, ჰაერი ლბილი და ცისფერი გახდა, გზები გასწორდა, მწვანე ბუჩქები საამური ჩრდილებით იზიდავდნენ, მაგრამ მათი ენა არ ესმოდა, არც ჩანდა, თუ მათ ლაპარაკი შეეძლოთ, თუმცა, მასაც უვსებდნენ სულს მწვანე ფერებითა და თავიანთი გრილი, ჩუმი არსით.

იაკინთის გულში სულ უფრო ძლიერდებოდა ის ძველი, ტკბილი ნახვისნატვრა და სულ უფრო განიერი და წვნიანი ხდებოდნენ ხეთა ფოთლები. სულ უფრო ხმამაღლა და მხიარულად სტვენდნენ ჩიტები, სულ უფრო ხალისიანად დახტოდნენ ცხოველებიც, ხილი სულ უფრო ნუგბარი ხდებოდა, ცა სულ უფრო ლურჯი, ჰაერი სულ უფრო თბილი და მისი სიყვარული სულ უფრო მხურვალე. დროც სულ უფრო სწრაფად გადიოდა, თითქოს უკვე მიზანს მიუახლოვდაო.

ერთ დღესაც ბროლივით წყაროს და მის ირგვლივ უამრავ ფერად-ფერად ყვავილს მიადგა, რომლებიც შავ, ცამდე აზიდულ სვეტებს შორის ქვემოთ, დაბლობისკენ ეშვებოდნენ. ისინი ნაცნობი სიტყვებით მიესალმნენ ახალგაზრდა ყარიბს. „საყვარელო ჩვენებურებო, — მიმართა მან, — სად ვიპოვი იზიდას წმიდა სამყოფელს? სადღაც აქ უნდა იყოს, და თქვენ ხომ აქაურობა ჩემზე უკეთ გეცოდინებათ!“ — „ჩვენც გავლითა ვართ აქ. სულების ერთი ოჯახი მოგზაურობს და ჩვენ გზასა და ბინას ვუმზადებთ. ცოტა ხნის წინ ერთი მხარე გამოვიარეთ და ეგ სახელი იქ გავიგონეთ. ზემოთ ადი, საიდანაც ჩვენ ჩამოვედით, და მეტს გაიგებ“. ყვავილები და წყარო ღიმილს ვერ იკავებდნენ, როცა ამას ამბობდნენ, იაკინთს წყალი შესთავაზეს და გზა განაგრძეს. ბიჭი მათი რჩევას მიჰყვა, კითხვა-კითხვით მიიკვლევდა გზას და ბოლოს და ბოლოს ამდენ ხანს ნაძებნ საცხოვრისს მიადგა, პალმებისა და სხვა ძვირფასი მცენარეების ტევრში რომ ჩამალულიყო. ენით აღუწერელმა, უსასრულო მონატრებამ გული აუჩქროლა, რაღაც ტკბილმა ძრწოლამ გამსჭვალა მარადიული წელიწადის დროთა ამ სამყოფელში. ზეციურ სურნელებებში ჩაეძინა, რადგან წმიდათაწმიდაში შეყვანა მხოლოდ სიზმარს შეეძლო. გასაოცრად მიჰყავდა იგი სიზმარს უსასრულო დარბაზების გავლით, რომლებშიც უცნაური ამბები ხდებოდა ხმამაღალი, მომნუსხველი ჰანგებისა და ცვალებადი აკორდების თანხლებით. ყველაფერი ნაცნობი ეჩვენებოდა, მაგრამ ახლა ის ყველაფერი არნახულად დიდებული იყო. აი, უკანასკნელი მიწიერი ამაღლება, შემდეგ თითქოს ჰაერში განზავება და ის ზეციერი ქალწულის წინაშე იდგა. და მან ასწია მსუბუქი, მბრწყინავი რიდე და... პატარა როზენბლუტი მის მკლავებში ჩაეცა. შორეული მუსიკა გარს ევლებოდა სიყვარულის, შეყვარებულთა ხელახლა შეხვედრის საიდუმლოს, მათი გულებიდან გადმოღვრილ მონატრებას, და ამ აღმაფრთოვანებელი ადგილიდან ყველაფერ უცხოს შორს მიილეკავდა. ამის შემდეგ იაკინთმა კიდევ დიდხანს იცხოვრა როზენბლუტთან, თავის მშობლებთან და მეგობრებთან ერთად და მისი ურიცხვი შვილიშვილი მუდამ მადლობას სწირავდა იმ მოხუც, უცნაურ ქალს მისი რჩევისა და ცეცხლისათვის; რადგან მაშინ ადამიანებს იმდენი შვილი ჰყავდათ, რამდენიც უნდოდათ“. — მოწაფეები ერთმანეთს გადაეხვივნენ და მერე წავიდნენ.

ვრცელ, ცარიელ და ნათელ დარბაზებში ბუნების ათასგვარი საგანი გარკვეული წესრიგით დაელაგებინათ და გამოეფინათ. მათ შორის უამრავ სხვადასხვა ენაზე მიმდინარეობდა საუბარი და დარბაზში ექოებად ვრცელდებოდა. მათი შინაგანი ძალები ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშობდნენ. ისინი თავიანთი ძველი თავისუფლებისკენ მიიწევდნენ, იმ ადრინდელ ურთიერთობებში სურდათ დაბრუნება. მათგან ცოტანი იდგნენ თავიანთ ნამდვილ ადგილას და თვალს მშვიდად ადევნებდნენ მათ ირგვლივ გაჩაღებულ ათასსასახოვან ორომტრიალს. სხვები საშინელი ტკივილებისა და ტანჯვის გამო მოთქვამდნენ და ძველ ცხოვრებას მისტიროდნენ ბუნების წიაღში, სადაც მათ საერთო თავისუფლება აერთიანებათ, და თითოეული იმას იღებდა, რაც სურდა.

„ო, ადამიანს ბუნების შინაგანი მუსიკა რომ ესმოდეს და გარეგანი ჰარმონიის შეგრძნება გააჩნდეს! მაგრამ მან არც კი იცის, რომ ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით, და უერთმანეთოდ არსებობა არ შეგვიძლია. მას არ შეუძლია საგნები თავთავიანთ ადგილას მოასვენოს, ტირანულად გვთიშავს ერთმანეთისაგან და წმინდა წყლის დისონანსებში გვატრიალებს.

რა ბედნიერი შეეძლო ყოფილიყო, მეგობრულად რომ მოგვქცეოდა, და ჩვენს დიდ კავშირ-

შიც შემოსულიყო, როგორც ოდესღაც, ოქროს ხანაში, რომელსაც სამართლიანად უწოდებს ამ სახელს. იმხანად მას ჩვენი ესმოდა, როგორც ჩვენ გვესმოდა მისი.

ხარბმა სურვილმა, ღმერთი გამხდარიყო, ჩამოგვაშორა; ისეთ რამეს ეძებს, რაც ჩვენ არ ვიცით, რასაც ვერ ვგრძნობთ; მას აქეთ ის აღარ არის ჩვენი თანმხლები ხმა და მოძრაობა.

ჩვენში ის უსასრულო სიამოვნებისა და ტკბობის წყაროს პოულობს, ამიტომ ზოგიერთი ჩვენგანი გასაოცრად უყვარს. მაგალითად, ოქროს ჯადო, ფერების საიდმლოებები, წყლის სიხარულები მისთვის უცხო არ არის; ანტიკურობაში ქვათა საწაულებრივ თვისებებს წინათგრძნობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალიან აკლია ნეტარი სიყვარული ბუნებისადმი, როგორც მქსოველისადმი, აკლია ჩვენი აღტაცებული მისტერიების დამნახველი თვალი. ნეტავ ოდესმე ისწავლის გრძნობას? ამ ზეციური, ამ უბუნებრივესი უნარისა ჯერჯერობით ცოტა რამ თუ გაეგება: არადა, სწორედ გრძნობის საშუალებით თუ დაბრუნდება ძველი, ნანატრი ჟამი. გრძნობის სტიქია — ეს არის შინაგანი სინათლე, რომელიც უფრო ლამაზ, უფრო ძლიერ ფერებად გარდატყდება. მაშინ ვარსკვლავეთი თავად მასში ამოდიოდა, ის სწავლობდა მთელი სამყაროს შეგრძნებას, სულ უფრო ცხადად და მრავალფეროვნად, ახლა მას მხოლოდ საზღვრებში, მიჯნებსა და სიბრტყეებში რომ აღიქვამს. გრძობის წყალობით იგი გახდებოდა უსასრულო თამაშის დიდოსტატი და ყველა უგუნურ სწრაფვას დაივიწყებდა მარადიულ, თავისი თავის მასაზრდოებელ და მარად მზარდ ნეტარებაში. აზროვნება მხოლოდ გრძნობის სიზმარი და ლანდია, ამომშრალი, ჩამკვდარი გრძნობა, ნაცრისფერი, ძაბუნი სიცოცხლე.“

ასე რომ ლაპარაკობდნენ, მზემ შემოანათა კიდეც მაღალი ფანჯრებიდან და საუბრის ხმები ლბილ ზუზუნში ჩაიკარგა. ყველა სხეული უსასრულო წინათგრძნობამ გამსჭვალა, საყვარელი სითბო გადაეღვარა ყველას და უღრმესი სიჩუმიდან ბუნების სასწაულებრივი გალობა ამოიზარდა. სადღაც ახლოს ადამიანთა ხმები გაისმა, ბაღში გამავალი დიდი ორფრთიანი კარი გაიღო, და რამდენიმე მოგზაური განიერი კიბის საფეხურებზე, შენობის ჩრდილში ჩამოჯდა. განსაცვიფრებლად განათებული, წარმტაცი ბუნება გადაშლილიყო მათ თვალწინ და მათი მზერა შორს, ლურჯი მთიანეთის თავზე, სიმაღლეში იკარგებოდა. მეგობრულ ბავშვებს ათასნაირი საჭმელსასმელი მოჰქონდათ და მალე მათ შორის ცოცხალი საუბარი გაიმართა.

„ადამიანმა ყველაფერს, რასაც კი აკეთებს, ან რის გაკეთებასაც განიზრახავს, მთელი თავისი, *დაუნაწევრებელი* ყურადღება ანუ თავისი მე უნდა დაუთმოს“ — წარმოთქვა ბოლოს ერთმა, — „და როცა ამას გააკეთებს, მალე წარმოიშვება გრძნობები, ან აღქმის ახალი სახეობა, რომელმაც შეიძლება იმ ფანქრის ნაზი მოძრაობები მოგაგონოს, რომელიც ხან აფერადებს, ხან კაკუნით წინწკლავს, ან შეიძლება დაღვრილი სითხის უცნაური კონფიგურაციებიც გაგახსენოს და გაგიკვირდეს, თუ რა საოცრად არსებობს ეს შენში. ეს გრძნობები იმ მომენტიდან ვრცელდებიან ყოველი მიმართულებით, როცა ადამიანი თავის შთაბეჭდილებას მყარად დააფიქსირებს, — ვრცელდებიან საოცრად ცოცხლად და მისი მეც თან მიაქვთ. მას შეუძლია ეს თამაში კვლავ გაანადგუროს, იმით რომ თავისი ყურადღება ისევ დაანაწილოს ან თვითნებურად ასრიალოს აქეთ-იქით, რადგან ის გრძნობები სხვას არაფერს წააგვანან სხივებისა და მათი თამაშის გარდა, რომელთაც ის *მე* ყველა მიმართულებით აღძრავს იმ ელასტიურ მედიუმში, ანდა ეს თავად მე-ს გარდატეხებია ამ მედიუმში, ანდა საერთოდ ამ ზღვის ტალღების უცნაური თამაშია გახევებულ ყურადღებასთან. უკიდურესად უცნაურია, რომ ადამიანი პირველად მხოლოდ ამ თამაშში შეიცნობს ნამდვილად თავის თავისებურებას, თავის განსაკუთრებულობას, თავის სპეციფიკურ თავისუფლებას; რომ მას ეჩვენება, თითქოს ღრმა ძილიდან გამოიღვიძა, თითქოს პირველად მხოლოდ ახლა იგრძნო თავი შინ ამ სამყაროში და პირველად მხოლოდ ახლა მოეფინა მის შინაგანობას დღის სინათლე. და ის თავის დიდ მონაპოვრად თვლის, თუკი იმ თამაშის თანადროულად და არა მისი მოსპობით შეძლებს თავისი ჩვეულებრივი გრძნობადი ცხოვრებით ცხოვრებას, შეგრძნებასა და აზროვნებას ერთდროულად. ამით ორივე აღქმა მოიგებს: გარე სამყარო გამჭვირვალდება და შიდა სამყარო უფრო მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი გახდება, და ასე იარსებებს ადამიანი მართლა ცოცხალ კავშირში ორივე სამყაროსთან, მათ შორის, აღვსილი სრული თავისუფლებისა და სასიხარულო ძალაუფლების შეგრძნებით. ბუნებრივია, რომ ადამიანი ცდილობს ამ მდგომარეობის გამარადიულებას და მის გავრცელებას თავისი შთაბეჭდილებების მთელ ჯამზე; რომ ის არ იღლება, თვალი მიადევნოს ორივ სამყაროს ამ ასოციაციებს და მათი კანონებისა და მათი სიმპათია-ანტიპათიების კვალზე იაროს. იმის დედააზრს, რაც

გვეხება, რაც ჩვენზე მოქმედებს, ბუნებას უწოდებენ. მაშასადამე, ბუნება უშუალო კავშირში იმყოფება ჩვენი სხეულის ნაწილებთან, რომლებსაც გრძნობის ორგანოებს ვუწოდებთ. ჩვენი სხეულის უცნობი და იდუმალი კავშირების წყალობით, გუმანით ვგრძნობთ ბუნების უცნობ და იდუმალ ურთიერთობათა ბადეს, და ასე, ბუნება ის სასწაულებრივი ერთობაა, რომელშიც ჩვენს სხეულს შევყავართ და რომელსაც ჩვენი სხეულის უნარებისა და საქმიანობების შესაბამისად ვეცნობით. ისმის კითხვა, შეგვიძლია თუ არა მართლა შევიცნოთ ბუნების საგანთა თვისობრიობა მათი ამ სპეციფიკური, კონკრეტული ბუნებრივი სახის წყალობით? და კიდევ: რამდენად შეუძლიათ მათ ჩვენი აზრებისა და ჩვენი ყურადღების ინტენსიურობის განსაზღვრა? და თუ განსაზღვრავენ, ამით ხომ ბუნებას წყვეტენ და მათ ნაზ და დამყოლ ხასიათს ამახინჯებენ? ცხადზე ცხადია, რომ ჩვენი სხეულის შინაგანი ურთიერთობები და აგებულება ყველა საგანზე ადრე უნდა იქნას გამოკვლეული, ვიდრე ამ კითხვებზე პასუხის გაცემასა და საგანთა ბუნებაში შეჭრაზე ვიოცნებებდეთ. თუმცა, ის ფიქრიც გაგიჩნდება კაცს, რომ ჩვენ ჯერ აზროვნებაში უნდა ვივარჯიშოთ ძალუმად და მრავალგვარად, ვიდრე სამყაროსთან ჩვენი სხეულის შინაგან კავშირებს შევისწავლიდეთ და გონებას ბუნების გაგებისთვის გამოვიყენებდეთ. და აქ არაფერი იქნებოდა იმაზე უფრო ბუნებრივი, ვიდრე ის, რომ აზროვნების ყველა შესაძლებელი მოძრაობა სინათლეზე გამოგვეტანა და ამ საქმეში სიბეჯითე და სიმსუბუქე მოგვეპოვებინა, ერთი მოძრაობიდან მეორეზე გადავსულიყავით და შემდეგ მრავალგზის და მრავალგვარად შეგვეერთებინა და დაგვეყო ისინი. ბოლოს ყველა შთაბეჭდილება გულდასმით უნდა განგვეხილა, რათა ამის შედეგად აღმოცენებულ აზრთა თამაშიც ასევე დაკვირვებით შეგვესწავლა. და თუ ეს საქმე თავის მხრივ ახალ-ახალ აზრებს წარმოშობდა, ამათთვისაც ყურადღებით უნდა მიგვედევნებინა თვალი, რათა ნელ-ნელა მათი მექანიზმები გაგვეცნო, ხშირი განმეორების წყალობით თითოეულ შთაბეჭდილებასთან მყარად დაკავშირებული მოძრაობები სხვებისაგან გაგვერჩია და მათი შენარჩუნება გვესწავლა. და მერე, როდესაც ჯერ პირველ რამდენიმე მოძრაობას, როგორც ბუნების ასოებს, გამოვკვეთდით, გაშიფრვა სულ უფრო გაადვილდებოდა, და აზრების წარმოშობასა და მოძრაობაზე მოპოვებული ძალაუფლება მკვლევარს მიანიჭებდა უნარს, წინმსწრები ნამდვილი შთაბეჭდილების გარეშეც მოეხელთებინა აზრი და ბუნების კომპოზიციები მოეხაზა, შემდეგ კი თავად შთაბეჭდილებასაც მისწვდებოდა."

„ნამდვილად მეტისმეტად გაბედული რამ არის", წამოიწყო სხვამ, „ასე, ბუნების გარეგანი ძალებიდან და მოვლენებიდან მისი შედგენა მოინდომო და იგი ხან უზარმაზარი ცეცხლისთვის, ხან საოცრად ფორმირებული შემთხვევისთვის (ვარდნისთვის, დაცემისთვის), ხან ორობისთვის და ხან სამობისთვის გაიღო. უფრო ის მგონია, რომ ბუნება უსასრულოდ მრავალფეროვან არსთა შინაგანი, მიუწვდომელი თანხმობის ნაყოფია, სულთა სამყაროს დიდებული კავშირი, ურიცხვი სამყაროს ურთიერთშეხებისა და შეერთების ადგილი."

„დე, იყოს გაბედული," თქვა მესამემ: „რაც უფრო თვითნებურად არის ბადე მოქსოვილი, რომელსაც გაბედული მეთევზე ისვრის, მით უფრო ბევრ თევზს დაიჭერს. უნდა გავამხნევოთ ყოველი მკვლევარი, რაც შეიძლება წინ და შორს წავიდეს თავის გზაზე, და ყველას სიხარულით უნდა შევეგებოთ, ვინც კი ახალი ფანტაზიის ბადეს გადასჭიმავს საგნების თავზე. არ გჯერა, რომ სწორედ კარგად ორგანიზებული სისტემები იქნება ის, საიდანაც ბუნების მომავალი გეოგრაფოსი მონაცემებს აიღებს თავისი დიადი ბუნების რუკისთვის? იგი მათ ერთმანეთს შეუდარებს და სწორედ ეს შედარება გაგვაცნობს ამ განსაკუთრებულ ქვეყანას. თავად ბუნების არსის შემეცნება კი ისე შორს იქნება ამ კვლევისაგან, როგორც ცაა დედამიწისგან დაშორებული. ჭეშმარიტი გამშიფრველი შეიძლება იქამდეც მივიდეს, რომ ბუნების რამდენიმე ძალა გამოიყენოს დიდებული და სასარგებლო მოვლენების მოძრაობაში მოსაყვანად. ამ კაცის ფანტაზია ბუნებას დიდ ინსტრუმენტად წარმოიდგენს, და მაინც ვერ გაიგებს მას. ბუნების გაგების ნიჭით მომადლებულია ბუნების ისტორიკოსი, დროისმჭვრეტელი, ვინც კარგად იცნობს ბუნების ისტორიას და სამყაროს — ბუნების ისტორიის ამ მაღალ სცენას, აღიქვამს მათ მნიშვნელობებს და წინასწარმეტყველურად გვაუწყებს. ეს ჯერ უცნობი და ღვთაებრივი სფეროა. მხოლოდ ღვთის მიერ წარმოგზავნილებმა დაგვიგდეს ამ უმაღლესი მეცნიერების თითო-ოროლა სიტყვა, და დიდად გასაკვირია, რომ წინათმგრძნობელ სულებს საკუთარი წინათგრძნობა ხელიდან გაუსხლტათ და ბუნება დაამდაბლეს, ერთსახოვან მანქანად წარმოადგინეს რა იგი. ყველაფერ ღვთაებრივს ისტორია აქვს, და განა ბუნება, ეს ერთადერთი მთელი, რასაც ადამიანმა შეიძლე-

ბა საკუთარი თავი შეადაროს, ადამიანივით ისტორიის დინებაში არ უნდა შევიმეცნოთ? ან მას, როგორც მთელს, შეიძლება რომ სული არ ჰქონდეს? ბუნება არ იქნებოდა ბუნება, სული რომ არ გააჩნდეს, არ იქნებოდა კაცობრიობის მეორე სახე, არ იქნებოდა ამ საიდუმლოებით მოცული შეკითხვის გარდაუვალი პასუხი, ან ამ უსასრულო პასუხის შეკითხვა“.

„მხოლოდ პოეტებმა იგრძნეს, თუ რა შეუძლია ბუნებას იყოს ადამიანებისთვის“, წამოიწყო პირმშვენიერმა ყმაწვილმა, „და აქაც შეიძლება პოეტებზე ითქვას, რომ კაცობრიობა მათში უსრულყოფილესად გაჯერებულ მდგომარეობაში იმყოფება. შესაბამისად: იმის გამო რომ პოეტთა სული ძალიან მოძრავია და ჰგავს სარკეს, რომელიც უკან აფრქვევს არეკლილ სინათლეს, მათ მიერ მიღებული ყოველი შთაბეჭდილება ათასი მიმართულებით ვრცელდება და თან ცვალებადობის ყველა ელფერით. ყველაფერს პოულობენ პოეტები ბუნებაში. მხოლოდ პოეტებისთვის არ რჩება უცხო ბუნების სული, და ისინი ტყუილად როდი დაეძებენ ბუნებასთან ურთიერთობაში ოქროს ხანის ყველა ნეტარებას. მათთვის ბუნება უსასრულო ხასიათის ყველა ცვალებადობას შეიცავს, და იგი ძალიან ცოცხალი და მდიდარი სულის ადამიანზე მეტად აოცებს ხოლმე პოეტებს თავისი ღრმააზროვანი გადახვევებითა და მიგნებებით, შეხვედრებითა და განდგომებით, დიადი იდეებითა და უცნაურობებით. მისი მდიდარი ფანტაზიის წყალობით არცერთ პოეტს ამაოდ არ ჩაუვლის მასთან ურთიერთობის ძიება. მან ყველაფრის გალამაზება, გაცოცხლება, დადგენა იცის, და მაშინაც კი, როცა კონკრეტულ შემთხვევებში გეჩვენება, რომ მხოლოდ არაფრისმთქმელი მექანიზმი იპყრობს ყველაფერს, უფრო ღრმა თვალი იმ საოცარ სიმპათიას აღმოაჩენს, ბუნება რომ განიცდის ადამიანთა გულების მიმართ შეხვედრებსა და ცალკეულ შემთხვევათა შედეგებში. ქარი ჰაერის მოძრაობაა, გარეგანი მიზეზები რომ წარმოშობს, მაგრამ განა ბევრად მეტი არ არის მარტოსული ადამიანისთვის, მონატრებით რომ დასნეულებულა? იგი ხომ შორეული, საყვარელი ქვეყნებიდან მოფრენს და ათასობით ბნელი, ნაღვლიანი ბგერით კაცის ჩუმ ტკივილს მთელი ბუნების ღრმა, მელოდიურ ოხვრაში გააზავებს! და განა გაზაფხულის მდელოთა ჯერ ახალ, ნაზ სიმწვანეში შეყვარებულ ჭაბუკს არ ეუფლება განცდა, რომ მისი თითქოსდა ყვავილებზე ფეხმძიმე სული ზეაღმტაცი ჭეშმარიტებით გამოთქვამს საკუთარ თავს? და განა სისავსის ყველაზე უფრო ძვირფას და გამომაფხიზლებელ სიმბოლოდ არ უჩანს განიერ ფოთლებში ნახევრად ჩამალული მბრწყინავი მტევანი სულს, რომელსაც ოქროსფერ ღვინოში ტკბილი განზავება სწყურია?

პოეტებს დიდსულოვნად პატიობენ გადაჭარბებას, მათ ხატოვან ენას მეტისმეტად კეთილად მიიჩნევენ და ჭეშმარიტებას არ სთხოვენ. დიახ, უფრო ღრმა გამოკვლევის გარეშე იმით კმაყოფილდებიან, რომ მათ ფანტაზიას იმ უცნაურ ბუნებას მიაწერენ, რომელიც რაღაც-რაღაცეებს კი ხედავს და ისმენს, რასაც სხვები ვერ ხედავენ და ვერ ისმენენ, მაგრამ არსებითად თავის სასიამოვნო სიგიჟეში დანავარდობს თავის ნებაზე.

მე კი მეჩვენება, რომ პოეტები საკმარისად არ აჭარბებენ, მხოლოდ ბუნდოვნად შეიგრძნობენ ენის ჯადოსნურ ბუნებას და ფანტაზიითაც ისე თამაშობენ, როგორც მამის ჯადოსნური კვერთხით. მათ არ იციან, თუ რა ძალები მორჩილებენ, რა სამყაროები უნდა უგდებდნენ ყურს. განა მართალი არ არის, რომ ქვები და ტყეები მუსიკას ისმენენ, და მისგან მოთვინიერებულნი შინაური ცხოველებივით დაჰყვებიან ყველას ნებას? განა ულამაზესი ყვავილები მართლა სატრფოს ირგვლივ არა ჰყვავიან და არ უხარიათ მისი შემკობა? განა პოეტებისთვის ცა ლაღი არ არის და ზღვა — ზოგჯერ ტრიალი მინდორი?

და განა მთელი ბუნება იმ მასზე მაღალი, დიდებული არსების მდგომარეობას, სახესა და ჟესტიკულაციას, მაჯისცემასა და ფერებს არ გამოხატავს, რომელსაც ადამიანს ვუწოდებთ? განა კლდე ჭეშმარიტი *შენ* არ ხდება, როცა მას მივმართავ ხოლმე? და განა სხვა რა ვარ თუ არა მდინარე, როცა ნაღვლიანად ჩავცქერი მის ტალღებს, და მის სრბოლაში მეკარგება მძიმე ფიქრები? მხოლოდ მშვიდი, ტკბობის უნარის მქონე სული გაუგებს მცენარეებს, და მხოლოდ მხიარული ბავშვი ანდა ველური — ცხოველებს. — გაუგო თუ არა უკვე ვინმემ ქვებსა და ვარსკვლავებს, არ ვიცი, მაგრამ ის ამაღლებული სულის არსება იქნებოდა მხოლოდ. იმ ქანდაკებებიდან, რომლებიც ადამიანთა მოდგმის დიდებული ხანიდან შემოგვრჩა, ისეთი ღრმა სული, ქვათა სამყაროს ისეთი განსაცვიფრებელი გაგება ასხივებს! გეგონება, აზრიან დამთვალიერებლს ქვის ზედაპირს აკრავს გარს, რომელიც თითქოსდა გარედან შიგნით იზრდება. ამაღლებული თითქოს გაქვავებს. და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს ბუნების ამაღლებულობა და ისიც უნდა

ვიცოდეთ, საიდან იღებს იგი სათავეს. განა არ შეეძლო ბუნებას ღმერთის შემოხედვით გაქვავებულიყო? ან ადამიანის მომავლის წინაშე შიშით?“

ამ სიტყვებზე ის ჭაბუკი, ვინც პირველად ლაპარაკობდა, ღრმა ჭვრეტაში შთავარდა, შორეული მთები ჩამავალი მზის ნათელმა გააფერადა და საღამო მინდობილად დაეფინა მიდამოს. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მან თქვა: „რათა ბუნებას ჩასწვდე, საშუალება უნდა მისცე მას, შენი არსების სიღრმეში თანმიმდევრულად წარმოიქმნას. ამ ღონისძიების დროს მხოლოდ იმ არსებებისადმი ლტოლვას უნდა ამართვინო თავი, ჩვენი მსგავსნი რომ არიან და იმ პირობებს, რომელნიც ამ არსებათა მოსმენას უზრუნველყოფენ. რადგან მთელი ბუნება შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც უგონიერესი არსებების ურთიერთთანხმობის ხელსაწყო და მედიუმი. მოაზროვნე ადამიანი უკან უბრუნდება თავისი მიწიერი ყოფიერების თავდაპირველ ფუნქციას: შემქმნელ მზერას, იმ პუნქტამდე, სადაც წარმოქმნა და ცოდნა სასწაულებრივ კავშირში იყო ერთმანეთთან, ნამდვილი ტკბობის შემოქმედებით მომენტამდე, შინაგან თვითგანაყოფიერებამდე. როდესაც ის მთლიანად დაინთქმება ამ თაურმოვლენის ჭვრეტაში, მის წინ ახლად წარმოქმნილ დროებსა და სივრცეებში უკიდეგანი სანახაობად გადაიშლება ბუნების ჩასახვისა და წარმოშობის ისტორია, და ყოველი მყარი ადგილი, რომელიც უსასრულო თხევად მატერიაში შენივთდება, მისთვის სიყვარულის გენიის ახალ გამოცხადებად იქცევა, ახალ კავშირად მე-სა და შენ-ს შორის. ჩვენს სულში განხორციელებული სამყაროს ისტორიის რუდუნებით აღწერა იქნებოდა ბუნების ჭეშმარიტი თეორია; აზრების საუფლოს შინაგანი კავშირი და მისი ჰარმონია სამყაროსთან თავისთავად წარმოშობს უნივერსუმის რუდუნებით ასახვისა და მისი ფორმულების დადგენისათვის აუცილებელ აზროვნების სისტემას. მაგრამ მშვიდი ჭვრეტის, სამყაროს შემოქმედებითი ხედვის ხელოვნება ძნელია, იგი უწყვეტ სერიოზულ ფიქრსა და მკაცრ სიფხიზლეს ითხოვს და ჯილდოდ დაღლილ-შეშინებული თანამედროვეების ტაშს კი არ იღებს, არამედ ცოდნისა და სიფხიზლის, სამყაროსთან უფრო შინაგანი შეხების სიხარულს.“

„დიახ“, თქვა მეორემ, „ბუნებაში არსებულ ამ დიდ ერთდროულობაზე უფრო ღირსშესანიშნავი არაფერია. ბუნება ყველგან მთლიანად იქმყოფი ჩანს. რომელიმე სინათლის ჩქერში ბუნების ყველა ძალა იღვწის, და ასე ყველგან და უწყვეტად წარმოადგენს და გარდაქმნის იგი საკუთარ თავს, ერთმანეთისკენ ეწევა ფოთლებს, ყვავილებსა და ნაყოფებს, და ერთდროულად აწმყო, წარსული და მომავალია დროის შუაგულში; და ვინ იცის, როგორ მოქმედებს იგი ასევე შორიდან! და ვინ იცის, ბუნების მთელი ეს სისტემა მხოლოდ ერთი მზეა მთელს სამყაროში, რომელიც ამ სამყაროზე სინათლითა და წყობითა და გავლენებითაა მიჯაჭვული. ამ კავშირებს უპირველესად ჩვენს შიგნით აღვიქვამთ და ისინი ჩვენი სულიდან გადააღვრიან სამყაროს სულს ამ ბუნებას, და ამ ბუნების სულს სხვა ბუნების სისტემებში ანაწილებენ“.

„თუ მოაზროვნე, — თქვა მესამემ, — სრული უფლებით შეუდგება მოღვაწეობას როგორც ხელოვანი, და თავისი სულიერი მოძრაობის მარჯვე გამოყენებით შეეცდება სამყაროს რედუცირებას ერთ უბრალო, გამოუცნობ ფიგურამდე, — დიახ, შეიძლება ითქვას, რომ ბუნება ცეკვავს, და სიტყვებით კვალდაკვალ იმ სულიერი მოძრაობის ხაზებს შემოსწერს, — მაშინ ბუნების მოყვარული აღტაცებით უნდა შეეგებოს ამ თამამ ქმედებას, და ამ ადამიანური ნიჭის განვითარებაც გაუხარდეს. ყველაზე მაღლა ხელოვანი ქმედითობას აყენებს, რადგან მისი არსი ცოდნით და ნებისყოფით ქმედება და წარმოქმნაა, მისი ხელოვნება კი ის გახლავთ, ყველაფრის მიმართ გამოიყენოს თავისი ხელსაწყო, შესძლოს და თავისებურად გაიმეოროს სამყარო. ამიტომ იქცევა მისი საუფლოს პრინციპად საქმიანი ღვწა, და მის ხელოვნებად — სამყარო. აქაც ბუნება ახალ დიდებაში ხილვადდება, და მხოლოდ უაზრო ადამიანი მოისვრის გვერდზე ერთმანეთში, ვერწასაკითხად შერეულ უცნაურ სიტყვებს. ქურუმი კი მადლიერად დაასვენებს საკურთხეველზე ზომვის ამ ახალ, ამაღლებულ ხელოვნებას იმ მაგნიტური ნემსის გვერდით, რომელიც არასდროს ცდება და რომელსაც ურიცხვი გემი გამოუყვანია უბილიკებო ოკეანიდან სამშობლოს დასახლებული სანაპიროებთან და ნავსადგურებთან. მაგრამ მოაზროვნის გარდა ცოდნის სხვა მ.ეგობრებიც არსებობენ, რომელთა უპირატეს საქმესაც არ წარმოადგენს წარმოქმნა აზროვნების გზით. ამგვარად ისინი ამ ხელოვნების პროფესიონალები კი არ ხდებიან, არამედ ურჩევნიათ ბუნების მოწაფეები იყვნენ, და სიხარული სწავლებაში კი არა სწავლაში, გამოცდილებასა და არა კეთებაში, მიღებასა და არა გაცემაში ჰპოვონ. ზოგი საქმითაა დაკავებული და — სწამთ რა ბუნების ყველგანმყოფობა და ჩვენთან შინაგანი ნათესაობა, ასევე,

ყოველი ცალკეული საგნის არასრულყოფილება და დროებითი უწყვეტობა, — ყურადღებით იღებენ ერთ რაიმე მოვლენას, კონცენტრირებული მზერით მტკიცედ იჭერენ ათასგვარ სახეებად გარდაქმნად მის სულს, და შემდეგ მისდევენ ამ ძაფს საიდუმლო საამქროს ყველა კუნჭულისაკენ, რათა მისი ლაბირინთული დერეფნების უზუსტესი ჩანახატი გაკეთონ. როცა ამ მძიმე ჯაფას გაასრულებენ, მათზე შეუმჩნევლად უკვე გადმოსულია ხოლმე მაღალი სული, და შემდეგ უკვე უადვილდებათ წინ გაშლილ რუკაზე საუბარი, და ყველა მაძიებლისთვის მისი გზის წინასწარ ჩვენება. უზომო სარგებელი მოაქვს მათ მძიმე შრომას: მათი რუკის ძირეული მონახაზი განსაცვიფრებლად დაემთხვევა მოაზროვნის სისტემას. ამგვარად ისინი უნებლიეთ აწვდიან მოაზროვნეს მისი აბსტრაქტული დებულებების ცოცხალ დასაბუთებას და ამით ხომ ნუგეშსაც ანიჭებენ მას. მათ შორის ყველაზე მოცლილები ბავშვურად ელიან, რომ მაღალი არსნი, რომლებსაც ისინი შმაგად ელტვიან, თავად აღავსებენ მათ ბუნების ცოდნით. მათ არ სურთ ამ ხანმოკლე ცხოვრებაში დრო და ყურადღება პრაქტიკულ საქმეს დაუთმონ და ამის გამო ხელი აიღონ სიყვარულის მსახურებაზე. თავიანთი ღვთისმოსავი საქციელით ისინი მხოლოდ სიყვარულის მოპოვებას ცდილობენ და არად აგდებენ დიდი ძალების სანახაობას. ისინი მშვიდად მინდობიან თავიანთ ბედისწერას ძალაუფლების ამ საუფლოში, რადგან აღვსილან შინაგანი დარწმუნებულობით, რომ საყვარელ არსებათაგან განუშორებელნი არიან, და ბუნებაც მათ მხოლოდ როგორც საყვარელ არსებათა ანარეკლი და საკუთრება, ისე ეხება. და რისი ცოდნა შეიძლება სჭირდებოდეთ ამ ბედნიერ სულებს, რომლებმაც უკეთესი ხვედრი ირჩიეს? — ისინი, როგორც სიყვარულის წმინდა ცეცხლი ამ წუთისოფელში, მხოლოდ ტაძრების გუმბათებზე და ზღვაში გასული გემების ანძებზე გიზგიზებენ ზეციდან გარდმომდინარე ცეცხლის ნიშნად. ეს სიყვარულით სავსე ბავშვები ნეტარ წუთებში ხშირად შეიტყობენ ხოლმე დიდებულ ამბებს ბუნების საიდუმლოებებიდან და თანდაყოლილი უბრალოებით მთელ ქვეყანას ამცნობენ. მათ კვალს მიჰყვება მკვლევარი, რათა ყველა ძვირფასი თვალი შეაგროვოს, რაც კი მათ თავიანთ უცოდველობასა და სიხარულში გზად დაეფანტათ; მათ სიყვარულს ეთაყვანება თანამგრძნობელი პოეტი და ცდილობს, თავისი სიმღერებით ეს სიყვარული, ოქროს სიძველის ეს ჩანასახი, სხვა დროებსა და ქვეყნებში გადანერგოს“.

„ვის არ უჩქროლდება გული სიხარულით, ისე რომ ლამის მკერდიდან ამოუხტეს,“ წამოიძახა ელვარეთვალებიანმა ჭაბუკმა, „როცა ბუნების უშინაგანესი სიცოცხლის მთელი სისავსე ჩაეღვრება ხოლმე სულში! როდესაც ის მძლეთამძლე განცდა, რომელსაც ენამ სიყვარულისა და ნეტარების გარდა სხვა სახელი ვერ გამოუძებნა, ადამიანში ძლევამოსილი, ყოვლის მშთანთქმელი ბურუსივით განივრცობა და მას, ტკბილი ძრწოლით აცახცახებულს, ბუნების ბნელ, მომნუსხველ, მაგნიტივით მიმზიდველ წიაღში გადაისვრის. და შთაინთქმება საწყალი პიროვნება ტკბობის აფოფრილ ზვირთებში და აღარაფერი რჩება მისგან უსაზღვრო ჩამსახავი ძალის წვისა და უკიდეგანო ოკეანეში მბრუნავი მშთანთქმელი მორევის გარდა! რა არის ცეცხლი, ყველგან რომ ჩნდება? შინაგანი მოხვევნა, რომლის ტკბილი ნაყოფი ნეტარებად მოწვეთავს ქვემოთ. წყალი, სიხარულით სავსე შერწყმის ეს გახარებული პირველნაყოფი, ვერ მალავს თავის ტკბილვნებიან წარმოშობას და ზეციური ყოვლისშემძლეობით სიყვარულისა და შერწყმის სტიქიად წარმოაჩენს თავს დედამიწაზე. ტყუილად როდი ხედავდნენ ძველი ბერძნები წყალში საგანთა პირველსაწყისს და, ჭეშმარიტად, უფრო მაღალ წყალზე ლაპარაკობდნენ, ვიდრე ზღვა თუ ნაკადულია. იმ წყალში ცხადდება თაურთხევადი, როგორც ეს ჩნდება თხევად ლითონში, და ამიტომ სურთ ადამიანებს მარადჟამს მისი ღვთაებრივად თაყვანისცემა. რა ცოტა ჩაღრმავდა ჯერჯერობით თხევადის სიღრმეში და ბევრს არასდროს ამომზევებია მთვრალ სულში უმაღლესი ნეტარებისა და სიცოცხლის წინათგრძნობა. წყურვილში ცხადდებოდა მუდამ სამყაროს სული, ეს ძალმოსილი მონატრება წყლად ქცევის და წარდინებისა. მთვრალნი მეტისმეტად კარგად გრძნობენ თხევადით მინიჭებულ ამ ზემიწიერ სიამოვნებას და ბოლოს ჩვენი ყველა სასიამოვნო განცდა მრავალგვარი წარდინებაა, პირველყოფილი წყლების მოძრაობა ჩვენში. ძილიც კი სხვა არაფერია, თუ არა უხილავი მსოფლიო ზღვის მოქცევა, ხოლო გამოღვიძება მისი მიქცევაა. რამდენი ადამიანი დგას გამაბრუებელ მდინარეებთან და არ ესმის ამ დედური წყლების ნანა, და ვერ ტკბება მათი უსასრულო ტალღების აღმტაცი თამაშით! ამ ტალღებივით ვცხოვრობდით ჩვენ ოქროს ხანაში; ფერად-ფერად ღრუბლებში, ამ მცურავ ზღვებსა და მიწიერი ცხოვრების თაურსათავეებში, მარადიულ თამაშებში უყვარდათ და ანაყოფიერებდნენ ადამიანთა მოდგმები ერთურთს;

ზეცის ბავშვები სტუმრობდნენ მათ და მხოლოდ იმ დიდ მოვლენაში, რომელსაც თქმულებები წარღვნას უწოდებენ, ჩაიძირა ეს აყვავებული სამყარო; მტრულმა არსმა დაამარცხა დედამიწა, და მხოლოდ რამდენიმე ადამიანი გადარჩა ახალი მთიანეთის ქიმებზე უცხო ქვეყანაში.

რა უცნაურია, რომ ბუნების სწორედაც რომ ყველაზე ღვთაებრივი და მომხიბლავი საგნები მოხვედრილან ისეთ მკვდარ ადამიანთა ხელში, როგორადაც ქიმიკოსებს სჩვევიათ ყოფნა. ამ საგნებს, რომლებიც მძლავრად აღვიძებენ ბუნების შემოქმედებით აზრს, რომლებიც მხოლოდ შეყვარებულთა საიდუმლო, უფრო მაღალი კაცობრიობის მისტერია უნდა ყოფილიყვნენ, უსირცხვილოდ და უაზროდ გამოიხმობენ ხოლმე ეს უხეში, პრიმიტიული ადამიანები. ამ ადამიანებს არასოდეს ეცოდინებათ, რა სასწაულებს შეიცავენ მათი კოლბები.

მხოლოდ პოეტებს უნდა ჰქონოდათ საქმე თხევად მატერიასთან და მის შესახებ მოეთხროთ სულანთებული ახალგაზრდებისათვის. სახელოსნოები ტაძრები იქნებოდნენ და ადამიანები ახალი სიყვარულით განადიდებდნენ ცეცხლს და მდინარეებს. რა ბედნიერად იგრძნობდნენ თავს ისევ ქალაქები, რომლებსაც ზღვა ან დიდი მდინარე ანიჭებს სინოტივეს, და ყოველი სათავე ისევ სიყვარულის თავისუფალ ადგილად იქცეოდა და გამოცდილ და სულიერ ადამიანთა თავშესაყარად. ამიტომ არის, რომ ცეცხლზე და წყალზე მეტად არაფერი იზიდავს ბავშვებს, და ყოველი მდინარე ფერადოვან სიშორეში, უფრო მშვენიერ მხარეებში წაყვანას პირდება მათ. ეს არ არის მხოლოდ ანარეკლი, ზეცა წყალში ძევს, ეს ნაზი დამეგობრებაა, მეზობლობის ნიშანი, და როცა აღუსრულებელი ლტოლვა უსაზღვრო სიმაღლისკენ იწევს, ბედნიერი სიყვარული სიამოვნებით ეცემა უსასრულო სიღრმეში. მაგრამ ამაოა ვინმესთვის ბუნების სწავლებისა და ქადაგების სურვილი. ბრმადშობილი ხედვას ვერ ისწავლის, რამდენიც არ უნდა ესაუბრო ფერებზე და სინათლეებზე და შორეულ არსებებზე. ასევე ვერ ჩასწვდება ბუნებას ის, ვისაც ბუნების ორგანო არ გააჩნია; ვისაც არ გააჩნია ბუნების წარმომქმნელი და მისი დამაცალკევებელი შინაგანი ორგანო; ვინც ყველასა და ყველაფერში თავისით არ ხედავს ბუნებას, არ განასხვავებს მას, და განაყოფიერების თანდაყოლილი წყურვილით, ბუნების სხეულებთან შინაგანი, მრავალფეროვანი ნათესაური კავშირის შეგრძნებით, სწორედ გრძნობის მეშვეობით ბუნების ყველა საგანს არ შეერწყმის. მაგრამ ის, ვისაც ბუნების სწორი და გავარჯიშებული გრძნობა აქვს, ის ტკბება ბუნებით, როდესაც მას შეისწავლის, და შეჰხარის მის უსასრულო მრავალფეროვნებას, ადამიანისათვის ნეტარების მინიჭების ამოუწურავ უნარს; აბა, რაში სჭირდება ასეთ ადამიანს, რომ მავანმა და მავანმა უსარგებლო სიტყვებით ხელი შეუშალოს თავის ტკბობაში. მას უფრო მეტად ისე ჰგონია, რომ არასაკმარისად დაფარულად ურთიერთობს ბუნებასთან, არასაკმარისად ნაზად ლაპარაკობს მასზე, არასაკმარისი ყურადღებითა და სიმშვიდით ჭვრეტს მას; იგი ბუნებაში ისე გრძნობს თავს, როგორც თავისი უმანკო საცოლის მკერდთან და მხოლოდ როგორც ასეთს ანდობს თავის სალუქ აზრებს დიდი სიახლოვის წუთებში. ბედნიერად ვთვლი ბუნების ასეთ ვაჟს, ასეთ რჩეულს, რომელსაც ბუნება ნებას აძლევს უჭვრეტდეს მას მის ორადობაში, როგორც ჩამსახველ და დამბადებელ ძალას, და ერთიანობაში, როგორც უსასრულო, მარადმიმდინარე ქორწინებას. ამ ვაჟის სიცოცხლე ყველა სიტკბოებათა სისავსე იქნება, სიამტკბილობათა ჯაჭვი, და მისი რელიგია — ჭეშმარიტი, ნამდვილი ნატურალიზმი.“

აი, ასე საუბრობდნენ მოგზაურები, როდესაც მასწავლებელი თავის მოწაფეებთან ერთად მათ მიუახლოვდა. ყველანი წამოდგნენ და მასწავლებელს მოწიწებით მიესალმნენ. დაბურული ჩეროებიდან გამახალისებელი სიგრილე მოეფინა მოედანს და საფეხურებს. მასწავლებელმა ერთ თავის მოწაფეს მოატანინა უჩვეულოდ მანათობელი ქვა, რომელსაც ლალს უწოდებენ, და მძლავრი, ღიაწითელი სინათლე გადაეღვარა ირგვლივ საგნებსა და სამოსს. მალე მეგობრული საუბარი გაიბა მათ შორის. შორიდან მუსიკა მოისმოდა და ბროლის თასიდან გამაგრილებელი ალი ეღვრებოდა მოლაპარაკეებს ბაგეთა შორის. უცხოები თავიანთი შორი მოგზაურობების უცნაურ ამბებს იგონებდნენ. მონატრებითა და ცოდნის წყურვილით აღვსილნი გასდგომოდნენ გზას, რათა იმ დაკარგული პირველყოფილი ხალხის კვალზე გასულიყვნენ, რომლის გადაგვარებულ და გაველურებულ ნარჩენადაც დღევანდელი კაცობრიობა უჩნდათ; რომლის მაღალ განათლებასაც ჯერ კიდევ უმადლოდნენ უმნიშვნელოვანეს ცოდნებსა და ხელსაწყოებს; ყველაზე ძლიერ კი თურმე ის ღვთაებრივი ენა იზიდავდათ, რომელიც რაღაც მბრწყინავი შემკვრელის როლს ასრულებდა ერთი მხრივ ღვთაებრივ ადამიანებს, მეორე მხრივ ზემიწიერ მხარეებსა და

მათ მობინადრეებს შორის. ამ პირველადი ენის ორიოდე სიტყვა, თუ მრავალფეროვან თქმულებებს დავუჯერებდით, ჯერ კიდევ რჩებოდა ზოგიერთი ბედნიერი ბრძენის მფლობელობაში, ჩვენს წინაპრებში რომ მოიძევებოდნენ. მათი მეტყველება მომაჯადოებელი გალობა იყო, რომლის წინაღუდგომელი ბგერები ყველანაირი ბუნების სიღრმეში აღწევდა და ანაწევრებდა მას. მათი ყოველი სახელი თითქოს ბუნების ყველა საგნის მხსნელი სიტყვა იყო. ამ ბგერების რხევები შემოქმედებითი ძალმოსილებით აღძრავდნენ სამყაროული მოვლენების ყველა სურათ-ხატს, და მათგან გამომდინარე, სამართლიანი იქნებოდა თქმა, რომ უნივერსუმის სიცოცხლე მარადიული, ათასხმოვანი საუბარია, რადგან მათ ლაპარაკში ყველა ძალა, ქმედების ყველა ფორმა რაღაც აუხსნელად ერთმანეთთან დაკავშირებული ჩანდა. ამ ენის ნამსხვრევების, ყოველ შემთხვევაში, მათზე შემორჩენილი ცნობების შეგროვება ქცეოდათ მოგზაურობის მთავარ მიზნად. სიძველის ძახილს მოეყვანა ისინი საისში. იმედოვნებდნენ, რომ ტაძრის არქივის ხელმძღვანელ კაცთაგან მნიშვნელოვან ცნობებს მიიღებდნენ, და შეიძლება, მერე თავადაც გაეკვლიათ გზა ამდენ შეგროვილ მასალაში. მათ მასწავლებელს სთხოვეს უფლება, ერთი ღამე ტაძარში გაეთიათ და მის გაკვეთილებს დასწრებოდნენ. რაც სურდათ, მიიღეს და გულით უხაროდათ, როცა მასწავლებელი მათ მონათხრობს თავისი გამოცდილების საგანძურიდან ეხმიანებოდა: ათასგვარ შენიშვნას ურთავდა, და ხშირად გადააქცევდა ხოლმე სასიამოვნო და შემაგონებელ ისტორიებად. ბოლოს თავისი ახლანდელი საქმიანობაც განუმარტა მათ: უთხრა, რომ ნორჩ სულებში ბუნების მრავალფეროვან შეგრძნებას აღვიძებდა, ავარჯიშებდა, წვრთნიდა, ამახვილებდა ამ შეგრძნებას და მათ სხვა სულიერ მონაცემებთან აკავშირებდა დიადი ყვავილებისა და ნაყოფების გამოსაღებად.

„იყო ბუნების მესიტყვე და მაუწყებელი, მშვენიერი და ღვთაებრივი სამსახურია," თქვა მასწავლებელმა. „ეს სამსახური არ გულისხმობს ცოდნათა უბრალო მოცულობასა და კავშირს, არც ნიჭს — ეს ცოდნები ადვილად და ზუსტად მიაბა ცნობილ ცნებებსა და გამოცდილებებს, და განსაკუთრებული, უცხოდ მჟღერი სიტყვები ჩვეულებრივ გამოთქმებში გასცვალო, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მდიდარი ფანტაზიის სიმარჯვეს არ გულისხმობს, ბუნების მოვლენებს ადვილად მისაწვდომ და შესაბამისად განათებულ ნახატებად რომ ალაგებს, ნახატებად, რომლებიც ან შინაარსის სიმდიდრით და ერთად თავმოყრის მომხიბლაობით ძაბავენ გრძნობებს და აკმაყოფილებენ, ან ღრმა მნიშვნელობით აღაფრთოვანებენ სულს, — არა, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ შეადგენს ბუნების მაუწყებლის ნამდვილ დანიშნულებას. იმისთვის, ვისაც რაღაც სხვა აწუხებს და არა ბუნება, ეს ყველაფერი შეიძლება საკმარისი იყოს, მაგრამ ის, ვინც ბუნების ღრმა მონატრებას შეუპყრია, ვინც ბუნებაში ყველაფერს ეძებს, და თავად თითქოს მის იდუმალი საქმის მგრძნობიარე ხელსაწყოდ არის ქცეული, — ის მხოლოდ იმ ადამიანს აღიქვამს თავის მასწავლებლად და ბუნების მესაიდუმლედ, ვინც ბუნებაზე მოწიწებითა და რწმენით ლაპარაკობს, ვისი სიტყვებიც გულში ჩაწვდომის სასწაულებრივ, ვერმისაბაძ ძალას ფლობენ და განუყოფელი შინაგანი ერთიანობით გამოირჩევიან, სიტყვებით, რომლებიც ჭეშმარიტ სახარებას და წინასწარმეტყველებას გვიცხადებენ. ასეთი ბუნებრივი ზნის თავდაპირველი სასიკეთო მონაცემი სიყმაწვილიდანვე უნდა განვითარდეს და განათლდეს განუხრელი სიბეჯითითა და მოთმინებით, ბავშვურობითა და მოკრძალებით, მარტოობითა და სიჩუმით, რადგან ბევრი ლაპარაკი ყოვლად შეუთავსებელია აუცილებელ გაბმულ ყურადღებასთან. ვერ იტყვი, როდის ეზიარება ასეთი მოწაფე ბუნების საიდუმლოებებს. ზოგი ბედნიერი ადრე მიაღწევს მიზანს, ზოგი კი მხოლოდ ხანდაზმულობაში.

ჭეშმარიტი მკვლევარი არასოდეს დაბერდება. ყოველი მარადიული ლტოლვა სასიცოცხლო დროის მიღმა ვრცელდება, და რაც უფრო მეტად მეტად ცვდება გარსი, მით უფრო მეტად ბრწყინდება და ძლიერდება ბირთვი. და არც გარეგნულ სილამაზეზე, ძალაზე, ცოდნაზე თუ რაიმენაირ ადამიანურ უპირატესობაზე არ არის მიჯაჭვული ეს ნიჭი. ყველა წოდებაში, ყველა ასაკსა და მოდგმაში, ყველა ეპოქასა და ქვეყანაში არსებობდნენ ბუნების რჩეულები, შინაგანი ჩასახვით რომ ბედნიერდებოდნენ. ეს ადამიანები ხშირად სხვებზე უბრალოები და მოუხერხებლები ჩანდნენ, და მთელი ცხოვრება ჩრდილში რჩებოდნენ. დიდ იშვიათობად უნდა ჩაითვალოს, თუკი ბუნების ჭეშმარიტი გაგება იმ კაცს აღმოაჩნდება, ბევრი ლაპარაკი, გაწაფული ჭკუა-გონება და ბრწყინვალე მანერები რომ ახასიათებს, რადგან, საზოგადოდ, ბუნების ნამდვილი წვდომა

უბრალო სიტყვებს, უშუალო გრძნობებსა და სადა ზნეს წარმოშობს. ხელოსანთა და ხელოვანთა სახელოსნოებში, და ყველგან, სადაც ადამიანები ბუნებასთან მრავალგვარ ურთიერთობასა და კამათში ჩართულან, იქნება ეს ყანის მოყვანისას თუ ხომალდით მგზავრობისას, ცხოველების მოვლისას თუ სპილენძის მოპოვებისას, და მრავალი სხვა საქმიანობის დროს ყველაზე ადვილად ვითარდება ბუნების მწვდომი გრძნობა. თუკი ყველა ხელოვნება იმ საშუალებათა ცოდნაში, არჩევასა და გამოყენებაში მდგომარეობს, დასახული მიზნისა და გარკვეული ზემოქმედების მიღწევას რომ სჭირდება, მაშინ იმ კაცმა, რომელიც გრძნობს შინაგან მოწოდებას, ბუნების წვდომას რამდენიმე ადამიანი აზიაროს, მათში უპირატესად სწორედ ეს მონაცემი უნდა განავითაროს და ამ განვითარების ბუნებრიობაზე იზრუნოს, ანუ ასეთი აღზრდის ხელოვნების საფუძვლები თავად ბუნებისაგან უნდა გადმოიღოს. მოპოვებულ შეხედულებათა დახმარებით იგი შექმნის ამ საშუალებათა გამოყენების სისტემას ყოველი მოცემული ინდივიდისთვის, სისტემას, რომელიც ცდას, დაყოფას და შედარებას ეფუძნება და შემდეგ ენთუზიაზმით შეუდგება თავის ღირსეულ საქმეს. მხოლოდ ასეთ კაცს შეიძლება ვუწოდოთ ბუნების მასწავლებელი, რადგან ყველა სხვა ჩვეულებრივ ნატურალისტს, როგორც ბუნების რიგით ქმნილებას, შეუძლია მხოლოდ შემთხვევით და პათეტიკურად გააღვიძოს ვინმეში ბუნების აზრი.

შენიშვნები

„ის დიდი შიფრული დამწერლობა“ — კანტი წერს: „შიფრული დამწერლობა... რითაც ბუნება თავის მშვენიერ ფორმებში გველაპარაკება“ („განსჯის უნარის კრიტიკა“, 42); ლუდვიგ ტიკი რომანში „ფრანც შტერნბალდის მოგზაურობა“ (1798) ვკითხულობთ: „ყველანაირ ქვაში ჩამალულია საიდუმლო შიფრები, რომელსაც ვერასდროს დაწერ, მთლიანად ვერასდროს ამოხსნი“ (I ნაწ. I წიგნი). ნოვალისი კი წერდა: „ერთ დროს ყველაფერი სულთა გამოვლინება იყო. ახლა კი ვეღარაფერს ვხედავთ მკვდარი განმეორების გარდა, რომელიც არ გვესმის. იეროგლიფის მნიშვნელობა გვაკლია. ძველ, უკეთეს დროთა ნაყოფით ვცხოვრობთ“. ასეთი „იეროგლიფური დამწერლობა“, იგივე „ჭეშმარიტი სანსკრიტი,“ „მაღალი რუნები“ ან „ღვთაებრივი დამწერლობა“ მოიაზრება ისტორიულ საისში. „მოსეს გზავნილში“ შილერი უფრო დაწვრილებით აღწერს იეროგლიფური დამწერლობის გავლენას საისელ მოწაფეებზე.

მინისა და გაქვავებული კუპრის ზედაპირზე — 1787 წელს ე. ფ. ფ. ხლადნიმ აღმოაჩინა ჟღერადობა, რომელსაც გამოსცემს გამაგრებული კუპრისა და შეღებილი მინის ზედაპირი, როდესაც მას ხემს უსვამენ.

ალკაჰესტი — სახელგანთქმული გერმანელი ექიმისა და ბუნების მკვლევარის, ფილიპ ფონ ჰოენჰაიმის, იგივე პარაცელსუსის (1493-1541) ვარაუდით ეს იყო ყველა ნივთიერების უნივერსალური გამხსნელი, უწოდებდნენ აგრეთვე “მენსტრუუმ უნივერსალე“-ს .

უგონობა, die Unverständlichkeit — 1978 წელს დაიწერა (და 1800 წელს გამოქვეყნდა) ფრიდრიჰ შლეგელის ნაშრომი „გაუგებრობის შესახებ“ („Über die Unverständlichkeit“), სადაც ვკითხულობთ: „ჯანსაღი ადამიანური გონება... ადვილად მივიდოდა იმ ვარაუდთან, რომ ვერგაგების (გაუგებრობის) მიზეზი არა-გონებაშია“ გერმანულად ორივე სიტყვას „გაუგებრობა“ (ან „გასაგებობა“) და „გონება“ ერთი ძირი აქვს. აზრი ეს არის: გონებისთვის მიუწვდომელი, ანუ გაუგებარია ის, რაც არ არის გონებისმიერი. დაუდგენელია, იცნობდა თუ არა ნოვალისი შლეგელის ამ ნაწერს, ანუ რომელმა გამოთქვა პირველად ეს აზრი.

რუნი — რუნული დამწერლობა, ძველ გერმანულ ტომებში გავრცელებული საიდუმლო, სიმბოლური დამწერლობა; წარმოადგენდა წმინდა ხის ნაფოტებზე ამოკაწრულ გამოსახულებებს; აქ: ბუნების რაიმე საგანი, როგორც სიცოცხლის საიდუმლო დამწერლობის ერთი ასო.

ჭეშმარიტი სანსკრიტი — 1791 წელს გამოიცა სანსკრიტიდან გერმანულ ენაზე თარგმნილი „შაკუნტალა“, რომელსაც ნოვალისი კარგად იცნობდა. მთარგმნელის, გეორგ ფორსტერის შენიშვნებში ნათქვამი იყო: „ახლა სანსკრიტი მხოლოდ წიგნებშიღა გვხვდება, სადაც მას ისეთი მაღალი გრამატიკული წყობა აქვს, რომელიც ნამდვილად იმსახურებს სახელწოდებას „სანსკრიტი“ — „სრულყოფილი“... ანბანს, რითაც ეს ენა და საერთოდ, ყველა ინდური დიალექტია გამოსახული, ჰქვია „ნაგარი“, ზოგჯერ კი „დევა“, ვინაიდან, სწამთ, რომ ის თავად ღვთაებამ ასწავლა და ახლანდელი ხელოვნური წესრიგიც დაუწესა.“

ჩვენს მასწავლებელს — რადგანაც „საისელი მოწაფეები“ ფრაიბერგში დაიწერა, სადაც ნოვალისი სამთო აკადემიაში სწავლობდა, ფიქრობენ, რომ მასწავლებლის პროტოტიპი იქაური პროფესორი ვერნერი უნდა ყოფილიყო. ზოგი კი პროტოტიპად გოეთეს მიიჩნევს.

ბავშვი — იმ სამყაროს ყველაზე უფლებამოსილი ბინადარი, სადაც „ყვავილებსა და ცხოველებს ადამიანური გრძნობები აქვთ“, არის ბავშვი, როგორც ის არსება, რომლის ცნობიერებაც ბევრად უფრო ახლოა საგანთა ჭეშმარიტ არსთან, ვიდრე მკაცრ კატეგორიებში გახლართული გონება უფროსი ადამიანებისა. ამავე დროს „ბავშვი“ ასაკობრივ საფეხურს კი არ გულისხმობს, არამედ შინაგან-თვისობრივს: „როგორც ყველა დიდი არ არის დიდი, ისე ყველა ბავშვი არ არის ბავშვი“, წერს სხვაგან ნოვალისი. ეს შინაგანი ბავშვობა ნოვალისისთვის ადამიანური განვითარების კულმინაციაა, მისი აზრით ადამიანი მხოლოდ „მოჩვენებითად მიდის წინ“; „ღმერთისთვის ჩვენ უკუღმა მივდივართ. მოხუცებულობიდან ახალგაზრდობისაკენ“; ამ მაღალი აზრით ნოვალისი თავად იყო ბავშვი. მზერისთვის გაჩენილი ბავშვი, რომლის ვიზიონშიც სამყარო და მე „ღვთის შვილის“ ექსისტენციად ერთიანდებოდნენ და სამოთხის მონატრება „ოქროს საუკუნედ“ რეალიზდებოდა (ქრისტეს სიტყვების მიხედვით ხომ მხოლოდ ბავშვური სულის ადამიანი შევა ცათა სასუფეველში). „ბავშვი თაურსამყაროა, და დასასრულს — ოქროს საუკუნე.“

ტექსტში შეიძლება იყოს მინიშნება ქრისტეზე, როგორც უმაღლესი რანგის (ღვთაებრივ) ბავშვზე.

ქალწული — საისის ქალღმერთი.

იქაური წარწერა — შილერის „მოსეს გზავნილში“ ვკითხულობთ: „იზიდას ერთ ძველ სვეტზე აღბეჭდილი ნახატის ქვეშ წერია: „მე ვარ, რაც აქ არის“, ხოლო საისის ერთ-ერთ პირამიდაზე უძველესი, უცნაური წარწერა იპოვეს: „მე ვარ ყველაფერი, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება. არცერთ მოკვდავს არ აუწევია ჩემი რიდე.“

შილერის სკეპტიციზმს საბოლოო ჭეშმარიტების შეცნობასთან დაკავშირებით, როგორც ეს გამოიხატა მის ბალადაში „შებურული სურათი საისში“, — უპირისპირდება ნოვალისის ოპტიმისტური რწმენა, რომ ადამიანის ღვთაებრივ ბუნებას ღვთაებრივის შეცნობა ძალუძს.

საერთო წინათგრძნობა — საბერძნეთის იონიურ ნატურფილოსოფიას ახასიათებდა რწმენა, რომ ყველაფრის საწყისი ერთი, ერთიანი მატერიაა. თალესისთვის ეს წყალია, ანაქსიმენესთვის — ჰაერი, ჰერაკლიტესთვის — ცეცხლი.

მჩხრეკელი გონება — იგულისხმება დემოკრიტე. ლევკიპესა და დემოკრიტე აბდერელის ატომიზმს აქ ნოვალისი ურევს ემპედოკლე აგრიგენტელის მოძღვრებაში სიყვარულისა და სიძულვილის, როგორც ელემენტების მამოძრავებელი ძალების შესახებ.

მაშინ მზე დასდებს თავის კვერთხს — იგულისხმება, რომ მზის მიერ გაპირობებული დაყოფა დღისა და წლის დროებად სიმბოლურად გაუქმდება. რომანში „ოფტერდინგენი“ ლაპარაკია „წელიწადის დროთა“ ქორწინებაზე.

ის ცეცხლისმფრქვეველი ხარი — ალბათ იგულისხმება მარათონის ხარი, რომელიც გვიანდელი ბერძნული ლეგენდების მიხედვით ცეცხლს აფრქვევდა. სხვა მოსაზრებით: აქ იგულისხმება ის ორი ცეცხლისმფრქვეველი ხარი, რომლებიც იასონს უღელში ჰყავდა შებმული და ხნავდა. ურჩხულის კბილებიდან, რომლებსაც ის თესავდა, იზრდებოდნენ კაცები, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ. ამას უნდა უკავშირებოდეს სიტყვები: „გამოიყენეთ ის შუღლი.“ არსებობს ასეთი აზრიც, რომ აქ იგულისხმება ორთქლის მანქანა,

„სადაც ადამიანი თავის სამსახურში აყენებს ბრძოლას წყალსა და ცეცხლს შორის.“

ახალი ჯინისტანი — ახალი სამოთხე და სულთა საუფლო. ჯინისტანი „ოფტერდინგენში“ ჩართული ე. წ. „კლინგსორის ზღაპრის“ პერსონაჟია.

სერიოზული კაცი — აქ ნოვალისი აშკარად ეხება ფიჰტეს აზრებს, რომლებიც გამოთქმულია მის ლექციებში „მეცნიერის დანიშნულების შესახებ.“

პატარა წიგნი — რაკი მისი წაკითხვა არავის შეეძლო, ეს ნიშნავს, რომ ის სწორედ იმ საიდუმლო ანბანით იყო დაწერილი, რომელზედაც ტექსტის დასაწყისშივეა ლაპარაკი. წიგნის დაწვა ნიშნავს, რომ იაკინთი გამოცდილების გზას ადგება.

საგანთა დედა... შებურული ქალწული — ბუნება ნოვალისს ეცხადება როგორც „ქალწული და დედა ერთდროულად.“ რომ აქ იგი მხოლოდ ქრისტიანობას არ ეყრდნობა, თავად ქალღმერთ იზიდასკენ მზერის მიპყრობა გვიჩვენებს. მაგრამ ამ კულტებსა და რელიგიებს შორის ნათესაობა

არსებობს და ნოვალისიც „ოფტერდინგენისთვის“ რელიგიათა შერწყმის ამსახველი პასაჟის შეტანას გეგმავდა.

ზეციური ქალწულის წინაშე — „თუ ბუნება სულის მიერ არის შეცნობილი, თუკი ის გამსჭვალული იყო მამრობითი პრინციპით, იგი დახსნილ იქნება და სიყვარულის ოქროს საუკუნე დაბრუნდება.“ როგორც ცნობილი გერმანისტი ჰ. მასონი შენიშნავს: „რა დაემართა როზენბლუტს იაკინთთან განშორების შემდეგ იმ დღემდე, როცა შებურული ქალღმერთის სახით გამოჩნდა, არ არის მოთხრობილი. მაგრამ დიდი ალბათობაა, რომ დარდით გარდაიცვალა. ასე რომ, მისი იაკინთთან იდუმალი ხელახლა შეხვედრა იზიდას ტაძარში ნიშნავს შეყვარებულის დაბრუნებას სიკვდილიდან სიზმარში, როგორც ეს ხდება „ღამის ჰიმნებში“ და „ოფტერდინგენის“ დასასრულის მონახაზში, რადგანაც „მხოლოდ სიზმარს ჰქონდა უფლება, იგი ყოვლად წმიდაში შეეყვანა.“ ვინც ფიქრობს, რომ ბედნიერი დასასრული „იაკინთი კიდევ დიდხანს ცხოვრობდა როზენბლუტთან ერთად“ — ამ ინტერპრეტაციას ეწინააღმდეგება, საკმარისად არ იღებს მხედველობაში მთელი ამ მოთხრობის სიზმარეულ ხასიათს. სიზმარი აქ სინამდვილედ იმკვიდრებს თავს, და ამიტომ არაფერია ისეთი შექცევადი, როგორც დანაშაული და სიკვდილი.“

თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ნოვალისი სიზმარს შეიძლება უწოდებდეს იმ მისტიკურ შინაგან მდგომარეობას, ცნობიერებას, რომელშიც ხორციელდება გარდაცვლილ სატრფოსთან სულიერი შეხვედრა. სოფია კიუნის საფლავზე მას დაეუფლა რეალური განცდა სოფიასთან სულიერი სიახლოვისა. ეს იყო რეალობა და არა სიზმარი. და სწორედ ეს განცდა აისახა შემდეგ „ღამის ჰიმნებსა“ და „ოფტერდინგენში.“ ასე, რომ აქ საქმე პიროვნულ გამოცდილებასთან გვაქვს და არა მხატვრულ მეთოდთან.

პირველად ამ თამაშში — შილერის „წერილები ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ გვესაუბრება „ადამიანისთვის დამახასიათებელ თამაშის ინსტინქტზე, რომელიც შუა ადგილს იკავებს ბუნების ინსტინქტსა და გონების ინსტინქტს შორის.“

იმ ქანდაკებებში — ნოვალისი უნდა გულისხმობდეს ანტიკურ ქანდაკებებს; მან დრეზდენის ანტიკური კოლექცია 1798 წელს დაათვალიერა.

როგორც წმინდა ცეცხლი — ნოვალისი პოეტურ სახედ იყენებს ე. წ. „წმინდა ელმოს ცეცხლს“, სინათლის გაჩენას გამოშვერილ საგნებზე (მაგ. კოშკების ქიმებზე, ანძებზე, მეხამრიდებზე) ჭექა-ქუხილის დროს. ელმო, იგივე ერაზმი გარდაიცვალა იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს.

ცეცხლი — ცეცხლი ნოვალისთან ხშირად არის ჰარმონიისა და კავშირის სიმბოლო. ფრაიბერგის პერიოდის შტუდიებში იგი ძალიან ხშირად წერს ცეცხლზე. მაგ. „ცეცხლი აერთიანებს დაშორებულს და აშორებს დაკავშირებულს. ის ახდენს წყლის კომპონირებასა და დეკომპონირებას.“ „ყველა სინთეზი ცეცხლია.“ ცეცხლი არის „საკუთარ თავზე გადახტომის აქტის სიმბოლო.“ „სიცოცხლის გენეზისის სიმბოლო.“ აქაც ცეცხლის სიმბოლური მნიშვნელობა იკვეთება. „ტკბილი ნაყოფი“ არის წყალი, როგორც ოქსიდაციის, ანუ წვის პროდუქტი, რომელიც გადაიქცევა ცეცხლის მონათესავე, ხელახალი „გაღვრისა“ და „შეკავშირების“ სტიქიად.

წყალი — ნოვალისთან ასევე ხშირად გვხვდება, როგორც გახსნა-განზავებისა და ერთმანეთში შერევის სტიქია. იგი ამავე დროს სიყვარულის, შეერთების, ასევე სექსუალური შერწყმისა და ჰარმონიის სიმბოლოა.

ლალი — ლალს იმთავითვე მისტიური ძალა მიეწერებოდა. ლალი, როგორც სიმბოლო, „ოფტერედინგენშიც“ გვხვდება.

მაგრილებელი ცეცხლი — მკვლევარნი ვარაუდობენ ალქიმიური და როზენკროიცერული ლიტერატურის გავლენას. მაგრამ შეიძლება ღვინის მეტაფორაც იყოს.

თაურხალხი (Urvolk) — უნდა იგულისხმებოდნენ კუნძულ ატლანტიდას მაცხოვრებელნი. ამ კუნძულზე ლაპარაკობს პლატონი თავის „ტიმაიოსში“ და „კრიტიასში.“ ამავე დიალოგებში პლატონი ლაპარაკობს საისზეც, სადაც გაეშურა სოლონი, რათა ქურუმების წყალობით ატლანტიდას საიდუმლოს ზიარებოდა.

ის ღვთაებრივი ენა — „ჭეშმარიტი სანსკრიტი.“

გერმანულიდან თარგმნა, წინათქმა და კომენტარები დაურთო ***ნაირა გელაშვილმა***

ლევ ტოლსტოი

შექსპირისა და დრამის შესახებ

(მოკლე ნარკვევი)

ბატონ კროსბის სტატიამ მშრომელი ხალხისადმი შექსპირის დამოკიდებულების შესახებ, შთამაგონა, გამომეთქვა ჩემი მოსაზრება შექსპირის თხზულებებზე, რომელიც კარგა ხნის წინ ჩამომიყალიბდა, — სრულიად საპირისპირო იმისა, რაც მთელს ევროპულ სამყაროშია დამკვიდრებული. მახსენდება რა, ის ჭიდილი ჩემსავე ორჭოფობასთან, ფარისევლობასა და ძალისხმევასთან, გამეზიარებინა ეს საყოველთაო თაყვანისცემა ჩემი სრულიად საპირისპირო განწყობის მიუხედავად, და მიმაჩნია რა, რომ მრავალი იგივეს განიცდიდა და განიცდის, ვფიქრობ, უსარგებლო არ უნდა იყოს მკაფიოდ და გულახდილად გამოვხატო ჩემი უთანხმოება უმრავლესობის აზრთან. მით უფრო, რომ დასკვნები, რომლებიც ჩემი განსხვავებული თვალსაზრისის მიზეზთა განხილვისას გამოვიტანე, არ უნდა იყოს ინტერესსა და მნიშვნელობას მოკლებული.

შექსპირისადმი გამეფებულ შეხედულებაზე ჩემი საპირისპირო აზრი ანაზდეული განწყობის ან არასერიოზული დამოკიდებულების შედეგი როდია, არამედ ნაყოფია წლების მანძილზე მრავალჯერადი შეუპოვარი ცდებისა, — ჩემი ნააზრევი შექსპირის შესახებ შემეჯერებინა ქრისტიანული სამყაროს ყველა განათლებული ადამიანის შეხედულებასთან.

მახსენდება ჩემი გაკვირვება, რომელიც შექსპირის ნაწარმოებების პირველად წაკითხვისას განვიცადე, რადგან ველოდი, რომ დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მომანიჭებდა, მაგრამ, როცა მის საუკეთესოდ აღიარებულ ნაწარმოებებს: „მეფე ლირს“, „რომეო და იულიას“, „ჰამლეტს“ და „მაკბეტს“ გავეცანი, არათუ სიამოვნება, — არამედ ერთგვარი დაუძლეველი გაღიზიანება შევიგრძენი, შევღონდი და საგონებელში ჩავვარდი იმის გამო, რომ ან მე ვარ უგნური, უვარგისად და მდარედ რომ მივიჩნევ ნაწარმოებებს, რომელთაც მთელი განათლებული სამყარო სრულყოფილების მწვერვალად აღიარებს, ანდა ის მნიშვნელობაა უაზრო, რომელსაც ეს განათლებული სამყარო ანიჭებს შექსპირის ნაწარმოებებს. ჩემს გაოცებას კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ მე ყოველთვის საღად აღვიქვამდი პოეზიის სიმშვენიერეს მის ყოველნაირ გამოვლინებაში; მაშ რატომ იყო, რომ მთელს მსოფლიოში შექსპირის გენიალურად აღიარებული მხატვრული ნაწარმოებები ჩემში მოწონებას კი არა, გაღიზიანებას იწვევდა? კარგა ხანს საკუთარ თავში არ ვიყავი დარწმუნებული და ჩემივე თავის გადასამოწმებლად, ორმოცდაათი წლის მანძილზე რამდენჯერმე გადავიკითხე შექსპირის თხზულებები ყველა შესაძლო ვარიანტში: რუსულადაც, ინგლისურადაც, გერმანულად კი, როგორც მირჩიეს, შლეგელის თარგმანში. რამდენჯერმე წავიკითხე მისი დრამები, კომედიები, ქრონიკები და ყოველთვის ერთი და იგივე განცდა მეუფლებოდა: ერთგვარი გაღიზიანება, მოწყენილობა და გაოცება. და ახლაც, ამ სტატიის დაწერამდე, 75 წლის მოხუცმა, კიდევ ერთხელ ვცადე შემემოწმებინა თავი და კვლავ გადავიკითხე მთელი შექსპირი, დაწყებული „ლირით“, „ჰამლეტით“, „ოტელოთი“ და დამთავრებული ჰენრიხის ქრონიკებით, „ტროილოსითა და კრესიდათი“, „ქარიშხლით“, „ციმბელინით“, და კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით დამეუფლა იგივე განცდა, ოღონდაც ამჯერად არა გაოგნების, არამედ მტკიცე, ურყევი რწმენისა, რომ დიდი, გენიალური მწერლის ის უდავო აღიარება, რომლითაც შექსპირი სარგებლობს და რაც ჩვენი დროის მწერლებს აიძულებს, მიბაძონ მას, ხოლო მკითხველებსა და მაყურებლებს კი, ეძიონ მასში არარსებული ღირებულებები, რყვნის მათ ესთეტიკურ და ეთიკურ შეხედულებებს, რაც ისეთივე უდიდესი ბოროტებაა, როგორც ყოველგვარი სიცრუე.

მე ვიცი, ადამიანთა უმრავლესობა იმდენადაა დარწმუნებული შექსპირის სიდიადეში, რომ, როცა ჩემს მოსაზრებებს გაეცნობა, მათ შესაძლო მართებულობას არც კი დაუშვებს და ყურადღების ღირსადაც არ ჩათვლის, მაგრამ მაინც ვეცდები, როგორადაც შევძლებ, დავამტკიცო, თუ რატომ მიმაჩნია, რომ შექსპირი, არათუ დიდ და გენიალურ, არამედ საშუალო დონის, უმნიშვნელო მწერლადაც კი არ უნდა აღიარონ.

ზემოთქმულის დასადასტურებლად განვიხილავ შექსპირის ერთ-ერთ ყველაზე მეტად ხოტ-

ბაშესხმულ დრამას — „მეფე ლირს“, რომლის ქება-დიდებას კრიტიკოსთა უდიდესი ნაწილი ერთსულოვნად იზიარებს.

„ლირის ტრაგედია დამსახურებულადაა გამორჩეული შექსპირის დრამებს შორის, — აღნიშნავს დოქტორი ჯონსონი*, — ალბათ არც მოიძებნება მეორე ისეთი დრამა, ასე ძალუმად რომ იპყრობდეს ყურადღებას, ასე ძლიერად იწვევდეს ჩვენში ვნებათაღელვას და აღგვიძრავდეს ცნობისმოყვარეობას.“

„ჩვენ ვისურვებდით გვერდი აგვევლო ამ დრამისათვის და არაფერი გვეთქვა მის შესახებ, — ამბობს ჰაზლიტი*, — იმიტომ რომ, ყველაფერი, რასაც მასზე ვიტყვით, იქნება არათუ საკმარისი, არამედ ბევრად უფრო ნაკლები იმაზე, რა აზრიც სინამდვილეში შეგვექმნა. ვცადოთ აღვწეროთ თვით დრამა, ან ის შთაბეჭდილება, რასაც ის ახდენს ადამიანზე, — ნამდვილი თავხედობაა (mere impertinence), და მიუხედავად ამისა, ჩვენ რაიმე მაინც უნდა ვთქვათ მის შესახებ. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ის შექსპირის საუკეთესო ნაწარმოებია, ყველაზე მეტად გულთან ახლოს რომ მიჰქონდა. (he was the most in carnest)“.

„გამოგონილის ორიგინალობა რომ არ იყოს შექსპირის ყველა პიესისათვის საერთო მახასიათებელი თვისება — აღნიშნავს ჰალამი*, — რომელიმე მისი ნაწარმოების სხვაზე ორიგინალურად აღიარება, თუ ეს დანარჩენი პიესების განსჯად არ ჩაითვლება, მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ შექსპირის გენია ყველაზე უკეთ და მკაფიოდ „ლირში“ გამოვლინდა. მართალია ეს დრამა უფრო მეტად სცილდება ტრაგედიის ჭეშმარიტ ნიმუშს, ვიდრე „მაკბეტი“, „ოტელო“, ან თუნდაც „ჰამლეტი“, მაგრამ მისი ფაბულა უკეთაა აგებული და თითქმის ისევე ავლენს ლამის ზეადამიანურ აღმაფრენას, როგორც ეს ტრაგედიები“.

„მეფე ლირი“ შესაძლებელია მიჩნეულ იქნას მსოფლიო დრამატული ხელოვნების ყველაზე სრულყოფილ ნიმუშად, ამბობს შელლი*.

„მე არ ვისურვებდი შექსპირის „არტურზე“ საუბარს, — ამბობს სუინბორნი*. — შექსპირის თხზულებათა სამყაროში არის ისეთი ერთი, ან ორი სახე, რომელთაც ვერანაირი სიტყვით ვერ შეაფასებ. ასეთი სახეა — კორდელია. შეუძლებელია გადმოსცე, თუ რა ადგილი უკავიათ ასეთ სახეებს ჩვენს სულიერ სამყაროსა და ცხოვრებაში. ადგილი, რომელიც მათ მიეგება ჩვენი გულის იდუმალ კუნჭულში, შეუღწევადია სინათლისა და ყოველდღიური ყოფიერების ხმაურისათვის. კაცობრიობის უმაღლეს შემოქმედებას, ისევე როგორც მის შინაგან სამყაროს, აგებული აქვს სამლოცველოები, სადაც ადამიანის თვალსა და კვალს არაფერი ესაქმება. სიყვარული, სიკვდილი, მეხსიერება დუმილით ინახავს ზოგიერთ ძვირფას სახელს ჩვენთვის. რა თქმა უნდა, ეს გენიის დიდების უმაღლესი მწვერვალი, პოეზიის უზენაესი ნიჭი და სასწაულია, რომელსაც შეუძლია ჩვენს გულში დაუნჯებულ მოგონებათა რიცხვს პოეტურ ნაწარმოებთა ახალი სახელები შემატოს“.

„Lear c`est l`occasion de Cordelia, — ამბობს Victor Hugo. — Lla maternite` de la fille sur le pe`re; sujet profond; maternite` ve`ne`rable entre toutes, si admirablement traduite par la ie`gende de cette romaine norrice, au fond d`un cachot, de son pe`re vieillard. La jeune mamelle pre`s de la barbe blanche, il n`est point de spectacle plus sacre`. Cette mamelle filiale, c`est Cordelia.

Une fois cette figure re`vee et truvee, Shakespeare a cree` son drame…Shakespeare`, pontant Cordelia dans sa pese`e a cree` cette tragedie comme un Dieu, qui ay ant une aurore a` placer, ferait tout expre`s un monde pour l`y mettre“.[1]

„ლირში შექსპირმა მისეული მზერით მოიხილა საშინელებათა უფსკრული და ამ დროს, მის სულს არ განუცდია არც კრთომა, არც თავბრუსხვევა და არც არანაირი სისუსტე, — ამბობს ბრანდესი*. — რაღაც მოწიწებისმაგვარი გეუფლება ამ ტრაგედიასთან შეხებისას, ისეთივე გრძნობა, როგორც სიქსტის კაპელის ზღურბლთან მდგომს მიქელანჯელოს მიერ მოხატული

[1] (ფრ.) „ლირი” — საბაბია კორდელიას შესაქმნელად — ამბობს ვიქტორ ჰიუგო. — დედობრივი სიყვარული ქალიშვილისა მამისადმი; ღრმა თემაა; უზენაესი გრძნობა, რომელიც ასე დიდებულადაა გადმოცემული იმ რომაელი ქალის ლეგენდაში, დილეგში ძუძუს რომ აწოვებდა მამას. ახალგაზრდა მკერდი, რომელიც კვებავს თეთრწვერა მოხუცს, — უფრო წმინდა სურათი წარმოუდგენელია. კორდელია განსახიერებაა ქალიშვილის ასეთი სიყვარულისა.

პლაფონის ხილვისას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აქ განცდა ბევრად უფრო მტანჯველია, გლოვის ზარი უფრო მეტად ისმის და სილამაზის ჰარმონია უფრო იშვიათად ირღვევა სასოწარკვეთის დისონანსებით“.

ასეთია კრიტიკოსთა მსჯელობა ამ დრამის ირგვლივ, და მე მიმაჩნია, რომ არ ვცდები, როცა მას ვირჩევ ნიმუშად შექსპირის საუკეთესო დრამებს შორის. ვეცდები, რაც შეიძლება მიუკერძოებლად გადმოვცე მისი შინაარსი და შემდგომ ამისა, ავხსნა, თუ რატომ არის ეს დრამა არა სრულყოფილების მწვერვალი, როგორც ამას განსწავლული კრიტიკოსები მიიჩნევენ, არამედ სრულიად სხვა რამ.

II

ლირის დრამა სამეფო კარის ორი მსახურის, კენტისა და გლოსტერის დიალოგით იწყება. კენტი გლოსტერს იქვე მყოფ ახალგაზრდა მამაკაცზე ეკითხება, მისი შვილი ხომ არ არის. გლოსტერი პასუხობს, რომ არაერთხელ გაწითლებულა ამ შეკითხვის გამო, ახლა კი ამგვარი რამ აღარ ემართება. კენტი მიუგებს, რომ ვერ გაიგო მისი სიტყვები, მაშინ გლოსტერი შვილის თანდასწრებით პასუხობს: „ამ ყმაწვილ-კაცის დედას კი, ძალიან კარგად ესმოდა... და დაუმსხვილდა წელი კიდეც ისე, რომ ჩვეულებრივი სარტყელი აღარ ჰსწვდებოდა. ბოლოს ასეთი საქმეც დაემართა, რომ ჯერ ქმარი საწოლში არ ჰყოლია, და შვილს კი აკვანში რწევა დაუწყო. მე ჩემო ბატონო კანონიერი შვილიცა მყავს, — აგრძელებს გლოსტერი, — მართალია, ამ თავლაფიანმა მაშინ გამოჰყო ქვეყანაზედ ურცხვად თავი, როცა არავინ ეპატიჟებოდა, მაგრამ მაინც და მაინც უნდა ითქვას, რომ ამის დედა მშვენიერი რამ იყო... მაგის ჩასახვაში მე ბევრი სიამოვნება მიმიღია. ცოდვაც არის, რომ ეგ ცოდვის შვილობით დავიწუნო“.[1]

ასეთია შესავალი. გლოსტერი ისეთ უხამსობებს ამბობს, რაც არ ესადაგება კეთილშობილური ბუნების მქონე ადამიანს. არ შეიძლება დაეთანხმო კრიტიკოსთა მოსაზრებას, რომ გლოსტერის ეს სიტყვები გამიზნულია ადამიანთა იმ ზიზღის გამოსახატავად, რის გამოც ასე იტანჯება უკანონოდ შობილი ედმუნდი. ეს რომ ასე იყოს, ჯერ ერთი, არ არის აუცილებელი, მამამ გამოთქვას ადამიანთა ეს სიძულვილი, მეორე კი ისაა, რომ ედმუნდს თავის მონოლოგში, როცა იგი, უკანონოდ გაჩენის გამო, მის მიმართ ადამიანთა უსამართლო სიძულვილს გმობს, მამის ეს სიტყვები ერთხელ მაინც უნდა ეხსენებინა. მაგრამ ეს ასე არ ხდება. და პიესის დასაწყისშივე გლოსტერის სიტყვების დანიშნულება უთუოდ ისაა, რომ სასეიროდ აუწყოს მაყურებელს, რომ გლოსტერს კანონიერი და არაკანონიერი შვილები ჰყავს.

მხოლოდ შექსპირს შეეძლო ეოცნება ასეთ სახეზე და მიაგნო კიდეც მას, მან შექმნა საკუთარი დრამა. დიდხანს ატარა რა ჩანაფიქრში ეს ყოველივე, მან შექმნა ტრაგედია, ისევე, როგორც ღმერთმა შექმნა განზრახ დედამიწა, სადაც აისი ამობრწყინდებოდა.

ამის შემდეგ, საყვირების თანხლებით ქალიშვილებთან და სიძეებთან ერთად შემოდის მეფე ლირი, რომელიც აცხადებს, რომ ხანდაზმულობის გამო სურს სახელმწიფო საქმეებს განერიდოს და სამეფო ქალიშვილებს შორის გაანაწილოს, რომ მეტ წილს ქალიშვილთაგან მიიღებს ის, ვინც მას ეტყვის, რომ ყველაზე მეტად მამა უყვარს. უფროსი ქალიშვილი გონერილა ამბობს, რომ სიტყვები არ ჰყოფნის მამისადმი სიყვარულის გამოსახატავად, რომ მას მამა თვალის ჩინზე მეტად, სივრცეზე, თავისუფლებაზე მეტად უყვარს, უყვარს იმდენად, რომ მის გარეშე სუნთქვაც კი უჭირს. მეფე ლირი მაშინვე მოუნიშნავს მას რუკაზე მინდვრების, ტყეების, მდინარეების, მდელოების ნაწილს და იგივეს ეკითხება მეორე ქალიშვილს, რეგანას. რეგანა ამბობს, რომ მისმა დამ მართებულად, მაგრამ არასაკმარისად გამოხატა თავისი გრძნობები. მას კი, რეგანას, მამა ისე უყვარს, რომ არაფერი სწამს მისი სიყვარულის გარდა. მეფე მასაც აჯილდოებს და ახლა მისთვის ყველაზე საყვარელ უმცროს ქალიშვილს კორდელიას ეკითხება თუ როგორ უყვარს მამა. რომლითაც, როგორც ლირი ამბობს, საფრანგეთის ღვინოები და ბურგუნდიის რძეა დაინტერესებული, ანუ მის ხელს საფრანგეთის მეფე და ბურგუნდიის ჰერცოგი თხოულობენ. კორდელია, — მანკიერი დებისაგან განსხვავებით უზადო სათნოების განსახიერება, სრუ-

[1] აქ და შემდეგში მოხმობილი ტექსტი ციტირებულია ივ. მაჩაბლისა და ილ. ჭავჭავაძის „მეფე ლირის” თარგმანიდან.

ლიად მოულოდნელად, თითქოს განზრახ, მამის გასაბრაზებლად, განაცხადებს: მართალია მას უყვარს იგი, მადლიერია და პატივს მიაგებს მამას, მაგრამ თუ გათხოვდება, მამასთან ერთად მეუღლეც ეყვარება. ამის გამგონე მეფე წყობილებიდან გამოდის და თავის უსაყვარლეს ქალიშვილს საშინლად და უცნაურად სწყევლის: „The barbarous Schythian or he that makes his generations messes to gorge his appetite, shall to my bosom be as well neighboured, pitied and relieved, as thou, my sometime daughter“[1] .

გრაფი კენტი გამოესარჩლება რა კორდელიას, ცდილობს გონს მოაგოს მეფე, საყვედურობს მას უსამართლობის გამო და საზრიანად მსჯელობს პირფერობის მანკიერებაზე. მეფე ყურს არ უგდებს კენტს, მოკვლით ემუქრება მას და აძევებს. შემდეგ კი მიმართავს კორდელიას საქმროებს, საფრანგეთის მეფესა და ბურგუნდიის ჰერცოგს — მზითევის გარეშე შეირთონ იგი. ბურგუნდიის ჰერცოგი მაშინვე მიუგებს, რომ მზითევის გარეშე არ მოიყვანს ცოლად კორდელიას. საფრანგეთის მეფე კი თანახმაა და უმზითვოდ მიჰყავს კორდელია. ამის შემდეგ, უფროსი დები საუბრისას უკვე აუგად იხსენიებენ მამას, რომელმაც ისინი ცოტა ხნის წინ დაასაჩუქრა. ასე მთავრდება პირველი სცენა.

მეფე ლირის მაღალფარდოვან, უხასიათო მეტყველებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომლითაც შექსპირის ყველა მეფე საუბრობს, შეუძლებელია მკითხველმა ან მაყურებელმა დაიჯეროს, როგორი მოხუცი და ჭკუასუსტიც არ უნდა იყოს მეფე, რომ იგი მაშინვე ირწმუნებდა ბოროტი ქალიშვილების სიტყვებს, ვისთანაც მთელი სიცოცხლე გაატარა და არ დაუჯერებდა უსაყვარლეს ქალიშვილს, დასწყევლიდა და გააგდებდა მას. ამიტომაცაა, რომ მაყურებელს ან მკითხველს არ შეუძლია გაიზიაროს ამ არაბუნებრივ სცენებში მონაწილე სახეთა განცდები.

„ლირის“ მეორე სცენა იწყება იმით, რომ გლოსტერის არაკანონიერი შვილი ედმუნდი საკუთარ თავთან მსჯელობს და განსჯის ადამიანთა უსამართლობას, კანონიერი შვილის უფლებასა და პატივს რომ აღიარებს, ხოლო არაკანონიერის უფლებასა და პატივს კი არ ცნობს. იგი გადაწყვეტს საბოლოოდ გასწიროს ედგარი და დაიკავოს მისი ადგილი — ამ მიზნით, ყალბ წერილს ადგენს — ვითომ ედგარმა მას მოსწერა, რომ მამის მოკვლა აქვს განზრახული. ედმუნდი, დაელოდება რა მამამისის მოსვლას, თითქოსდა თავის ნების საწინააღმდეგოდ, აჩვენებს მას ამ წერილს და გლოსტერიც მაშინვე იჯერებს, რომ მისი შვილი, რომელიც მას განსაკუთრებული სინაზით უყვარს, მოკვლას უპირებს. გლოსტერი მიდის, შემოდის ედგარი და ახლა მას შთააგონებს ედმუნდი, რომ მამას რატომღაც მისი მოკვლა გადაუწყვეტია. ედგარიც უყოყმანოდ იჯერებს ამას და მამასთან გარბის. გლოსტერისა და მისი ორი შვილის ურთიერთობა და მათი განცდები ისეთივე არაბუნებრივია, მეტი თუ არა, როგორც ლირისა და მისი ქალიშვილების ურთიერთდამოკიდებულება და ამიტომაცაა, რომ მაყურებელს უჭირს გაიზიაროს გლოსტერისა და მისი შვილების სულიერი მდგომარეობა.

მეოთხე სცენაში მეფე ლირს, რომელიც უკვე გონერილასთან დაბინავდა, გამოეცხადება მის მიერ გაძევებული კენტი, რომელიც ისეა გადაცმული, რომ ლირი ვერ ცნობს მას. ლირი ეკითხება: — „მაინც ვინა ხარ?“ — რაზეც კენტი მისი მდგომარეობისთვის სრულიად შეუფერებლად, მასხარასავით პასუხობს: „პატიოსანი გულის კაცი და ისე ღარიბი, როგორც მეფე“. „თუ როგორც მეფეა ღარიბი მეფობის კვალობაზედ, შენც ისე ხარ — გლეხობის კვალობაზედ, მაშინ მართლა რომ ღარიბი ყოფილხარ...“— მიუგებს ლირი. „რა ხნისა ხარ?“ — ეკითხება მეფე. „არც ისე ყმაწვილი ვარ, რომ დედაკაცი მარტო სიმღერისა გამო შევიყვარო, არც ისე ხნიერი, რომ ყველაფერზედ სიყვარულით ავპილპილდე.“ — ამ პასუხზე მეფე კენტს განუცხადებს: „თუ შენ სადილის შემდეგაც ეგრე მომაწონებ თავს, მაშინ ჩემგან არ მოგიშორებ“.

ეს დიალოგი სრულიად არ შეესაბამება არც ლირის მდგომარეობას და არც კენტის მისდამი დამოკიდებულებას. როგორც ჩანს, ეს სიტყვები მხოლოდ იმიტომ გაისმის ლირისა და კენტის ბაგეთაგან, რომ ავტორი მათ გონებამახვილ და ხუმარა ადამიანებად მიიჩნევს.

შემოდის გონერილას მსახურთუხუცესი და ლირს უხეშად მიმართავს, რის გამოც კენტი მას ძირს დასცემს. მეფე, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ცნობს კენტს, ფულით ასაჩუქრებს მას და თავის მსახურად იტოვებს. ამის შემდეგ მოდის მასხარა და იწყება შექმნილ ვითარებასთან სრულიად შეუსაბამო, არაფრისმთქმელი, გაუთავებელი, თითქოსდა გონებამახვილური საუბარი

[1] „ბარბაროზ სკვითი, ან თვისთ შვილთა ხორცის მჭამელი იქმნეს ჩემს მიერ უფრო მეტად შეთვისტომებულ, დაახლოებულ, შეწყნარებულ და შეყვარებულ, ვიდრე შენ, ჩემო უწინდელთ, ყოფილო შვილო!“

მეფესა და მასხარას შორის. ასე მაგალითად: მასხარა მიმართავს „აბა, ნათლი, ერთი კვერცხი მომეცი და ორ crown-ს მოგცემ“. მეფე ეკითხება: „რა crown-ს ყბედობ?“ — „იმაზედ, ჩემო ბიძიავ, რომ შენგან ბოძებულის კვერცხის ნაჭუჭები მაინც შეგრჩება და გვირგვინად მოიხმარებ, თორემ ამას წინად, რომ შენი crown (გვირგვინი) შუაზე გაჰყავ და სულ მთლიანად შენს ქალებს გადააყლაპე, შენ რა გარგუნეს? ვაი შენ ჩემო თავო! მეფეს ვირი ზურგზედ აგკიდეს და ტალახში გაგაყვანინეს. არა, მაგ მოტვლეპილ კეფაში ტვინი არ გქონდა, რომ ოქროს crown (გვირგვინი) გადიგდე? მე მართალია მასხარა ვარ, მაგრამ ვინც ამ ჩემს თქმულს მართლადა მასხარობაში ჩამომართმევს, აბა მითხარი იმას უნდა აი!“

გონერილას მოსვლისთანავე წყდება ასეთი სახის ხანგრძლივი საუბარი, რაც მაყურებელს და მკითხველს ისეთ უხერხულ მდგომარეობაში აგდებს, უგერგილო ხუმრობისას რომ განიცდის ადამიანი. გონერილა მამისაგან მოითხოვს შეამციროს ამალა და ასი მხლებლის ნაცვლად ორმოცდაათით დაკმაყოფილდეს. ამის გამგონე, ლირს რაღაც უცნაური, არაბუნებრივი ბრაზი ეუფლება და კითხულობს: „ნუთუ აქ მე აღარავინა მცნობს?..არა, მე ლირი არა ვარ? ლირი ასე არ დადის? ასე არ ლაპარაკობს? რას აუბმია იმისათვის თვალები? გონება გაფრთხობია, თუ ცნობა მიხდია? სძინავს, თუ ღვიძავს? არა, აქ სხვა რამ უნდა იყოს. ერთი მითხარით, მე ვინა ვარ? ლირის აჩრდილი?! „ — და ა.შ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მასხარა გამუდმებით ეჩრება უკბილო ხუმრობებით. შემოდის გონერილას მეუღლე და ცდილობს ლირი დაამშვიდოს, მაგრამ ლირი წყევლის გონერილას, უსურვებს მას უშვილობას, ან ისეთი შვილის გაჩენას, რომელიც დაცინვითა და სიძულვილით უპასუხებდა მის დედობრივ მზრუნველობას და ამით განაცდევინებდა იმ საშინელებასა და ტკივილს, რასაც შვილების უმადურობა იწვევს.

ლირის ეს სიტყვები, ჭეშმარიტ განცდებს თუ გამოხატავდა, გულს აუჩუყებდა ადამიანს, მაგრამ ეს ასე არ ხდება, ვინაიდან სიტყვები უსასრულოდ ვრცელ და მაღალფარდოვან ტირადებში გადადის, რომლებსაც ლირი გაუთავებლად, სრულიად უადგილოდ წარმოთქვამს. იგი დროდადრო, რატომღაც მოუწოდებს ნისლსა და ბურუსს, თავს დაატყდეს მის ქალიშვილს, ან კიდევ წყევლამ განგმიროს მისი გრძნობები, ანდა საკუთარ თვალებს მიმართავს, რომ თუ ისინი აცრემლდებიან, ამოითხრის მათ და მათგან ნაწური წყლით მიწას მოალხობს და ა. შ.

ამის შემდეგ, ლირი კენტს მეორე ქალიშვილთან აგზავნის და წერილს ატანს მასთან, მერე კი, მიუხედავად იმისა, რომ სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი გონერილასთან საუბრის გამო, სახუმაროდ იწვევს მასხარას. თუმცა მათი უკბილო ხუმრობა, რომელსაც თითქოს ბოლო არ უჩანს, დაღლილობისა და უსიამოვნო შეგრძნების გარდა არაფერს იწვევს. ასე მაგალითად, მასხარა მეფეს ეკითხება: იცი თუ არა შენ, ადამიანს ცხვირი რატომ აზის სახის შუაგულში? ლირი პასუხობს, რომ არ იცის.

„მათ, რომ ერთი თვალი აქედ უჯდეს და მეორე იქით: რასაც კაცი სუნით ვერ აიღებს, ის თვალით დაინახოს“— მიუგებს მასხარა.

— არ იცი, სადაფი სადაფს როგორ იკეთებს? — ეკითხება მასხარა.

— არ ვიცი.

— არც მე ვიცი, ეს კი ვიცი, რისთვისაც იკეთებს.

— რისთვის?

— მისთვის, რომ თავი შიგ შეაფაროს და არა იმისათვის, რომ ის თავის ქალებს მიუბოძოს და თითონ კი თავ-შეუფარებელი დარჩეს.

— ... მზად არიან ცხენები?

— შენი ვირები წავიდნენ ცხენების მოსაყვანად. — ერთი ეს მითხარ, ცაზედ როცა შვიდი ვარსკვლავია, შვიდი რად არის?

— იმიტომ, რომ რვა არ არის,— ამბობს ლირი.

— ეგ კარგი მოგივიდა. შენ კარგ მასხარად გამოდგებოდი.— მიუგებს მასხარა და ა.შ.

ამ ხანგრძლივი სცენის შემდეგ შემოდის რაინდი და ამბობს, რომ ცხენები მზად არიან. მასხარა ამბობს: —„She that is a maid now and laughs at my departure, shall not be amaid long unless things be cut shorter“[1], — და მიდის.

[1] ის ქალიშვილი, ჩემს წასვლას რომ დასცინის ახლა, ქალიშვილობას დიდხანს ვეღარ შეინარჩუნებს, თუკი რაიმე არ შეიცვლება (ინგლ.). — რედ.

მეორე მოქმედების მეორე სცენა იწყება იმით, რომ ბოროტი ედმუნდი ითანხმებს თავის ძმას, როცა მამა შემოვა, თავი მოაჩვენონ, თითქოს ერთმანეთს დაშნით ებრძვიან. ედგარი თანხმდება, თუმცა სავსებით გაუგებარია, რატომ აკეთებს ამას. მამა შეესწრება შვილების ორთაბრძოლას. ედგარი გარბის, ედმუნდი კი დაშნით ხელს გაიკაწრავს და არწმუნებს მამას, რომ ედგარი რაღაც ჯადოქრობით აპირებდა მამამისის მოკვლას და დახმარება სთხოვა ამაში, რაზედაც უარი მიიღო. მაშინ ედგარი თავს დაესხა მას და ხელში დაჭრა. გლოსტერი მაშინვე იჯერებს ყველაფერს, შეაჩვენებს ედგარს და უფროსი, კანონიერი შვილის ყველა უფლებას ედმუნდს გადასცემს.

მეორე სცენაში, გლოსტერის სასახლის წინ, ლირის ახალი მსახური, კენტი, რომელსაც ლირი ჯერ კიდევ ვერ ცნობს, ყოველგვარი საბაბის გარეშე ლანძღავს გონერილას მსახურთუფროსს ოსვალდს იმ სიტყვებით, რომლებსაც ვერცერთი კომენტატორი ვერ ახსნიდა: „არამზადა, ნაცარქექია, ფეხთამლოკი, ნაბიჭვარი, დიდგულა, ფუღურო, მათხოვარა, ორპირი, მყრალი, მურტალი, ლაჩარი, გაქნილი, ძაღლის გავარდნილი“ და ა.შ., ამასთან ერთად ხმალს იძრობს და ოსვალდისაგან მოითხოვს შეებრძოლოს მას, თანაც ეუბნება, რომ მისგან დარჩება a sop o'the moonshine[1]. როდესაც კენტს გააჩერებენ, იგი კვლავ აგრძელებს ოსვალდის ლანძღვა-გინებას უცნაური სიტყვებით, რომ ოსვალდი თერძისაგან არის შეკერილი, იმიტომ, რომ ხარატი და მხატვარი ასეთ მახინჯს ვერ შექმნიდნენ, მთელი ორი საათი რომ ემუშავათ ამაზე, და მისთვის ნება რომ დაერთოთ, ოსვალდს დანაყავდა, ტალახივით აზელდა და მერე იმით საჭირო ოთახის კედლებს გალესავდა.

დასასრულ, კენტს, რომელსაც კვლავ ვერავინ ცნობს, ვერც მეფე, ვერც კორნვალიის ჰერცოგი და ვერც გლოსტერი, არ წყნარდება, სანამ მას ხუნდებს არ დაადებენ.

მესამე სცენა ტყეში ვითარდება. ედგარი, რომელიც მამისგან გამოგზავნილ მდევრებს გაურბის და ტყეში იმალება, მაყურებელს უამბობს, როგორები არიან შეშლილები, ნეტარნი, შიშვლები რომ დადიან, სხეულში ხიწვებს, ქინძისთავებს იყრიან, ველური ხმით გაჰკივიან და მოწყალებას ითხოვენ. ედგარი ამბობს, რომ მასაც სურს ასეთი შეშლილის სახე მიიღოს, რათა თავი დააღწიოს მდევრებს. ამ მონოლოგის შემდეგ იგი სცენიდან გადის.

მეოთხე სცენა ისევ გლოსტერის ციხე-დარბაზთან მიმდინარეობს. შემოდიან ლირი და მასხარა. ლირი დაინახავს რა, ხუნდებდადებულ კენტს, რომელსაც კვლავაც ვერ ცნობს, რისხვას დაატეხს თავს მათ, ვინც მისი მსახურის შეურაცხყოფა გაბედა და ითხოვს რეგანასა და ჰერცოგის დაუყოვნებლივ მოსვლას. მასხარა კვლავ თავის ნართაულებს აფრქვევს. ლირი ძლივძლივობით იოკებს რისხვას. მოდიან ჰერცოგი და რეგანა. ლირი საყვედურს გამოთქვამს გონერილას მისამართით, მაგრამ რეგანა ამართლებს თავის დას. ლირი წყევლის გონერილას. როდესაც რეგანა მას ურჩევს, რომ უმჯობესია იგი გონერილასთან დაბრუნდეს, ლირი ბრაზდება და ეუბნება: „რაო, ბოდიშიც უნდა ვსთხოვო?!“, მერე დაიჩოქებს და წარმოადგენს, რა უხამსობა იქნებოდა, თუ იგი შესთხოვდა თავის ქალიშვილს, საკვები და ტანსაცმელი გაემეტებინა მისთვის. მერე კვლავ უცნაურ წყევლა-კრულვას უგზავნის გონერილას და კითხულობს, ვინ გაბედა ხუნდები დაედო მისი მსახურისათვის. ვიდრე რეგანა პასუხს გასცემდეს, შემოდის გონერილა. ლირი კიდევ უფრო მრისხანე ხდება და ისევ წყევლის გონერილას. ამასობაში მას ეტყვიან, რომ მისი მსახურისათვის ხუნდების დადების ბრძანება ჰერცოგმა გასცა, რაზეც აღარაფერს ამბობს, ვინაიდან ამ დროს რეგანა მას ეტყვის, რომ ახლა არ შეუძლია მას მამის მიღება და უმჯობესია იგი გონერილასთან დაბრუნდეს, ერთი თვის შემდეგ კი მას ესტუმროს, ოღონდაც არა ასი, არამედ ორმოცდაათი მსახურის თანხლებით. ლირი ისევ ლანძღავს გონერილას და უარს ამბობს მასთან წასვლაზე, ვინაიდან ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ რეგანა მაინც მიიღებს მას ასი მსახურის თანხლებით. მაგრამ რეგანა განუცხადებს, რომ იგი მეფეს მხოლოდ ოცდახუთ მსახურთან ერთად მიიღებს. მაშინ ლირი გადაწყვეტს გონერილასთან დაბრუნდეს და როდესაც გონერილა განუცხადებს, რომ ოცდახუთი მსახურიც ზედმეტია, ამას ლირის ვრცელი მსჯელობა მოჰყვება იმის თაობაზე, რომ ზედმეტისა და საკმარისის ცნებათა არსი პირობითია, და რომ ადამიანს დაუტოვო მხოლოდ ის, რაც მისთვისაა საჭირო, იგივეა რომ ადამიანი პირუტყვად ჩათვალო. ამ ასთან ერთად, ლირი, უფრო სწორად კი მსახიობი, რომელიც ლირის როლს ასრულებს, მაყურებელთა შორის მყოფ მორთულ-მოკაზმულ ქალბატონს მიმართავს, თუ რა საჭიროა

[1] გატარებული ხორცი მთვარის სოუსით (ინგლ.) — რედ.

მისთვის ასეთი მორთულობა, იგი ხომ მას არ ათბობს. ამის შემდეგ ლირი კვლავ განრისხდება, ამბობს, რომ რაღაც სასწაულს მოიმოქმედებს, რათა სამაგიერო მიუზღოს ქალიშვილებს, თუმცა ტირილს კი არასოდეს იკადრებს და მიდის. ისმის მოახლოებული ქარიშხლის ხმა.

ასეთია მეორე მოქმედება, აღსავსე არაბუნებრივი მოვლენებითა და კიდევ უფრო არაფრისმთქმელი საუბრებით, რაც არაფრით ესადაგება იმ პირების მდგომარეობას, რომლებიც ამ სიტყვებს წარმოთქვამენ. მოქმედება ლირისა და მისი ქალიშვილების სცენით მთავრდება, რაც შთამბეჭდავი იქნებოდა, რომ არა ლირის აბდაუბდა და ყოვლად უაზრო ქადაგება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შექმნილ ვითარებასთან. ძალზე ამაღელვებელად იმოქმედებდა ლირის ყოყმანიც, სიამაყესა, მრისხანებასა და ქალიშვილის მიერ დათმობაზე წასვლის იმედს შორის, ამ განცდებს რომ არ აუფერულებდეს ლირის უხვსიტყვიანი აბდაუბდა, რომ იგი გასცილდება მკვდარ მეუღლეს, თუკი რეგანას არ გაუხარდება მისი სტუმრობა, ანდა ის, რომ იგი უხმობს შხამიან ბურუსს, თავს დააცხრეს მის ქალიშვილს და ვინაიდან ზეციური ძალები ხანდაზმულნი არიან, ისინი ხანდაზმულთ უნდა მფარველობდნენ და ბევრი სხვა ასეთი რამ.

მესამე მოქმედება იწყება ჭექა-ქუხილით, ქარიშხლით, რაღაც განსაკუთრებული ქარიშხლით, რომლის მსგავსიც, მოქმედი პირების თქმით არასოდეს ყოფილა. ტრიალ მინდორში კარისკაცი ამცნობს კენტს, რომ ქალიშვილების მიერ განდევილი ლირი უგზოუკვლოდ დაეხეტება, თმებს იგლეჯს და ქარს ატანს. მასთან მხოლოდ მასხარაა. კენტი კი კარისკაცს ეუბნება, რომ ჰერცოგებს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ და რომ საფრანგეთის ჯარი დუვრში გადმოსხეს. ამ საუბრის დამთავრებისთანავე იგი კარისკაცს აგზავნის კორდელიასთან დუვრში.

მესამე მოქმედების მეორე სცენა ისევ ტრიალ მინდორზე მიმიდინარეობს. ლირი ბოლთას სცემს და წარმოთქვამს იმ სიტყვებს, მის სასოწარკვეთილებას რომ უნდა გამოხატავდეს: უხმობს ქარტეხილს, დაუბეროს ისეთი ძალით, რომ ღაწვები დაასკდეს თავად ქარებს, რომ ნიაღვარმა ყველაფერი წალეკოს, ელვამ მისი ჭაღარა თავი შეტრუსოს, ჭექა-ქუხილმა კი დედამიწა გახეთქოს და მოსპოს ყოველი თესლი, რომელიც უმადურ ადამიანს ქმნის. მასთან მყოფი მასხარა ამ დროს კიდევ უფრო უაზრო სიტყვებს გაიძახის. შემოდის კენტი. ლირი ამბობს, რომ რატომღაც ამ ქარიშხალში მოძებნიან ყველა დამნაშავეს და ნიღაბს ახდიან მათ. კენტი, რომელსაც კვლავ ვერ ცნობს ლირი, ცდილობს დაითანხმოს იგი, რომ თავი ქოხს შეაფაროს. მასხარა ამ დროს სრულიად უადგილოდ წინასწარმეტყველებს და შემდეგ ყველანი ერთად გადიან.

მესამე სცენა ისევ გლოსტერის ციხე-დარბაზში იმართება. გლოსტერი ედმუნდს უყვება, რომ საფრანგეთის მეფე ჯართან ერთად ნაპირზე გადმოვიდა და მას სურს ლირს დაეხმაროს. ამის გამგონე, ედმუნდი გადაწყვეტს მოღალატეობა დასწამოს მამას, რათა მთელი მემკვიდრეობა მას დარჩეს.

მეოთხე სცენაში, ტრიალ მინდორში, მოჩანს ქოხი. კენტი ლირს ქოხში უხმობს, მაგრამ ლირი პასუხობს, რომ მისთვის ქარიშხლისაგან თავის შეფარებას აზრი არა აქვს, რადგან იგი მას ვერც კი გრძნობს, ვინაიდან ქარიშხალი, რომელიც ქალიშვილების უმადურობამ გამოიწვია, ახლა მის სულში მძვინვარებს და ყველაფერს ახშობს. ეს გულწრფელი განცდა ჩვეულებრივი სიტყვებით რომ გამოთქმულიყო, უთუოდ გამოიწვევდა თანაგრძნობას, მაგრამ ლირის გაუთავებული მიკიბ-მოკიბული ლაპარაკის ფონზე, შეუმჩნეველი რჩება და კარგავს თავის მნიშნელობას.

ქოხში, სადაც ლირი შეჰყავთ, შეშლილის სამოსში გადაცმული, ანუ შიშველი ედგარი იმყოფება. ედგარი ქოხიდან გამოდის და მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცის ვინცაა, ვერავინ ცნობს მას, ზუსტად ისევე, როგორც ვერ ცნობენ კენტს. ედგარი, ლირი და მასხარა იწყებენ სრულიად უაზრო საუბარს, რომელიც მცირე პაუზებით ექვს გვერდზე გრძელდება. მათ საუბარს გლოსტერი შემოესწრება. რა თქმა უნდა ისიც ვერ ცნობს ვერც კენტს, ვერც თავის შვილს ედგარს და უყვება მათ იმას, თუ როგორ აპირებდა საკუთარი შვილი – ედგარი, მის მოკვლას.

ამ სცენას ენაცვლება გლოსტერის ციხე-დარბაზი, სადაც ედმუნდი გასცემს მამას და ჰერცოგი კორნვალი პირობას დებს სამაგიერო მოუზღოს მოღალატე გლოსტერს. შემდეგ მოქმედება ისევ ლირთან ინაცვლებს. ხიზნის სახლში საუბრობენ კენტი, ედგარი, გლოსტერი, ლირი და მასხარა. ედგარი ამბობს: „ეშმაკი მეძახის და მეუბნება, რომ ნერონი საბნელეთის ტბაში ჩანგლით თევზს იჭერსო“.... მასხარა ამბობს: „ბიძია, ერთი მითხარი, — ნამდვილად სულელი ვინ არის: გლეხი თუ თავადი?“ გონებადაკარგული ლირი ამბობს, რომ სულელი – მეფეა. მასხარა მიუგებს: „არა, ნამდვილი სულელი ის გლეხია, რომელმაც თავისი შვილი გაათავადა“. ლირი

გაჰყვირის: „დეე, ათასთა გახურებულთ რკინის შამფურთა ის ღვარძლიანი გულ-მუცელი გაუწოს იმათ!“. ედგარი კი ყვირის, რომ ბოროტი სული მას ზურგში კბენს, რაზეც მასხარა მისთვის ჩვეული ნართაულებით პასუხობს, რომ არ შეიძლება დაუჯერო მგლის მორჩილებას, ცხენის ჯანმრთელობას, ბავშვის სიყვარულს და უნამუსო ქალის ფიცს. ახლა ლირი წარმოიდგენს, რომ იგი თავის ქალიშვილებს ასამართლებს. „აქეთ დაბრძანდით, მეცნიერო მოსამართლეო — მიმართავს შიშველ ედგარს, — შენც გვერდით მოუჯეგ, დიდო ბრძენო! — მიმართავს მასხარას, — „საჯეთ ისინი. — აბა მელებო წარმოსდექით განსაკითხავად“. ედგარი კი ამბობს: „შეხე, შეხე, როგორ დგას და იჭყიტება!... ქალბატონო, თვალს ტყუილად ნუ გვიშვრები, შენი სილამაზე ჩვენ ვერ გვაცდენს, — ტყუილად ირჯები. შენ, საბედო, ჩემთან მოდი, გამოცურდი ემაგ წყალსა“. მასხარა კი მღერის: „თვითონც უნდა, მაგრამ ცოტა ზიანი აქვს მაგის ნავსა“. ედგარი კვლავ თავისას იჩემებს. კენტი ლირს თხოვს წამოწვეს და დაისვენოს, მაგრამ ლირი აგრძელებს მის მიერ წარმოსახულ სამსჯავროს.

„— მოიწვივე ჩქარა მოწმეები! — ყვირის იგი — თქვენსა ადგილას თქვენ დაბრძანდით, დიდო მსაჯულო, — მიმართავს ედგარს. — შენც გვერდით მოუჯეგ, მართლმსაჯულის თანაშემწეო, — მიმართავს მასხარას. — შენც, როგორც მწევრი სამსჯავროის მაგათ მოუჯეგ. — მიმართავს კენტს.

— ჯერ ამას დასდეთ სასჯელი. — ამას გონერილა ჰქვიან! — შესძახებს ლირი. — ამ პატივცემულის კრების წინაშე ფიცსა ვსდებ, რომ მაგან თავის საცოდავს, ხელმწიფე-მამას წიხლი ჰკრა და კარში გამოაგდო.

— წინ წამოდეგით, მანდილოსანო! — თქვენ სწორედ გონერილა გქვიანთ? — კითხულობს მასხარა.

.....

— აგერ მეორეც,... — გაჰყვირის ლირი — ნურსად გაუშვებთ... ცეცხლით დაგბუგავთ!... ეგ რა ჰქენით!... იარაღს ვიხმარ!... მთელი სამსჯავრო დაუქრთამავთ, შეუსყიდნიათ!...შე ცრუ მსაჯულო რად მიეცი გაქცევის ნება! „— და ა.შ.

ეს ბოდვა იმით მთავრდება, რომ ლირი იძინებს, ხოლო გლოსტერი კენტს თხოვს (რომელსაც ჯერ კიდევ ვერ ცნობს) მეფე დუვრში წაიყვანოს. კენტსა და მასხარას მეფე მიჰყავთ.

შემდეგი სცენა გლოსტერის ციხე-დარბაზში ინაცვლებს. თვით გლოსტერს სდებენ ბრალს ღალატში, მოჰყავთ და ხელ-ფეხს უკრავენ. რეგანა მას წვერს ამოაგლეჯს. ჰერცოგი კორნვალი ერთ თვალს გამოთხრის და ფეხით გასრესს. რეგანა ამბობს, რომ რადგან გლოსტერს მეორე თვალი ჯერ კიდევ მთელი აქვს, შერჩენილი თვალი დავსებულ თვალს დასცინის და კორნვალს მოუწოდებს ეს თვალიც გასრისოს. როცა ჰერცოგი ამის გაკეთებას დააპირებს, ერთ-ერთი მსახური რატომღაც გლოსტერს გამოესარჩლება და ჰერცოგს დაჭრის. რეგანა კლავს მსახურს. სიკვდილის წინ, მსახური გლოსტერს ეუბნება, რომ მას ერთი თვალი კვლავ შერჩენია და დაინახოს, თუ როგორ აზღვევინა მან ჯალათს. კორნვალი კი ამბობს: „რომ არც ეგ ნახოს, მეორესაც ეხლავ დავუშრეტ“, გლოსტერს მეორე თვალსაც ამოთხრის და ძირს დააგდებს. ამ დროს რეგანა აცხადებს, რომ ედმუნდმა საკუთარი მამა გასცა და გლოსტერი მაშინვე მიხვდება, რომ იგი მოატყუეს და რომ ედგარს არ უნდოდა მისი მოკვლა.

ასე მთავრდება მესამე მოქმედება.

მეოთხე მოქმედება კვლავ ტრიალ მინდორში მიმიდინარეობს. ედგარი, ჯერ კიდევ სალოსის სახით, სრულიად არაბუნებრივი სიტყვებით, ბედის უკუღმართობასა და თავის მწარე ხვედრზე ბჭობს. მალე ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ედგარი იმყოფება, მოხუცს დაბრმავებული მამამისი, გლოსტერი შემოჰყავს. გლოსტერი საუბარს იწყებს ბედის უკუღმართობაზე იმ განსაკუთრებული შექსპირისეული ენით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აზრი იბადება ან სიტყვათა თანხმიერებით, ანდა კონტრასტებით. გლოსტერი მოხუცს თხოვს, რომ მარტო დატოვოს. მოხუცი პასუხობს, რომ თვალების გარეშე მარტო სიარული შეუძლებელია, რადგანაც გზას ვერ დაინახავს. რაზეც გლოსტერი მიუგებს, იგი აღარ საჭიროებს თვალებს, ვინაიდან მას გზა აღარ აქვს და იმაზე მსჯელობს, რომ მაშინაც კი წაბორძიკებულა, როცა თვალები ჰქონდა და რომ ზოგჯერ ნაკლი ადამიანს შველის კიდეც. „ვაი ძვირფასო შვილო ედგარ!.. — აგრძელებს გლოსტერი — შენ ხარ მსხვერპლი მოტყუებულის მამის შენის გულის-წყრომისა! ნეტა დღე ჩემი იმა დრომდე მიღწეულიყო, რომ, შვილო ჩემო, ხელ-შეხებით მაინც მენახე!.. მაშინ ჩემთა თვალთ აღმოთხრასა არ ვინაღვლიდი“. შიშველ ედგარს ყველაფერი ეს ესმის და ისე, რომ მამას არ უმხელს თა-

ვის ვინაობას, მოხუცს შეენაცვლება გამძღოლად და მამას დაუწყებს საუბარს. გლოსტერი მას ხმაზე ვერ ცნობს და სალოსად მიიჩნევს, ამავე დროს გლოსტერი ხელიდან არ უშვებს შემთხვევას გონებამახვილობის გამოსამჟღავნებლად და ამბობს, რომ ახლა ისეთი დროა, როცა ბრმები სულელებს დაატარებენ. ამასთან ერთად იგი მთელი გულმოდგინებით იცილებს თავიდან ბერიკაცს არა იმიტომ, რომ ამას მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი საჭიროებს, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ ედგართან მარტო დარჩენილმა, ციცაბო კლდიდან წარმოსახვითი გადმოხტომის სცენა გაითამაშოს. ედგარი კი, რომელმაც ეს-ესაა ნახა დაბრმავებული მამა და გაიგო, რომ იგი შვილის განდევნას ინანიებს, სრულიად უადგილოდ იწყებს ისეთი ქარაგმებით საუბარს, რომელიც მხოლოდ შექსპირს შეეძლო სცოდნოდა, თუ გარენეტის* წიგნში ამოიკითხავდა და არანაირად — ედგარს, მითუმეტეს, რომ იგი ისეთ რამეებს ამბობს, რაც არ შეესაბამება მის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს:

„საწყალ თომას ხუთი ეშმაკი ერთად ჩაუძვრა სულში: ერთი ობიდიკუტი — ეშმაკი მეძავმრუშობისა, მეორე გაბიდიდენ — მუნჯობისა, მესამე მაჰუ — ქურდობისა, მეოთხე მოდო — მკვლელობისა, მეხუთე ფლიბერტი-ჯიბერტი — ფილენჯისა და წვალებისა“.

ამ სიტყვების გამგონე გლოსტერი ედგარს ქისას აძლევს და თანაც ეუბნება, რომ მისი, გლოსტერის უბედობა, ამ მათხოვარს ბედნიერს ხდის. „ნეტა ყოველთვის ცისგან ესე განეგებოდეს... — ამბობს გლოსტერი — დეე მდიდარმა, რომელიცა განცხრომით არის და განცხრომაში არად აგდებს ცის განკითხვასა, ჰსცადოს, გამოვლოს ცისა წყრომა, ცისა სასჯელი. მაშინ ნამეტანს თვისას იგი სხვას გარდასცემდა და მით ყოველსა თვის სამყოფი მიეცემოდა და მოისპოდა კაცთ წარმწყმედი სიღარიბეცა...“

წარმოთქვამს რა ამ სიტყვებს, ბრმა გლოსტერი ედგარს თხოვს კბოდესთან მიიყვანოს და ისინი ერთად გადიან.

მეოთხე მოქმედების მეორე სცენა ალბანის ჰერცოგის სასახლის წინ მიმდინარეობს. გონერილა არა მარტო ავსულია, არამედ გარყვნილი ქალიცაა. იგი აითვალწუნებს მეუღლეს და ავაზაკ ედმუნდს გამოუტყდება სიყვარულში, რომელმაც მამამისის, გლოსტერის ტიტული მიითვისა. ედმუნდი მიდის. გონერილა და მისი მეუღლე ოსვალდი საუბარს გააბამენ. ალბანის ჰერცოგი, ერთადერთი დადებითი თვისებების მქონე პიროვნება, რომელიც ადრეც უკმაყოფილო იყო გონერილას დამოკიდებულებით მამისადმი, ახლა მტკიცედ იცავს ლირს, მაგრამ თავის განცდებს ისეთი სიტყვებით გამოხატავს, რაც ეჭვს ბადებს ამ განცდების გულწრფელობაში. ოსვალდი ამბობს, რომ დათვიც კი ალერსით ალოკავდა პატივსაცემ და მოწყალე ლირს, რომ ზეცა თუ არ გამოაგზავნის თავის ხილულ ძალებს ამ შემაზრზენი ბოროტების აღსახოცავად, მაშინ ადამიანები ერთმანეთს ისე დაჭამენ, როგორც ამას ზღვის გველეშაპები სჩადიან და ა.შ.

მაგრამ როდესაც გონერილა ყურად არ იღებს მის ნათქვამს, ალბანი ლანძღვას უწყებს: „ერთი შენს თავზედ დაიხედე შე, ტარტაროზო! მაგ გულქვაობით რა საზარო, საზიზღარი ხარ! გულქვა დიაცი სატანაზედ უარესია“. — „ვაი მაგ შენსა ფუღურო თავს, ნაცარ-ქექიავ!“ — პასუხობს გონერილა. „ოჰ შე ბოროტო! გულში მაგდენს შხამს რომ ატარებ, სირცხვილით მაინც ნუღარ აჩენ! ნუ ჰყვრნი შენს სახეს! — აგრძელებს ჰერცოგი,— ადამიანი გველეშაპად ნუ გვეჩვენები!.. რომ არ მცხვენოდეს და გულისთქმას მე ჩემსას ავყვე, ჩემის ხელით ხორცს დაგაგლეჯდი, ძვლებს დაგიმსხვრევდი! მაგრამ რა გიყო?! თუმც ეშმაკზედ უარესი ხარ, გარნა დედა-კაცთ სახე გდევს შენ და ეგე გფარავს“.

ამ დროს შემოდის მაცნე და აცხადებს, რომ გარდაიცვალა კორნვალის ჰერცოგი, რომელიც მსახურმა მაშინ დაჭრა, როდესაც იგი გლოსტერს თვალებს თხრიდა. გონერილა ამ ამბით გახარებულია, თუმცა ამავე დროს შიშობს, რომ ახლა უკვე ქვრივმა რეგანამ ედმუნდი არ წაართვას. ამით მთავრდება მეორე სცენა.

მეოთხე მოქმედების მესამე სცენაზე წარმოდგენილია ფრანგთა ლაშქრის ბანაკი. კენტსა და გრაფს შორის გამართული საუბრიდან მკითხველი თუ მაყურებელი იგებს, რომ საფრანგეთის მეფე ბანაკში არ იმყოფება და რომ კორდელიამ კენტისაგან წერილი მიიღო და ძალიან დანაღვლიანდა, როცა მამის ამბავი შეიტყო. კარისკაცი ამბობს, რომ კორდელიას სახემ წვიმა და მზე მოაგონა.

„Her smiles and tears were like a better day; those happy smiles that pleyed on her ripe lip seemed not know what guests where in her eyes; which parted thence as pearls from diamonds dropped.“[1]

და ა.შ. კარისკაცი ამბობს, რომ კორდელიას მამის ნახვა სურს, რაზეც კენტი პასუხობს, რომ ლირი ერიდება ქალიშვილთან შეხვედრას, რომელსაც ასე ატკინა გული.

მეოთხე სცენაში კორდელია ექიმს უყვება, რომ უნახავთ ლირი, რომელსაც თავზე სარეველა ბალახების გვირგვინი ჩამოუცვია და შეშლილივით აქეთ-იქეთ დარბის, რომ მან მამის მოსაძებნად ჯარისკაცები გაგზავნა და ახლა ნატრულობს, რაც იდუმალი საკურნებელი ძალა და მადლი არსებობს დედამიწაზე, ერთად შეჯერებული, მისი ცრემლების სახით მხსნელ წამლად შეეფრქვიოს მამას და ა.შ.

ამ დროს, კორდელიას ატყობინებენ, რომ მათკენ ბრიტანელთა ლაშქარი მოემართება. მამის ბედით დამწუხრებული კორდელია სცენიდან გადის.

მეოთხე მოქმედების მეხუთე სცენაში, გლოსტერის ციხე-დარბაზთან, რეგანა გონერილას მსახურთუფროსს ოსვალდს ესაუბრება, რომელსაც ედმუნდთან გონერილას წერილი მიაქვს. რეგანა განუცხადებს ოსვალდს, რომ მასაც უყვარს ედმუნდი და ვინაიდან ახლა დაქვრივდა, უმჯობესი იქნება თავად გაჰყვეს ცოლად ედმუნდს, ვიდრე გონერილა. რეგანა ოსვალდს თხოვს ყოველივე ეს მის დას შთააგონოს და ამავე დროს ეუბნება, რომ სისულელე იყო თვალებდათხრილი გლოსტერის ცოცხლად დატოვება და თუ ის გლოსტერს სადმე წააწყდება, მოკლას იგი, რისთვისაც დიდ ჯილდოს ჰპირდება.

მეექვსე სცენა იწყება იმით, რომ გლეხის სამოსში გამოწყობილ ედგარს ციცაბო კლდისაკენ მიჰყავს ბრმა მამა, რომელიც კვლავ ვერ ცნობს მას. ისინი მიდიან სრულიად სწორ გზაზე, თუმცა ედგარი მამას არწმუნებს, რომ ძლივძლივობით ადიან ციცაბო კლდეზე. გლოსტერი იჯერებს. ედგარი მამას ეუბნება, რომ ზღვის ხმაური ისმის. გლოსტერი ამასაც იჯერებს. ედგარი ჩერდება და მამას ახლა იმაში არწმუნებს, რომ ისინი უკვე ციცაბო კლდის წვერზე დგანან და მათ წინ უძირო ხრამია. ამის შემდეგ, ედგარი მარტო ტოვებს გლოსტერს. გლოსტერი ღმერთებს მიმართავს, რომ მას აღარ ძალუძს ზიდოს ამდენი დარდი და თავისუფლდება მათგან. მერე წარმოიდგენს რა, რომ კლდიდან ვარდება, ახტება და იქვე ეცემა. ამ დროს, ედგარი თავის თავს რაღაც ბუნდოვან ფრაზას ეუბნება: „I know not how conceit may rob the treasury of life, when life itself yields to the theft: had he been where he thought, by this, had thought been past“[2], მერე კი გლოსტერთან მიდის ისევ სხვა კაცის სახით და თითქოს უკვირს, რომ იგი ასეთი შემზარავი სიმაღლიდან გადავარდა და არ მოკვდა.

გლოსტერი დარწმუნებულია, რომ გადავარდა და სიკვდილისთვის ემზადება, თუმცა გრძნობს, რომ ცოცხალია და ეჭვი ეპარება, ნამდვილად გადახტა თუ არა ასეთი დიდი სიმაღლიდან. ედგარი გლოსტერს არწმუნებს, რომ იგი ნამდვილად გადახტა შემზარავი სიმაღლიდან და იქ, კლდის წვერზე მასთან ერთად დემონი იმყოფებოდა, რომელსაც სავსე მთვარესავით თვალები, ასი ცხვირი და რქა ჰქონდა, რაც ტალღებივით იკლაკნებოდა. გლოსტერი ყოველივე ამას იჯერებს და რწმუნდება, რომ მისი სასოწარკვეთილების მიზეზი დემონის ოინები იყო. იგი გადაწყვეტს ამიერიდან აღარ მიეცეს სასოწარკვეთას და მშვიდად დაელოდოს სიკვდილს. ამ დროს შემოდის ლირი, რატომღაც სარეველა ყვავილებით უცნაურად მორთული. იგი შეშლილია და კიდევ უფრო უაზროდ საუბრობს ფულის მოჭრაზე, მშვილდ-ისარზე, ვიღაცას ფულს სთავაზობს, მერე გაჰყვირის, რომ თაგვს ხედავს, რომლის შემოტყუებას ყველის ნაჭრით ცდილობს, მერე უცებ ედგარს დათქმულ სიტყვას ეკითხება და ედგარიც მაშინვე პასუხობს: სურნელოვანი მაიორანი. ლირი მიუგებს: გაიარე! — და ბრმა გლოსტერი, რომელსაც ვერ უცვნია ვერც შვილი, ვერც კენტი, მეფის ხმას იცნობს.

მეფე კი მისი აბდაუბდა საუბრის შემდეგ, მოულოდნელად ირონიულ ბაასზე გადადის. იგი ამბობს, რომ ფარისეველნი მას ყველაფერზე „ჰოს“ და „არას“ ეუბნებოდნენ და არწმუნებდნენ,

---

[1] „მისი ღიმილი და ცრემლი მზიან დღეს წააგავდა. მის სახეზე მოთამაშე ბედნიერმა ღიმილმა კი თითქოს არ იცოდა, რა სტუმრები სწვეოდნენ მის თვალებს — ეს სტუმრები ისე გაეცალნენ მათ, როგორც ალმასებს სცვივა მარგალიტები“ — რუსული რედაქციის თარგმანი.

[2] „მე არ ვიცი, როგორ შეიძლება ეშმაკობამ სიცოცხლის საგანძური გაძარცვოს, როცა თვით სიცოცხლე თავად ნებდება ამ ძარცვას: ის რომ იქ ყოფილიყო სადაც მას ეგონა, ახლა იგი ფიქრსაც ვერ შეძლებდა“. — რუსული რედაქციის თარგმანი.

რომ მას ყველაფერი ძალუძს, მაგრამ როცა მას, სრულიად მიუსაფარს, ქარიშხალი დაატყდა თავს, მიხვდა, რომ ეს სიმართლე არ იყო; და ვინაიდან ქვეყანაზე ყველა ჯურის უკეთურებაა გამეფებული და ვინაიდან გლოსტერის არაკანონიერი შვილი უკეთ მოექცა მამას, ვიდრე მას მისი ქალიშვილები (თუმცა ლირს, დრამის მიმდინარეობიდან გამომდინარე, არაფრით შეეძლო სცოდნოდა, თუ როგორ მოეპყრო ედმუნდი გლოსტერს), დაე ქვეყანაში ჰყვაოდეს მეძავობა, მითუმეტეს, რომ მას, როგორც მეფეს, ჯარისკაცები სჭირდება. ამავე დროს იგი მიმართავს თითქოსდა იქ მყოფ ფარისევლურად ზნეობრივ ქალს, რომელიც თავს ცივ არსებად წარმოაჩენს, თუმცა თუ ნებას დართავ, ცხოველივით მიეცემა ბილწ ავხორცობას. ყველა ქალი მხოლოდ წელსზევითაა ღვთაებრივი, წელსქვევით კი ყველა ეშმაკეულია. ამ სიტყვებთან ერთად ლირი შემზარავად ყვირის და იფურთხება. როგორც ჩანს, ლირის ეს მონოლოგი გულისხმობს მსახიობის მიმართვას მაყურებლისადმი, რაც უთუოდ შესაბამის ეფექტს იწვევს სცენაზე, თორემ ასეთი სიტყვების მოსმენა ლირის ბაგეთაგან ისევე გაუგებარია, როგორც ის, რომ, როცა გლოსტერს სურს ხელზე ემთხვიოს მეფეს, ეს უკანასკნელი უხეშად გამოსტაცებს მას ხელს და ეტყვის: it smells of mortality[1]. შემდეგ საუბარი იწყება გლოსტერის სიბრმავეზე, რაც სიტყვების თამაშის საშუალებას იძლევა მხედველობასა და ბრმა კუპიდონზე და, როგორც ამას ლირი ამბობს — გლოსტერს თვალებში სინათლე მოჰკლებია და ქისაში ფული, ასე რომ, თვალები მძიმე მდგომარეობაში არიან, ქისა კი მსუბუქადაა. ამის შემდეგ იწყება ლირის მონოლოგი მართლმსაჯულების უსამართლობაზე, რაც სრულიად არ შეეფერება შეშლილი ლირის ლოგიკას. შემდეგ, სცენაზე ჯარისკაცებთან ერთად შემოდის გრაფი, რომელიც კორდელიამ ლირის წასაყვანად გამოაგზავნა. ლირი განაგრძნობს გიჟივით მოქცევას და მერე გარბის.. ლირის წასაყვანად მოსული კარისკაცი კი არ დაედევნება მას, არამედ გაუთავებლად უყვება ედგარს ფრანგ და ბრიტანელ ლაშქართა ამბებს.

ამ დროს შემოდის ოსვალდი და დაინახავს თუ არა გლოსტერს, თავს ესხმის მას მოსაკლავად, რათა მიიღოს რეგანას მიერ დაპირებული ჯილდო. მაგრამ ედგარი ხელკეტით კლავს მას. სიკვდილის წინ, ოსვალდი ედგარს აძლევს გონერილას წერილს, ედმუნდისათვის გადასაცემად, სადაც გონერილა პირობას იძლევა, რომ ქმარს მოკლავს და ედმუნდს გაჰყვება ცოლად. ედგარი ფეხებით გაათრევს ოსვალდის მკვდარ სხეულს, შემდეგ ბრუნდება და მამა მიჰყავს.

მეოთხე მოქმედების მეშვიდე სცენა საფრანგეთის ლაშქრის ბანაკში ვითარდება. კარავში, სარეცელზე ლირს სძინავს. შემოდიან კორდელია და კენტი. ლირს მუსიკის ჰანგებით აღვიძებენ. იგი გამოფხიზლდება და როდესაც კორდელიას დაინახავს, არ იჯერებს, რომ იგი ცოცხალი არსებაა, მოჩვენება ჰგონია და დაეჭვებულია, თავადაც ცოცხალია თუ არა. კორდელია ლირს არწმუნებს, რომ მისი ქალიშვილია და თხოვს დალოცოს იგი. ლირი კი მის წინაშე იჩოქებს, პატიებას თხოვს, აღიარებს, რომ მოხუცდა, გამოსულელდა და ეუბნება, რომ მზადაა მიიღოს საწამლავი, რომელიც კორდელიას უთუოდ გამზადებული აქვს მისთვის, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ კორდელიამ შეიძულა მამა. „მე კარგად ვიცი, მე შენ აღარ უნდა გიყვარდე, — ამბობს იგი, — შენს დებს მიზეზი არა ჰქონდათ და შემიძულეს, შენ კი ათასი მიზეზი გაქვს, რად გაგამტყუნებ!“ ამის შემდეგ, ლირი თანდათან გონს მოდის და აღარ ბოდავს. ქალიშვილი მას გასეირნებას სთავაზობს. ლირი თანხმდება და ეუბნება: „გთხოვ დამითმო და შემინდო მე! აჰა, ხომ ხედავ! მე ბებერი და სულელი ვარ!“ კორდელია და ლირი გადიან. სცენაზე დარჩენილ კენტსა და კარისკაცს შორის გამართული საუბარი მიზნად ისახავს, აუწყოს მაყურებელს, რომ ჯარებს ედმუნდი მეთაურობს და მალე ბრძოლა უნდა დაიწყოს ლირის მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის. ასე მთავრდება მეოთხე მოქმედება.

მეოთხე მოქმედებაში ლირსა და მის ქალიშვილს შორის გათამაშებული სცენა შესაძლებელია გულისამაჩუყებელი ყოფილიყო, რომ არა ლირის მომაბეზრებელი და ერთფეროვანი ბოდვა, სამი აქტის მანძილზე რომ გრძელდება, ანდა, ეს რომ მისი განცდების გამომხატველი ბოლო სცენა იყოს; მაგრამ ეს სცენა ბოლო როდია. მეხუთე მოქმედებაში კვლავ მეორდება გულცივობით სავსე, ხელოვნურად მოგონილი ლირის ბოდვები, რომელიც საბოლოოდ სპობს იმ შთაბეჭდილებასაც, რაც შესაძლოა წინარე სცენას გამოეწვია.

მეხუთე მოქმედების პირველი სცენა იწყება იმით, რომ რეგანა ედმუნდს თავის თავს სთავაზობს გონერილას მაგივრად. ამ დროს მოდიან გონერილა, მისი მეუღლე და ჯარისკაცები.

[1] (ინგ.) — მას მძორის სუნი ასდის.

ალბანიის ჰერცოგს მართალია ლირი ებრალება, მაგრამ თავს მოვალედ თვლის ბრძოლა გაუმართოს ფრანგებს, რომლებმაც მისი სამშობლოს საზღვრები გადმოლახეს და შეტაკებისათვის ემზადება. შემოდის გადაცმული ედგარი, ალბანიის ჰერცოგს წერილს გსდასცემს და ეუბნება, რომ თუ ჰერცოგი გაიმარჯვებს, უბრძანოს მებუკეს ბუკი დაჰკრას და მაშინვე გამოცხადდება რაინდი (800 წლით ადრე ქრისტეს შობამდე), რომელიც დაადასტურებს ამ წერილის შინაარსის სინამდვილეს.

მეორე სცენაში, ედგარი შემოდის მამასთან ერთად. გლოსტერს ხესთან დასვამს და თვითონ გადის. ისმის ბრძოლის ყიჟინა, შემორბის ედგარი და ამბობს, რომ ბრძოლა წაგებულია და რომ ლირი და კორდელია დაატყვევეს. გლოსტერი ისევ სასოწარკვეთილებაში ვარდება. ედგარი, რომელიც კვლავაც არ უმხელს მამას თავის ვინაობას, ამშვიდებს მას და ეუბნება, რომ არაა საჭირო სასოწარკვეთა. გლოსტერიც მაშინვე ეთანხმება მას.

მესამე სცენა გამარჯვებული ედმუნდის საზეიმო სვლით იწყება. ლირი და კორდელია დატყვევებულები არიან. მართალია ლირი უკვე გონსაა მოსული, მაგრამ კვლავ უაზრო და ვითარებისთვის შეუფერებელ სიტყვებს აფრქვევს, რომ იგი ციხეში კორდელიასთან ერთად იმღერებს, კორდელია კი მისგან დალოცვას მოითხოვს. მაშინ ის მუხლებზე დაიჩოქებს (მუხლებზე დაჩოქება მესამედ მეორდება) და პატიებას სთხოვს ქალიშვილს. შემდეგ იგი აგრძელებს, რომ ვიდრე ისინი ციხეში იქნებიან, გარეთ მრავალი შეთქმულება მოხდება, რასაც ამა ქვეყნის ძლიერთა მღელვარება მოჰყვება, რომ ის და კორდელია მსხვერპლნი არიან, რომელთაც ღმერთები გუნდრუკს უკმევენ, და თუკი ზეციდან მუგუზალს ჩამოიტანენ და ამოხუთავენ მათ ისე, როგორც მელას თავის სოროში, იგი მაინც არ იტირებს და უწინამც კეთრი შთანთქავს მის თვალებს ხორციანად და კანიანად, ვიდრე მათ აატირებენ და ა.შ.

ედმუნდი ბრძანებს, ლირი ქალიშვილთან ერთად ციხეში გაამწესონ, კაპიტანს კი ავალებს, რაიმე ცუდი დამართოს მათ და თან ეკითხება, შეასრულებს თუ არა მის დავალებას. კაპიტანი პასუხობს, რომ მას არ შეუძლია ზიდოს ურემი, ჭამოს შვრია, მაგრამ შეუძლია გააკეთოს ყველაფერი ის, რასაც ადამიანები აკეთებენ. შემოდიან ალბანიის ჰერცოგი, გონერილა და რეგანა. ალბანიის ჰერცოგი დააპირებს გამოესარჩლოს ლირს, მაგრამ ედმუნდი ამის საშუალებას არ აძლევს. ამასობაში რეგანა და გონერილა, რომლებიც ერთმანეთზე ეჭვიანობენ ედმუნდის გამო, ჩხუბს იწყებენ. აქ ისე ირევა ყველაფერი ერთმანეთში, რომ ძნელი ხდება თვალყური ადევნო მოქმედების მსვლელობას. ალბანიის ჰერცოგს ედმუნდის დაპატიმრება სურს და რეგანას ეუბნება, რომ ედმუნდი უკვე კარგა ხანია მის ცოლს დაუახლოვდა და ამიტომ რეგანამ თავი უნდა დაანებოს ედმუნდს, ხოლო თუ მას ქმარი უნდა, მას, ალბანიის ჰერცოგს გაჰყვეს ცოლად.

ამასთან ერთად, ჰერცოგი ბრძანებას გასცემს ბუკი დაჰკრან და თუ არავინ გამოცხადდება, ედმუნდს შეებრძოლება.

ამ დროს, რეგანა, რომელიც უთუოდ გონერილამ მოწამლა, ტკივილებისაგან იკრუნჩხება. ბუკს უკრავენ, შემოდის ედგარი ნიღბით, რომელიც სახეს მალავს და ისე, რომ არ ამჟღავნებს თავის ვინაობას, ედმუნდს ეძახის. ედგარი ლანძღავს ედმუნდს, ეს უკანასკნელი კი იგივეს უბრუნებს. ისინი ერთმანეთს შეებმიან და ედმუნდი ეცემა. გონერილა სასოწარკვეთილებაშია.

ალბანიის ჰერცოგი გონერილას მისივე დაწერილ წერილს აძლევს. გონერილა გადის.

მომაკვდავი ედმუნდი ხვდება, რომ მისი მოწინააღმდეგე საკუთარი ძმაა. ედგარი ნიღაბს ჩამოიხსნის და ქადაგებს მორალს იმის შესახებ, რომ უკანონო შვილის გაჩენა მათ მამას სიბრმავედ დაუჯდა. ამის შემდეგ, ედგარი ალბანიის ჰერცოგს მოუთხრობს თავის თავგადასავალს და ეტყვის, რომ მან მხოლოდ ახლა, ბრძოლის წინ გაუმხილა მამას ყველაფერი, მამამ კი ამას ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა. ედმუნდი ჯერ კიდევ ცოცხალია და ედგარს ეკითხება, რა მოხდა კიდევ.

ედგარი ყვება, რომ მაშინ, როდესაც იგი მამის ცხედარს დასტიროდა, ვიღაც კაცი მოვიდა, რომელიც მას მოეხვია და ისე დაიყვირა — ლამის ცა ჩამოიქცა. შემდეგ მამის ცხედარს დაემხო და გულსაკლავი ამბავი სთქვა, რომელიც ლირსა და მას გადახდათ და რომ ამ ამბის მოყოლისას მისი სიცოცხლის სიმები სკდომას იწყებდა. ამ დროს, მეორედ გაისმა ბუკის ხმა და ედგარმა იგი მიატოვა. ჰერცოგის კითხვაზე, თუ ვინ იყო ის კაცი, ედგარი პასუხობს, რომ ის განდევნილი კენტი იყო. ის-ის იყო ედგარმა მოყოლა დაასრულა, რომ შემორბის გრაფი გასისხლიანებული დანით ხელში და ყვირის: მიშველეთ! კითხვაზე თუ ვინაა მოკლული, პასუხობს, რომ მოკლულია

გონერილა, რომელმაც თავისი და მოწამლა. შემოდის კენტი და ამ დროს შემოაქვთ გონერილას და რეგანას გვამები. ედმუნდი ამბობს: — როგორც ჩანს დებს ძალიან ჰყვარებიათ იგი, ვინაიდან ერთმა თავი მოიწამლა, მეორემ კი თავი მოიკლა მისი გულისთვის. ამასთან ედმუნდი აღიარებს, რომ ლირის მოკვლისა და კორდელიას ჩამოხრჩობის ბრძანება მან გასცა და ყველაფერი ეს ისე წარმოადგინა, თითქოს კორდელიამ თავი მოიკლა. ამის თქმისთანავე, ედმუნდი კვდება და მისი ცხედარიც გააქვთ.

ამის შემდეგ სცენაზე შემოდის ლირი, რომელსაც ხელებზე მკვდარი კორდელია ჰყავს გადასვენებული, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე ოთხმოც წელსაა გადცილებული და მძიმედაა ავად. კვლავ იწყება ლირის შემაძრწუნებელი ბოდვა, რომლისგანაც, ისევე როგორც უხეირო ხუმრობისგან, სირცხვილის გრძნობა გეუფლება. ლირი მოითხოვს, რომ ყველამ იბღავლოს, თანაც ხან ჰგონია, რომ კორდელია მოკვდა, ხან კი ფიქრობს, რომ ცოცხალია.

„მე რომ მაგვდენი თვალნი მქონდეს და მაგვდენი ხმა, — ამბობს იგი, — ჩემის ღრიალით და ვაებით ცას გავარღვევდი!..“ მერე ჰყვება, რომ მან ის მონა მოკლა, რომელმაც კორდელია ჩამოახრჩო, რომ ცუდად ხედავს, თუმცა იმავ წუთს იცნობს კენტს, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერ ცნობდა.

ალბანიის ჰერცოგი აცხადებს, რომ იგი უარს ამბობს ძალაუფლებაზე, ვიდრე ლირი ცოცხალია და აჯილდოებს კენტს, ედგარს, ყველა მის ერთგულს. ამ დროს ამბავი მოაქვთ, რომ ედმუნდი მოკვდა. ლირი ისევ უაზროდ იქცევა, ითხოვს გაუხსნან ღილი, ზუსტად ის, რომლის გახსნასაც ის ჯერ კიდევ ტრიალ მინდორში სირბილის დროს მოითხოვდა, მადლობას იხდის ამისათვის, მერე ყველას მოუწოდებს რაღაცას შეხედონ და ამ სიტყვებით კვდება. დასასრულს, ცოცხლად დარჩენილი ალბანიის ჰერცოგი ამბობს: „ჩვენ ეხლა გვმართებს საყოველთაო ტირილი და მგლოვიარება. ყოველთ-დამთურგნელ დროთ უღელი კისრად ავიღოთ და უდრტვინველად მწუხარებას ჩვენსას მივეცნეთ. რაც ამ მოხუცსა ტანჯვა, ჭირი გამოუვლია, ჩვენებრ ჭაბუკიც ვერც განიცდის, ვერც გამოივლის“. გაისმის სამგლოვიარო მარშის ჰანგები და ყველანი გადიან. ასე მთავრდება მეხუთე მოქმედება და დრამაც.

III

ასეთია ეს საყოველთაოდ აღიარებული დრამა. და რარიგ აბსურდულადაც არ უნდა ჟღერდეს ის ჩემს მონათხრობში, თუმცაღა ვცდილობდი მიუკერძოებლად განმეხილა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დედანში ბევრად უფრო აბსურდულია. ნებისმიერი თანამედრვე ადამიანი, თუკი ის არ იქნებოდა იმ აზრის გავლენის ქვეშ, რომ ეს დრამა სრულყოფილების მწვერვალია და წაიკითხავდა ბოლომდე, თუკი ამისათვის მოთმინება ეყოფოდა, დარწმუნდებოდა იმაში, რომ ეს დრამა არათუ სრულყოფილების მწვერვალი, არამედ ძალიან მდარე, უწესრიგოდ შედგენილი ნაწარმოებია, რომელსაც შესაძლებელია თავის დროზე საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინტერესი გამოეწვია, ჩვენში კი მხოლოდ ზიზღსა და მოწყენილობას იწვევს. ასეთივე შთაბეჭდილება შეექმნება ყოველგვარი ჩაგონებისაგან თავისუფალ თანამედროვე მკითხველს, შექსპირის სხვა ხოტბაშესხმული დრამების მიმართაც, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ უცნაურ დრამატიზებულ ზღაპრებზე, როგორიცაა „პერიკლე“, „მეთორმეტე ღამე“, „ქარიშხალი“, „ციმბელინი“, „ტროილოსი და კრესიდა“.

მაგრამ სამწუხაროდ ჩვენს დროში და ქრისტიანულ საზოგადოებაში, აღარ არიან ისეთი საღად მოაზროვნე ადამიანები, ქედს რომ არ უხრიდნენ შექსპირს. ჩვენი საზოგადოებისა და დროების ყოველ ადამიანს მისი შეგნებული ცხოვრების დასაწყისშივე უნერგავენ, რომ შექსპირი გენიალური პოეტი და დრამატურგია და რომ მისი ყველა ნაწარმოები — სრულყოფილების მწვერვალია. ამიტომაც, სრულიადაც არ მიმაჩნია ზედმეტად, რომ ჩემს მიერ არჩეული დრამის „მეფე ლირის“ მაგალითზე, წარმოვაჩინო ყველა ის ნაკლი, რომელიც ასევე ახასიათებს შექსპირის სხვა დრამებსა და კომედიებს. და ისინი დრამატული ხელოვნების ნიმუშს კი არ წარმოადგენენ, არამედ ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ ხელოვნების საყოველთაოდ აღიარებულ უმთავრეს მოთხოვნებს.

შექსპირის თაყვანისცემელი კრიტიკოსების კანონების მიხედვით, ყოველნაირი დრამის

ამოცანა ისაა, რომ მოქმედი პირები, მათთვის დამახასიათებელი ქცევის ხასიათიდან და მოვლენების ბუნებრივი განვითარებიდან გამომდინარე, ისეთ ვითარებაში უნდა იმყოფებოდნენ, სადაც მათ გარესამყაროში არსებულ წინააღმდეგობებთან უწევთ ბრძოლა და სწორედ ამ ბრძოლაში უნდა ავლენდნენ მათთვის დამახასიათებელ თვისებებს.

„მეფე ლირის“ მოქმედი პირები, გარეგნულად მართლაც არიან დაპირისპირებული გარესამყაროს წინააღმდეგობებთან და ებრძვიან კიდეც მათ. მაგრამ ეს ბრძოლა არ გამომდინარეობს მოვლენების ბუნებრივი განვითარებიდან და არც ამ მოქმედი პირების ხასიათებიდან, არამედ სრულიად ხელოვნურადაა შეთხზული ავტორის მიერ და ამიტომაცაა, რომ იგი მკითხველს ვერ უქმნის იმ ილუზიას, რაც ხელოვნების უმთავრეს პირობას შეადგენს. ასე მაგალითად, ლირისათვის არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს სამეფო ტახტიდან გადადგომა, ისევე როგორც არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ მამამ, რომელმაც მთელი ცხოვრება გაატარა თავის ქალიშვილებთან, დაუჯეროს უფროს ქალიშვილებს და არ დაიჯეროს უმცროსის მართალი სიტყვებისა, რამაც განაპირობა მისი მდგომარეობის მთელი ტრაგიზმი.

ასევე არაბუნებრივია, მეორეხარისხოვანი, მაგრამ ზუსტად ისეთივე კვანძია დრამაში, რომელიც გლოსტერისა და მისი შვილების ურთიერთობას ეხება. გლოსტერისა და ედგარის დაპირისპირებაც იმით იწყება, რომ გლოსტერი, ზუსტად ისევე, როგორც ლირი, მაშინვე იჯერებს უხეშ ტყუილს და ისე შეაჩვენებს და გააძევებს თავის ნამდვილ შვილს, რომ არც კი ეცდება გაარკვიოს მასთან, მართლა აუმხედრდა იგი მას თუ არა.

ის, რომ ლირის დამოკიდებულება ქალიშვილებთან, ხოლო გლოსტერისა ვაჟიშვილთან ზუსტად ერთნაირია, კიდევ უფრო აშკარას ხდის იმ ვითარებას, რომ ერთიცა და მეორეც განზრახაა მოგონილი და არანაირად არ გამომდინარეობს მათი ხასიათიდან და მოვლენების ბუნებრივი განვითარებიდან. ასევე არაბუნებრივია და აშკარად ხელოვნურადაა შეთხზული ის გარემოებაც, რომ ლირი მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერ ცნობს თავის ერთგულ მსახურს — კენტს, რის გამოც ლირისა და კენტის დამოკიდებულებაც არანაირ თანაგრძნობას არ იწვევს მკითხველსა თუ მაყურებელში. იგივე და კიდევ უფრო მეტიც შეიძლება ითქვას ყველასათვის გამოუცნობ ედგარის შესახებაც, რომელიც დაატარებს მამას და უმტკიცებს, რომ იგი გადახტა ციცაბო კლდიდან, მაშინ როდესაც გლოსტერი სრულიად სწორ ადგილზე ხტება.

სიტუაციები, რაშიც მოქმედი პირები სრულიად შეუგნებლად აღმოჩნდებიან, იმდენად არაბუნებრივია, რომ მკითხველი და მაყურებელი არათუ თანაუგრძნობს მათ ტანჯვა-წვალებას, არამედ აღარც ინტერესდება იმით, რასაც კითხულობს და უყურებს. ეს პირველი;

მეორე კი ისაა, რომ შექსპირის გმირების ცხოვრება, ფიქრები, საუბარი და ქმედება „მეფე ლირში“ და ყველა სხვა დრამაში, არანაირად არ შეესაბამება მოქმედების დროსა და ადგილს. „მეფე ლირში“ მოქმედება მიმდინარეობს ქრისტესშობამდე 800 წლით ადრე, მაშინ როდესაც ტრაგედიის მოქმედი პირები ისეთ ვითარებაში იმყოფებიან, რასაც მხოლოდ შუა საუკუნეებში ჰქონდა ადგილი: დრამაში არიან მეფეები და ჰერცოგები, ჯარები და უკანონო შვილები, გრაფები და კარისკაცები, ექიმები და ფერმერები, ოფიცრები და ჯარისკაცები, მუზარადიანი რაინდები და ა.შ.

შესაძლებელია ასეთი ანაქრონიზმი, რითაც სავსეა შექსპირის ყველა დრამა, XVI და XVII საუკუნეებში არ უშლიდა ხელს შესაბამისი ილუზიების შექმნას, მაგრამ ჩვენს დროში შეუძლებელია თვალყური ადევნო ამბებს, როცა იცი, რომ ეს არ შეიძლება მომხდარიყო იმ ვითარებაში, რომელსაც ასე დაწვრილებით აღწერს ავტორი.

ისეთი სიტუაციების შეთხზვას, რაც არ გამომდინარეობს მოვლენათა ბუნებრივი განვითარებიდან და ადამიანთა ხასიათებიდან, ასევე მათ სრულ შეუსაბამობას დროსა და ადგილთან, ის უგერგილო შელამაზებებიც ემატება, რომლებსაც გამუდმებით იყენებს შექსპირი იქ, სადაც ტრაგიზმი ყველაზე მეტად უნდა იგრძნობოდეს. უჩვეულო ქარიშხალი, რომლის დროსაც ლირი აქეთ-იქით დარბის ტრიალ მინდორში, ან ის ბალახები, რომელსაც იგი რატომღაც თავზე იწყობს გაუთავებლად, ისევე, როგორც ამას ოფელია აკეთებს „ჰამლეტში“, ან თუნდაც ედგარის უცნაური სამოსი, მასხარას საუბარი, — ყველა ეს ეფექტი კი არ აძლიერებს შთაბეჭდილებას, არამედ სრულიად საპირისპირო ემოციებს იწვევს. „Man sieht die Absicht und man wird verstim-

[1] ხედავ წინასწარგანზრახულობას და გუნება გიფუჭდება. (გერმ.). — თარგმ. ნ.დ.

mt“[1], ამბობს გოეთე. ხშირად ისეც ხდება, რომ ასეთი სრულიად გამოგონილი ეფექტები, მაგალითად, როდესაც ფეხებით ათრევენ ნახევარ დუჟინ გვამებს, რითაც შექსპირის ყველა დრამა მთავრდება, შიშისა და სიბრალულის განცდის ნაცვლად, სიცილს იწვევს.

IV

გარდა ამისა, ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩაყენებული შექსპირის მოქმედი პირები სრულიად შეუთავსებელნი არიან მოვლენათა განვითარებასთან და შეუსაბამობაში იმყოფებიან დროსა და ადგილთან. მათი ქცევაც სრულიად არ გამომდინარეობს მათთვის ჩვეული ხასიათიდან და სავსებით გაუაზრებელია. ჩვეულებრივ მიიჩნევენ, რომ შექსპირის დრამებში განსაკუთრებით კარგადაა წარმოსახული ადამიანთა ხასიათი, რომ შექსპირისეული ხასიათები, მიუხედავად მათი სიმკვეთრისა და მრავალფეროვნებისა, ჩვეულებრივ ადამიანურია და გამოხატავს არამარტო ცნობილი ადამიანის თვისებებს, არამედ ადამიანის თვისებებს ზოგადად. იმასაც კი ამბობენ, რომ შექსპირის ხასიათები სრულყოფილების მწვერვალია.

ყოველივე ამას ამტკიცებენ განსაკუთრებული გულდაჯერებით და უცილობელ ჭეშმარიტებად მიიჩნევენ. მაგრამ რამდენჯერაც არ ვეცადე ამის დამადასტურებელი რამ მენახა შექსპირის დრამებში, იმდენჯერვე საპირისპიროს წავაწყდი.

იმთავითვე, შექსპირის ნებისმიერი დრამის წაკითხვისას, უმალ მთელი სიცხადით ვრწმუნდებოდი, რომ შექსპირთან არ მოიძებნება მთავარი, ერთადერთი საშუალება ხასიათის გამოვლენისა, — „ენა“, — ანუ ის, რომ ყოველი პირი უნდა საუბრობდეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ენით, რასაც მის დრამებში საერთოდ არა აქვს ადგილი. შექსპირის ყოველი გმირი, საკუთარი ენით კი არა, არამედ მუდამ ერთი და იგივე ავტორისეული, მაღალფარდოვანი, არაბუნებრივი ენით მეტყველებს, რითაც არათუ ვერ ისაუბრებდნენ წარმოდგენილი მოქმედი პირები, არამედ, არასოდეს და არსად არ უსაუბრიათ ცოცხალ ადამიანებს. არცერთ ადამიანს არ შეუძლია და არ შეეძლო ეთქვა ის, რასაც ამბობს ლირი: რომ იგი კუბოში გაშორდებოდა თავის ცოლს, თუ რეგანა არ მიიღებდა მას, ან კიდევ, როგორც კარისკაცი აღწერს ქარიშხალს, — ყვირილი ზეცას გაარღვევს და ქარები გასკდებიან, რომ ქარი დედამიწას ზღვაში ჩარეცხვით ემუქრება და ხვიარა წყლებს ნაპირის წალეკვა სურთ; ან თუნდაც ედგარის მსჯელობა იმის შესახებ, რომ უფრო იოლად ატარებს დარდს და სულიც მეტად გადალახავს მრავალ ტანჯვას, თუ დარდს მეგობრობა გააჩნია, რომ ლირი უშვილოდ დარჩა, ის კი უმამოდ, და ა. შ. მოქმედ პირთა ასეთი არაბუნებრივი გამონათქვამებითაა გადავსებული შექსპირის ყველა დრამა.

მაგრამ გარდა იმისა, რომ ყოველი პირი საუბრობს ისეთნაირად, რომლის მსგავსად ცოცხალ ადამიანებს არასოდეს და არსად არ უსაუბრიათ, თითოეული მათგანი ენაშეუნახავეობითაა დაავადებული.

შეყვარებულები, სასიკვდილოდ განწირულნი, ბრძოლაში ჩაბმულნი, მომაკვდავნი, ლაპარაკობენ უზომოდ და იმავე დროს შექმნილ ვითარებასთან სრულიად შეუთავსებელ საგნებზე და თან, კარგად გააზრებულ საუბარს, კალამბურებით თანხმიერ მეტყველებას ამჯობინებენ.

რაც მთავარია, ყველა ერთნაირად მეტყველებს. ლირი ისევე აბდაუბდად ლაპრაკობს, როგორც თვალთმაქცი ედგარი. მსგავსად საუბრობენ აგრეთვე კენტიცა და მასხარაც. ერთი მოქმედი პირის ნათქვამი თავისუფლად შეიძლება მიაკუთვნო სხვას, ისე, რომ საუბრის ხასიათითაც ვერ გამოიცნო ვინ ლაპარაკობს. და თუკი არსებობს რაიმე განსხვავება შექსპირის გმირების მეტყველებაში, ეს თავად ავტორის საუბრის მანერაა, რომლითაც იგი მისი გმირების მაგივრად საუბრობს.

ასე მაგალითად: ხელმწიფეთა მაგივრად შექსპირი ყოველთვის ერთი და იგივე გაზვიადებული, არაფრისმთქმელი ენით მეტყველებს. ასეთივე ყალბი, სანტიმენტალური, ავტორისეული ენით საუბრობენ პოეტურ სახეებად მიჩნეული ქალები — იულია, დეზდემონა, კორდელია, მარინა. ასევე საუბრობს შექსპირი მისეული ბოროტი გმირების — რიჩარდის, ედმუნდის, იაგოს, მაკბეტის პირითაც, თუმცა იმგვარ ღვარძლიან გრძნობებს ბოროტებიც კი არასოდეს გამოხატავენ. კიდევ უფრო ერთნაირია შეშლილთა საზარელი სიტყვებით საუბარი და მასხარათა ყოვლად უკბილო ენამახვილობა.

ასე რომ, მოქმედ პირთა ენა, ანუ ის ენა, რაც დრამაში ხასიათების გამომსახველი უმთავრესი საშუალებაა, არ გააჩნია შექსპირს. (თუკი ხასიათების გამომსახველ საშუალებად ჟესტები უნდა იქნას გამოყენებული, როგორც ეს ბალეტშია, მაშინ ეს მხოლოდ მეორეხარისხოვანი საშუალებაა.) და თუკი მოქმედი პირები მხოლოდ იმას ლაპარაკობენ, რაც თავში მოუვათ და თანაც ყველა ერთნაირად, როგორც ეს შექსპირთან ხდება, მაშინ ჟესტებიც კი კარგავენ თავის მნიშვნელობას. და ამიტომ, რასაც არ უნდა ამბობდნენ შექსპირის ბრმა მეხოტბენი, მას ხასიათების გამოხატვის უნარი არ გააჩნია.

ის პირებიც კი, რომლებიც შექსპირის დრამებში გამოირჩევიან საკუთარი ხასიათით, ხასიათის არსით, ნასესხებია ადრეული ნაწარმოებებიდან, რაც მის დრამებს დაედო საფუძვლად და უმეტესწილად დრამატული ხერხებით კი არ წარმოჩინდებიან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აიძულო ყოველი პირი საკუთარი ენით ილაპარაკოს, არამედ ეპიკური ხერხით — როცა ერთნი სხვათა თვისებებზე საუბრობენ.

სრულყოფილება, რომლითაც შექსპირი ხასიათებს წარმოაჩენს, ძირითადად ლირის, კორდელიას, ოტელოს, დეზდემონასა და ჰამლეტის ხასიათებს ეფუძნება. თუმცა ყველა ეს ხასიათი, ისევე როგორც ყველა სხვა, შექსპირს კი არ ეკუთვნის, არამედ ადრეული დრამებიდან, ქრონიკებიდან და ნოველებიდანაა აღებული. და ეს ხასიათები არათუ გამძაფრებული და გაღმავებულია, არამედ უმეტესწილად დასუსტებული და დამახინჯებულია ავტორის მიერ. ყველაფერი ეს გასაკუთრებით იგრძნობა ჩემს მიერ განხილულ დრამაში „მეფე ლირი“, რომლის სიუჟეტი შექსპირმა აიღო უცნობი ავტორის დრამიდან „King Leir“. „მეფე ლირში“ თვით ლირისა და განსაკუთრებით კი კორდელიას ხასიათები არამცთუ შექსპირის მიერაა შექმნილი, არამედ გასაოცრადაა მის მიერ დასუსტებული და უსახურად ქცეული ძველ დრამასთან შედარებით.

ძველ დრამაში მეფე ლირი უარს ამბობს ძალაუფლებაზე იმის გამო, რომ დაქვრივების შემდეგ იგი მხოლოდ სულის გადარჩენაზე ფიქრობს. ხოლო ქალიშვილების მისადმი სიყვარულის გარკვევას კი ეშმაკურად იგონებს იმისათვის, რომ ყველაზე საყვარელი უმცროსი ქალიშვილი თავის კუნძულზე დატოვოს. ორი უფროსი უკვე გათხოვილია, ხოლო უმცროსი უარზეა უსიყვარულოდ ცოლად გაჰყვეს ახლოს მცხოვრებ სასიძოებს, რომლებსაც მამა ურჩევს. ამიტომაც ლირს ეშინია, რომ კორდელია ცოლად არ გაჰყვეს ისეთ მეფეს, რომლის სამეფო შორსაა მათგან.

მის მიერ მოფიქრებული ეშმაკობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ როცა კორდელია იტყოდა, მამა ყველაზე მეტად მიყვარსო, ლირი ქალიშვილს სთხოვდა სიყვარულის დასამტკიცებლად იმ პრინცს გაჰყოლოდა ცოლად, ვისაც მამა ურჩევდა.

ლირის მოქმედების ეს მოტივები შექსპირთან არ გვხვდება. შემდეგ, როდესაც ძველ დრამაში ლირი ქალიშვილებს ეკითხება, თუ როგორ უყვართ მამა, კორდელია ისე კი არ პასუხობს, როგორც ეს შექსპირის დრამაშია (რომ იგი თუ გათხოვდება, მაშინ მას არა მხოლოდ მამა, არამედ მეუღლეც ეყვარება, რაც სრულიად არაბუნებრივია), არამედ უბრალოდ ამბობს, რომ მას არ შეუძლია სიტყვებით გამოხატოს თავისი სიყვარული და იმედი აქვს, რომ ამას საქმით დაამტკიცებს. ამ დროს, გონერილა და რეგანა შენიშნავენ, რომ კორდელიას პასუხი არაა პასუხი და მამამ მშვიდად არ უნდა გადაიტანოს ამგვარი გულგრილობა. ასე რომ ძველ დრამაში არის ის, რაც არ არის შექსპირთან, — ლირის განრისხების მიზეზი, რაც უმცროსი ქალიშვილის მემკვიდრეობის გარეშე დატოვების მიზეზი ხდება. ლირი გულმოსულია იმის გამოც, რომ მისმა ეშმაკობამ არ გაჭრა, უფროსი ქალიშვილების გესლიანი სიტყვები კი კიდევ უფრო აბრაზებს მას. ძველ დრამაში, ორ ქალიშვილს შორის სამეფოს გაყოფის სცენის შემდეგ, იმართება კორდელიასა და გალიის მეფის შეხვედრა, რომელიც შექსპირის დრამისაგან განსხვავებით, კორდელიას წარმოაჩენს სრულიად გამოკვეთილი ხასიათის მქონე, მიმზიდველ, მართალ, ნაზ და თავგანწირულ პიროვნებად.

მაშინ, როდესაც კორდელია ზის და იმას კი არ დარდობს, რომ მემკვიდრეობის წილი არ შეხვდა, არამედ განიცდის, რომ მამის სიყვარული მოაკლდება და იმაზე ფიქრობს, თუ როგორ უნდა ირჩინოს თავი, მწირის სახით შემოდის გალიის მეფე, რომელსაც განუზრახავს ლირის რომელიმე ქალიშვილი ამოირჩიოს საცოლედ. იგი კორდელიას დაეკითხება მწუხარების მიზეზს. კორდელია უყვება რატომაცაა უგუნებოდ. მწირის სამოსში გახვეული გალიის მეფე, რომელიც კორდელიათი მოიხიბლება, პირდება მას, რომ გალიის მეფეს გაურიგებს, მაგრამ კორდელია

პასუხობს, რომ იგი მხოლოდ იმას გაჰყვება, ვისაც შეიყვარებს. მწირი კორდელიას ხელსა და გულს სთავაზობს. კორდელია გამოუტყდება, რომ შეიყვარა იგი და მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბე და გაჭირვება ელოდება, თანხმდება ცოლად გაჰყვეს მას. მაშინ მწირი გამოუტყდება, რომ სწორედ ისაა გალიის ხელმწიფე და კორდელიაც ცოლად მიჰყვება მას.

ამის ნაცვლად, შექსპირის დრამაში ლირი საქმროებს სთავაზობს, მზითევის გარეშე შეირთონ კორდელია, რაზეც ერთი მათგანი მაშინვე უხეშად უარს ამბობს, ხოლო მეორე კი, გაუგებარია რატომ, თანხმობას განაცხადებს და ცოლად მიჰყავს კორდელია.

ძველ დრამაში, ისევე როგორც ეს შექსპირთანაა, ლირი საცხოვრებლად გონერილასთან გადადის, რომელიც გამუდმებით შეურაცხყოფს მას. შექსპირის დრამისაგან განსხვავებით, ლირი ყოველივეს მორჩილად იტანს, ვინაიდან თვლის, რომ კორდელიას მიმართ ჩადენილი საქციელის გამო ამას იმსახურებს.

ძველ დრამაში, ისევე, როგორც ეს შექსპირის ტრაგედიაშია, კარისკაცი პერელიუს-კენტი, რომელსაც იმის გამო გააძევებენ, რომ კორდელიას გამოესარჩლება, ლირთან მიდის, ოღონდაც გადაცმული კი არა, არამედ როგორც ერთგული მსახური, რომელიც თავის ხელმწიფეს გასაჭირში არ ტოვებს და ერთგულებაში ეფიცება მას. ლირი მას ეტყვის იმას, რასაც შექსპირის დრამაში, ბოლო სცენაში კორდელიას ეუბნება, კერძოდ კი, — რომ თუ ქალიშვილებს, რომლებსაც ამდენი სიკეთე გაუკეთა, სძულთ იგი, როგორ შეიძლება უყვარდეს იმას, ვისაც საპირისპირო მიუზღო. მაგრამ პერელიუს-კენტი არწმუნებს ხელმწიფეს მისდამი სიყვარულში, ლირიც მშვიდდება და რეგანასთან მიდის. ძველ დრამაში ადგილი არა აქვს არანაირ ქარიშხლებს და ჭაღარა თმის გლეჯას. იქ წარმოდგენილია დარდისა და ვარამისგან განადგურებული, დაუძლურებული და ბედს დამორჩილებული მოხუცი ლირი, რომელიც მეორე ქალიშვილმაც გააგდო სახლიდან და მოკვლასაც უპირებს. ძველ დრამაში, უფროსი ქალიშვილის მიერ გაძევებული ლირი პერელიუსთან ერთად კორდელიასთან მიდის, როგორც უკანასკნელ იმედდთან. შექსპირის ტრაგედიაში ქარიშხალში ნაძალადევად გაგდებული ლირი უთავბოლოდ დარბის ტრიალ მინდვრებს შორის, ძველ დრამაში კი მეფე და პერელიუსი ერთად, საფრანგეთში მოგზაურობის დროს სრულიად ბუნებრივად უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩნდებიან. ისინი იძულებულები არიან გაყიდონ თავიანთი სამოსი, რათა ზღვით მგზავრობის საფასური გადაიხადონ და მეთევზეების ტანსაცმელში გახვეულები, შიმშილითა და სიცივით გათანგულები, ძლივძლივობით უახლოვდებიან კორდელიას სახლს.

და ისევ, ლირს, მასხარასა და ედგარს შორის ხელოვნური, მიკიბულ-მოკიბული საუბრის ნაცვლად, როგორც ეს შექსპირის ტრაგედიაშია, ძველ დრამაში სრულიად ბუნებრივადაა წარმოდგენილი მამისა და ქალიშვილის შეხვედრის სცენა. ბედნიერი კორდელია, რომელიც გამუდმებით წუხდა მამაზე და ღმერთს შესთხოვდა ეპატიებინა დებისათვის მშობლის გულის ტკენა, დაინახავს თუ არა უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ მამას, მოიწადინებს მაშინვე გაეხსნას მას, მაგრამ მეუღლე არ ურჩევს ამის გაკეთებას, რათა ზედმეტად არ ააღელვოს ისედაც დაუძლურებული მოხუცი. კორდელია ეთანხმება მეუღლეს, თავისთან მიჰყავს მამა და ისე უვლის მას, რომ ჯერ კიდევ არ უმხელს თავის ვინაობას. ლირი ნელ-ნელა გონს მოდის და მაშინ კორდელია ეკითხება, თუ ვინ არის იგი და როგორ ცხოვრობდა ადრე.

„მე რომ ეს ყველაფერი თავიდან მოვყვე, — ამბობს ლირი, — თვით ქვის გულის მქონე ადამიანიც ატირდებოდა. შენ კი საბრალოვ, ისეთი გულჩვილი ხარ, რომ ჯერ არაფერი მითქვამს და უკვე ტირიხარ“.

„არა, ღვთის გულისათვის მომიყევი, — მიმართავს კორდელია, — და როცა დაამთავრებ ამბის მოყოლას, მაშინ გეტყვი, რისთვისაც ვტიროდი მანამ, სანამ მოვისმენდი იმას, რასაც შენ იტყვი“. და ლირიც უამბობს ყველაფერს, რისი გადატანაც მას უფროსი ქალიშვილებისაგან მოუხდა და რომ ახლა მას სურს მიაგნოს უმცროს ქალიშვილს, რომელიც მართალი იქნებოდა, თუკი მას სასიკვდილოდ გაიმეტებდა.

„და თუკი იგი მე სიყვარულით მიმიღებს, — ამბობს ლირი, — ეს ღმერთის და მისი წყალობა იქნება და არა ჩემი დამსახურება“. რაზეც კორდელია პასუხობს: „მე დანამდვილებით ვიცი, რომ შენ სიყვარულით მიგიღებს შენი ქალიშვილი“. — „შენ საიდან შეიძლება ეს იცოდე, როცა მას არ იცნობ?“ — ეკითხება ლირი. „მე ეს იქიდან ვიცი, — ეუბნება კორდელია, — რომ მეც მყავდა მამა, რომელიც ისევე ცუდად მომექცა, როგორც შენ შენს ქალიშვილს. და მაინც, მე რომ

ახლა მისი ჭაღარა თავი დამანახა, მუხლებზე დაჩოქილი მივეგებებოდი მას“. — „არა, ეს შუძლებელია, — ამბობს ლირი, — ვინაიდან ამ ქვეყანაზე არ არსებობენ ისეთი სასტიკი შვილები, როგორებიც ჩემები არიან“. — „ნუ განსჯი ყველას, სხვათა ცოდვების გამო, — ეუბნება კორდელია და მუხლზე დაუჩოქებს. — აი, შეხედე, ძვირფასო მამავ, — აგრძელებს იგი, — შემხედე, ეს მე ვარ, შენი მოსიყვარულე ქალიშვილი“. ლირი იცნობს კორდელიას და ეტყვის: „შენ კი არა, მე უნდა ვიდგე მუხლებზე და პატიებას გთხოვდე ყველა იმ ცოდვისათვის, რაც შენს მიმართ ჩამიდენია“. არის კი ამ შესანიშნავი სცენის მსგავსი რამ შექსპირის დრამაში? რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოთ შექსპირის თაყვანისცემლებს ჩემი მოსაზრება, ერთი რამ ცხადია, ეს ძველი დრამა შეუდარებლად, ყოველმხრივ სჯობს შექსპირის გადაკეთებებს. სჯობს იმიტომ, რომ მასში არ არიან სრულიად ზედმეტი და ყურადღების გამფანტველი ისეთი პირები, როგორებიც არიან ავკაცი ედმუნდი, უსიცოცხლო გლოსტერი და ედგარი; შემდეგ, მასში არაა ტრიალ მინდვრებში ლირის გაუთავებელი სირბილის, სამოსების გაუთავებელი გადაცმების, მასხარასთან უთავბოლო საუბრების, ვერცნობისა და საყოველთაო სიკვდილიანობის სრულიად ყალბი ეფექტების შემცველი სცენები; ძველ დრამაში წარმოჩენილია ლირის ჩვეულებრივი, ბუნებრივი, ღრმად მგრძნობიარე ხასიათი და კიდევ უფრო მეტად მგრძნობიარე, გამოკვეთილი და შესანიშნავი ხასიათი კორდელიასი, რომელსაც ვერ ნახავთ შექსპირთან. და რაც მთავარია, ლირისა და კორდელიას შეხვედრების გაჭიანურებელი სცენების ნაცვლად, რაც კორდელიას სრულიად უადგილო სიკვდილით მთავრდება, ძველ დრამაში თამაშდება ლირისა და კორდელიას შერიგების აღტაცებაში მომყვანი სცენა, რომლის მსგავსი არ მოიძებნება შექსპირის არცერთ ტრაგედიაში.

ძველი დრამა მთავრდება ასევე უფრო ბუნებრივად და უფრო მეტად შეესაბამება მაყურებლის ზნეობრივ მოთხოვნილებებს, ვიდრე შექსპირისა, კერძოდ კი ისე, რომ საფრანგეთის ხელმწიფე ბრძოლაში ამარცხებს ლირის უფროსი ქალიშვილების ქმრებს და კორდელია კი არ იღუპება, არამედ მამას ძველ გარემოში აბრუნებს.

ასეთია შექსპირის განხილული დრამის სიუჟეტი, რომელიც მან გადმოიტანა ძველი დრამიდან „King Leir“.

იგივე ითქმის ოტელოზე, რომელიც იტალიური ნოველიდანაა აღებული, სახელგანთქმულ ჰამლეტზე, ანტონიოსზე, ბრუტუსზე, კლეოპატრაზე, რიჩარდსა და შექსპირის ყველა გმირზე; ყოველი მათგანი რომელიღაც ადრეული ნაწარმოებიდანაა აღებული. იყენებს რა იმ ხასიათებს, რომლებიც უკვე წარმოსახულია ადრინდელ დრამებსა და ნოველებში, ქრონიკებში, პლუტარქეს ცხოვრების აღწერაში, შექსპირი, არა თუ ვერ ახერხებს მათ უფრო დამაჯერებლად და ცოცხლად წარმოდგენას, როგორც ამას მისი მეხოტბენი ამტკიცებენ, არამედ პირიქით, უფრო და უფრო აკნინებს, ხშირ შემთხვევაში კი სრულიად ანადგურებს მათ, როგორც ეს „ლირშია“. იგი აიძულებს მოქმედ პირებს ჩაიდინონ მათთვის უჩვეულო საქციელი და რაც მთავარია — ილაპარაკონ არც მათთვისა და საერთოდ ვინმე სულიერისათვის დამახასიათებელი ენით. ასეა მაგალითად „ოტელოში“. შექსპირის ეს ოდნავ უკეთესი, ან ყველაზე ნაკლებად ცუდი დრამა, სავსეა შექსპირისეული მაღალფარდოვანი გამონათქვამებით, ხოლო ოტელოს, იაგოს, კასიოსა და ემილიას ხასიათები გაცილებით უფრო არაბუნებრივი და უსიცოცხლოა, ვიდრე ეს იტალიურ ნოველაშია. შექსპირის ოტელო ავი ზნითაა შეპყრობილი, რის გამოც მას სცენაზე ბნედა ემართება. შემდეგ, დეზდემონას სიკვდილს წინ უსწრებს მუხლებზე დაჩოქილი ოტელოსა და იაგოს უცნაური დაფიცება, გარდა ამისა, შექსპირის ოტელო რატომღაც ზანგია და არა მავრი. ყველა სცენა არაბუნებრივად ვითარდება და ხელოვნურადაა გაზვიადებული, რაც არღვევს ტრაგედიის მთლიანობას. მსგავსი არაფერი არ ხდება იტალიურ ნოველაში. ბევრად უფრო დამაჯერებელადაა წარმოჩენილი ნოველაში ოტელოს ეჭვიანობის მიზეზი დეზდემონასადმი, ვიდრე ეს შექსპირის ტრაგედიაშია. ნოველაში კასიო, რომელმაც იცის, ვისია ცხვირსახოცი, დეზდემონასთან მიაქვს, რათა მისცეს მას. როცა იგი დეზდემონას სახლის შესასვლელს მიუახლოვდება, მომავალ ოტელოს შენიშნავს და ემალება მას. ოტელო დაინახავს, თუ როგორ გარბის კასიო, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მის ეჭვებს. ეს ეპიზოდი შექსპირის დრამაში არ არის, მაშინ როდესაც სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ოტელოს ეჭვიანობა დეზდემონასადმი. შექსპირთან, ოტელოს ეჭვიანობა გამოწვეულია იაგოს მაქინაციებითა და მზაკვრული გამონათქვამებით, რომლებსაც ბრმად იჯერებს ოტელო. სრულიად წარმოუდგენელია ოტელოს მონოლოგი მძინარე დეზდემონასთან,

თუ როგორ სურს მას, რომ დეზდემონა მკვდარიც ისეთივე იყოს, როგორც ცოცხალი, რომ მას მკვდარიც ეყვარება დეზდემონა; ახლა კი სურს, რომ დატკბეს მისი კეთილსურნელებით და ა.შ. ადამიანს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მოკლას საყვარელი არსება, არ შეუძლია ასეთი ფრაზებით საუბარი და კიდევ უფრო არარეალურია ის, რომ ჩადენილი მკვლელობის შემდეგ, ილაპარაკოს იმაზე, რომ ახლა მზე და მთვარე უნდა დაბნელდეს, დედამიწა კი გასკდეს. და როგორი ზანგიც არ უნდა იყოს ის, შეუძლებელია მოუხმოს დემონებს, რომ ცხელ გოგირდში დაწვან იგი. და ბოლოს, რარიგ ეფექტურიც არ უნდა იყოს ოტელოს თვითმკვლელობა, რაც საერთოდ არ არის იტალიურ ნოველაში, იგი სრულიად ამსხვრევს წარმოდგენას ოტელოს ხასიათის თავისებურებაზე. თუ ის მართლა იტანჯება დარდისა და სინანულისაგან, და თავის მოკვლას აპირებს, შეუძლებელია ამ დროს ილაპარაკოს საკუთარ დამსახურებაზე, მარგალიტებსა და ცრემლებზე, რომლებსაც, არაბეთში ხეებიდან მედინი გუმფისივით ღვრის, ან კიდევ იმაზე, თუ როგორ აგინებდა თურქი იტალიელს, რისთვისაც მან, ოტელომ, აი ასე დასაჯა იგი. მიუხედავად იმისა, რომ ოტელოს პიროვნებაში მიმდინარე ვნებათაღელვა დამაჯერებლად იჩენს თავს დეზდემონას მიმართ ეჭვიანობის სცენაში, ან კიდევ მაშინ, როდესაც იაგოს გადაკრული სიტყვები კიდევ უფრო ამძაფრებს მის დაეჭვებას, ოტელოს ხასიათის მთლიანობა ტრაგედიაში განუწყვეტლივ ირღვევა ყალბი პათოსისა და მისთვის უჩვეულო მონოლოგების გამო.

ეს გახლავთ ის, რაც შეეხება მთავარ მოქმედ პირს — ოტელოს. მაგრამ მიუხედავად იმ უხეირო სახეცვლილებისა, რასაც შექსპირის ოტელო განიცდის, იტალიური ნოველის იმ სახესთან შედარებით, საიდანაცაა იგი გადმოღებული, ეს სახე მაინც მნიშვნელოვან ხასიათად რჩება. ყველა სხვა მოქმედი პირი კი სრულიად უვარგისი და დამახინჯებულია შექსპირის მიერ.

იაგო, შექსპირთან, ეს არის ჩამოყალიბებული ავაზაკი, მატყუარა, ქურდი, ანგარებიანი პიროვნება, რომელიც ყოველთვის წარმატებით ართმევს თავს გაუგონარ ბოროტ განზრახვებს და ამიტომაც ეს სახე სრულიად არარეალურია. მისი ბოროტი ქმედებების მოტივი შექსპირის მიხედვით იმით აიხსნება, რომ ჯერ ერთი, ოტელომ მას არ მისცა მისთვის სასურველი ადგილი, მეორეც, იგი ეჭვის თვალით უყურებს ოტელოს ურთიერთობას მის ცოლთან, მესამე კი ისაა, რომ, როგორც თვითონ იაგო ამბობს, იგი რაღაც უცნაურ სიყვარულს გრძნობს დეზდემონას მიმართ. ასე რომ, მოტივი ბევრია, თუმცა ყველა — ბუნდოვანი. ნოველაში კი ერთი მოტივია — უბრალო და ცხადი: დეზდემონას მხურვალე სიყვარული, რომელიც ოტელოსა და დეზდემონასადმი სიძულვილში გადაიზარდა მას შემდეგ, რაც დეზდემონამ მავრი არჩია იაგოს და საბოლოოდ ხელი ჰკრა მას. კიდევ უფრო არაბუნებრივი და სრულიად ზედმეტი სახეა როდრიგო, რომელსაც იაგო ატყუებს და ჰპირდება რა დეზდემონას სიყვარულს, აიძულებს, მისი დავალებით დაათროს კასიო, გააღიზიანოს იგი და მერე მოკლას. ემილიას კი, რომელიც მხოლოდ იმას ამბობს, რისი თქმაც ავტორს მოეპრიანება, არაფერი საერთო არა აქვს ცოცხალ სახესთან.

„მაგრამ ფალსტაფზე, საოცარ ფალსტაფზე, — იტყვიან შექსპირის მეხოტბენი, — მასზე ხომ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ იგი არაცოცხალი სახეა და რომ ის, აღებული უცნობი ავტორის კომედიიდან, ოდნავ მაინც იყოს შესუსტებული“.

ფალსტაფი, ისევე, როგორც შექსპირის ყველა სახე, გადმოღებულია უცნობი ავტორის კომედიიდან ან დრამიდან, რომელიც მიეძღვნა სინამდვილეში არსებულ, რომელიღაც ჰერცოგის მეგობარ სერ ოლდკესტლს. ეს ოლდკესტლი ერთხელ რჯულგანდგომილობაში დაადანაშაულეს და მისმა მეგობარმა ჰერცოგმა დაიხსნა, მეორედ კი კათოლიკურ რელიგიურ რწმენასთან დაპირისპირებისათვის გაასამართლეს და კოცონზე დაწვეს. სწორედ ამ ოლდკესტლზე დაიწერა კათოლიკური საზოგადოების საამებლად უცნობი ავტორის მიერ კომედია, ან დრამა, რომელიც დასცინოდა და, რწმენისათვის ამ წამებულ ადამიანს, ჰერცოგის თანამესუფრე ვიგინდარად წარმოაჩენდა. ამავე კომედიიდანვე აქვს აღებული შექსპირს არა მარტო ფალსტაფის სახე, არამედ მისდამი კომიკური დამოკიდებულებაც. შექსპირის პირველ პიესებში, რომლებშიდაც ეს სახე იყო წარმოდგენილი, მას ოლდკესტლი ერქვა. შემდეგ კი, როდესაც ელისაბედის დროს, კვლავ აღზევდა პროტესტანტობა, უხერხული იყო კათოლიციზმის წინააღმდეგ მებრძოლი წამებული ადამიანის აგდებულად მოხსენიება, და შექსპირმაც ოლდკესტლის სახელი ასევე ისტორიული პიროვნების — ფალსტაფის სახელით შეცვალა, რომელიც იმითაა ცნობილი, რომ აზინკურთან* ბრძოლის ველი მიატოვა და გაიქცა.

ფალსტაფი ჭეშმარიტად სრულიად ბუნებრივი და დამახასიათებელი სახეა, უთუოდ ერთ-

ადერთი ბუნებრივი და დამახასიათებელი სახე, რომელიც კი შექსპირს შეუქმნია. ბუნებრივი და დამახასიათებელი კი ეს სახე იმიტომაა, რომ შექსპირის ყველა სხვა მოქმედი პირისაგან განსხვავებით, მხოლოდ ის საუბრობს მისი ხასიათისათვის ჩვეული ენით. მისი ხასიათისათვის ჩვეული ენით კი ფალსტაფი იმიტომ საუბრობს, რომ იგი ზუსტად იმ უკბილო ხუმრობითა და უცნაური კალამბურებით სავსე შექსპირის ენით მეტყველებს, რომელიც ასე შეუთავსებელია შექსპირის სხვა პირთათვის, მაგრამ სავსებით ესადაგება მთვრალი ფალსტაფის მკვეხარა, მახინჯ და გარყვნილ ხასიათს. ამიტომაც, ეს პირი მართლაც წარმოადგენს გამოკვეთილ ხასიათს. სამწუხაროდ, ამ ხასიათის მხატვრულობას არღვევს ის გარემოება, რომ ეს სახე თავისი ღორმუცელობით, ლოთობით, გარყვნილებით, თაღლითობით, მატყუარობითა და სიმხდალით იმდენად შემზარავია, რომ ძნელია მხიარული კომიზმის ის გრძნობა გაიზიარო, რომლითაც ავტორი მას ეპყრობა. ეს, რაც ფალსტაფს შეეხება.

ის, რომ შექსპირი თავის მოქმედ პირებს არ ანიჭებს გამოკვეთილ ხასიათს, ვფიქრობ მის უცოდინარობას როდი მიეწერება, არამედ იმ სრული გულგრილობის შედეგია, რაც არცერთ სხვა გმირს ისე არ ახასიათებს, როგორც ჰამლეტს, ისევე როგორც შექსპირის არცერთი სხვა პიესის მიმართ არ იგრძნობა ისეთი საოცარი ბრმა თაყვანისცემა და გონებადაბინდული ჰიპნოზი, რის გამოც დაუშვებლადაა მიჩნეული რაიმე აზრის არსებობაც კი იმის თაობაზე, რომ შექსპირის რომელიმე ნაწარმოები არ ყოფილიყო გენიალური, და რომ მისი დრამის რომელიმე მთავარი გმირი არ ეღიარებინათ, როგორც ახალი, ღრმად გააზრებული ხასიათი.

შექსპირმა გამოიყენა საკმაოდ კარგი, ძველი ისტორია იმის შესახებ, რომ: Avec quelle ruse Amleth qui depuis fut Rou de Dannemarch, vengea la mort de son pere Horwendille, occis par Fengon, son frere et autre occurence de son histoire[1], ან 15 წლით ადრე ამ თემაზე დაწერილი დრამა, და ამ სიუჟეტზე იგი წერს საკუთარ დრამას და სრულიად უადგილოდ (როგორც ყოველთვის), მთავარ მოქმედ პირს თავისი პირადი, მისი ჭკუით, ყურადსაღები აზრებით ალაპარაკებს. ახმოვანებს რა მისი გმირის პირით ამ აზრებს: წარმავალ ცხოვრებაზე (მესაფლავე), სიკვდილის შესახებ (to be or not to be[2]), ანუ იგივეს, რაც მას 66-ე სონეტში აქვს გამოხატული (თეატრისა და ქალების შესახებ), იგი ოდნავადაც არ ზრუნავს იმაზე, თუ რა ვითარებაში ითქმება ეს ყველაფერი და რა თქმა უნდა გამოდის, რომ პირი, რომელიც ამ აზრებს გამოხატავს, შექსპირის ფონოგრაფადაა ქცეული, დაცლილია ყოველგვარი ხასიათისაგან, მისი მოქმედება და სიტყვები კი ერთმანეთს არ შეესაბამება.

ლეგენდაში ჰამლეტის პიროვნება სრულიად გასაგებია: იგი აღშფოთებულია დედისა და ბიძის საქციელით, სურს შური იძიოს მათზე, მაგრამ ეშინია ბიძამ იგი ისევე არ მოკლას, როგორც მამამისი და ამის გამო თავს მოიგიჟიანებს, ხელსაყრელ მომენტს ელოდება და სურს ყველაფერი გაიგოს, რაც მეფის კარზე ხდება. თავის მხრივ დედას და მამას ჰამლეტის ეშინიათ და სურთ გაიგონ, ნამდვილად გიჟია იგი თუ თავს იკატუნებს; ამის გასარკვევად ჰამლეტს იმ ქალიშვილს მიუგზავნიან, რომელიც მას უყვარდა. ჰამლეტი თავის ხასიათს ავლენს, იგი პირისპირ ხვდება დედას, კლავს მოთვალთვალე კარისკაცს და დედას ამხელს. ამის შემდეგ მას ინგლისში აგზავნიან. გზაში ჰამლეტი იმ წერილების შინაარსს შეცვლის, რომლებიც ბიძამ ინგლისის მეფესთან გაატანა, რაც მას სიკვდილისგან იხსნის. ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ კი იგი შურს იძიებს თავის მტრებზე — ყველას ერთიანად ამობუგავს სასახლეში.

ჰამლეტის ხასიათიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს ყველაფერი გასაგები ხდება. მაგრამ ის, რომ შექსპირი თავის ტრაგედიაში ჰამლეტს იმ სიტყვებით ალაპარაკებს, როგორც მას სურს და აიძულებს მას ისეთი რამ ჩაიდინოს, რაც ეფექტური სცენების გასამართავად სჭირდება, ანადგურებს ყველაფერს, რაც ლეგენდაში ჰამლეტის ხასიათისათვის არის დამახასიათებელი. მთელი ტრაგედიის განმავლობაში ჰამლეტი იმას კი არ აკეთებს, რაც შესაძლოა მას სურდეს, არამედ იმას, რაც ავტორს სურს: ხან შიშით ძრწის მამის აჩრდილის წინაშე, ხან დას-

[1] ამლეტმა, რომელიც შემდგომში დანიის ხელმწიფე ხდება, როგორი ეშმაკობით იძია შური თავისი მამის, ჰორვენდილის მკვლელობისათვის, რომელიც მისმა ძმამ ფენგონმა მოკლა და ამ მოთხრობის სხვა გარემოებები (ინგლ.). — რედ.

[2] ყოფნა არ ყოფნა (ინგლ.). — რედ.

ცინის და მუდოს უწოდებს, ზოგჯერ უყვარს ოფელია, ზოგჯერ კი აჯავრებს მას და ა.შ. შეუძლებელია რაიმე ახსნა მოუძებნო ჰამლეტის ქმედებებსა და სიტყვებს, ამიტომაც შეუძლებელია რაიმენაირი ხასიათი მიაწერო მას.

მაგრამ, რადგანაც აღიარებულია, რომ გენიალურ შექსპირს არ შეუძლია რაიმე ცუდი დაწეროს, განსწავლული ადამიანები თავიანთი ჭკუის მთელ ძალისხმევას იქითკენ მიმართავენ, რომ აღმოაჩინონ გასაოცარი სილამაზე იმაში, რაც თვალშისაცემ ნაკლს წარმოადგენს და რაც იმაში მდგომარეობს, რომ მთავარ მოქმედ პირს არანაირი ხასიათი არ გააჩნია, რისი ნათელი დადასტურებაც ჰამლეტია. და აი, ღრმად მოაზროვნე კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ამ ტრაგედიაში ჰამლეტის სახით წარმოჩენილია არაჩვეულებრივად ძლიერი, ახალი და ღრმა ხასიათი, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ სახეს არ გააჩნია ხასიათი და რომ ამ ხასიათის არარსებობაში ვლინდება ღრმად მოაზროვნე ხასიათის შექმნის გენიალურობა. მიიღეს რა ეს გადაწყვეტილება, განსწავლული კრიტიკოსები ტომებს ტომებზე წერენ და უზარმაზარი ბიბლიოთეკები გაივსო იმ ადამიანის ხასიათის გამოხატვის სიდიადისა და მნიშვნელობის ქება-დიდებითა და განმარტებებით, რომელსაც ხასიათი საერთოდ არ გააჩნია. მართალია, ზოგიერთი კრიტიკოსი, ზოგჯერ მორიდებით გამოთქვამს თავის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არის რაღაც უცნაური ამ სახეში, ჰამლეტი ამოუხსნელი ამოცანაა, მაგრამ ვერავინ ბედავს იმის თქმას, რომ მეფე შიშველია. დღესავით ცხადია ისიც, რომ შექსპირმა ვერ შეძლო და არც სურდა რაიმე ხასიათი მიეცა ჰამლეტისათვის, ამასთანავე არც ესმოდა, რომ ეს საჭიროა. განსწავლული კრიტიკოსები კი კვლავაც აგრძელებენ ამ ამოუცნობი ნაწარმოების კვლევასა და ქებათა-ქებას, რომელიც პიკვიკის მიერ ფერმერის კართან ნაპოვნ იმ ცნობილ წარწერებიან ქვას გვახსენებს, მეცნიერთა საზოგადოება ორ მტრულ ბანაკად რომ გაჰყო.*

ასე და ამგვარად, ვერც ლირის, ვერც ოტელოს, ვერც ფალსტაფისა და მითუმეტეს ვერც ჰამლეტის ხასიათები ვერაფრით ადასტურებენ იმ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ შექსპირის ძალა ხასიათების ასახვაშია.

თუ შექსპირის დრამებში მოიძებნებიან ისეთი სახეები, რომლებსაც რაიმე დამახასიათებელი ნიშნები გააჩნიათ — ეს უპირატესად მეორეხარისხოვანი გმირებია, როგორებიც არიან პოლონიუსი „ჰამლეტში“ და პორცია „ვენეციელ ვაჭარში“, — რამდენიმე ცოცხალი ხასიათი 500-სა და უფრო მეტ მეორეხარისხოვან მოქმედ პირს შორის, ხოლო ხასიათების არქონა მთავარ გმირთა შორის კი ვერაფრით ამტკიცებს იმას, რომ შექსპირის დრამების ღირსება ხასიათების წარმოსახვაში მდგომარეობს.

ის, რომ შექსპირს ხასიათების წარმოსახვის დიდოსტატობას მიაწერენ, იმითაა გამოწვეული, რომ მას მართლაც ახასიათებს თავისებურება, — სპექტაკლში კარგი მსახიობების თამაშისას, მოგაჩვენოს ხასიათების წარმოსახვის უნარი, ზერელე დაკვირვების შემთხვევაშიც კი. შექსპირის ეს განსაკუთრებული ნიჭი ისეთი სცენების განხორციელებაში ვლინდება, სადაც ვნებათაღელვაა გამძაფრებული. რაოდენ არაბუნებრივიც არ უნდა იყოს ის მდგომარეობა, რომელშიც ავტორი მის გმირებს აყენებს, რაოდენ უჩვეულოც არ უნდა იყოს მათთვის ის ენა, რომლითაც იგი აიძულებს მათ ილაპარაკონ, და რაოდენ უსახონიც არ უნდა იყვნენ ისინი, თავად სცენებში განვითარებული ვნებათაღელვა შექსპირისეულ ზოგიერთ სცენაში საკმაოდ სარწმუნოდ და ძლიერადაა გამოხატული, და ამასთანავე, კარგი მსახიობების თამაშის წყალობით, თუმც მცირე ხნით, მაგრამ მაინც იწვევს მოქმედი გმირებისადმი თანაგრძნობას.

თვითონ შექსპირმა, როგორც მსახიობმა და ჭკვიანმა კაცმა, იცოდა არამარტო სიტყვებით, არამედ წამოძახილებით, ჟესტებით, სიტყვების განმეორებით გამოეხატა ის სულიერი მდგომარეობა და გრძნობათა ცვალებადობა, რაც მოქმედ პირებში მიმდინარეობს. ბევრ ადგილას შექსპირის სახეები ლაპარაკის ნაცვლად შესძახებენ რაიმეს ან ტირიან, ან შუა მონოლოგის დროს, ხშირად ჟესტებით გამოხატავენ თავიანთი მდგომარეობის სიმძიმეს (ასეა, როცა ლირი ითხოვს შეუხსნან ღილი), ანდა ძლიერი აღელვების დროს, რამდენჯერმე ერთსა და იმავე კითხვას სვამენ და აიძულებენ სხვას, გაიმეორონ ის სიტყვა, რომელიც მათ გაოცებას იწვევს, როგორც ამას ოტელო, მაკდუფი, კლეოპატრა და სხვები აკეთებენ. განცდების გამოხატვის ასეთი ჭკვიანური ხერხი, რითაც მსახიობებს საშუალება ეძლევათ აჩვენონ საკუთარი ძალები, ხშირად კრიტიკოსების მიერ აღიქმებოდა და აღიქმება, როგორც ხასიათის წარმოსახვის უნარი. მაგრამ რაოდენ ძლიერადაც არ უნდა გამოიხატოს ასეთი ხერხებით ერთ რომელიმე სცენაში ვნებათაღელვა,

ერთ სცენას მაინც არ შეუძლია სრულად წარმოაჩინოს სახის ხასიათი, მითუმეტეს მაშინ, როდესაც რომელიმე მოქმედი პირი, ნაღდი წამოძახილის ან ჟესტის შემდეგ, იწყებს გაუთავებელ, არაფრისმთქმელ და მისი ხასიათისათვის შეუფერებელ საუბარს, არა საკუთარ, არამედ ავტორის სასურველ ენაზე.

V

„კი მაგრამ, შექსპირის მოქმედი პირების მიერ წარმოთქმული ისეთი ღრმააზროვანი სიტყვები და გამოთქმები, როგორიცაა ლირის მონოლოგი სასჯელის შესახებ, კენტის მსჯელობა მლიქვნელობაზე, ედგარის სიტყვები მის წინა ცხოვრებაზე, გლოსტერისა ბედის უკუღმართობაზე, ასევე ჰამლეტის, ანტონიუსისა და სხვა ცნობილი მონოლოგები?“ — იკითხავენ შექსპირის მეხოტბენი.

აზრები და წარმონათქვამები შეიძლება შეფასდეს, ვუპასუხებ მე, პროზაულ ნაწარმოებში, ტრაქტატში, აფორიზმების კრებულში, მაგრამ არა მხატვრულ დრამატულ ნაწარმოებში, რომლის მიზანია თანაგრძნობის გამოწვევა იმის მიმართ, რისი წარმოდგენაც ხდება. ამიტომაც შექსპირის სიტყვები და წარმონათქვამები კიდევაც რომ შეიცავდნენ ღრმა და ახალ აზრებს, რაც სინამდვილეში მათ არ გააჩნიათ, ვერ ჩაითვლება მხატვრული პოეტური ნაწარმოების ღირსებად. პირიქით, ეს სიტყვები და წარმონათქვამები, რომელიც სრულიად შეუფერებელ გარემოში გაისმის, მხოლოდ ვნებს მხატვრულ ნაწარმოებებს.

მხატვრული, პოეტური ნაწარმოები, განსაკუთრებით კი დრამა, მკითხველში ან მაყურებელში უპირველეს ყოვლისა უნდა იწვევდეს იმის ილუზიას, რომ ისინი მოქმედი პირების განცდებისა და განსაცდელის თანამონაწილენი არიან. ამისათვის კი ასევე მნიშვნელოვანია, დრამატურგმა იცოდეს თუ რა უნდა აკეთონ და ილაპარაკონ მისმა მოქმედმა პირებმა და რა არ უნდა აკეთონ, და რა არ ილაპარაკონ, რათა მკითხველს თუ მაყურებელს არ გაუქარწყლონ შექმნილი ილუზია. რარიგ მჭევრმეტყველური და ღრმააზროვანი არ უნდა იყოს მოქმედ პირთა წარმონათქვამები, თუ ისინი გაზვიადებულია და არ შეეფერება მათ მდგომარეობასა და ხასიათს, მაშინ იმსხვრევა დრამატული ნაწარმოების მთავარი პირობა — ილუზია, რომლის შედეგადაც მკითხველი და მაყურებელი მოქმედი პირების განცდებით ცხოვრობს. შესაძლებელია ისე, რომ არ გააქარწყლო ილუზია, ბევრი რამ ბოლომდე არ თქვა — მკითხველი და მაყურებელი თვითონ გამონახავს ბოლოთქმას, და ამან შესაძლებელია კიდევ უფრო გააძლიეროს მისი ილუზია, მაგრამ თქვა ზედმეტი, ეს იმის ტოლფასია, რომ ერთი ხელის მოსმით დაამსხვრიო ნაწილ-ნაწილ აგებული ქანდაკება, ანდა ჯადოსნურ ფანარს ნათურა გამოარიდო, — მკითხველისა და მაყურებლის ყურადღება იფანტება, მკითხველი ხედავს ავტორს, მაყურებელი — მსახიობს, ილუზია ქრება; ილუზიის ხელახლა აღდგენა კი ხშირ შემთხვევაში შუძლებელი ხდება. და ამიტომაცაა, რომ ზომიერების გრძნობის გარეშე ვერ იქნები მხატვარი, მეტადრე კი დრამატურგი. შექსპირს კი საერთოდ არ გააჩნია ეს გრძნობა.

შექსპირის გმირები გამუდმებით ლაპარაკობენ და აკეთებენ იმას, რაც მათთვის არაა დამახასიათებელი და რაც არაფრისთვისაა საჭირო. მე ამის დასამტკიცებლად ახალი მაგალითები აღარ მომყავს, ვინაიდან მიმაჩნია, რომ თუკი ადამიანი თვითონ ვერ ხედავს ამ განსაცვიფრებელ ნაკლს შექსპირის ნაწარმოებებში, მას ვერანაირი მაგალითებითა და მტკიცებულებებით ვერ დააჯერებ ამაში. საკმარისია წაიკითხო მხოლოდ „ლირი“ მისი შეშლილობით, მკვლელობებით, თვალების დათხრით, გლოსტერის გადმოხტომით, მოწამვლებით, ლანძღვა-გინებით, რომ არაფერი ვთქვა „პერიკლეზე“, „ციმბელინზე“, „ზამთრის ზღაპარზე“, „ქარიშხალზე“ (ყველა ეს ნაწარმოები ადრეული პერიოდისაა), რომ ამაში დარწმუნდე. მხოლოდ იმ ადამიანს, რომელსაც არ გააჩნია ზომიერების გრძნობა და გემოვნება, შეეძლო დაეწერა „ტიტუს ანდრონიკუსი“, „ტროილოსი და კრესიდა“ და ასე უმოწყალოდ დაემახინჯებინა ძველი დრამა „King Leir“.

ჰერვინუსი ცდილობს დაამტკიცოს, რომ შექსპირი ფლობდა მშვენიერების გრძნობას, Schönheits Sinn, მაგრამ ჰერვინუსის ყველა მტკიცება იმას ადასტურებს, რომ მას, თვით ჰერვინუსს, სრულიად არ გააჩნდა ეს გრძნობა. შექსპირთან ყველაფერი გაზვიადებულია: გაზვიადებულია ტრაგედიების გმირთა ქცევა, გაზვიადებულია ამ ქცევის შედეგები, გაზვიადებულია მოქმედ

პირთა საუბრები, და ამიტომაცაა, რომ ყოველ ნაბიჯზე ირღვევა მხატვრული შთაბეჭდილების აღქმის შესაძლებლობა.

რაც არ უნდა თქვან, როგორადაც არ უნდა ადიდებდნენ შექსპირის ნაწარმოებებს, რა ღირსებებსაც არ უნდა მიაწერდნენ მათ, უდავოა ის, რომ შექსპირი არ იყო მხატვარი და მის ნაწარმოებებს მხატვრულობისა არაფერი სცხია. ზომიერების გრძნობის გარეშე არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს მხატვარი, ისევე, როგორც რიტმის გარეშე არ არსებობს მუსიკოსი.

„არ უნდა დავივიწყოთ ის დრო, როდესაც შექსპირი თავის ნაწარმოებებს წერდა. — აღნიშნავენ შექსპირის მეხოტბენი. — ეს იყო სასტიკი და ველური ზნე-ჩვეულებების დრო, იმხანად მოდაში მყოფი ევფუიზმის, ანუ გამოხატვის ხელოვნური მეთოდის დრო, ცხოვრების ჩვენთვის უცხო ფორმების დრო. ამიტომაც შექსპირზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის დრო, რომელშიც ის წერდა. ჰომეროსთანაც, ისევე როგორც შექსპირთან, ბევრი რამაა ჩვენთვის უცხო, მაგრამ ეს ჩვენ არ გვიშლის ხელს, დავაფასოთ ჰომეროსის მშვენიერება“, ამბობენ ეს მეხოტბენი. მაგრამ შექსპირისა და ჰომეროსის შედარებისას, როგორც ამას ჰერვინუსი აკეთებს, ნათლად იკვეთება ის უზარმაზარი დაშორიშორება, რომელიც ჭეშმარიტ ხელოვნებას განასხვავებს მასთან მიმსგავსებულისგან. რაოდენ შორსაა ჩვენგან ჰომეროსი, მაგრამ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გადავდივართ იმ დროში, რომელსაც ის აღწერს. და ეს ხდება იმიტომ, რომ რაოდენ უცხო მოვლენებსაც არ უნდა აღწერდეს ჰომეროსი, მას სწამს იმისა, რასაც ამბობს და სერიოზულად საუბრობს იმაზე, რაზეცაა საუბარი, და ამიტომ არასოდეს არაფერს აზვიადებს, და ზომიერების გრძნობა არასოდეს ტოვებს მას. ამ ზომიერების გამო, რომ აღარაფერი ვთქვათ აქილევსის, ჰექტორის, პრიამოსის, ოდისევსის გასაოცრად ნათელ, ცოცხალ და შესანიშნავ ხასიათებზე, ჰექტორის მუდამ გულისამაჩუყებელ განშორების სცენებსა და სხვაზე, მთელი „ილიადა“ და განსაკუთრებით „ოდისეა“ იმდენად ბუნებრივი და ახლოა ჩვენთან, რომ თითქოს თვითონ ჩვენ ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ ღმერთებსა და გმირებს შორის. მაგრამ სრულიად სხვაგვარადაა შექსპირთან. პირველივე სიტყვებიდან იკვეთება ის, რომ ყველაფერი გაზვიადებულია: გაზვიადებულია მოვლენები, გაზვიადებულია განცდები და გაზვიადებულია გამოთქმები. მაშინვე ჩანს, რომ მას არ სჯერა იმისა, რასაც ამბობს, რომ ეს მისთვის არაა საჭირო, რომ ის ხელოვნურად იგონებს იმ მოვლენებს, რომლებსაც აღწერს და გულგრილია მისი გმირებისადმი, რომ მან ისინი მხოლოდ სცენისთვის ჩაიფიქრა და ამიტომ აიძულებს მათ აკეთონ და ილაპარაკონ მხოლოდ ის, რაც განაცვიფრებს პუბლიკას და ამიტომაა, რომ ჩვენ არ გვჯერა არც იმ მოვლენებისა, რომელსაც ის აღწერს, არც მისი მოქმედი პირების ქცევისა და გასაჭირისა. არაფერი ისე არ წარმოაჩენს შექსპირის ესთეტიკური გრძნობის სრულ უქონლობას, როგორც მისი ჰომეროსთან შედარება. ნაწარმოებებს, რასაც ჩვენ ჰომეროსის ნაწარმოებებს ვუწოდებთ, — ესაა მხატვრული, პოეტური, თვითმყოფადი ნაწარმოებები, განცდილი ავტორისა და ავტორთა მიერ.

შექსპირის ნაწარმოებები კი, ესაა გადმოღებული, ზედაპირული, მოზაიკური, ნაგლეჯ-ნაგლეჯ ხელოვნურად შეკოწიწებული, სახელდახელოდ მოგონილი სიუჟეტები, რასაც არაფერი აქვს საერთო მხატვრულობასა და პოეზიასთან.

VI

შექსპირის ნაწარმოებები ვერ აკმაყოფილებს ხელოვნების ვერანაირ მოთხოვნებს და გარდა ამისა, მათი არსი ძალზე მდაბიო და უზნეოა. მაშ რით აიხსნება ის ქება-დიდება, რომლითაც უკვე ას წელზე მეტია სარგებლობს ეს ნაწარმოებები?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უფრო იმიტომ ჩანს ძნელი, რომ შექსპირის თხზულებებს, თუნდაც რაიმე ღირსება რომ გააჩნდეს, მაშინ როგორღაც გასაგები იქნებოდა ის ინტერესი, რაც მათ მიმართ არსებობს და რაც მათი, სრულიად დაუმსახურებელი და გაზვიადებული ქების საბაბია. მაგრამ აქ ადგილი აქვს ორ უკიდურესობას: ერთი მხრივ უვარგის, უხამს და უზნეო ნაწარმოებებს, რაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და მეორე მხრივ გაუგონარ საყოველთაო ქებათა-ქებას, რომელიც ამ ნაწარმოებებს ყველაფერზე მაღლა აყენებს, რაც კი ოდესმე კაცობრიობას შეუქმნია.

რით შეიძლება ეს აიხსნას?

ჩემი ცხოვრების მანძილზე არაერთხელ მისაუბრია შექსპირის მეხოტბეებთან. მათ შორის იმ ადამიანებთან, რომლებიც ნაკლებად მგრძნობიარენი არიან პოეზიის მიმართ, ასევე იმათთანაც, ვინც ცოცხლად გრძნობს პოეტურ სიმშვენიერეს, მაგალითად ტურგენევი, ფეტი და სხვები. და ყოველთვის, შექსპირის ხოტბისადმი ჩემი უთანხმოების გამოხატვისას, ერთსა და იმავე დამოკიდებულებას ვაწყდებოდი.

მე არ მედავებოდნენ, როცა შექსპირის ნაკლზე ვუთითებდი, მხოლოდ თანაუგრძნობდნენ ჩემს გაუგებლობას და ჩამაგონებდნენ მეღიარებინა შექსპირის განსაკუთრებული, ზებუნებრივი სიდიადე, თუმცა ვერ მიხსნიდნენ რაში გამოიხატება შექსპირის მშვენიერებანი; მხოლოდ გაუგებრად და გაზვიადებულად გამოხატავდნენ მისდამი აღფრთოვანებას და გამუდმებით აქებდნენ მათთვის საყვარელ ადგილებს ტრაგედიებიდან: მეფე ლირის მიერ ღილის შეხსნას, ფალსტაფის მატყუარობას, ლედი მაკბეტის ჩამოურეცხავ ლაქებს, ჰამლეტის მიმართვას მამის აჩრდილისადმი და სხვა ამგვარს.

„გადაშალეთ შექსპირი, — ვეუბნებოდი ამ მეხოტბეებს, — სადაც გენებოთ, ან, თუნდაც სადაც მოგიხდებათ და თქვენ ვერსად და ვერასდროს ნახავთ ერთიმეორეზე მიყოლებით ათ სტრიქონს, რომელიც ასახავდეს მოქმედი პირისათვის დამახასიათებელ, გასაგებ, ბუნებრივ საუბარს და ახდენდეს რაიმე მხატვრულ შთაბეჭდილებას“ (ამ ცდის ჩატარება ნებისმიერს შეუძლია). შექსპირის მეხოტბენიც, თავისი შეხედულების მიხედვით, ან სადაც მოუხდებოდათ, გადაშლიდნენ მის რომელიმე დრამას, და ისე, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ჩემს შენიშვნებს, — თუ რატომ არ პასუხობდა ამორჩეული ათი სტრიქონი უმარტივეს ესთეტიკურ მოთხოვნილებებსა და საღ აზროვნებას, — აღფრთოვანებას გამოხატავდნენ იმაზე, რაც მე სრულ უაზრობად, გაუგებრობად და ანტიმხატვრულად მეჩვენებოდა.

ასე რომ, ჩემი მცდელობისას, მიმეღო შექსპირის თაყვანისმცემელთაგან მისი განდიდების მიზეზების რაიმე ახსნა, ყოველთვის ვაწყდებოდი ისეთივე დამოკიდებულებას, როგორსაც ვხვდებოდი და ვხვდები ჩვეულებრივ, რომელიღაც დოგმატის დამცველთა შორის, რაც განსჯაზე კი არა, არამედ დაჯერებაზეა დამყარებული. და სწორედ შექსპირის მეხოტბეთა ასეთმა დამოკიდებულებამ მისი შემოქმედებისადმი, რითაც სავსეა გაურკვეველი ბუნდოვანებით აღრფთოვანებული სტატიები, ანდა რასაც შექსპირის შესახებ საუბრებში მოისმენთ, მაპოვნინა ის გასაღები, რომლითაც შევძელი ჩავწვდომოდი შექსპირის დიდების საიდუმლოს. ამ გასაოცარ სახელმოხვეჭილობას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: ეს განდიდება იმ ეპიდემიური ჩაგონების შედეგია, რომლითაც ყოველთვის მოქმედებდა და მოქმედებს ადამიანებზე. ასეთ ზემოქმედებას ყოველთვის ჰქონდა და აქვს ადგილი ცხოვრების სრულიად განსხვავებულ სფეროებში. ასეთი ჩაგონებებისა და ზემოქმედების უამრავი ნათელი მაგალითია შუა საუკუნეების ჯვაროსნული ლაშქრობები, ეპიდემიად ქცეული ზემოქმედება კუდიანების არსებობის რწმენაზე, იმაზე, რომ წამება საუკეთესო საშუალებაა ჭეშმარიტების დასადგენად, სიცოცხლის ელექსირისა და ფილოსოფიური ქვის ძიებაზე, ტიტებისადმი უცნაურ ლტოლვაზე, რამაც მთელი ჰოლანდია მოიცვა და რომლის ერთი ბოლქვი რამდენიმე ათასი გულდენი ღირს. ასეთ უაზრო ზემოქმედებას ყოველთვის ჰქონდა და აქვს ადგილი ცხოვრების ყველა სფეროში: რელიგიის, ფილოსოფიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამეცნიერო, შემოქმედებისა და საერთოდ ლიტერატურის სფეროებში. ამ ზემოქმედების უაზრობას კი ადამიანები მხოლოდ მაშინ ხვდებიან, როდესაც მათგან თავისუფლდებიან. ხოლო ვიდრე ისინი მათი გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ეს ზემოქმედებანი ისეთ უტყუარ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ, რომ მათ განსჯასაც კი დაუშვებლად თვლიან. პრესის განვითარებასთან ერთად, ეს ეპიდემიები კიდევ უფრო მიზანმიმართული ხდება.

პრესის განვითარებამ ის მოიტანა, რომ თუ სრულიად შემთხვევითი გარემოებების გამო, რაიმე მოვლენა სხვა მოვლენებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, პრესის ორგანოები მაშინვე აიტაცებენ და აზვიადებენ ამ მნიშვნელობას. პრესის ასეთი მყისიერი რეაგირება ამ მოვლენის მნიშვნელობაზე, საზოგადოების კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. საზოგადოების ყურადღება კი აგულიანებს პრესას, კიდევ უფრო მეტი გულისყურითა და დაწვრილებით გააშუქოს ეს მოვლენა. საზოგადოების დაინტერესება უფრო იზრდება და პრესის ორგანოებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში, თუ ვინ უფრო მეტად დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას.

საზოგადოება თანდათან უფრო მეტად ინტერესდება ასეთი მოვლენით; პრესაც უფრო მეტად აზვიადებს ამ მოვლენის მნიშვნელობას. ასე და ამგვარად, მოვლენის მნიშვნელობა თოვლის გუნდასავით სულ უფრო იზრდება და იზრდება, მისთვის სრულიად შეუფერებელ შეფასებას იღებს, და ხშირად უგუნურებამდე მისული ეს გაზვიადებული შეფასება მანამდე ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, ვიდრე პრესის ხელმძღვანელთა და საზოგადოების მსოფლმხედველობა იგივე რჩება. მოვლენებისა და მათი შინაარსის მნიშვნელობის ასეთი შეუსაბამობის მაგალითები, რაც პრესისა და საზოგადოების ურთიერთქმედებითაა გამოწვეული, ძალზე ხშირია ჩვენს დროში. საზოგადოებისა და პრესის ანალოგიური ურთიერთობის გასაოცარი მაგალითია ცოტა ხნის წინ ვინმე დრეიფუსის მიმართ აღძრული საქმე, რომელმაც მთელი მსოფლიო ააფორიაქა. ამის მიზეზი გახდა ეჭვი, რომ თითქოსდა საფრანგეთის არმიის რომელიღაც კაპიტანს ღალატი ედებოდა ბრალად. იმის გამო, რომ კაპიტანი ებრაელი იყო, თუ იმ მიზეზით, რომ საფრანგეთის საზოგადოებაში მწვავე შინაპარტიული დაპირისპირება არსებობდა, ამ მოვლენას, რომლის მსგავსიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდება და რომელსაც არ შეეძლო არათუ მთელი მსოფლიოს, არამედ თვით საფრანგეთის სამხედროებს შორის რაიმე ინტერესი გამოეწვია, პრესამ რაღაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. ამან რაღა თქმა უნდა საზოგადოება დააინტერესა. პრესის ორგანოებმა შეჯიბრი გამართეს ამ მოვლენის გაშუქების, განხილვისა და შეფასებისათვის, საზოგადოება კიდევ უფრო დაინტერესდა ამ მოვლენით, პრესაც საზოგადოების მოთხოვნილებას შესაბამისად პასუხობდა და თოვლის გუნდამაც ზრდა იწყო, იმატა, იმატა და ჩვენს თვალწინ ისე გაიზარდა, რომ აღარ დარჩა ოჯახი, სადაც არ კამათობდნენ L'affair შესახებ. ასე რომ, ფანქრით დახატული კარიკატურა, რომელიც ჯერ მშვიდ და წყნარ ოჯახს ასახავდა, რომელმაც გადაწყვიტა აღარ ელაპარაკა დრეიფუსზე, შემდეგ კი იმავე ოჯახს, — ოღონდაც ფურიებივით გამძვინვარებულს და ერთმანეთთან მოჩხუბარს, ზუსტად წარმოაჩენდა მკითხველთა მთელი სამყაროს დამოკიდებულებას დრეიფუსის საქმესთან. ამგვარად, სრულიად სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომლებიც არანაირად არ შეიძლებოდა დაინტერესებულნი ყოფილიყვნენ საკითხით, იყო თუ არა საფრანგეთის ოფიცერი მოღალატე, ან თუნდაც რაიმე სცოდნოდათ ამ საქმის მსვლელობის შესახებ, გაიყვნენ დრეიფუსის მომხრეებად და მოწინააღმდეგებად, და როგორც კი სადმე თავს მოიყრიდნენ, მაშინვე იწყებოდა საუბარი და კამათი დრეიფუსის შესახებ: ერთნი დარწმუნებით ამტკიცებდნენ, ხოლო მეორენი დარწმუნებით უარყოფდნენ მის ბრალეულობას.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ამ ადამიანებმა თავი დააღწიეს პრესის ზემოქმედებას, მიხვდნენ, რომ მათ არაფრით არ შეეძლოთ სცოდნოდათ, დამნაშავე იყო თუ არა დრეიფუსი და რომ თითოეულ მათგანს ათასჯერ უფრო მეტად ახლო და საინტერესო საზრუნავი გააჩნდა, ვიდრე ეს საქმე იყო. ასეთ ცდუნებებს ყველა სფეროში აქვს ადგილი, მაგრამ ეს განსაკუთრებით ლიტერატურის დარგში შეიმჩნევა, ვინაიდან ბუნებრივია, ბეჭდვითი სიტყვა თავის საქმეს აკეთებს და განსაკუთრებული ძალა გააჩნია ჩვენს დროში, როცა ის ასე არაბუნებრივად ვითარდება. ერთთავად ისე ხდება, რომ ადამიანები უცებ რაღაც, სრულიად უმნიშვნელო თხზულებების გაზვიადებულ ქებას იწყებენ, შემდეგ კი, თუ ეს თხზულებები არ შეესაბამება გამეფებულ მსოფლმხედველობას, სავსებით გულგრილნი ხდებიან და ასევე სწრაფად ივიწყებენ ამ თხზულებებსაც და თავიანთ ადრინდელ დამოკიდებულებასაც მათ მიმართ.

როგორც მახსოვს, ორმოციან წლებში, ხელოვნების დარგში აქებდნენ და ადიდებდნენ ევგ. სიუს, ჟორჟ სანდს, სოციალურში — ფურიეს, ფილოსოფიაში — კონტსა და ჰეგელს, სამეცნიეროში — დარვინს.

სრულიად დავიწყებულია სიუ, ჟორჟ სანდს ივიწყებენ, ან მას ენაცვლება ზოლას ნაწერები, დეკადენტები ბოდლერი, ვერლენი, მეტერლინკი და სხვ. სრულიად დავიწყებულია ფურიე თავისი ფალანსტერებით, იგი შეცვლილია მარქსით; ჯერ კიდევ ინარჩუნებენ პოზიციებს ჰეგელი, რომელიც ამართლებს არსებულ წესრიგს, კონტი, რომელიც უარყოფს რელიგიურ მოღვაწეობას და დარვინი, ბრძოლის მისეული კანონით, თუმცა მათი დავიწყებაც და ნიცშეს მოძღვრებით ჩანაცვლება იწყება, რომელიც მართალია სრულიად უცნაური, გაუაზრებელი, გაუგებარი და უვარგისია თავისი შინაარსით, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მეტად მისაღებია არსებული მსოფლმხედველობისათვის. ასეა, ზოგჯერ მყისიერად აღმოცენდებიან და მერე კი ასევე სწრაფად

ეძლევიან დავიწყებას მხატვრული, სამეცნიერო, ფილოსოფიური და საერთოდ ლიტერატურული ცდუნებანი.

მაგრამ ისეც ხდება, რომ ეს ცდუნებანი სრულიად განსაკუთრებული, შემთხვევითი და მათი დამკვიდრებისათვის ხელსაყრელი მიზეზების გამო ძალიან ესადაგებიან საზოგადოებაში და მეტადრე კი ლიტერატურულ წრეებში გავრცელებულ და გაბატონებულ მსოფლმხედველობას და ზოგჯერ საკმაოდ დიდი ხნითაც აგრძელებენ თავის არსებობას. ჯერ კიდევ ძველი რომის ხანაში შეამჩნიეს, რომ წიგნებს ძალიან უცნაური ბედ-იღბალი გააჩნიათ: წარუმატებლობა, მიუხედავად მათი მაღალი ღირებულებებისა და უზარმაზარი, დაუმსახურებელი წარმატება, მიუხედავად მათი არარაობისა. და დამკვიდრდა ასეთი გამონათქვამი: pro capite lectoris habent sua fata libelli, ანუ წიგნის ბედი დამოკიდებულია იმ ადამიანების გაგებაზე, რომლებიც ამ წიგნებს კითხულობენ. ასეთ შესატყვისობაში აღმოჩნდა შექსპირის ნაწარმოებები ადამიანთა იმ მსოფლმხედველობასთან, რომელთა წიაღშიც აღმოცენდა ეს დიდება. ეს დიდება კი შენარჩუნებულია დღემდე იმიტომ, რომ შექსპირის თხზულებები იმ ადამიანთა მსოფლმხედველობას პასუხობს, რომლებიც ყველანაირად მხარს უჭერენ მას.

XVIII საუკუნის დასასრულამდე შექსპირს არათუ არ აღიარებდნენ, არამედ იგი ბევრად ნაკლებად ფასობდა სხვა მის თანამედროვე ისეთ დრამატურგებთან შედარებით, როგორებიც არიან: ბენ-ჯონსონი, ფლეტჩერი, ბომონი და სხვები. შექსპირის განდიდება გერმანიიდან დაიწყო და მხოლოდ შემდგ გავრცელდა ინგლისში. აი როგორ მოხდა ეს.

ხელოვნება, განსაკუთრებით კი დრამატული ხელოვნება, რომელიც თავის მხრივ დიდ შრომასა და განსაკუთრებულ მომზადებას მოითხოვს, ყოველთვის რელიგიური იყო, ანუ ის მიზნად ისახავდა აეხსნა ადამიანისათვის ღმერთთან ურთიერთობის ის ფორმები, რომელსაც იმ საზოგადოების მოწინავე ადამიანებმა მიაღწიეს, სადაც ხელოვნება აღმოცენდა.

საქმიდან გამომდინარე, ეს ასე უნდა იყოს და ასე იყო ყოველთვის ყველა ხალხთან: ეგვიპტელებთან, ინდოელებთან, ჩინელებთან, ბერძნებთან, იმ დროიდან მოყოლებული, რაც ჩვენ ადამიანების ცხოვრება შევიცანით. და ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ რელიგიური ფორმების გაუხეშებით, ხელოვნება სულ უფრო და უფრო სცილდებოდა მის თავდაპირველ მიზანდასახულებას (რომლის შენარჩუნების შემთხვევაში, შესაძლებელია ის მნიშვნელოვან მიმდინარეობად — თითქმის ღვთისმსახურებადაც კი მიჩნეულიყო) და რელიგიური მსახურების ნაცვლად, მიზნად ისახავდა არა მორწმუნეთა, არამედ ბრბოსა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა ყოფიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რაც გართობასა და დროსტარებაში გამოიხატებოდა.

ხელოვნების ასეთ გადახრას მისი ჭეშმარიტი, მაღალი დანიშნულებისაგან ადგილი ჰქონდა ყველგან, მათ შორის ქრისტიანობაშიც.

ქრისტიანული ხელოვნების პირველი გამოვლინება ტაძრებში მიმდინარე მსახურება იყო: საიდუმლო რიტუალების აღსრულება და ჩვეულებისამებრ — ლიტურგია. მაგრამ, როდესაც ღვთისმსახურების ეს ფორმები არასაკმარისი აღმოჩნდა, გაჩნდა იმ მოვლენების ამსახველი მისტერიები, რომლებიც ქრისტიანულ რელიგიურ მსოფლმხედველობაში ყველაზე მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული. მოგვიანებით, XIII, XIV საუკუნეებიდან მოყოლებული, როდესაც ქრისტიანული მოძღვრების სიმძიმის ცენტრი ქრისტესადმი, როგორც ღმერთისადმი თაყვანისცემიდან სულ უფრო და უფრო მისი მოძღვრებისა და მიმდევრების შესწავლისაკენ ინაცვლებს, მისტერიის ფორმები, რომლებიც მხოლოდ ქრისტიანულ, გარეგნულ მოვლენებს ასახავდა, არასაკმარისი აღმოჩნდა და საჭირო გახდა ახალი ფორმების ძიება. ასე გაჩნდა მორალიტე[1], დრამატული წარმოდგენა, რომლის მოქმედი პირები განასახიერებდნენ ქრისტიან ქველმოქმედებს და მათდამი დაპირისპირებულ წინასწარმეტყველებს.

მაგრამ ალეგორია, თავისი არსით, ხელოვნების დაბალი სახეობაა, მას არ შესწევდა ძალა, შეეცვალა ადრეული რელიგიური დრამები; დრამატული ხელოვნების ახალი ფორმა კი, რომელიც შეესაბამებოდა ქრისტიანულ გაგებას, როგორც მოძღვრებას სიცოცხლის შესახებ, ჯერ კიდევ არ იყო გამოძებნილი. და ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში, დრამატული ხელოვნება, რომელსაც აღარ გააჩნდა რელიგიური საფუძველი, თანდათანობით დასცილდა თავის უზენაეს დანიშნულებას და ღვთისმსახურების ნაცვლად, ბრბოს მსახურად იქცა (მე ბრბოში არ ვგუ-

[1] მორალიტე (ფრ.) — შუა საუკუნეებში ზნეობრივ-დამრიგებლობითი პიესა, რომელშიც გამოყენებული არიან ალეგორიული მოქმედი პირები.

ლისხმობ მხოლოდ მდაბიო ხალხს, არამედ ადამიანის ყოფაცხოვრების უმაღლეს ღირებულებათა მიმართ უზნეო და გულგრილი დამოკიდებულების მქონე ადამიანთა უმრავლესობას). ამ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სწორედ მაშინ აღმოაჩინეს და აღადგინეს ქრისტიანულ სამყაროში მანამდე უცნობი ბერძენი მოაზროვნენი, პოეტები და დრამატურგები.

და ამიტომ იყო, რომ XV, XVI საუკუნეების მწერლებმა, რომელთაც ჯერ კიდევ არ გააჩნდათ დრამატული ხელოვნების საკუთარი, მკაფიოდ გამოკვეთილი ახალი ქრისტიანული მსოფლმხედველობის (როგორც მოძღვრებისა ცხოვრების შესახებ), შესაბამისი ფორმები და ამავე დროს არასაკმარისად მიიჩნევდნენ მისტერიისა და მორალიტეს ძველ ფორმებს, ბუნებრივია, ახალი ფორმების ძიების პროცესში, ხელი მიჰყვეს თავისი სიტყვაკაზმულობითა და სიახლით მიმზიდველ, ახლადაღმოჩენილ ბერძნულ სახეთა მიბაძვას. ვინაიდან იმ დროისათვის დრამატული წარმოდგენებით სარგებლობდნენ მხოლოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, მეფენი, პრინცები, მთავრები, კარისკაცნი, ნაკლებად რელიგიური ადამიანები, რომლებიც სრულიად გულგრილნი იყვნენ რელიგიური საკითხებისადმი და უმეტესწილად აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდნენ, XV, XVI და XVII საუკუნეებში ასეთი საზოგადოების მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელმა დრამამ მთლიანად უარყო რელიგიური შინაარსი. და მოხდა ისე, რომ დრამა, რომელსაც უპირველეს ყოვლისა მაღალი რელიგიური დანიშნულება გააჩნდა და მხოლოდ ამ პირობით შეეძლო მნიშვნელოვანი ადგილი დაემკვიდრებინა ხალხში, იქცა, ისე როგორც ძველ რომში, სანახაობად, გასართობად და თავშესაქცევად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რომში — საყოველთაო, სახალხო სანახაობას წარმოადგენდა, XV, XVI და XVII საუკუნის ქრისტიანულ სამყაროში კი უპირატესად გარყვნილი მეფეებისა და მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთათვის იმართებოდა. ასეთი სახე გააჩნდა ესპანურ, ინგლისურ, იტალიურსა და ფრანგულ დრამებს.

იმ დროის დრამები ყველა ქვეყანაში უპირატესად ძველი ბერძნული პოემების, ლეგენდების, ცხოვრების აღწერის ნიმუშების მიხედვით იქმნებოდა და იმავდროულად ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელ, ნაციონალურ ხასიათს იძენდა: იტალიაში უმეტესწილად გავრცელდა კომედია, სასაცილო სიუჟეტებითა და მოქმედი პირებით. ესპანეთში აღმავლობას განიცდიდა მაღალი საზოგადოებისათვის განკუთვნილი დრამა, ჩახლართული კვანძებითა და უძველესი ისტორიული გმირებით. ინგლისურ დრამას ახასიათებდა სცენაზე გათამაშებული მკვლელობების, წამების, ბრძოლების უხეში ეფექტები და ხალხური, კომიკური ინტერმედიები. არც იტალიური, არც ესპანური და არც ინგლისური დრამა არ იყო ცნობილი ევროპაში, ისინი წარმატებით მხოლოდ საკუთარ ქვეყნებში სარგებლობდნენ. საყოველთაო აღიარება კი, სიტყვაკაზმულობითა და ნიჭიერი მწერლობის წყალობით, მხოლოდ ფრანგულ დრამას ერგო წილად, რომელიც იმით გამოირჩეოდა, რომ ბერძნულ ნიმუშებს და სამერთობის კანონს მკაცრად იცავდა.

ასე გრძელდებოდა XVIII საუკუნის ბოლომდე. ამ საუკუნის ბოლოს კი ასეთი რამ მოხდა. გერმანიაში, სადაც მდარე დრამატული მწერლობაც კი არ არსებობდა (იყო ჰანს საქსი, ძალიან სუსტი და ნაკლებად ცნობილი მწერალი), განათლებული ადამიანები ფრიდრიხ დიდთან ერთად, პატივს მიაგებდნენ ფრანგულ ფსევდოკლასიკურ დრამას. სწორედ ამ დროს, გერმანიაში ასპარეზზე გამოდის განათლებული, ნიჭიერი მწერლებისა და პოეტების თაობა, რომელთაც იგრძნეს რა ფრანგული დრამის სიყალბე და უსულგულობა, იწყეს ახალი, უფრო თავისუფალი დრამატული ფორმების ძიება. ამ თაობის ადამიანები, ისევე, როგორც იმდროინდელი სამყაროს მაღალი წრეების წარმომადგენლები, ბერძნული ძეგლების ხიბლისა და გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, გულგრილად ეკიდებოდნენ რელიგიურ საკითხებს და მიაჩნდათ, რომ თუ ბერძნული დრამა, მისი გმირებისათვის დამახასიათებელი ბედუკუღმართობით, ტანჯვა-წამებითა და გაუთავებელი ბრძოლებით, დრამის უმაღლეს ნიმუშს წარმოადგენდა, მაშინ ქრისტიანული დრამის წარმატებისათვის ასეთივე ბედუკუღმართობით, ტანჯვა-წამებითა და ბრძოლებით აღსავსე სიუჟეტები იქნებოდა საკმარისი, თუკი მას ფსევდოკლასიციზმის ვიწრო მოთხოვნებს ჩამოაშორებდნენ. ამ ადამიანებმა, რომლებსაც არ ესმოდათ, რომ ბერძნებისათვის მათი გმირების ბრძოლებსა და ტანჯვა-წამებას რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა, წარმოიდგინეს, რომ საკმარისია დრამაში უკუაგდო სამერთობის შემბოჭველი კანონები, ისე რომ მასში არ ჩადო მისი დროისათვის შესაფერისი არანაირი რელიგიური შინაარსი, დრამას მაინც შესწევს უნარი, დამაჯერებლად წარმოსახოს ისტორიულ პიროვნებათა სხვადასხვა ცხოვრებისეული ეპიზოდები და საერთოდ ძლიერი, ვნებით აღსავსე ადამიანების ხასიათები. ზუსტად ასეთი სახის დრამა

წარმატებით სარგებლობდა იმხანად გერმანელების მონათესავე ინგლისელ ხალხში და როცა ეს გერმანელებისათვის გახდა ცნობილი, გადაწყვიტეს, რომ თანამედროვე დრამა მათთანაც ასეთი უნდა ყოფილიყო.

შექსპირის დრამა კი იმიტომ ამჯობინეს სხვა დანარჩენ ინგლისურ დრამებს, რომლებიც არათუ ჩამორჩებოდნენ რაიმეთი,არამედ ბევრად სჯობნიდნენ შექსპირისას, რომ მათ სცენების წარმართვის ის ოსტატობა მოსწონდათ, რომელიც შექსპირის თავისებურებას წარმოადგენდა.

გერმანელ მწერალთა ამ წრეს გოეთე ედგა სათავეში, ესთეტიკურ საკითხებში იმდროინდელი საზოგადოების აზრის დიქტატორი. სწორედ მან, ნაწილობრივ იმის გამო, რომ სურდა დაემსხვრია ფრანგული ფსევდოხელოვნების ხიბლი, ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ ფართო გასაქანი მიეცა საკუთარი დრამატული შემოქმედებისათვის, უმთავრესად კი იმიტომ, რომ მისი მსოფლმხედველობა ემთხვეოდა შექსპირის მსოფლმხედველობას, შექსპირი უდიდეს პოეტად აღიარა. და როცა ეს სიცრუე ისეთი ავტორიტეტის მიერ გაცხადდა, როგორიც გოეთეა, მას ისე დაეძგერნენ უვიცი კრიტიკოსები, როგორც ყვავები მძორს და იწყეს შექსპირის ტრაგედიებში არარსებული მშვენიერების გამოძებნა და მისი განდიდება. ამ ადამიანებმა, გერმანელმა კრიტიკოსებმა, რომელთაც მეტწილად არ გააჩნდათ ესთეტიკური გრძნობები, არ იცოდნენ იმ მარტივი, უშუალო მხატვრული შთაბეჭდილების ფასი, რომელიც ხელოვნებისადმი მგრძნობიარე ადამიანების შთაბეჭდილებებს განასხვავებს ყველა სხვა შთაბეჭდილებისაგან, მაგრამ ენდობოდნენ ავტორიტეტის სიტყვას, რომელმაც შექსპირი უდიდეს პოეტად აღიარა, დაიწყეს შექსპირის განდიდება. ისინი მისი დრამებისაგან გამოარჩევდნენ ისეთ ადგილებს, რომლებიც განსაკუთრებული ეფექტებით იწვევდა მათ აღტაცებას, ან კიდევ, იქ გამოთქმული აზრები მათ მსოფლმხედველობას ემთხვეოდა და ამით თავის თავში იმკვიდრებდნენ წარმოდგენას, რომ ეს ეფექტები და ეს აზრები დედაარსია იმისა, რასაც ხელოვნება ჰქვია.

ეს ადამიანები ისე იქცეოდნენ, როგორც უსინათლონი, რომლებიც კენჭების გროვაში ხელის ცეცებით ბრილიანტების ამოცნობას ცდილობენ. როგორც იმ უსინათლოებს, კენჭების ხანგრძლივი გადალაგ-გადმოლაგებით რომ ვერაფერს გახდებოდნენ, გარდა იმისა, რომ მივიდოდნენ დასკვნამდე, რომ ყველა კენჭი ძვირფასია, განსაკუთრებით კი ბრტყელი, ასევე მხატვრულ გრძნობებს მოკლებულ ამ ესთეტიკოს-კრიტიკოსებს, შეუძლებელია რაიმე სხვა დასკვნა გამოეტანათ შექსპირის მიმართ. შექსპირისადმი მათი ხოტბა კიდევ უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, ისინი ესთეტიკურ თეორიებს ადგენდნენ, რომელთა მიხედვითაც ხელოვნების ნაწარმოებისათვის ზოგადად, დრამისთვის კი განსაკუთრებით, სრულიადაც არ იყო საჭირო გარკვეული რელიგიური მსოფლმხედველობის არსებობა, რომ დრამის შინაგანი შინაარსისათვის სავსებით საკმარისია ადამიანური ვნებებისა და ხასიათების წარმოსახვა, რომ წარმოსახული არათუ არ საჭიროებს რელიგიურ გააზრებას, არამედ, ხელოვნება უნდა იყოს ობიექტური, ანუ ასახავდეს მოვლენებს სიკეთისა და ბოროტების შეფასებებისაგან დამოუკიდებლად. გამომდინარე იქიდან, რომ ეს თეორიები შექსპირის შეხედულებების მიხედვით იქმნებოდა, ბუნებრივია, რომ მისი თხზულებები სავსებით პასუხობდა ამ თეორიებს და ამიტომაც ისინი სრულყოფილების მწვერვალს წარმოადგენდნენ.

აი, სწორედ ეს ადამიანები არიან მთავარი დამნაშავენი შექსპირის განდიდების საქმეში.

მათ ნაწერებს მწერლებისა და საზოგადოების ის ურთიერთქმედება მოჰყვა შედეგად, რომელიც გამოიხატა და ახლაც გამოიხატება შექსპირის ყოვლად უაზრო და გონივრულ საფუძველს მოკლებულ განდიდებაში. სწორედ ეს ესთეტიკოსი-კრიტიკოსები წერდნენ ღრმად გააზრებულ ტრაქტატებს შექსპირის შესახებ (დაწერილია 11 000 ტომი და შეიქმნა მთელი მეცნიერება — შექსპიროლოგია); საზოგადოება სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენდა ყოველივე ამის მიმართ, და ეს განსწავლული კრიტიკოსებიც უფრო მეტად განუმარტავდნენ მათ, უფრო სწორად კი გონებას ურევდნენ შექსპირის გაუთავებელი ქება-დიდებით.

ამგვარად, შექსპირის განდიდების პირველი მიზეზი იყო ის, რომ გერმანელებს, მათთვის უკვე მოსაბეზრებელი და სინამდვილეშიც მოსაწყენი, გულცივი ფრანგული დრამისათვის უნდა დაეპირისპირებინათ უფრო ცოცხალი და თავისუფალი დრამა. მეორე მიზეზი იყო ის რომ, ახალგაზრდა გერმანელ მწერლებს თავისი დრამებისათვის ახალი ნიმუში სჭირდებოდათ. მესამე და უმთავრესი მიზეზი კი იყო ესთეტიკურ გრნობებს მოკლებულ სწავლულთა და გულმოდგინე

გერმანელ კრიტიკოსთა მოღვაწეობა, რომლებმაც შეადგინეს ობიექტური ხელოვნების თეორია, რაც შეგნებულად უარყოფდა დრამის რელიგიურ შინაარსს.

„კი მაგრამ, — მეტყვიან, — თქვენ რას გულისხმობთ სიტყვებში: დრამის რელიგიური შინაარსი? ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ დრამისაგან მოითხოვთ რელიგიის ქადაგებას, დიქტატს, რასაც ტენდენციურობა ეწოდება და რაც შეუთავსებელია ჭეშმარიტ ხელოვნებასთან?“ ხელოვნების რელიგიურ შინაარსში, ვპასუხობ მე, ამა თუ იმ რელიგიურ ჭეშმარიტებათა მხატვრული ფორმით წარმოდგენილი მოძღვრება და მათი ალეგორიული სახით წარმოჩენა კი არ მესმის, არამედ, განსაზღვრული მსოფლმხედველობა, რომელიც მოცემულ დროში უზენაეს რელიგიურ შეგნებას შეესაბამება და იქცევა რა დრამის შექმნის გამომწვევ მიზეზად, ავტორის უნებურად, გავლენას ახდენს მის თხზულებაზე. ეს ასე იყო ყოველთვის ჭეშმარიტი ხელოვანისთვის ზოგადად, დრამატურგისათვის კი, განსაკუთრებით. ასე რომ, როგორც ეს მაშინ იყო მიღებული, როდესაც დრამა სერიოზულ საქმედ ითვლებოდა და როგორც ეს საქმის არსიდან გამომდინარეობს — დრამის წერა მხოლოდ მას შეეძლო და შეუძლია, ვისაც ხალხისათვის რაიმე აქვს სათქმელი, კერძოდ კი, ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ — ღმერთისადმი, სამყაროსადმი, მარადისობისადმი და უსასრულობისადმი ადამიანის დამოკიდებულების შესახებ.

იმ დროს კი, როდესაც გერმანელთა თეორიამ ობიექტური ხელოვნების შესახებ, დაამკვიდრა ის მოსაზრება, რომ ეს ყველაფერი დრამას არ სჭირდება, ცხადია ისეთი მწერალი, როგორიც შექსპირია, რომელსაც თავის სულში ვერ ჩამოეყალიბებინა მისი დროისათვის შესაბამისი რელიგიური შეხედულებანი, ან კიდევ საერთოდ არ გააჩნდა არავითარი შეხედულება, და რომელმაც თავისი ტრაგედიები აავსო ყოველგვარი მოვლენებით, საშინელებებით, მასხარაობით, პაექრობებითა და ეფექტებით, ცხადია წარმოჩინდებოდა გენიალურ დრამატულ მწერლად.

მაგრამ ეს ყველაფერი გარეგნული მიზეზებია, უმთავრესი კი, შინაგანი მიზეზი შექსპირის დიდებისა იყო და არის ის, რომ მისი დრამები მოერგო pro capitale lectoris, ანუ სავსებით შეესაბამებოდა ჩვენი სამყაროს უმაღლესი წოდების ადამიანების არელიგიურ და უზნეო ხასიათს.

VII

შემთხვევითმა გარემოებებმა განაპირობა ის, რომ გასული საუკუნის დასაწყისში ფილოსოფიური აზროვნებისა და ესთეტიკური კანონების ყოფილმა დიქტატორმა გოეთემ, შექსპირი შეაქო, ესთეტიკოს-კრიტიკოსებმაც თავის მხრივ აიტაცეს ეს შექება და დაიწყეს ვრცელი და ბუნდოვანი, quasi-განმანათლებელი სტატიების წერა; დიდმა ევროპულმა საზოგადოებამაც იწყო შექსპირით აღფრთოვანება. კრიტიკოსები პასუხობდნენ რა საზოგადოების ინტერესს, დიდი მონდომებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს შექსპირზე ახალ-ახალი სტატიების დაწერაში, მკითხველიცა და მაყურებელიც სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა თავისი აღფრთოვანების სისწორეში და შექსპირის დიდებაც თოვლის გუნდასავით იზრდებოდა და იზრდებოდა; და ჩვენს დროში ისეთ წარმოუდგენელ ქება-დიდებად გადაიქცა, რომელსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია, გარდა ჩაგონებისა.

„შექსპირთან ახლოს ვერც ძველი, და ვერც ახალი მწერლებიდან ვერავინ მივა“. „პოეტური ჭეშმარიტება ყველაზე უფრო ელვარე ფერია შექსპირისეულ ღირსებათა გვირგვინში“. „შექსპირი ყველა დროის უდიდესი მორალისტია“. „შექსპირი ისეთ მრავალმხრივობასა და ობიექტურობას ამჟღავნებს, რომ იგი დროისა და ეროვნულობის მიჯნებს სცდება“. „შექსპირი ის უდიდესი გენიოსია, რომლის მსგავსი დღემდე არავინ ყოფილა“. „ის ერთადერთი ადამიანია, რომელსაც შესწევს უნარი, შექმნას ტრაგედია და კომედია, ისტორია და იდილია, იდილიური კომედია და ისტორიული იდილია, სრულყოფილად წარმოაჩინოს, როგორც ერთიანი მთლიანობა, ან თუნდაც რომელიმე სახელდახელო ლექსი. იგი განუზომელად განაგებს არამარტო ჩვენს სიცილსა და ცრემლებს, ვნებების, აზრის სიმძაფრისა და დაკვირვების ყველა საშუალებას, არამედ, ფლობს შიშისმომგვრელ და თავშესაქცევ ხასიათთა შეთხზვის უსაზღვრო ფანტაზიას, ავლენს საოცარ გამჭრიახობას როგორც რეალური, ასევე გამოგონილი სამყაროს წარმოსახ-

ვისას, ყოველივე ამაზე კი გამეფებულა ხასიათებისა და ბუნების ერთადერთი სიმართლე და ერთგვაროვანი სული ადამიანურობისა“.

„შექსპირს ბუმბერაზად შერაცხვა თავისთავად ესადაგება, და თუ ამას ისიც დაემატება, რომ ამ დიდებისაგან დამოუკიდებლად, იგი მთელი ლიტერატურის რეფორმატორად იქცა და კიდევ უფრო მეტიც, თავის ნაწარმოებებში მარტო მისი თანამედროვე ცხოვრების მოვლენები კი არ ასახა, არამედ წინასწარმეტყველივით, მის დროს ჩანასახის სახით არსებული აზრებისა და შეხედულებების მიხედვით გამოიცნო ის მიმართულება, რომელსაც საზოგადოებრივი სული სამომავლოდ მიიღებდა (რის გასაოცარ მაგალითსაც ჩვენ „ჰამლეტში“ ვხედავთ), შეიძლება შეუცდომლად ითქვას, რომ შექსპირი იყო არა მარტო დიდი, არამედ ყველა დროის პოეტებს შორის უდიდესი პოეტი, და რომ პოეტური შემოქმედების ასპარეზზე მისი ერთადერთი ღირსეული მეტოქე მხოლოდ ის ცხოვრება იყო, რომელიც მან თავის ნაწარმოებებში ასეთი სრულყოფილებით წარმოაჩინა“.

ეს აშკარად გაზვიადებული შეფასება ყველაზე მეტი დამაჯერებლობით აჩვენებს იმას, რომ ეს შეფასება არა საღი განსჯის, არამედ ჩაგონების შედეგია. რაც უფრო უმნიშვნელო, მდარე და უშინაარსოა რაიმე მოვლენა, თუ ის ჩაგონების ობიექტად იქცევა, მაშინ მას უფრო მეტად მიაწერენ ზებუნებრივ, გაზვიადებულ მნიშვნელობას. პაპი არა მარტო წმინდანია, არამედ უწმინდესია და სხვა ამის მსგავსი. — შექსპირი მარტო კარგი მწერალი კი არაა, არამედ უდიდესი გენიოსია, კაცობრიობის მარადიული მასწავლებელი.

ჩაგონება ყოველთვის სიცრუეა, ყოველი სიცრუე კი ბოროტებაა. და მართლაც, იმის ჩაგონება, რომ შექსპირის თხზულებები უბადლო და გენიალურია და წარმოადგენს როგორც ესთეტიკური, ასევე ეთიკური სრულყოფილების მწვერვალს, განუზომელ ზიანს აყენებდა და აყენებს ადამიანებს.

ეს ზიანი ორ რამეში ვლინდება: ჯერ ერთი, რომ ის დრამის დაკნინებას და პროგრესისათვის ამ მნიშვნელოვანი იარაღის ცარიელი, უზნეო გართობით შეცვლას იწვევს, და მეორე, — რყვნის მაყურებელს მათ წინაშე მიმბაძველობის ყალბი ნიმუშების წარდგენით.

კაცობრიობის ცხოვრება სრულყოფილად ყალიბდება მხოლოდ რელიგიური ცნობიერების გათავისების შედეგად (როგორც ერთადერთი საწყისისა, რომელიც მტკიცედ აერთიანებს ადამიანებს). ადამიანთა რელიგიური ცნობიერების გათავისება ხდება ადამიანთა სულიერი მოღვაწეობის ყველა მხარის მონაწილეობით. ამ მოღვაწეობის ერთ-ერთ მხარეს ხელოვნება წარმოადგენს. ხელოვნების ერთ-ერთი და ლამის ყველაზე გავლენიანი ნაწილი კი დრამაა.

ამიტომაც, დრამა იმ მნიშვნელობის მატარებელი რომ იყოს, რაც მას მიეწერება, უნდა ემსახურებოდეს რელიგიური ცნობიერების ნათელყოფას. ასეთი იყო დრამა ყოველთვის და ასეთი იყო ის ქრისტიანულ სამყაროშიც. მაგრამ, როდესაც გამოცხადდა პროტესტანტიზმი, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, ანუ, გაჩნდა ქრისტიანობის, როგორც ცხოვრების შესახებ მოძღვრების ახლებური ხედვა, დრამატულმა ხელოვნებამ ვერ გამონახა მისი შესაბამისი ფორმები და აღორძინების ხანის ადამიანები კლასიკური ხელოვნების მიმბაძველობამ გაიტაცა. ეს იყო ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენა, მაგრამ დროთა განმავლობაში, ეს გატაცება უნდა დასრულებულიყო და ხელოვნებას უნდა გამოენახა, როგორც ეს ახლა ხდება, თავისი ახალი ფორმა, მისადაგებული ქრისტიანობის გაგების უკვე მომხდარ ცვლილებასთან.

მაგრამ ამ ახალი ფორმის ძიება, XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, შეაფერხა გერმანელ მწერალთა შორის წარმოშობილმა ეგრეთ წოდებულმა მოძღვრებამ ობიექტური ხელოვნების შესახებ, ანუ სიკეთისა და ბოროტების მიმართ გულგრილმა თეორიამ, რომელიც დაკავშირებული იყო შექსპირის დრამების გაზვიადებულ განდიდებასთან, რაც თავის მხრივ, გარკვეულწილად გერმანელთა ესთეტიკურ მოძღვრებას ესადაგებოდა და შექსპირმა ნაწილობრივ გამოიყენა კიდეც, როგორც მასალა. რომ არა შექსპირის დრამებით გამოწვეული ასეთი აღფრთოვანება, ზოგადად დრამის სრულყოფილების ნიმუშადაც რომ ცნეს, XVIII და XIX საუკუნეებისა და თანამედროვე ადამიანები უნდა მიმხვდარიყვნენ, დრამა იმიტომ არსებობს, რომ მას ჰქონდეს არსებობის უფლება და ის სერიოზულ საქმეს წარმოადგენდეს, ემსახურებოდეს რელიგიური ცნობიერების ნათელყოფას. ასე იყო ყოველთვის და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. და თუკი ისინი ამას მიხვდებოდნენ, მაშინ დაიწყებდნენ ახალი, რელიგიური გაგების შესაბამისი დრამის ფორმის ძიებას.

მაგრამ, როდესაც გადაწყდა, რომ სრულყოფილების მწვერვალი — ეს არის შექსპირის დრამა და რომ ყველამ უნდა წეროს ისე, როგორც იგი წერდა, ყოველგვარი რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის გარეშე, დრამატურგებმა დაიწყეს შექსპირის მსგავსად ისეთი უშინაარსო დრამების შეთხზვა, როგორიცაა გოეთეს, შილერის, ჰიუგოს, ჩვენში კი პუშკინის დრამები, ოსტროვსკის, ალექსეი ტოლსტოის ქრონიკები და სხვა მეტად თუ ნაკლებად ცნობილი დრამატული ნაწარმოებები, რომლებმაც აავსეს ყველა თეატრი და რასაც ყველა იმ ადამიანის მიერ გამომცხვარი დრამაც დაემატა, რომელთაც დრამის დაწერის აზრი და სურვილი ახლახან მოუვიდათ თავში.

დრამის მნიშვნელობისადმი ასეთი გაუთვითცნობიერებულობისა და ზერელე დამოკიდებულების დამსახურებაა ის, რომ ახლა ჩვენში იქმნება დრამატულ ნაწარმოებთა ურიცხვი რაოდენობა, რომლებიც ასახავენ ისეთ მოქმედებებს, მდგომარეობას, ხასიათებს, ადამიანის გუნება-განწყობილებას, რომელთაც არ გააჩნიათ არათუ რაიმე შინაგანი შინაარსი, არამედ უმეტეს შემთხვევაში არ გააჩნიათ არანაირი ადამიანური აზრიც.[1]

ასე რომ დრამა, ხელოვნების ეს უმნიშვნელოვანესი დარგი, ჩვენს დროში უგვანო და უზნეო ბრბოს უზნეო და უხამს გასართობ საშუალებად იქცა. ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ასეთ უმდაბლეს დონემდე დაცემულ დრამის ხელოვნებას კვლავაც მიაწერენ მისთვის სრულიად შეუფერებელ მაღალ მნიშვნელობას.

დრამატურგები, მსახიობები, რეჟისორები, პრესა, ყველანი ძალიან სერიოზული ტონით წერენ ანგარიშებს თეატრებისა და ოპერების შესახებ და ყველა სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ ისინი მართლაც რაღაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვან და საპატიო საქმეს აკეთებენ.

დრამა ჩვენს დროში — ესაა ოდესღაც დიდი ადამიანი, რომელიც ახლა დაცემის უკიდურეს ზღვრამდეა მისული და მაინც აგრძელებს თავისი წარსულით ტრაბახს, რომლისგანაც უკვე აღარაფერია დარჩენილი. ჩვენი დროის საზოგადოება კი უმოწყალოდ დასცინის სიმდაბლის უკიდურეს ზღვრამდე მისულ ერთ დროს ამ დიდებულ ადამიანს.

შექსპირის შესახებ რომ დაეწერათ, რომ იგი თავისი დროისათვის კარგი მთხზველი იყო, ლექსიც ცუდად არ გამოუდიოდა, იყო ჭკვიანი მსახიობი და კარგი რეჟისორი, და ეს შეფასებები თუნდაც არასწორი ან ოდნავ გაზვიადებული ყოფილიყო, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები უთუოდ განთავისუფლდებოდნენ შექსპირომანიის გავლენისაგან. მაგრამ როდესაც ცხოვრებაში ახლადფეხშედგმულ ახალგაზრდა ადამიანს, ჩვენს დროში, ზნეობრივი სრულყოფილების ნიმუშად, კაცობრიობის რელიგიური და ზნეობრივი მოძღვრების ნაცვლად შექსპირს წარუდგენენ, რომლის შესახებ განსწავლული ადამიანები თაობიდან თაობას უპირობოდ გადასცემენ უცილობელ ჭეშმარიტებად, რომ იგი მსოფლიოს უდიდესი პოეტი და მოძღვარია, ახალგაზრდა კაცისათვის რთული ხდება ამ ზიანის მომტანი ზეგავლენისაგან განთავისუფლება.

ახალგაზრდა ადამიანისათვის, რომელიც შექსპირს კითხულობს ან უსმენს, ის კი არ არის მნიშვნელოვანი, შეაფასოს, რასაც კითხულობს; შეფასება უკვე გაკეთებულია. არც იმაშია საქმე, შექსპირი კარგია თუ ცუდი, საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ რაში გამოიხატება ის გასაოცარი ესთეტიკური და ეთიკური სილამაზე, რომელიც მისთვის პატივსაცემმა ადამიანებმა შთაუნერგეს და რომელსაც იგი ახლა ვერ ხედავს და ვერ გრძნობს. და აი, ის თავს ძალას ატანს, ცდილობს დაეთანხმოს გამეფებულ შეხედულებას და ამით გარყვნას საკუთარი ესთეტიკური და ეთიკური გრძნობა. მას საკუთარი თავის კი აღარ სჯერა, არამედ იმისა, რასაც განსწავლული, მისთვის პატივსაცემი ადამიანები ამბობენ (მე ეს საკუთარ თავზე გამოვცადე). ხოლო, როცა იგი, დრამების კრიტიკულ გარჩევებს და განმარტებითი კომენტარებით აღჭურვილ ამონარიდებს კითხულობს, ეჩვენება, თითქოს რაღაც, მხატვრული შთაბეჭდილების მაგვარი განცდა ეუფლება. და რაც უფრო დიდხანს გრძელდება ეს პროცესი, მით უფრო მეტად ირყვნება მისი ესთეტიკური და ეთიკური გრძნობა. მას უკვე აღარ შესწევს უნარი, უშუალოდ და თვალნათლივ განასხვავოს, რა არის ჭეშმარიტად მხატვრული და რა — მხატვრულობის ხელოვნური მიმბაძველობა.

[1] მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ თანამედროვე დრამის ჩემეული შეფასებებიდან, ჩემს, შემთხვევით დაწერილ თეატრალურ პიესებს გამოვრიცხავ. მე მათ ისევე ვაფასებ, როგორც ყველა სხვა დანარჩენს, რომელთაც არ გააჩნიათ ის რელიგიური შინაარსი, რაც მომავალი დრამის საფუძველს უნდა შეადგენდეს. (ავტორის შენიშვნა.)

მთავარი კი ის არის, რომ ახალგაზრდა ადამიანი ითვისებს რა იმ უზნეო მსოფლმხედველობას, რომლითაც გამსჭვალულია შექსპირის ყველა ნაწარმოები, კარგავს უნარს, გაარჩიოს სიკეთე ბოროტებისგან. და უგვანი, არამხატვრული, და არა მხოლოდ უზნეო, არამედ ზნედაცემული მწერლის განდიდების სიყალბე თავის დამღუპველ საქმეს ასრულებს.

სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ, რაც უფრო მალე განთავისუფლდებიან ადამიანები შექსპირის მცდარი და მოჩვენებითი ქება-დიდებისაგან, მით უკეთესი იქნება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ სიყალბისაგან განთავისუფლებული ადამიანები უნდა მიხვდნენ, რომ დრამა, რომელსაც საფუძვლად არ უდევს რელიგიური საწყისი, არა მარტო უმნიშვნელო და ცუდი საქმეა, როგორც ახლა ფიქრობენ, არამედ ყველაზე უხამსი და საზიზღარი რამაა. და როცა ამას მიხვდებიან, უნდა დაიწყონ თანამედროვე დრამის იმ ახალი ფორმის ძიება და შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ადამიანებში რელიგიური ცნობიერების უზენაესობის გაცნობიერებასა და განმტკიცებას; მეორეც, ადამიანები, განთავისუფლდებიან რა, ამ ჰიპნოზისგან, მიხვდებიან, რომ შექსპირი და მის მიმბაძველთა უხამსი და უზნეო ნაწარმოებები, რომელთა უმთავრესი მიზანი ადამიანების გართობა და თავის შექცევაა, ვერ გასწავლიან ცხოვრებას და თუ არ არსებობს ჭეშმარიტი რელიგიური დრამა, მოძღვრება ცხოვრების შესახებ სხვა წყაროებში უნდა ეძიო.

შენიშვნები:

კროსბი, ერნსტ (1856-1907) —ამერიკელი მწერალი.
ჯონსონი, ბენჟამენ (1573-1637) — ინგლისელი დრამატურგი, დრამის თეორეტიკოსი.
ჰაზლიტი, უილიამი (1778-1830) — ინგლისელი ისტორიკოსი და კრიტიკოსი ლიტ. დარგში.
ჰალამი, არტურ (1811-1833) — ინგლისელი პოეტი.
შელლი, პერსი ბიში (1792-1822) — ინგლისელი პოეტი.
სუინბორნი, ალჯერნონ ჩარლზი (1837-1909) — ინგლისელი პოეტი.
ბრანდესი, გეორგ (1842-1927) — დანიელი კრიტიკოსი.
გარენეტი, სამუელ (?) — ინგლისელი ეპისკოპოსი, იგულისხმება 1603 წ. მის მიერ დეკლარირებული egregious Popish Impostures (პაპის პირწავარდნილი თაღლითობა).
აზინკურის ბრძოლა — 1415 წლის 25 ქტომბერს, ინგლისის მეფე ჰენრი V სასტიკად დაამარცხა საფრანგეთის მეფე კარლ VI.
პიკვიკი — იგულისხმება ჩარლზ დიკენსის რომანის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების“ ერთ-ერთი ეპიზოდი.

რუსულიდან თარგმნა ***ნიკო დადიანმა***

მორის მეტერლინკი

ყვავილთა სიბრძნე

I

აქ მსურს, უბრალოდ, გავიხსენო ყველა ბოტანიკოსისთვის ცნობილი რამდენიმე ფაქტი. მე არაფერი აღმომიჩენია, ჩემი მოკრძალებული წვლილი რამდენიმე მარტივ დაკვირვებაზე დაიყვანება. თავისთავად იგულისხმება, რომ განზრახული არ მაქვს განვიხილო ყველა მტკიცებულება იმ გონიერებისა, ადამიანები რომ მივაწერთ მცენარეებს. ასეთი მტკიცებულება ხომ ურიცხვია და მუდმივად განმეორებადი, განსაკუთრებით — ყვავილთა შორის, სადაც ხდება მცენარეული სიცოცხლის ძალისხმევის მიმართვა სინათლისა და ცნობიერებისკენ.

დედამიწის ფლორამ იცის მოუქნელი ან უიღბლო ყვავილები და მცენარეები, მაგრამ მაინც არცერთი მათგანი არ არის მთლიანად მოკლებული გონსა და გამომგონებლობას. ისინი მთელ ძალასა და უნარს აქსოვენ თავიანთ საქმეში, ყველას ამოძრავებს დიადი ამბიცია — დაიპყროს მთელი დედამიწა საკუთარი ფორმის უსასრულო გამრავლების გზით. ამ მიზნის მისაღწევად, მათ — იმ კანონის გამო, მიწას რომ აჯაჭვავს — უნდა დაძლიონ გაცილებით უფრო დიდი სირთულეები, ვიდრე ის სირთულეები, რომელთა გადალახვაც ცხოველებს უწევთ. გარდა ამისა, მათი უმრავლესობა მიმართავს ეშმაკობებს, კომბინაციებს, სხვადასხვა მექანიზმებს, ხაფანგებს, რაც ხშირად უსწრებდა წინ ადამიანის გამოგონებებსა და ცოდნას მექანიკის, ბალისტიკის, ავიაციის, ენტომოლოგიის სფეროში.

II

ზედმეტი იქნებოდა, კიდევ ერთხელ წარმოგვედგინა აქ ყვავილთა დამტვერვის დიდი სისტემები: მტვრიანებისა და ბუტკოს თამაში, სურნელებათა ცდუნებანი, ჰარმონიული და კაშკაშა ფერების ძახილი, გამომუშავება ნექტარისა, რომელიც სრულებით არ სჭირდება ყვავილს და მხოლოდ იმ მიზნით გამოყოფს, რომ მიიზიდოს და შეაკავოს უცხო განმათავისუფლებელი, სიყვარულის შიკრიკი, — ფუტკარი, ბაზი, პეპელა, ბუზი, თუთის აბრეშუმხვევია, — რომელმაც მას შორეული, უხილავი, უძრავი მიჯნურის ამბორი უნდა მოუტანოს...

ეს მცენარეული სამყარო, რომელიც ასეთი მშვიდი, ბედს მინებებული გვგონია და რომელშიც თითქოს მხოლოდ მიღება, სიჩუმე, მორჩილება, შინაგანი კონცენტრირება სუფევს, პირიქით — სწორედ ის სამყაროა, სადაც ამბოხი ბედისწერის წინაშე უდიდესია და უჯიუტესი. ფესვი — მცენარის მკვებავი სასიცოცხლო ორგანო — მას მოუწყვეტლად მიწასთან აბამს. თუ ჩვენს დამბორკავ-დამამძიმებელ დიდ კანონებს შორის ძნელია პოვნა კანონის, ყველაზე მეტად რომ გვაწვება მხრებზე, მცენარისთვის ეს უეჭველად ის კანონია, *უძრაობაზე* რომ წირავს დაბადებიდან სიკვდილამდე. გარდა ამისა, ჩვენგან — საკუთარი ძალების მფლანგველებისგან — განსხვავებით მცენარემ უკეთ იცის, რას აუჯანყდეს უწინარეს ყოვლისა. შეუდარებელ სანახაობას წარმოადგენს მისი იდეა-ფიქსის ენერგიაც, იდეა-ფიქსის, რომელიც მისი ფესვების წყვდიადიდან ამოდის, რათა საბოლოოდ მოიწესრიგოს თავი და გაიფურჩქნოს მისივე ყვავილის სინათლეში. ის მთელი არსებით იძაბება ერთადერთი განზრახვის აღსასრულებლად: ზემოთკენ გაექცეს ქვედა ფატალობას; გვერდი აუაროს, დაარღვიოს ბნელი და მძიმე კანონი; გათავისუფლდეს, დაამსხვრიოს შეზღუდული სივრცე; გამოიგონოს ან მოუხმოს ფრთებს, გაიქცეს რაც შეიძლება შორს; დაამარცხოს სივრცე, სადაც ბედისწერა ამწყვდევს; მიუახლოვდეს სხვა საუფლოს, შეაღწიოს ცოცხალ და მოძრავ სამყაროში... და იქამდე მისვლა მისთვის ხომ ისეთივე შეუდარებელი რამ იქნება, როგორიც ჩვენთვის — დროის მიღმა გასვლა, რასაც სხვა ბედისწერა გვიმზადებს, ან შეღწევა მატერიის ყველაზე მძიმე კანონებისგან თავისუფალ საუფლოში? ჩვენ

დავინახავთ, რომ ყვავილი ადამიანს აძლევს დაუმორჩილებლობის, გამბედაობის, შეუპოვრობისა და გამომგონებლობის სასწაულებრივ მაგალითს. ისეთ გარდუვალობათაგან თავდასახსნელად, როგორიცაა ჩვენთვის, მაგალითად, ტკივილი, სიბერე და სიკვდილი, რომ შეგვძლებოდა იმის ნახევარი ენერგიის დახარჯვა, რასაც ჩვენს ბაღში ამოსული ერთი პაწია ყვავილი ხარჯავს, შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ ჩვენი ხვედრი დიდად განსხვავებული იქნებოდა იმისგან, რაც დღეს არის.

III

მოძრაობის ეს საჭიროება, სივრცის ეს მადა მცენარეთა უმრავლესობისთვის ერთდროულად მჟღავნდება ყვავილშიც და ნაყოფშიც. ამ უკანასკნელში ის ადვილად იხსნება ან, ყოველ შემთხვევაში, უფრო მარტივ გამოცდილებას თუ გამჭრიახობას ავლენს. იმის საპირისპიროდ, რაც ფაუნაში ხდება, და სრული უძრაობის საზარელი კანონის გამო, მარცვლის პირველი და უკანასკნელი მტერი მისივე ქვედა ნაწილია. ჩვენ ვიმყოფებით უცნაურ საუფლოში, სადაც გადაადგილების ვერშემძლე მშობლებმა იციან, რომ ხელეწიფებათ დაამშიონ ან გაახმონ მათივე ამონაყარი. მთელი თესლეული, რომელიც ხის ან მცენარის ძირში იყრება, იღუპება ან უბადრუკად ღივდება. აქედან მოდის უღლის გადაგდებისა და სივრცის დაპყრობისაკენ მიმართული უზარმაზარი ძალისხმევა, ისევე როგორც თესლთა განთესვის, მოძრაობის, საჰაერო გადატანის განსაცვიფრებელი სისტემები, რომლებსაც ყველგან ვპოულობთ — ტყეშიც და ველზეც. სხვა დანარჩენთა შორის, ვახსენოთ მხოლოდ რამდენიმე ყველაზე საგულისხმო: ნეკერჩხლის საჰაერო სპირალი; ცაცხვის თანაყვავილი; ნარშავის, ბაბუაწვერას, ძირტკბილას ჰაერში სალივლივო მექანიზმი; რძიანას ფეთქებადი ზამბარები; მომორდიკას მსხალ-სასხურებელი; ერიოფილუმის ულვაშ-კაუჭები და ათასი სხვა, ყოვლად მოულოდნელი და გამაოგნებელი მექანიზმი, რადგან არ არსებობს თესლი, რომელსაც გამოგონილი არ ჰქონდეს რაიმე ხერხი დედობრივი სიბნელიდან თავდასაღწევად.

მართლაცდა, თუ ცოტაოდენს არ ჩავყვინთავთ ბოტანიკაში, ვერ დავიჯერებთ, რა წარმოსახვის უნარი და გენიალობა ტრიალებს ჩვენი თვალ-გულის გამხარებელ მთელ ამ სიმწვანეში. შეხედეთ, მაგალითად, წითელი საპოვნელას სათესლე ტიგელს, უკადრისას ხუთ სარქველს, ნემსიწვერას ხუთ ასაფეთქებელ კაფსულას და ა.შ. თუკი შემთხვევა მოგეცათ, არ დაგავიწყდეთ, დაუკვირდეთ ყაყაჩოს ჩვეულებრივ ჩაფხუტს, სამკურნალო ბალახის ყველა ფარმაცევტს რომ მოეპოვება. ამ მსხვილ ჩაჩქანში არსებული სიფრთხილე და გამჭრიახობა უდიდეს ხოტბას იმსახურებს. ვიცით, რომ მასში ათასობით პაწაწკინტელა შავი თესლი იმალება. ეს თესლი შეძლებისამებრ მოხერხებულად და შეძლებისამებრ შორს უნდა გაიფანტოს. თუ მისი შემცველი კაპსულა იბზარება, ვარდება ან ქვედა ნაწილით იხსნება, ძვირფასი შავი თესლი უსარგებლო ზვინად გროვდება ყვავილის ღეროსთან. მაგრამ გარეთ გამოსვლა თესლს მხოლოდ შალითის კენწეროზე დატანებული ნახვრეტებიდან შეუძლია. როცა თესლეული მწიფდება, ღერო ძირს იხრება, უმცირეს დაბერვაზეც ქანაობს და თესლს სივრცეში — არც მეტი არც ნაკლები — *მთესველის* მოძრაობებით აბნევს.

ვილაპარაკო თუ არა იმ მცენარეებზეც, — ფითრზე, ღვიაზე, ცირცელზე და სხვ., — რომელთა თესლებს ფრინველები აბნევენ და რომლებიც, ამ უკანასკნელთა საცდუნებლად, დაშაქრული გარსის ქვეშ იკუმშ-იბუზებიან? ამაში მოჩანს იმხელა განსჯა, საბოლოო მიზეზთა ისეთი გაგება, რომ ჩვენ ვეღარაფერს ვამბობთ იმის შიშით, ვაითუ, ზოგიერთი სწავლულის გულუბრყვილო ცდომილებები გავიმეოროთ. არადა, ფაქტები სხვაგვარად ვერ იხსნება. დაშაქრული გარსი ისევე არ სჭირდება თესლს, როგორც ფუტკრების მიმხმობი ნექტარი — მის შემცველ ყვავილს. ჩიტუნა ჭამს ნაყოფს, რადგან ის ტკბილია, და იმავდროულად ყლაპავს თესლს, რომელიც *ხელშეუხებლად გადის კუჭ-ნაწლავს*. ბოლოს მიფრინავს და, ცოტა ხნის შემდეგ, ისეთივე მარცვალს განაგდებს, როგორიც მიიღო, თანაც — შალითამოხსნილს და აღმოსაცენებლად მზადმყოფს მშობლიურ სანახებში არსებული საფრთხეებისგან მოშორებით.

IV

თუმცა დავუბრუნდეთ უფრო მარტივ კომბინაციებს. გზისპირას, პირველივე შემხვედრი ბალახიდან ამოაძრეთ ერთი რომელიმე ღერი და თქვენ შუა მუშაობაში წაუსწრებთ პაწია, დამოუკიდებელ, დაუღალავ გონებას. აი, ორი საბრალო მცოცავი მცენარე, ათასგზის რომ შეგხვედრიათ სეირნობისას, რაკი ყველგან ხარობენ, თვით ნეშომპალისგან სრულებით დაცლილ ეწერ ადგილებშიც კი: ველური იონჯას (*Medicago*) ორი სახესხვაობა, ორი სარეველა ამ სიტყვის ყველაზე მოკრძალებული მნიშვნელობით. ერთ მათგანს მოწითალო ყვავილი აქვს, მეორეს — მუხუდოს მარცვლისხელა ყვითელი ფუნჯი. იმის შემხედვარენი, თუ როგორ ძვრებიან და იმალებიან გაზონში, მედიდურ მარცვლოვანებს შორის, ვერასოდეს ვიეჭვებდით, რომ ეს მცენარეები წარმოადგენენ არქიმედეს ცხოვრების განსაცვიფრებელ ქონებას მას შემდეგ, რაც დიდმა სირაკუზელმა გეომეტრ-ფიზიკოსმა ისინი აღმოაჩინა და სცადა გამოეყენებინა არა ნაყენების დასამზადებლად, არამედ ავიაციისთვის. ეს მცენარე თავის თესლს ათავსებს მსუბუქ, სამ-ოთხ ხვეულიან სპირალებში, გასაოცრად რომაა აგებული და იმაზეა გათვლილი, რომ ამ გზით შეანელოს თესლის ჩამობნევა და, ამის შედეგად და ქარის დახმარებითაც, გააგრძელოს მისი საჰაერო მოგზაურობა. ამ ორი სახესხვაობიდან ერთ-ერთმა, სახელდობრ — ყვითელმა, სრულქმნა კიდევაც წითლის აპარატი იმით, რომ სპირალის კიდეებს ორმაგი წვეტურები ჩააყოლა, ვინძლო გამვლელთა სამოსს თუ ცხოველთა ბეწვს მიჰკვროდა. ცხადია, მას სურს ეზიაროს *ერიოფილიის* — ანუ ცხვრების, თხების, კურდღლების და სხვათა მეშვეობით თესლის განთესვის — უპირატესობებს *აეროფილიასთან,* ანუ ქარით განთესვასთან შედარებით.

ამხელა ძალისხმევაში ყველაზე გულისამაჩუყებელია მისი უსარგებლობა. საბრალო წითელი და ყვითელი იონჯები ტყუვდებიან: ეს შესანიშნავი ცხოვრება მათ თავად არაფერში ადგებათ. ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებდნენ თავიანთ ფუნქციას, თუკი ჩამოცვივდებოდნენ გარკვეული სიმაღლიდან, ვთქვათ — ხის კენწეროდან ან მაღალი მარცვლოვანიდან. მაგრამ ისინი ბალახის სიმაღლეზე ცხოვრობენ და, მიწასთან შეხებამდე, სათანადო მანძილის მხოლოდ მეოთხედს თუ გადიან. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბუნებაში არცთუ იშვიათად არსებულ ცდომილებასთან, ხელისცეცებასთან, ცდებთან და პაწია არასწორ გაანგარიშებასთან. მხოლოდ ის, ვისაც არასოდეს შეუსწავლია ბუნება, მოჰყვება იმის მტკიცებას, რომ ეს უკანასკნელი არასოდეს ცდება.

გზად აღვნიშნოთ, რომ იონჯას სხვა ვარიაციებს (ნუღარაფერს ვიტყვით სამყურაზე — მეორე ქინქლისებრ პარკოსანზე, რომლის ქცევაც თითქმის მთლიანად ემთხვევა ჩვენი ამჟამინდელი საუბრის ობიექტის ქმედებებს) არ გაუთავისებიათ ზემოთ აღწერილი საავიაციო მექანიზმები და ისევ პარკოსნის პრიმიტიულ მეთოდს იყენებენ. ერთ-ერთ მათგანთან (*Medicago aurantiaca*) სრულებით თვალნათლივ მოვიხელთებთ გადასვლას გამრუდებული პარკიდან სპირალზე. მეორე სახესხვაობა (*Medicago scutellata*) ამ სპირალს ბურთის ფორმამდე ამრგვალებს და ა.შ. თითქოს ვესწრებით მხურვალე სანახაობას, რომელშიც სახეობა გამოგონებებზე მუშაობს, ვესწრებით მცდელობას ოჯახისა, რომელსაც ჯერ არ დაუზუსტებია თავისი ბედ-იღბალი და მომავლის უზრუნველყოფის საუკეთესო გზას ეძებს. იქნებ სწორედ ამ ძიების განმავლობაში მოხდა, რომ სპირალით გულაცრუებულმა ყვითელმა იონჯამ წვეტურები თუ საბეწვე კაუჭები დაიმატა მას შემდეგ, რაც თავის თავს არცთუ უმართებულოდ უთხრა: ჩემი იერსახე ცხვრებს იზიდავს, ამიტომაც გარდაუვალია და სამართლიანი, რომ მათვე მომიგვარონ შთამომავლობის საქმეო. დაბოლოს, განა ამ ახალი ძალისხმევისა და კარგი იდეის წყალობით არ ხდება, რომ ყვითელი იონჯა გაცილებით უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე უფრო ძალუმი აგებულების მისი წითელყვავილებიანი ბიძაშვილი?

V

არა მხოლოდ თესლში ან ყვავილში, არამედ მთელ მცენარეში — ღეროში, ფოთლებში, ფესვებში — ვპოულობთ (თუ ნამდვილად გვსურს, დავუკვირდეთ მათ მოკრძალებულ შრომას) ცოცხალი და შორსმჭვრეტელი გონიერების მრავალ ნაკვალევს. გაიხსენეთ განაწყენებული

ტოტების დიადი ძალისხმევა, მიმართული სინათლისაკენ ან საფრთხეში მყოფი ხეების გაბედული და გონებამახვილური ბრძოლა. რაც შემეხება მე, არასოდეს დამავიწყდება გმირობის განსაცვიფრებელი მაგალითი, რომელიც მომცა პროვანსში, იების სურნელებით გაჟღენთილ ლუპის უკაცრიელ და ზღაპრულ ხევებში ნანახმა ვეებერთელა ასწლოვანმა დაფნის ხემ. მის დატანჯულ და, ასე ვთქვათ, დაკრუნჩხულ ღეროზე ადვილად იკითხებოდა რთული და შეუპოვარი ცხოვრების მთელი დრამა. ფრინველს თუ ქარს — ბედისწერების მესვეურთ — დაფნის თესლი მოეტანათ რკინის ფარდასავით შვეული კლდის ფერდზე და ხეც სწორედ იქ ამოსულიყო, მდინარიდან ორასი მეტრით მაღლა, მიუწვდომელი და მარტოხელა, გავარვარებულ და უნაყოფო ქვებს შორის. აღმოცენების პირველ საათებში თავისი ბრმა ფესვები დაფნას შემთხვევითი წყლისა და ნეშომპალის ხანგრძლივ და მძიმე ძიებაში გაუგზავნია. სამხრეთის სიმშრალე-უნაყოფობის დასაძლევად თვით სახეობის მემკვიდრეობითი უნარი ზრუნავს, ახალგაზრდა დაფნის წინაშე კი გაცილებით უფრო სერიოზული და მოულოდნელი პრობლემა იდგა: ისე გამოდიოდა შვეული სიბრტყიდან, რომ ცისკენ სვლის სანაცვლოდ, მისი კენწერო უფსკრულის თავზე ეკიდა. ამდენად, ტოტების მზარდი წონის მიუხედავად, საჭირო აღმოჩნდა თავდაპირველი ზესწრაფვის გამართვა-გასწორება, თავგზააბნეული ღეროს შეუპოვარი აღუნვა და — იმ მოცურავისა არ იყოს, თავს ზემოთ რომ წევს ცურვისას — ნების გამუდმებული დაძაბვითა და კრუნჩხვა-მოჭმუხვნით ფოთლების მძიმე გვირგვინის ძლევამოსილი აზიდვა ლაჟვარდისკენ.

ამის შემდეგ, ამ სასიცოცხლო კვანძის გარშემო თავი მოიყარა მცენარის მთელმა ენერგიამ, ყველა დანარჩენმა საქმიანობამ, მისმა შეგნებულმა და თავისუფალმა გენიამ. მონსტრუოზულ-ჰიპერტროფირებულმა ღუნმა სათითაოდ გამოამჟღავნა ყველა შფოთვა-მღელვარება, მომხდარი ხის „ფიქრში“, რომელმაც იცოდა, თუ როგორ ესარგებლა წვიმების და ქარიშხლების ნობათით. წლიდან წლამდე ფოთლების გუმბათი სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა, ფოთლების, რომელთაც სინათლეში და სითბოში ზრდა-აყვავების გარდა სხვა საზრუნავი არაფერი ჰქონდათ. ამასობაში ბნელი სიმსივნე ხრავდა და ღრღნიდა ტრაგიკულ მკლავს, რომელიც დაფნას სივრცეში აკავებდა. და მაშინ — მე არ ვიცი, რომელი ინსტინქტის კარნახით — ხეს ორი დამატებითი ფესვი, ორი ბალნიანი ტროსი გამოეზარდა ღუნიდან დაახლოებით ორი ნაბიჯის სიმაღლეზე, რათა, თავის მხრივ, მათაც განემტკიცებინათ დაფნის პოზიცია გრანიტის კედელზე. ნამდვილად უბედურებამ გამოიხმო ეს ორი დამატებითი ფესვი გარეთ თუ ორივე მათგანი პირველივე დღეებიდან ელოდა — იქნებ ნათელმხილველურადაც კი — მწვავე საჭიროების ჟამს, რათა თავიანთი დახმარება გაეორმაგებინათ? ან ეგებ ეს მხოლოდ ბედნიერი დამთხვევა იყო? რომელი ადამიანი შეძლებს დაესწროს ამ უხმო დრამებს — მეტისმეტად ხანგრძლივს ჩვენი ხანმოკლე ცხოვრებისთვის[1]?

VI

იმ მცენარეებში, რომლებიც ინიციატივის გამოჩენის ყველაზე გამაოგნებელ მაგალითებს იძლევიან, გვხვდებიან ისეთები, რომლებისთვისაც შეგვეძლო დაგვერქმია სულიერი ან მგრძნობიარე და რომლებიც დეტალურ შესწავლას იმსახურებენ. შემოვიფარგლები იმით, რომ გავიხსენებ ყველასთვის ნაცნობი მორცხვი მიმოზას გასაოცარ შეკრთომა-შეშინებას. ნაკლებად ვიცნობთ სპონტანური მოძრაობებით გამორჩეულ სხვა მცენარეებს. განსაკუთრებით, კრიალოსნებს, რომელთა შორის საკვირველი მოძრაობებით გამოირჩევა ესპარცეტი (*hédysarum gyrans*). ბენგალიური წარმოშობის ეს პატარა, თუმცა კი ჩვენს სათბურებში ხშირად მოყვანილი პარკოსანი სინათლის საპატივსაცემოდ ასრულებს ერთგვარ რთულ-მარადიულ ცეკვას. ფოთლები ეყოფა სამ-სამ ფურცლად, რომელთაგან ერთი დიდია, დანარჩენი ორი — პირველი ფურცლის დაბადებისას — ვიწრო და უძრავი. ამ ფურცელთაგან თითოეული იწყებს თავისებურ და დანარჩენი ორისგან განსხვავებულ მოძრაობას. სამივე ფურცელი მთელ ცხოვრებას ამ გამუდმებულ, რიტმულ, თითქმის ქრონომეტრულ რხევაში ატარებს. იმდენად მგრძნობიარენი არიან სინათლის მიმართ, რომ ეს ცეკვა ნელდება ან ჩქარდება იმისდა მიხედვით, ფარავს თუ არა ღრუბლები ცის იმ კუთხეს, რომელსაც ისინი უყურებენ. როგორც ვხედავთ, ამ ყვავილის ფურცლები ნამდვილი ფოტომეტრებია, როგორც ადამიანის გამოგონებამდე დიდი ხნის წინ არსებული ბუნებრივი ოთეოსკოპები[2].

VII

მაგრამ ეს მცენარეები — მათ უნდა დავუმატოთ *ცვრიანა*, *ბუზიჭერია* და კიდევ რამდენიმე სხვა — უკვე ბოჭკოვანი არსებებია, რომლებიც ოდნავ ცდებიან მცენარეულ და ცხოველურ საუფლოთა გამყოფ იდუმალ და, როგორც ჩანს, წარმოსახვით ზღვარს. თუმცა აუცილებელი არ არის ამ დონემდე ამოსვლა, უამისოდაც იმდენ გონიერებას და თითქმის იმდენივე ხილულ სპონტანურობას ვხვდებით ყვავილთა საუფლოს მეორე ბოლოში, ანუ იმ ფსკერზე, სადაც მცენარე ძლივსღა განირჩევა შლამისა თუ ქვისგან. მესმის საუბარი ფარულთესლოვნების ზღაპრულ მოდგმაზე, რომელიც მხოლოდ მიკროსკოპით თუ შეისწავლება. ამიტომაც, ამჯერად დუმილით ვუვლი გვერდს, მიუხედავად იმისა, რომ სოკოს, გვიმრის და, განსაკუთრებით, შვიტას და ტიმოთელას სპორების თამაში წარმოუდგენლად ნაზი და გონებამახვილურია. მაგრამ წყლის მცენარეებში, რომლებიც პირვანდელ შლამებსა და ტალახებში ცხოვრობენ, არანაკლები ფარული საიდუმლო სრულდება. რამდენადაც მათი ყვავილების დამტვერვა წყალქვეშ ვერ ხორციელდება, თითოეულმა მათგანმა ყვავილის მტვრის მშრალად განთესვის სათავისო სისტემა გამოიგონა. ასე, ზღვის ბალახები, ანუ ჩვეულებრივი წყალმცენარეები, რომლითაც კერავენ ლეიბებს, თავიანთ ყვავილს ნამდვილ ბაროკამერაში ათავსებენ, დუმფარები კი, თავისას, ტბორის ზედაპირისკენ გზავნიან გასაშლელად, იქ აჩერებენ და იქვე კვებავენ უსაშველოდ გრძელი ღეროთი, რომელიც წყლის დონის აწევასთან ერთად კიდევაც უფრო გრძელდება. ცრუ დუმფარა (*Villarsia nymphoides*), რომლის ღეროს დაგრძელების უნარი არ შესწევს, თავის ყვავილებს უბრალოდ უშვებს, ისინიც ზემოთ ადიან და ბუშტებივით სკდებიან. წყლის კაკალი (*Trapa natans*) ყვავილებს აღჭურვავს ჰაერით გაბერილი ერთგვარი ბუშტულებით, ისინიც ზემოთ მიცურავენ და იქ იხსნებიან. დამტვერვის შემდეგ ბუშტულიდან გამოდენილი ჰაერის ადგილს იკავებს წყალზე უფრო მძიმე ლორწოვანი სითხე და მთელი ეს აპარატი უკანვე ეშვება შლამში, სადაც იწყება ნაყოფთა მომწიფება.

ბუშტოსანას სისტემა კიდევ უფრო რთულია. აი, როგორ აღწერს მას მ. ჰ. ბოკიონი თავის წიგნში „მცენარეთა ცხოვრება“: „ეს მცენარეები, საყოველთაოდ გავრცელებულები ტბორებში, არხებში, გუბეებში, ტორფის კარიერებში, ზამთრობით არ ჩანან, რადგან ფსკერის შლამში იმყოფებიან. მათი წვრილი, წაგრძელებული, წელვადი ღეროს ფოთლებს დატოტვილი ძაფების სახე აქვს. ამგვარად ტრანსფორმირებული ფოთლების უბეზე ვამჩნევთ ერთგვარ ჯიბეს, რომლის ზედა წამახულ ბოლოზე სარქველიანი ღიობია. ეს უკანასკნელი მხოლოდ გარედან შიგნით იღება, კიდეები დატოტვილბეწვიანი აქვს, შიდა კედლები — უფრო მოკლებეწვიანი, რაც ბუშტოსანას ხავერდოვან იერს აძლევს. როცა ყვავილობის დრო მოდის, ყვავილის უბის პატარა რუმბები ჰაერით ივსება. რაც უფრო მეტად ცდილობს ეს ჰაერი გარეთ გასვლას, მით უკეთ კეტავს სარქველს. საბოლოოდ, ეს მცენარეს დიდ და საგანგებო სიმსუბუქეს ანიჭებს და წყლის ზედაპირზე ამოჰყავს. აი, მაშინ იშლებიან მომხიბლავი პატარა ყვითელი ყვავილები და ემსგავსებიან უცნაურ, მეტ-ნაკლებად ტუჩებგასიებულ დრუნჩებს, რომელთაც ნარინჯისფერი ან რკინისფერი ხაზები გასდევთ. ივნის-ივლის-აგვისტოში, როდესაც გრაციოზულად მოექცევიან თავზე ტალახიან წყალს, ეს ყვავილები აჩენენ თავიანთ ცინცხალ ფერებს სხვა მცენარეულ ნარჩენებს შორის. მაგრამ დამტვერვა მომხდარია, ნაყოფი ვითარდება და როლები იცვლება: გარემომცველი წყალი პარკუჭების სარქველს აწვება, ხსნის, შიგნით იჭრება, მცენარეს ამძიმებს და აიძულებს შლამში ჩაბრუნდეს“.

განა საინტერესო არ არის, რომ ამ უხსოვარ პაწია მექანიზმში თავმოყრილია ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ბოლოდროინდელი გამოგონება: საგდულების და სარქველების თამაში, სითხეებისა და ჰაერის წნევა, ანუ არქიმედეს პრინციპი — შესწავლილი და გამოყენებული? იმ ავტორის თქმით, რომელსაც ახლა ვციტირებთ: „ინჟინერს, რომელმაც პირველმა მიაბა ჩაძირულ შენობას გასატივტივებელი მექანიზმი, არც კი უეჭვია, რომ ანალოგიურ მეთოდს უკვე ათასწლეულების განმავლობაში მიმართავდა ზოგიერთი მცენარე“. იმ სამყაროში, რომელიც ჩვენ შეუგნებელი და უგუნური გვგონია, საკუთარ თავს ისე ვუყურებთ, თითქოს ჩვენი უმცირესი იდეაც კი ორიგინალურ კომბინაციებს და ახლებურ მიმართებებს ქმნის. თუ საგნებს უფრო ახლოდან შევხედავთ, უსასრულოდ უფრო შესაძლებელი ჩანს, რომ ჩვენდათავად არაფრის შექმნა არ ძალგვიძს. ამ დედამიწაზე ყველაზე ბოლოს მოსულები, ჩვენ, უბრალოდ, ვპოუ-

ლობთ იმას, რაც მუდამ არსებობდა, და განცვიფრებული ბავშვებივით ხელახლა გავდივართ გზას, რომელიც ცხოვრებამ ჩვენამდე შექმნა. სხვა მხრივ, ძალზე ბუნებრივი და მანუგეშებელია, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად ასე იყოს. თუმცა ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით.

VIII

ჩვენ ვერ დავემშვიდობებით წყლის მცენარეებს ისე, რომ მოკლედ არ გავიხსენოთ ყველაზე რომანტიკული მათ შორის: ლეგენდარული *ვალისნერია* — ერთ-ერთი წყალმცენარე, რომლის ქორწინება ყვავილთა სასიყვარულო ისტორიის უტრაგიკულესი ეპიზოდია.

ვალისნერია საკმაოდ უმნიშვნელო მცენარეა, არაფერი სცხია არც დუმფარას უცხო გრაციის და არც ზოგიერთი დიდებული წყალქვეშა ყვავილის. მაგრამ, გეგონებათ, ბუნებამ ისიამოვნა იმით, რომ ვალისნერიაში მშვენიერი იდეა ჩადო. ამ პატარა ყვავილის მთელი არსებობა წყალქვეშ მიმდინარეობს ნახევრად მძინარე მდგომარეობაში საქორწინო ჟამამდე, აქედან მოყოლებული კი ის უკვე ახალ ცხოვრებას ესწრაფვის. ამ დროს მდედრი ყვავილი ნელ-ნელა გამოშლის თავისი ღეროს გრძელ სპირალს, ტბორის ზედაპირზე ამოდის და იქ დატივტივებს. მეზობლად მცხოვრები მოდგმიდან მამრი ყვავილები ხედავენ მის აცურებას მზით გასხივოსნებულ წყალში და, იმედით აღსავსენი, თვითონაც ზემოთ ამოდიან მისკენ, წყალზე რომ ირწევა, მათ ელოდება და ჯადოსნურ სამყაროში მოუხმობს. მაგრამ ზემოთ აცურებულ მამრ ყვავილებს შუა გზაში რაღაც აჩერებთ: მათი ღეროები — მათივე არსებობის წყარო — მეტისმეტად მოკლეა, რის გამოც ვერასოდეს იხილავენ დღის ნათელს, ანუ ერთადერთ ადგილს, სადაც შეიძლება განხორციელდეს მტვრიანებისა და ბუტკოს შერწყმა.

არსებობს კი ბუნებაში ამაზე უფრო დიდი დაუდევრობა ან უფრო შეუბრალებელი გამოცდა? წარმოიდგინეთ ამ სურვილის მთელი ტრაგიზმი: *მიუწვდომელი*, რომელსაც *ეხებიან*! *შეუძლებელი* — ხილული დაბრკოლების გარეშე! სრულებით გამჭვირვალე ფატალობა!..

ეს გადაუწყვეტელ პრობლემად დარჩებოდა, როგორც ჩვენი ადამიანური დრამა დედამიწაზე. მაგრამ, აი, ამ პროცესში მოულოდნელი ელემენტი ერევა. ხომ არ აქვთ მამრ ვალისნერიებს თავიანთი გულისაცრუების წინათგრძნობა? იქნებ ყოველთვის ატარებენ გულში ჰაერის ბუშტს, როგორც ჩვენ ვატარებთ სულში სასოწარკვეთილ ფიქრს განთავისუფლებაზე. თავიდან, გეგონებათ, მცირე ხანს შეყოყმანდნენო... მერე კი, გასაოცარი ძალისხმევით, — ყველაზე უფრო ზებუნებრივით, როგორიც კი შემხვედრია მწერთა და ყვავილთა ისტორიაში, — მამრი ყვავილები შეგნებულად წყდებიან მათსავე სასიცოცხლო ღეროს ბედნიერებამდე ასასვლელად. შეუდარებელი ზესწრაფვით მხიარულების მბრჭყვინავ მარგალიტებს შორის, ისინი წყლის ზედაპირისკენ მიექანებიან. სასიკვდილოდ დაჭრილები, მაგრამ მანათობლები და თავისუფლები, მცირე ხანს დაცურავენ თავიანთი უზრუნველი დანიშნულის გვერდით, შეერთების შემდეგ კი, მსხვერპლად ქცეულნი და მოტივტივენი, ერთიმეორის მიყოლებით იღუპებიან. ამასობაში უკვე დედად ქცეული დედოფალი თავის გვირგვინს ხურავს (სადაც ჯერ კიდევ ფეთქავს ნეფის უკანასკნელი სუნთქვა), უკანვე ახვევს თავის სპირალს და ბრუნდება წყლის სიღრმეებში, სადაც უნდა დაამწიფოს ჰეროიკული ამბორის ნაყოფი.

მოვაშოროთ თუ არა ბრწყინვალება ამ მშვენიერ სურათს — აბსოლუტურად ზუსტს, მაგრამ მხოლოდ ნათელი მხრიდან დანახულს — იმით, რომ ბნელი მხრიდანაც შევხედოთ? რატომაც არა? ზოგჯერ ბნელი მხრიდან არანაკლებ საინტერესო ჭეშმარიტებები ვლინდება, ვიდრე ნათელიდან. ეს განსაცვიფრებელი ტრაგედია მხოლოდ მაშინ ჩანს სრულყოფილი, როდესაც მასში მთელი სახეობის სწრაფვასა და გონიერებას ვხედავთ. მაგრამ თუ ცალკეულ ინდივიდებს დავუკვირდებით, ხშირად შევნიშნავთ მათ უტაქტო, ამ იდეალური გეგმის საპირისპიროდ მიმართულ მოქმედებებს. ზოგჯერ მამრები მაშინ ადიან წყლის ზედაპირზე, როცა ახლომახლო ჯერ კიდევ არ ჩანან ბუტკოიანები. ზოგჯერ, როდესაც წყლის დაბალი დონე საშუალებას აძლევს მათ, იოლად შეუერთდნენ სანატრელ სატრფოს, მაინც მექანიკურად და უსარგებლოდ იწყვეტენ ღეროს. აქ ჩვენ კიდევ ერთხელ ვასკვნით, რომ მთელი გენია სახეობაში, სიცოცხლეში თუ ბუნებაშია და რომ ცალკეული ინდივიდი თითქმის სრულებით ბრიყვია. მხოლოდ ადამიანთან ვხვდებით რეალურ პაექრობას ორ გონიერებას შორის, უფრო და უფრო დაზუსტებულ, უფრო და უფრო აქტიურ ტენდენციას ერთგვარი წონასწორობისკენ — ჩვენი მომავლის დიდი საიდუმლოსკენ.

IX

პარაზიტი მცენარეები არანაკლებ უცნაურ და ეშმაკურ სანახაობებს გვთავაზობენ. მაგალითად, საკვირველი *დიდი აბრეშუმა*, რომელსაც ხალხი *ლიქენად* ან *ბერისწვერად* მოიხსენიებს. მას ფოთლები არ აქვს და, როგორც კი მისი ღეროს სიმაღლე რამდენიმე სანტიმეტრს აღწევს, ნებაყოფლობით ტოვებს საკუთარ ფესვებს, რათა შემოეხვიოს მსხვერპლს, რომელიც თვითონ ამოირჩია და რომელსაც ასობს კიდეც თავის მისაწოვარებს. აქედან მოყოლებული, ის მხოლოდ და მხოლოდ თავისი მსხვერპლის ხარჯზე ცხოვრობს. შეუძლებელია მისი გაცურება: არ მიიღებს არანაირ დახმარებას, რომელიც არ ეჭაშნიკება, და თუ საჭიროა, საკმაოდ შორს წავა იმისთვის, რომ მოძებნოს კანაფის, სვიას, იონჯას თუ სელის ის ღერო, რომელიც მის ტემპერამენტს და გემოვნებას შეესატყვისება.

დიდი აბრეშუმა ბუნებრივად მიმართავს ჩვენს ყურადღებას მცოცავი მცენარეებისკენ, რომლებიც სრულებით გამორჩეული მიდრეკილებებით ხასიათდებიან და რომლებზეც მცირე ხანს შევჩერდებით. მეორე მხრივ, მას, ვისაც გარკვეული ხანი სოფლად უცხოვრია, მრავალგზის მიეცემოდა შემთხვევა, აღტაცებულიყო ინსტინქტითა თუ ერთგვარი ხილვით, რომელიც ველური ყურძნის თუ ბაღის ხვართქლას ულვაშს კედელზე მიყუდებული ფოცხის ან ნიჩბის ტარისკენ მიმართავს. გადააადგილეთ ფოცხი, — მეორე დღეს მცენარის ულვაში ზუსტად მისკენ შებრუნებული დაგხვდებათ. თავისი ტრაქტატის ერთ-ერთ თავში, რომელიც ეძღვნება მცენარეთა ფიზიოლოგიას, ართურ შოპენჰაუერი აჯამებს დაკვირვებათა მთელ მწკრივს, რომლის აქ გადმოცემა ძალიან დიდ ადგილს დაიკავებდა. მე მხოლოდ მკითხველს ვგზავნი ამ თხზულებასთან, სადაც ის მრავალი წყაროს მითითებას იპოვის. ნუთუ საჭიროა დავამატო, რომ უკანასკნელი ორმოცდაათი-სამოცი წლის მანძილზე ეს წყაროები უცნაურად გამრავლდა და რომ ეს საგანი მაინც თითქმის ამოუწურავია?

ამდენ გამოგონებათა, ეშმაკობათა, სიფრთხილეთა შორის მაგალითის სახით დავასახელოთ კიდევ *hyposeris radiata*-ს წინდახედულება. ესაა პატარა, ყვითელყვავილებიანი მცენარე, რომელიც საკმაოდ წააგავს ბაბუაწვერას და რომელსაც ხშირად ვხედავთ რივიერას ძველ კედლებზე. თავისი სახეობის გავრცელებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ის ერთდროულად ატარებს ორნაირ თესლს: ერთი მათგანი იოლად სცილდება ღეროს და აქვს ფრთები, რომლითაც ქარი იტაცებს; მეორეს ფრთები არ აქვს, ტყვედ რჩება ყვავილედის დროს და მაშინღა თავისუფლდება, როცა ეს უკანასკნელი ნაწილებად იშლება.

ეკლიანი ცეცხლეკალას (*Xanthium spinosum*) შემთხვევა გვიჩვენებს, თუ რაოდენ კარგადაა ჩაფიქრებული და რა წარმატებით მუშაობს განთესვის ზოგიერთი სისტემა. ცეცხლეკალა ბარბაროსული ეკლებით შემოსილი საძაგელი ბალახია. ცოტა ხნის წინ მას არ იცნობდნენ დასავლეთ ევროპაში და, ბუნებრივია, არავის უფიქრია იქ მისი აკლიმატიზება. ამ გამარჯვებას ცეცხლეკალა უნდა უმადლოდეს თავისი ნაყოფების ირგვლივ შემოყოლებულ კაუჭებს, რომლებიც ბეწვზე ეკრობა ცხოველებს. წარმოშობით რუსეთის მკვიდრმა, იქაური სტეპებიდან ჩამოტანილი მატყლის ფუთებით მოაღწია ჩვენამდე. რუკაზეც კი შეგვიძლია მოვნიშნოთ ამ დიდი მიგრატორის მიერ განვლილი ეტაპები, რომლის შედეგადაც ცეცხლეკალამ ახალი სამყაროს ანექსირება მოახერხა.

იტალიურმა ქოთანამ (*Silene Italica*) — პატარა, თეთრმა, გულუბრყვილო ყვავილმა, რომელსაც უხვად ვპოულობთ ზეთისხილის ბაღებში — სხვა მიმართულებით იმუშავა. მართლაცდა, უკიდურესად მშიშარამ და უკიდურესად ეჭვიანმა, აბეზარი და უხეში მწერებისგან თავდასაცავად მან თავისი ღეროები შემოსა ჯირკვლოვანი ბეწვით, რომლიდანაც წებოვანი სითხე მოწვეთავს და რომელიც იმდენად კარგად იკრობს პარაზიტებს, რომ სამხრეთელი გლეხები ამ მცენარეს ბუზების საჭერად იყენებენ თავიანთ სახლებში. სხვათაშორის, ქოთანების ზოგიერთმა სახეობამ გონებამახვილურად გაამარტივა თავისი სისტემა. რაკი ყველაზე მეტად ჭიანჭველების ეშინიათ, აღმოაჩინეს, რომ ამ მწერთა შესაჩერებლად სავსებით საკმარისია ფართო წებოვანი რგოლის შემოვლება თითოეული ღეროს მუხლს ქვემოთ. ზუსტად ამ მეთოდს მიმართავენ მებაღეები, როდესაც ვაშლის ხეების ღეროებზე გუდრონის რგოლს ავლებენ მუხლუხოთა შესაჩერებლად.

ამას მივყავართ მცენარეთა თავდაცვის საშუალებების შესწავლამდე. თავის პოპულარულ წიგნში, „ორიგინალური მცენარეები“ (რომლის წაკითხვასაც ვურჩევდი ყველას, ვისაც წვრილმანი დეტალების შეტყობა სურს), მ. ჰენრი კუპინი განიხილავს ამ საშუალებათაგან ზოგიერთ ყველაზე უცნაურს. თავდაპირველად წამოიჭრება *ეკლების* მძაფრი საკითხი, რასთან დაკავშირებითაც სორბონის უნივერსიტეტის მსმენელმა, მ. ლოთელიემ, ჩაატარა ძალზე საგულისხმო ცდები, რაც ამტკიცებს, რომ სიბნელე და სინოტივე აბლაგვებს მცენარეთა მჩხვლეტავ ნაწილებს. და პირიქით: რაც უფრო უწყლოდ და გადახრუკულად ეგულება ადგილი, მცენარე მით უფრო იჯაგრება და მით უფრო იმრავლებს ნემსებს, თითქოს ესმოდეს, რომ მისთვის — უდაბური ქვა-კლდეებისა თუ მზით ამოშანთული ქვიშის თითქმის ერთადერთი ცოცხალი მკვიდრისთვის — სასიცოცხლოდ აუცილებელია ენერგიულად გაიძლიეროს თავდაცვა მტრის მიმართ, რომელსაც ამ გარემოში არჩევანის შანსი აღარ აქვს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ადამიანის მიერ მოშენებულ ეკლიან მცენარეთა უმრავლესობა ნელ-ნელა კარგავს ამ იარაღს, რაკი ზრუნვას თავის გადარჩენაზე გადააბარებს ზებუნებრივ მფარველს, რომელიც მათ შემოღობილ საკუთარ ტერიტორიაზე ამრავლებს[3].

ზოგიერთი მცენარე, მათ შორის — ლაშქარასებრნი, ეკლებს ძალზე ხეშეშ ბეწვს უნაცვლებენ, ხოლო, ვთქვათ, ჭინჭარი და ზოგიერთი სხვაც ამას თავის შხამსაც უმატებს. ნემსიწვერა, პიტნა, ტეგანი და სხვები კი ცხოველთა მოსაშორებლად ძლიერი სურნელებით იჟღინთებიან. მაგრამ ყველაზე უცნაურები მაინც ის მცენარეები არიან, მექანიკურად რომ იცავენ თავს. დავასახელებ მხოლოდ შვიტას, რომელიც ირგვლივ მიკროსკოპული კაჟოვანი წყალმცენარეების მსგავს ჯავშანს იკეთებს. სხვა მხრივ, იმისათვის, რომ ნირი წაუხდინოს ლოკოკინებს თუ სხვა ლორწოვანებს, თითქმის ყველა მარცვლოვანი თავის ქსოვილში კირს იგროვებს.

X

სანამ მივადგებოდეთ ჯვარედინი დამტვერვისათვის საჭირო რთულ მექანიზმებს, ჩვენს ბაღებში გავრცელებულ ათასობით საქორწინო ცერემონიას შორის ვახსენოთ გონებამახვილური იდეები ზოგიერთი ძალზე მარტივი ყვავილისა, სადაც მეუღლეები ერთსა და იმავე გვირგვინში იბადებიან, წყვილდებიან და კვდებიან. უკვე საკმარისად ვიცნობთ ამ სისტემის ტიპს: მტვრიანები[4] ანუ მამრი ორგანოები, როგორც წესი — მყიფე და მრავალრიცხოვანი — ირგვლივ შემომწკრივებიან ძლიერი აგებულებისა და დამთმენი ხასიათის ბუტკოს. თუმცა ამ ორგანოების ფორმა, განლაგება, ჩვევები ყვავილიდან ყვავილამდე იცვლება, თითქოს ბუნება ატარებდეს აზრს, რომელსაც ჯერ საბოლოო დაფიქსირება არ ძალუძს, ან წარმოსახვას, რომლისთვისაც, უბრალოდ, *ღირსების საკითხია*, რომ არასოდეს გაიმეოროს თავი. ხშირად, მომწიფებული ყვავილის მტვერი სავსებით ბუნებრივად ეცემა მტვრიანებიდან ბუტკოს. თუმცა ასევე ხშირად ისინი ერთი ზომისანი არიან. ზოგჯერ კი მტვრიანები ან მეტისმეტად შორს იმყოფებიან ან ბუტკოზე ორჯერ პატარები არიან. ზოგჯერ (ვთქვათ, ჭინჭარში) გვირგვინში განთავსებული მტვრიანები ღეროზე არიან დახრილები. დამტვერვის დროს ეს გვირგვინი ზამბარასავით იშლება, მის ზემოთ მყოფი მტვრის პარკუჭი კი მტვრის ღრუბელს დინგზე აბნევს. ზოგჯერ, როგორც კოწახურის შემთხვევაში, იმისათვის, რომ ქორწინება მხოლოდ მზიანი დღის მშვენიერ საათებში განხორციელდეს, ბუტკოდან დაშორებულ მტვრიანებს ყვავილის კედლებთან ორი ნოტიო ჯირკვლის სიმძიმე აჩერებს. ამოდის მზე, სინოტივე ორთქლდება და შემსუბუქებული მტვრიანებიც დინგზე იბნევიან. სხვა ყვავილში კიდევ სხვაგვარად ხდება. ფურისულებში მდედრი ყვავილები რიგრიგობით უფრო გრძელები ან უფრო პატარები არიან, ვიდრე მამრები. შროშანებში, ტიტებში მეტისმეტად წაგრძელებული მდედრი აკეთებს შეძლებისდაგვარად ყველაფერს მტვრის შესაგროვებლად და დასამაგრებლად. მაგრამ ყველაზე ორიგინალური და უხვფანტაზიანი სისტემა აქვს ტეგანს (*Ruta graveolens*), საკმაოდ უსიამოვნო სუნის სამკურნალო ბალახს, ემენაგოგების[5] ცუდსახელიანი ჯგუფიდან. ყვითელ გვირგვინში მსხვილი და ჯმუხი ბუტკოს ირგვლივ წრედ ჩამწკრივებული მტვრიანები მშვიდ და მორჩილ მოლოდინში არიან. აი, დაჰკრავს საქორწინო საათი და ქალის ბრძანებას დამორჩილებული ერთ-ერთი მამრი — ქალის, რომელიც, როგორც ჩანს, სახელობითად იძახებს ირგვლივ შემოკრებილთ — უახლოვდება და

ეხება დინგს. მას მოჰყვებიან მესამე, მეხუთე, მეშვიდე, მეცხრე მამრები, სანამ მთლიანად არ ამოიწურებიან კენტები. ამის შემდეგ წყვილების ჯერია: მეორე, მეოთხე, მეექვსე და ა.შ. აი, სიყვარული მორჩილების ანუ სხვათა მხრიდან მართვა-ხელმძღვანელობის მიმართ. ეს ყვავილი, რომელმაც იცის თვლა, იმდენად არაჩვეულებრივად მეჩვენება, რომ თავდაპირველად არც კი დავუჯერე ბოტანიკოსებს და, სანამ ამის მტკიცება გავბედე, რამდენჯერმე თავადვე შევამოწმე ციფრების ტეგანისეული განცდა. სხვა ყველაფერთან ერთად, ისიც დავასკვენი, რომ ეს ყვავილი საკმაოდ იშვიათად ცდება.

გადამეტებული იქნება მსგავსი მაგალითების კიდევ და კიდევ მოყვანა. ერთი უბრალო გასეირნება მინდვრებზე ან ტყეებში საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ ბოტანიკოსების გამოცდილებაზე არანაკლებ საინტერესო ათასი დაკვირვება. მაგრამ, ვიდრე ამ თავს დავასრულებდე, მსურს, კიდევ ერთი ყვავილი დავასახელო. არა იმიტომ, რომ მისი ქცევა ყოვლად უჩვეულო წარმოსახვას ადასტურებს, არამედ მისეული *სიყვარულის გრაციის* აღტაცებაში მომყვანი და იოლად მოსახელთებელი ჟესტისთვის. ესაა სოინჯი (*Nigella damascena*), რომლის გავრცელებული სახელები ფრიად მომხიბლავად ჟღერს: „ვენერას თმები“, „ეშმაკი ბუჩქები“, „თმაგაშლილი მზეთუნახავი“ და ა.შ. — ხალხური პოეზიის ბედნიერი და გულისგამლღობი ძალისხმევა ძვირფასი პატარა ყვავილის აღსაწერად. ამ ყვავილს თავის ველურ მდგომარეობაში ვპოულობთ სამხრეთ განედებზე, გზისპირებზე და ზეთისხილის ხეებქვეშ. რაც შეეხება ჩრდილოეთს, იქ იგი ხშირად მოჰყავთ რამდენადმე მოძველებულ ბაღებში. ყვავილი ღია ცისფერია, რომელიმე ფერმწერ-პრიმიტივისტის მიერ დახატულივით მარტივი, ხოლო „ვენერას თმები“ თუ „გაშლილი თმა“ მსუბუქ, ერთმანეთში არეულ და გვირგვინის ირგვლივ სიმწვანის ჰაეროვან ბუჩქად შემოკრებილ ფოთლებს აღნიშნავს. ყვავილის დაბადებისას უკიდურესად მაღალი ხუთი ბუტკო ისე მჭიდროდ გარშემორტყმია ლაჟვარდოვანი გვირგვინის ცენტრს, როგორც მწვანე კაბებში შემოსილი ხუთი ამაყი, მიუწვდომელი დედოფალი. მათ ირგვლივ უიმედოდ შემოჯარულა მიჯნურთა აურაცხელი ბრბო, — მტვრიანები, რომლებიც მუხლამდეც ვერ წვდებიან სატრფოებს. ზაფხულის ბედნიერ დღეებში ფირუზისა და საფირონის ამ სასახლის გულში იწყება უძლური, უსარგებლო, უმოძრაო ლოდინის უსიტყვო და გამოუვალი დრამა. საათები მიდის, საათები, რომლებიც ყვავილისთვის წლებია. მისი ბრწყინვალება ფერმკრთალდება, ფურცლები ცვივა და ცხოვრების სიმძიმის ქვეშ მოყოლილი დიდი დედოფლების მედიდურობაც, ბოლოს და ბოლოს, თითქოსდა იდრიკება. ერთ რომელიღაც მომენტში (თითქოს დაემორჩილნენ იდუმალ და წინაღუდგომელ ბრძანებას, რომელმაც გამოცდა უკვე დასრულებულად მიიჩნია!), კონცენტრირებულ-სიმეტრიული მოძრაობით, ასე რომ წააგავს ზემოთ ასხურებული და კვლავ აუზში ვარდნილი წყლის ხუთმაგი ჭავლის ჰარმონიულ პარაბოლას, ყველა დედოფალი ერთდროულად ვარდება უკან და ამგვარად აბნევს მოკრძალებულ მიჯნურთა ბაგეებს საქორწინო ამბორის ოქროს მტვერს.

XI

როგორც ვხედავთ, აქ ძალუმად მოქმედებს მოულოდნელობის ეფექტი. ასე რომ, დასაწერია დიდი წიგნი მცენარეთა გონიერებაზე, როგორც რომაელებმა დაწერეს მსგავი რამ ცხოველთა შესახებ. რაც შეეხება წინამდებარე ესკიზს, მას არავითარი პრეტენზია არ აქვს იქცეს ამ ტიპის სახელმძღვანელოდ. ჩემი ერთადერთი სურვილია მივმართო ადამიანთა ყურადღება ზოგიერთ საინტერესო მოვლენაზე, რომლებსაც ადგილი აქვს იმ სამყაროში, სადაც ჩვენს თავს რამდენადმე პატივმოყვრულად მივიჩნევთ პრივილეგირებულებად. ეს მოვლენები მოყვანილია არა შერჩევით, არამედ მაგალითისთვის, დაკვირვებათა და გარემოებათა მიხედვით. სხვა მხრივ, ამ მოკლე შენიშვნებში, უწინარეს ყოვლისა, ვაპირებ შევეხო საკუთრივ *ყვავილს*, რადგან სწორედ მასში ხდება უდიდესი საოცრებები. მოცემულ მომენტში გვერდს ვუვლი „ხორცისმჭამელ“ ყვავილებს — ცვრიანას, ნეპენთესს, სარრაცენიას და სხვებს, რომლებიც ცხოველთა საუფლოს ესაზღვრებიან და, ამდენად, საგანგებო შესწავლას ითხოვენ, — გვერდს ვუვლი, რათა შევეხო საკუთრივ *ყვავილს*, რომელსაც უგრძნობელ და უსულო საგნად მივიჩნევთ.

იმისათვის, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს თეორია და ფაქტები, ისე ვილაპარაკოთ

ყვავილზე, თითქოს მან ადამიანთა მსგავსად გაითვალისწინა და ჩაიფიქრა ის, რასაც შეასხა კიდეც ხორცი. მოგვიანებით ვნახავთ, რა უნდა დავუტოვოთ და რა გამოვაკლოთ. ამ მომენტისთვის ის მარტო დგას სცენაზე, როგორც ნებითა და გონებით დაჯილდოებული დიდებული პრინცესა. ვერ უკუვაგდებთ ფაქტს, რომ ამ უნარებს იგი ნამდვილად ფლობს, და იმისათვის, რომ მათგან განვძარცვოთ, არაერთი ბნელი ჰიპოთეზა უნდა მოვიშველიოთ. აი, ის აქ არის, უძრავად დგას თავის ღეროზე და თავის ბრწყინვალე კარავში მცენარის გამრავლების ორგანოებს მალავს. თითქოსდა სხვა არაფერი აქვს საქმე, გარდა იმისა, რომ სიყვარულის ამ კარავში თავისთავად აღსრულდეს მტვრიანებისა და ბუტკოს შეერთება. ბევრი ყვავილი თანახმაა ამაზე, მაგრამ მრავალი სხვისთვის წამოიჭრება ჯვარედინი დამტვერვის საშინელი საფრთხეებით აღსავსე და, ჩვეულებრივ, გადაუწყვეტელი პრობლემა. უხსოვარ დროში დაწყებული რომელი უთვალავი ექსპერიმენტის საფუძველზე დაასკვნეს ყვავილებმა, რომ თვითდამტვერვა ანუ დინგის განაყოფიერება იმავე გვირგვინში მის ირგვლივ მყოფი სამტვრეებიდან ჩამობნეული მტვრით იწვევს სახეობის სწრაფ გადაგვარებას? არაფერი სმენიათ და არავითარი გამოცდილებით არ უსარგებლიათო, — ვამბობთ ჩვენ. საგანთა ძალამ მარტივად და ნელ-ნელა გააუქმა თვითდამტვერვით დასუსტებული თესლეულიც და მცენარეებიც. გადარჩნენ მხოლოდ ისეთები, რომელთა თვითდამტვერვა დააბრკოლა გარკვეულმა ანომალიამ, მაგალითად — სამტვრეებისთვის მიუწვდომლად მაღალმა ბუტკომ. და რადგანაც, ათასობით პერიპეტიის გავლის შემდეგ, ეს გამონაკლისები გადარჩნენ, მემკვიდრეობაში დაფიქსირდა მხოლოდ შემთხვევის კვალი, ნორმალური ტიპი კი გაქრა.

XII

მოგვიანებით ვნახავთ, რას ჰფენს ნათელს ასეთი ახსნა, ხოლო ამჯერად კიდევ ერთხელ გავიდეთ ბაღში ან მინდორში, რათა უახლოესი მანძილიდან შევისწავლოთ ყვავილის გენიის ორი თუ სამი საგულისხმო გამონაგონი.

აი, აქვე, სახლის სიახლოვეში, ვხვდებით ფუტკრების მიერ მონახულებულ სურნელოვან ბუჩქს, რომელშიც ერთობ მარჯვე მექანიკოსი ცხოვრობს. არ არსებობს ადამიანი, თვით ყველაზე ურბანულად გაზრდილიც კი, რომელიც არ იცნობდეს მშვენიერ *სალბს*. ეს ერთი უპრეტენზიო ტუჩოსანია, რომლის ერთობ მოკრძალებული ყვავილი დამშეული ხახასავით ენერგიულად იხსნება მზის სხივების მოსახელთებლად. სხვათაშორის, ვხვდებით ამ ყვავილის ბევრ სახესხვაობას, რომელთაც — საგულისხმო დეტალია! — ერთნაირად არ აუთვისებიათ ან ერთნაირ სრულქმნილებამდე არ მიუყვანიათ დამტვერვის მექანიზმი, რის დაკვირვებასაც ახლა ვაპირებთ.

თუმცა ამჯერად მე მხოლოდ ყველაზე გავრცელებულ სალბს დავათვალიერებ, იმას, რომელსაც — თითქოსდა მიმდინარე გაზაფხულის სადღესასწაულოდ — იისფერი ნოხებით დაუფარავს ჩემი ზეთისხილის ყველა ტერასა. გარწმუნებთ: მარმარილოს დიდ სასახლეთა აივნებს, მეფეებს რომ ელოდებიან, არასოდეს ჰქონიათ ტერასებზე უფრო მდიდრული, უფრო ბედნიერი, უფრო სურნელოვანი დეკორი. ყველაზე მეტი სითბოს დროს, როცა შუადღე ჩამოჰკრავს, ჩემი ნესტოები თითქოს თვით მზის ბრწყინვალების სურნელს იხელთებენ...

დეტალებში თუ შევალთ, დინგი ანუ მდედრობითი ორგანო მოთავსებულია ზედა ტუჩში — ერთგვარ კაპიუშონში, რომელშიც ასევე მოთავსებულია ორი მტვრიანა, ანუ მამრობითი ორგანო. იმისათვის, რომ ამ მტვრიანებმა იმავე საქორწინო კარავში მყოფი დინგი ვერ დამტვერონ, ეს უკანასკნელი მათზე ორჯერ უფრო მაღალია ისე, რომ მტვრიანებს დინგის მიწვდომის არავითარი შანსი არ რჩებათ. მეორე მხრივ, ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად, ყვავილი proténandre-ად არის ქცეული, ანუ მტვრიანები ბუტკოზე ადრე მწიფდებიან, იმდენად ადრე, რომ როდესაც ბუტკო მზად არის დასამტვერად, ისინი უკვე აღარ არსებობენ. ამიტომ საჭიროა გარეშე ძალის ჩარევა და უცხო მტვრის მოტანა მარტოდ დარჩენილ დინგში ჩასაბნევად. ამ საქმის აღსასრულებლად გარკვეული ყვავილები — ანემოფილები[6] — ქარს მიჰყვებიან. მაგრამ სალბი — ყველაზე გავრცელებული შემთხვევა — ენტამოფილია[7], ანუ მწერების მოყვარული, და მხოლოდ მათთან თანამშრომლობის იმედით ცხოვრობს. სხვა მხრივ, მშვენივრად იცის (მან, საერთოდ, ბევრი რამ იცის), რომ ცხოვრობს ისეთ სამყაროში, სადაც არავითარი თანაგრძნობის, არანაირი სიქველის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ამიტომაც ტყუილუბრალოდ აღარ უხ-

მობს ფუტკრის თავაზიანობას. ფუტკარიც ისევე, როგორც ყველა, ვინც ამ მიწაზე სიკვდილს ებრძვის, მხოლოდ თავისთვის და თავისი სახეობისთვის არსებობს და არანაირად არ ზრუნავს, რომ სამსახური გაუწიოს მის მკვებავ ყვავილებს. როგორ ვაიძულოთ, რომ შეასრულოს საქორწინო სერვისი თავისდაუნებურად ან ისე მაინც, რომ თვითონ არაფერი იცოდეს? აი, სიყვარულის განსაცვიფრებელი ხაფანგი, წარმოდგენილი სალბის მიერ: იისფერი აბრეშუმის კარვის სიღრმეში იგი რამდენიმე წვეთ ნექტარს ხდის. ეს მისატყუარაა. ტკბილი სითხისკენ შემავალ გზას ერთმანეთის პარალელურად აღმართული ორი ღერო ხერგავს, ასე რომ წააგავს ჰოლანდიური ასაწევი ხიდების მბრუნავ ხე-ბოძებს. თითოეული ღეროს კენწეროში დიდი ამპულა კიდია. ესაა მტვრით სავსე სამტვრე. მათ ქვეშ — საპირწონედ — ორი უფრო პატარა ამპულაც არის. როცა ფუტკარი ყვავილში ძვრება ნექტარის ამოსაწუწნად, იძულებულია თავით შეეხოს პატარა ამპულებს. საკუთარი ღერძის გარშემო მბრუნავი ორივე ღერო იმწამსვე ყირავდება, ზედა ამპულები კი იზნიქება, ფერდებზე ეხება მწერს და გამანაყოფიერებელი მტვრით ფარავს. ფუტკრის გამოსვლისთანავე ზამბარებივით მოქმედი ღეროები თავდაპირველ მდგომარეობას უბრუნდება და ყველაფერი ისევ მზადაა ახალი სტუმრის მისაღებად.

არადა, ეს მხოლოდ დრამის პირველი ნახევარია. გაგრძელება სხვა დეკორაციით მიმდინარეობს.

მეზობლად მდგარ სალბში, რომლის მტვრიანები გახმა, სცენაზე გამოგოგმანდება მტვრის მომლოდინე ბუტკო. ნელა გამოდის კაპიუშონიდან, იწელება, იხრება, იზნიქება, ორად იტოტება ისე, რომ თავის მხრივაც ჩახერგოს კარვის შესასვლელი. ნექტარისთვის შემძვრალი ფუტკარი თავისუფლად გადის ჩამოკიდებული განტოტების ქვეშ, თუმცა ეს უკანასკნელი მას ზურგზე და ფერდებზე ეხახუნება, ანუ ზუსტად იქ, სადაც მტვრიანები ეხებოდნენ. ორად გაყოფილი დინგი ხარბად ისრუტავს ვერცხლისფერ მტვერს მწერის სხეულიდან და ნაყოფიერდება კიდეც.

თუ ყვავილში ნამჯის ან ასანთის ღერს შევყოფთ, მთელ მექანიზმს ადვილად ავამოძრავებთ და საკუთარი თვალით შევესწრებით ყველა ამ მოძრაობის საკვირველ და გულისგამლღობ სიზუსტეს.

სალბის უამრავი, დაახლოებით ხუთასამდე სახესხვაობა არსებობს. მათი მეცნიერული სახელები ყოველთვის ელეგანტურად არ ჟღერს, ხოლო მათ შორის არ არსებობს თუნდაც ერთი, რომელსაც რაღაც დეტალი მაინც არ ჰქონდეს თავისებურად შეცვლილი დამტვერვის ზემოთ აღწერილ მექანიზმში. ზოგს (ეს, ჩემი აზრით, საკამათო გაუმჯობესებაა) ორგზის, ზოგჯერ კი სამგზის აქვს გაზრდილი ბუტკოს სიგრძე ისე, რომ ის მხოლოდ კაპიუშონიდან კი არ გამოდის, არამედ მთლიანად იშლება და იზნიქება ყვავილის შესასვლელთან. ეს ყვავილები — უკიდურეს შემთხვევაში — ამ გზით უსხლტებიან დინგის დამტვერვას იმავე კაპიუშონში მყოფი სამტვრეების მიერ. თუმცა პირიქითაც შეიძლება მოხდეს: ყვავილიდან გამოსვლისას ფუტკარი მის დინგზე მისივე თანამცხოვრები სამტვრეების მტვერს ტოვებს. სხვა ყვავილები რხევა-ქანაობის დროს ჯერ სამტვრეებს აცალკევებენ, რომლებიც ამგვარად უფრო მეტი სიზუსტით ხვდებიან მწერის ფერდებს. კიდევ სხვებს ჯერაც არ მოუწესრიგებიათ და არ დაუზუსტებიათ ამ მექანიზმის ყველა შემადგენელი ნაწილის შეთანხმებული მოქმედება. მაგალითად, ჩემი იისფერი სალბებიდან არცთუ შორს, ჭის გვერდით, ოლეანდრის ბუჩქის ქვეშ აღმოვაჩინე თეთრყვავილებიანი სალბის ოჯახი, რომელსაც მკრთალი იასამნისფერი დაჰკრავს. მათთან რამენაირი ბერკეტების თუ მხრეულის კვალიც კი არ ჩანს. მტვრიანები და ბუტკო ერთმანეთში ალუფხულან გვირგვინის შუაგულში. აქ ყველაფერი თითქოს დეზორგანიზებული და ალალბედზე მიტოვებული ჩანს. ეჭვი არ მეპარება, რომ შესაძლებელია ამ ტუჩოსანთა მთელი მრავალფეროვანი მოდგმის ისტორიის დაწერა, მათეულ გამოგონებათა ყველა ეტაპის მიდევნა, თეთრი სალბის უწესრიგობიდან, რომელიც თვალწინ მაქვს, სამკურნალო სალბის შიდა მექანიზმის უკანასკნელ სრულქმნამდე. რა შეიძლება ითქვას? იქნებ ეს სურნელოვანი მოდგმა ჯერაც სისტემის ათვისების პროცესშია? ეგების სალბსაც გამუდმებული დაზუსტების და ცდების პერიოდი აქვს ისევე, როგორც ესპარცეტის ოჯახს — არქიმედეს ქანჩისა? ნუთუ ჯერ ერთსულოვნად არ უღიარებიათ ავტომატურად მოქანავე მხრეულის ჩინებულება? იქნებ ყველაფერი არცთუ მთლად წინასწარდადგენილი და უმოძრაოა, იქნებ ჯერ უნდა აწონ-დაწონონ, ექსპერიმენტები ჩაატარონ ამ საუფლოში, რომელიც ჩვენ ორგანულად და ფატალურად რუტინული გვგონია[8]?

XIII

რაც უნდა იყოს, სალბის ყვავილთა დიდი უმრავლესობა ჯვარედინი დამტვერვის დიდი პრობლემის ელეგანტურ გადაწყვეტას იძლევა. მაგრამ როგორც ადამიანებში ხდება, რომ ახალ გამოგონებას დაუყოვნებლივ იტაცებს, ამარტივებს, აუმჯობესებს პაწია, დაუღალავ მაძიებელთა გროვა, ჩვენს მიერ „მექანიკურად“ მონათლულ ყვავილთა საუფლოშიც სალბის „ატესტატი“ გადატრიალდა და უცნაურად გაუმჯობესდა მრავალ დეტალში. ერთმა საკმაოდ გავრცელებულმა შავწამალასებრმა — ტყის სატილიამ (*Pedicularis sylvatica*), რომელსაც უთუოდ შეხვედრიხართ ტევრებისა და მანანების დაჩრდილულ ნაწილებში, სალბს უკიდურესად გონებამახვილური ცვლილებები მოუტანა. მისი გვირგვინის ფორმა ცოტათი ჰგავს სალბის გვირგვინისას; დინგი და ორი სამტვრე — სამივე მოთავსებულია ზედა კაპიუშონში, მხოლოდ დინგის პატარა, ნოტიო ამპულა გადის მის გარეთ, ხოლო სამტვრეები მუდმივ „პატიმრობაში“ რჩებიან. ასე რომ, აბრეშუმის კარავში ორი სქესის წარმომადგენლები დიდ სივიწროვეში — უშუალო კონტაქტშიც კი იმყოფებიან. ამის მიუხედავად, სალბის შიდა ორგანოების ურთიერთგანლაგების წყალობით თვითდამტვერვა სრულებით გამორიცხულია. მართლაც: სამტვრეებს მტვრით სავსე ორი ამპულის სახე აქვს. ეს ამპულები (თითოეული — თითო ღიობით) ისე აწვანან ერთმანეთს, რომ ღიობები ერთმანეთს ემთხვევა და ხერგავს. თავ-თავისი დახვეული, ზამბარისებრი ღეროებით, ამპულები ძალდატანებით — ორგვარი კბილების წყებით არიან ჩამწყვდეულნი კაპიუშონის შიგნით. ნექტარისთვის ყვავილში შემძვრალი ფუტკარი ან ბაზი უცილობლად აღებს ამ კბილებს, განთავისუფლებული სამტვრეები მაშინვე გარეთ გამოცვივდებიან და მწერს ზურგზე ხვდებიან.

თუმცა ყვავილის გენია და შორსმჭვრეტელობა აქ არ ჩერდება. სატილიას სასწაულებრივი მექანიზმის პირველი სრული შემსწავლელის, ჰ. მიულერის დაკვირვებით „მტვრიანები მწერს თავიანთი თავდაპირველი პოზიციის შენარჩუნებით ანუ ერთმანეთს შეტყუპებულები რომ ხვდებოდნენ, მათგან მტვრის ერთი მარცვალიც კი არ გადმოვარდებოდა: მათი ღიობები ხომ ერთმანეთს გმანავს. მაგრამ ამ სირთულეს ხსნის ერთი მარტივი და, იმავდროულად, ფრიად გონებამახვილური ფანდი. იმის ნაცვლად, რომ სიმეტრიული და ჰორიზონტალური იყოს, გვირგვინის ქვედა ტუჩი უსწორმასწორო და დახრილია, რის გამოც მისი ერთი ბოლო მეორეზე რამდენიმე მილიმეტრით მაღლაა. ზედ დამჯდარ ბაზს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დახრილი პოზიცია, რის შედეგადაც მწერის თავი რიგრიგობით ეხლება გვირგვინის გამონაშვერებს. ასე თანმიმდევრულად ხდება ღიობგახსნილი მტვრიანების ამოქმედებაც: ჯერ ერთი ხვდება მწერს, შემდეგ — სხეულზე გამანაყოფიერებელ მტვერს აბნევს. როდესაც მწერი სხვა ყვავილზე გადადის, მას გარდაუვლად მტვერავს, რადგან (განზრახ გამოტოვებული დეტალი!) პირველი, რასაც ეხება გვირგვინში თავის შერგვისას, ესაა დინგი, რომელიც მას ეხახუნება ზუსტად იმ ადგილას, სადაც ორიოდე წამის წინ წინა ყვავილის მტვრიანები მოხვდნენ“.

XIV

განუსაზღვრელად შეგვეძლო ამ მაგალითების მოყვანა. თითოეულ ყვავილს თავისი აზრი აქვს, თავისი სისტემა, თავისი გამოცდილება, რომელსაც თავისთვისვე იყენებს. როცა ახლოდან ვუკვირდებით მათ პაწია გამოგონებებს, მათ სხვადასხვა ხერხსა თუ ფანდს, გვახსენდება მანქანა-მოწყობილობების წარმტაცი ექსპოზიციები, სადაც ადამიანის მექანიკური გენია მთელი დიაპაზონით ვლინდება. მაგრამ ეს გენია გუშინდელი დღით თარიღდება, ხოლო ყვავილთა მექანიკა უკვე ათასობით წელია მოქმედებს. როცა ყვავილი დედამიწაზე გაჩნდა, გარშემო არავითარი მოდელი არ ჰქონია მისაბაძად, ყველაფერი საკუთარი თავიდან უნდა ამოეტანა. იმ დროისთვის, როცა ჩვენ კომბლის, მშვილდ-ისრის, საბრძოლო კეტის ამარა ვიყავით, ანუ შედარებით *ახლახან*, რაც თვით დროთა დასაბამად წარმოგვიდგენია და რაც, ასე ვთქვათ, მოხდა შარშან, როდესაც ჩვენს შედევრებს წარმოადგენდა კატაპულტი, კედლის საათი და საქსოვი დაზგა, — იმ დროისთვის სალბს უკვე შექმნილი ჰქონდა თავისი ღერძის გარშემო მბრუნავი ხეე-

ბი და მხრეულის საპირწონე, ხოლო სატილიას — თითქოსდა მეცნიერული ექსპერიმენტისთვის განკუთვნილი თავისი დაგმანული ამპულები, ზამბარების თანმიმდევრული გაშლა და დახრილი სიბრტყეების კომბინაცია. ვის ეკუთვნის საავტორო უფლება სპირალზე: საუკუნეზე უფრო ნაკლები ხნის წინ მის გამომგონებელ ადამიანს თუ ნეკერჩხალს ან ცაცხვს, რომლებიც სპირალს ხეების გაჩენის დღიდან იყენებენ? როდის შევქმნით იმდენად მსუბუქ, მტკიცე, დახვეწილ და უსაფრთხო პარაშუტს ან მფრინავს, როგორიც უკვე დიდ ხნის წინ შექმნა ბაბუაწვერამ? როდის აღმოვაჩენთ ყვავილის ფურცლების უსათუთეს ქსოვილში ისეთი ძალუმი ზამბარის გამოჭრის საიდუმლოს, როგორიცაა ესპანური კურდღლისცოცხას მიერ ოქროსფერი მტვრის სივრცეში გამტყორცნელი ზამბარა? ხოლო რაც შეეხება მომორდიკას ანუ „ქალთა პისტოლეტს“, რომელიც ამ პატარა ეტიუდის დასაწყისშიც ვახსენე, — ვინ აგვიხსნის მისი განსაცვიფრებელი ძალის საიდუმლოს? მომორდიკას თუ იცნობთ? ეს გოგრისებრთა ერთი მოკრძალებული წევრია, საკმაოდ გავრცელებული ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. პატარა კიტრის მსგავსი მისი ხორციანი ნაყოფი სრულიად აუხსნელი ენერგიისა და ვიტალურობის მფლობელია. ოდნავადაც რომ შევეხოთ სიმწიფის პერიოდში, უეცრად და კონვულსიურად წყდება თავის ყუნწს და მოწყვეტის ადგილზე გაჩენილი ღიობიდან ისეთი ძალით გამოტყორცნის მრავალი თესლის შემცველ ლორწოვან ჭავლს, რომ ეს თესლეული მშობლიური მცენარიდან ოთხი-ხუთი მეტრის მანძილზე იფანტება. ეს ჟესტი იმდენადვე უჩვეულოა, როგორიც იქნებოდა ჩვენთვის — თუ პროპორციებს დავიცავთ — ერთი კრუნჩხვითი მოძრაობით მთელი შინაგანი ორგანოებისა და სისხლის გატყორცნა ჩვენივე კანიდან თუ ჩონჩხიდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე. სხვა მხრივ, ბალისტიკური თვალსაზრისით, დიდი რაოდენობის თესლეული ჩვენთვის მეტ-ნაკლებად უცხო მეთოდებსა და ენერგიის წყაროებს მიმართავს. გაიხსენეთ, მაგალითად, რაპსის ან კურდღლისცოცხას ჭახანი. თუმცა მცენარეული არტილერიის ერთ-ერთი დიდი ოსტატია რძიანა — ჩვენს განედებზე მცხოვრები ერთ-ერთი რძიანასებრი, დიდი და საკმაოდ დეკორატიული „სარეველა“, ხშირად ადამიანზე უფრო მაღალია. ამწუთას ჩემს მაგიდაზე წყლიან ჭიქაში რძიანას ტოტი დევს. მისი თესლი მისსავე სამლაპოტიან მომწვანო კენკროვან ნაყოფშია ჩაკეტილი. დროდადრო რომელიმე კენკრა ჭახანით სკდება და გამაოგნებელი საწყისი სიჩქარით ამოძრავებული მარცვლები ყველა მხარეს ეხეთქებიან ავეჯსა და კედლებს. თუ რომელიმე სახეში მოგხვდათ, ისეთი განცდა გიჩნდებათ, თითქოს მწერმა დაგნესტრათ, იმდენად არაჩვეულებრივი ძალით იტყორცნება ქინძისთავისხელა ეს პაწაწკინტელა თესლეული. დაათვალიერეთ კენკრა, ეძებეთ მისი ამმოძრავებელი ზამბარები, — ვერსად იპოვით ამ ძალის საიდუმლოს, ძალის, რომელიც ჩვენი ნერვების ძალასავით უხილავია. ესპანურ კურდღლისცოცხას (*Spartium Junceum*) არა მხოლოდ სათესლე პარკები აქვს ზამბარიანი, არამედ თვით ყვავილებიც. იქნებ შემჩნეულიც გაქვთ ეს შესანიშნავი მცენარე — კურდღლისცოცხას ძლიერი ოჯახის საუკეთესო წარმომადგენელი, სიცოცხლის დიდი მოყვარული, უპოვარი, თავშეკავებული, ღონიერი, რომელიც არანაირ მიწას, არანაირ განსაცდელს არ ერიდება. სამხრეთის მთებში და ბილიკების გაყოლებაზე იგი ქმნის ვეებერთელა, ზოგჯერ სამ მეტრამდე სიმაღლის ჩახლართულ ბურთებს, რომელთა დიდებული ბაჯაღლო-ოქროსფერი ყვავილები მაისიდან ივნისამდე იშლებიან და თავის ტრადიციულ მეზობელთან, ჯიქასთან ერთად, ისეთ სურნელ-სიხარულებს განავრცობენ მშანთავი მზის პაპანაქებაში, სხვას ვეღარაფერს რომ წარმოგვადგენინებს, ციური ვარდების, ელიზიუმის წყაროების, ლურჯი მღვიმეების ნიშებში მოციმციმე ცინცხალ-ჭვირვალე ვარსკვლავების გარდა...

ყველა სხვა ფარვანასებრთა პარკოსნის ყვავილივით, ამ კურდღლისცოცხას ყვავილიც ჩვენს ბაღებში აყვავილებულ მუხუდოს ყვავილს წააგავს. მის ქვედა, ისტორიული გალერის ტარანის მსგავსად შედუღაბებულ ფურცლებში ჰერმეტულად გამომწყვდეულა მტვრიანები და ბუტკო. სანამ ის უმწიფარია, მიფრენილი ფუტკარი შიგნით ვერ შედის. მაგრამ როგორც კი ტყვე-სასიძოებს სიმწიფის ჟამი დაუდგებათ, ყვავილზე დამჯდარი მწერის წონის ქვეშ „ტარანი“ ქვემოთ იზნიქება, ოქროს ბუდუარი ვნებიანად გამოანათებს და სტუმარსაც და ახლოს მყოფ ყვავილებსაც მძლავრად მიაფრქვევს მანათობელი ფხვნილის ღრუბელს, რომელსაც ჩარდახივით დაშვებული დიდი ყვავილფურცელი (ყველაფერთან ერთად — უსაფრთხოების მიზნითაც) აბნევს გასანაყოფიერებელ დინგს.

XV

მათ, ვისაც სიღრმისეულად სურთ ამ საკითხების შესწავლა, ვგზავნი ქრისტიან-კონრად სპრენგელის ნაშრომებთან. დაწყებული 1873 წლიდან, თავის საინტერესო ნაშრომში „Das entdeckte Geheimnis der Natur“[9] მან პირველმა გააანალიზა სხვადასხვა ორგანოების ფუნქციები ორქიდეებში. შემდეგ მივუთითებ ჩარლზ დარვინის, დოქტორ ჰ. მიულერის, ლიპსტადტის, ჰილდებრანდტის, იტალიელი დელპინოს, ჰუკერის, რობერტ ბრაუნის და სხვა მრავალის წიგნებს.

სწორედ ორქიდეებთან ვპოულობთ მცენარეული გონების ყველაზე სრულყოფილ და ყველაზე ჰარმონიულ გამოვლინებებს. ამ უცნაურ და გატანჯულ ყვავილებში მცენარის გენია თავის უმაღლეს მწვერვალებს აღწევს და, თავისი უცნაური ცეცხლით, გაარღვევს კიდეც ტიხარს, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფს ორ სხვადასხვა საუფლოს. მეორე მხრივ, სახელმა „ორქიდეა“ არ უნდა დაგვაბნიოს და არ გვაფიქრებინოს, რომ ლაპარაკია რაიმე სხვაზე და არა მხოლოდ იშვიათ და მშვენიერ ყვავილებზე, სათბურების ამ დედოფლებზე, რომლებიც თითქოს ოქრომჭედლის მოვლა-პატრონობას უფრო ითხოვენ, ვიდრე მებაღისას. ჩვენი ადგილობრივი ველური ფლორა, რომელიც მოიცავს ყველა აქაურ „სარეველას“, ითვლის ოცდახუთზე მეტი სახეობის ორქიდეასაც, რომელთა შორის, სწორედაც, ურთულესი და უგონიერესი ეგზემპლარებიც გვხვდებიან. სწორედ ისინი შეისწავლა ჩარლზ დარვინმა თავის წიგნში „მწერთა მიერ ორქიდეების დამტვერვის შესახებ“ — ყვავილის სულის ყველაზე ჰეროიკული ძალისხმევის განსაცვიფრებელი ისტორია. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ რამდენიმე სტრიქონში მოვაქციოთ ეს მდიდარი და ფეერიული ეპოპეა. მიუხედავად ამისა, რამდენადაც ჩვენი ამჟამინდელი საგანია ყვავილთა გონიერება, აუცილებელია საკმარისი წარმოდგენა შევიქმნათ იმ ყვავილის მეთოდებზე და გონებრივ ჩვევებზე, ყველა სხვას რომ აღემატება თავის ხელოვნებაში — აიძულოს ფუტკარი თუ პეპელა ზუსტად ისე მოიქცნენ, როგორც თვითონ სურს, როგორ ფორმასაც და რომელ მომენტსაც თვითონ დაუდგენს.

XVI

ადვილი არ გახლავთ ციფრების გარეშე ორქიდეის უკიდურესად რთული მექანიზმის აღწერა. მაინც ვეცდები შეგიქმნათ საკმარისი წარმოდგენა მეტ-ნაკლებად მიახლოებითი შედარებების მოხმობით, თანაც ისე, რომ შეძლებისდაგვარად მოვერიდო ისეთი ტექნიკური ტერმინების გამოყენებას, როგორიცაა, მაგალითად, *rétinacle*, *labellum*, *rostellum*, *pollinies* და სხვ., რომლებიც არაფერს ეუბნება ბოტანიკისგან შორს მყოფთ.

ავიღოთ ჩვენს რეგიონებში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ორქიდეა, ვთქვათ, *Orchis maculata*, ან, უფრო სწორედ, *Orchis latifolia*, დიდფოთლებიანი ორქიდეა, რომელსაც ჩვეულებრივ *Pentecôte*-ს უწოდებენ. ესაა მრავალწლიანი ყვავილი, სიმაღლით ოცდაათიდან სამოც სანტიმეტრამდე. საკმაოდ გავრცელებულია ტყეებში, ნოტიო მდელოებზე და აქვს პატარა, მოვარდისფრო ყვავილების პირამიდული ყვავილედი, რომელიც ყვავის მაისსა და ივნისში.

ჩვენებური ორქიდეების ყვავილი საკმაოდ კარგად განასახიერებს ჩინური დრაკონის ფანტასტიკურად დაფჩენილ ხახას, რომლის ქვედა, ძალზე წაგრძელებულ-დაკიდებული ტუჩი, ასე რომ წააგავს დაკბილულ ან დაკემსილ წინსაფარს, მწერის დასაფრენის თუ დროებითი საკურთხევლის ფუნქციას ასრულებს. რაც შეეხება ზედა ტუჩს, ის ერთგვარი კაპიუშონივით მრგვალდება და არსებით ორგანოებს შეიცავს. ყვავილის ზურგზე კი, ყუნწის მხარეს, ეშვება ერთგვარი დეზი თუ გრძელ-წაწვეტებული რქა — ნექტარის საცავი. ყვავილთა უმრავლესობის დინგი ანუ მდედრი ორგანო წარმოადგენს პატარა, მეტ-ნაკლებად წებოვან ფუნჯს, რომელიც მყიფე ღეროს წვერზე მოთმინებით ელოდება სხვა ყვავილის მტვერს. ორქიდეაში ეს კლასიკური წყობა სრულებით გადასხვაფერებულია. „ხახის“ სიღრმეში, იმ ადგილას, რომელიც ენას უკავია, ჩანს ერთმანეთზე მჭიდროდ შეწებებული ორი დინგი, რომელთა ზემოთ მოთავსებულია უჩვეულო ორგანოდ ქცეული მესამე დინგიც. ამ უკანასკნელს მთლად თხემზე აქვს ერთგვარი ჯიბე ან, უფრო ზუსტად, ნახევარ-ვარცლი, რომელსაც უწოდებენ *rostellum*-ს. იგი სავსეა წებოვანი სითხით, რომელშიც ჩაფლულია ორი პატარა ბურთულა. ამ ბურთულებიდან ამოდის

ორი მოკლე ღერო, რომელთაგან თითოეულის ზედა ბოლოში გულდასმით შეკრული მტვრის მარცვლებიანი ფუთა კიდია.

ახლა ვუყუროთ რა ხდება ყვავილში მწერის შესვლისას. ეს უკანასკნელი ჯერ ქვედა, მის მისაღებად გადმოშლილ ტუჩზე ჯდება და, ნექტარის სურნელებით მიზიდული, ცდილობს ჩააღწიოს რქის ფსკერზე, ნექტარის საცავში. მაგრამ შესასვლელი განზრახ ძალზე დავიწროებულია და მწერის თავიც წინსვლისას უნებლიეთ ეხლება ნახევარ-ვარცლს. ეს უკანასკნელი, მეტისმეტად მგრძნობიარე თვით უმცირესი ბიძგის მიმართაც, შესატყვისად იხევა და აჩენს წებოვან სითხეში ჩაფლულ ორ ბურთულას. ეს ბურთულები თავზე მოხვედრისთანავე მაგრად ეკრობა სტუმარს ისე, რომ, როდესაც მწერი ყვავილიდან გამოდის, ბურთულებიც თან მიაქვს, მათთან ერთად კი — ორი ღერო, რომლებიც შეკრული ფუთებით ბოლოვდება. აი, ყვავილიდან გამოფრენილი მწერი შამპანურის ბოთლის მოყვანილობის ორი რქით თავზე! რთული ყვავილის გაუცნობიერებელი ხელოსანი მეზობელ ყვავილზე გადადის. წინა ყვავილიდან წამოღებული რქები ხისტად რომ დასწებებოდა თავზე, მაშინ მისი მტვრის ფუთები უბრალოდ მიენარცხებოდა მეორე ყვავილის ფუთებს, რომელთა ღეროები გაფაციცებულ ნახევარ-ვარცლში დგას, მტვერი მტვერს შეერეოდა და ამას აღარაფერი მოჰყვებოდა. მაგრამ სწორედ აქ გაიბრწყინებს ორქიდეის გენია, გამოცდილება და გამჭრიახობა. მას საგულდაგულოდ აქვს გამოთვლილი დრო, რომელიც მწერს სჭირდება ნექტარის ამოსაწოვად და მეზობელ ყვავილამდე მისაფრენად. ეს დრო, მისი გამოთვლით, საშუალოდ ოცდაათი წამია. ჩვენ ვნახეთ, რომ ფუთები ორ მოკლე ღეროზე კიდია, თვით ღეროები კი წებოვან ბურთულებში არჭვია. სწორედ იმ წერტილებში, საიდანაც ღეროები ამოდის, თითოეულ მათგანზე დამაგრებულია აპკიანი პატარა დისკო, რომლის ერთადერთი ფუნქცია ისაა, რომ ღეროები თავისუფლად ამოძრაონ 90˚-იან რკალზე. აი, კიდევ ერთი გამოთვლის შედეგი, ამჯერად არა დროითის, არამედ სივრცობრივის! მტვრის ორი რქა, გვირგვინად რომ დასკუპებია თავზე საქორწინო მაცნეს, ახლა ჰორიზონტალურად გაწვდილა ზუსტად მწერის ფრენის მიმართულებით ისე, რომ მეორე ყვავილში შესვლისას პირდაპირ ეჯახება ამ უკანასკნელის ნახევარ-ვარცლიდან ამოწვდილ წყვილად შეტყუპებულ დინგს.

ამით ყველაფერი არ მთავრდება, ორქიდეის გენიას ჯერ კიდევ არ განუსრულებია თავისი შორსმჭვრეტელობა. დინგი, რომელსაც მტვრიანი ფუთა ხვდება, დაფარულია წებოვანი ნივთიერებით. ეს ნივთიერებაც ისე ენერგიულად წებვადი რომ იყოს, როგორც ის, რომელიც პატარა ვარცლში ასხია, მაშინ ღეროს გადატეხვის შემდეგ შიგ ჩაცვენილი მტვრიანი მასები გაუნძრევლად ჩაწებდებოდა იქ და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. არადა, ეს არ უნდა მოხდეს. მნიშვნელოვანია, რომ ყვავილის მტვრის შანსები ერთი თავგადასავლით კი არ ამოიწუროს, არამედ შეძლებისდაგვარად გაიზარდოს და გამრავლდეს. ყვავილი, რომელიც წამებს ითვლის და მანძილებს ზომავს, ამასთანავე ქიმიკოსიც ბრძანდება და ორნაირ გუმფისს ანუ მცენარეულ წებოს ამზადებს: ერთი უკიდურესად მჭიდია და ჰაერთან შეხებისთანავე მკვრივდება, რათა მტვრის რქები საიმედოდ დააწებოს მწერის თავს, მეორე — დინგის მოქმედებისთვის საჭირო — გვარიანად განზავებულია. ეს უკანასკნელი ზუსტად იმდენად წებვადია, რომ გახსნას ან რამდენადმე გაწეწოს მტვრის მარცვლებზე შემოკრული უწვრილესი ელასტიკური ძაფები. მართალია, რამდენიმე მარცვალი მაინც ეკრობა, მაგრამ მტვრის მთლიანი მასა ხელუხლებელი რჩება და როდესაც მწერი სხვა ყვავილებში გადაინაცვლებს, ის თითქმის განუსაზღვრელად გააგრძელებს თავის გამნაყოფიერებელ სამუშაოს.

მთელი სასწაული გავამჟღავნე? არა, საჭიროა მივაპყროთ ყურადღება კიდევ ბევრ იგნორირებულ დეტალს, მათ შორის — მოძრაობას პაწია ვარცლისა, რომელიც, მას შემდეგ, რაც აპკი გაეხევა და წებოვან ბურთულებს გამოაჩენს, დაუყოვნებლივ ზემოთ სწევს თავის ქვედა კიდეს, რათა წებოვან სითხეში კარგად შეინახოს მტვრის მარცვლებიანი ფუთა, რომელსაც მწერი თან არ წაიღებს. უპრიანი იქნებოდა გვეხსენებინა აგრეთვე მტვრიანი ღეროების ერთობ საინტერესოდ კომბინირებული დაღუნვა მწერის თავზე. აგრეთვე ქიმიური უსაფრთხოების ზოგიერთი ზომა, რომლებსაც ყველა მცენარე იღებს. გასტონ ბონიეს ამასწინანდელმა ექსპერიმენტებმა თითქოსდა უკვე დაამტკიცა, რომ თავისი სახეობის ხელშეუხებლად შენახვის მიზნით, თითოეული მცენარე გამოყოფს ტოქსინებს, რომლებიც შლიან ან აუვნებელყოფენ ყოველგვარ უცხო წარმოშობის მტვერს. აი, თითქმის ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ. თუმცა აქაც ისევე, როგორც სხვა ყველაფერში, ნამდვილად დიდი საიდუმლო იწყება იქ, სადაც ჩვენი მზერა ჩერდება.

XVII

ზეთისხილის ტევრის დაუმუშავებელ ნაწილში წუთის წინ ვიპოვე დიდებული, ტალახისსუნიანი *ლოროგლოს* (*Loroglossum hircinum*) — სახესხვაობა, რომელიც არც კი ვიცი რატომ არ შეისწავლა დარვინმა. იქნებ ის ყვავილი ინგლისში დიდი იშვიათობაა? ჩვენს ადგილობრივ ორქიდეებს შორის ეს ყველაზე საუცხოო, ყველაზე ფანტასტიკური, ყველაზე გამაოგნებელია. ამერიკული ორქიდეების სიმაღლის რომ ყოფილიყო, ისიც კი შეგვეძლო გვეთქვა, არ არსებობს ამაზე უფრო ქიმერული ყვავილიო. წარმოიდგინეთ პირამიდულ-ისრული ყვავილედი სუმბულის სტილში, ოღონდ — ოდნავ უფრო მაღალი. ღეროს გარშემო სიმეტრიულადაა განლაგებული სამრქიანი, ანჩხლი იერსახის, მქრქალიისფრად დაწინწკლული მომწვანო თეთრი ყვავილები. ქვედა ფურცელი, დაბადებიდანვე აღჭურვილი ბრინჯაოსფერი შესქელებით, მეროვინგული ულვაშებითა და ავისმომასწავებელი იასამნისფერი ბუბონებით, უსასრულოდ, გიჟურად, დაუჯერებლად იწელება სპირალურად დახვეული ლენტივით, რომელსაც მდინარეში მოტივტივე ერთი თვის დამხრჩვლის ფერი ადევს. ამ არსებას, რომელიც, მთლიანობაში, წარმოგვადგენინებს ყველაზე უარეს სნეულებებს და თითქოს რომელიღაც ირონიული კოშმარებისა და გრძნეულ მოჯადოებათა ქვეყანაში იფურჩქნება, სდის მოწამლული ტალახის მძლავრი, გულისშემაღონებელი სუნი. ეს უკანასკნელი შორს ივრცობა და ურჩხულის სიახლოვეს ამხელს. ასე აღვნიშნავ და აღვწერ ამ გულისამრევ ორქიდეას: იგი საკმაოდ გავრცელებულია საფრანგეთში, იოლად ვცნობთ და, ამასთანავე, უპრობლემოდ გვთანხმდება — როგორც მისი სიმაღლის, ისე მისი ორგანოების დამზერადობის გამო — ექსპერიმენტების ჩატარებაზე. მართლაცდა, საკმარისია ყვავილში ფრთხილად შევიყვანოთ ასანთის ჩხირი თვით სანექტარეს ფსკერამდე, რათა შეუიარაღებელი თვალით დავინახოთ ერთიმეორეს მიყოლებით განხორციელებული დამტვერვა-განაყოფიერების ყველა ეტაპი. შესვლისას, გახახუნებული „ჯიბე“ ანუ *rostellum* ქვემოთ იხრება და გამოაჩენს პატარა წებოვან დისკოს (*ლოროგლოსს* ერთადერთი დისკო აქვს), რომელსაც ორი სამტვრე ღერო უჭირავს. ეს დისკო იმწამსვე ძლიერად ჩაეჭიდება შიგნით შეყოფილ მერქანს, მტვრის შემცველი ორი სათავსო გრძივად იხსნება და უკან გამოღებულ ასანთსაც თან გამოჰყვება ორი მკვრივი, ერთმანეთისგან განცალკევებული, ოქროსფერი ბურთულებით დაგვირგვინებული რქა. სამწუხაროდ, *Orchis latifolia*-სგან განსხვავებით, აქ ვერ შევხარით მშვენიერ სანახაობას — ორი რქის თანდათანობით და ზუსტ გადმოხრას. რატომ არ იხრებიან ისინი ამ შემთხვევაში? საკმარისია, მტვრის რქებით დამშვენებული ასანთის ღერი მეზობელი ორქიდეის სანექტარეში შევიყვანოთ, რათა დავასკვნათ, რომ ეს არასაჭირო მოძრაობა იქნება: *ლოროგლოს Orchis maculata*-ზე ან *latifolia*-ზე გაცილებით დიდია და სანექტარე რქა ისეთ პოზიციაში აქვს, რომ, როცა მტვრიანი მასებით დატვირთული მწერი შიგნით შედის, ეს მასები ზუსტად დასამტვერავი დინგის სიმაღლეზე აღმოჩნდება ხოლმე.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ ექსპერიმენტის წარმატებით ჩასატარებლად მნიშვნელოვანია ყვავილის სიმწიფე. ჩვენ ეს არ ვიცით, მწერმა და ყვავილმა კი იციან, რადგან ყვავილი მხოლოდ მაშინ ეპატიჟება თავის აუცილებელ სტუმრებს, — და ეს მოწვევა ერთი წვეთი ნექტარის შეთავაზებით ხდება, — როცა მთელი მისი მექანიზმი უკვე მზად არის სამოქმედოდ.

XVIII

აი, ჩვენს რეგიონებში მცხოვრები ორქიდეას დამტვერვის სისტემის არსი. თუმცა მას თავისებურად ასხვაფერებს თითოეული სახეობა, თითოეული ოჯახი, სრულყოფს დეტალებს თავისი გამოცდილების, ფსიქოლოგიისა და საგანგებო გუნება-განწყობის მიხედვით. მაგალითად, *Orchis*-ს ანუ *Anacamptis piramidalis*-ს — ერთ-ერთ ყველაზე გონიერს — თავისი ქვედა ტუჩისთვის (*Labellum*-ისთვის) დამატებული აქვს ორი პატარა ბიბილო, რომლებიც მწერის ხორთუმს სანექტარესკენ მიმართავენ და აიძულებენ მოიმოქმედოს ყველაფერი, რასაც მისგან ელიან. დარვინს კარგად აქვს შედარებული ეს გონებამახვილური აქსესუარი იმ ინსტრუმენტთან,

ზოგჯერ ნემსის ყუნწში ძაფის გასაყრელად რომ ვიყენებთ.

კიდევ ერთი საინტერესო გაუმჯობესება: ორი პატარა ბურთულა, რომლებსაც უჭირავთ მტვრიანი ღეროები ნახევარ-ვარცლში, შეცვლილია უნაგირის ფორმის ერთი წებოვანი დისკოთი. თუ იმ მიმართულებით, როგორითაც მწერის ხორთუმი შედის, ყვავილში შევიყვანთ ნემსის წვერს ან ღორის ჯაგრის ერთ ღერს, აშკარად დავრწმუნდებით ამ უფრო უბრალო და უფრო პრაქტიკული მექანიზმის უპირატესობებში. როგორც კი ჯაგრის ღერი ნახევარ-ვარცლს ეხება, ეს უკანასკნელი სიმეტრიულად იხევა და გამოაჩენს „უნაგირა“ დისკოს, რომელიც მეყსეულად ეკრობა შეყოფილ ღერს. სწრაფად გამოსწიეთ უკან ეს ღერი და სწორედაც რომ მოასწრებთ „უნაგირას“ უმშვენიერესი მოძრაობის დანახვას: ჯაგრის ღერზე თუ ნემსის წვერზე დამჯდარი, ის იკეცავს თავის ორ ქვედა ფრთას, რათა მჭიდროდ შემოეკრას მის ძირთან მიტანილ საგანს. ამ მოძრაობის მიზანია განამტკიცოს „უნაგირა“ დისკოს ჩაჭიდულობა და, რაც მთავარია, უზრუნველყოს — მეტი დაბეჯითებით, ვიდრე *დიდფოთლებიანი ორქიდეის* შემთხვევაშია — სამტვრე ღეროების განცალკევება. როგორც კი „უნაგირა“ დისკო ჯაგრის ღერს შემოეხვევა და იქ ჩარჭობილი, დისკოს შეკუმშვას აყოლილი სამტვრე ღეროები უცილობლად განცალკევდებიან ერთმანეთისგან, იწყება ღეროების მეორე მოძრაობა — გადმოხრა ჯაგრის ღერის თუ ნემსის წვერისკენ სწორედ ისევე, როგორც წინა ორქიდეის შემთხვევაში. ამ ორ მოძრაობას ოცდაათი ან ოცდათოთხმეტი წამი სჭირდება.

XIX

განა სწორედ ასე არ ვითარდება — წვრილმანებიდან, გამეორებებიდან, გადაკეთებებიდან — თვით ადამიანთა გამოგონებებიც? ჩვენს უახლეს ინდუსტრიაში ყველანი მივყვებით განათების, კარბურაციის, გათიშვის, სიჩქარის შეცვლის წვრილმან, მაგრამ უწყვეტ სრულქმნას. ნამდვილად გეგონებათ, რომ ყვავილებსაც ისევე მოსდით იდეები, როგორც ჩვენ. ისინიც იმავე ღამეში დაფათურობენ, იმავე დაბრკოლებებს აწყდებიან, იმავე ბოროტ ნებას — იმავე შეუცნობელში. ისინიც იმავე კანონებს შეიცნობენ, იმავე გულისაცრუებებს ხვდებიან, იმავე ნელ და ძნელ გამარჯვებებს მოიპოვებენ, როგორსაც ჩვენ. თითქოს მათ ჩვენი მოთმინება აქვთ, ჩვენი შეუპოვრობა, ჩვენი თავმოყვარეობა, თითქმის იგივე გონება და იგივე იდეალი. ისინიც ჩვენსავით ებრძვიან დიდ და განურჩეველ ძალას, რომელიც, საბოლოოდ, ისევ მათ ეხმარება. მათი გამომგონებლური წარმოსახვა ირჩევს არათუ მხოლოდ იმავე წინდახედულ და სკრუპულოზურ მეთოდებს, იმავე ვიწრო, დამღლელ და დაკლაკნილ ბილიკებს, არამედ ხასიათდება მოულოდნელი ნახტომებით, რომლებსაც უეცრად გაჰყავს საბოლოო წერტილზე თუ განუსაზღვრელ აღმოჩენასთან. ასე მოხდა, რომ დიდ გამომგონებელთა ოჯახმა ორქიდეების წრიდან, უცნაურმა და მდიდარმა *კატასეტიდეებმა* აზრის გაბედული დემარშით უეცრად გადაატრიალეს უდავოდ უძველესი დროიდან გამოყოლილი თავიანთი ჩვევების გარკვეული სიმრავლე. უპირველეს ყოვლისა, სქესთა გამიჯვნა აქ აბსოლუტურია: თითოეულ მათგანს თავისი საგანგებო ყვავილი აქვს. გარდა ამისა, სამტვრე კოშტი ანუ მტვრის მასა თუ ფუთა აღარ ასველებს თავის ღეროს გუმფისით სავსე ვარცლში და, რამდენადმე ინერტულად და ყოველგვარი ინიციატივის გარეშე, ელოდება იღბლიან მომენტს, როდესაც ღეროს მწერის თავზე დაუშვებს. ეს ღერო ძალუმ ზამბარაზეა დახვეული ერთგვარ „ბუდუარში“, საიდანაც მწერს საგანგებოდ არაფერი უხმობს. ასევე, ჩვეულებრივი ორქიდეებისგან განსხვავებით, საუცხოო *კატასეტიდეები* არ ელოდებიან სტუმრად მოსული მწერის ამა და ამ მოძრაობას, თუ გნებავთ — ზუსტს და მიზანმიმართულს, მაგრამ მაინც შემთხვევითს. არა, ამჯერად მწერი შედის არათუ მხოლოდ განსაცვიფრებლად მოწყობილ ყვავილში, არამედ ცოცხალში და — არც მეტი არც ნაკლები — *მგრძნობიარეში.* როგორც კი მოფრენილი მწერი სპილენძისფერი აბრეშუმის დიდებულ სტოვას ეხება, მის მიერ ნება-უნებლიეთ მიკარებული გრძელი და ნერვიული ანტენები მთელ შენობაში განგაშს ავრცელებენ. მაშინვე იხევა „ბუდუარიც“, სადაც დატყვევებულია დიდ წებოვან დისკოზე დაყრდნობილ სპირალურ ღეროზე მოთავსებული ორად გაყოფილი მტვრის მასა. უეცრად განთავისუ-

ფლებული ღერო ზამბარასავით იშლება და მძლავრად ტყორცნის გარეთ მტვრის ორ ფუთასა და წებოვან დისკოს. საინტერესო ბალისტიკური გაანგარიშების შედეგად დისკო ყოველთვის წინ იტყორცნება, მწერს ხვდება და ზედ ეწებება. ისიც, სრულებით დარეტიანებული, იმასღა ფიქრობს, რომ რაც შეიძლება სწრაფად დატოვოს აგრესიული გვირგვინი და თავი მეზობელ ყვავილს შეაფაროს. ამერიკულ ორქიდეასაც სხვა არაფერი სურს.

XX

ხომ არ აღმენიშნა საგულისხმო პრაქტიკული გამარტივებები, რომელთაც საერთო სისტემაში ახორციელებს ეგზოტიკური ორქიდეების მეორე ოჯახი, *კიპრიპედიები*? ყოველთვის უნდა გავიხსენოთ ადამიანის გამოგონებათა ბრუნვა. ამ ორქიდეასთან თავშესაქცევ გადამოწმებას ვპოულობთ. სახელოსნოში — ამწყობი, ლაბორატორიაში — ასისტენტი, მოწაფე ერთ დღესაც ეკითხება შეფ-ოსტატს: „თუკი ყველაფერს საწინააღმდეგო მიმართულებით ვიზამთ? თუ მოძრაობას შევაბრუნებთ? თუ სხვანაირად შევაზავებთ სითხეებს?“ ასეც იქცევიან და უეცრად *უცნობიდან* იბადება *მოულოდნელი*. ხალისით ვირწმუნებდით, რომ *კიპრიპედიები* ერთმანეთს მსგავს ზრახვებს სთავაზობენ. ყველანი ვიცნობთ *Cypripedium*-ს ანუ ვენერას ქოშს. თავისი ვეებერთელა ნიკაპით, ანჩხლი და შხამიანი იერით, ესაა ჩვენი სათბურების ყველაზე სახასიათო ყვავილი, რომელიც, ასე ვთქვათ, ტიპ-ორქიდეად გვესახება. *Cypripedium*-მა უშიშრად გააუქმა ზამბარიანი სამტვრე ფუთების თუ განცალკევებადი ღეროების რთული და ფაქიზი მექანიზმი. მისი კალოშისებრი ნიკაპი და ფარისებრი ცარიელი სამტვრე იმგვარად ხერგავს მისსავე შესასვლელს, რომ მწერს აიძულებს, ხორთუმი მტვრის ორ პაწია გროვაზე გაატაროს. თუმცა ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი. სრულებით მოულოდნელი და ანორმალური ისაა, რომ იმის საპირისპიროდ, რაც ყველა სხვა სახეობასთან გვხვდება, აქ დინგი ანუ მდედრი ორგანო კი არ არის წებოვანი, არამედ თვით მტვერი, რომლის მარცვლები სიფხვიერის ნაცვლად იმდენად წებვადი საცხითაა დაფარული, რომ ძაფივით იწელება. რაში მდგომარეობს ამ ახლებური წყობის უპირატესობები და შეუსაბამობები? სახიფათოა, რომ მწერის მიერ წაღებული მტვერი მეორე ყვავილის დინგის ნაცვლად სრულებით სხვა რამეს შეიძლება მიეკრას. სამაგიეროდ, დინგი გათავისუფლებულია თავისი მოვალეობისგან — გამოყოფდეს ფლუიდს, რომელიც სტერილიზებას გაუკეთებს ყოველგვარ უცხო წარმოშობის მტვერს. ყველა შემთხვევაში, ეს მომენტი საგანგებო შესწავლას ითხოვს. არსებობს ისეთი „პატენტები“, რომელთა სიკეთე-სარგებლობას სწრაფად და უეცრად ვერ ვიხელთებთ.

XXI

სანამ ორქიდეების ამ უცნაურ მოდგმას გავცდებით, ვთქვათ კიდევ რამდენიმე სიტყვა დამხმარე ორგანოზე, რომელიც მთელ მექანიკას ამოძრავებს. ესაა სანექტარე. სხვათაშორის, სახეობის გენიის მხრიდან, ის იმთავითვე იყო ძიების, მცდელობების და ისეთივე გონივრული და მრავალფეროვანი ექსპერიმენტების საგანი, როგორიც ის ექსპერიმენტებია, განუწყვეტელ მოდიფიცირებას რომ უკეთებს ჩვენს უმნიშვნელოვანეს მექანიზმთა ეკონომიკას.

სანექტარე, როგორც ვნახეთ, არსებითად, არის ერთგვარი გრძელი დეზი, წაწვეტებული რქა, რომელიც ყვავილის სიღრმეში იღება მისი ყუნწის გვერდით და მეტ-ნაკლებ საპირწონეს ქმნის მის გვირგვინთან მიმართებაში. მასში დგას ტკბილი სითხე — ნექტარი, რომლითაც იკვებებიან პეპლები, ხეშეშფრთიანი მწერები, და რომელსაც ფუტკარი თაფლადაც აქცევს.

ასე რომ ნექტარის დანიშნულება აუცილებელი სტუმრების მოზიდვაა. ის მისადაგებულია ამ უკანასკნელთა ზომებთან, ჩვევებთან, გემოვნებასთან; ყოველთვის ისეთ ადგილზეა ჩასხმული, რომ იქამდე მისაღწევად და ხორთუმის ჩასაყოფად მწერები იძულებულები არიან ჩაატარონ ყვავილის ორგანული კანონებით ნაკარნახევი ყველა რიტუალი.

ჩვენ უკვე ვიცნობთ ორქიდეების უცნაურ ხასიათსა და წარმოსახვას იმის განსაჭვრეტად, რომ აქაც ისევე, როგორც სხვაგან, და კიდევაც უფრო მეტად (უფრო მოქნილი ორგანო ხომ

უფრო დიდხანს ესადაგებოდა ამ პროცესს), თავისუფალი გასაქანი ეძლევა გამომგონებლურ, პრაქტიკულ, დამკვირვებელ და ჩხირკედელა გონებას. მაგალითად, ერთმა მათგანმა, *Sarcanrhus teretifolius*-მა, რომელმაც, როგორც ჩანს, ვერ გამოიმუშავა წებოვანი სითხე, საკმარისად სწრაფად რომ მკვრივდება და მტვრის ფუთას კინკრიხოზე აწებებს მწერს, იმით აუქცია გვერდი სირთულეს, რომ სანექტარემდე მიმავალ ვიწრო გასასვლელებში შეძლებისდაგვარად დიდხანს აყოვნებს სტუმრის ხორთუმს. იმდენად ჩახლართულია ამ ყვავილის შიდა ლაბირინთი, რომ ბაუერმა — დარვინის მარჯვე მხატვარმა — თავი დამარცხებულად სცნო და უარი თქვა მის დახატვაზე.

არიან ისეთებიც, რომლებმაც — გამომდინარე იმ პრინციპიდან, რომ ყოველგვარი გამარტივება გაუმჯობესებაა — თამამად გააუქმეს სანექტარე რქა და მას შეუნაცვლეს თავისებური უცნაური და აშკარად ხორციანი კოჟრები. ნუთუ აუცილებელია დავამატოთ, რომ ეს კოჟრები მუდამ ისეა განლაგებული, რომ სტუმარი, რომელიც მას მიირთმევს, გარდაუვლად არხევს და ატოკებს მთელ სამტვრე მექანიზმს?

XXII

თუმცა ნუღარ შევყოვნდებით ათასობით სხვადასხვა პატარა ეშმაკობაზე და ფერიების ეს ზღაპარი *Coryanthes macrantha*-ს მისატყუარების შესწავლით დავასრულოთ. აი, შემთხვევა, როდესაც უკვე აღარ ვიცით, ზუსტად რა არსებასთან გვაქვს საქმე. აი, რა გამოიგონა ამ გამაოგნებელმა ორქიდეამ:

მისი ქვედა ტუჩი ქმნის ერთგვარ დიდ ფიალას, რომელშიც გამუდმებით წვეთავს ზემოთ განლაგებული ორი რქიდან გამოყოფილი თითქმის გამჭვირვალე წვეთები. როცა ფიალა ნახევრამდე ივსება, დაგროვებული წყალი გვერდით დატანებული სადინარიდან იღვრება. მთელი ეს ჰიდრავლიკური მექანიზმი, თავისთავად, უკვე საკმაოდ ღირსშესანიშნავია. მაგრამ, აი, სად იწყება ამ (ჯოჯოხეთური-მეთქი, ვიტყოდი) კომბინაციის შემაშფოთებელი მომენტი: სითხე, რომელსაც გამოყოფს რქები და რომელიც ატლასის ვარცლში გროვდება, ნექტარს არ წარმოადგენს და არანაირად არ არის გათვლილი მწერების მისაზიდად. მას გაცილებით უფრო დელიკატური მისია აკისრია ამ უცხო ყვავილის ნამდვილად მაკიაველურ გეგმაში. გულუბრყვილო მწერებს იზიდავს ზემოთ ნახსენები წვნიანი კოჟრებიდან გავრცელებული ტკბილი სურნელება, მაგრამ იზიდავს არც მეტი არც ნაკლები ხაფანგში მოსახვედრად. კოჟრები განთავსებულია ფიალის ზემოთ, ერთგვარ ოთახში, სადაც ორი გვერდითა ღიობი შედის. იქ მიფრენილი დიდი ფუტკარი (ეს ვეებერთელა ყვავილი მხოლოდ უმძიმეს ხეშეშფრთიანებს აცდუნებს, თითქოს სხვებს რცხვენიათ ასეთ ვრცელ და მდიდრულ პალატებში შესვლა) იწყებს გემრიელი კოჟრების ღრღნას. მარტო რომ ყოფილიყო, ნადიმს დაასრულებდა და მშვიდად წავიდოდა ისე, რომ არც კი შეეხებოდა წყლით სავსე ფიალას, დინგსა თუ მტვერს. მაგრამ ბრძენმა ორქიდეამ იცის, რა ცხოვრება მიმდინარეობს მის ირგვლივ, იცის, რომ ხარბად მოფუსფუსე ფუტკრები ათასობით დაფრინავენ მზიან დღეებში: საკმარისია, ყვავილის ზღურბლზე კოცნასავით თრთოდეს სურნელება, რათა გუნდ-გუნდად მოფრინდნენ საქორწინო კარავში გაშლილ ნადიმზე. ჰოდა, აი, ტკბილსურნელოვან ოთახში ორი თუ სამი მოღალე ფუტკარი შესულა. აქ სივიწროვეა, კედლები სრიალებს, სტუმრები ერთმანეთზე გადადიან, ჩქარობენ, ყველაფერს ეჯახებიან, დაბოლოს, რომელიმე მათგანი ყოველთვის იმით ამთავრებს, რომ მზაკვრული ნადიმის ქვეშ მომლოდინე წყლიან ფიალაში ვარდება. იქ იგი მოულოდნელ აბანოს პოულობს, კეთილსინდისიერად ისველებს ნახევრადგამჭვირვალე ფრთებს და, უზარმაზარი ძალისხმევის მიუხედავად, ვეღარ მიფრინავს. სწორედ აქ ჩასაფრებია მზაკვარი ყვავილი გაბრიყვებულ მწერს. ჯადოსნური ფიალიდან ხომ ერთადერთი გამოსასვლელი არსებობს — სადინარი, რომლიდანაც წყალი იღვრება ფიალის მეტისმეტად ავსების დროს. ეს ღიობი ზუსტად იმხელაა, რომ მწერი გაეტიოს, ოღონდ, გასვლის მომენტში, ზურგით შეეხოს ჯერ დინგის წებოვან ზედაპირს, მერე კი — თაღის ქვეშ მომლოდინე მტვრის მასების ჯირკვლებს. წებოვანი ფხვნილით დატვირთული მწერი ასეღა თავისუფლდება და შედის მეზობელ ყვავილში, სადაც თავიდან იწყება ნადიმის, შეხლა-შემოხლის,

წყალში ჩავარდნის, ყურყუმელაობისა და, ბოლოს და ბოლოს, გარეთ გაღწევის დრამა, რომლის დროსაც ყვავილის დინგი მსუნაგად იკრობს შეტანილ მტვერს.

აი, ყვავილი, რომელიც იცნობს და იყენებს მწერთა ვნება-მისწრაფებებს. ვერავინ იტყვის, ეს ყველაფერი მეტ-ნაკლებად გარომანებული ინტერპრეტაციებიაო. არა, ყველა დაკვირვება ზუსტია და მეცნიერული, სხვაგვარად ვერც კი აიხსნება ყვავილის ზოგიერთი ორგანოს დანიშნულება თუ განთავსება. ეს თვალსაჩინოებაა და ასეც უნდა მივიღოთ. ზემოთ აღწერილი დაუჯერებელი და ეფექტური ფანდი მით უფრო საკვირველია, რომ მცენარის სასწრაფო დანაყრებისკენ არ არის მიმართული, ყველაზე ჩლუნგ გონებებს რომ ულესავს ფხას. მას შორეული იდეალი — სახეობის გამრავლება ამოძრავებს.

მაგრამ რა საჭიროა ყველა ეს ფანტასტიკური გართულება, რომლებიც მხოლოდ ზრდიან რისკს? ნუ ვიჩქარებთ განსჯას და პასუხის გაცემას. ჩვენ არ ვიცით ყველა მიზეზი, რომლებიც ყვავილს ამოძრავებს. იმ დაბრკოლებებს თუ ვიცნობთ, რომლებსაც ის ლოგიკისა და სიმარტივის მხრიდან ხვდება? ვიცით კი, სიღრმისეულად, მისი არსებობისა და ზრდის თუნდაც ერთი ორგანული კანონი? ის, ვინც მარსიდან ან ვენერადან ჩამოხედავს სივრცის დაპყრობის ჩვენეულ მცდელობას, ამასვე იკითხავს: რა საჭიროა ეს საძაგელი და ურჩხულისებრი აპარატები, ეს საჰაერო ბუშტები, აეროპლანები, პარაშუტები, თუკი გაცილებით იოლი იქნებოდა ჩიტების მიბაძვა — მხრების აღჭურვა წყვილი ფრთით?

XXIII

გონიერების ამ მტკიცებულებებს უპირისპირდება ადამიანის რამდენადმე მიამიტური მოსაზრება: დიახ, ყვავილები საოცრებებს ქმნიან, მაგრამ ეს საოცრებები მუდამ იგივე რჩება და არასოდეს იცვლება. თითოეულ სახეობას, თითოეულ სახესხვაობას თავისი სისტემა აქვს და, თაობიდან თაობამდე, არანაირი საგრძნობი გაუმჯობესება არ შეაქვს მასში. ეჭვს არ იწვევს, რომ მას შემდეგ, რაც ვუკვირდებით, ანუ ამ ორმოცდათიოდე წლის მანძილზე, არც *Coryanthes macrantha*-ს და არც *Catasétidée*-ებს თავიანთი ხაფანგი არ შეუცვლიათ. მტკიცებით მხოლოდ ამის მტკიცება შეგვიძლია და ეს ნამდვილად უკმარისია. იქნებ მხოლოდ ყველაზე ელემენტარული ცდები ჩავატარეთ? ვიცით კი, რას ჩაუტარებენ ამ საუკუნის მიწურულს მომდევნო თაობები ჩვენს გასაოცარ ორქიდეას, რომელსაც განსხვავებულ გარემოში და უჩვეულო მწერთა შორის მოათავსებენ? მეორე მხრივ, სახელებს, რომლებსაც ვანიჭებთ გვარებს, სახეობებს და სახესხვაობებს, ბოლოს და ბოლოს, ჩვენვე შევყავართ შეცდომაში. ასე ვქმნით წარმოსახვით ტიპებს, რომლებიც მყარად ფიქსირებული გვგონია. არადა, ეს მხოლოდ ერთი და იგივე ყვავილია, რომელიც აგრძელებს თავისი ორგანოების ნელ მოდიფიცირებას ნელ-ნელა ცვლადი გარემოებების მიხედვით.

დედამიწაზე ყვავილები წინ უსწრებდნენ მწერებს. ამიტომაც, ამ გაუთვალისწინებელ თანამშრომელთა ზნე-ჩვეულებებისთვის მისასადაგებლად, ყვავილებს ახალი მექანიზმების შემუშავება მოუწევდათ. თუნდ მხოლოდ გეოლოგიურად შეუდავებელი ეს ფაქტი, სხვა ყველაფერს შორის, რაც ჩვენ არ ვიცით, საკმარისია იმისთვის, რომ დაიწყოს *ევოლუცია*. განა, უკანასკნელი ანალიზით, რამდენადმე ბუნდოვანი ეს სიტყვა ადაპტაციას, მოდიფიცირებას, გონების პროგრესს არ ნიშნავს?

სხვა მხრივ, რათა არ დავუბრუნდეთ ამ პრეისტორიულ მოვლენას, ძნელი არ იქნებოდა ერთად დაგვეჯგუფებინა უამრავი ფაქტი, რომლებიც გვიჩვენებდნენ, რომ ადაპტირების უნარი და გონების პროგრესი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის პრეროგატივა არ არის. არ დავუბრუნდები დეტალებში გადმოცემულ თავებს, ამ საკითხს რომ მივუძღვენი „ფუტკრების ცხოვრებაში“, გავიხსენებ იქ ციტირებულ მხოლოდ ორ-სამ შესატყვის დეტალს. მაგალითად, ფუტკრებმა გამოიგონეს სკა. თავიანთი წარმოშობის განედებზე, ველურ და პირველყოფილ მდგომარეობაში, ისინი ღია ცის ქვეშ შრომობდნენ. სწორედ ჩვენი ჩრდილოური კლიმატის გაურკვევლობამ და სიმკაცრემ ჩააგონა მათ ეძებნათ თავშესაფარი კლდეთა ნაპრალებში თუ ხეთა ღრიჭოებში. ამან მოღალეებად და ძიძებად აქცია ათასობით ფუტკარი, უწინ უძრავად რომ შემოხვეოდნენ ფიჭებს აუცილებელი ტემპერატურის შესანარჩუნებლად. იშვიათობა არ გახლავთ (განსა-

კუთრებით — სამხრეთში), რომ გამორჩეულად რბილ ზაფხულებში ფუტკრები თავიანთი წინაპრების ტროპიკულ ჩვევებს უბრუნდებიან[10].

მეორე ფაქტი: ავსტრალიაში ან კალიფორნიაში გადაყვანილ ჩვენებურ ფუტკარს მთლიანად უსხვაფერდება ზნე-ჩვევა. მეორე თუ მესამე წლიდან, როცა დაასკვნის, რომ აქ ზაფხული არასოდეს მთავრდება და ყვავილებიც ყოველთვის ყვავიან, ფუტკარი დღიდან დღემდე ცხოვრობს, მხოლოდ ყოველდღიურად მოსახმარი თაფლისა და მტვრის შეგროვებით კმაყოფილდება. ბოლო გამოცდილება ენაცვლება მემკვიდრეობით მიღებულს, რის გამოც ფუტკარი აღარც საზამთრო მარაგს აგროვებს. ბ„უხნერი ახსენებს ერთ სახასიათო შტრიხს, რომელიც ასევე ამტკიცებს ადაპტირებას გარემოებებთან, — არა ნელს, საუკუნოვანს, გაუცნობიერებელს და ფატალურს, არამედ სწრაფსა და გონივრულს. ბარბადში, შუა ქარხანაში, სადაც მთელი წლის მანძილზე უხვად პოულობენ შაქარს, ფუტკრები საერთოდ აღარ სტუმრობენ ყვავილებს.

დაბოლოს, გავიხსენოთ თავშესაქცევი ეპიზოდი, რომლითაც ფუტკრებმა უკუაგდეს ორი ინგლისელი ენტომოლოგი, კირბი და სპენსი.

„გვიჩვენეთ თუნდაც ერთი შემთხვევა, — ამბობდნენ ისინი, — როცა, გარემოებათა ზეწოლით, მათ გაუჩნდათ აზრი თიხით ან კირის ხსნარით შეეცვალათ ცვილი და დინდგელი, და ჩვენ დაგეთანხმებით, რომ მათ განსჯის უნარი აქვთ.“

ის იყო, გამოხატეს თავიანთი საკმაოდ თვითნებური სურვილი, რომ სხვა ნატურალისტმა ზოგიერთი ხის ქერქს ცვილისა და სკიპიდარისგან დამზადებული ერთგვარი ცემენტი წაუსვა. ფუტკრებმა სრულებით უარყვეს დინდგელი და გადავიდნენ მხოლოდ ამ ახალ და უცხო ნივთიერებაზე, რომელსაც, უკვე დამზადებულს, უხვად პოულობდნენ თავიანთი საბინადროს ახლოს. მეტიც: საფუტკრე პრაქტიკაში, მტვრის ნაკლებობის დროს, საკმარისია ფუტკრების განკარგულებაში მოვახვედროთ რამდენიმე მწიკვი ფქვილი, რომ ისინი დაუყოვნებლივ ხვდებიან: ეს სუბსტანცია შეუძლიათ გამოიყენონ იმავე მიზნებით, რისთვისაც იყენებდნენ ყვავილთა მტვერს, მიუხედავად იმისა, რომ ფქვილის გემო, სუნი და ფერი სრულებით განსხვავებული აქვს.

ის, რაც ახლა გავიხსენე ფუტკრებთან დაკავშირებით, ვფიქრობ, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, დადასტურდებოდა ყვავილებთანაც. ალბათ საკმარისი იქნებოდა ახალი ექსპერიმენტების საფუძველზე უფრო მეთოდურად შეესწავლათ, მაგალითად, სალბის მრავალრიცხოვანი სახესხვაობებისთვის ნიშნეული საოცარი ევოლუციური ძალისხმევა. ამას ჩემისთანა დილეტანტი ვერ განახორციელებს. მანამდე კი, სხვა მრავალ მტკიცებულებას შორის, რომელთა გაერთიანება ძნელი არ უნდა იყოს, არსებობს ბაბინეს საინტერესო დაკვირვება მარცვლოვანებზე, რომლის მიხედვითაც თავისი მშობლიური ქვეყნიდან გადმოტანილი ზოგიერთი მცენარე უკვირდება ახალ გარემოებებს და ისევე იყენებს მათ თავის სასარგებლოდ, როგორც ფუტკრები. ასე, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ყველაზე თბილ რეგიონებში, სადაც ზამთარი მას ყოველწლიურად არ კლავს, ჩვენი ხორბალი იმადვე იქცევა, რაც თავდაპირველად იყო: მარადმწვანე გაზონის მსგავს მცენარედ. ასე ხდება, თუკი ის ფესვით მრავლდება და აღარც თავთავს იკეთებს და აღარც თესლეულს. როდესაც თავისი პირველყოფილი ტროპიკული სამშობლოდან ჩვენს გაყინულ ქვეყნებში გადმოინაცვლა, აკლიმატიზაციისთვის დასჭირდა ჩვევების შეცვლა და გამრავლების ახლებური რეჟიმის გამოძებნა. ბაბინეს ჩინებული თქმით, „რაღაც გაუგონარი სასწაულის ძალით, მცენარის ორგანიზმმა თითქოსდა წინდაწინ იგრძნო მარცვლის მდგომარეობაში ყოფნის აუცილებლობა, რათა საერთოდ არ განადგურებულიყო წელიწადის მკაცრ პერიოდში“.

XXIV

ასეა თუ ისე, რათა დასამარდეს საპირისპირო მოსაზრება, რომელიც ზემოთ ვახსენეთ და რომელმაც მეტისმეტად შორს გადაგვახვევინა, საკმარისი იქნება, რომ ერთხელ მაინც დადასტურდეს გონივრული პროგრესის აქტი კაცობრიობის ფარგლებს გარეთ. თუმცა იმ სიამოვნების მიღმა, რომელსაც განვიცდით მეტისმეტად პატივმოყვარე და მოძველებული არგუმენტის უკუგდებისას, რა უმნიშვნელო ჩანს, არსებითად, ყვავილების, მწერებისა თუ ფრინველების პირადი გონიერების ეს საკითხი! რამდენიც უნდა თქვან ორქიდეის თუ ფუტკრის შესახებ, რომ თავად

ბუნება — და არა მცენარე ან მწერი — ითვლის, აკავშირებს, ამშვენებს, იგონებს და განსჯის, რა ინტერესს შეიძლება წარმოადგენდეს ჩვენთვის ეს განსხვავება! ამ დეტალების ზემოთ გაცილებით უფრო მაღალი და ჩვენი ყურადღების უფრო მეტად ღირსი სხვა საკითხი დგას. საქმე იმაშია, რომ უნდა მოვიხელთოთ ბუნება, თავისებურება, ჩვევები და, შესაძლოა, მიზანიც იმ საყოველთაო გონისა, რომლიდანაც გამომდინარეობს ამ პლანეტაზე მიმდინარე ყველა გონივრული აქტი. სწორედ ამ თვალსაზრისითაა, რომ სხვადასხვა არსებათა შესწავლა (მათ შორის — ჭიანჭველებისა და ფუტკრების, სადაც ერთობ თვალნათლივ მჟღავნდება ამ გენიის მოქმედებები და იდეალი კაცობრიობის ფარგლებს გარეთ) ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საქმიანობაა ყველა სხვა საქმიანობათა შორის. ყოველივეს შემდეგ, რისი კონსტატირებაც ახლახან მოვახდინეთ, თითქოს ეს ინტელექტუალური მეთოდები, სულ ცოტა, ისეთივე რთული, განვითარებული და გამაოგნებელია ორქიდეებთან, როგორც სოციალურ ხეშეშფრთიანებთან. ამას დავუმატოთ, რომ ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ ამ მოფუსფუსე, დასაკვირვებლად არცთუ იოლ მწერთა მრავალ მოტივაციას და ლოგიკას მაშინ, როდესაც უმტკივნეულოდ ვიხელთებთ მშვიდობიანი ყვავილის ყველა მდუმარე მოტივს თუ გონივრულ განსჯას.

XXV

მაშ, რას ვუკვირდებით, როცა ბუნებას შუა მუშაობაში წავასწრებთ ხოლმე: საყოველთაო გონს თუ ყვავილთა საუფლოს უნივერსალურ გენიას (სახელს მნიშვნელობა არ აქვს)? რაკი ეს თემა, თავისთავად, ხანგრძლივ შესწავლას მოითხოვს, ამჯერად მხოლოდ გაკვრით აღვნიშნოთ, რომ, უწინარეს ყოვლისა, მშვენიერების, მხიარულების ყვავილისეული იდეა, ცდუნების მისეული საშუალებები, მისი ესთეტიკური გემოვნება ძალზე ახლოა ჩვენეულთან. მაგრამ ალბათ უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ სწორედ *ჩვენეული* ეხმიანება *მისეულს*. ნამდვილად ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, რომ ჩვენეული მშვენიერება ჩვენივე გამოგონილია. ყველა ჩვენი არქიტექტურული თუ მუსიკალური მოტივი, ფერისა თუ სინათლის ყველა ჰარმონია უშუალოდ ბუნებისგან არის ნასესხები. რომ აღარ მოვუხმოთ ზღვას, მთას, ცას, ღამეს, მწუხრს თუ განთიადს, რა შეიძლებოდა დაგვეკლო, მაგალითად, ხის მშვენიერებისთვის? ვგულისხმობ არა ტყეში მდგარ ხეს, ტყეში, რომელიც დედამიწის ერთ-ერთი ძალმოსილებაცაა და, შესაძლოა, ჩვენი ინსტინქტების, სამყაროს ჩვენეული განცდის ძირითადი წყაროც, არამედ ხეს თავისთავად, მარტოხეს, რომლის მწვანე სიჭარმაგე ასობით წელიწადის დროს ითვლის. იმ შთაბეჭდილებათა შორის, ჩვენთვისვე გაუცნობიერებლად რომ ქმნიან მთელი ჩვენი არსებობის სიმშვიდისა და ბედნიერების ანკარა „ნიშებს“ და, ეგებ, თვით გულისგულსაც კი, რომელი ჩვენგანი არ ინახავს ხსოვნაში რამდენიმე მშვენიერ ხეს? როცა ცხოვრების ნახევარს გადავცდებით და განცვიფრების ხანის დასასრულს ვუახლოვდებით, როცა ამოწურული გვაქვს თითქმის ყველა სანახაობა, რაც შეიძლება შემოგვთავაზოს ხელოვნებამ, გენიამ, საუკუნეთა და ადამიანთა სიუხვემ, როცა უკვე განცდილი და შედარებულია უამრავი რამ, მაშინ უბრალოზე უბრალო მოგონებებთან ვბრუნდებით. ისინი განწმენდილი თვალსაწიერიდან ამოდიან: — ორი თუ სამი უცვლელი, უმანკო და მარადცინცხალი ხატება, რომლებიც გვსურს ჩავიყოლოთ თვით სამარადისო ძილშიც (თუკი სიმართლეა ის, რომ ხატებას ძალუძს გადაკვეთოს ორი სამყაროს გამმიჯნავი ზღურბლი). პირადად მე ვერ წარმომიდგენია სამოთხე და ვერც რაგინდარა ბრწყინვალებით შემოსილი საიქიო ცხოვრება, სადაც ჩემს სიახლოვეში არ იდგება დიდებული წიფელი, კვიპაროსი ან ზღვისპირა ფიჭვი, რომელთაგან თითოეული ასე თვალნათლივ წარმოადგენს უცილობელი წინააღმდეგობის, მშვიდი გაბედულების, აღმაფრენის, შინაგანი წონის, მდუმარე გამარჯვებისა და შეუპოვრობის ყველა დიადი მოძრაობის ნიმუშ-შესაკრებელს.

XXVI

მაგრამ მეტისმეტად გადავცდი ჩემს ამჟამინდელ საგანს. მესმოდა ხოლმე, როგორ აღნიშნავდნენ ყვავილთან დაკავშირებით, რომ ბუნება, როდესაც სურს იყოს მშვენიერი, გვასიამოვ-

ნოს, იხაროს და თავისი ბედნიერება გვიჩვენოს, უბრალოდ, ქმნის თითქმის იმას, რასაც ჩვენც შევქმნიდით, თუკი მის საგანძურებს ჩვენს განკარგულებაში ვიგულებდით. ვიცი: ჩემი ასეთი ლაპარაკი რაღაცით იმ ეპისკოპოსისას ჰგავს, რომელიც აღტაცებული იყო ფაქტით, რომ განგება დიდ მდინარეებს ყოველთვის დიდი ქალაქების ახლოს ატარებდა. მაგრამ ძნელია ამ საგანთა ჭვრეტა-წარმოდგენა სხვა ხედვის წერტილიდან, თუ არა ადამიანურიდან. სწორედ ამ წერტილიდან დავუშვათ, რომ ბედნიერების ძალზე ცოტა ნიშანი, ძალზე ცოტა გამოთქმა დაგვრჩებოდა, თუკი თვალწინ არ გვექნებოდა ყვავილის ხატი. მხიარულებისა და სილამაზის მისეული ძალის განსჯისთვის საჭიროა ვიცხოვროთ ქვეყანაში, სადაც ის ერთპიროვნულად მეუფებს, როგორც პროვანსის ამ კუთხეში, სადაც ახლა ვზივარ და ვწერ. აქ ის ხეობებისა და ბორცვების ერთადერთი მბრძანებელია. აქაურმა გლეხებმა დაკარგეს ხორბლის მოყვანის ჩვევა, თითქოსდა უფრო გასათუთებულ ადგილობრივ კაცობრიობას სხვა აღარაფერი სჭირდება, მხოლოდ გულისგამხარებელი სურნელებებითა და ამბროზიით გამოიკვებება. მინდვრები ქცეულია მარად განახლებად თაიგულებად, ერთიმეორეს შენაცვლებული ათასგვარი სურნელი კი კარუსელივით ტრიალებს ლაჟვარდოვანი წელიწადის გარშემო. ფრინტები, ლევკოიონები, მიმოზები, იები, მიხაკები, ნარგიზები, სუმბულები, ნარგიზ-ჟონკილები, რეზედები, ჟასმინები, ტუბეროზები დაუსრულებელ ღვარებად შესევიან დღეებს და ღამეებს, ზამთრისა და ზაფხულის, გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებს. თუმცა კულმინაციური ჟამი მაისის ვარდებს ეკუთვნის. და მაშინ, დამრეცი ფერდობებიდან ველთა ჩაღრმავებებამდე, ვენახებში და ზეთისხილის ხეებს შორის, თვით ცის დასალიერამდე ყოველი მხრიდან მოთქრიალებს ვარდის ფურცლების მდინარე, რომელშიც აქა-იქ სახლები და ხეებიც ამოჩრილა. ეს მდინარე იმ ფერისაა, რომელსაც ჩვენ, ადამიანები, ახალგაზრდობას, ჯანმრთელობას და სიხარულს მივაკუთვნებთ. ერთდროულად თბილიც და ცინცხალიც და, რაც მთავარია, უვრცესი და ცის ბჭის შემღები სუნთქვა, გეგონებათ, თვით ნეტარების წყაროებიდან იფრქვევა. გზები და ბილიკები თვით ყვავილების რბილობში, თვით სამოთხის სუბსტანციაში გადის. ამ ყველაფრის მნახველს თითქოს ცხოვრებაში პირველად ეძლევა ბედნიერების დამაკმაყოფილებელი ხილვა.

XXVII

ისევ და ისევ ჩვენი ადამიანური ხედვის წერტილიდან — და აუცილებელ ილუზიაში დასარჩენადაც — პირველ შენიშვნას დავუმატოთ მეორეც, ოდნავ უფრო ვრცელი, ოდნავ ნაკლებად რისკიანი და, თავისი შედეგებით, ეგებ რამდენადმე მძიმეც: ის, რომ დედამიწის სული, რომელიც ალბათ მთელი ქვეყნიერების სულია, თავის სასიცოცხლო ბრძოლაში ზუსტად ისე იქცევა, როგორც ადამიანი მოიქცეოდა; იმავე მეთოდს, იმავე ლოგიკას მიმართავს; მიზანს აღწევს იმავე საშუალებებით, რომლებსაც ჩვენც მივმართავდით; ხელისცეცებით მოქმედებს, ყოყმანობს, რამდენჯერმე თავიდან იწყებს, ამატებს, აკლებს, ისევე ცნობს და ასწორებს თავის შეცდომებს, როგორც ჩვენ მოვიქცეოდით მის ადგილზე; მთელი მონდომებით ცდილობს; სიახლეს მძიმედ და ნელ-ნელა ქმნის, როგორც მუშები და ინჟინრები — ჩვენს სახელოსნოებში; ჩვენსავით ებრძვის თავის არსებას; ჩვენზე უკეთ არც მან იცის, სად მიდის; თავის თავს ეძებს და ნელ-ნელა პოულობს; ხშირად გაურკვეველი იდეალი აქვს, თუმცაღა მაინც შეიმჩნევა დიდი ხაზები, რომლებიც მაღლა — უფრო მგზნებარე, უფრო კომპლექსური, უფრო ენერგიული, უფრო სულიერი ცხოვრებისაკენ მიემართება; მატერიალურად, იგი უსასრულო რესურსებს ფლობს და, ამასთანავე, იცნობს სასწაულებრივი ძალების საიდუმლოს — ჩვენთვის დაფარულს; თუმცა, ინტელექტუალურად, ის თითქოს მკაცრად თავსდება ჩვენს სფეროში, რაკი აქამდე ჯერ არ შევსწრებივართ, რომ თავის სამანებს გაცდენოდეს; და თუ იქ ვერაფერს ნახავს სათავისოს, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ არც არაფერი გააჩნია ამ სფეროს მიღმა? რომ ადამიანური გონების მეთოდები ერთადერთი შესაძლებელი მეთოდებია? რომ ადამიანი არ შემცდარა? რომ ის არც გამონაკლისია და არც ურჩხული, არამედ სწორედ ის არსება, რომელშიც გადის და რომელშიც მჟღავნდება სამყაროს დიადი ნება-სურვილი?

XXVIII

ჩვენი ცოდნის ნიშნულები ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ვლინდება. შესაძლოა, პლატონის სახელგანთქმული ხატება — გამოქვაბული, რომლის კედლებზე აუხსნელი ჩრდილები რიალებენ — უკვე აღარ კმარა. მაგრამ თუ ვისურვებდით მისთვის შეგვენაცვლებინა ახალი, უფრო ზუსტი ხატება, ეს უკანასკნელი ვეღარ გვანუგეშებდა. წარმოიდგინეთ იგივე გამოქვაბული გადიდებულ მასშტაბში. იქ ვერასოდეს შეაღწევს სინათლის სხივი. ცეცხლისგან დაფენილი სინათლის გამოკლებით, გამოქვაბულს გულდასმით მოამარაგებენ ყველაფრით, რაც ჩვენს ცივილიზაციას მოეპოვება, და ადამიანებიც დაბადებიდანვე მისი ტუსაღები იქნებიან. რაკი სინათლე არასოდეს უნახავთ, არც უსინათლობა შეაწუხებთ. არა, ბრმები არ იქნებიან, მაგრამ რაკი მათ თვალებს არაფერი ექნება სანახავი, ალბათ, შეხების უმგრძნობიარეს ორგანოდ იქცევიან.

რათა მათ ჟესტებში ჩვენივე თავი ამოვიცნოთ, წარმოვიდგინოთ ისინი თავიანთ წყვდიადში, გარემოცულნი უცნობ საგანთა სიმრავლით. რა უცნაური გაუგებრობებია, დაუჯერებელი გადახრები, მოულოდნელი ინტერპრეტაციები! თუმცა რაოდენ გულისგამლღობი და, ხშირად, მახვილგონივრული იქნება სარგებლობა მიღებული იმ საგნებისგან, რომლებიც ღამისთვის არ შექმნილან!.. რამდენჯერ შეხვდებიან და როგორი იქნება მათი გაოგნება, თუკი უეცრად დღის სინათლეზე აღმოაჩენენ *ბუნებას* და, მასთან ერთად, იმ ხელსაწყო-იარაღებისა და აპარატების ნამდვილ დანიშნულებას, შეძლებისამებრ საუკეთესოდ რომ მოახმარეს წყვდიადის ბუნდოვანებებს?..

თუმცა, ჩვენი სიტუაციის ფონზე, მათი სიტუაცია მარტივი და იოლი ჩანს. საიდუმლო, სადაც ისინი დაცოცავენ, დასაზღვრულია. მათ მხოლოდ ერთი გრძნობა აკლიათ, ჩვენ კი, ვერც ვიტყვით, რამდენი. მათი შეცდომების მიზეზი ერთია, ჩვენის — ვერც მოვთვლით.

რაკი, საბოლოოდ, ჩვენც ამგვარ გამოქვაბულში ვცხოვრობთ, განა საგულისხმო არ არის იმის კონსტატირება, რომ ძალა, რომელმაც იქ მოგვათავსა, ხშირად ჩვენსავით იქცევა? მიწისქვეშეთში ჩამოღწეული მბჟუტავი სინათლის სხივები გვიჩვენებს, რომ აქ არსებული ყველა საგნის გამოყენებაში ერთნაირად არ ვცდებით. ამ სხივებიდან ზოგიერთი მწერებმა და ყვავილებმა მოგვიტანეს.

XXIX

დიდხანს ვატარეთ საკმაოდ ბრიყვული სიამაყე იმ რწმენის სახით, რომ ჩვენ საუცხოო, უნიკალური და ყოვლად მოულოდნელი არსებები ვართ, როგორც ჩანს — სხვა სამყაროდან ჩამოცვენილნი, დანარჩენ ცხოვრებასთან განსაზღვრულ-დადგენილი კავშირების გარეშე და, ყველა შემთხვევაში, უჩვეულო, შეუდარებელი, საზარელი უნარით დაჯილდოებულნი. გაცილებით უმჯობესია არ ვიყოთ ასეთი სასწაულებრივნი, რადგანაც უკვე ვიცით, რომ ბუნების ევოლუციაში სასწაულები საკმაოდ სწრაფად ქრება. გაცილებით უფრო მანუგეშებელია იმის დანახვა, რომ ჩვენც იმავე გზას მივყვებით, რასაც ამ ვრცელი ქვეყნიერების სული და რომ ჩვენც იმავე იდეებს, იმავე იმედებს, იმავე განსაცდელებს და თითქმის — რომ არა ჩვენი საგანგებო ოცნება სამართლიანობასა და გულმოწყალებაზე — იმავე სენტიმენტებს ვატარებთ. გაცილებით უფრო დამამშვიდებელია თავის დარწმუნება იმაში, რომ ჩვენივე ხვედრის გაუმჯობესების, ჩვენი ძალების, შესაძლებლობების, მატერიის კანონთა გამოყენების მიზნით ზუსტად იმ საშუალებებს მივმართავთ, რომლებსაც იგი მიმართავს თავის „ყამირ“ და გაუცნობიერებელ რეგიონთა გასანათებელ-მოსაწესრიგებლად; რომ სხვა საშუალებები არც არსებობს; რომ ჩვენ ჭეშმარიტებაში ვართ, ნამდვილად ჩვენს ადგილზე, ნამდვილად *შინ* ამ სამყაროში, რომელიც უცნობი ნივთიერებებისგან შედგება, მაგრამ რომლის აზრი მტრული და შეუღწევადი კი არ არის, არამედ ჩვენი აზრის ანალოგიური თუ შესატყვისი.

ბუნებამ ყველაფერი რომ იცოდეს, არასოდეს ცდებოდეს, ყველგან და ყველა წამოწყებაში თავს პირველივე წამიდან სრულყოფილად და ჩაუვარდნელად ავლენდეს, ყველაფერში ჩვენზე შეუდარებლად აღმატებული იყოს, აი, მაშინ კი ნამდვილად გვმართებდა შიშიც და ნირის წახდენაც. თავს მსხვერპლად და უცხო ძალის ნადავლად ვიგრძნობდით, ძალის, რომლის შეცნობისა

თუ გაზომვის არავითარი იმედი არ გვექნებოდა. გაცილებით უმჯობესია თავის დარწმუნება იმაში, რომ ეს ძალა — ინტელექტუალური თვალსაზრისით მაინც — მჭიდროდ ენათესავება ჩვენსას. ჩვენი გონებაც იმავე რეზერვუარებით სარგებლობს, რომლითაც მისი. ჩვენ ერთსა და იმავე სამყაროს ვეკუთვნით, თითქმის თანასწორნი ვართ. ამიერიდან ჩვენ ვმეგობრობთ არა მიუწვდომელ ღმერთებთან, არამედ ძმურ და დაფარულ ნებასთან თუ ნებელობებთან, რომლებიც უნდა გავშიფროთ და წარვმართოთ.

XXX

ვგონებ, უგუნურება არ იქნება ვიფიქროთ, რომ არ არსებობენ მეტ-ნაკლებად გონიერი არსებები, არამედ არსებობს ერთი გაბნეულ-საყოველთაო გონი, ერთგვარი უნივერსალური ფლუიდი, რომელიც სხვადასხვაგვარად შედის სხვადასხვა ორგანიზმში იმისდა მიხედვით, თუ როგორ წარმართავს გონებას თითოეული მათგანი — კარგად თუ ცუდად. დღემდე ამ დედამიწაზე ადამიანია სიცოცხლის საუფლო, რომელიც ყველაზე მცირე წინააღმდეგობას გაუწევს ამ ფლუიდს — *ღვთაებრივად* წოდებულს რელიგიების მიერ. ჩვენი ნერვები არის ძაფები, რომლებშიც ჩვეულებრივზე უფრო წმინდა ეს ელექტრობა გადის. ჩვენი ტვინის ნაოჭები ქმნის თავისებურ ინდუქციის ბაბინას, რომელიც აძლიერებს დენის ძალას. მაგრამ ეს დენი არ არის სხვა ბუნების, არ წარმოიშვება სხვა წყაროდან, გარდა იმ წყაროსი, რომელიც ქვაში, ვარსკვლავში, ყვავილში თუ ცხოველში გადის.

მაგრამ, აი, საიდუმლოები, რომელთა გამოკითხვა საკმაოდ უსარგებლო საქმეა, გამომდინარე იქიდან, რომ ჯერჯერობით არ ვფლობთ ორგანოს, რომლის მეშვეობითაც მათ პასუხს აღვიქვამთ. დავკმაყოფილდეთ იმით, რომ დავუკვირდეთ ამ გონის გარკვეულ გამოვლინებებს ჩვენს გარეთ. ის ყველაფერი, რასაც საკუთარ თავში ვხედავთ, სრულუფლებიან ეჭვს იწვევს. ჩვენ ერთდროულად მოსამართლეც ვართ და მოსარჩლეც, მეტისმეტად დაინტერესებულნი იმაში, რომ ჩვენი სამყარო ილუზიებით და იმედებით ავავსოთ. მაგრამ რაოდენ ძვირფასი და სანუკვარია ჩვენთვის თვით უმცირესი გარეგანი ნიშანი! ის, რასაც ყვავილები გვთავაზობენ, ალბათ უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რასაც მთები, ზღვა და ვარსკვლავები გვეტყოდნენ, თუ მათი სიცოცხლის საიდუმლოთა ამოცნობას შევძლებდით. თუმცა ისინი უკვე გვაძლევენ საშუალებას უფრო მეტი უეჭველობით დავუშვათ, რომ სული, რომელიც ყველაფერს აცოცხლებს თუ ყველაფრიდან ასხივებს, იგივეა, რაც ის სული, ჩვენს სხეულს რომ ამოძრავებს. თუ ის ჩვენ გვგავს, თუ ჩვენ მას ასე ვგავართ, თუ ყველაფერი, რაც მასშია, ჩვენშიც არის, თუ ის ჩვენს მეთოდებს იყენებს, ჩვენი ჩვევები, ჩვენი საქმიანობები, უკეთესისკენ მიმართული ჩვენი ტენდენციები და სურვილები ახასიათებს, მაშინ განა არალოგიკურია იმ ყველაფრის იმედით ყოფნა, რისი იმედიც ინსტინქტურად, წინაღუდგომლად გვასულდგმულებს, რამდენადაც თითქმის ეჭვმიუტანელია, რომ თვით *ისიც* იმედოვნებს? ნუთუ დასაშვებია, რომ როდესაც ცხოვრებაში გაფანტულ ამდენ გონსა თუ გონიერებას ვპოულობთ, ამ ცხოვრებამ ისევ და ისევ გონის საქმე არ აკეთოს, ანუ საბოლოო მიზნად არ ჰქონდეს ბედნიერება, სრულქმნილება, გამარჯვება იმაზე, რასაც ჩვენ ბოროტებას, სიკვდილს, წყვდიადს, არარაობას ვუწოდებთ და რაც ალბათ სხვა არაფერია, თუ არა მისი სახის ჩრდილი ან მისივე ძილი?

შენიშვნები

[1] შევუპირისპიროთ ამას გონიერება კიდევ ერთი ფესვისა, რომელიც მიწაში ზრდისას ძველი ჩექმის ძირს გადააწყდა. რათა გადაელახა ეს დაბრკოლება, რომელსაც თავისი სახეობიდან, როგორც ჩანს, პირველი სწორედ ის შეხვდა, ფესვი იმდენ ნაწილად გაიყო, რამდენი ბოჭკოსგანაც შედგებოდა, დაბრკოლების გარშემოვლის შემდეგ კი ყველა განცალკევებული ძაფი კვლავ შეაერთა და ისევ ერთადერთ ფესვად გამთლიანდა.

[2] ოთეოსკოპი: მიღებული იმპულსის ძალის გამზომი საზომი ხელსაწყო.

[3] იმ მცენარეთა შორის, რომლებიც თავს აღარ იცავენ, ყველაზე გამაოგნებელია სალათის (*Lactuca saliva*) მაგალითი. „თუ ველურად მცხოვრებ მცენარეს გადავუტეხავთ ღეროს ან ფოთოლს, დავინახავთ იქიდან გადმოდენილ თეთრ წვენს — რძეწვენს — სხვადასხვა კომპონენტისგან შემდგარ ნივთიერებას, რომელიც მცენარეს ძალუმად იცავს ლორწოვან არსებათაგან. — აღნიშნავს ზემოთ ციტირებული ავტორი. — და პირიქით: მოშინაურებულ სახეობაში, რომელიც სათავეს ველური წინაპრიდან იღებს, რძეწვენი თითქმის აღარ არსე-

ბობს და თვით მცენარესაც, მებაღეთა სავალალოდ და გულდასაწყვეტად, აღარ შესწევს ბრძოლის უნარი და ლორწოვანების მსხვერპლი ხდება.“ ამას უნდა დავუმატოთ, რომ რძეწვენი მხოლოდ ნორჩ მცენარეებს აკლიათ, ხოლო მაშინ, როდესაც სალათი მრგვალდება და თესლს იკეთებს, რძეწვენი ისევ დიდი რაოდენობით უგროვდება. მართლაცდა, ამ მცენარეს დაცვა მხოლოდ მისი ცხოვრების დასაწყისში, ანუ პირველი და ნაზი ფოთლების პერიოდში სჭირდება, თითქოს მოშინაურებულს, ასე ვთქვათ, თავგზა ებნევა და ზუსტად ვეღარ საზღვრავს, სად იმყოფება.

[4] ამ შტუდირების დასაწყიში, შტუდირების, რომელიც შეიძლებოდა ყვავილის ქორწინების ოქროს წიგნად გადაქცეულიყო (ამაზე ჩემზე უფრო მცოდნე ადამიანმა იზრუნოს), ეგებ ზედმეტი არ იყოს მივუთითო მკითხველს დეფექტურ და თავგზისამბნევ ტერმინოლოგიაზე, რომელსაც იყენებენ ბოტანიკაში მცენარეთა გამრავლების ორგანოების სახელდებისთვის. მდედრ ორგანოში, ბუტკოში, რომელიც შეიცავს კვერცხსადებს, ბუტკოს სვეტს და მის დამგვირგვინებელ დინგს, ყველაფერი მამრობითი სქესისაა და ყველაფერი მამაკაცური ჩანს. და პირიქით: მამრობით ორგანოებს, მტვრიანების ზემო განთავსებულ მტვრიანებს მთლად გოგონას სახელი ჰქვია. ცუდი არ იქნებოდა, ერთხელ მაინც გაგვეაზრებინა მთელი ეს ანტონიმური გარემო.

[5] მენსტრუაციის გამაძლიერებელი საშუალება.

[6] ანემოფილები: მცენარეები, რომლებიც ქარით იმტვერებიან.

[7] ენტამოფილები: მცენარეები, რომლებიც იმტვერებიან მწერების მეშვეობით.

[8] უკვე რამდენიმე წელია ვატარებ ექსპერიმენტების სერიას სალბების შეჯვარებაში. ქარის თუ მწერების ყოველგვარი ჩარევის თავიდან ასაცილებლად ვიცავ უსაფრთხოების ზომებს და ხელოვნურად ვანაყოფიერებ სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენელს (რომელთა შიდა-საყვავილე მექანიზმი ერთობ სრულქმნილია) ძალზე დაძველებული და სრულიად ახალი ყვავილის მტვრით. ეს დაკვირვებები ჯერ არასაკმარისად ბევრია საიმისოდ, რომ აქ დაწვრილებით გადმოვცე. მიუხედავად ამისა, თითქოს უკვე იკვეთება საერთო კანონზომიერება: ჩამორჩენილი სალბი მზადყოფნით იღებს მოწინავის მექანიზმში არსებულ გაუმჯობესებებს, ხოლო ეს უკანასკნელი იშვიათად თუ იგუებს პირველის ნაკლოვანებებს. ეს იქნებოდა საკმაოდ საგულისხმო ცელქობა ბუნების მოქმედებების, ჩვევების, პრეფერენციების, უკეთესისკენ მიდრეკილების მიმართ. მაგრამ ეს ექსპერიმენტები ძალაუნებურად ნელი და გრძელია, რასაც იწვევს სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენელთა შესაერთებლად, გამოცდილებისა და კონტრ-გამოცდილების მისაღებად დახარჯული დრო. ამიტომ ნაადრევი იქნებოდა რაიმე დასკვნის გამოტანა.

[9] ბუნების აღმოჩენილი საიდუმლო.

[10] როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, მ. ბუვიემ მეცნიერებათა აკადემიაში წაიკითხა მოხსენება პარიზში (1906 წლის 7 მაისის ანგარიში), ღია ცის ქვეშ ფუტკრების ორი სხვადასხვა ოჯახის დაბუდების შესახებ. ერთი მათგანი ეხებოდა დაბინადრებას *Sophora Japonica*-ზე, მეორე — ცხენისწაბლაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეს უკანასკნელი, სადაც ფუტკრებმა დაიბუდეს პატარა ტოტზე, რომელსაც ორი განტოტება ჰქონდა საკმაოდ ახლო-ახლოს. აი, გამორჩეულად რთულ პირობებთან ადაპტირების ნათელი და გონიერი შემთხვევა. „ფუტკრებმა შექმნეს გასამაგრებელი საბრჯენები, დაცვის ნამდვილად საუცხოო ხერხებს მიაგნეს და, საბოლოოდ, იმით დაამთავრეს, რომ ცხენისწაბლას ორმაგი ტოტი მტკიცე ჭერად აქციეს. საზრიანი და მოხერხებული კაცი ასეთ თავშესაფარს ვერ აიგებდა. წვიმისგან თავდაცვის მიზნით, მათ გააკეთეს მესრები, შესქელებები, ხოლო მზის საწინააღმდეგოდ — დარაბები. ვერ შევიქმნით წარმოდგენას ფუტკრების ინდუსტრიის სრულქმნილებაზე, თუკი ახლოდან არ შევხედავთ ამჟამად მუზეუმში დაცული ამ ორი ბუდის არქიტექტურას.“ (მ. დე პარვილის რეზიუმე სამეცნიერო ჟურნალში „დება“, 31 მაისი,1906).

ფრანგულიდან თარგმნა ***დათო აკრიანმა***

ჰერმან ჰესე

თარგმანი ეძღვნება ანას

პატარ-პატარა სიხარულები

ჩვენს დროში ნებისმიერი ხალხის უდიდესი ნაწილი უსიხარულოდ და უსიყვარულოდ მიუყვება თავისი ცხოვრების გზას. სალუქი სულის ადამიანებს ჩვენი, სრულიად არაშემოქმედებითი ცხოვრების წესი თრგუნავს, ტკივილს აყენებს და განიზიდავს.

ხელოვნებასა და პოეზიაში რეალიზმის მოკლე პერიოდის შემდეგ ყველგან რაღაც უკმაყოფილება იგრძნობა, რისი აშკარა ნიშანიც რენესანსის მონატრება და ახალი რომანტიზმია.

„თქვენ რწმენა გაკლიათ!“ — იძახის ეკლესია, და „თქვენ გაკლიათ ხელოვნება!“ — იძახის ავენარიუსი. ოღონდაც. მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველას სიხარული გვაკლია. ზეაწეული ცხოვრების მჩქეფარე სწრაფვა, ცხოვრების აღქმა სასიხარულო საქმედ, დღესასწაულად, განა, კაცმა რომ თქვას, ამით არ გვიზიდავს რენესანსი ესოდენ თავბრუდამხვევად?

წუთების თვლა, სიჩქარე, როგორც ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, ეჭვი არ არის, სიხარულის უსაშიშესი მტერია. მონატრების ღიმილით ვკითხულობთ გარდასულ დროთა იდილიებსა და გრძნობამორეულ მოგზაურობებს. რისთვის აღარ ჰქონდათ დრო ჩვენს წინაპრებს! ერთხელ, როდესაც ფრიდრიჰ შლეგელის ეკლოგი წავიკითხე, მოცალეობას რომ ეძღვნება, გავიფიქრე: ერთი ის საქმეები გქონოდა გასაკეთებელი, ჩვენ რომ ვაკეთებთ, ვნახავდი შენს ოხვრა-კვნესას მეთქი!

თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება: კარგა ხანია, სამწუხარო აუცილებლობად აღვიქვამთ, რომ ეს სიჩქარე აღზრდის უადრეს საფეხურზევე გვიპყრობს და ესოდენ უკეთურ გავლენას ახდენს ჩვენს სულზე. მთლად სავალალო კი ის არის, თანამედროვე ცხოვრების ამ ნაჩქარეობამ უკვე ჩვენი მოცალეობის უმცირესი კუნჭულებიც რომ დაიპყრო.

დასვენებისა და ტკბობის ჩვენეული წესი სულაც არ გამოირჩევა იმაზე ნაკლები ნერვიულობითა და დაძაბულობით, რითაც ჩვენი მუშაობის პროცესი აღბეჭდილა.

„რაც შეიძლება ბევრი და რაც შეიძლება ჩქარა“ — ეს არის ლოზუნგი.

ამას კი სულ უფრო მეტი ზერელე კმაყოფილება და სულ უფრო ნაკლები სიხარული მოსდევს. ვინც კი დაჰკვირვებია დიდ დღესასწაულს, ან სიამოვნებათა სხვა ადგილებს ქალაქებსა თუ, მით უმეტეს, დიდ ქალაქებში, მის ხსოვნას მტკივნეულ და ზიზღისმომგვრელ სურათებად შერჩება თითქოსდა შუშისთვალებიანი, ალმურადენილი, შეშლილი სახეები. და ეს ავადმყოფური, მარადიული დაუკმაყოფილებლობით გამომშრალი და თან მოყირჭებული ტკბობის ყაიდა თვით თეატრებში, ოპერის სახლებში, დიახ, საკონცერტო დარბაზებსა და ნახატების გალერეებშიც კი პოულობს ადგილს. თანამედროვე ხელოვნების გამოფენის დათვალიერება იშვიათად თუ მოგანიჭებთ სიამოვნებას.

ამ უკეთურებას მდიდარი კაციც ვერ აღწევს თავს. შეეძლო კი, მაგრამ არ შეუძლია. უნდა აჰყვე, ის უნდა გააკეთო, რასაც სხვები აკეთებენ! აბა, არ ჩამორჩე, აბა, არ გაჩერდე, შენი სიმაღლიდან ძირს არ დაეშვა!

სხვებისა არ იყოს, მეც არ ვიცი უნივერსალური რეცეპტი ამ სიბედკრულის წინააღმდეგ. მაგრამ მსურს ჩემს მოგონებაში ერთ ძველ, სამწუხაროდ, სრულიად არათანამედროვე კერძო საშუალებას მოვუხმო:

ზომიერი სიამოვნება ორმაგი სიამოვნებაა.

და: თვალს ნუ აარიდებთ პატარ-პატარა სიხარულებს!

მაშასადამე: დავიცვათ ზომიერება. საზოგადოების ზოგ წრეში დიდი გაბედულება სჭირდება იმას, რომ რაიმე პრემიერა გააცდინო. უფრო ფართო წრეებში დიდი გაბედულება იმას სჭირდება, რომ არ გაეცნო რაღაც ლიტერატურულ სიახლეს მისი გამოსვლიდან რამდენიმე კვირის მანძილზე. ხოლო უფართოეს წრეებში თავი მოგეჭრება, თუ დღევანდელი გაზეთი არ გექნა წაკითხული. მაგრამ ვიცნობ ზოგ-ზოგს, რომლნიც სულაც არ ნანობენ, ასეთი გაბედულებანი რომ არ გააჩნიათ.

ვისაც თეატრის აბონემენტი აქვს, ნუ ეგონება, თითქოს ბევრ რამეს ჰკარგავს, თუკი მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ გამოიყენებს მას. გარანტიას ვაძლევ: ამით მოიგებს.

ვინც მიჩვეულია, ერთბაშად უამრავი სურათი ნახოს, სცადოს ერთხელ, თუკი კიდევ შესწევს ამის უნარი, ერთი საათი ან უფრო მეტი გაატაროს მხოლოდ ერთი მხატვრის ნამუშევართა წინაშე და იმ დღეს ამით დაკმაყოფილდეს. ნამდვილად მოიგებს.

იგივე უნდა სცადოს იმან, ვინც ბევრს კითხულობს. ერთი-ორჯერ გაბრაზდება, როცა რაღაც ახალ წიგნზე საუბრისას სხვებს ვეღარ აჰყვება. ერთი-ორჯერ ღიმილს გამოიწვევს სხვათა ბაგეებზე. მაგრამ მალე თავადვე გაეღიმება და სხვებზე მეტი ეცოდინება.

და გინდაც სხვა შეზღუდვები არ გამოუვიდეს, ყველამ სცადოს გამოიმუშაოს ჩვეულება: კვირაში ერთხელ მაინც 10 საათზე დაიძინოს. გაოცდებით, დროისა და სიამოვნების ეს პატარა შეზღუდვა რა დიდებულად აგინაზღაურდებათ!

ზომიერების დაცვის ჩვეულებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული პატარ-პატარა სიხარულებით ტკბობის უნარი. რადგან ეს უნარი, თავდაპირველად თითოეული ადამიანის თანდაყოლილი უნარი რომ იყო, ისეთ საგნებს გამოიხმობს წინა პლანზე, ახლანდელ ყოველდღიურ ყოფაში დიდწილად რომ ჩაკვდა და დაიკარგა. ლაპარაკია სიყვარულზე, სიხარულზე და პოეზიაზე. ეს პატარ-პატარა სიხარულები, სწორედაც რომ საჩუქარი ღარიბებისთვის, ისე შეუმჩნევლად და უხვად მოფანტულა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ მუშა ადამიანების დახშული გრძნობები მათ ვეღარ აღიქვამს. ისინი თვალში არ გვეცემიან, მათ არ განადიდებენ, ისინი არაფერი არ ღირან! (უცნაურია: სწორედ ღარიბებმა არ იციან, რომ უმშვენიერესი სიხარულები ყოველთვის ის არის, რაშიც ფულს არ იხდი).

ამ სიხარულებს შორის ყველაზე მაღლა ისინი დგანან, რომელთაც ბუნებასთან შეხება გვანიჭებს. პირველ რიგში ჩვენს თვალებს — თანამედროვე ადამიანის ზედმეტად ექსპლუატირებულ, გადაძაბულ თვალებს — შესწევთ უნარი, სურვილის შემთხვევაში უშრეტი სიხარული განგვაცდევინონ. როდესაც დილაობით სამსახურში მივდივარ, გზად უამრავი ადამიანი მხვდება, ჩემს მსგავსად სამუშაოდ რომ მიეჩქარება; ძილიდან და ლოგინებიდან ახლად გამომძვრალები ოდნავ ძაგძაგებენ და ფეხაჩქარებით ჭრიან ქუჩას. უმეტესობა გზას დასჩერებია, ან დიდი-დიდი გამვლელთა ტანსაცმელსა თუ სახეებს შეავლებს ხოლმე თვალს. მაღლა ასწიეთ თავი, მეგობრებო! ერთხელაც სცადეთ — ხისა თუ ცის ნაგლეჯის დანახვა ხომ ყველგან შეიძლება! არ არის აუცილებელი, მაინცადამაინც ლურჯი ცა იყოს, მის ყველანაირ სითეთრეში შეიგრძნობთ მზის შუქს. მიაჩვიეთ თქვენი თავი, რომ ერთი წამით მაინც შეხედოთ ცას, და უცბად იგრძნობთ ჰაერს თქვენს ირგვლივ, დილასისხამის შემოსუნთქებას, ძილსა და შრომას შორის რომ გეწყალობათ. თქვენ აღმოაჩენთ, რომ ყველა სახურავსა და სახურავის თითოეულ კუთხეს განსაკუთრებული განათება აქვს. ცოტა ყურადღება მაინც მიაქციეთ და მთელი დღის მანძილზე თან გაიყოლებთ სასიმოვნო შეგრძნების ნარჩენსა და ბუნებასთან თანაცხოვრების პაწია ნაწილს. თანდათან თქვენი თვალი თავად აღზრდის საკუთარ თავს, რათა მუდამ ასრულებდეს შუამავლის როლს თქვენსა და ურიცხვ პატარ-პატარა მომხიბლაობებს შორის; რათა მუდამ მოიხელთოს ბუნება, ქუჩები, ყოველდღიური ცხოვრების უშრეტი კომიკურობა. და აქედან ნახევარი გზაღა დაგრჩებათ შემოქმედებითად აღზრდილ მზერამდე. მთავარი დასაწყისია — თვალის ახელა.

ცის ნაგლეჯი, ბაღის ღობე, მწვანე ტოტები რომ გადმოჰფენია, დაკუნთული ცხენი, ლამაზი ძაღლი, ბავშვების ჯგუფი, ქალის ლამაზი თავი — მოდით, ნუ გავძარცვავთ ჩვენს თავს ამ ყველაფრისაგან. და ვინც ამ საქმეს შეუდგება, ის შესძლებს კიდეც გზადაგზა უამრავი ძვირფასი საგნის დანახვას, ისე რომ წუთიც არ დაეკარგება.

ამასთან ასეთი ყურება, ასეთი დანახვა არათუ არ დაგღლით, არამედ პირიქით: მთელს თქვენ არსებას გააძლიერებს და გაახალისებს და არა მხოლოდ თვალებს.

ყველა საგანს გააჩნია თვალსაჩინო მხარე, ასევე უინტერესო და მახინჯიც. მხოლოდ უნდა გინდოდეს დანახვა.

და ხედვასთან ერთად მოდის სილაღე, სიყვარული და პოეზია. კაცი, რომელიც პირველად მოწყვეტს ყვავილს, რათა მუშაობის დროს თავის სიახლოვეს იქონიოს, ნამდვილ წინსვლას აღწევს სიცოცხლის სიხარულის გზაზე.

ერთი სახლის წინ, სადაც კარგა ხანს მომიწია მუშაობა, გოგონების სკოლა მდებარეობდა. ათი წლის ბავშვების კლასს სწორედ ჩემი სახლის მხარეს ჰქონდა თავისი სათამაშო მოედანი.

ბევჯითად უნდა მემუშავა და ხშირად მტანჯავდა მოთამაშე გოგონების ყიჟინა, მაგრამ, ვერ აგიწერთ, რაოდენ სიხარულსა და სიცოცხლის ხალისს მანიჭებდა იმ სანახაობისთვის თუნდაც თვალის ერთი შევლება.

ეს ფერად-ფერადი პატარა კაბები, ეს ცინცხალი, მხიარული თვალები, ეს სხარტი და ძლიერი მოძრაობები ჩემში სიცოცხლის სიხარულს აძლიერებდნენ. ცხენოსანთა სკოლა ან ქათმების ეზო ალბათ იგივე სამსახურს გამიწევდა.

ვინც ერთხელ მაინც დაკვირვებია ერთფეროვან სიბრტყეზე, მაგალითად, სახლის კედელზე სინათლის თამაშს, მან იცის, თუ რა თვითმკმარი და ტკბობისუნარიანია თვალი.

ვიკმაროთ ეს მაგალითები. ზოგ მკითხველს ნამდვილად უკვე გაახსენდა სხვა პატარა სიხარულები. მაგალითად, ყვავილისა თუ ნაყოფის დაყნოსვის დიდებული სიხარული, საკუთარი თუ სხვათა ხმების გაგონების სიხარული, ბავშვების საუბრისათვის მიყურადების სიხარული; რაიმე მელოდიის ღიღინი თუ სტვენაც ამ სიხარულებს განეკუთვნება და კიდევ მრავალი სხვა რამ. და ამ პატარ-პატარა სიხარულებისაგან დაწნული მანათობელი გირლიანდი შეგვიძლია ჩვენს სიცოცხლეს შემოვახვიოთ.

ყოველდღე განიცადეთ რაც შეიძლება ბევრი პატარა სიხარული, ხოლო უფრო დიდი, დამძაბველი სიხარულები მომჭირნედ გადაანაწილეთ დასვენების დღეებსა და იშვიათ საათებზე, — ეს არის რასაც ვურჩევდი ყველას, ვინც იტანჯება დროის უკმარისობითა და უხალისობით.

დასვენებისთვის, ყოველდღიური განტვირთვისთვის, ყოველდღიური ხსნისა და შვებისთვის ჩვენ დიდი კი არა, პატარა სიხარულები გვაქვს მოცემული.

1899 წ.

მარტინის დღიურიდან

გუშინწინ ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დღე იყო. ამ დღეს პირველად განვიცადე და ვიგრძენი რაღაც, რასაც უწინ საერთოდ არ ვიცნობდი და რასაც, როგორც ახლა მეჩვენება, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე დღენიადაგ ვეძებდი და წინათვგრძნობდი.

ეს სიზმრებთანაა დაკავშირებული. სიზმრები მუდამ მიტაცებდნენ და ხშირად შევუპყრივარ განცვიფრებასა და სევდას იმის თაობაზე, თუ რა სწრაფწარმავალნი არიან ისინი, რა საჩქაროდ იფანტებიან დილით, რა შემკრთალნი გარბიან შორს, გონება თუნდაც ოდნავ რომ შეეხება. რა ხშირად, რა ძალიან ხშირად გამღვიძებია ჩემს საწოლში და ჩემში აღმომიჩენია ახალი გრძნობა, რაღაც ლამაზი, უცხო, ენით აღუწერლად ახალი, ნაზი, საყვარელი, საკვირველი, სახუმარო! ასე მეგონა ხოლმე, ჩემსა და სამყაროს შორის ახალი ურთიერთობა დამყარდა მეთქი, თითქოს ახალი გრძნობა გამჩენოდეს, რომელიც ჩემი ძველი, ჩვეულებრივი გრძნობათა ორგანოების აღქმებს სრულიად ახლებურად აკავშირებდა ერთმანეთთან, ადასტურებდა და ცვლიდა კიდეც.

რაღაც მსგავსი შეეძლო განეცადა ბრმას, რომელიც ჩვეულებრივ მხოლოდ ხელით და ყნოსვით შეიგრძნობდა ვარდს და რომელსაც უცებ თვალი აეხილა და პირველად იხილა ხილული ხატი იმისა, რაც მარტოოდენ ყნოსვითა და შეხებით შეეძლო წარმოედგინა. დანახვის, შეხების, მოსმენის, ყნოსვისა და გემოს უნართა გარდა მე განვიცადე, თუ გამოვიგონე რაღაც ახალი შეგრძნების, ანდა აღქმის უნარი. როდესაც გამოვერკვეოდი ხოლმე, იმ ღამით ნანახი სიზმარი თუ სიზმრის ნაგლეჯი მახსენდებოდა: დავფრინავდი; შეყვარებული მყავდა, რომელიც შემეძლო ყოველგვარი ბგერისა და ხელის დაქნევის გარეშე მიმეხმო და მიმეზიდა, რომელიც ნაზად და მგრძნობიარედ მისდევდა ჩემი სულის ყოველ რხევას.; ჰაერს ისე ვსვამდი, თითქოს ღვინო ყოფილიყო, ანდა წყალში ისე ვსუნთქავდი, როგორც ჰაერში.

და როდესაც სიზმარს ვიხსენებდი, ეს ახალი შეგრძნება კიდევ ერთხელ ამოანათებდა ხოლმე ღრმად და მომნუსხველად, მაგრამ უკვე ნაღვლიანი შუქით შემოსილი იმ არსებასავით, რომელიც გემშვიდობება და აღარასდროს დაგიბრუნდება.

შემდეგ მოდიოდა ფიქრები, სრული გამოფხიზლება და გამორკვევა, და სიზმარი და მისი ბედნიერება სულ უფრო და უფრო მშორდებოდა და ნამდვილობას კარგავდა.

და როდესაც საწოლიდან ვდგებოდი, ყველაფერი უკვე გამქრალი იყო და აღარაფერი მრჩებოდა დანაკარგისა და გაძარცულობის ჩუმი, შიშნეული შეგრძნების გარდა, რომელიც ერთვოდა განცდას, სინდისის ქენჯნის გემო რომ დაჰკრავდა, — თითქოს რაღაც სულელური რამ ჩამედინოს, თითქოს მევე დამეზიანებინოს და მომეტყუებინოს საკუთარი თავი.

და მაშინ ზოგჯერ გავიფიქრებდი ხოლმე, სწორედაც რომ სიზმრიანობაა ის, რაც შეიძლება როგორც თვითმოტყუება ამხილო და თავიდან მოიშორო მეთქი. მაგრამ პირიქით იყო: სიზმრის ნახვა სიძვირფასედ ჩანდა, და მისი გაუქმება, მართვა თუ დავიწყება უგუნურება იქნებოდა. რამდენჯერმე უკვე სრულიად, სრულიად ახლოს ვიყავი ამ შემეცნებასთან, უკვე ისე ძლიერ ვგრძნობდი მას, როგორც მუჭში მომწყვდეული პატარა ჩიტის ფრთხიალს და ისევ ვკარგავდი და ნაღლიანი და გაღატაკებული ვრჩებოდი ისევ — აი, ახლა კი ხელთ მიპყრია: ჩემი ახალი შემეცნება, ახალი გამოცდილება, ან რაც არის.

რასაც ადრე ვფიქრობდი და ვჩხრეკდი, მოსაყოლად არ ღირს. მაგრამ რაც უფრო შევდიოდი ხანში და რაც უფრო მეტად ვტკბებოდი პატარ-პატარა სიხარულებით, ცხოვრებაში რომ ვპოულობდი, მით უფრო ცხადი ხდებოდა ჩემთვის, სად უნდა მეძებნა სიხარულისა და სიცოცხლის წყარო. მე გავიგე, რომ უყვარდე არაფერია, გიყვარდეს — ყველაფერი. და მეგონა, სულ უფრო და უფრო აშკარად ვხედავდი, რომ რაც კი ძვირფასი და საყვარელი გააჩნდა ჩვენს მიწიერყოფნას, სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩვენი გრძნობა და შეგრძნება. თუკი ამქვეყნად რაიმე მენახა, რისთვისაც შეიძლებოდა „ბედნიერება“ ეწოდებინათ, ის შეგრძნებებისაგან შედგებოდა. ფული არაფერი იყო, ძალაუფლებაც — არაფერი. მრავალი მენახა, ორივე რომ ჰქონდა, და ღატაკი იყო. სილამაზეც არაფერს ნიშნავდა. იყვნენ ლამაზი ქალები და კაცები, და მთელი თავიანთი სილამაზით უბედურები იყვნენ. არც ჯანმრთელობა იწონიდა მაინცადამაინც ბევრს. ყველა იმდენად იყო ჯანმრთელი, რამდენადაც თავს გრძნობდა ჯანმრთელად. ზოგ ავადმყოფში სიკვდილამდე სიცოცხლის ხალისი ჩქეფდა და ზოგი ჯანმრთელი ტკივილის წინაშე შიშით დათრგუნული ჭკნებოდა. ბედნიერება კი ყველგან იყო იქ, სადაც კაცს ძლიერი გრძნობები გააჩნდა და მათთან ერთად ცხოვრობდა, ამ გრძნობებს არ სდევნიდა და ძალას არ ატანდა, არამედ უვლიდა და ტკბებოდა მათით. სილამაზეს ბედნიერება იმ ადამიანისთვის კი არ მოჰქონდა, ვინც ლამაზი იყო, არამედ მათთვის, ვისაც მისი სილამაზის სიყვარული და თაყვანისცემა შეეძლო.

მრავალნაირ გრძნობებს ვხედავდი ჩემს ირგვლივ, მაგრამ, არსებითად, ისინი ერთ გრძნობას წარმოადგენდნენ. შეუძლიათ ყველანაირ გრძნობას ნება უწოდონ. მე სიყვარულს ვუწოდებ.

ბედნიერება სიყვარულია, სხვა არაფერი. ვისაც სიყვარული შეუძლია, ბედნიერია.

ჩვენი სულის ყოველი მოძრაობა, რომელშიც სული საკუთარ თავსა და სიცოცხლეს შეიგრძნობს, არის სიყვარული. სიყვარული დაბრძენებული ნდომაა; სიყვარულს არ სურს ფლობა; სიყვარულს სურს უყვარდეს. ამიტომ ის ფილოსოფოსიც ბედნიერი იყო, რომელიც თავის სიყვარულს სამყაროსადმი აზრების ბადეში ანანავებდა და მუდამ ხელახლა ახვევდა სამყაროს ამ ბადეში. მაგრამ მე ფილოსოფოსი არ ვიყავი.

ვერც მორალისა და სიქველის გზაზე მოვიხელთე ბედნიერება. რადგანაც ვიცოდი, რომ ბედნიერების მონიჭება მხოლოდ იმ სიკეთეს შეუძლია, რომელსაც ჩემში ვგრძნობ, ვიგონებ და შევმართავ, რომელიც ჩემგან გამოდის და, აბა, როგორღა შემეძლო სხვისი სიკეთით მესაზრდოვა და გავზრდილიყავი! მაგრამ ამას კი ვხედავდი: სიყვარულის მცნება, სულ ერთია, ვინ გვასწავლიდა მას, იესო თუ გოეთე, ეს მცნება მთელი მსოფლიოს მიერ მცდარად იყო გაგებული. ეს საერთოდ აღარ იყო მცნება! მცნებები ჭეშმარიტებანია. ასე მიაწვდის შემმეცნებელი მათ, ვინც არ არის შემმეცნებელი. ეს უკანასკნელნიც ასევე აღიქვამენ. ამდენად, მცნებები მცდარად გაგებული ჭეშმარიტებანია. ყოველი ჭეშმარიტების საფუძველთა საფუძველია: ბედნიერება მხოლოდ სიყვარულს მოაქვს. და თუ ვიტყვი: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ — ეს უკვე გაყალბებული სწავლებაა. ვინ იცის, შეიძლება, უფრო სწორი ყოფილიყო თქმა: „გიყვარდეს თავი შენი, ვითარცა მოყვასი შენი“, და შეიძლება უძველესი შეცდომაა ის, რომ მუდამ მოყვასით ვიწყებთ...

ყოველ შემთხვევაში: ჩვენს უღრმეს შინაგანობას ბედნიერება სწყურია, სწყურია თანაჟღერა და ჰარმონია იმასთან, რაც ჩვენს გარეთაა. ეს ჟღერა ფერხდება, როგორც კი ჩვენი დამოკიდე-

ბულება რომელიმე საგანთან სიყვარული კი არა, რაღაც სხვაა. არ არსებობს სიყვარულის ვალდებულება. არსებობს ერთადერთი ვალდებულება: იყო ბედნიერი. მთელი ამ მოვალეობებით, მორალითა და ყველა მცნებით იშვიათად მიგვინიჭებია ერთმანეთისთვის ბედნიერება, რადგან ამ ყოველივეთი ჩვენს საკუთარ თავს ვერ ვხდით ბედნიერს. თუკი ადამიანს შეუძლია კეთილი იყოს, მხოლოდ მაშინ, როცა ბედნიერია, ანუ, როცა უყვარს.

და უბედურება სამყაროში, უბედურება ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ იქიდან მოდიოდა, რომ ჩემი სიყვარული იყო ხოლმე შეფერხებული. და ამის შემხედვარეს უეცრად გამიცხადდა სახარების მცნებათა სიღრმე და ჭეშმარიტება. „თუ არ გახდებით როგორც ბავშვები...“ — ან : „ცათა სასუფეველი თქვენს შიგნითაა.“

ეს იყო მოძღვრება, ერთადერთი მოძღვრება სამყაროში. ამას ამბობდა იესო, ამას ამბობდა ბუდა, ამას ამბობდა ჰეგელი, თითოეული თავისებურად თავის თეოლოგიაში. ყოველი მათგანისათვის ამქვეყნად უმთავრესი მისი საკუთარი შინაგანობა — მისივე სული — მისივე სიყვარულის უნარი იყო.

თუ სიყვარულის საქმე წესრიგშია, დანარჩენი სულერთია, ხმიადს შეექცევი თუ ნამცხვარს, ძონძებს ატარებ თუ სამკაულებს, — ამ დროს სამყარო თავის წმინდა ხმას უწყობს შენს სულს, ამ დროს სამყარო კარგია, წესრიგშია.

...ადამიანს საკუთარ თავზე მეტად არაფერი შეუძლია უყვარდეს. ადამიანს საკუთარ თავზე მეტად არაფერი შეიძლება აშინებდეს. ასე წარმოიშვა პრიმიტიული ადამიანის მითოლოგიასთან, მცნებებსა და რელიგიებთან ერთად გადატანითი მნიშვნელობების, მოჩვენებითობის ის სისტემა, რომელშიც ადამიანის სიყვარული საკუთარი თავისადმი, რასაც ეფუძნება სიცოცხლე, აკრძალულად ითვლებოდა და გასაიდუმლოებული იყო. ის დაფარული, შენიღბული უნდა ყოფილიყო. სხვისი სიყვარული უფრო უკეთესად, ზნეობრივად, კეთილშობილად ითვლებოდა. და რადგანაც თვითსიყვარული თავდაპირველი ინსტინქტი იყო და მოყვასის სიყვარული მის გვერდით ვერასოდეს ხარობდა რიგიანად, გამოიგონეს შენიღბული, მაღალფარდოვანი, სტილიზებული თვითსიყვარული, მოყვასის სიყვარულის სახით, ორმხრივობას რომ გულისხმობდა.

...ასე იქცა ოჯახი, გვარი, სოფელი, რელიგიური თემი სიწმინდედ... ადამიანს, რომელსაც თავისი თავის სიყვარულის გულისთვის უმცირესი ზნეობრივი მცნების დარღვევის უფლებაც კი არა აქვს, — შეუძლია მრევლისთვის, თემისთვის, ხალხისა და სამშობლოსთვის ყველაფერი ჩაიდინოს, თვით შემზარავი რამეც კი, და ყოველგვარი ასეთი ინსტინქტი, ყველა სხვა შემთხვევაში გაკიცხვის საგანს რომ წარმოადგენს, აქ მოვალეობად და გმირობად ცხადდება. აქამდეა განვითარებული დღესდღეობით კაცობრიობა. შეიძლება დროთა ვითარებაში ნაციონალური კერპებიც დაემხონ, და ხელახლა აღმოჩენილ სიყვარულში მთელი მსოფლიოსადმი ეგებ იმ უძველესმა მოძღვრებამაც თავიდან მოიპოვოს თავისი ადგილი.

ასეთი შემეცნება კაცს ნელ-ნელა უვითარდება, მასთან ადამიანი სპირალური გზით მიდის. თუმცა, ჰგონია, თითქოს ერთ ნახტომში მოიპოვა ის.

მაგრამ შემეცნება ჯერ კიდევ არ არის სიცოცხლე. ის არის გზა სიცოცხლისაკენ, და ზოგი სამარადჟამოდ გზაში რჩება. ამ გზას მეც ვგრძნობდი გუმანით, მჯეროდა, რომ ცოდნითაც ვიცოდი ის, და მაინც ნამდვილად ვერასოდეს მივდიოდი წინ.

იყო წინსვლები და უკუსვლები, ენთუზიაზმი და სიმხდალე, რწმენა და გაწბილება. და, როგორც ჩანს, ეს ყოველივე მუდამ დარჩება.

მაგრამ, აი, გუშინწინდელს აქეთ ამ გზაზე ერთი ნაბიჯით წავედი წინ. ცხოვრებაში პირველად მეღირსა, მცირე ხნით შემეკავებინა ის, რაც, ჩვეულებრივ, თვალსა და ხელს შუა მიქრებოდა. მცირე ხნით ჩემს საკუთრებად მქონოდა ის, რაც ჩვეულებრივ ოქროს ჩიტივით გამიფრინდებოდა ხოლმე.

აი, ეს არის ჩემი განცდა: გუშინწინ ჩემს ცხოვრებაში პირველად შევინარჩუნე მთელი დღის მანძილზე ღამით ნანახი სიზმრის აზრი და ბედნიერება, არსი და შეგონება. საათების განმავლობაში მქონდა კავშირი იმ სამყაროსთან, რომელთანაც მხოლოდ სიზმარში ვამყარებთ კავშირს. საათების განმავლობაში მქონდა ისეთი უნარები, რომლებიც ჩვეულებრივ დღისით არა აქვთ.

ღმერთმა დამიფაროს იმისგან, რომ ეს მოვყვე. ეს პირველი ასეთი განცდა- გამოცდილება მეტისმეტად საყვარელი, მეტისმეტად სალუქი, მეტისმეტად ღვთაებრივი, მეტისმეტად მოციმ-ციმეა და იდუმალი ოქროსგან ქმნილი იმისათვის, რომ მისი თითებით შეხება, მისი ფიქრებით, სიტყვებითა და მელნით დასვრა მომეწადინებინა.

მაგრამ ეს განცდა განმეორდა, გუშინაც და დღესაც. მე კი მსურს, რომ ის ასჯერ და ათას-ჯერ, დღეცისმარე მეორდებოდეს, რომ შეწყვიტოს საიდუმლოდ და სასწაულად ყოფნა და დღედ და ბუნებად იქცეს, მსურს მე მეკუთვნოდეს და თავისთავად ცხადი რამ იყოს.

1918 წ.

გერმანულიდან თარგმნა ***ნაირა გელაშვილმა***

მარინა ცვეტაევა

ტყვექმნილი სული

(ჩემი შეხვედრა ანდრეი ბელისთან)

I

ლეგენდის დასაწყისი

Легкий огонь, над кудрями пляшущий,
Дуновение – вдохновения!

— ღმერთო, უშველე და შეიწყალე მამა, დედა, ძიძა, ასია, ანდრიუშა, ნატაშა, მაშა და ანდრეი ბელი...

— კარგია, ანდრეი ბელისთვის ხომ ილოცე, ახლა საშა ჩორნის დახმარებაც სთხოვე ღმერთს!

ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ ძიძა ვერც კი წარმოიდგენდა, საშა ჩორნი თუ მართლა არსებობდა ამქვეყნად (ნეტა მაშინ თუ წერდა საბავშვო ლექსებს? 1916 წელს), რადგან ეს სახელი და გვარი მისივე მოგონილი იყო, ანდრეი ბელის საწინააღმდეგო: საპირისპირო ფერად, და სოფლური, ქალური გულკეთილობით, სრული სახელი კნინობითით ჰქონდა შეცვლილი.

მაინც რატომ ლოცულობდა ბელისთვის სამი წლის ალია? ბელი სტუმრად არასოდეს გვწვევია. მაგრამ მის წიგნს „ვერცხლისფერ მტრედს“ ხშირად ვახსენებდით — ანდრეი ბელის ვერცხლისფერი მტრედი. იყო ვიღაც ანდრეი, რომელსაც ვერცხლისფერი მტრედი ჰყავდა და თან ეს ანდრეი — *ბელიც* (თეთრიც) იყო. აბა, ვის უნდა ჰყოლოდა ვერცხლისფერი მტრედი, თუ არა ანგელოზს და ანგელოზის გარდა, კიდევ ვინ შეიძლებოდა თეთრი ყოფილიყო? სხვები ივანოვიჩები, ალექსანდროვიჩები, პეტროვიჩები იყვნენ, ეს კი უბრალოდ — ბელი იყო. თეთრი ანგელოზი, რომელსაც ვერცხლისფერი მტრედი ეპყრა ხელთ. სწორედ მისთვის ლოცულობდა სამი წლის გოგონა და როგორც ყველაზე საყვარელს — ან ყველაზე სანუკვარს — ლოცვის ბოლოს მოიხსენიებდა (ანგელოზებისთვისაც შეიძლება ლოცვა, მითუმეტეს, თუ დედამიწაზე იმყოფებიან. თუნდაც ის უელსისეული საბრალო ანგელოზი გავიხსენოთ, მიწიერ, ყოფით გარემოში უბრალოდ გამოუსადეგარი რომ აღმოჩნდა)!

თუმცა ბელის სახელი ჩვენს ოჯახში ჯერ კიდევ ალიას ლოცვამდე გახმიანდა, გოგონას დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, და არც ამ სახლში და არც ამგვარად, რადგან ეს სახელი მაშინ სამი წლის ანგელოზს კი არ წარმოუთქვამს, არამედ ბიცოლაჩემმა წამოიძახა, ჩემი ისტორიკოსი ბიძის, პროფესორ დმიტრი ვლადიმიროვიჩ ცვეტაევის ცოლმა, და არცთუ მლოცველის ინტონაციით.

— სამყაროს აღსასრული ახლოვდება! — ბორგავდა, თუხთუხებდა და ხმისამოუღებლად მჯდომ მამაჩემს შესჩიოდა აღშფოთებული, — ახლა ვიღაც ანდრეი ბელიც გამოჩენილა, ხვალ ლექციას კითხულობს. მაქსიმ გორკი — არ ჰყოფნით, ახლა ბელი დასჭირდათ, თანაც — ანდრეი! წარმოგიდგენია! თურმე, ვიღაც ალექსანდრ ბლოკიც ყოფილა! (რა უბედური გვარია? ეგეც ებრაელი იქნება!) „მშვენიერი ქალბატონი“ დაუწერია, სულ დაკარგეს სირცხვილი! ადრეც წერდნენ ქალბატონებზე, ოღონდ არ აქვეყნებდნენ, მაგიდის უჯრებში მალავდნენ ნაწერს — და მეგობრებს თუ წაუკითხავდნენ. ყველაზე უარესი ის არის, რომ წესიერი ოჯახის შთამომავალია, პროფესორის შვილი, ნიკოლაი დმიტრევიჩ ბუგაევის ვაჟი. რატომ არ შეიძლება ბორის ბუგაევი იყოს, და არა ანდრეი ბელი? ამით რა, მამაზე ამბობს უარს? ეტყობა, რაღაც ისეთი დაწერა, რომ რცხვენია საკუთარი გვარი მიაწეროს. ვინ ბელია, რა ბელი? ანგელოზია თუ ფსიქიატრიულიდან საცვლებისამარა გამოვარდნილი სნეული? — არ ცხრებოდა ტანზე ბრილიანტებათრთოლებული, ცხვირკაუჭა და თვალებახამხამებული (ნერვიული ტიკი ჰქონდა) ბიცოლაჩემი.

— ახალგაზრდები არიან, ელიზავეტა ევგრაფოვნა, ახალგაზრდები! — მორჩილად პასუხობდა მამაჩემი, — ლექციას რაზე კითხულობს?

— სიმბოლიზმზე, წარმოგიდგენიათ! ეს რაღაც სიმბოლიზმი მოიგონეს და რწმენის სიმბოლო დაივიწყეს!

— რა მოხდა მერე, — ფრთხილად (ასე აუცილებლობის შემთხვევაში გალიაში უყოფენ ხოლმე ხელს ბრაზიან თუთიყუშს) უთხრა მამამ, რომელიც მუდამ ერიდებოდა ადამიანების გაღიზიანებას, განსაკუთრებით — ქალბატონების, და განსაკუთრებით — ნათესავი ქალბატონების, თანაც თუ ნერვიული ტიკი ჰქონდათ (ერთთავად — სულ — რომ ძაგძაგებდა, როგორც უსწორმასწოროდ დადგმული, სათამაშოებითა და ათასი წვრილმანით გადატვირთული, სანთლებანთებული ნაძვის ხე, ანაზდად, ვიღაც რომ წამოედო, საცაა წაიქცევა და ირგვლივ ყველაფერს გადაბუგავს), კრებებზე სიარულს ხომ მაინც სჯობია...

— ჯერ სტუდენტია, — უკვე ყვიროდა ჩვენი კაკადუ (ეს ზედმეტსახელი მოკაუჭებული ცხვირისა და ჩიტივით მოყვითალო ფერის თვალების გამო შევარქვით) — ჯერ უნდა ისწავლოს, ლექციები კი არ უნდა იკითხოს და მამა შეარცხვინოს!

— დაწყნარდი, დაწყნარდი, ძვირფასო! — საუბარში ჩაერია დროულად შემოსწრებული ჩემი კეთილზე კეთილი ბიძა, დამსახურებული პროფესორი, მეფეთა შორის ყველაზე მოსაწყენი მეფის — ვასილი შუისკის შესახებ დაწერილი კაპიტალური ნაშრომის ავტორი და ოსტროჟენკაზე კომერციული სასწავლებლის დირექტორი, რომლის სტუდენტებიც დაბალი ტანის, უზარმაზარი შავი წვერის, სიფიცხისა და შავრაზმელობის გამო ჩერნომორს ეძახდნენ. — ასე რამ გაგაბრაზა? ზოგიერთები ახალგაზრდობაში ლამაზ ქალებს დასდევენ, სხვები — სიმბოლიზმზე კითხულობენ ლექციებს, ჰა-ჰა-ჰა! მამამისი — ღირსეული კაცია, ვინ იცის, იქნებ შვილისგანაც რაღაც გამოვიდეს. — შენ რას გვეტყვი, მარინა? რა სჯობია: წვეულებებზე ცეკვა თუ სიმბოლიზმის შესახებ მოხსენებების წაკითხვა? თუმცა, ეს ჯერ ადრეა შენთვის... — ვეღარ გავერკვიე, ვის ან რას ეხებოდა ეს „ადრეა“, ბელის თუ სიმბოლიზმს...

ასეთ საუბარს მხოლოდ ჩვენს სახლში არ მოისმენდით. ასე ხვდებოდა ახლადდაბადებულ სიმბოლიზმს მოსკოვის მთელი ასაკოვანი თაობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

აი, ამგვარად გადმომყვა ოსტროჟენკაზე მდებარე კომერციული სასწავლებლის ვარდისფერი კედლებიდან ჩვენი სახლის შოკოლადისფერ კედლებში ანდრეი ბელის სახელი, და გარკვეულ დრომდე იქ დაიდო ბინა, ერთ ხანს თითქოს ჩაჩუმდა, გაიყურსა, მიიძინა.

სახელი ხელახლა ორიოდე წლის შემდეგ პოეტმა ელისმა გამოაფხიზლა (ლევ ლვოვიჩ კობილინსკიმ, პედაგოგ პოლივანოვის შვილმა, ბოდლერის მთარგმნელმა, ერთ-ერთმა ყველაზე ადრეულმა და თავგადაკლულმა სიმბოლისტმა, არშემდგარმა პოეტმა და გენიალურმა ადამიანმა).

— გუშინ ბორის ნიკოლაევიჩი... აქედან ბორის ნიკოლაევიჩთან... ბორის ნიკოლაევიჩს ეს ძალიან მოეწონებოდა...

ცხადია, მე და ასიას, სული რომ გველეოდა, ისე გვინდოდა მისი ნახვა, ერთხელაც არ გვითხოვია ელისისთვის, ბელი გაეცნო ჩვენთვის და ცხადია — თუმცა იქნებ, არც არის ცხადი? — რომ ელისსაც, რომელიც ასე უფრთხილდებოდა ჩვენს სახლს, მთელი ჩვენი სახლის სამყაროს: ალვისხეებიან ეზოს, მეზონინს, ჩემს ლექსებს, ჯერ რომ არავის წაეკითხა, და ორი ბავშვის სულების სრულუფლებიან ფლობას — ასევე არასოდეს შემოუთავაზებია მისი გაცნობა. ანდრეი ბელის — ტაბუ ედო. ნახვა არ შეიძლებოდა, მხოლოდ მისი სახელის გაგონება იყო შესაძლებელი. რატომ? იმიტომ, რომ ის — ცნობილი პოეტი იყო, ჩვენ კი საშუალო კლასის გიმნაზიელი გოგონები.

რუსების — ბავშვებისა და პოეტებისათვის — ჩვეული ფატალიზმი.

* * *

ელისი სმოლენსკის ბაზართან ცხოვრობდა, ნაქირავებ ბინაში, რომელსაც ტრაქტირის ცისფერი წარწერა „დონი“ ამშვენებდა. ერთხელაც, მე და ასიამ გიმნაზიაში წასვლის ნაცვლად მასთან შევიარეთ და მის ჩაბნელებულ, დილიდანვე ჩაბნელებულ, ფარდებჩამოფარებულ — დღის შუქს ვერ იტანდა! — და დანტეს ბიუსტის წინ ორ სანთელდანთებულ ოთახში — ვიღაც მო-

ფარფატე, მბორგავ, უკვე გასაფრენად გამზადებულ ადამიანს გადავაწყდით. და ვიდრე გონს მოვეგებოდით, ელისმა:

— ბორის ნიკოლაევიჩ ბუგაევი. ესენი კი ცვეტაევები არიან — მარინა და ასია.

შემობრუნება, თითქმის პირუეტი, ორი სანთლით განათებულ კედელზე არეკლილი მისი უზარმაზარი ჩრდილით რომ განმეორდა, გამჭოლი მზერა, თითქმის ჩხვლეტაც კი თვალებიდან, და ჩვენი შემოსვლით შეწყვეტილი ფრაზის დასასრული, — ადამიანი მიდიოდა და ვეღარაფერი შეაჩერებდა, თან თავის დაკვრით, ასე რომ ჰგავდა ბალეტის რომელიღაც პირუეტს:

— კარგად ბრძანდებოდეთ.

— კეთილად მენახეთ.

სახლში, ლოგინში ჩაწოლისას:

— ანდრეი ბელი მაინც ვნახეთ. მითხრა, „კეთილად მენახეთო“.

— არა, მე მითხრა, „კეთილად მენახეთო“, შენ კი — „კარგად ბრძანდებოდეთო“.

— არაფერიც, სწორედ შენ — „კარგად ბრძანდებოდეთო“, მე კი...

— კარგი, ეგრე იყოს! (გულში კი: თვითონაც იცი, რომ მე მითხრა!)

„კეთილად თუ კარგად“ — მისით არ განხორციელებულა. ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ. გასაოცარი იყო, მის უახლოეს წრეში ვტრიალებდი: ელისი, მისი მეგობარი ნილანდერი, კ. პ. ხრისტოფოროვი, დები ტურგენევები, სერიოჟა სოლოვიოვი, და-ძმა ვინოგრადოვები — მაგრამ იმ ჩემს ქორწინებამდელ ყოფაში მაინც აღარ შევხვედრივარ. თუმცა, არც მიძებნია. ბედისწერამ ერთხელ შემახვედრა და ესეც ვიკმარე. მადლობა ღმერთს — იმ ერთხელ მაინც. ხომ შეიძლებოდა, საერთოდ არ შევხვედროდი.

თუმცა, ორიოდე წლის შემდეგ, ხშირად ვხედავდი ხოლმე „მუსაგეტში“, სწორედაც რომ — ვხედავდი, და უმეტესად — ზურგიდან, თეთრი ცარცით ხელში შავი დაფის წინ რომ ცეკვავდა და თვალის დახამხამებაში ავსებდა ამ დაფას — თითქოს სახელოდან ყრიდა! — რიტმული სქემების მძიმეებით, ნახევარმთვარეებითა და ზიგზაგებით, იმდენად მახსენებდა გიმნაზიისდროინდელ გეომეტრიულ ფიგურებს, რომ თვითგადარჩენის ბუნებრივ გრძნობას მინებებულს (უცებ ხომ შეიძლებოდა მობრუნებულიყო და დაფასთან გავეძახე!) ბელის მოცეკვავე ზურგიდან მზერა გოეთეს საიდუმლო მრჩეველის, დოქტორ შტაინერის უძრავად გაყინულ სახეზე გადამქონდა, უზარმაზარი თვალებით რომ გამოგვცქეროდა ან არ გამოგვცქეროდა კედლიდან.

ასევე ჩამრჩა მეხსიერებაში: პირველი ბელი, გოეთესა და შტაინერის წინ აცეკვებული, როგორც ოდესღაც — დავითი, კიდობანთან. სიმბოლისტის ცხოვრებაში ყველაფერს სიმბოლური დატვირთვა აქვს, უსიმბოლო — არაფერია.

* * *

...მაგრამ მაქვს კიდევ ერთი, უფრო ადრეული, გაცნობამდე არსებული მოგონება, სულ უმნიშვნელო, თუმცა მოსაყოლად ღირებული, თუნდაც იმ ტურგენევისეული ადგილების გამო, რომელთანაც ბელი ორმაგად იყო დაკავშირებული: როგორც მწერალი და ტანჯული ადამიანი.

ტულის გუბერნია, გზაგასაყარი — „ტოლსტოე“, იქვე ქალაქი ჩერმი, სადაც ივანე ეშმაკს ესაუბრებოდა, და სულ იქვე, ბეჟინის მდელო. და რომელიღაც დაბადების დღეზე, სიზმარეულ თეთრ სახლში, სიზმარეული შავი ბაღით:

— რა ვარდისფერი, ჯანმრთელი და წარმოუდგენლად წინდახედული ხართ, — სიცხისა და სიმსუქნისაგან აქლოშინებული მიმღერის ამ მამულის დიასახლისი, — ჩემები კი თხებივით არიან გამწლიკულები, და ერთიანად გადარეულები. განსაკუთრებით ბიშეტკა — ეს სახელი ბებიამ შეარქვა, დიდი თვალებისა და ხტუნვის გამო. წარმოგიდგენიათ, ძვირფასო, ვზივარ ჩვენს სახლში, მოსკოვში და უცებ მესმის, ბიშეტკა წინკარში ტელეფონს ჩასძახის — „თუ შეიძლება ანდრეი ბელის სთხოვეთ ტელეფონთან“. მაშინვე ყურები ვცქვიტე, ძალიან შემეშინდა — ან ანდრეი უნდა ეკითხა, ან ანდრეი პეტროვიჩი, ეს „ანდრეი ბელი“ ვიღა უნდა ყოფილიყო, ვინმე კატორღელი თუ მეეზოვე?

იდგა, ელოდებოდა, დიდხანს ელოდა, ეტყობა, ის არა და არ მოდიოდა, და უცებ, ჩემო ძვირფასო, ყურებს ვერ დავუჯერე: „ანდრეი ბელი ბრძანდებით? იქნებ, დამდოთ პატივი და მითხრათ, რა ფერის თვალები გაქვთ? მე და ჩემი დები დავნიძლავდით...“ ისევ დიდი ხნის დუმილი ჩამოწვა,

— ვიფიქრე, ალბათ ლანძღავენ-მეთქი, წარმოგიდგენიათ, რა თავხედობაა! ის იყო, წამოდგომა დავაპირე, იმ ბატონისთვის მინდოდა ამეხსნა, რომ ბიშეტკა ჯერ სულ პატარა იყო, უმამოდ იზრდებოდა, ცუდი განზრახვა არ ჰქონია... ერთი სიტყვით: მინდოდა მეთქვა, რომ სულელი გოგო ურეკავდა... და უცებ, ისევ შემომესმა: „მაშასადამე, ნაცრისფერი? მართლა ნაცრისფერი თვალები გაქვთ? არა, სულაც არა გაქვთ ისეთი, როგორც ყველა ადამიანს, თქვენნაირი თვალები მთელ მოსკოვში კი არა, ამქვეყნად არავის აქვს! თქვენს ლექციაზე ვიყავი და ნანახი მყავხართ, ოღონდ აღარ მახსოვდა, ნაცრისფერი თვალები გაქვთ თუ მწვანე... ნიძლავი მოვიგე... რა შესანიშნავია! დიდი მადლობა, ანდრეი ბელი, რომ ნაცრისფერი თვალები გაქვთ!“

მერე ჩემკენ იქცია პირი: „დედა, ნაცრისფერი ჰქონია!“ — „ეგ მეც გავიგე, რომ ნაცრისფერი თვალები აქვს, მგონი სჯობდა ეკატერინეს ინსტიტუტში მიმებარებინე, როგორც ანა სემიონოვნა მირჩევდა...“ — „ეკატერინეს ინსტიტუტში რატომ უნდა მიგებარებინე? იცი, ვის ველაპარაკე? (თვითონ კი ადგილზე ვერ ჩერდება, ზევით-ქვევით ხტის, ლამის ჭერს აარტყას თავი, — ხომ ხედავთ, რა მაღალია, ჭერი კი ჩვენთან, მოსკოვში, დაბალი გვაქვს, საცაა ჭაღს მიარტყამდა თავს!) ანდრეი ბელის! რუსეთის ყველაზე ცნობილ მწერალს! იცი, რა მიპასუხა? „არ ვიცი, ახლავე ვნახავო“. და სარკეში ჩასახედად წავიდა, იმიტომ ველოდი ამდენ ხანს. ჰოდა, ცხადია, — ნაცრისფერი თვალები ჰქონია. გესმის, დედა. ანდრეი ბელი, ის, ვინც ლექციას კითხულობდა, იმ ლექციას სკანდალი მოჰყვა, საშინლად უსტვენდნენ... ახლა მალე ბლოკსაც გავიცნობ...“

მთხრობელი სულს ითქვამს და ქანცგალეული მეუბნება:

— არ ვიცი, მართლა დიდი მწერალია თუ არა, ჩვენ ტურგენევს ვკითხულობდით, ღვთის მადლით, ჩვენებურია... მოკლედ, დიდი მწერალია თუ პატარა, საერთოდ, მწერალია თუ არ არის მწერალი, წესიერი ადამიანი მაინც აღმოჩნდა, არ გაულანძღავს, ეჭვი არ შეპარვია, მაშინვე მიხვდა, — სულელს ელაპარაკებოდა... და... თვითონაც სულელივით.... სარკეში ჩასახედად წავიდა... მერე ვკითხე: „ბიშეტკა, იმას არ უკითხავს, შენ თვითონ რა ფერის თვალები გაქვს?“ — „რას ამბობ, დედა, ძალიან არ აინტერესებს ჩემი თვალების ფერი? მეც ხომ ცნობილი მწერალი არა ვარ?“

ძვირფასო ბორის ნიკოლაევიჩ, როცა თოთხმეტი წლის შემდეგ ბერლინის „Pragerdiele“-ში ეს ამბავი გიამბეთ, მაშინვე ის მკითხეთ:

— მაინც რა ფერის თვალები ჰქონდა? ბიშეტი? Bichette?[1] ციკანი? ალბათ, ნაცრისფერი ექნებოდა. და აი, ასეთი? (ჰაერს ირიბად ჭრის) — როგორც ნამდვილ ციკანს? მაშინ რამდენი წლის იქნებოდა? ჩვიდმეტის? ასეთი, ასეთი, ასეთი მაღალი? ფერფლისფერი ქერა თმით? თან ადგილიდან დაუძვრელად თითქოს დახტოდა (ლამის მაგიდა გადააბრუნა) — აი, ასე, აი, ასე, ასე?

(„ბორის ნიკოლაევიჩი მარინა ცვეტაევას ევრითმიის მაგალითს უჩვენებს“, — ჩურჩული გაისმა მეზობელი მაგიდიდან).

— რატომ ერთხელ მაინც არ მომწერა? საყვარელი, ძვირფასი, ახლა ალბათ, შეუძლებელი იქნება მისი პოვნა? ვეღარსად მივაგნებთ? იქნებ, მოკვდა კიდეც. ასეთები ხომ კვდებიან, ყველა, ყველა კვდება — ან მიდიან (გამომწვევად მოათვალიერა ირგვლივმყოფები) — ვერ ხვდებით! აბრამ გრიგორევიჩ, თქვენც მოისმინეთ! ციკნისთვალება გოგონა, Bichette, რომელიც ჩემს ლექციებს ესწრებოდა...

გამომცემელი, ზანტად:

— რომელ ლექციებს? უკვე — აქ?

ის დაჟინებით:

— ცხადია აქ, იმიტომ, რომ მე ახლა *იქ* ვარ, იმიტომ რომ *იქაურობა* ახლა *აქ* არის, და არავითარი *აქაურობა* არ არსებობს *იქაურობის* გარეშე! არავითარი *ახლა, მაშინდელის* გარდა, იმიტომ რომ *მაშინდელი* მარადიულია, მარადიული, მარადი!... სწორედ ეს არის ფეტისეული *ახლა.*

(მისი მეორე გამომცემელი გვიახლოვდება.) ბელი ვედრებით:

— სოლომონ გიტმანოვიჩ, თქვენც მომისმინეთ. ნუთუ არ გახსენდებათ, გოგონა. თოთხმეტი წლის წინ. Bichette, ციკნისთვალება, რომელიც *აი, ასე* დახტოდა, სიხარულისგან, იმიტომ, რომ ტელეფონზე ვუპასუხე და ვუთხარი, რა ფერის თვალები მქონდა... თოთხმეტი წლის წინ... ახლა ის — ვალკირიაა... უფრო სწორად, ვალკირია იქნებოდა... დარწმუნებული ვარ, უკვე მკვდარია...

(მოწიწებული, თანამგრძნობი-გაოგნებული და ოდნავ კომიკური დუმილი, ასე დუმან ხოლმე, როცა მოულოდნელად შეიტყობენ ადამიანის სიკვდილს, რომელსაც არ იცნობდნენ და რომლის გამოც ერთ-ერთი იქმყოფი იწყებს გლოვას.) ანაზდად მთელი სხეულით შემობრუნებული ბელი — თუმცა, უცნაური იყო მის შესახებ *მთელი* და *სხეულის* თქმა, იმდენად ცოტა იყო ეს *მთელი,* და იმდენად *არ იყო ეს სხეული,* — თავისი სხეულებრივი ფრინველით ერთიანად მფარავს:

— მითხარით, ეს Bichette მართლა არსებობდა? თქვენ ხომ არ... მოიგონეთ? (ეჭვითა და აგრესიულად.) იმიტომ, რომ მე ასეთი არაფერი მახსენდება, თითქოს ტელეფონით არც არავის უკითხავს ჩემი თვალის ფერი... ცხადია, მჯერა თქვენი, მაგრამ... (ირგვლივმყოფთ) იმიტომ რომ, ჩემთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იმიტომ, რომ თუ ის გოგონა მართლა არსებობდა — ის ჩემი ბედის ვარსკვლავი იყო. ჩემი არშემდგარი ბედისწერა. იმიტომაც გამიცრუვდა ბედი. და მე მხოლოდ ახლა შევიტყვე, რამ დამღუპა. რამდენად დამღუპა!

ირგვლივმყოფებმა აღარ იციან, რა თქვან, თუმცა გრძნობენ, რომ გოგონას თემა ამოიწურა, და უკვე ბელისეული სიგიჟე იწყება, გამომცემლები თავიანთი ცოლებითა და მწერლები თავიანთი ცოლებით... შეუმჩნევლად და წამის უსწრაფესად... კი არ: ქრებიან — აღარ არიან. ბელი სუფრის ნაქარგს ჩასჩერებია, თითქოს მათში სურს რუნების და ძველი ხელნაწერების რაღაც ნაკვალევის ამოკითხვა, — ანაზდად თავს მაღლა სწევს და ნათებას მაფრქვევს — ყველა ფერის, — ოღონდ არა ნაცრისფერი თვალების ნათებას, რომლებიც ნამდვილად *ვეღარ* მხედავენ.

— Bichette... Bichette... თითქოს რაღაც, რაღაც, რაღაც მახსენდება. მაგრამ... არ ემთხვევა! მაშინ სულ პატარა ვიყავი, თითქმის არ ვიყავი, უბრალოდ არ ვიყავი...

უკვე მეც აღარ ვიცი, რა ვუპასუხო ასეთ სრულ არყოფნაზე, და ველი, ვიცი, რომ წუთის შემდეგ ისევ *მობრუნდება.*

მე არ ვიყავი, ვიყავი: *ვიყავი,* მაგრამ *უსულო.* თქვენ, ალბათ, გესმით ჩემი? (იმ ადამიანთა მუდმივი კითხვა, რომელტაც იმდენად აღარ სჯერათ, რომ გაუგებენ — პასუხს აღარც კი ელიან.) ერთი წუთით... მოიცადეთ! თითქოს რაღაც მახსენდება (მოგვის ბრძანებლური ჟესტი.) ახლავე გავიხსენებ! მაგრამ რატომ Bichette, როცა — Biquette! იყო! დამერწმუნეთ, — ეშაფოტზე შემიძლია ავიდე, — Biquette იყო! თუმცა რა შუაშია Biquette, როცა Bichette ერქვა?

— ბორის ნიკოლაევიჩ, ახლა თქვენც — შეჩერდით!

(და წამღერებით)

Ah, tu sortiras, Biquette, Biquette,
Ah, tu sortiras de ce chou là![2]

იმიტომ, რომ პატარაობისას, როცა ჯერ კიდევ არ იყავით, ამას გიმღეროდათ თქვენი ფრანგი — არა, შვეიცარიელი გადია.

პაუზა. ვზივარ, მისი თვალებიდან მონადენი აღტაცებაგადასხმული, მასში, როგორც მოსასხამში, სხივებში, წვიმაში — ერთიანად — თხემით ტერფამდე — ჩემი ჯერ ახალთახალი, ჯერ ისევ ლურჯი, ჯერ ისევ ერთადერთი ბერლინური კაბის ქობამდე გახვეული. მაგიდის მეორე კიდიდან ჩემს ხელს მოსწვდა, ტუჩებისკენ წაიღო, მაგრამ არ მიუტანია:

— დამერწმუნეთ, დამერწმუნეთ, ამ Biquette-ის გამო — დაიმახსოვრეთ, მე ახლა Biquette-ზე გელაპარაკებით — კომბოსტოდან ამომხტარ ციკანზე, ამ შვეიცარიული, რძედადენილი კომბოსტოს თოთო ციკნის გამო მზად ვარ ათი წელი განთიადიდან გვიან დაღამებამდე რიყის ქვები ვზიდო თქვენთვის.

მე, გაოგნებული:

— ღმერთო!

ის, იმპერატიულად:

— რიყის ქვები. (პაუზა.) და მინდა გითხრათ, რომ მთელ ცხოვრებაში არავისადმი არასოდეს ისეთი პატივისცემა არ მიგრძვნია, როგორსაც თქვენდამი ვგრძნობ ამ წუთას.

* * *

ძვირფასო, Bichette, იქნებ მაინც ცოცხალი ხართ და ამ სტრიქონებს წაიკითხავთ? ან იქნებ, აქვე, მხარს ზემოდან, ვიდრე ვწერ, არა, დაწერამდე — კითხულობთ? და ეგებ, თქვენ იყავით ის, ვინც პირველი შეეგებეთ კარიბჭესთან, ხელი ჩაჰკიდეთ და თქვენ — ნაცრისფერთვალებამ — ნაცრისფერთვალება, მარად-ნორჩმა — მარად-ყმაწვილი თან გაიყოლეთ, მისი ჭეშმარიტი სამშობლოს ნეტარი ველებისაკენ...

* * *

1922 წლის ბერლინიდან ისევ 1910 წლის მოსკოვში ვბრუნდები. უცნაურია, მხოლოდ ახლა ვამჩნევ, რომ ბელის სახელი მასთან შეხვედრამდე ორჯერ მოსწვდა ჩემს სმენას სამი დის გარე-მოცვაში. პირველად — იმ სამ დასთან ერთად, რომელთაგან უფროსს Bichett-ი ერქვა, მეორედ კი ტურგენევების სამი დის წრეში.

დებ ტურგენევებზე ცალკე ლეგენდა არსებობდა. ისინი ტურგენევის ბიძაშვილის შვილიშ-ვილები იყვნენ, ერთი მათგანი პოეტ სერიოჟა სოლოვიოვს უყვარდა, ვლადიმირ სოლოვიოვის ძმისშვილს, მეორე — ანდრეი ბელის, მესამე ჯერ არავის, რადგან სულ თორმეტი წლისა იყო, მაგრამ მალე ყველას დაახვევდა თავბრუს. პირველს ნატაშა ერქვა, მეორეს — ასია, მესამეს — ტანია. ვამბობ — ლეგენდა, რადგან გაცნობისთანავე გაირკვა, რომ ნატაშა უკვე გათხოვილი იყო, ტანია ჯერ ერთი ჩვეულებრივი გიმნაზიელი გოგონა, ასია კი — ანდრეი ბელისაც უყვარდა და სერიოჟა სოლოვიოვსაც.

ასია ტურგენევა პირველად „მუსაგეტში“ ვნახე, სადაც მაქსმა მიმიყვანა. წელგამართული, ბუნებრივად ყელმოღერილი, თითქოს გრავიურული, ლამარტინის „anglaises“[3] დამშვენებული თავი, თხელ თითებში ერთთავად აბოლებული პაპიროსით, ერთთავად თავის და მუსაგეტურ ნაცრისფერ ბოლში გახვეული, რაც უფრო ამკვეთრებდა მის აშოლტილ ტანს. უფრო ლამაზი ხელები აღარსად მინახავს. ასეთი კულულები, კისერი და ხელები — მხოლოდ ინგლისურ გრავი-ურებზე შეიძლება შენიშნოთ, თავადაც გრავიორი იყო, და უკვე დახატული ჰქონდა ელისის წიგ-ნის „Stigmata“-ს ყდა, რომელიღაც ეკლესიით. ინგლისური გრავიურიდან გადმოსული ბრიუსე-ლის სკოლის გრავიორი, და რაც მთავარია, ასია ტურგენევა — ტურგენევის ასია, ვლადიმერ სოლოვიოვის თვალებიანი სერგეი სოლოვიოვის სიყვარული, მისი ზღაპრების „მარგალიტის თავი“, ანდრეი ბელის საცოლე და მისი „ვერცხლისფერი მტრედის“ კატია, რომლის დარიალს-კიც — სერიოჟა სოლოვიოვი იყო. (ეს ყველაფერი, ყველა მოქმედ გმირზე, ამაყად, ლამის სულ-მოუთქმელად მაცნობა თავადაც გაამაყებულმა ვლადიმირ ოტოევიჩ ნილენდერმა, რომელიც, ვინ იცის, ეგებ, თვითონაც უიმედოდ იყო შეყვარებული ასიაზე. თუმცა შეუძლებელიც კი იყო, არ შეგყვარებოდა.)

„მუსაგეტში“ არასოდეს ლაპარაკობდა, მხოლოდ „დიახ“-ს ამბობდა, თუმცა, პირიქით, „დიახ“-ს კი არა, — უმეტესად „არა“-ს და ეს „არა“ ისევე მრავალმნიშვნელოვნად ჟღერდა, რო-გორც ჭექა-ქუხილის წინ დაცემული პირველი წვეთი. უტყვად აკვირდებოდა ირგვლივმყოფთ, აბოლებდა, მერე ანაზდად წამოდგებოდა, გაქრებოდა, და ზურგს უკან კულულების ფერფლ-ისფერსა და პაპიროსის ბოლს ტოვებდა. მახსოვს, საერთო ნაცრისფერ ღრუბელში როგორ ვარჩევდი ხოლმე მისი ტუჩებიდან გამოჟონილ განსაკუთრებულ კლაკნილს და ჭერამდე — ზღ-ვამდე — ზღვებამდე — მივაცილებდი თვალით. „მუსაგეტის“ ლექციებს, სიმართლე გითხრათ, არ ვისმენდი, უბრალოდ, ვერაფერს ვიგებდი, ანდა იქნებ იმიტომაც ვერ ვიგებდი, რომ არ ვის-მენდი და მთელი ყურადღება ანაზდად შემოსრიალებული ასიასა თუ შემოფრენილი ბელისკენ და უძრავი შტაინერისკენ მქონდა მიპყრობილი, შავი თვალებით და ტუჩების ბოდლერისეული ჭრილით რომ მეფობდა კედლიდან. მესმოდა მხოლოდ: გნოსეოლოგია და გნოსტიკოსები, თუმცა ამ სიტყვების აზრს ვერ ვწვდებოდი, და ამ დუდღუნა ბგერებით გულამრეზილს ერთხელაც არ მიკითხავს მათი მნიშვნელობა. გიმნაზიაში — გეომეტრია იყო, „მუსაგეტში“ — გნოსეოლოგია. *ის* კი, ახლა, როგორღაც ქვემოდან, ეშმაკურად, წამის შემდეგ კი, ოდნავ შებრუნებული (კალეი-დოსკოპში ამოტრიალებული მინის ნატეხივით!), უკვე ზემოდან თავის დაკვრით რომ შეესიტყვა გერშენზონს, ანდრეი ბელი იყო, სწორედ ის — მარადიული! უკვე ორი ზამთრის წინ — მე და ასიას რომ გვისურვა (ახლაც ვადასტურებ, მაგრამ ვაი, რომ არ ახდა!) — მე — „*კეთილად* მენახ-

ეთ!“ — მას — „კარგად ბრძანდებოდეთო!“ მე ის არასოდეს დამლაპარაკებია, მხოლოდ შემთხვევით ჩემს გვერდით, სკამზე ჩამომჯდარი, გადარეული და აუწერლად-გაოცებული სიხარულით შემეხმიანა: „ოჰ! თქვენ ხართ?“ — რასაც შემდეგ არასოდეს არაფერი მოჰყოლია, რადგან მე მაინც ხომ *ვიცოდი* — ვინ იყო.

„მუსაგეტში“ მეც, ასია ტურგენევას მსგავსად, არასოდეს არაფერზე მილაპარაკია, ოღონდ ის, სხვებზე თავისი აღმატებულობის გამო დუმდა, მე კი — იმ სხვებისა — ჩემზე. ცხადია, არც მას გამოვლაპარაკებივარ, მას, ვინც თვალის შევლებისთანავე შევრაცხე „აქაურობის დედოფლად“.

და მაინც, რა სასწაულით დავუახლოვდით ერთმანეთს? ვინ გვაიძულა? მგონი — ვინ კი არა — რამ: უბრალო შიშველმა ფაქტმა, იმ სასწრაფო საქმიანმა აუცილებლობამ, ჩვენთვის სხვის კეთილ ნებასა და ერთმანეთისადმი ჩვენს უკიდეგანო სწრაფვაზე შეუდარებლად დიდი როლი რომ შეასრულა და რომელიც, თუ საჭიროა, — მთებს დგამს ხოლმე! მოცემულ შემთხვევაში ასეთ ფაქტად „მუსაგეტის“ მიერ ჩემი მეორე წიგნის გამოცემის გადაწყვეტილება და ასიასათვის წიგნის გაფორმების შეკვეთა გახდა.

მახსოვს, პირველად მე ვესტუმრე — სახლში. რომელიღაც თოვლიანი ჩიხებით. მგონი — არბატზე.

წინკარის ჩაბნელებული სიღრმეებიდან ლამფის სუსტ ჭერქვეშა შუქში, მხრებზე ჯიქის ტყავმოგდებული, „anglaises“-სა და პაპიროსის ბოლში გახვეულმა ასიამ თავი დამიკრა და მამაკაცურად ჩამომართვა ხელი.

მთელი მისი მშვენიერების საიდუმლო სწორედ ამ მამაკაცური, ყმაწვილური, შეიძლება ითქვას — კაცურად საქმიანი ქცევების შერწყმაში იყო უკიდურესად ლირიულ, ქალწულებრივ, პატარა გოგონასთვის დამახასიათებელ ნაკვთებსა და ფორმებთან. როცა ტანმაღალი ქალი მამაკაცურად გართმევს ხელს — სულ სხვაა, მაგრამ ასეთი ხელი! გრავიურიდან გადმოტანილი! ასეთი ხელის ასეთი ჩამორთმევა — გაოცებდა!

ტახტზე უფროსი და — ნატაშა იჯდა, მერე ტანია შემოიჭრა, გაჩეჩილი, ვარდისფერი, გიმნაზიელი გოგონა, რომელიც დები ტურგენევების კულტში დამატებით, ზუსტი სათვალავისთვის მყავდა მითვლილი, რადგან, ჩემი ასიასგან, მასთან ერთად რომ სწავლობდა გიმნაზიაში, დანამდვილებით ვიცოდი, რომ ერთი ჩვეულებრივი გოგო იყო, ლიტერატურასთან არც არანაირი კავშირი ჰქონდა და არც აინტერესებდა, კითხვა საერთოდ არ უყვარდა და ჩემი ასია, მიუხედავად ჩემი დაჟინებული თხოვნისა, მასთან დამეგობრებაზე გადაჭრით მეუბნებოდა უარს. „ძალიან არ მჭირდება, თუ გინდა, თვითონ დაუმეგობრდი, დიდი ამბავი, თუ ტურგენევის შთამომავალია, თითქოს ჯიბრით — გაუთავებლად ნამცხვრებზე და თოთო ბავშვებზე ლაპარაკობს!“ (იქნებ მართლაც — ჯიბრით? რაკი მისგან „პოეზიას“ ელოდნენ? უფრო რეალურად კი — ჩვეულებრივი თოთხმეტი წლის გოგონა იყო, მემამულის ოჯახში გაზრდილი და ბუნების შვილი.)

ნატაშას ტახტის წყლისფერი ზედაპირი, ტანიას განცალკევებული რახარუხი და ჩემს წინ გაყინული ასიას ფხიზელი მდუმარება — ჯიქის პლედიდან.

— რა არაჩვეულებრივი კატაა!

— ჯიქია!

— ჯიქი ის არის, ყურებზე ფუნჯები რომ აქვს?

— ეგ ფოცხვერია.

(საუბარს ვერ გაუბამ!) ჯიქის კიდეს მივწვდი და ვეფერები, ბედნიერებას შევიგრძნობ, რომ უსიტყვო გასართობს მივაგენი, მაგრამ ანაზდად, ჭეშმარიტი გამოცხადების თავშეუკავებლობით:

— ჯიქი თქვენ თვითონ ხართ, ასია! თავითონ გაიძრეთ ეს ტყავი: და მერე მოისხით მხრებზე. — არაჩვეულებრივი სიცილი, არაჩვეულებრივი თვალების აციმციმება, — „პატარა იდას ყვავილების“ ჯადოსნური გარდასხეულება — ხელში მწვდა, მეორეთი ლამფას გადააძრო აბაჟური:

— რა ფერის თვალები გაქვთ? ცხადია, მწვანე, ასეც ვიცოდი! სიმბოლისტური ეპოქის შვილი, მისი გმირი, ამაზე მნიშვნელოვანი რა უნდა ყოფილიყო მისთვის, ვიდრე — თვალების ფერი? და რა უნდა ყოფილიყო უფრო ფასეული — ვიდრე მწვანე თვალები — ბალმონტმა რომ აღმოაჩინა და მისმა მიმდევრებმა დააკანონეს?

— რა არაჩვეულებრივი სახელი გქვიათ. (გამომცდელად:) მართლა მარინა ხართ და არა მარია? მარინა: ზღვის ასული. ეწევით? (უხმოდ ვაწვდი პორტსიგარს.) თან ეწევა, თანაც მწვანე თვალები აქვს, თან ზღვის ასულია, — ასია, ბუღალტრის ტონით — დებს.

უკვე ტახტზე ვსხედვართ, უკვე ლექსებს ვკითხულობთ ტანიას დაუოკებელ ხმაურში — რა სიფრიფანა გოგოა და რა ხმაურიანი! — მრავალხმიანი ჟღრიალით, ხელის ძლიერი მოქნევით რომ აწყობს მაგიდაზე ჭიქებს, თეფშებს, ლარნაკებს.

არ მახსენდება, რა ვილაპარაკეთ ყდაზე. (ასე მთავრდებოდა ყველა ჩემი საქმიანი პაემანი!) სამაგიეროდ ყველაფერი მახსოვს ჯიქზე, აი, იმ პატარა ჯიქუნიაზე: შეციებულსა და ათრთოლებულს თავისი საკუთარი ტყავი რომ ჰქონდა მხრებზე მოგდებული... არც ანდრეი ბელიზე დაგვცდენია სიტყვა. (სიტყვა „საქმრო“ მაშინ უწესობად მიიჩნეოდა, „ქმარი“ კი (სიტყვაც და თავად არსიც) უბრალოდ — დაუშვებლად.)

და უცნაურია (თუმცა აქ უცნაური *ყველაფერია*, ან *არაფერი*), უკვე გაჩნდა რაღაც ეჭვი, რაღაცნაირი გულის გაწვრილება, პირველი ჩხვლეტა Zahnschmerzen im Herzen[4], რომ — აჰა, გაემგზავრება, მე — დამივიწყებს, და უფრო კეთილშობილი, უფრო ღრმა გრძნობა: ნაღველი მთელ რასაზე, ამორძალთა გოდება მიმავალ, გაღმა განაპირებულ — და ამდენად — წარმავალ — დაზე.

— არაჩვეულებრივი ჯიქია. „მუსაგეტში“ როცა მოხვალთ, თან წამოიღეთ, ჯიქი მოიყვანეთ, იქნებ ამან მაინც გაგვახალისოს.

(უსიტყვოდ: ასია! ასია! ასია! ნუ გათხოვდებით, თუნდაც ანდრეი ბელის ნუ გაჰყვებით ცოლად!)

ხმამაღლა:

— არ მესმის, რა არის გნოსეოლოგია და მხოლოდ ამაზე რატომ ლაპარაკობს ყველა. ან რატომ არის სხვადასხვა — თუკი ერთია.

(უსიტყვოდ: ასია! თქვენ ხომ Mignon[5] ხართ, ოპერიდან კი არა, გოეთედან. Mignon-ი ვერავის გაყვება ცოლად — თუნდაც ახალგაზრდა გოეთეს...) ხმამაღლა:

— ვიაჩესლავ ივანოვი არ მიყვარს, ერთხელ, ჩემს ლექსებზე მითხრა — გამოწურულ ლიმონს ჰგავსო. აინტერესებდა, რას ვუპასუხებდი. მე კი ვუთხარი: „სიმართლეს ბრძანებთ-მეთქი“. მაშინ ძალიან გამიბრაზდა გერშენზონი, აღშფოთდა კიდეც.

(უსიტყვოდ: „O lasst mich scheinen, bis ich werde! Zieht mir das weisse Kleid nicht aus![6] ასია! ეს ხომ იგივეა, უღალატოთ, თუნდაც იმავე იმ თქვენ — ბელის! თქვენ უფრო ჭკვიანი და ძლიერი უნდა იყოთ, თქვენ ხომ ქალი ხართ... მის ნაცვლად უნდა მიხვდეთ!“)

ხმამაღლა:

— ცხადია, იცით, რომ თქვენი ლექსები — გამოწურულ ლიმონს არ ჰგავს! რატომ დაგვცინით ვიაჩესლავ ივანოვსაც და ჩვენც — ყველას?

(უსიტყვოდ: „ასია, მე ცხადია, უხეში თითები მაქვს და არა მხატვრული, და ერთიანად თქვენი ნეკის და ბელის ფრჩხილის ღირსიც არა ვარ, მაგრამ, ასია, მე მაინც ლექსებს ვწერ, ოღონდ თვითონაც არ ვიცი, კიდევ რა გავხდები — მაგრამ — *გავხდები*! — და ამიტომ გთხოვთ, ცოლად არ გაჰყვეთ ბელის, თუ უნდა, უთქვენოდ გაემგზავროს სიცილიასა და ეგვიპტეში, თქვენ კი აქ დარჩით, მარტო, ჯიქთან დარჩით, ჯიქად — დარჩით“.)

— მარინა, რაზე ფიქრობთ?

ვატყობ, სრულიად დამავიწყდა, გერშენზონზე რომ ვსაუბრობდით (ო, თავზარდაცემა ადამიანისა, რომელიც უცებ აღმოაჩენს, რომ დუმს და არც კი იცის, რამდენ ხანს.)

— ცოტა მიფრთხილდით, მე სხვათა აზრებს ვკითხულობ.

და დებისკენ პირშექცევით:

— ნეტა რატომ აქვთ ცვეტაევებს ასეთი წითელი ტუჩები? მარინასაც და ასიასაც. შემთხვევით — ვამპირები ხომ არ ხართ? მარინა, მითხარით, ხომ არ უნდა მეშინოდეს თქვენი? ღამით ხომ არ მესტუმრებით? და სისხლს ხომ არ გამომწოვთ?

— ჯიქი რიღასთვის გყავთ? ღამღამობით ხომ თქვენს საწოლთან სძინავს, და დიდი ეშვებიც აქვს!

* * *

მეორე ხატება — ჩვენება — ასიასი, შეციებულის და აცახცახებულის, ჯიქის გარეშე, მაგრამ უხილავად — ჯიქში, ტრიოხპრუდნიზე, ჩვენი სასტუმრო ოთახისა და დარბაზის კარში, სადაც ისეთი მაღალი ჭერი იყო, რომ ყველანაირი ბოლი უკვალოდ იკარგებოდა.

ჩვენს შორის უკვე სიყვარულის უბრალოებაა, რომელმაც ჩემი შეყვარებულობის ბაწარი-მახრჩობელა შეცვალა. მე ვიცი, და მანაც იცის, რომ ჩვენ ერთი ჯიშისანი ვართ. შეყვარება მხოლოდ უცხოსი შეიძლება, შენიანი — გიყვარს. მის გამგზავრებაზე არ ვლაპარაკობთ. არც ბელის ვახსენებთ და არც არასოდეს გვიხსენებია. ეს ჯერ კიდევ — ქალწულობაა, თავისუფლება, იმ მდინარის მისეულ ნაპირზე.

წასასვლელია, მაგრამ ფეხები უკან რჩება, იფუთნის, იხსნის და ისევ მხარზე იგდებს უხილავ ჯიქს. არ ვაკავებ, რადგან ჩემი ადგილი ვიცი ამ ცხოვრებაში, და თუ ეს ადგილი უკანასკნელი არასოდეს ყოფილა, მხოლოდ იმიტომ, რომ რიგში არასოდეს ჩავმდგარვარ... (ჩემთან ერთად კი, ჩემს უბრალო სიყვარულში (ნეტა თუ არსებობს — უბრალო?) — ჩემს მხიარულ ქალიშვილურ მეგობრობაში, ტრიოხპრუდნის ჩიხში, შოკოლადის სურნელიან, დარაბებიან №8 სახლში, შენ მაინც უფრო ბედნიერი იქნებოდი, ვიდრე მასთან — სიცილიაში, იმასთან, ვისაც უცილობლად დაკარგავ...)

— ასია. მალე მიემგზავრებით?

— მალე. ახლაც წასასვლელი ვარ.

ჩვენს ზოლიან, ღვინისფერ-თეთრად დაშტრიხულ, ლეიბის მსგავს წინკარში *საბოლოოდ*, ყველა მომდევნო დამშვიდობების ბუნებრივი გაგრძელებასავით, ვემშვიდობები, ჩემს გიმნაზიურ ლურჯ ცხვარში ვეხვევი (მე — ცხვარი. შენ — ჯიქი, ასეა საჭირო. ბოლოს და ბოლოს ცხვარიც და ჯიქიც [бар(ан) — бар(с)] ხომ ერთი ჯიშის არიან) და მასთან ერთად მივუყვები დათოვლილ გზაჯვარედინს — გზაჯვარედინების რიგს — ვიდრე რომელიღაც თეთრ სახლს არ მივადექით (ეგებ — მისი, ეგებ — ბელის, ანდა სულაც არავისი), რომელსაც „აქ“ ერქვა. და აქ ერთმანეთს ვემშვიდობებით.

* * *

— ხვალ ასია და ბორის ნიკოლაევიჩი სიცილიაში მიემგზავრებიან!

ეს ვლადიმირ ოტოევიჩ ნილენდერმა მითხრა, მოუსვენარმა და ყველა მიწიერ ადგილთაგან ერთიანად აღგვილმა სულმა, âme en peine — d'étemité[7], უკვე პარმაღზევე თავსზევით რომ აღაპყრო ხელები, თითქოს უბედურებისგან დაცვა სთხოვა დარბაზის აფროდიტას. (ახლაღა ვამჩნევ, რომ ნილენდერსაც და ელისსაც ბელის მოძრაობები ჰქონდათ. გავლენა იყო? თუ სულიერი ნათესაობა?)

— შეგიძლიათ ასიას ჩემგან ლექსი გადასცეთ?

— თქვენ არ მოხვალთ სადგურზე?

— არა. ხელში გადაეცით. ხელიდან ხელში. მესამე ზარის შემდეგ, ცხადია, რათა...

— გასაგებია, გასაგები.

— არა. არ არის გასაგები. არც მესამე ზარის შემდეგ, იმიტომ, რომ მესამე ზარის ჩამოკვრისთანავე ყველა კიბეზე მიიძვრება და კიდევ ერთხელ ცდილობს დამშვიდობებას. ამიტომაც, უკანასკნელი კიბისა და უკანასკნელი ხელის ჩამორთმევის შემდეგ უნდა გადასცეთ. პირადად, ხელის დაქნევისას...

ერთი დღის შემდეგ, თოვლით ერთიანად გადათეთრებული და გაჭაღარავებული თახვის ქურქიდან კისერწაგრძელებული (барс, баран, бобер... ამ თახვით ის ცოტა მოგვიანებით თავის ფილოლოგიურ ხანძარს აქრობდა. თახვი დაიწვა, სამაგიეროდ *ყველა* წიგნი გადარჩა!)

— მარინა! გაემგზავრნენ! ძალიან გულისშემძვრელი იყო. საბრალო ასია, თავს იკავებდა, არ ტიროდა, მაგრამ საკუთარი თავსაფარივით ერთიანად გამოკრული და მობუზული იყო — ცრემლი მაინც არ გადმოვარდნია!

(თითქოს ნარჩინსკში მიემგზავრებოდა! სინამდვილეში ხომ — მონრეალში, თანაც საყვარელ კაცთან ერთად, თან ეს საყვარელი კაცი — ანდრეი ბელი იყო! მაგრამ მაშინ წლები იყო ასეთი — სულისა და გრძნობების.)

— ბელი?

— ის მგონი, (უდიდესი გაოგნებით) — უბრალოდ ბედნიერი ჩანდა, ერთიანად ანათებდა!

— ისედაც ყოველთვის ანათებს.

— მართალს ამბობთ. მაგრამ გუშინ — განსაკუთრებით. კი არ მიემგზავრებოდა — მიფრინავდა! თითქოს ვაგონებიც ორთქლმა კი არ დაძრა, არამედ მისმა...

მე:

— აღმაფრენამ.

— რა ბედნიერია ასია. საბრალო ასია.

— და მეც ვიმეორებ:

Никому, с участьем или гневно,
Не позволь в былое заглянуть.
Добрый путь, погибшая царевна,
Добрый путь!

— მარინა, რა სიგიჟეა, რა საშინელებაა — ქორწინება! ამას ამბობს — მე მეუბნება! პირდაპირ მეუბნება! — ადამიანი, რომელსაც... რომელიც... — მთელი მოთხრობა ასიასა და ბელის შესახებ — ხომ ჩვენი მოთხრობა იქნებოდა, რომელიმე ჩვენთაგანი ოდნავ სულ უფრო გიჟი ან ბოროტმოქმედი რომ აღმოჩენილიყო მეორეზე. სამაგიეროდ — რაოდენ შეუდარებელი ნათებაა ამ ყველაფერში! — მწამს, რომ ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ან კიდევ ათი, ანდა სულაც მთელი ოცი წლის შემდეგ, მის ფილოლოგიურ ბუნაგში, ორფეოსის მღვიმეში, სიბილას გამოქვაბულში რომ შევაბიჯო, მარჯვენათი ახლადჯვარდაწერილ ცოლს მოიშორებს, მარცხენით მევე გადმომაყრის თავზე ჭერამდე ატყორცნილ უძველეს ფოლიანტებს — და ჩემკენ გამოქანდება ხელებგაშლილი — რომლებიც უცებ, ფრთები აღმოჩნდება.

ეს იყო ჩვენი და ყველა ჩვენს მსგავსთა ჯილდო ჩვენს მიერ უარყოფილ ყველა მონრეალზე.

* * *

ასიასაგან ერთი წლის შემდეგ, ვეღარ ვიხსენებ, საიდან, წერილი მოფრინდა: გონივრული, ზუსტი, საქმიანი. მისამართებითა და ფასებით. პასუხად ჩემს ასეთსავე გონივრულ და ზუსტ თხოვნაზე, სად უნდა ჩავსულიყავი სიცილიაში. და ჩემი საქორწინო მოგზაურობა ერთი წლის შემდეგ, მისი — ასიას, კატიას, ფსიქეას — კვალად სიარული იყო. და ის ყრუ-მუნჯი სირაკუზელი გოგონა, შავ, ველურ დაფნის ბაღში, ველური შუადღის შავად ლურჯ საათს, რომლის გახსენებაზე ახლაც შავი სილურჯე მიდგას თვალწინ, ჩემს წინ უფსკრულის კიდეზე რომ მირბოდა, მერე ანაზდად თითი ზეაღმართა და შედგა: „აი!“ — და ეს „აი!“ პოეტთა შორის უკეთილშობილესის, თავადი ავგუსტ პლატენის ქანდაკება იყო, — August von Platen — seine Freunde[8] — დიახ, ტევრში თავისით გაჩენილი ის ყრუ-მუნჯი გოგონა ასიას სული უნდა ყოფილიყო და სხვა არავინ, ანდა ჩემთვის განკუთვნილი მისი სულის სულ უმცირესი ნაწილი! — ამ შავ ბაღში რომ მმფარველობდა.

მეტად ასია აღარასოდეს მინახავს.

გოგონა... ციკანი.... Bichette... ოჰ, ეს თქვენ ხართ, Bichette?

* * *

1920 წელი. ნილენდერის ფილოლოგიურ მღვიმეში შემზარავთვალებიან მღვდელს ვხვდები: თვალებში ლურჯი ცისქვეშეთის უფსკრულებით. მე ვიცნობ ამ თვალებს — ოღონდ ეს თვალები კედლის საკუთრებაა და საბჭოთა პრიმუსის უკნიდან ცქერა არ შეეფერება.

— ნუთუ ვერ მიცანით? ასე შევიცვალე? სოლოვიოვი ვარ. სერიოჟა სოლოვიოვი. (დიახ, დიახ, აუცილებლად უნდა ეთქვა, რომ სერიოჟა იყო: რათა — ამ დღისით-მზისით — სტუმრად მოსული ვლადიმირი არ მგონებოდა! ნეტა სად გაქრა ის საყვარელი, ვარდისფერი მარმარილოს პირმრგვალი სახე? ახლა მღვდელია — ლექსებს აღარ წერს?)

— „ტანია როგორ არის?“ — „სოფელშია. ტანიას ახლა სამი ქალიშვილი ჰყავს“. — „ისევ — სამი?“ „ისევ — სამი“. — „ტურგენევის ჯიშის?“ — „ტურგენევის. და ერთი ძალიან ჰგავს ასიას“. — „გმადლობთ“.

გასაგები რომ იყოს, დავძენ: ტანია ტურგენევა, ჩემი ასიას წაბაძვით, გიმნაზიის იმავე მეექვსე კლასში სწავლისას — სერიოჟა სოლოვიოვს გაჰყვა ცოლად. ასე რომ, ახლა სოლოვიოვებისა და ტურგენევების გოგონებზე ვლაპარაკობდით.

ამ არაჩვეულებრივი და შემზარავთვალებიანი მღვდლის წასვლის შემდეგ, ნილენდერი — მე:

— ეკლესიების გაერთიანებაზე ოცნებობს. ჯერ მართლმადიდებელი იყო, შემდეგ — კათოლიკე, ახლა — უნიატია. თუმცა მანამდე პოეტი იყო!

Знают, стройно и напевно
В полночь вставшие снега,
Что свершает путь царевна,
Взяв оленя за рога...

— ო, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... მაშინ სულ სხვა ადამიანი იყო... ასიას დროინდელი... — მითხრა მამაკაცის იმ განსაკუთრებული სინაზით, თვითონ რომ არასოდეს ჰყვარებია — ვერ გაებედა! — მაგრამ შეყვარებულის, შეყვარებულთა გვერდით დგომით, მათი სინაზით გამოკვებილა.

უ-ნი-ატი... რა გულისგამაწვრილებელი გიმნაზიური საშინელებაა: დილა... წყლის დამტარებლები... ადგომა... ცხოვრება... პასუხისმგებლობა პოლონურ უნიაზე...

* * *

თუმცა დები ტურგენევები მეორედ ვეღარ შედგა. 1922 წელს, ვოზდვიჟენკაზე, ერთმა ახალგაზრდა ქალმა დამიძახა, სახეზე რომ ყოველდღიური სადარდელისა და ტანჯვის ის ჩვეულებრივი საბჭოთა ნაცარი ეყარა, ერთნაირად რომ შლიდა სქესსაც და ასაკსაც, და ნიჩბით ასწორებდა ახალგაზრდობის კვალს.

— ტანია. ტანია ტურგენევა ვარ. თქვენც ძალიან გამოცვლილხართ. მე (იგივე თვალები მოულოდნელად და კიდეებამდე ევსება ცრემლით) — გოგონა მომიკვდა, მეორე. აი, ხედავთ, ამ სურათზე სამივე ერთად არიან.

იაფფასიანი, ტანიასა და ჩემი სახეებივით უკვე გაცრეცილი ღია ბარათიდან სამი პატარა გოგონა — ტურგენევა — შემომცქეროდა, სამი ლედი ჯენი. ტანია, ჯერ ისევ თლილ, მაგრამ ფრჩხილებჩაშავებულ თითს იშვერს ერთ-ერთი თავისკენ:

— აი, *ეს* მომიკვდა.

ეს, რა თქმა უნდა, „ასია“ იყო.

* * *

ასია მეტად აღარასოდეს მინახავს. არსებობს შეხვედრები და გრძნობები, როცა ყველაფერი ერთად გეძლევა და გაგრძელებას აღარ საჭიროებს. გაგრძელება ხომ იმას ნიშნავს — შეამოწმო.

არც ნაღველს გიტოვებს. ნაღველი (ჭრილობა) მაშინ გრჩება, როცა ბოლომდე ვერ გაეცით რაღაც — მან ან შენ — ორივემ. სიცარიელეა, როცა — უღირსს — მიეცი. (ღირსეულს არ აძლევ!) ასია პირველივე წუთიდან შევიგრძენი — წამსვლელად, სათავისოდ, ხანგრძლივობაში — დაკარგულად. ასე მომაკვდავები უყვართ: ყველაფერი — ერთად, როცა ყველა სიტყვა უკანასკნელია, ან სიტყვაც არ სჭირდებათ. ჩვენი შეხვედრა ჩემი უცილობელი, ნდობისმიერი დაქვემდებარებით და მისი აღმატებულობის სრული აღიარებით დაიწყო. თავიდანვე შინაგანად, მყისიერად დავუთმე ყველა ადგილი, სადაც კი ოდესმე შეგვეძლო შეხვედრა. ისევე ბუნებრივად, როგორც უთმობენ ადგილს აჩრდილს, ბედისწერას: ხომ მაინც ვერ დააღწევ თავს.

უკვე თექვსმეტი წლის ასაკში მივხვდი, რომ ლექსების შთაგონება უფრო მეტი იყო, ვიდრე ლექსების წერა, უფრო დიდი „ღვთიური მადლი“, მეტი ღვთითრჩეულობა, და ამ ქვეყნად რომ „ასიები“ არ ყოფილიყვნენ — არც პოემები იქნებოდა ამ ქვეყნად.

უბრალოდ რომ ვთქვათ, მეც ირგვლივმყოფი მამაკაცი მეგობრებივით მოვიქეცი: უბრალოდ, შევიყვარე და პოეტის უზომო თავდადებითა და უანგარობით სულიერად მივნებდი.

თუ ეჭვი, წყენა, ჭრილობები და ნაღველი არ გინდათ განიცადოთ — ნუ შეეწინააღმდეგებით — დანებდით, მასში გაალღვეთ, რაც გასალღობი გაქვთ, დარჩენილიდან კი ხატება შექმენით, მარადიული და უკვდავი. აი, ჩემი ანდერძი ჩემს რომელიმე შთამომავალს — ქალის სახით განსხეულებულ პოეტს.

* * *

დორნახიდან დაბრუნებული ბელი უბრალოდ, აღარ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, რომ თეოსა და ნარკომპროსის ყველა კიბიდან ჩემკენ მოფრინავდა: იშვიათი კიბეებიდან, რადგან ხალხმრავალ ადგილებს ყოველთვის ვერიდებოდი, იშვიათს, მაგრამ ყველას. ორი ფრთა, კულულების შარავანდედი, ნათება.

— თქვენ ხართ? თქვენ? ყოველთვის რა სასიამოვნია თქვენი ნახვა! თქვენ მუდამ იღიმებით!

მერე ცირკის ცხენივით გარს შემომირბენდა, ჩიტის ფრთებით გაკვეთილი ჰაერის ხმაურს შემომაფრქვევდა, თვალებში ბრწყინვალებას ჩამიტოვებდა, თმასა და ყურებში კი — შხუილს და — სადღაც ქრებოდა საბეჭდი მანქანების მოტკარცალე დერეფნებით, თან სირბილშივე უკვე მსმენელებითა და თვალშეციცინებული ქალებით იხუნძლებოდა. ასეთ წუთებში ყოველთვის საბჭოთა გადატვირთულ ტრამვაის მახსენებდა, არცთუ ისე საიმედო ტრამვაის.

ან, ხელოვნების სასახლეში (როსტოვების სახლში, პოვარსკაიაზე) მწვანე მდელოზე. რა ხდება? ქაშაყს ჰყიდიან? არა, კუდი არ ჩანს, არც კუდებია, რაღაც უფრო უწესრიგო, საზეიმო და ქაშაყზე შთაგონებული ხდება, რადგან თავად მწითური, მცონარა პოეტი რუკვიშნიკოვიც წამომდგარა, და ჯიბეში ხელჩაწყობილი არყის ხეს მიყრდნობია.

მე, რომელიღაც გოგონას:

— რა ხდება?

— ბორის ნიკოლაევიჩია.

— ლექციას კითხულობს?

— არა, არაფრიკებს უსმენს.

— არაფრი — ვის? (გოგონა საქმიანად:)

— ახალი მიმართულებაა, დაჯგუფებაა ასეთი, ამტკიცებენ, რომ არაფერი არ არსებობს.

ვუახლოვდები. მოიცადეთ, როგორ უსმენს, როცა ლაპარაკობს? შეუჩერებლად ლაპარაკობს, მის ირგვლივ შეჯგუფულ ახალგაზრდებს, სწორედ იმ არაფრიკებს კი პირი დაუღიათ. ეტყობა, კარგა ხანია ელაპარაკება, რადგან აჰა, მბრწყინავი შუბლიდან შეიწმინდა ოფლი.

— არაფერი: რა? არაფრის ფერი — სიშავე — არარაობა — ნული — სიცარიელე: (ნული) სიშავისა და სიცარიელის წრე. აბა, დააკვირდით, არა-ფერი უკვე თავისთავად არის სიშავე, უკუნი, არარაობა — ეშმაკი. არაფრიკები... ები — თქვენი სიმრავლის ნიშანია, ამ შავი მღვიმის დასახლებულობა მრავლობითობით: ობით... ყველგან მოფენილი ობით: წვრილ-წვრილი, პატარ-პატარა დაჯგუფებებით... არაფრიკები — რწყილებია დაცარიელებულ აგარაკში, საიდანაც პატრონები გაემგზავრნენ საზაფხულოდ. პატრონები კი (თითს სწევს და მიწისკენ მიანიშნებს, აკვირდება და ყველას აიძულებს — თვალი გააყოლონ) — გაემგზავრნენ! გაემგზავრნენ! აგარაკი დაცარიელდა. არავინ დარჩა: არა-ვინ. არა-რა. და კიდევ — ები. გაბევრებული... ები... აგარაკი! ჰო, ის ხის აგარაკი სოკოლნიკში, აგარაკი კი — კი! ვიღაცის მადლი, სიკეთე, დიახ, რუსული ლიტერატურა ვიღაცის ასეთი მადლი იყო, ვიღაცის აგარაკი, მაგრამ... (თითი ტუჩთან — საიდუმლოდ) სახ-ლის პატ-რო-ნე-ბი გაე-მ-გზავ-რ-ნენ. და აღარაფერი დარჩა — არაფერი. მხოლოდ არაფერი დასახლდა. მაგრამ ეს კიდევ არ არის უბედურება, სულაც არ არის უბედურება, როცა ერთია — არა უშავს, მხოლოდ ის არის — არაფერი, თავად — არაფერი, უბედურება ის არის, როცა მხოლოდ — იკ — ები, იკი ხომ იკხიც არის... კხი... მოვ-იდა ჩა-ცი-ნე-ბა, ცალ ფეხ-ზე

ას-კინ-კი-ლით, კი, იკხი, კხი... და ამ ყველაფრიდან დარჩა... კხი. ყველაფრიდან არაფერი კი არ დარჩა, არამედ — კხი, ნახველი... რწყილის შავ გამწლიკულ ფეხებზე შემდგარი!... თან როგორ იკბინებიან! დაგცინიან! როგორი შეუვალები არიან... როგორი შეუვალები ხართ, ბატონებო, ამ საკუთარ არა-ფერო-ბაში! შავი ღრმულის კიდეზე, ჩაქცეული ღრმულის, სადაც დამარხულია რუსული ლიტერატურა (იდუმლად)... და კიდევ რაღაც... ასანთის ფეხებზე — არაფრიკები. თქვენი შვილები კი — არაფრი-კოკოები იქნებიან, ალბათ.

ბლოკი შეწყდა, იმიტომ, რომ ბლოკი — „რისია“, და თუ ბლოკი — შავია, მაშინ ის „რისიაც“ — შავია, სიშავის მთელი პლიუსი სიშავეა, როგორც მყოფობა, არსებობა, მოცემულობა. ოთახში, საიდანაც შუქი გაიტანეს — ბნელა, მაგრამ ღამე, რომელშიც ოთახიდან გახვედი, თვითონ არის სიბნელე და სიშავე, *ის*.

...Не потому, что от нее светло,
А потому, что с ней – не надо света...

ღამესთან შუქი არ გჭირდება.

და ბლოკი, რომელიც ღამეში ჩირაღდნით არ გასულა — ბრძენი იყო, ისეთივე ბრძენი, როგორც დიოგენე, დღისით რომ აანთო ჩირაღდანი, — მზიან დღეს — ჩირაღდანი, ერთმა *ნათელი* გააძლიერა, მეორემ — *უკუნი*. ბლოკი, ღამეს რომ მიუძღვნა თავი და მასში გაიქნა — მართალი იყო. მან სიშავე გაამძაფრა, გაამუქა, დაამძიმა, ჩააღრმავა, ჩააშავა, ღამე უფრო შავი გახადა — სტიქია გაამდიდრა... თქვენ კი — ხი-ხი! კიდეზე, მოუწყვეტლად, ხი-ხი-ხი... აუნაზღაურებლად — ხი-ხი... ლექსები?...

მაგრამ თუ მეტყვით, რომ... მაშინ მე გიპასუხებთ, რომ... და თუ თქვენ ამაზე მიპასუხებთ, რომ... — მე უკვე წინასწარვე გამოგიცხადებთ, რომ... დაიმახსოვრეთ რომ — ახლა, მოცემულ წუთს, როცა ჯერ კიდევ არაფერი გითქვამთ.

„არ გითქვამთ“... აბა, მიდი და — თქვი! ვერც ვერაფერს ეტყვი...

მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერი აღმაფრენა კი არ იყო, ეს იყო — ცეკვა. და იმ ქალბატონს აქაც ისეთივე წარმატებით შეეძლო ეთქვა: „შეხედეთ, ბელი übertanzt[9] არაფრიკებს....“ ყვითელი ყვავილებით მოფენილი სწორი, პატარა მდელო, ნოხად იქცა მის ფეხქვეშ — და ერთიანად დაბზრიალებული, ზეატყორცნილი, საცაა მიწიდან მოსაწყვეტად გამზადებული — ხილვა — გოგონა ციკნით — საუკუნეთა ორგუმბათიან ჩრდილქვეშ სულ ახლახან გადაშლილ ნოხზე...

— ესმერალდა! ჯალი!

ხან მოაჯირებიდან, ხან კათედრიდან, ხან მასთან ერთად ზეაფრენილი მწვანე მდელოს ხელისგულიდან, მუდამ გარშემორტყმული, მუდამ თავისუფალი — გზის დათმობა არ იყო საჭირო ich überflieg euch![10] მუდამ სერთუკების (იქნებ — პიჯაკების? არა — სერთუკების!) კალთების მარადიული თანმხლები ცეკვით, ძველებური, დახვეწილი, ნატიფი, ფრინველის მსგავსი — მაგისტრისა და მუშაითის ნაზავი, — აზრებისა და სიტყვების გაორმაგებულ, გასამმაგებულ და გაოთხმაგებულ ბზრიალში — და სერთუკების მერცხლისებური კალთების, ფეხების, — ო, ფეხების არა! — მთელი სხეულის, მთელი მეორე სულის, და კიდევ — თავისი სხეულებრივი სულის, თავისი სადირიჟორო ზურგის ცალკეულ სიცოცხლეში, ზურგსუკან კი — ორი ფრთა, ორი აღმავალი კიბე უსხეულო სულთა...

დიახ, ასეთად გხედავდათ ყველა, შვეიცარიელი იდუმალთმეტყველით დაწყებული, ვინმე ცოსენელი დიასახლისით დამთავრებული, და, ასეთად დარჩებით, იმყოფებთ, მსუბუქო სულო და ეულო მეგობარო!

— აი სიტყვა — მომხიბვლელობა; საკუთარი ხიბლით გაჩხიბვა და, როგორც ამბობენ, თუმცა ნაზი ღიმილით — ანაზდეული განხიბვლაც! ო, იმ უმაღლესი აზრით, როგორც აქ — ყველა — თავის უღრანში შეგიყვანდა, ღრუბლებში აგაფრენდა და იქვე, წამისად გვერდზე გადგებოდა, მეზობლად, მისთვის ბუნებრივ უღრანში გაუხვევდა — და მიგატოვებდა: ჩაფიქრდებოდა, რაღაცას დააჩერდებოდა და დაავიწყდებოდი, შენ, სულ წამის წინ ვედრებითა და იმედით („ხომ არასოდეს დავშორდებით? ხომ არასოდეს დავშორდებით?“) თავის უახლოეს მეგობარს რომ გიწოდებდა.

Не верь, не верь поэту, дева,
Его своим ты не зови...

არა მხოლოდ „ქალწული“, — ქალწული — რაა? საუკეთესი მეგობარიც ვერ ჩათვლიდა თავისად, რადგან პოეტს საუკეთესო მეგობარზე მაღლა — კიდევ ჰყავს ერთი უკეთესზე-უკეთესი მეგობარი, სხვებზე ახლობელი, რომელსაც ვერასოდეს უღალატებს და რომლის გამოც, უღალატებს ყველას, რომელსაც უერთგულებს მარად — ერთგულების არა გადატანითი, არამედ პირველსაწყისი, საშინელი, მტანჯველი მნიშვნელობით: ვიღაცის მიერ, ვიღაცასთან სამარადისოდ, ხელიდან ხელში: მონის ერთგულებით, იმ ერთგულებით — თითქოს — მიალურსმეს.

— მარგალიტი ღორთა ფერხთა... — ჩურჩულებს საყვარელი, კეთილი პოეტესა ადა ჩუმაჩენკო, იქაური თანამშრომელი, — მეც კი მეუხერხულება, ჩემთან ლაპარაკს რომ იწყებს... მრცხვენია... თითქოს — ის ფანტავს, მე კი ვკრებ...

— ამათ არ ეუხერხულებათ.

— იმიტომ, რომ ვერც კი ხვდებიან, ვინ არის.

— თვითონ ვინ არიან?

ადა ჩუმაჩენკოსა და ჩემს გარდა, იქ სრულიად შემთხვევითი რომ აღმოვჩნდი და მიახლოვებაც ვერ გამებედა, და კიდევ ასეთივე იშვიათი და მორცხვი სტუმრის, ბორის პასტერნაკის გარდა — ბელი არავის ებრალებოდა, გული არ შესტკიოდა. ყველა მას იყენებდა, ზანტად, დუნედ, როგორც გამაძღარი კატები სვლეპენ ხოლმე ნაღებს — ლოკავდნენ, ტლიკავდნენ, ზოგიერთები მდელოზე წამოგორებულებიც კი, და ბელის მარგალიტებს იჯიბავდნენ — წამოუდგომლად.

„რა ხდება?“ — „ბელიმ ისევ აიწყვიტა“.

ოღონდ თქვენში შემოუსვლელად. რამეთუ ოდეს ჩვენი სული თქვენში შემოდის, გწვდებათ კიდეც და ჩვენ არ ვიცლებით, სიცარიელე არ ისადგურებს — არის მხოლოდ დაცლა და შევსება, ურთიერთგაცვლა, ურთიერთობა, ურთიერთწვდომა, ჰარმონია.

ასე კი...

საბრალო, საბრალო, საბრალო ბელი, „ხელოვნების სასახლეებიდან“ შინ მიმავალი, იმ ჭუჭყიან სოროში, მარჯვნივ უზარმაზარი ნაჯახითა და მარცხნივ — ჭყვიტინა ხერხით, თავს ზევით ჩექმებითა და ფეხქვეშ სიბინძურით, ერთობლიობის იმ შემზარავ მარტოობაში, ესოდენ რომ ეწინააღმდეგებოდა კურთხეულ განმარტოებას.

* * *

1921 წელს, ბლოკის სიკვდილიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, ჩემს უკანასკნელ საბჭოთა ზამთარში, ბლოკის უკანასკნელ მეგობრებს დავუმეგობრდი, ცოლ-ქმარ კოგანებს. კოგანი სულ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა და თუ აქამდე არ მითქვამს ის ყველა სიკეთე, რაც მის შესახებ ვიცი და მისდამი ვგრძნობ, მხოლოდ იმიტომ, რომ, ამის საშუალება არ მომცემია.

პ. ს. კოგანს არც პოეტების და არც ლექსების არაფერი გაეგებოდა, მაგრამ უყვარდა, პატივს სცემდა და ერთზეც და მეორეზეც, როგორც შეეძლო ზრუნავდა: ეს ერთსაც და მეორესაც — აწყობდა. და თითის გაუნძრეველ გაგებასა და ხელებისა და ფეხების ქნევით პოეზიის გაუგებრობას შორის (დიახ, ფეხების, რადგან იმ წლებში, იმისთვის რომ ადამიანს დახმარებოდით — უნდა გევლოთ!) ყველა პოეტი, ცხადია, პოეზიის გაუგებრობას აირჩევდა.

აღფრთოვანებული იყო ლექსებით — და არ დაეხმარო პოეტს! სვა წყალი და ხელი არ გაანძრიო ნაკადულის გასასუფთავებლად, არ ამოწმინდო ნაზამთრალი ფოთლები და ჭუჭყი და გულზე ხელებდაკრეფილმა უცქირო და დატკბე კიდეც მისი „პოეტური“ სიმწვანით. უსმინო ბელის და უკან არ გაჰყვე, ღუმელი არ დაუნთო, სახლი არ გამოუგავო, მადლობა არ გადაუხადო იმისათვის, რომ ის — არსებობს. მე იმიტომ ვერ მივყვებოდი, რატომაც მიახლოვებას ვერ ვუბედავდი: ამ თოთხმეტი წლის მანძილზე ჩემში ჩაბუდებული მოწიწების გამო. დახმარების უფლებაც ხომ უნდა მისცე თავს. და კიდევ იმიტომ, რომ როგორღაც დაბადებიდან მქონდა გადაწყვეტილი (და ეგებ, ამით დავიბედე კიდეც), რომ უბედური სიდიადის გვერდით ყველა ადგილი, ბერტრანისეული ერთგულების ყველა წოდება უკვე დაკავებული იყო. წმინდა მოწიწებაც — ხელს გიშლის.

— მწერალია, დიდი ადამიანი, რა სირცხვილია!.. დუნედ, სრულიად აღუშფოთებლად იმეორებდა პიოტრ სემიონოვიჩ კოგანი და თმასა და ულვაშს იქექავდა (ერთი ზემოდან ქვევით ეზრდებოდა, მეორე — ქვემოდან ზევით).

— ვისზე ამბობთ? რა მოხდა?

— ბელიზე. რა სამარცხვინოა. ყველას ეგონა, ბლოკზე წაიკითხავდა ლექციას, ლიტერატურულ შეფასებებსა და მოგონებებზე ილაპარაკებდა, და უცებ: „შიმშილით! შიმშილით! შიმშილით! შიმშილის ნიკრისის ქარით, როგორც არსებობს — სიმაძღრის! *სულიერი* ასთმა დამართეს!“

— ბლოკს თქვენ არ გაუგზავნეთ გაყინული კარტოფილი მოსკოვიდან პეტერბურგში?

— ცხადია, თუმცა ამის შესახებ არაფერი მითქვამს. ახლა ამის დრო არ არის. მაგრამ ესეც არ კმარა. უცებ — ბლოკიდან — თავის თავზე დაიწყო ლაპარაკი. „ოთახი არა მაქვს! მე — რუსული მიწის მწერალი ვარ (სწორედ ასე თქვა!) და ქვაც კი არა მაქვს, სადაც მუხლის მოდრეკას შევძლებდი, უფრო სწორად, ქვა, ქვა — მაქვს, მაგრამ — მომიტევეთ — ჩვენ ხომ ქვის გალილეაში არ ვართ, რევოლუციურ მოსკოვში ვცხოვრობთ, სადაც მწერალს უნდა ეხმარებოდნენ. მე დავწერე „პეტერბურგი“! მე ვწინასწარმეტყველებდი მეფის რუსეთის ნგრევას, მე ვხედავდი სიზმარში მეფის აღსასრულს, ჯერ კიდევ 1905 წელს ვხედავდი, — მარცხნივ ხერხი მაქვს, მარჯვნივ ნაჯახი...“

მე:

— სიზმარში ნახა?

კოგანი, სახეშეჭმუხნული:

— არა, რას ამბობთ! რა სიზმარი, თავის მეზობლებზე ამბობდა, ერთი ხერხავს, მეორე — ჩეხავს. „წერას ვეღარ ვახერხებ! რა სირცხვილია! ქაშაყის რიგშიც მე უნდა ვიდგე! მე უნდა ვწერო! მაგრამ, ჭამაც მჭირდება! მე — სული არ ვარ! მე არ ვარ — სული! მინდა სუფთა თეფშიდან ვჭამო საჭმელი, ქაშაყი — პატარა თეფშზე იდოს და ჭამის შემდეგ, მე არ ვრეცხავდე. ეს მაინც ხომ დავიმსახურე! ბავშვობიდან ვმუშაობდი! აქვე, ამ დარბაზში ვხედავ ათას ზარმაცს, უსაქმურს (ზუსტად ასე თქვა!), რომელთაც ორ-ორი, ზოგს სამ-სამი ოთახიც აქვთ — სხვადასხვა მიზეზით, დიახ: თითო ოთახზე თითო მიზეზი — დიახ, არც არაფერს წერენ, მხოლოდ ხელს აწერენ. სპეკულიანტებს! პარაზიტებს! მე კი — პროლეტარი ვარ: Lumpenproletariat-ი! იმიტომ, რომ დაკონკილი დავიარები. იმიტომ, რომ ბლოკი შიმშილით მოკლეს და მეც იგივეს მიპირებენ! არ დაგნებდებით! მანამდე ვიყვირებ, ვიდრე არ გაიგონებენ: „ა-ა-ა-ა-ა!“ — აი, ასე ყვიროდა, სახეგადატეტკილი, წითელი, და საშინელი თვალებით, ჩვეულებრივზე უფრო საშინელით, ვეღარაფერს რომ ვერ ხედავდა. რა სამარცხვინოა — ინტელიგენტია, კულტურული ადამიანი, სერიოზული მწერალი. ხედავთ, როგორ მიაგო პატივი — ფეხზე წამოდგომით...

— თქვენ როგორ გგონიათ — ტყუოდა?

— ცხადია, არ ტყუოდა, ოთახი უნდა ჰქონდეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყველას უნდა ჰქონდეს, მეორეც — იმიტომ, რომ მწერალია, და ჩვენ მწერლებს მტრებად არ ვთვლით. და საერთოდ, ჩვენ ყველანაირად... მაგრამ — ასეც ხომ არ შეიძლება. დაუფარავად. ყვირილით. ყველას გასაგონად. თითქოს სახრჩობელაზე მიჰყავდათ. და თუ ბლოკი მართლა შიმშილით მოკვდა — ბლოკს ჩემზე უკეთ ვინ იცნობდა? — მხოლოდ იმიტომ, რომ მართლაც დიდი ადამიანი იყო, თავმდაბალი, თავის თავზე ყვიროდა კი არა, ბარჟის დასაცლელად გაგზავნეს და — წავიდა, არაფერი უთქვამს. აი, ეს არის ჭეშმარიტი სიდიადე.

— ასე ხომ შეიძლება, მწერლებიც გადაშენდნენ...

— ესეც — მართალია. მწერლები გვჭირდება... და არა მხოლოდ საზოგადოებრივი. იქნებ გაგიკვირდეთ, ამას მე რომ გეუბნებით, დარწმუნებული მარქსისტი, მაგრამ მე, მაგალითად, თვითონაც ძალიან მიყვარს ტახტზე წამოწოლა და ბალმონტის კითხვა — სილამაზის მოთხოვნილება ჩვენც გვაქვს, და ეს, ეკონომიური მდგომარეობის ზრდასთან ერთად უფრო გაიზრდება — მოთხოვნილებაც და სილამაზეც... მწერლები გვჭირდება და მათთვის მზად ვართ ყველაფერი გავაკეთოთ — თქვენც ხომ მოგეცით ულუფა და თქვენი „ქალწული-დედოფალი“ ვიყიდეთ — მხოლოდ ერთი პირობით — როგორ გითხრათ? — თავს თუ შეიკავებთ. ახლა როგორ უნდა მივცეთ ოთახი, მას შემდეგ, რაც მოხდა? ხომ ისე გამოვა, თითქოს... შეგვაშინა?

— მისცემთ?

— ცხადია, მივცემთ. ჩემსას დავუთმობდი, ოღონდ კი ის არ მომხდარიყო — რაც მოხდა.

ამიტომაც მტკივა გული, იფიქრებენ, — ეგოისტიაო, მე კი არაჩვეულებრივად მესმის, სულაც არ არის ეგოისტი, ასე ბლოკის გამო მოიქცა, ბლოკის გამო მოითხოვა თავისთვის ოთახი, ბლოკის სახელით, ბლოკისთვის — ოთახი, ბლოკის სიყვარულით — და ჩვენი სიყვარულითაც (იმიტომ, რომ ჩვენც როგორღაც, რაღაცნაირად ვუყვარვართ — ისევე, როგორც თქვენ) — არ უნდა რაღაც ისეთი ჩავიდინოთ, რის გამოც მერე პასუხს ვაგებთ. მაგრამ, მომიტევეთ, იმასაც ხომ ვერ დავუშვებთ, რომ მწერლები... გვიყვიროდნენ? ეს ხომ (ახლომხედველი თვალების კეთილი, კითხვის გამომეტყველებით)... უკვე მეტისმეტია?

ბელის მაშინვე მოუხერხა საცხოვრებელი, და არა ადამიანთა — არამედ ღვთის შიშით, ადამიანთა სიყვარულით, და იმიტომაც, რომ უცებ განსაკუთრებული სიცხადით შეიგრძნო, რომ მწერალს ოთახი — სჭირდებოდა. კარგი ადამიანი იყო, გულისხმიერი. ყველაფრის გაგება და მიღება შეეძლო — პოეტის ყველანაირი სიგიჟისა და პოემის ყველა დაფარული ადგილის, — ოღონდ, კარგად უნდა აგეხსნა. ხუმრობა კი ნამდვილად არ ესმოდა. როგორღაც, მის ერთ-ერთ წვეულებაზე — უნივერსიტეტის რექტორად მის დანიშვნას აღვნიშნავდით — ერთ-ერთი მწერლის ცოლმა მთელი ძალით დასცხო მხარზე ხელი, თუ მუცელში მიარტყა მუშტი (სადაც მოხვდებოდა ყველას უტყაპუნებდა, და — არავის სწყინდა) — „ეშმაკსაც წაუღია ყველა, პ. ს., მოდით, ყველა სახლში გავუშვათ, დაიძინონ, მე და თქვენ კი აქ დავრჩეთ — რას იტყვით? — ორნი — ერთად — მარტო! თანახმა ხართ?“ — კოგანი ხუმრობას ვერ მიუხვდა: „სიამოვნებით, მაგრამ სწორედ ამაღამ ბევრი სამუშაო მაქვს, სტატია უნდა დავამთავრო...“ ქალმა კი განაგრძო: „შეგეშინდათ, არა! ოჰ, შე იოსებ მშვენიერო, თუმცა პეტრე ხართ, სიმონის შვილი, არა? ერთი ამას შეხედე, მარინა? — შეხედე, რა მომხიბლავი კაცია, ჩვენი პიოტრ სემიონოვიჩი? მშვენიერი შესახედავი იქნებოდი, სათვალე რომ არ ეკეთოს, არა? შენც ხომ მოგწონს? თუმცა ყველა კაცი მშვენიერი შესახედავია, ცუდები არც არიან — ხომ ასეა...“

ამ აზრს ის, როგორც ჰუმანურ დასკვნას, და რაც მთავარია, გულზე მოშვებით, რომ — გადარჩა, მოწიწებითა და სიხარულით დაეთანხმა.

ახლა, თორმეტი წლის გასვლის შემდეგ, მადლიერების გრძნობის გარეშე ვერ ვიხსენებ მწერალთა ამ სათვალიან და ულვაშიან მფარველ ანგელოზს, რომელიც ერთთავად მათ მიწიერ საქმეებზე ზრუნავდა. და როცა ოდესმე ბლოკზეც დავწერ, მასაც აუცილებლად გავიხსენებ.

ასეთი იყო ჩემი უკანასკნელი მოსკოვური, დაუსწრებელი, ზეპირსიტყვიერი ბელი, რამდენადმე გამარტივებული — მაგრამ მაინც ცნობადი. 1908 წლიდან — 1922 წლამდე — თოთხმეტწლიან ლეგენდაში ჩარჩენილი.

ახლა — ჩვენი შეხვედრების შესახებ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

შენიშვნები

[1] ციკანი — ფრანგ.
[2] ჰო, შენც გაჩნდები, ბიკეტა, ბიკეტა,
მალე გამოჩნდები კომბოსტოს თავიდან. (ფრანგ.)
[3] კულულები (ფრანგ.)
[4] კბილის ტკივილის გულში. (გერმ.)
[5] მინიონი. (ფრანგ.)
[6] როგორიც ვჩანვარ, ისეთად ვიქცევი,
ნუ შეეხებით ჩემს თეთრ სამოსელს! (გერმ.)
[7] სული აღგვილი მარადისობით. (ფრანგ.)
[8] ავგუსტ პლატენს, მისი მეგობრებისგან (გერმ.)
[9] ცეკვაში სჯაბნის. (გერმ.)
[10] მე გადაგიფრენთ! (გერმ.)

რუსულიდან თარგმნა ***მზია გელაშვილმა***

მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელი
ანატოლი გოლდბერგი

მორწმუნის დიალოგი ურწმუნოსთან

მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელი — მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, ოცდაათ წელზე მეტი მეთაურობდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიას დიდ ბრიტანეთში. მისი, როგორც ქადაგისა და ღვთისმსახურის მოღვაწეობა ფართოდ იყო ცნობილი დასავლეთ ევროპაში, ამერიკაში და ასევე საბჭოთა რუსეთშიც. მეუფე ანტონის ქადაგებები მრავალი წლის მანძილზე ხელიდან ხელში გადადიოდა და მრავლდებოდა მაგნიტოფონის ფირებზე ჩაწერილი თუ საბეჭდი მანქანებით ურიცხვჯერ გადაბეჭდილი. ისინი ათასობით ადამიანისთვის იქცა შეხვედრად ცოცხალ სიტყვასთან ქრისტიანული რწმენისა და ეკლესიის, ადამიანის სულიერი დანიშნულების შესახებ. მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელი დაუღალავად ქადაგებდა სახარებას სხვადასხვა ქვეყნების საეკლესიო თემებში, უნივერსიტეტებში, რადიოთი და ტელევიზიით; მისი წიგნები სულიერი ცხოვრების შესახებ სხვადასხვა ენებზე გამოდიოდა. მეუფე ანტონის დამსახურება ქრისტიანული აზრის სფეროში აღინიშნა საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებით დასავლეთ ევროპის თეოლოგიური ფაკულტეტებისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიის მიერ.

მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელი (ერისკაცობაში — ანდრეი ბორისის ძე ბლუმი) დაიბადა 1914 წელს. მისი წინაპრები მამის მხრიდან წარმოშობით შოტლანდიელები იყვნენ. დედა ცნობილი რუსი კომპოზიტორის ა. ნ. სკრიაბინის და გახლდათ. მეუფემ ბავშვობა გაატარა სპარსეთში, სადაც მისი მამა რუსეთის კონსულად მსახურობდა. 1920 წელს ოჯახმა დიდის ვაივაგლახით ჩააღწია ევროპაში და რამდენიმეწლიანი ხეტიალის შემდეგ საფრანგეთში ჩაუშვა ღუზა. აქ გაიარა ანდრეი ბლუმის სიყმაწვილემ, აღბეჭდილმა ემიგრანტული ცხოვრების ვაებით, იმ შეგნებით, რომ რუსეთისათვის უნდა ეცხოვრა და სახარებასთან თვალისმომჭრელად სხივოსანი შეხვედრით, რამაც მანამდე ურწმუნო მოზარდის ცხოვრება თავდაყირა დააყენა.

„ჯერ კიდევ ადრეული ხანიდან, როგორც კი 14 წლის ბიჭმა სახარება წავიკითხე, ვიგრძენი, რომ არავითარი სხვა დანიშნულება არ შეიძლებოდა ჰქონოდა ცხოვრებას, გარდა იმისა, რომ სხვებისთვის გამეზიარებინა ის გარდამქმნელი სიხარული, რაც ღმერთისა და ქრისტეს შეცნობაში აღმოვაჩინე. და მაშინ, ჯერ კიდევ მოზარდმა, საჭირო თუ უდროო დროს, სკოლის მერხზე, მეტროში თუ ბავშვთა ბანაკებში დავიწყე ლაპარაკი ქრისტეზე, ისეთზე, როგორიც მე გამიცხადდა: იგი მე გამიცხადდა როგორც სიცოცხლე, როგორც სიხარული, როგორც აზრი, როგორც რაღაც იმდენად ახალი, რომ ყველაფერს აახლებდა. დაუშვებელი რომ არ იყოს წმინდა წერილის სიტყვების ჩემზე გავრცელება, პავლესავით ვიტყოდი: „ვაი, მე, თუ არ ვახარებ“ (1 კორ. 9, 16). ვაი, იმიტომ რომ ამ სასწაულის არგაზიარება იქნებოდა დანაშაული ღმერთის, ამ სასწაულის მომხდენის, წინაშე, და ადამიანთა წინაშე, რომლებსაც დღეს მთელ დედამიწაზე სწყურიათ ცოცხალი სიტყვა ღმერთზე, ადამიანზე, სიცოცხლეზე...“

მოპოვებულმა რწმენამ განსაზღვრა ანდრეი ბლუმის შემდგომი არჩევანი: მან დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტის ჯერ ბიოლოგიური, შემდეგ სამედიცინო ფაკულტეტი და ექიმი გახდა. 1939 წელს საიდუმლოდ დადო მონასტრული აღთქმა და როგორც საფრანგეთის არმიის ქირურგმა ომს მიაშურა. ოთხი წლის შემდეგ კი ბერად აღიკვეცა. გერმანული ოკუპაციის დროს მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. ომის შემდეგ გააგრძელა სამედიცინო პრაქტიკა, 1948 წელს აკურთხეს მღვდლად და გაამწესეს ინგლისში წმინდა მოწამე ალბანისა და ღირსი სერგის მართლმადიდებელ-ანგლიკანური თანამეგობრობის სასულიერო ხელმძღვანელად. აქედან მოკიდებული მეუფე ანტონის ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირდა ინგლისს. 1956 წელს იგი გახდა ლონდონის უსპენსკის მართლმადიდებელი ტაძრის წინამძღვარი, ერთი წლის შემდეგ აკურთხეს ეპისკოპოსად, 1963-1974 წლებში იყო მოსკოვის პატრიარქის ეგზარხოსი დასავლეთ ევროპაში. გარდაიცვალა მეუფე 2003 წელს ლონდონში.

წინამდებარე დიალოგი მიტროპოლიტ ანტონი სუროჟელსა და ბი-ბი-სი-ს რუსული გან-

ყოფილების თანამშრომელ ანატოლი გოლდბერგს შორის შესულია კრებულში „საუბრები რწმენასა და ეკლესიაზე“, რომელიც მომზადდა „რელიგიის შემსწავლელი ცენტრის“ მიერ და 1991 წელს გამოვიდა მოსკოვში. კრებულში შესულია მეუფე ანტონის სტატიები, ზეპირი გამოსვლები და ქადაგებები, რომლებიც აღბეჭდილი იყო ფონოგრამებზე, რადგან იგი არასდროს სარგებლობდა წინასწარ დაწერილი ტექსტით. მისი შემოქმედება არ წარმოადგენს აკადემიურ შრომების კრებულს, იგი მუდამ ცოცხალ სიტყვად იღვრებოდა და ცოცხალი ადამიანების გულებისაკენ მიემართებოდა.

I

ანატოლი მაქსიმოვიჩ გოლდბერგი: მიტროპოლიტო ანტონი, ამას წინათ ტელევიზიით გისმენდით. თქვენ ინგლისელ მაყურებელს მიმართავდით და ქრისტეს აღდგომაზე ლაპარაკობდით. და ამან დამაინტერესა, ვინაიდან, იმაში, თუ როგორ ეკიდება ყველა ქრისტიანული ეკლესია ამ საკითხს, არის რაღაც პარადოქსული. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, მთავარი ხომ სულია და არა მატერია. ქრისტიანობის ერთ-ერთ მთავარ დოგმატს სულის უკვდავება წარმოადგენს. მაშ რატომღა ანიჭებს ქრისტიანობა ასეთი დაჟინებით ამხელა მნიშვნელობას ქრისტეს ფიზიკურ აღდგომას და ამის მომდევნო მის ფიზიკურ ცად ამაღლებას? თითქოსდა, სწორედ ქრისტიანული თვალსაზრისით ეს სრულიად უმნიშვნელო უნდა იყოს. უფრო მეტიც: ეს მოჩანს მცდელობად, დაედოს ქრისტიანობას მატერიალისტური საფუძველი — მიუხედავად იმისა, რომ მატერიალიზმი სრულიად უცხო უნდა იყოს ქრისტიანობისათვის.

მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელი: აი, სწორედ აქ მე თქვენ არ გეთანხმებით. მე ვფიქრობ, მთელი ბიბლიური ტრადიცია, და ქრისტიანული, რომელიც ამოიზარდა მისგან და ჩემი აზრით, მის დაგვირგვინებად გვევლინება, თვლის, რომ მატერია და სული ადამიანში რაღაცნაირად თანაბარ საწყისებზე არსებობენ. მე ასე ვიტყოდი: ყველა მსოფლმხედველობიდან, რომელთაც ვიცნობ, ქრისტიანობა — ერთადერთი ჭეშმარიტად მატერიალისტური მსოფლმხედველობაა, იმ აზრით (რასაკვირველია, ცოტა სიტყვებით ვთამაშობ), რომ ის მატერიას სერიოზულად აღიქვამს. ის გვასწავლის, რომ მატერია არ გვევლინება დროებით ან შემთხვევით ჩარჩოდ ადამიანის სიცოცხლისათვის, რომ ადამიანი არ წარმოადგენს სულს, რომელიც დროებით „განსხეულებულია“, რომ მატერია, რომელიც გარს გვახვევია, არ წარმოადგენს მხოლოდ ნედლ მასალას ჩვენი სიცოცხლისა, არამედ მას *საბოლოო* მნიშვნელობა აქვს. და რომ ადამიანი განიხილება არა სულად, რომელიც მატერიაში გაიხლართა, არამედ სულისა და მატერიის ერთობლიობად, ერთ მთელად.

და ის, რასაც თქვენ შემდეგ ამბობთ: რომ ქრისტიანობას სწამს სულის უკვდავება, — დიახ, ეს მართალია, მაგრამ უფრო ძირეული, ღრმა აზრით. ქრისტიანობა ამტკიცებს (ამას თქვენ იპოვით რწმენის სიმბოლოშიც, ქრისტიანული ეკლესიის ცნობიერებაშიც) რომ არსებობს მკვდართა აღდგომა: ჩვენ ასე ვხედავთ, რომ ადამიანური ყოფიერების სისავსე — სწორედაც რომ განსხეულებული ყოფნაა და არა სხეულდაკარგული სულების ფარფატი.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მითხარით, ასეთი იყო ყოველთვის ქრისტიანული მიდგომა? ვინაიდან, როგორც მე მახსოვს, ადრე სრულიად სხვარიგად ლაპარაკობდნენ. მე, მაგალითად, მასწავლიდნენ, რომ შუა საუკუნეებში ქრისტიანული ეკლესია თვლიდა, რომ სიცოცხლე მიწაზე — ეს წარმავალი მდგომარეობაა; ის, ცხადია, წარმავალია ახლაც, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ითვლებოდა, რომ ეს უფრო ნაკლებად „მნიშვნელოვანი“ მდგომარეობაა იმასთან შედარებით, რაც შემდეგ იქნება.

მიტროპოლიტი ანტონი: ჩემი აზრით, აქ ორ მომენტთან გვაქვს საქმე: პირველი: მრავალი ასწლეულის მანძილზე ქრისტიანებს, ვთქვათ ასე, ერთგვარი მომლოდინე, შეიძლება დაეჭვებული დამოკიდებულებაც ჰქონდათ **ხორცის** მიმართ, რადგან ფიქრობდნენ, რომ თითქოს ხორცი, ადამიანის სხეულებრიობა მას აკავშირებს ცხოველურ სამყაროსთან, თითქოსდა მას იმ სულიერ არსებაზე დაბლა მდგომად აქცევს, რადაც ადამიანს მართებს ყოფნა. ეს არის უფრო გვიანდელი მიდგომა, ეს არის მიდგომა იმ ქრისტიანული სამყაროსი, რომელმაც უკვე დაკარ-

გა თავისი პირველყოფილი, სიხარულიანი, ყოვლისმომცველი იმპულსი. მეხუთე საუკუნეში ეკლესიის მამათაგან ერთ-ერთი წერდა, რომ არასოდეს არ შეიძლება, უსაყვედურო ან ამხილო სული, თითქოს ის „დამნაშავეა“ ადამიანურ ცოდვაში; რომ სხეულის ცოდვები სინამდვილეში ის ცოდვებია, *სული* რომ სჩადის სხეულის მიმართ. ასე რომ, უნდობლობა სხეულისადმი, რომელიც თანდათან განვითარდა ასკეტური თვალთახედვის განვითარებასთან ერთად, ადამიანის მთლიანობისთვის ბრძოლასთან ერთად, ცნობიერება, რომ ადამიანი ზოგჯერ მძიმდება თავისი ხორცის უღელქვეშ, არ წარმოადგენს ღვთისმეტყველურ თვალსაზრისს, იგი მხოლოდ პრაქტიკული მიდგომაა. მეორე მხრივ, ქრისტიანობაში მუდამ ცოცხლობდა რწმენა, რომ მართალია, ადამიანი დროებით ცხოვრობს დედამიწაზე; მართალია, მოხდება სულისა და ხორცის გაყრა; მართალია, იქნება ისეთი პერიოდი, როდესაც სული იცოცხლებს, სხეული კი ძვლებად იწვება მიწაში; *მაგრამ* საბოლოოდ სხეული მკვდრეთით აღდგება და ადამიანური ნეტარების სისავსე ეს სხეულისაგან განძარცული სული კი არა, არამედ განსხეულებული ადამიანია, იმ კატასტროფის შემდეგ, იმ ამბის შემდეგ, რომელსაც ჩვენ განკითხვის დღეს, სამყაროს აღსასრულს ვუწოდებთ, — რაც გნებავთ, ის დაარქვით, — იმ მომენტის შემდეგ, როცა ყველაფერი გასრულდება და ადამიანი კვლავ გახდება სრული ადამიანი და არა მხოლოდ ნახევარადამიანი.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მაშასადამე, ქრისტიანობის მიმართება ამ საკითხისადმი, თუ სწორად გაგიგეთ, ნამდვილად იცვლებოდა საუკუნეთა მანძილზე; შეიძლება არა ძირეულად, მაგრამ იმ აზრით, რომ ერთ დროს ყურადღება მახვილდებოდა ერთ მომენტზე, სხვა დროს კი სხვაზე? თქვე ბრძანეთ, რომ უნდობელი დამოკიდებულება სხეულისადმი დამახასიათებელია უფრო გვიანდელი ქრისტიანობისათვის, ანუ შუა საუკუნეებისათვის; ახლა კი ამ თვალსაზრისზე უარი ითქვა, და ხორცი და სული კვლავ თანასწორუფლებიანებად განიხილებიან?

მიტროპოლიტი ანტონი: იცით რა, იმის თქმა, რომ ახლა ასეთ მიდგომა უკუგდებულია, ცოტა ოპტიმისტური იქნებოდა; მაგრამ, ქრისტიანული ეკლესიის, ბიბლიური ტრადიციის ძირითადი, პირველადი რწმენა დღეს ახალი სიღრმითა და ძალით განიცდება.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მე ჩავინიშნე თქვენი სიტყვა „ოპტიმისტური“. მაგრამ ქრისტეს აღდგომასთან დაკავშირებით სრულიად გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ურწმუნო კაცის პოზიციიდან, რომელიც სულაც არ ეკიდება რელიგიას მტრულად, მე მაინც მეძალება შემდეგი დასკვნა: რომ ეს დოგმატი ფორმულირებული იყო, რათა ქრისტე ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განესხვავებინათ, რათა ჩვეულებრივი ადამიანები *მის* ღვთაებრივ ბუნებაში დაერწმუნებინათ; სხვა სიტყვებით, თანამედროვე ტერმინით რომ ვისარგებლოთ, ეს დოგმატი ფორმულირებული იყო პროპაგანდისტული მიზნებით. შემიძლია აგიხსნათ. თუკი უბრალოდ იტყოდნენ, რომ ქრისტე ღმერთად უნდა მიეჩნიათ მისი ეთიკური მოძღვრების საფუძველზე, იმ მსხვერპლის საფუძველზე, რაც მან გაიღო, ერთნი დაიჯერებდნენ ამას, მეორენი — არა. და აი, რათა ამაში ადამიანთა დიდი რიცხვი დაერწმუნებინათ, საჭირო იყო რაღაც ზებუნებრივი ამბავი — რადგან ღმერთისგან მრავალი ელის სასწაულს.

მიტროპოლიტი ანტონი: მე ვფიქრობ, რომ ეს *ისტორიულად* არასწორია.

მე ვფიქრობ, რომ ქრისტიანული რწმენა იმ მომენტიდან დაიწყო, როდესაც მავან ადამიანებს — მოციქულებს, რამდენიმე ქალს, მაცხოვრის საფლავთან რომ მივიდნენ *მისი* ჯვარცმისა და სიკვდილის შემდეგ, ადამიანთა სულ უფრო მზარდ რიცხვს დაეუფლათ განცდა, და გამოცდილებად ექცათ, რომ ის, ვინც მათ იხილეს მისი მტრების ხელში, ის, ვინც მათ იხილეს მომაკვდავი ჯვარზე და მწოლიარე კუბოში — *ცოცხალია,* მათ შორისაა. ეს არ არის გვიანდელი დოგმატი, ეს არის ერთ-ერთი უპირველესი რამ, რაზედაც სახარება მოგვითხრობს. ეს სახარებისეული ქადაგების ძირითადი მოტივი, ძირითადი თემაა: რომ ქრისტე ცოცხალია, და რაკი ის ცოცხალია, ყველაფერი დანარჩენი სარწმუნო ხდება. იგი, მაშასადამე, ნამდვილად ის არის, რასაც თავის თავზე ამბობდა, რასაც მასზე ფიქრობდნენ. ჩემი აზრით, სწორედაც რომ პირიქითაა: ეს რაღაც გვიან მოფიქრებული დოგმატი კი არ არის, პროპაგანდისტული მიზნების მისაღწევად რომ წარუდგინეს ადამიანის ცნობიერებას, ეს **პირველადი** რწმენაა, ურომლისოდაც მოწაფეები დამარცხებული ჯარივით, დაწიოკებული ფარასავით დაიფანტებოდნენ და უკვე საბოლოოდ განადგურდებოდნენ.

ანატოლიი მაქსიმოვიჩი: სხვა სიტყვებით, ბუნებრივი რეაქცია?

მიტროპოლიტი ანტონი: რას ნიშნავს „ბუნებრივი რეაქცია“? ვერ გაგიგეთ.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: სხვა სიტყვებით, ის ფაქტი, რომ, ქრისტეს სიკვდილის შემდეგ მისმა მოწაფეებმა იგრძნეს, რომ ის ცოცხალია, იყო ბუნებრივი რეაქცია მის სიკვდილზე?

მიტროპოლიტი ანტონი: არა. ეს „ბუნებრივი რეაქცია“ არ არის, რეაქცია — შინაგანი განცდა იქნებოდა. ის, რაზედაც აქ არის ლაპარაკი, გახლავთ ფიზიკური მოვლენების მთელი რიგი: ვთქვათ, მენელსაცხებლე ქალებმა იხილეს და ფიზიკურად, ხელით შეეხნენ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ცოცხალ სხეულს. მოციქულები, რომელთა შორისაც მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე გამოჩნდა, ისეთივე განცვიფრებამ და ეჭვმა შეიპყრო, როგორი ეჭვითაც თქვენ ხართ ახლა შეპყრობილი. მაგრამ ქრისტემ მათ უთხრა: ნუ გეშინიათ, მე — არა ვარ სული, მოჩვენება, მოჩვენებას არა აქვს ხორცი და ძვლები, მე კი მაქვს; მომეცით რამე შევჭამო... და მათ წინაშე ჭამდა (ლუკა, 24, 36-43). მოციქულ თომას შესთავაზა, ხელით შეხებოდა (იოანე, 20, 27). სახარებისეული ამბის დასასრულს მახარობლები დაჟინებით ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი ქრისტე ცოცხალია სხეულით, ფიზიკურადაა მათ შორის. და ეს მათ თანამედროვე ადამიანებზე ნაკლებად როდი ანცვიფრებდა.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მაგრამ რატომ ამბობთ, რომ უამისოდ მოწაფეები აქეთ-იქით გაიქცეოდნენ, რომ მათ გაჰფანტავდნენ? განა ქრისტეს ეთიკური მოძღვრება არ იყო საკმარისი მათ შესაკავშირებლად და განსამტკიცებლად?

მიტროპოლიტი ანტონი: მე მგონია, რომ სახარების ცენტრი არ ძევს ეთიკურ მოძღვრებაში.

ანატოლი აქსიმოვიჩი: შეუძლებელია!

მიტროპოლიტი ანტონი: ეთიკური მოძღვრება ნაწარმოები და თითქმის მეორეხარისხოვანია ჩემთვის. ჩემი აზრით, ქრისტიანისთვის სახარების *აბსოლუტური ცენტრი ქრისტეს ისტორიული პიროვნებაა, რომელიც იყო ღმერთიც და ადამიანიც.* და თუ ამას გამოვტოვებთ, მაშინ ქრისტეს მოძღვრება ერთ-ერთია მრავალთა შორის, რომელიც მეტ-ნაკლებად შეიძლება მიიღო. მოწაფეები შეიძლება დარჩენილიყვნენ კიდეც ეთიკურ ჯგუფად, მაგრამ მაგრამ *არასოდეს* არ დაიწყებდნენ ქადაგებას *ქრისტეზე.* მოციქული პავლე ლაპარაკობს, რომ მთელი მისი ქადაგება ეს არის ქადაგება ჯვარცმულ და მკვდრეთით აღმდგარ ქრისტეზე, რომ თუ ქრისტე არ აღმდგარა, მაშინ მისი მოწაფეები ყველაზე უბედური ადამიანები არიან, რადგანაც თავიანთ მსოფლმხედველობასა და ცხოვრებას აფუძნებენ ფანტაზიაზე, ჰალუცინაციებზე, სიცრუეზე (1კორ. 15).

ანატოლი მაქსიმოვიჩი: რატომ ჰალუცინაციებზე და სიცრუეზე? აფუძნებენ გარკვეულ ეთიკურ პრინციპებზე. ეს ხომ იყო პრინციპები, რომელთა ქადაგებაც ნამდვილად *ღირდა.* ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ეთიკური პრინციპები რომ არ ყოფილიყო, ქრისტიანობა ისე გავრცელდებოდა, როგორც გავრცელდა?

მიტროპოლიტი ანტონი: ვფიქრობ, რომ არა. მე ვფიქრობ, რომ ეთიკური პრინციპების საფუძველზე ქრისტიანობა უფრო მეტადაც გავრცელდებოდა. მაგრამ ეს სხვანაირი გავრცელება იქნებოდა. ქრისტიანობის ცენტრი ძევს არა მხოლოდ და არა იმდენად ამ ეთიკურ პრინციპებში, რამდენადაც ისტორიულ ამბავში, რომელიც მსოფლიოს აყენებს სულ სხვა მიმართებაში ღმერთთან; რომელიც გვაიძულებს მთლიანად გადავხედოთ ადამიანის ბუნებასაც და მასშტაბსაც, თავად ღმერთის ბუნებასა და მასშტაბსაც, და ჩვენს მატერიალურ სამყაროსაც კი. ვინაიდან, თუკი ამ მატერიალურ სამყაროს აღმოაჩნდა უნარი *დაეტია თავად* ღმერთი, თუკი ამ სამყაროს რაღაც ნაწილაკმა, ფიზიკურმა ნაწილაკმა შეძლო შეერთებოდა *თავად ღმერთს* და ამით არ დაფერფლილიყო, არ დამსხვრეულიყო, არამედ ხელშეუხებელი დარჩენილიყო, — მაშინ მატერიაც წარმოუდგენელ მასშტაბებს იძენს ჩვენს თვალში. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ქრისტიანობა ერთადერთი მატერიალიზმია, რომელიც ზღვრულ მნიშვნელობას ანიჭებს მატერიას, ასევე ადამიანის ისტორიას, ღმერთის ადამიანად განსხეულების წყალობით უცბად მარადიული განზომილება, ღვთაებრივი განზომილება, ტრანსცენდენტალური განზომილება რომ შეიძინა: არა მომავალში, არამედ აი, ახლა, რადგანაც ღმერთი ამ ისტორიაშია — და ადამიანი ხდება რაღაც საოცრად დიდი.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: დიახ, ეს უკანასკნელი — რეალისტური შენიშვნაა, რადგან დანარჩენში თქვენი არგუმენტები სწორედაც რომ ტრანსცენდეტალური მეჩვენება. მაგრამ, თქვენთვის მათ, აშკარაა, მნიშვნელობა აქვთ — რეალური და ცოცხალი მნიშვნელობა. დიდი მადლობა, მიტროპოლიტო ანტონი.

II

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მიტროპოლიტო ანტონი, მომისმენია თქვენი მრავალი გამოსლა რადიოთი და ტელევიზიით, და თქვენ ხშირად ლაპარაკობთ ღმერთთან ურთიერთობის შესახებ. ჩემი თვალსაზრისით, *ღმერთთან ურთიერთობას,* არსებითად, მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს ქრისტიანობისა და სხვა რელიგიურ მოძღვრებათა მიერ დადგენილი ეთიკური ნორმების დაცვას, სხვა სიტყვებით, *ღმერთთან ურთიერთობის* ქვეშ იგულისხმება: გააკეთო ის, რაც საჭიროა და არ გააკეთო ის, რაც არ შეიძლება.

მაგრამ ვფიქრობ, ამ ტერმინს თქვენთვის უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს. რას ნიშნავს ეს თქვენთვის კონკრეტულად? საქმე ეხება ლოცვას თუ რაღაც უფრო სხვას?

მიტროპოლიტი ანტონი: თქვენი შეკითხვა ფრიად მრავალწახნაგოვანია და, პატიოსნად გამოგიტყდებით, ძალიან ძნელი, იმ აზრით, რომ შეიძლება ილაპარაკო რაღაც გამოცდილებაზე, რომელიც შენ სარწმუნოდ გეჩვენება, მაგრამ ძალიან ძნელია, გახადო ის დამაჯერებელი და გასაგები სხვებისთვის, ან დაეხმარო სხვას, მოიხელთოს იგი... თქვენი კითხვის საპასუხოდ ამას ვიტყოდი: ჯერ ერთი, ღმერთთან ჩვენს ურთიერთობაში, რასაკვირველია, არის ეთიკური მომენტი: ღვთაებრივი მცნებების დაცვა, იმ გზით სიარული, რომელიც წინასწარ გვიჩვენა ღმერთმა; მაგრამ მეორე მხრივ, ეს ურთიერთობა იმასაც გულისხმობს, რომ თუ ჩემს პირად გამოცდილებაში არა, მავანის გამოცდილებაში მაინც იყო რაღაც *ნება* ღვთისა, იყო მინიშნება ღვთისგან, რომ ეს მცნებები — სიცოცხლის კანონია, რომ ამ გზას სიცოცხლესთან მივყავართ. და აი, ეთიკური მომენტის საზღვრებს მიღმა, რომელიც არსებობს და რომელიც აუცილებელია, ურომლისოდაც ურთიერთობას არავითარი აზრი არა აქვს, სადღაც უნდა იყოს შეხვედრის მომენტი —ან პირადად ჩემი, ან მავანის. ვთქვათ, ქრისტიანულ, ბიბლიურ ტრადიციაში ლაპარაკი იქნება იმ ურთიერთობაზე, წმინდანებს, წინასწარმეტყველებს, რჯულისმდებლებს რომ ჰქონდათ ღმერთთან; და თუ ისინი ითვლებიან ღვთის კანონის მესიტყვეებად, ეს გულისხმობს სადღაც პირად შეხვედრას ღმერთთან.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მაშასადამე, ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, რომ სიკეთისა და ბოროტების ცნებები ღმერთისგან გამოდის, ასე არ არის? რომ სხვაგვარად ეს ცნებები საერთოდ არ იარსებებდნენ? ეს მე ძალიან კარგად მესმის, ამას ყოველთვის მთავარ არგუმენტად ვთვლიდი რელიგიის სასარგებლოდ, ღმერთის არსებობის სასარგებლოდ. ეს ასეა. მაგრამ რაც შეეხება შეხვედრის მომენტს, — ამასთან, ვფიქრობ, შეიძლება წინასწარმეტყველებსა და წმინდანებს გვერდი ავუაროთ: ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ წინასწარმეტყველებს და წმინდანებს ხომ არ სწამთ, სწამთ ჩვეულებრივ ადამიანებსაც, — მაშასადამე, რას ნიშნავს ჩვეულებრივი ადამიანისთვის ღმერთთან *შეხვედრა?*

მიტროპოლიტი ანტონი: თქვენ ლოცვა ახსენეთ. მე დავამატებდი გამოცდილებას, რომელსაც ქრისტიანულ ეკლესიაში საიდუმლოებებს ვუწოდებთ. ლოცვისას არც ისე ცოტა ადამიანს გარკვეულ მომენტებში (არა ნებისმიერ დროს, არა მათ მიერ არჩეულ წუთებში) ეუფლება განცდა, რომ მათ მიუახლოვდა რაღაც რეალობა, რომ ისინი აღმოჩნდნენ პირისპირ რაღაც *სუფევასთან,* რომ *ვიღაც* დადგა მათ წინ, გაეხსნა მათ; ისინი უცებ აცნობიერებენ, რომ იმ უხილავ სამყაროში, გარს რომ აკრავთ, ვიღაც არსებობს. ეს ისეთივე ცხადი, გამოკვეთილი შეგრძნებაა, როგორიც გიჩნდება, მაგალითად, მაშინ, მავანთან ერთად რომ ხარ და უცებ თითქოს რაღაც კედელს გაარღვევ და გააღწევ იმ ადამიანამდე.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: კონტაქტი მყარდება?

მიტროპოლიტი ანტონი: მყარდება ცოცხალი, ნამდვილი კონტაქტი, რომელიც გაიძულებთ, აღიაროთ, რომ იქ ვიღაც არის. ისე, ზოგჯერ რომ ხდება: ზიხარ ადამიანთან, ის შენთვის უბრალოდ საგანია, შეუძლებელია ხმა მიაწვდინო, და უცებ იგი გაიხსნება შენს წინაშე ადა-

მიანური სახით: ცოცხალი, ღრმა, გულისხმიერი. აი, ეს ერთი იმ მომენტთაგანია, ადამიანს რომ აიძულებს *ურთიერთობაზე* ილაპარაკოს.

ახლა მეორე: მე ვახსენე საიდუმლოებები. საიდუმლოებები, ქრისტიანის თვალსაზრისით, უშუალოდ ღმერთის მოქმედებებია, რომლებსაც ამ სამყაროს მატერიის გავლით რაღაცნაირად ჩვენამდე მოაქვთ, მოჰყავთ თავად ღმერთის სიცოცხლის რაღაც ნაპერწკალი. ამის ახსნა, გადმოცემა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ზოგმა ეს ძალიან ძლიერად განიცადა და ისინი იტყვიან: დიახ, როდესაც მე ვეზიარე ამ პურსა და ღვინოს, უცებ აღმოვაჩინე, რომ ეს არ იყო მხოლოდ პური, მხოლოდ ღვინო, არამედ მათ ჩემამდე მოიტანეს რაღაც ზებუნებრივი გამოცდილება.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მხედველობაში გაქვთ ზიარება?

მიტროპოლიტი ანტონი: მხედველობაში მაქვს ზიარება, მაგრამ შეიძლებოდა ნათლობაზეც გველაპარაკა, თუ უფროსი ადამიანის მონათვლას შეეხებოდა საქმე; ეს შეიძლებოდა ყოფილიყო აგრეთვე ზეთის ცხებაც ავადმყოფობის დროს. ჩნდება სრულიად *მკვეთრი, მკაფიო* ცნობიერება, რომ ამ ნივთიერების მეშვეობით ღვთაებრივი სინამდვილე შეგვეხო, რომელმაც ახალ ცხოვრებას გვაზიარა, რაღაც ახალ სახეში აღგვადგინა.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ახალ ცხოვრებას გაზიარათ? ეს რას ნიშნავს? უკეთეს ცხოვრებას, რომელშიც ეთიკური წესები უფრო მკაცრად იქნება დაცული, მთელი მათი სისავსით?

მიტროპოლიტი ანტონი: ვფიქრობ, აქ ორი ასპექტია: ერთი მხრივ, ჩნდება გრძნობა და ცნობიერება, რომ ჩემს შიგნით წყარომ ამოხეთქა, რომ უცებ გავცოცხლდი, რომ ჩემში სიცოცხლე ჩქეფს; და მეორე მხრივ, რომ ეს სიცოცხლე — არ არის მხოლოდ ჩემი სიცოცხლე, რომელიც „გაცოცხლდა“ და რომელიც ძველებურად იდენს, არამედ ეს სხვა თვისობრიობის სიცოცხლეა, რომელიც დაუნდობლად, მოზეიმედ ითხოვს რაღაც ახალ თვისებას — ეთიკურს, შინაგანსა და გარეგანს.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ჩემნაირ ადამიანს, ცხადია, უჭირს ამის გაგება. მე მესმის, რომ არის ფაქტორები, ადამიანისაგან ახალ ცხოვრებას რომ ითხოვენ, უკეთეს ცხოვრებას, ეთიკური ნორმების უფრო მკაცრ დაცვას. მაგრამ მითხარით: ურთიერთობა ღმერთთან — ხომ არ ნიშნავს ეს მძიმე წუთებში უბრალოდ დიალოგს საკუთარ თავთან, ან უფრო ზუსტად, დიალოგს საკუთარ სინდისთან?

მიტროპოლიტი ანტონი: მე ვფიქრობ, რომ ეს ხშირად იწყება დიალოგით საკუთარ თავთან, როცა უფრო დიდი სიმართლის ძიებას ვიწყებთ, ვიდრე ის სიმართლეა, რასაც ჩვენ მივეჩვიეთ. თუ ჩვენ ყურადღებით, მკაცრად, პატიოსნად ვილაპარაკებთ საკუთარ თავთან და ყურს მივუგდებთ იმას, თუ რას გვეუბნება ჩვენი შინაგანობა, *რა* სიმართლე ისმის ჩვენში, მაშინ ალბათ გავიგონებთ იმას, რასაც თქვენ უწოდებთ სინდისის ხმას. სინდისზე ლაპარაკი, ბოლოს და ბოლოს, ისევე აბსტრაქტულია, როგორც ლაპარაკი ღმერთზე (ა. მ.: სავსებით გეთანხმებით), რადგანაც სინდისი ფიზიკურად ისევე მოუხელთებელია, როგორც ღმერთი. ეს რაღაცნაირი შინაგანი სიმართლეა, ცხოვრების სიმართლე, ადამიანურ ურთიერთობათა სიმართლე თუ ადამიანური ღირსების სიმართლე. მაგრამ სადღაც სინდისის საზღვრებს მიღმა (რომელიც ასევე განპირობებულია, რადგან სინდისი, ადამიანური ურთიერთობების, საკუთარი ღირსების განცდის ჩვენეული გაგება მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვართ აღზრდილები, რა გარემოებაში, რა პრინციპებზე), როდესაც გავარღვევთ სინდისის საზღვრებს, უეცრად აღმოვაჩენთ, რომ არსებობს რაღაც უფრო ღრმა და გადამწყვეტი, ვიდრე სინდისია, რაღაც ხმა, რომელიც გვეუბნება: შენი სინდისი ამას ამბობს, მაგრამ იგი შეზღუდულია; არსებობს უფრო დიდი სიმართლე... ლოცვასთან კავშირში, მაგალითად, როდესაც ჩვენს შიგნით მივიქცევით, ჩვენ გავივლით ჩვენს თავს. არ არსებობს ჩაღრმავებული ლოცვა, სადაც ღვთის სიახლოვეს შევიგრძნობდით, თუ ეს ლოცვა ჯერ ჩვენ თვითონ არ მოგვიცავდა. თუ ჩვენ თავად უყურადღებოები ვართ, თუ ჩვენი გული არ მონაწილეობს, თუ *არ გვსურს* ვიპოვოთ სიცოცხლის სიმართლე, ჭეშმარიტება და უბრალოდ სიცოცხლე, მაშინ ვერ ჩავაღწევთ იმ სიღრმემდე, სადაც შეიძლება შედგეს ის *შეხვედრა*, რომელზედაც ვლაპარაკობდი. იგივე ხდება ადამიანებთან დაკავშირებით.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ ავიღოთ ასეთი მაგალითი: რას აკეთებთ, როდესაც ძნელი გადაწყვეტილება გაქვთ მისაღები, როცა არ იცით, როგორ მოიქცეთ, არ იცით, რა არის სწორი? ასეთი მომენტები, რა თქმა უნდა, ძალზე ხშირია, და როგორ იქცევით,

როცა საქმე რაღაც ძალზე მნიშვნელოვანს ეხება: მხოლოდ ფიქრობთ, თუ ღმერთს მიმართავთ ლოცვით?

მიტროპოლიტი ანტონი: ისიც და ისიც. თავიდან ვცდილობ, რაც შეიძლება პატიოსნად, სადამდეც ჩემი პატიოსნება და ჭკუა-გონება გამწვდება, და კეთილი სინდისი, გავიაზრო საკითხი, რომელიც ჩემს წინაშე დგას.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: გაიაზროთ რა თვალსაზრისით — ეთიკურით?

მიტროპოლიტი ანტონი: ეთიკური, ადამიანური თვალსაზრისით. ეს ერთსა და იმავეზე დადის, მაგრამ მიდგომაა ზოგჯერ განსხვავებული. აქ საქმე წესების, „ნორმების" გამოყენებასთან კი არა გვაქვს, არამედ რაღაც სიმართლის ალღოსთან.

შემდეგ — მე პირადად არ შემიძლია ღმერთს ვთხოვო, იყოს ასე ან ისე. ეს ჩემთვის უცხოა; მე ვცდილობ, დავდგე მის წინაშე, უბრალოდ ლოცვით წარვსდგე მის წინაშე, ანუ გავეხსნა, მივეცე მას და ვუთხრა, რომ მე მსურს სიმართლე, მე მსურს სიკეთე, მე მსურს, რომ იყოს ღვთის ნება, რომელიც შეიძლება დაუპირისპირდეს ყველაფერ იმას, რაზედაც ვოცნებობ, მაგრამ, დე, ის *იყოს*, რადგან მწამს, რომ რომ ეს ნება ღვთისა უფრო ბრძენია, ვიდრე ჩემი და უფრო მეტ სიყვარულს შეიცავს თავის თავში და ადამიანურ სიმართლეს, ვიდრე ჩემი ნება.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: — მაშასადამე, ყველაფერი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ რჩევისთვის მიმართავთ ღმერთს?

მიტროპოლიტი ანტონი: — დიახ.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: და რას ელით მისგან, თვალის ახელას?

მიტროპოლიტი ანტონი: მე მისგან ველი, დიახ, თვალის ახელას, უფრო ღრმა გონიერებით გამსჭვალვას. და ჩემი გამოცდილებით ეს თვალის ახელა, ეს შთაგონება ზოგჯერ ისე მკვეთრად ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც მე მინდოდა, რომ აღარ შემიძლია იგი უბრალოდ ახალ თვალსაზრისად აღვიქვა, თვალსაზრისად, რომელიც ჩემში დაიბადა. ზოგჯერ ჩნდება ცხადი ცნობიერება, რომ ნამდვილად შევეხე რაღაც ზექვეყნიურ სფეროს, რაღაც სფეროს, რომელიც აღემატება მთელი ჩემი ადამიანური, ფსიქოლოგიური, საზოგადოებრივი ურთიერთობების გამოცდილებას.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მე პირადად ეს პროცესი უბრალოდ პირველის გაგრძელებად მესახება. თქვენ თავად თქვით, რომ როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გაქვთ მისაღები, ძნელი გადაწყვეტილება, იმით იწყებთ, რომ ცდილობთ საკითხი რაც შეიძლება გამოწვლილვით ან რაც შეიძლება პატიოსნად გაიაზროთ, შემდეგ კი მიმართავთ ღმერთს ლოცვით. ეს ლოცვა მე მესახება უბრალოდ პირველი პროცესის გაგრძელებად, სხვა სიტყვებით, თქვენ აგრძელებთ ფიქრს, მაგრამ როგორც ჩანს, თქვენ იწყებთ ფიქრს უკვე რაღაც სხვა მდგომარეობაში.

მიტროპოლიტი ანტონი: მე ვიტყოდი, რომ ფიქრს ვწყვეტ და ვიწყებ მოსმენას, რაც შეიძლება ყურადღებით ვუგდებ ყურს...

ანატოლი მაქსიმოვიჩი: რას?

მიტროპოლიტი ანტონი: იმას, რაც გაისმება ჩემში...

ანატოლი მაქსიმოვიჩი: საქმეც ამაშია!

მიტროპოლიტი ანტონი: დიახ, რა თქმა უნდა, მე არ ველი რაღაც ხმას გარედან. იცით, აქ ისეთი მომენტია, რომელსაც ვერ გადმოგცემთ, რომელიც შინაგან ცნობიერებას განეკუთვნება: ზოგჯერ დიდ სიღრმემდე გაარღვევ და აცნობიერებ, რომ ახალ სიღრმემდე ჩააღწიე შენში; ზოგჯერ კი გიჩნდება ცხადი, ძლიერი, მკვეთრი გრძნობა, რომ შენში ალაპარაკდა სხვა, რომ შენ გმართავს ვიღაც შენგან განსხვავებული; და აი, *ამის* გადმოცემა არ შემიძლია, როგორც ვერ შევძლებდი სუბიექტური განცდა გადმომეცა როგორც რაღაც არასუბიექტური. მე არ შემიძლია ამის „ობიექტივაცია", არ შემიძლია დავამტკიცო მისი ობიექტურობა — და, მაინც, მისი ობიექტურობა ზოგჯერ ჩემთვის ძალიან ცხადია, აშკარაა. ხდება ხოლმე, რომ რაღაც პრობლემის წინაშე ვდგავარ და ჩემს თავს კითხვას ვუსვამ. მაგრამ არსებობს ისეთი მომენტებიც, როცა ადამიანი *არაფერს* არ ეძებს და უცებ შედის ღმერთის აქყოფნის, მისი აქსუფევის ცნობიერებაში, უცბად გრძნობს, რომ ღმერთის წინაშე დგას, რომ ღმერთი აქ არის. ეს ჩემი საკუთარი პირველადი გამოცდილებაა, რის გამოც გავხდი კიდეც მორწმუნე: იმ მომენტში, როდესაც *მინდოდა* ჩემი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ ღმერთი არ არსებობს, რომ სახარება წმინდაწყლის უაზრობაა, რომ არაფრის რწმენა არ შეიძლება, რომ ცხოვრებას აზრი არა აქვს, — უეცრად

ჩემთვის სრულიად საგრძნობლად ცხადი გახდა, რომ მე ცოცხალი ქრისტეს წინაშე ვიდექი. რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს იყო ჰალუცინაცია, ეს იყო ბოდვა, ეს იყო ილუზია და...

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ჩემი აზრით, თქვენ უბრალოდ თავში მოგივიდათ აზრი — მაპატიეთ ასეთი პროზაული განსაზღვრებისთვის.

მიტროპოლიტი ანტონი: არა, საქმეც ის არის, რომ ეს არ იყო აზრი. მე ვკითხულობდი და თავის აღება მომიწია, რადგან უეცრად ჩემთვის *სრულიად, განსაცვიფრებლად* ცხადი გახდა, რომ მაგიდის იქითა მხარეს, რომელსაც ვუჯექი, ვიღაც იმყოფებოდა. და მე შევხედე — ისე როგორც ზოგჯერ ქუჩაში რომ მიდიხარ და უკან მიიხედავ, რადგანაც ზურგში გიყურებს ვიღაც. ამიტომ ვახსენე ჰალუცინაცია, გარეგანი ილუზია: მე *არაფერი არ დამინახავს.* მაგრამ დარწმუნებულობა, რომ იქ ობიექტურად, ჩემს გარეთ, ჩემს წინ იმყოფებოდა ქრისტე, იმდენად მკვეთრი იყო, რომ დღემდე თან მახლავს. ცხადია, თავდაპირველი სიმკვეთრე აღარ გააჩნია, მაგრამ იმავე დამაჯერებლობითა და კონკრეტულობით არის აღბეჭდილი.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: დიახ, როგორც ყოველთვის, მე ვხედავ (ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ძველი ჭეშმარიტებაა), რომ გონებას რწმენისაგან რაღაც ხაზი ჰყოფს. რწმენა ამ ხაზის იქით არის. დიდი მადლობა თქვენ, მიტროპოლიტო ანტონი.

III

მიტროპოლიტი ანტონი: ანატოლი მაქსიმოვიჩ, თქვენ ამბობთ, რომ ურწმუნო ხართ. ეს ნიშნავს, რომ თქვენ გაქვთ რაღაც წარმოდგენა ღმერთზე და რომ სწორედ ამ წარმოდგენას უარყოფთ, რადგან ეს წარმოდგენა ვერ უთავსდება თქვენს შეხედულებას სამყაროზე, ცხოვრებაზე. შეიძლება, ასეთი კითხვა დაგისვათ: როგორი ღმერთი არ გწამთ?

ანატოლი მაქსიმოვიჩი: დავიწყოთ ყოვლად ელემენტარულით. მე არ მწამს ბოროტი, წვრილმანი, ბრიყვი და თავის თავში შეყვარებული ღმერთი, რომელიც სჯის ადამიანებს, იმიტომ, რომ ისინი არ იცავენ იმ ფორმალურ წესებს და ელემენტარულ ნორმებს, რომლებიც თვითონვე ან რელიგიურმა მოძღვრებამ დაადგინა; ღმერთი, რომელსაც კმაყოფილებას ანიჭებს ის, რომ ადამიანები „ღვთის სადიდებლად“ ბოროტებას სჩადიან, სულ ერთია, რას ეხება საქმე, მასობრივ მკვლელობებს, რელიგიურ ომებს, ებრაელთა დარბევებს თუ მორწმუნე ადამიანთა დამოკიდებულებას ერთმანეთან ან ურწმუნოებთან; მე არ მწამს ღმერთი, რომელიც უშვებს და თითქოს კმაყოფილებასაც იღებს იმით, რომ მას დღედაღამ ატყუებენ. ასეთი ღმერთი, ჩემი აზრით, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. და თუ, მიუხედავად ამისა, მაინც ვახსენებ მას, იმიტომ რომ, რამდენადაც ყოველდღიურ ცხოვრებაზე პირადი დაკვირვებები და ისტორიის მსვლელობა მიჩვენებს, იყვნენ და არიან მორწმუნეები, რომლებსაც სწორედ ასე წარმოუდგენიათ ღმერთი. ეს საერთოდ შეუთავსებელია ჩემს წარმოდგენასთან იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ღმერთი.

მიტროპოლიტი ანტონი: ვფიქრობ, არაფერი მეთქმის ასეთი ღმერთის უარყოფის წინააღმდეგ. მახსენდება ბერდიაევის პატარა წიგნი „ქრისტიანობის ღირსებისა და ქრისტიანთა უღირსობის შესახებ“, სადაც ის სწორედ ამ აზრს ავითარებს...

რა გსურდათ გეთქვათ, როდესაც ამბობდით: „ღმერთი, რომელსაც სურს, რომ მას ატყუებდნენ ან რომელიც უშვებს, რომ მას უსასრულოდ ატყუებდნენ და ამით კმაყოფილია“?

ანატოლი აქსიმოვიჩი: მორწმუნეებისაგან ხშირად შეიძლება მოისმინო, რომ ისინი ღმერთის წინაშე თავს წმინდად ფორმალურად იმართლებენ. ეს კი ნიშნავს, რომ საკუთარ თავს და სხვებს ატყუებენ და მაშასადამე, ატყუებენ ღმერთსაც, იმიტომ, რომ საკუთარი თავის მოტყუება ღმერთის მოტყუების ტოლფასია. და იფიქრო, თითქოს ღმერთი კმაყოფილია ასეთი სიცრუით, ჩემი აზრით, არის უღმერთობა და ღვთისგმობაც კი.

მიტროპოლიტი ანტონი.: დიახ, გეთანხმებით.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მინდა დავამატო: მე, მაგალითად, ვერ წარმომიდგენია, რომ ღმერთი ერთ აღმსარებლობას ამჯობინებს მეორეს, რომ მორწმუნეებს ურწმუნოებზე უკეთესებად თვლის. შეუძლებელია, ღმერთს არ ჰქონდეს იმდენი ჭკუა, არ ესმოდეს, რომ ეს არასწორია. და

მიუხედავად ამისა, მორწმუნეებისაგან ხშირად გაიგონებთ, რომ საკუთარ თავს ურწმუნოებზე უკეთესებად თვლიან.

მიტროპოლიტი ანტონი: დიახ. მთლიანობაში ასეთი რამ გამოდის: წარმოდგენა ღმერთზე, რომელიც გექმნებათ მორწმუნეთა წყალობით, უბრალოდ ღვთისმგმობელურია და აღგაშფოთებთ.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ყველა მორწმუნის წყალობით არა. მორწმუნეები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თქვენ ახსენეთ ბერდიაევი. წარმოდგენა ღმერთზე, რომელიც მექმნება ბერდიაევის კითხვისას, ცხადია, არ არის ღვთისმგმობელური. მაგრამ მე ყოველთვის მაკვირვებდა, რომ ეკლესია, ღვთისმსახურნი არ ირჯებიან იმისათვის, რომ მორწმუნეებში დანერგონ სწორი წარმოდგენა ღმერთზე.

მიტროპოლიტი ანტონი: და შეიძლება გკითხოთ: როგორი უნდა იყოს ღმერთი და როგორი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ მასზე მორწმუნეებს?

ანატოლი მაქსიმოვიჩი: (ძალიან სწრაფად და კატეგორიულად) გონიერი. პირველ რიგში გონიერი. გარდა ამისა, ღმერთი ითვლება ეთიკის განსახიერებად, სიკეთის განსახიერებად; რატომ უშვებს ის ბოროტების არსებობას, ეს სხვა საკითხია. მაგრამ, ხომ არ შეიძლება რელიგიური ომები სიკეთედ ჩაითვალოს? — და მიუხედავად ამისა, ასეთი ომები ხდებოდა. შემდეგ: ხომ არ შეიძლება მორწმუნეთა წვრილმანი ჭორაობა ურწმუნოებზე სიკეთედ ჩაითვალოს? ეს ხომ აშკარა ბოროტებაა! შეიძლება არა იმ მასშტაბის, რა მასშტაბისაც რელიგიური ომებია, მაგრამ მაინც *ბოროტებაა.* ასე რომ, ღმერთი უნდა ხელმძღვანელობდეს გონებით, რადგანაც, ჩემი აზრით, გონება და სიკეთე ერთი და იგივეა. თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ მითხრათ, რომ ღვთის გზები შეუცნობელია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ ღმერთის გონება, არ შეგვიძლია გავიგოთ ღმერთის განზრახვები. მორწმუნე ადამიანის თვალსაზრისით ეს, კაცმა რომ თქვას, გასაგებია. მაგრამ რადგანაც ჩვენ არ გაგვაჩნია წარმოდგენა ღმერთის გონებაზე, და როგორც ჩანს, არც შეიძლება გაგვაჩნდეს, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ ეთიკური ნორმებით, რომლებიც, მორწმუნეთა აზრით, დაადგინა ღმერთმა და ღმერთისგან ველოდოთ, რომ თავადაც ამ ნორმებით ხელმძღვანელობს და არ სჯის ადამიანებს იმის გამო, რომ რომ ისინი არ ემორჩილებიან რაღაც ფორმალურ წესებს, მაშინ როდესაც ეთიკური ნორმებია უარყოფილი.

მიტროპოლიტი ანტონი: დიახ. მე ეს, მთლიანობაში, ძალიან მახარებს, ერთი მხრივ იმიტომ, რომ რომ თვით თქვენი წარმოდგენებიც კი უშვებს ღმერთის არსებობას, იმ პირობით, რომ არ აღმოჩნდება ისეთი, როგორიც უღირსი მორწმუნეების ცხოვრებიდან და სიტყვებიდან მოჩანს. მაგრამ, აი, თქვენ ახსენეთ ეთიკა, და ერთ წინა საუბარში ჩვენ ვლაპარაკობდით იმის თაობაზე, რომ ქრისტიანულმა ეთიკამ თუნდაც მხოლოდ ჩვენი ევროპული საზოგადოების ცხოვრებაში რაღაც ღირებული შემოიტანა. როგორ წარმოგიდგენიათ: მაინც რა ფასეულობა შემოიტანა ქრისტიანულმა ეთიკამ ჩვენს ცხოვრებაში?

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ყოველ რელიგიას შემოჰქონდა ბევრი რამ ფასეული ჩვენს ცხოვრებაში; მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ რელიგიას, რადგან რელიგია მოგვევლინა ადამიანურ ვნებათა ალაგმვის, ბოროტებასთან ბრძოლისა და ცხოვრების მოწესრიგების ერთ-ერთ საშუალებად. ამის უარყოფა, ჩემი აზრით, სრულიად არასწორია. რაღა თქმა უნდა, არსებობს სხვა საშუალებებიც. ჩინეთში, მაგალითად, ცდილობდნენ შეექმნათ ცხოვრების გონივრული წყობა მხოლოდ და მხოლოდ რაციონალურ-ეთიკურ საწყისებზე დაყრდნობით, რელიგიის გამოყენების გარეშე. რელიგია კონფუციუსის დროს ფაქტობრივად დიდ როლს არ ასრულებდა. ჩინური ეთიკა დაფუძნებული იყო იმ შეგნებაზე, რომ თუ ადამიანები მოიქცევიან გონივრულად, თვითეულისთვის უკეთესი იქნება. ვერ ვიტყვი, რომ დიდ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში არც სხვა ქვეყნებზე ნაკლებისთვის მიუღწევიათ. ჩინეთში, კაცმა რომ თქვას, ის უპირატესობა გამოიკვეთა, რომ რამდენადაც ფილოსოფოსებს ეთიკურ ნორმათა ჩამოყალიბების პროცესში არ შეჰქონდათ რელიგიური ელემენტი, მათ შეინარჩუნეს შემწყნარებლობა.

ისინი უზარმაზარი შემწყნარებლობით ეკიდებოდნენ ნებისმიერ სხვა ფილოსოფიურ სისტემას, იმ პირობით, რომ ეს ფილოსოფიური მოძღვრება ემსახურება ბოროტებასთან ბრძოლასა და სიკეთის დამკვიდრებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ბოროტება იქაც აგრძელებდა არსებობას.

მსოფლიოს სხვა კუთხეებში, კერძოდ, ევროპაში, ბოროტება ასევე აგრძელებდა არსებობას, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ რელიგიურ მოძღვრებათა გარეშე წარმოიქმნებოდა აბ-

სოლუტური ქაოსი. და იუდაიზმმა და შემდეგ ქრისტიანობამაც, რამდენადაც ჩვენ დასავლეთზე ვლაპარაკობთ, უზარმაზარი წვლილი შეიტანეს ქაოსთან და ბოროტებასთან ბრძოლის საქმეში.

მიტროპოლიტი ანტონი: და რომელი ქრისტიანული თავისებურებანი გეჩვენებათ საინტერესოდ, თუ პოულობთ ქრისტიანობაში ნიშნებს, რომლებიც სხვა აღმსარებლობებში ვერ ნახეთ და რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს დასავლეთის საზოგადოებრივ თუ პირად ზნეობრიობაში?

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ქრისტიანობა იუდაიზმის გაგრძელებაა. იუდაიზმი აღმოცენდა მაშინ, როცა ხალხი იმყოფებოდა სრულიად პირველყოფილ, ველურ მდგომარეობაში, და საჭირო იყო მისი რაღაცნაირად ორგანიზება. საჭირო იყო მისთვის ახსნა იმისა, თუ რატომაა საჭირო ცხოვრება ასე და არა ისე. და ეს გაკეთდა ათი მცნების საშუალებით. ქრისტიანობა იყო ამ პროცესის გაგრძელება. მან რაღაც სხვა ელემენტებიც შეიტანა ეთიკურ ნორმათა დამკვიდრების საქმეში: გულმოწყალების, შებრალების, სიკეთის ელემენტები. ქრისტეს ფორმულები გადაჭარბებული, პედაგოგიური იყო; შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ როცა ის ამბობდა, მეორე ლოყა მიუშვირეთო, მას არ სწამდა, რომ ადამიანები მეორე ლოყას მიუშვერენ ერთმანეთს, მაგრამ ეს ფორმულირება იმისკენ იყო მიმართული, რომ მაშინვე არ გაეგლიჯათ ის, ვინც მათ აწყენინებდა.

მიტროპოლიტი ანტონი: მაგრამ, აი, ადამიანურ ურთიერთობებზე რას იტყვით — როგორ გგონიათ, შემოიტანა ქრისტიანობამ რაიმე სრულიად ახალი პიროვნების შეფასების საქმეში, იმაში, თუ როგორ უნდა მოექცეს ადამიანი ადამიანს, არა მხოლოდ როგორ უნდა მოექცეს, არამედ უფრო სიღრმისეულად, ვიდრე მოქცევაა, კერძოდ, როგორ უნდა აფასებდეს საზოგადოება თავის თითოეულ წევრს: როგორც საზოგადოების ნაწილაკს, როგორც მექანიზმის ნაწილაკს, თუ როგორც რაღაც გაცილებით უფრო ფასეულს?

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ქრისტიანობამ რაღაც ხარისხით მართლაც შეიტანა ფილოსოფიურ მოძღვრებაში ადამიანური ღირსების გაგება. იუდაიზმი ადამიანს განიხილავდა მხოლოდ და მხოლოდ პაიკად ღმერთის ხელში; ეს მართლაც ასეა. და ეს გასაგებია: რათა აღეზარდათ პირველყოფილი ხალხი, მისთვის უნდა ჩაეგონებინათ, რომ ის პაიკია. პაიკი არა ფატალისტური აზრით: ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული, იმაზე, რასაც ადამიანი აკეთებს, მაგრამ იმ აზრით, რომ *ის არც ისე ბევრ ნიშნავს.* ქრისტიანობამ მგონი მართლაც გაუსვა ხაზი, რომ ადამიანი მეტს ნიშნავს. მაგრამ, მეორე მხრივ, ქრისტიანობის პრაქტიკა ძირითადად შემზარავი იყო. და ადამიანური ღირსების ცნება, გაგება, რომ ადამიანი ადამიანია, მაშადამე, რაღაც ფასეული, ძირითადად განავითარეს ჰუმანისტებმა და რაციონალისტებმა. ასეთია ჩემი აზრი.

მიტროპოლიტი ანტონი: ანატოლი მაქსიმოვიჩ, მე საშინლად საინტერესოდ და მნიშვნელოვნად მეჩვენება ჩვენთვის თქვენი თვალსაზრისი, რადგან ის უბრალოდ ჩვენ, მორწმუნეებს *გვირტყამს.* უკვე მოციქული პავლე ლაპარაკობდა, რომ ჩვენი, ქრისტიანების გამო *ღვთის სახელი იბღალება ხალხებს შორის* (რომ. 2:24).

და აი, თქვენ პირდაპირ გვიყენებთ ამ საკითხს, რადგან ჩვენ რომ სხვანაირები ვყოფილიყავით, *ჩვენ* ახლა და *ჩვენ* წარსულში, — ღმერთის არსებობის დამაჯერებლობა და მისი თვისებების გამოვლენა, მისი გონება, მისი სიკეთე, მისი სიბრძნე, მისი შემოქმედება — ყველასათვის აშკარა და მისაწვდომი იქნებოდა, ყველა ურწმუნო შესძლებდა ამაში დარწმუნებას; მაშინ როდესაც რაღაც სიბნელეს ვაფენთ იმას, რაც ჩვენ ნამდვილად ღვთის მანათობელ სახედ გვეჩვენება. და მე მგონია, რომ სწორედ ამ თვალსაზრისით რადიკალურ კითხვას გვისვამთ, რომელსაც არ შეგვიძლია, უფლება არა გვაქვს, ზურგი ვაქციოთ. ქრისტიანული *ცხოვრება* — აი, რა უნდა იყოს მორწმუნის პასუხი ურწმუნოს მიმართ, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე შეხედულებები, რომლებიც უმეტესად შეგვიძლია წარმოვადგინოთ ხოლმე. როგორ ფიქრობთ, მართალი ვარ, თუ ღმერთის საკითხი კვლავ ძალიან საეჭვოდ დარჩება თქვენთვის?

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ჩემი დარწმუნება საჭირო არ არის, მე არ უარვყოფ ღმერთის არსებობას, მე, უბრალოდ არ მწამს ღმერთი. არ მწამს ზოგი სხვა მიზეზის გამოც, მაგრამ ეს ბევრად უფრო რთული საკითხია. ჩემთვის ძალიან ძნელი წარმოსადგენია ღმერთი, რომელიც გავლენას ახდენს კაცობრიობის ბედზე და ცალკეულ ადამიანთა ბედზე: ის იმდენ ბოროტებას უშვებს,

რომ ეს პარადოქსულად მოჩანს. უფრო სარწმუნო ის მეჩვენება, რომ თუ ღმერთი არსებობს, მაშინ ისეთი, — რომელმაც შექმნა სამყარო, შექმნა მექანიზმი და უთხრა ადამიანებს: თქვენ თვითონ გაართვით თავიო. ეს, ცხადია, ძალიან რთული პრობლემაა. მაგრამ თქვენ სრულიად მართალი ხართ, მე არ მესმის, როგორ შეუძლია ეკლესიას ზურგი აქციოს ამ საკითხს, არ მესმის, ეკლესია ასე ხშირად რატომ არიდებს თავს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. ჩემი აზრით, ეს ისეთი საკითხია, რომლითაც ეკლესია დაკავებული უნდა იყოს მორწმუნეთა გულისთვის, თავისი თავისა და, რაღა თქმა უნდა, ღმერთის გულისთვის.

IV

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მიტროპოლიტო ანტონი, მე ვიცნობდი ადამიანებს, რომლებიც ხდებოდნენ რელიგიურები, რადგან მათ სტანჯავდათ ბოროტების წარმოშობის საკითხი; ასევე ვიცნობდი ადამიანებს, რომლებსაც რელიგიაზე გული გაუტყდათ ამავე მიზეზით. პირველები გრძნობდნენ ანდა მიდიოდნენ თვალსაზრისთან, რომ სიკეთისა და ბოროტების ცნებები არ შეიძლებოდა თავისით გაჩენილიყო, რომ ის უნდა შეექმნა უმაღლეს ძალას; რატომ არსებობს სიკეთე, მათთვის, ცხადია, ნათელი იყო, მაგრამ კითხვაზე — რატომ და რისთვის არსებობს ბოროტება — პასუხის მიღებას ისინი რელიგიიდან იმედოვნებდნენ. მეორეები, ისინი, ვინც გააწბილა რელიგიამ, მიდიოდნენ შეხედულებასთან, რომ რელიგია არ იძლევა პასუხს კითხვაზე: როგორ უთავსდება ყოვლისშემძლე ღმერთის არსებობა, ღმერთისა, რომელიც სიკეთის, სამართლიანობის განსახიერებაა, იმას, რაც დედამიწაზე ხდება; არა მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობათა სფეროში, არამედ ბუნებაშიც, სადაც მეფობს ქაოსი, ბრძოლა და სისასტიკე. როგორ უპასუხებდით ამ კითხვას?

მიტროპოლიტი ანტონი: ეს ძალიან ძნელი შეკითხვაა იმ თვალსაზრისით, რომ მართლაც შეიძლება ერთი და იგივე წანამძღვრებიდან მიხვიდე რწმენასთან, ან ურწმუნობასთან.

მე მგონია, რომ ქრისტიანი დაახლოებით ასეთ პასუხს გასცემდა: დიახ, ღმერთი ყოვლისშემძლეა; მან ადამიანი თავისუფალი შექმნა; მან ადამიანი თავისუფალი გააჩინა, და ეს თავისუფლება თავის თავში ატარებს როგორც სიკეთის, ასევე ბოროტების შესაძლებლობას; სიცოცხლის კანონიდან გადახვევისა და ამ სიცოცხლის კანონში მონაწილეობის შესაძლებლობას. და აი, როგორც მე მგონია, სწორედ თავისუფლების საკითხია ცენტრალური მნიშვნელობის მქონე სიკეთისა და ბოროტების საკითხთან მიმართებაში. თუკი ღმერთი ადამიანს შექმნიდა ისეთ არსებად, გადახრების უნარი რომ არა აქვს, მაშინ მას არც არანაირი დადებითი უნარები არ ექნებოდა. მაგალითად, სიყვარულის მოაზრება შეუძლებელია თავისუფლების კატეგორიების გარეშე. თავს ვერავის მიუძღვნი, თუ არ არსებობს თავის მიძღვნაზე უარის თქმის საშუალება.

შეუძლებელია ადამიანის სიყვარული, თუკი ეს წმინდად მექანიკური ურთიერთმიმართებაა; თუ არ იქნებოდა უარისთქმის, განდგომის თავისუფლება, და მაშასადამე, თუ არ იქნებოდა ბოროტების შესაძლებლობა, მაშინ სიყვარული უბრალოდ მიზიდულობის ძალა იქნებოდა, ყველა ერთეულს რომ აკავშირებს, და არა ძალა, მათ შორის ზნეობრივ კავშირს რომ ამყარებს

ანატოლი მაქსიმოვიჩი: რატომ? ნიშნავს ეს თუ არა, რომ ბოროტება იმისთვის არსებობს, რომ გამოკვეთოს სიკეთე, როგორც კონტრასტი?

მიტროპოლიტი ანტონი: არა, მე არ ვფიქრობ, რომ ბოროტება *ამისთვის* არსებობს. მაგრამ სადაც არსებობს ერთის შესაძლებლობა, იქ გარდაუვლად ჩნდება მეორის შესაძლებლობაც. რა თქმა უნდა, ჩვენ რომ ისეთი სრულყოფილი არსებები ვიყოთ, რომელთაც არ შესწევთ უნარი გააკეთონ მცდარი არჩევანი, ბოროტება ამოიწურებოდა, მაგრამ ის მაინც იარსებებდა როგორც შესაძლებლობა.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: და თქვენ უშვებთ, რომ ღმერთი, ყოვლისშემძლე ღმერთი ზრუნავს ადამიანებზე, თვალყურს ადევნებს კაცობრიობის ბედ-იღბალს, ეხმარება ადამიანებს, ზრუნავს, რომ დედამიწაზე ბოროტებამ არ გაიმარჯვოს?

მიტროპოლიტი ანტონი: დიახ. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული;

და მაინც, ჩემი ქრისტიანული თვალსაზრისით, ღმერთი მესახება არა სწორედ უპასუხისმგებლო ღმერთად, რომელმაც შექმნა ადამიანი, მიანიჭა მას ეს *საშინელი* თავისუფლება,

ყველაფრის დაქცევა და განადგურება რომ შეუძლია, და მერე — ივანე კარამაზოვის ხატით რომ ვისარგებლოთ, — „იცდის“ სადღაც ჟამთა ბოლოში, როცა გაასამართლებს ადამიანს იმის გამო, რომ მან სწორად არ გამოიყენა მის მიერ ნარგუნები თავისუფლება. ღმერთს ასე არ ვხედავ.

მე წარმომიდგენია ღმერთი პასუხისმგებელი, ღმერთი, რომელმაც შექმნა ადამიანი და სიცოცხლე, მაგრამ რომელიც უბრალოდ არ ელოდება შედეგებს სადღაც ბოლოში. და მისი პასუხისმგებლობის კულმინაციაა მისი განსხეულება, ის, რომ ღმერთი ხდება ადამიანი, შემოდის ისტორიაში და ბოლომდე იძირება მის ტრაგიზმში, და სადღაც გადაჭრის კიდეც ამ ტრაგიზმს.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: როგორ, სად ჭრის ამ ტრაგიზმს?

მიტროპოლიტი ანტონი: ის მას არ ჭრის გარეგნულად: დედამიწაზე სიკვდილი, ტანჯვა, ავადმყოფობა აგრძელებს ადამიანთა მოცელვას. მაგრამ ადამიანის მიმართება ადამიანისადმი შეიძლება გახდეს სიღრმისეულად სხვა.

დამოკიდებულება საკუთარ ტანჯვასთან შეიძლება იყოს სრულიად სხვა; სხვისი ტანჯვისადმი დამოკიდებულებაც სრულიად იცვლება.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მაშასადამე, თქვენ, როგორც ქრისტიანი, უარყოფთ ვოლტერის თეზისს, რომელიც დაახლოებით იქიდან გამომდინარეობდა, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი, აღჭურვა იგი ყოველივე აუცილებლით, პირველ რიგში — გონებით, და შემდეგ თავისი ამოცანა შესრულებულად ჩათვალა: თუ ადამიანები იხელმძღვანელებენ გონებით, ყველაფერი კარგად იქნება, თუ არა და — ეს უკვე მათი საქმეა. რადგანაც ეს საკმაოდ ლოგიკური ახსნაა; მაგრამ თქვენ, იმის მიხედვით თუ განვსჯით, რაც ამ წუთას თქვით, ამას კატეგორიულად უარყოფთ.

მიტროპოლიტი ანტონი: დიახ, ასეთი ღმერთის წარმოდგენა მე უბრალოდ არ შემიძლია, იმიტომ რომ ეს იქნებოდა ზნეობრივი თვალსაზრისით უპასუხისმგებლო საქციელი, უბრალოდ, უზნეო საქციელი, რომელიც საბოლოო ჯამში თავად იქნებოდა ყოველგვარი ბოროტების საფუძველი და მიზეზი; უპასუხისმგებლო, ბოროტი საქციელი, რადგანაც — რა უფლებით გვქმნის ასეთი ღმერთი ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, თუკი აქედან არაფერს არ ელოდება, და თან ყველა სიკეთესთან ერთად, სადღაც ოდესღაც გაგვასამართლებს? რანაირი ღმერთია ეს?

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ვოლტერი არ ამბობდა, რომ ღმერთი გაგვასამართლებს; ის უბრალოდ ამბობდა, რომ ღმერთმა ყველაფერი საჭირო მიანიჭა ადამიანს, რომ ღმერთმა შექმნა განსაცვიფრებელი მექანიზმი, ადამიანის სტრუქტურა, და რაც მთავარია — გონება; რატომ არის ეს უპასუხისმგებლობა? რატომ არის დანაშაული?

მიტროპოლიტი ანტონი: ანატოლი მაქსიმოვიჩ, თუკი ღმერთმა ასეთი შესანიშნავი მექანიზმი შექმნა, მაშინ ეს მექანიზმი ასე უიმედოდ არ წახდებოდა; მაშინ, გამოდის, რომ ღმერთი, რომელმაც ეს მექანიზმი შექმნა, *საშინლად* ცუდი, ყოვლად უვარგისი მექანიკოსია. და თუ ასეთი ღმერთი გვყავს, კაცმა რომ თქვას, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მაგრამ როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ღმერთი, ერთი მხრივ, ზრუნავს ადამიანებზე, და მეორე მხრივ, კაცობრიობის მთელი არსებობის მანძილზე ძირითადად უსამართლობა იმარჯვებს სამართლიანობაზე? თავიდან ამას იმით ხსნიდნენ, რომ თუ ადამიანის საქმე ცუდადაა, ამაში თვითონვეა დამნაშავე, ესე იგი, თავისი რაღაც ცოდვებისთვის ისჯება; შემდეგ ეს ადამიანებს, როგორც ჩანს, აღარ აკმაყოფილებდა და იმაზე დაიწყეს ლაპარაკი, რომ ღმერთი ცდის ადამიანს, რომ ის გამოცდას უწყობს მის რწმენას. ეს, რა თქმა უნდა, იობია; და როცა უკვე აღარც ეს აკმაყოფილებდათ, მოვიდა ქრისტიანობა, რომელმაც დაიწყო ადამიანთა დარწმუნება, რომ ტანჯვა — ეს რაღაც ამაღლებულია. თქვენ ეთანხმებით ადამიანური აზრის ამ მიმართულებით განვითარების ასეთ, ერთგვარად გამარტივებულ, დახასიათებას?

მიტროპოლიტი ანტონი: ვეთანხმები. ოღონდ ის ახსნები, რომლებიც თქვენ, როგორც ამოწურული, წარსულში გასწიეთ, ჩემი აზრით, ბოლომდე დრომოჭმული არ არის. ძალიან ბევრი ბოროტება, ადამიანთა ტანჯვა-წამება წარმოიშობა ცოდვიდან, უბრალოდ ცოდვიდან იმ აზრით, რომ თუ ადამიანი ბოროტია, ის სხვებს აყენებს ტკივილს, ბოროტებასა და ტანჯვას, ის თავის თავს ამახინჯებს, ის თვითონ ხდება ამაზრზენი და წყვეტს ადამიანად ყოფნას.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ეს სრულიად ცხადია. საქმე ეხება იმას, რომ უსამართლობა იმარჯვებს სამართლიანობაზე, ცუდად სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებიც სწორედაც რომ სულაც არ გვევლინებიან საშინელ ცოდვილებად, სულაც პირიქით, შეიძლება საერთოდ მართლები იყვნენ.

მიტროპოლიტი ანტონი: ვფიქრობ, სამართლიანობა, ამ აზრით, ძალიან არამიმზიდველი იქნებოდა. თუკი ბედნიერება, კეთილდღეობა დაუყონვებლივი ჯილდო იქნებოდა სიკეთისათვის, მაშინ სიკეთე, როგორც ზნეობრივი ღირებულება, გაუფასურდებოდა; ის გადაიქცეოდა წმინდა წყლის ანგარებად. ჩემი აზრით, სიკეთე მხოლოდ მაშინ იქცევა სიკეთედ, როცა ადამიანს შეუძლია წინ აღუდგეს უსამართლობას, სიცრუეს, ტანჯვას და მაინც არ უარყოს თავისი სიკეთე, ის, რასაც ის თვლის სიკეთედ, ან რაც ობიექტურადაც სიკეთეა. თუკი, მაგალითად, ადამიანი გულუხვია და ხშირად ატყუებენ ხოლმე, როცა გასცემს, და ამიტომ მიდის დასკვნასთან, რომ *არ ღირს ამის გაკეთება,* მაშინ მისი გულუხვობა ძალიან მწირი ყოფილა. საკითხავი ის არის, თუ როგორია ადამიანის გულისხმიერება. და ყველა თვალსაზრისით, მე მგონია, სიკეთე სწორედაც რომ გამოიცდება იმით, რომ ბოროტებას ეჯახება. მე არ ვამბობ, რომ ეს, არსებითად, კარგია. მაგრამ, უეჭველია, ადამიანი ამ გზაზე იზრდება და სხვა განზომილებაში, სულ სხვა სიდიადეში ამაღლდება, როცა მას აღმოაჩნდება ძალა, პირისპირ შეეჯახოს ტანჯვას, სიძულვილს, უბედურებას, ომის საშინელებებს და ბოლომდე ადამიანად დარჩეს და გაიზარდოს კიდეც, ახალ სიმაღლეს მიაღწიოს თანაგრძნობაში, გაგებაში, სიმამაცეში, თავგანწირვის უნარში.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ეს მაინც ძალიან რთული პროცესია. სავსებით გეთანხმებით, რომ საბოლოო შედეგი სასურველია, მაგრამ მისი მიღწევის პროცესია ძალიან ძნელი, ეს ძალიან მძიმე გზაა; და რაღაცნაირად ძნელი წარმოსადგენია, რომ ამის მიღწევა უფრო ადვილად შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ მითხარით: ზრუნავს ღმერთი კაცობრიობის ბედ-იღბალზე? და თუ ზრუნავს, როგორ ახსნით ისეთ შემზარავ მოვლენას, როგორიც, მაგალითად, ჰიტლერი იყო, რომელსაც მე პირადად სრულიად უნიკალურ არსებად მივიჩნევ, რადგანაც ამ შემთხვევაში ცდაც კი არ ყოფილა, გაემართლებინათ ბოროტმოქმედება რაღაც უმაღლესი, ცრუ ეთიკური ღირებულებებით, არამედ ითქვა ნათლად და უბრალოდ: *ჩვენ გვინდა ჩავიდინოთ ბოროტება.* როგორ ახსნით ასეთი ფენომენის წარმოშობას, თუკი გჯერათ, რომ ღმერთი ზრუნავს ადამიანთა ბედ-იღბალზე?

მიტროპოლიტი ანტონი: უპირველეს ყოვლისა: დიახ, მე მჯერა, რომ ღმერთი ზრუნავს ადამიანთა ბედზე. მეორე: მე ვფიქრობ, რომ თუ ადამიანში არსებობს თავისუფლება, ღმერთმა რომ მიანიჭა, ღმერთს უკვე აღარა აქვს უფლება, გზაზე გადაუდგეს და ეს თავისუფლება გააცამტვეროს. საბოლოო ჯამში ეს გამოვიდოდა: ღმერთი თქვენ გაჩენთ თავისუფალ არსებად, მაგრამ თუ ამ თავისუფლებით ისე არ ისარგებლებდით, როგორც მას მოსწონს, ის იმ წუთშივე შავ დღეს დაგაყრიდათ — და... თქვენ აღარ იარსებებდით. და ისე გამოვიდოდა, რომ დედამიწაზე იქნებოდა უფრო ნაკლები ბოროტება, ანუ იქნებოდა უფრო ნაკლები ბოროტმოქმედი, არ იქნებოდა ჰიტლერი, არ იქნებოდა ის, არ იქნებოდა ეს, — საბოლოოდ კი აღმოჩნდებოდა, რომ ყველაზე დიდი ბოროტმოქმედი აღმოჩნდებოდა თავად ღმერთი, რომელმაც თავისუფლება მომცა, და იმავე წუთს, როგორც კი შეცდომა დავუშვი, როგორც კი მცდარი ნაბიჯი გადავდგი ჩემს გზაზე, სულაც ავცდი გზას რაღაც სიგიჟის წყალობით, მაშინვე მომკლა ამ თავისუფლების გამო. ზნეობრივი პრობლემა ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო დამძიმდებოდა... და წარმოიდგენთ ასეთ ვითარებაში ადამიანის ცხოვრებას? ის იცოცხლებდა იმ ცოდნით, რომ თუ კარგად არ მოიქცევა, ღმერთი გააცამტვერებს. შემდეგი სტადია: რადგანაც ღმერთმა ყველაფერი წინასწარ იცის და შეუძლია ყველაფერი წინასწარ განჭვრიტოს, როგორც კი ბოროტი აზრი გაგიჩნდებოდათ, მაშინვე გაგანადგურებდათ. ეს ხომ საკონცენტრაციო ბანაკზე უარესია! ჩვენ ვიცხოვრებდით დამოკლეს მახვილის ქვეშ: მომკლავს, არ მომკლავს, მომკლავს, არ მომკლავს. მადლობა ასეთი ღმერთისთვის!

ანატოლი მაქსიმოვიჩი : გაიმეორეთ...

მიტროპოლიტი ანტონი: თუ ღმერთმა ადამიანი ნამდვილად თავისუფალი გააჩინა, ანუ მიანიჭა მას უნარი მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი პასუხისმგებლობით, რაც შემდეგ ცხოვრებაში სხვადასხვა საქციელით გამოვლინდება, — ღმერთს უკვე *აღარა აქვს უფლება* ამ თავისუფლებაში *ძალით შეიჭრას.* მას შეუძლია შევიდეს ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ თანაბარ უფლებებზე. აი, როგორც ქრისტე იქცა ადამიანად — და ამის გამო ჯვარზე მოკვდა: დიახ, მე ეს მესმის. მაგრამ თუკი ის ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრებოდა ღმერთის სახით, ე. ი. მთელი თავისი ყოვლისშემძლეობით, ყოვლისმცოდნეობით და ა. შ., გამოვიდოდა, რომ მიწიერი ბოროტმოქმედი, რომელსაც ღმერთისგანვე აქვს თავისუფლება მინიჭებული, იმ წუთს, როცა

ის მცდარად გამოიყენებდა ამ თავისუფლებას, ღვთაებრივი რისხვის მსხვერპლად იქცეოდა, ანუ ის უბრალოდ განადგურდებოდა. უფრო უარესიც: ადამიანი *ჩაიფიქრებდა* თუ არა რაიმე არასწორ საქციელს, ღმერთი მას იმ წუთშივე გაანადგურებდა, რადგან ღმერთმა იცის, რა მოხდება მომავალში. და მთელი კაცობრიობა, ამ დაწყევლილი თავისუფლებით დაჯილდოებული, იცხოვრებდა მარადიული შიშის ქვეშ: ვაიმე, გამიელვა ბოროტმა ფიქრმა — ახლავე სასჯელი დამატყდება თავს; ოი, რაღაც აკრძალული მომინდა — რაღა მეშველება? ეს იქნებოდა ურჩხული და არა ღმერთი, ავაზაკი ავაზაკთა შორის.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მაშ რაღაში მდგომარეობს ადამიანთა ბედში ღვთაებრივი ჩარევა?

მიტროპოლიტი ანტონი: უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ ღმერთმა ადამიანში ჩადო სიცოცხლის კანონი, ანუ მისწრაფება ყველაფრისაკენ, რაც არის დღესასწაულებრივი სიცოცხლის სისავსე. შემდეგ იმაში, რომ მან ადამიანს მისცა სიკეთისა და ბოროტების შეგნება, — ჩვენ ეს არ გამოგვიგონებია, ეს არ არის წმინდად სოციოლოგიური მოვლენა, იმიტომ რომ სოციოლოგიური ფორმები უსასრულოდ იცვლება, ბოროტებისა და სიკეთის ცნება კი ყველგან წითელ ხაზად არის გავლებული.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ამაში სავსებით გეთანხმებით.

მიტროპოლიტი ანტონი: შემდეგ: ღმერთი თავისი ერთგული ადამიანების პირით, რომლებიც მას *იცნობდნენ* თავიანთი გამოცდილებით, ლოცვით და ცხოვრებით, ლაპარაკობდა თავის სიტყვას, მიუთითებდა ზნეობრივ საზომებსა და ზნეობრივ გზებზე. რადგანაც ადამიანის სინდისი ფრიად ფარდობითი, მეტ-ნაკლებად გარკვეული, მერყევი რამ გახლავთ, ღმერთმა მას მისცა კანონი. ღმერთმა ადამიანს მისცა ცხოვრების წესები. და მთავარი: ღმერთი შემოვიდა ისტორიაში იესო ქრისტედ განსხეულებული, გახდა ადამიანი და საქმით გვიჩვენა, რომ შეიძლება გაიარო ცხოვრების მთელი შემზარაობა, ტანჯვა და არასოდეს შეგიპყროს მერყეობამ არც სიყვარულში, არც სიმართლეში, არც სიწმინდეში; და რომ ასეთი ადამიანი — დე, ის განადგურდეს ისტორიულად — *დაუმარცხებელია.*

მან მიღწია თავისი ადამიანობის მთელ ზომას — ეს კი, ნამდვილად, უფრო დიდი გამარჯვებაა ბოროტებაზე, ვიდრე ბოროტება საერთოდ რომ არ არსებულიყო.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ეს მთელ რიგ შეკითხვებს აღმიძრავს, რომლებზედაც, იმედი მაქვს, შემდეგში ვილაპარაკებთ.

V

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მიტროპოლიტო ანტონი, წინა საუბრებში მე დაგისვით შეკითხვა ადამიანთა ცხოვრებაში ღმერთის ჩარევის შესახებ, და ამის პასუხად თქვენ ლაპარაკობდით ეთიკურ ჩარევაზე, იმაზე, რომ ღმერთი აძლევს ადამიანებს ძალას ბოროტებასთან საბრძოლველად, რომ ღმერთმა მისცა ადამიანებს კანონი, რომლის მიხედვითაც უნდა იცხოვრონ, — ეს მე რასაკვირველია, მესმის. მაგრამ ეს ვერ ამოსწურავს საკითხის არსს. საქმე ეხება სხვა რამესაც, კერძოდ, ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩარევას. ჩემი აზრით, ასე ესმის ღვთაებრივი ჩარევა ძალიან ბევრ მორწმუნეს; და აქ ჩნდება შეკითხვა ლოცვის შესახებ. სიტყვა ლოცვა (**молитва**) მომდინარეობს სიტყვიდან **молить,** ესე იგი, თხოვნა. ასევეა სხვა ენებზედაც. ლოცვა ეს არის თხოვნა: რას ითხოვენ ადამიანები? ხშირად ისინი ისეთ რამეს სთხოვენ ღმერთს, რაც მათ საკმაოდ დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებს. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში მე ვნახე, მაგალითად, პატარა დაფა წარწერით „მადლობა ღვთისმშობელს იმისთვის, რომ ჩემმა ვაჟმა ჩააბარა გამოცდა სიმწიფის ატესტატის მისაღებად“. შემიძლია წარმოვიდგინო, რა ხდებოდა ამ ოჯახში გამოცდამდე: არცთუ ისე წარმატებული ვაჟი და ძალიან მშფოთვარე დედა... ეს რა თქმა უნდა, უკიდურესი შემთხვევაა; იმ პატარა დაფების უმეტესობაზე ეწერა მადლობა ოჯახის რომელიმე წევრის გამოჯანმრთელების გამო. ეს, ცხადია, უფრო კეთილშობილი გრძნობაა. მაგრამ ამაშიც ძალიან ცოტა ლოგიკაა: რა საჭიროა, ღმერთს რომ ამას სთხოვენ? რატომ ღმერთი თავად არ ფიქრობს იმაზე, რომ ესა თუ ის ადამიანი უნდა გამოჯანმრთელდეს? რატომ კვდება ზოგი ნაადრევად, ძალების აყვავების ხანაში? ხედავთ ამაში ღვთაებრივ სიბრძნეს?

მიტროპოლიტი ანტონი: პირველ რიგში ლოცვის შესახებ. მართალია, რომ სიტყვა ლოცვა

(მოლიტვა) მოდის სიტყვიდან თხოვნა, გამოთხოვნა, და ა. შ. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ ლოცვაზე იმ ადამიანების თვალსაზრისით, რომლებიც კაცობრიობის ისტორიაში შეიძლება იწოდებოდნენ *მლოცველებად*, დიდი, ღრმა, ძლიერი ლოცვის ადამიანებად (ისევე როგორც, როცა ლიტერატურის განსაზღვრა გვინდა, მესამეხარისხოვან მწერლებზე კი არ ვლაპარაკობთ, არამედ დიდებზე, ასევე მუსიკაშიც, საერთოდ, ხელოვნებაში), მაშინ შეიძლება თქმა, რომ მლოცველი ადამიანისათვის ლოცვაში ყველაზე მთავარი ის კი არ არის, რომ რაღაც გამოსთხოვოს ღმერთს. პირველი და არსებითი ეს ორმხრივი სიყვარულის, ორმხრივი პატივისცემის *ურთიერთობაა,* რომელსაც ადამიანი პოულობს ლოცვაში ან ლოცვის საშუალებით.

ეს მე ყველაზე მთავარი მგონია...

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ურთიერთპატივისცემა? — მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ, რას გულისხმობთ ამაში?

მიტროპოლიტი ანტონი: აი, რას ვგულისხმობ: ღმერთს, რომელსაც პატივს არ სცემ, — არც არაფერს სთხოვ, ისევე როგორც არ სთხოვ არაფერს ადამიანს, რომელსაც ძაღლად არ აგდებ. ამიტომ ადამიანის დამოკიდებულება ღმერთთან უნდა იყოს არა მონური და ანგარებიანი, არამედ ღირსეული, მის ადამიანურ წოდებას რომ შეეფერება. ხოლო ღმერთის მხრიდან ისეთი მიმართებაა, როგორიც შეეფერება მის არსს, იმას, რომ ღმერთმა ჩვენ შეგვქმნა თავისუფლები, რომელიც ჩვენგან ითხოვს, რომ ჩვენ ვიყოთ ნამდვილი ადამიანები, და არა ძირს მხოხავი მონები, ან დაქირავებული მუშები, ნაწყალობევით რომ ცხოვრობენ. ღმერთიც პატივისცემით გვექცევა და მხედველობაში იღებს ჩვენს ადამიანურ ღირსებას. და აი, ადამიანის მიერ პატივმიგებულ ღმერთსა და ადამიანს შორის, რომელსაც ღმერთი ექცევა როგორც ღირებულებას, როგორც ტოლს, შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელია დამყარდეს არა მათხოვრული და მონური ურთიერთობა, არამედ ღირსეული ურთიერთობა, რასაც ჩვენ ლოცვას ვუწოდებთ. ნეტარ ავგუსტინესთან ვხვდებით ერთ შესანიშნავ ადგილს, სადაც ის ამბობს: ვიდრე შენ მიმართავ ღმერთს, რადგან გჭირდება, ნუ წარმოიდგენ, რომ გიყვარს იგი; შენ შეგიძლია თქვა, რომ ღმერთი გიყვარს იმ მომენტში, როცა ის *არ გჭირდება* თხოვნისა და მიღების თვალსაზრისით, როცა ის შენთვის არსებობს უბრალოდ როგორც ფასეულობა, როგორც სიხარული, როგორც სილამაზე; და აი, აქ არის ნამდვილი ლოცვა.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ანუ, ურთიერთობა ღმერთთან, გულახდილი საუბარი ღმერთთან, ან, თუ გნებავთ, საკუთარ თავთან, სინდისთან...

მიტროპოლიტი ანტონი: არა, არ მნებავს!

ანატოლი მაქსიმოვიჩი: არ გნებავთ?

მიტროპოლიტი ანტონი: არა! გულახდილი საუბარი ღმერთთან — დიახ, რომელიც თითქოს ჩემი გავლით ხორციელდება, ცხადია, ჩემი ცნობიერების, გრძნობების, სინდისის გავლით, *მაგრამ* რომელიც მიმართულია *ღმერთისკენ,* და არა უბრალოდ მონოლოგი საკუთარ თავთან, როცა მე ვგულისხმობ, რომ ღმერთი სადღაც რაღაც კია, მაგრამ მე ვილაპარაკებ საკუთარ თავთან და ის მომაყურადებს.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: არა, არა, მე არ ვგულისხმობ მონოლოგს, არამედ დიალოგს საკუთარ თავთან *ეთიკურ* პლანში, დიალოგს საკუთარ სინდისთან.

მიტროპოლიტი ანტონი: მაშასადამე, ეს ნიშნავს, რომ სინდისი, ამ აზრით, თქვენთვის რაღაცნაირად ღმერთის ტოლფასია?

ანატოლი მაქსიმოვიჩი: სავსებით სწორია; სხვათაშორის, სწორედ ასე ესმის ღმერთი მორწმუნეთა უმრავლესობას, რომლებიც არ არიან მებრძოლი ათეისტები, არამედ ცდილობენ გაიგონ, რატომ არსებობს რელიგია, რატომ სწამთ ადამიანებს ღმერთი, რატომ არის ეს აუცილებელი, რატომ ასრულებს რელიგია უზარმაზარ როლს, როგორც მორალურ-ეთიკური ფაქტორი. თუ წაგიკითხავთ ერთი იტალიელი მწერლის წიგნი იტალიელ მღვდელ დონ კამილოზე (მ.ა.: წამიკითხავს), რომელიც დროდადრო ელაპარაკება ქრისტეს, — ის თავის თავს ელაპარაკება, მაგრამ — გულახდილად, ის ელაპარაკება საკუთარ სინდისს, და ეს, წესით, უნდა შეესატყვისებოდეს თქვენს წარმოდგენებს? ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანი ლაპარაკობს საკუთარ თავთან და ღმერთი საიდანღაც უყურადებს!

მიტროპოლიტი ანტონი: დიახ. თუ ასე გავიგებთ — შეიძლება. გარკვეულწილად გეთანხმებით, რომ ეს არის დიალოგი საკუთარ სინდისთან; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის დგო-

მა ზღვრული სიმართლის წინაშე, რომლის უნარიც კი გაგაჩნია, შერწყმა ამ სიმართლესთან, ყურის მიგდება სიმართლისათვის, რომელიც შენს შიგნით ხმიანებს, და ეს არის რაღაც ზომით ექო ღვთის ხმისა.

ამ სიმართლეში, ჩვენში რომ არის ჩადებული, ისმის ღმერთის სიმართლე. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ როდესაც ადამიანი ლოცულობს (მაგალითად, წმინდანები ანდა ჩვეულებრივი ადამიანები თავიანთი ცხოვრების განსაკუთრებულ მომენტებში), ის სადღაც უფრო ღრმად ჩადის, ვიდრე მისი სინდისია, რადგან საქმე ყოველთვის როდი ეხება რაღაც ზნეობრივ განსჯას, იმას, ასე მოვიქცეთ, თუ ისე, საქმე როდი ეხება *მოქმედებას,* არამედ — *ყოფიერებას.* და სადღაც ხდება შეხვედრა; და ამ პროცესში ლოცვა ყოველთვის არ გვევლინება თავად შეხვედრად, არამედ ამ შეხვედრის ძიებად.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: როგორც ღვთისმსახური, თქვენ თვლით, რომ ადამიანებს უფლება აქვთ მიმართონ ღმერთს თხოვნით და სთხოვონ დახმარება ყოველდღიური პრობლემების მოსაგვარებლად?

მიტროპოლიტი ანტონი: მე ვფიქრობ, რომ აქვთ ამის უფლება. და ასე ვფიქრობ ორი მიზეზის გამო: პირველი მიზეზი ის არის, რომ თუკი ჩვენი ღმერთი ვინმე „მიღმიერი“, ღრუბლებს მიღმა მსუფევი ღმერთი კი არ არის, რომელსაც ყვირილითაც ვერ მიაწვდენ ხმას, არამედ ცოცხალი, ახლობელი ღმერთია, რატომ არ უნდა ველაპარაკოთ მას ისევე უბრალოდ, პირდაპირ და გულახდილად, როგორც ველაპარაკებით ყველაზე ახლობელ, ყველაზე გამგებ, ყველაზე გულისხმიერ ადამიანს. მეორე მხრივ, ასე მგონია, ვიდრე ადამიანი მიაღწევდეს იმ მდგომარეობას, რომლის დროსაც აღარაფერს არ სთხოვს ღმერთს, და უბრალოდ შეჰხარის მას, რაღაც პერიოდმა უნდა გაიაროს, როდესაც მას ჰყოფნის რწმენა, უთხრას ღმერთს: „შენ შეგიძლია დამეხმარო და დამეხმარე, რადგან რასაც მე ვეძებ, ეს შენი სიმართლეა; რასაც ვესწრაფვი და რაც მსურს, თავსდება შენი გზებისა და შენი კანონის საზღვრებში.“

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ანუ, ახლობელი ადამიანის გამოჯანმრთელება თავსდება ამ კანონის ჩარჩოებში?

მიტროპოლიტი ანტონი: ვერ ვხედავ, რატომ არ უნდა თავსდებოდეს..

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მესმის, მესმის; მსურს მხოლოდ დავაზუსტო, ნამდვილად ეს გაქვთ მხედველობაში?

მიტროპოლიტი ანტონი: ეს მაქვს მხედველობაში; ცხადია, იმ პირობით, — და ეს ძალიან მნიშვნელოვანი მეჩვენება — რომ ადამიანს ესმის, თუ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას კვლავ მიიღებს ღმერთისაგან, მან ეს ახლებურად უნდა გამოიყენოს, და არა კვლავ ისე, როგორც შეიძლება ადრე იყენებდა, ნაწილობრივ ეგოისტურად, ნაწილობრივ დაუდევრად. მაგრამ ახლა უნდა მიიღოს როგორც საჩუქარი, როგორც მადლი და ისე მოექცეს, როგორც ადამიანი ექცევა ძვირფას განძს, რომელზედაც პასუხისმგებელია.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: თქვენ, მე მგონი, მთლად თანმიმდევრული არა ხართ, მიტროპოლიტო ანტონი. წუთის წინ თქვით, რომ ლოცვის ის პერიოდი, როცა ადამიანები რაღაცას სთხოვენ ღმერთს, გარდამავალი პერიოდია. სხვა სიტყვებით, ამ პერიოდის გავლა საჭიროა იქამდე, ვიდრე ადამიანი დაიწყებს ღმერთით გახარებას. სწორედ გაგიგეთ?

მიტროპოლიტი ანტონი: დიახ.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: თუ ეს გარდამავალი პერიოდია, განა არა სჯობს, რომ ის საერთოდ არ არსებობდეს? ეს რაღაც სამწუხარო აუცილებლობაა?

მიტროპოლიტი ანტონი: არა, მთლად ასე არ არის. მაგალითად, ზრდასრულ კაცად ყოფნა სჯობს ბიჭად ყოფნას. მაგრამ ამის გამო ხომ ვერ ვიტყვით, რომ სიყმაწვილე ცხოვრების უბედურებაა და ორმოცი წლის კაცად დაბადება უკეთესი იქნებოდა?

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ორმოცი წლის კაცად დაბადება, რა თქმა უნდა, ძალიან სავალალო იქნებოდა, გეთანხმებით. საჭიროა უამრავი სისულელის ჩადენა. მაგრამ მსურს გკითხოთ: საქმე სისულელეს ეხება?

მიტროპოლიტი ანტონი: არა. საქმე ეხება არა სისულელეს, არამედ სიმწიფეს. საქმე ეხება იმას, რომ დგება მომენტი, როდესაც იმდენად კარგად იცნობ ღმერთს, იმდენად დარწმუნდი მასში, რომ შეგიძლია თქვა: არაფერს აღარ ვთხოვ, რადგანაც უბრალოდ მზად ვარ, სრული ნდობით მივცე ჩემი თავი ხელში და გავაკეთო მისი საქმე — ყველაფერს დანარჩენს თავად მიხედავს. დანარჩენი არ არის მთავარი. ვთხოვ ძალას, ვთხოვ სიმამაცეს, ვთხოვ გონიერებას, ვთხოვ ყველაფერს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ამ ცხოვრებაში, რომელშიც ვცხოვრობ, ვიყო ადამი-

ანი ამ სიტყვის სრული, ყველაზე ღრმა აზრით. და შეიძლება, ესეც კი არ სთხოვო, და უბრალოდ *იცხოვრო დარწმუნებულობაში*, რომ ღმერთი მოგცემს, და *მხოლოდ* იურთიერთო მასთან იმ სიღრმეზე, რომელსაც ნამდვილი ურთიერთობა ჰქვია.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: კეთილი; და შემდეგ თქვენ თვითონ თქვით, რომ თუ ღმერთი შეიწყალებს ადამიანს და მისცემს იმას, რასაც სთხოვს, ეს უკვე იმ პირობით, რომ ადამიანი ამ ნაწყალობევს უკვე სხვაგვარად, უფრო უკეთ გამოიყენებს. აქ მაინც ჩნდება შეკითხვა ჯილდოსა და გამოცდის შესახებ, ყველაფრის შესახებ, რითაც ადამიანები შეეცადნენ აეხსნათ ქაოსი, დედამიწაზე რომ თარეშობს. გამოდის ასე: შეიძლება ითხოვოთ, საჭიროა ითხოვოთ, რადგანაც გარკვეული პირობით ღმერთს შეუძლია ეს მოგცეთ. ეს, ჩემი აზრით, მთლად ვერ ებმება იმ მოწიფულ პოზიციას, რომელზედაც ეს-ეს იყო ლაპარაკობდით. მაგრამ დასასრულ მინდა ერთი ძალიან უბრალო შეკითხვა დაგისვათ: ერევა ღმერთი ადამიანთა ცხოვრებაში, როდესაც საქმე ეხება ყოველდღიურ საქმეებს? იღებს ის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ლოცვის შედეგად?

მიტროპოლიტი ანტონია: შეიძლება ჯერ ერთ თქვენ სიტყვას გამოვეკიდო? თქვენ თქვით: „იმ პირობით“...

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ეს თქვენ თქვით!

მიტროპოლიტი ანტონი: მე ვთქვი? უკაცრავად! მე არ მინდოდა მეთქვა, რომ ღმერთი რაღაცას მოგვცემს, ან არ მოგვცემს *რაიმე პირობით,* — მე ასე არ მითქვამს. მე მინდოდა მეთქვა, რომ თუ ადამიანი ითხოვს და ეძლევა, მაშინ ის უკვე ვალდებულია სხვაგვარად მოეკიდოს მიღებულს. ღმერთს შეუძლია მოცემა თავისი გულუხვობით. მაგრამ ადამიანს არა აქვს უფლება უბრალოდ აიღოს ეს ნაბოძვარი და ტყეში გააქანოს. ახლა რაც შეეხება ღმერთის ჩარევას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში: დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი ერევა! — მართალია, მე არ მომწონს ეს გამოთქმა, რადგან *„ჩარევა“* მუდამ შეიცავს ძალადობისა თუ დაუპატიჟებლობის რაღაც ელფერს. ღმერთი მონაწილეობს ჩვენს ცხოვრებაში, ცხოვრობს ჩვენთან ერთად, ის ჩვენი ცხოვრების მაცოცხლებელი ძალაა.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მე მესმის, რომ ის — მაცოცხლებელი ძალაა; მაგრამ იღებს კი ის გარკვეულ გადაწყვეტილებებს კონკრეტულ სიტუაციებში ამა თუ იმ ლოცვის შედეგად?

მიტროპოლიტი ანტონი: მე ვფიქრობ, რომ იღებს! არა აუცილებლად; მაგრამ მე მინახავს შემთხვევები, როცა ლოცვას ისეთი განსაცვიფრებელი, გამაოგნებელი პასუხი მოჰყოლია, რომ არ შეიძლება ამას არავითარი კავშირი არ ჰქონოდა ლოცვასთან.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: და მაშ რატომ იღებს ღმერთი ასეთ გადაწყვეტილებას მხოლოდ ზოგ შემთხვევაში?

მიტროპოლიტი ანტონი: აი, ამაზე კი ვერ გიპასუხებთ — უბრალოდ *არ ვიცი.* და აი, აქ მორწმუნისთვის ნამდვილად დგება ღმერთისადმი მისი ნდობის საკითხი. არა პრინციპული, არამედ პირადი ნდობის საკითხი. ადამიანი შეიძლება ან საერთოდ მიენდოს ღმერთს, უბრალოდ თქვას, რომ ღმერთი მაინც მართალი იქნება და ყოველთვის მართალია, და ამიტომ ამაზე კამათი საჭირო არ არის; მაგრამ შეიძლება არსებობდეს სხვაგვარი ნდობაც: ვიცით რა ღმერთი რაღაც ზომით ჩვენი გამოცდილების შიგნით, ჩვენ, მაშინაც კი, როცა ხდება რაღაც გაუგებარი, შეგვიძლია ვთქვათ: მე მას ვიცნობ, მე შემიძლია მას ბოლომდე ვენდო, მიუხედავად იმისა, რომ არ მესმის.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: დიდი მადლობა, მიტროპოლო ანტონი.

VI

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მიტროპოლიტო ანტონი, ჩვენს დღევანდელ, ბოლო საუბარში მინდოდა ასეთი შეკითხვა დამესვა: რას ელით მორწმუნეებისაგან?

მიტროპოლიტი ანტონი: მორწმუნეებისაგან? პირველ რიგში ველი რწმენას. მართალია, უაზროდ ჟღერს, მაგრამ...

ანატოლი მაქსიმოვიჩი: რატომ? თქვენ მიტროპოლიტი ბრძანდებით, სრულიად ცხადია, რომ მორწმუნეთაგან რწმენას ელით.

მიტროპოლიტი ანტონი: დიახ. მაგრამ ეს რაღაც მეტისმეტად გასაგებად ჟღერს. ამით მე მინდა ვთქვა, რომ მორწმუნისგან, ერთის მხრივ, ველი მიმნდობლობას ღმერთისადმი, სიცოცხლისადმი; არა ბრიყვულ მიმნდობლობას, მაგრამ არც *დაშინებულ* დამოკიდებულებას, არამედ იმ ადამიანის დამოკიდებულებას, რომელიც გაბედული, გონიერი, გამოცდილი ნდობით შედის ცხოვრებაში; და, მეორეს მხრივ, ველი დარწმუნებულობას მისი რწმენის შინაარსში. აქედან კი გამომდინარეობს და *ეს არ არის* ნაკლებ მნიშვნელოვანი: მან ისე უნდა იცხოვროს, რომ ისიც აშკარა იყოს, რომ *სწამს* და ისიც, *რაც სწამს*. ცხოვრების შესატყვისობა რწმენასთან *აბსოლუტურად* აუცილებელია, სხვაგვარად ეს ცარიელი ლაყბობაა.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: სხვა სიტყვებით, მორწმუნე უნდა ხელმძღვანელობდეს ქრისტიანობის, ან რომელიმე სხვა აღმსარებლობის ეთიკური პრინციპებით.

მიტროპოლიტი ანტონი: დიახ, უნდა ხელმძღვანელობდეს.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ასე, ეს მესმის.

მიტროპოლიტი ანტონი: წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს კარგავს ყველაფერი, რასაც კი ის რწმენაზე ამბობს.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: და ეკუთვნის თუ არა იმ ეთიკურ პრინციპებს, რომლებითაც მორწმუნე უნდა ხელმძღვანელობდეს, შემწყნარებლობა სხვაგვარად მოაზროვნეთა, სხვა აღმსარებლობის მიმდევართა, ურწმუნოთა მიმართ?

მიტროპოლიტი ანტონი: მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შემწყნარებლობა განეკუთვნება იმ თვისებებს, რომლებიც უნდა გამოარჩევდეს მორწმუნეებს. ამაზე თქვენ მეტყვით, რომ ეს თვისება იშვიათად გვხვდება (ისევე როგორც კარგი მწერალი ან კარგი ადამიანი გვხვდება იშვიათად); მაგრამ არსებითად, შემწყნარებლობა —*აბსოლუტურად აუცილებელი* თვისებაა მორწმუნისათვის. შეუწყნარებლობა იმის შედეგია, რომ ადამიანი არ არის დარწმუნებული საკუთარ თავში.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მაგრამ თუ ეკლესიის ისტორიას გადავხედავთ, შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ სწორედ ეს პრინციპი, რბილად რომ ვთქვათ, არ ინერგებოდა ეკლესიის მიერ სისტემატიურად; იქმნება გაცილებით უფრო უკეთური შთაბეჭდილება, კერძოდ, რომ ეკლესია თავად გამოდიოდა შემწყნარებლობის წინააღმდეგ, რომ ეკლესია თავად ნერგავდა შეუწყნარებლობას.

მიტროოლიტი ანტონი: მე ვფიქრობ, რომ აქ ორ მომენტთან გვაქვს საქმე: თუკი ადამიანი ღრმად, მთელი სულითა და გულით, მთელი სასიცოცხლო ძალით არის დარწმუნებული სიმართლეში, ცხოვრებაზე ამა თუ იმ წარმოდგენაში, სრულიად ბუნებრივია, რომ მან ამაზე ილაპარაკოს, იქადაგოს, უნდოდეს, რომ გაგვიზიაროს. ეს მხოლოდ რელიგიას როდი ეხება, არამედ ცხოვრების ყველა სფეროსაც. როდესაც რაღაც კარგ წიგნს წავიკითხავთ, რომელმაც გაგვიტაცა, მოვისმენთ მუსიკას, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი რომ არის, გვსურს ყველას გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება. და ასეთი დამოკიდებულების დროს შემწყნარებლობამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუმცა, ის არ უნდა ავურიოთ ნელთბილობაში ან გულგრილობაში. მაგრამ არსებობს სხვაგვარი შემწყნარებლობა, ან შეუწყნარებლობა, რომელიც, როგორც წუთის წინ გითხარით, მომდინარეობს იქიდან, რომ ადამიანი არ არის დარწმუნებული ძალაში, დამარწმუნებელ ძალაში იმისა, რაც სწამს, და სურს მისი ხელოვნურად დანერგვა. ეს — *დანაშაულია*. ადამიანი, რომელსაც სურს ძალით ჩაუნერგოს მეორე ადამიანს რაიმენაირი იდეოლოგია, თავისი შეხედულებები, თავისი რწმენა, რაც არ უნდა იყოს ეს, — არის ის ადამიანი, რომელსაც საბოლოო ჯამში არ სწამს იმ ჭეშმარიტების დამარწმუნებელი ძალისა, რომელზედაც ლაპარაკობს. ყოველგვარი ძალადობა მეტყველებს ადამიანური რწმენის სისუსტეზე, ან იმაზე, რომ ადამიანს არ სჯერა მეორე ადამიანის, და ფიქრობს, რომ მისგან არ უნდა ელოდოს ამა თუ იმ ჭეშმარიტებასთან თუ სიმართლესთან მისვლას, და რომ იგი ძალით უნდა მიიყვანო ამასთან. ეს არის რელიგიური დანაშაული.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: სრულიად გეთანხმებით, იმ აზრით, რომ ყველაზე შეუწყნარებლები იყვნენ ეკლესიის მოღვაწენი, რომლებიც ეჭვებით იყვნენ შეპყრობილნი და უნდოდათ ძალით დაერწმუნებინათ სხვებიცა და საკუთარი თავიც. მაგრამ, მოდით, სხვაგვარად შევხედოთ ამას. არსებობს ეკლესია. ეკლესია პასუხისმგებელია იმაზე, რომ დაეხმაროს ადამიანებს ჰქონდეთ რწმენა, რომ იცხოვრონ ისე, როგორც ავალებს მათი რწმენა. და ეკლესია არ ავლენდა სათანადო შემწყნარებლობას. რატომ?

მიტროპოლიტი ანტონი: ვფიქრობ, ორი მიზეზით: ერთ მიზეზზე უკვე ვილაპარაკე: ეს არის

არარსებობა მშვიდი, გამარჯვებული რწმენისა, რომ ჭეშმარიტება თავის თავს დაიცავს; რომ ღმერთი *ჩვენი დასაცავი* არ არის; რომ ადამიანში არსებობს უნარი გამოეხმაუროს ჭეშმარიტებას სხვისი მხრიდან განხორციელებული ძალადობის გარეშე; მეორე მიზეზი კი მორწმუნეთა საზოგადოებაა, და ეს ეხება არა მხოლოდ მართლმადიდებლებს, არამედ ყველა მორწმუნეს, ქრისტიანსა და არაქრისტიანს...

ანატოლი მაქსიმოვიჩი: სავსებით სწორია. არ ვიცი, რას იტყვით, მაგრამ სრულიად მართალი ბრძანდებით: ყველა ეკლესიას, ყველა რელიგიას ამ საკითხში რაღაც საერთო აქვს, არის ეს მომენტი...

მიტროპოლიტი ანტონი: მე მგონია, ეს იმიტომ ხდება, რომ ნებისმიერ რელიგიურ თემსა და მის გარემომცველ საზოგადოებას, კერძოდ, სახელმწიფოს შორის, რომელშიც ის ცხოვრობს, ყალიბდება კავშირი, რომელიც ყოველთვის დამღუპველია მორწმუნე საზოგადოებისათვის; რომელიც ყოველთვის ზღუდავს მას; რომელსაც ყოველთვის გადაჰყავს იგი ჭეშმარიტი გზიდან; რომელიც რწმენის, სიყვარულის, იმედის, ერთგულების, მსხვერპლის გაღების მაღალ პრინციპებს ყოველთვის ჩაანაცვლებს ხოლმე რაღაც სხვა რამით, მაგალითად, რუსიფიკაციით (თუკი ვილაპარაკებთ რევოლუციამდელ რუსულ ეკლესიაზე ბალტიისპირეთსა თუ პოლონეთში), ანდა რელიგიური მომენტის გამოყენებით საერო, მე ვიტყოდი, ხშირად ანტირელიგიური მიზნებით.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: ყოველ შემთხვევაში პოლიტიკური მიზნებით. ეს მე კარგად მესმის. მაგრამ ეს მაინც არ ამოწურავს საკითხს. მე მგონი, თქვენ გაუცნობიერებლად შეეხეთ შეუწყნარებლობის მთავარ მიზეზს. თქვენ ახსენეთ ჭეშმარიტება. თქვენ ბრძანეთ, რომ ადამიანი თავად მივა ჭეშმარიტებასთან; სხვა სიტყვებით, თითოეული ეკლესია, თითოეული რელიგია დარწმუნებულია, რომ ის ფლობს *მთელ ჭეშმარიტებას,* მთელ *აბსოლუტურ* ჭეშმარიტებას, — და სწორედ ამაშია შეუწყნარებლობის მიზეზი. ტოტალიტარული სახელმწიფოები თავისი ბუნებით შეუწყნარებლები არიან — რატომ? იმიტომ რომ დარწმუნებულები არიან, რომ მათთანაა ჭეშმარიტება, აბსოლუტურად მთელი ჭეშმარიტება, და ისინი, ვინც არ ეთანხმებიან — ცდებიან. და აი, ამასვე ფიქრობს ეკლესიაც. და რას ვიღებთ პრაქტიკულად? ეკლესია არწმუნებს მორწმუნეებს, რომ ისინი ფლობენ მთელ ჭეშმარიტებას, და ამის *გარდაუვალი* შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ მორწმუნე, რამდენადაც ის ზიარებულია მთელ ჭეშმარიტებას, — იწყებს თავის წარმოდგენას უფრო უკეთეს ადამიანად, ურწმუნოსთან ანდა სხვა აღმსარებლობის ადამიანთან შედარებით.

მიტროპოლიტი ანტონი: მე ვფიქრობ, რომ თქვენ მართალი ხართ ამ თვალსაზრისით, და ამაზე რამდენიმე მოსაზრებას გაგიზიარებდით, არა მორწმუნეთა დასაცავად, არამედ შემწყნარებლობის პრინციპისა და ჭეშმარიტების შესახებ. პირველ ყოვლისა: ქრისტიანული სარწმუნოების ერთი, შეიძლება ითქვას, ჭკუიდან შემშლელი თავისებურება ის გახლავთ, რომ სახარება განსაზღვრავს ჭეშმარიტებას არა როგორც რაიმეს, არამედ როგორც *ვინმეს;* ქრისტე ამბობს: *მე ვარ ჭეშმარიტება* (იოანე, 14, 6). და ამით ის *სრულიად* ანადგურებს ჩვენთვის შესაძლებლობას ჩავთვალოთ, თითქოს რაიმე, რისი გამოხვატაც შეიძლება სიტყვებით ანდა სახეებით, შეიძლება იწოდებოდეს საბოლოო ანდა სრულ ჭეშმარიტებად, რადგან სრული ჭეშმარიტება — პიროვნულია და არასოდეს ნივთიერი. და როდესაც ჩვენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები, ვამბობთ, რომ ჩვენთან არის სრული ჭეშმარიტება, საბოლოო ჯამში რაღაც ტყუილს ვამბობთ. *ქრისტე* ჭეშმარიტებაა. *ღმერთი* ჭეშმარიტებაა; ის, რაც შეიძლება მასზე ითქვას — არის მიახლოება ჭეშმარიტებასთან: შეიძლება — კარგი, შეიძლება — შეფარდებითი. ახლა მეორე: ჩვენ უნდა ვასწავლოთ — პირველ რიგში ჩვენს საკუთარ თავს, მაგრამ ასევე სხვებსაც ის, რომ თუ შენ ასეთი ბედნიერი ხარ, თუ შენ მეტი გესმის, ვიდრე სხვას, მაშინ შენ უბრალოდ მდიდარი ადამიანი ხარ, რომელმაც სხვას უნდა გაუნაწილოს თავისი სიმდიდრე, და არა ადამიანი, რომელსაც უფლება აქვს, ამ ჭეშმარიტებით სხვებს სცემოს — ეს ისევ და ისევ უღმერთო საქციელია, უზნეო საქციელია.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: რა თქმა უნდა, ეს უზნეო საქციელია, და არც ველოდი, რომ რაღაც სხვას იტყოდით. მაგრამ აი, საქმე რაშია: ქრისტე ამბობს: *მე ვარ ჭეშმარიტება.*

რა დასკვნა გამოაქვს აქედან ქრისტიანს? ის ამბობს: მე ქრისტიანი ვარ, ამიტომ მე ვარ ჭეშმარიტება, ამიტომ ჭეშმარიტება ჩემთვის ცნობილია; და რადგანაც ის ჩემთვის ცნობილია, მაშასადამე, მე სხვებზე უკეთესი ვარ... ცხადია, თუ ის კარგი ადამიანია, თუ ის ზნეობრივი ადამი-

ანია, — არ დაიწყებს ამ ჭეშმარიტებით სხვების ცემას; მაგრამ ეკლესიამ ხომ იცის, რომ არსებობს უზარმაზარი რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებსაც არ ეადვილებათ ზნეობრიობა და რომლებიც სწორედაც რომ სხვების ცემას დაიწყებენ ამ ჭეშმარიტებით.

რა უფლება გაქვთ შეიცოდოთ სხვები? მე სულაც არ მინდა, რომ გეცოდებოდეთ!!! თქვენ ეკლესიის მსახური ბრძანდებით, მე ურწმუნო კაცი ვარ, მაგრამ სულაც არ ვთვლი ჩემს თავს უფრო ღარიბად, — მაშ რატომღა გეცოდებით?? ეს გარკვეულწილად შეურაცხმყოფელია!

მიტროპოლიტი ანტონი: სავსებით გეთანხმებით, მაგრამ, მოდით, ვთქვათ ასე: ანატოლი მაქსიმოვიჩ, მე თქვენ საერთოდ არ მეცოდებით, უმალ იმას ვიტყოდი, რომ რაღაცეების გამო მშურს კიდეც თქვენი: თქვენ ჩემზე გაცილებით უფრო ჭკვიანი, გაცილებით უფრო განათლებული ბრძანდებით, და ამის გამო, კარგი აზრით, შემიძლია მშურდეს თქვენი; მაგრამ მაპატიეთ და მე თქვენ ძალიან მიყვარხართ; და თუ მე რაიმე მაქვს სულში, რაც მე მახარებს, აღმაფრთოვანებს, ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, თქვენთვის ამის გაზიარების შესაძლებლობა რომ მომცემოდა. არა იმიტომ, რომ ეს ჩემია, ან არა იმიტომ, რომ მე უკეთესი ვარ, არამედ იმიტომ, რომ თქვენ მიზიარებთ თქვენს გამოცდილებას, ცოდნას, გონიერებას, და მეც მინდება გაგიზიაროთ ის პატარა სხივი, რომელიც ჩემთვის სიხარული და სიცოცხლეა. აი, ამ აზრით თქვენც და მეც გვაქვს ბუნებრივი სურვილი ერთმანეთთან ურთიერთობისა.

ანატოლი მაქსიმოვიჩი: რა თქმა უნდა! — მაგრამ ეს დიალოგია, ეს სულ სხვა საქმეა, ეს, ჩემი აზრით ის არის, რაც მოსაპოვებელი გვაქვს!

მიტროპოლიტი ანტონი: და რისი მოპოვებაც შესაძლებელია, და ეს თანდათან მწიფდება. ახლა მაგონდება: როდესაც რუსული ეკლესია მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში მიიღეს, გვთხოვეს წარმოგვეთქვა სიტყვა ამასთან დაკავშირებით. და რუსეთის ეკლესიის ერთი ეპისკოპოსი ადგა და თქვა ძალიან მოკლე, ძალიან ცოცხალი სიტყვა, რომელშიც, სხვათაშორის, ასეთი აზრიც იყო გატარებული: მართლმადიდებელმა ეკლესიამ, როგორც ჩვენ გვგონია, ხელშეუხებლად შეინახა ძველი ეკლესიის რწმენის საწინდარი. შეიძლება, ჩვენ ვერ განვავითარეთ იგი, შეიძლება ის ჩვენს ხელებში გამოუყენებელ განძად დარჩა, მაგრამ ეს განძი ჩვენ კი არ გვეკუთვნის, არამედ ყველას, ვინც ამ დარბაზში შეკრებილხართ. ჩვენ ჩვენდათავად გიწვდით იმას, რაც გაგვაჩნია; აიღეთ, ის თქვენია და გამოიღეთ ის ნაყოფი, რისი გამოღებაც ჩვენი ინერტულობის შედეგად ჩვენ ვერ შევძელით... და ასე მგონია, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია ასე მოექცეს მეორეს. თქვენ ერთი რამ გაგაჩნიათ, მე – მეორე, ვიღაც სხვას — რაღაც მესამე; თუკი ჩვენ ერთმანეთთან მივალთ ერთმანეთის მიმართ რწმენით გამსჭვალულნი, გამსჭვალულნი რწმენით, რომ თითოეულ ჩვენგანს შესწევს უნარი, უფრო მეტად გაიზარდოს ამ ურთიერთობის, ამ გაზიარების წყალობით, — ნამდვილად გავამდიდრებთ ერთიმეორეს, და მაშინ აღარც შემწყნარებლობის საკითხი დადგება. ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ან გადამარწმუნოთ, ან გადაგარწმუნოთ. ლაპარაკია იმაზე, რომ თქვენშიც და ჩემშიც არსებობს რაღაც, რაც ჩვენთვის ძვირფასია, — და ჩვენ გვახარებს ამის ერთმანეთისთვის გაზიარება. ადამიანებს *რომ შეეძლოთ* ასე ფიქრი! მორწმუნეებსაც და ურწმუნოებსაც! — რადგან, საბოლოო აზრით, როგორც თქვენ ბრძანეთ, ტოტალიტარული სახელმწიფო და ტოტალიტარული ეკლესია ერთნაირად უზნეოდ ექცევიან ჭეშმარიტების საკითხს, ჭეშმარიტებისა, რომელიც კონკრეტულად არავის საკუთრება არ არის, არამედ ეკუთვნის *ყველას.*

ანატოლი მაქსიმოვიჩი: მაშასადამე, თქვენ, როგორც ღვთისმსახური, ყველანაირად შეუწყობთ ხელს შემწყნარებლობის დანერგვას იქამდე, ვიდრე ეს პრობლემა საერთოდ არ გაქრება — სწორად გაგიგეთ?

მიტროპოლიტი ანტონი: რამდენადაც შევძლებ —დიახ, და რამდენად მე თავად მეყოფა შემწყნარებლობა, რადგან მეც გადმოდებული მაქვს ეს შეუწყნარებლობა, თუნდაც *ვნებიანობის* სახით: მე ვნებიანად განვიცდი ჩემს რწმენას, და ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე მიწევს, რომ სხვა ადამიანებს ნადირივით არ დავესხა თავს.

აანატოლი მაქსიმოვიჩი: დიდი მადლობა, მიტროპოლიტო ანტონი!

რუსულიდან თარგმნა ***ნაირა გელაშვილმა***

დეკანოზი ალექსანდრე მენი

ჭეშმარიტი ქრისტეს ძიებაში

(სახარებისეული მოტივები დასავლურ ლიტერატურაში)

დაიბეჭდა 1991 წელს ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ №3-ში (237-247 გვ.)
შესავალი და ტექსტის რედაქცია — ი. ზორინასი

1989 წლის ზაფხულის ერთ დღეს თეთრსამოსელიანი მღვდელი სწრაფი ნაბიჯით შევიდა პიატნიცკის ქუჩაზე მდებარე ჟურნალის რედაქციაში. წუთიც, და ოთახში გაისმა აღტაცებული საუბარი, მაგიდაზე კი ხელნაწერი გაჩნდა. ამ ადამიანმა თითქოს თან შემოიტანა ფანჯრებს იქით მოელვარე მზიანი დღის რაღაც ნაწილი.

საუბარი წუთით შეწყდა ეს-ესაა გაჟღერებული ლირიკული სტრიქონების წყალობით:

Еще кругом ночная мгла.
Такая рань на свете, —

დუმილმა დაისადგურა, მეხსიერება კი განაგრძობდა ლექსის სტრიქონებს:

Что площадь вечностью легла
От перекрестка до угла,
И до рассвета и тепла
Еще тысячелетье.

ყოველთვის, როდესაც ჩვენს რედაქციას მამა ალექსანდრე მენი ეწვეოდა, საუბარი ზოგად თემებზე გადადიოდა ხოლმე. მას მუდამ შეეძლო, კერძოში ზოგადი ამოეცნო, წარმავალში კი — მარადიული. მართლაცდა, რითი აიხსნება ის, რომ XX საუკუნის ლიტერატურაში, ფერწერასა თუ კინოში ამოუწურავი სახით გვხვდება ბიბლიური თემატიკა, დაჟინებით ჟღერს სახარებისეული, ქრისტიანული მოტივები? რამდენად და რა სახით იჩენს თავს ის გავლენა, რასაც შემოქმედ ადამიანებზე ქრისტეს პიროვნება ახდენს? რატომ არის, რომ ქრისტეს შესახებ შექმნილი მრავალი ნაწარმოები მნიშვნელოვნად სცილდება კანონიკურ წარმოდგენებს? მაგალითისათვის, ჩვენთან გამოიცა ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა აიტმატოვის „თხემის ადგილი“ და დომბროვსკის „უსარგებლო საგანთა ფაკულტეტი“. რა არის ეს — მოდას აყოლა? ან იქნებ ეს ზოგადად ქვეყანაში არსებული ძველი ფასეულობების გადაფასების შედეგია? თუმცა, მანამდეც ხომ დაიწერა „ოსტატი და მარგარიტა“ და ბიბლიური ლექსები რომანში „ექიმი ჟივაგო“. სწორედ ამ დროს გაიჟღერა პასტერნაკის სტრიქონებმა, დაგვაღონა იმ ფიქრმა, რომ დღესაც „განთიადსა და სითბოს კვლავაც ათასწლეული გვაშორებს“. საუბარი ეხებოდა იმ უდიდეს მნიშვნელობას, რასაც კატასტროფის პირისპირ მდგომი საზოგადოებისათვის იძენს სულიერება.

„მსოფლიომ საბედისწერო ზღვარს მიაღწია და ახლა გზაგასაყარზე დგას. ამ ზღვარს იქით — ცივილიზაციის დაისია“. მამა ალექსანდრეს მიერ ერთ-ერთი ქადაგებისას წარმოთქმული ეს ფრაზა (საუკუნის ტრაგედიასაც რომ გამოხატავს და, ამავე დროს, იმედსაც, რწმენას იმისა, რომ არჩევანი ჯერაც შესაძლებელია), როგორც გავიგეთ, შემდგომში წინამდებარე წერილზე მუშაობის საწინდარად იქცა.

ისტორიისათვის კარგად არის ცნობილი, რომ მძიმე, კრიზისულ წუთებში, „სულიერი დამბლისა“ და იდეალთა ქრობის პირობებში კაცობრიობა მარადიულ ფასეულობებს უბრუნდება, მიმართავს ხსნის ზნეობრივ გზას, რომელსაც მაცხოვარი გვიჩვენებს. როგორც მამა ალექსანდრემ თქვა, „ქრისტე იდუმალად ცოცხლობს ამ სამყაროში და იმედის საფუძველსაც სწორედ ეს გვაძლევს.“

ეს უბრალოდ დიდი კი არა — უკიდეგანო თემაა. ავტორი აპირებდა წერილზე მუშაობის გაგრძელებას, სურდა შეეტანა მასში გარკვეული ცვლილებები, ჩაწვდომოდა შემოქმედების ფსიქოლოგიის

საიდუმლოს, უფრო დაწვრილებით შეხებოდა იმ საზღვრებს, რომელშიც მწერლის წარმოსახვაა მოქცეული; ამ წერილის გვერდით, მის აუცილებელ გაგრძელებად წარმოდგენილი ჰქონდა მეორე ნაშრომი — აპოკალიფსი. განა დღეს ადამიანები სულ უფრო ხშირად არ ფურცლავენ წმინდა წერილის იმ ნაწილს, სამყაროს აღსასრულზე რომ ღაღადებს? „ის უკვე გვიახლოვდება — აპოკალიფსი. მას ჩვენს დროში უნდა ველოდოთ," — ესეც მამა ალექსანდრეს სიტყვებია.

აი, კიდევ ერთი მის მიერ გამოთქმული მოსაზრება: „რელიგიის გარეშე არ არსებობს კულტურა ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით". ისიც სამომავლოდ კიდევ ერთი წერილის საფუძვლად უნდა ქცეულიყო. პრობლემის არსი აქ არა ხელოვანის ღვთისმოსაობაა, არა რწმენა თუ ურწმუნობა, არამედ გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ათვისება იმ საგანძურისა, რასაც რელიგია ინახავს.

გეგმები, ჩანაფიქრები, განსჯანი... მათგან ყველას როდი ეწერა განხორციელება.

„სამყაროში დავანებული ბოროტება გაფრთხილებად უნდა მივიღოთ!" — გვასწავლიდა მამა ალექსანდრე. ნეტავ თუ წარმოედგინა, რომ ეს სიტყვები მისავე ტრაგიკულ ბედს მიესადაგებოდა?

დაე, ეკლესიის მსახურის მზაკვრული მკვლელობაც გაფრთხილებად გვექცეს!

როგორ შეიძლება მამა ალექსანდრეს საკუთარი თავიც არ ეგულისხმა, როდესაც სიცოცხლის ხანმოკლეობაზე გვესაუბრებოდა, გვეუბნებოდა, რომ „ხსოვნა სიკვდილისა შრომისმოყვარეობასა და მსახურებაში გაგვაძლიერებს"? მან ხომ სიცოცხლეში ამდენი რამის გაკეთება მოასწრო. უადგილო არ იქნება, თუკი აქ ვიტყვით, რომ ის იყო ღვთისმეტყველი, მეცნიერი, მწერალი, მოსკოვის გარეუბანში მდებარე უფლის მირქმის ეკლესიის წინამძღვარი და, ამასთან, მუდამ და ყველგან რჩებოდა ქმედითი სიკეთის მქადაგებლად და მოძღვრად: საამისო ძალას რწმენა ანიჭებდა.

ის გვასწავლიდა ფიქრს, განცდას, სიყვარულს; გვიღვივებდა პატიებისა და გაცემის უნარს; „შეიძულეთ ცოდვა, და არა ცოდვილი" — ასე გვასწავლიდა; მოგვიწოდებდა, „ძმასავით მიგვეღო ჩვენგან განსხვავებული რწმენის მქონე ადამიანი, ანდა ის, ვინც საერთოდ არ არის მორწმუნე".

დაუღალავად გვიმეორებდა, რომ ადამიანი არა მხოლოდ დროსთან, არამედ მარადისობასთანაცაა წილნაყარი.

გული არ მითმენს, არ მოვიყვანო საკმაოდ ვრცელი ციტატა მამა ალექსანდრეს გამონათქვამიდან, რომლის გულდასმით წაკითხვაც, მერწმუნეთ, ნამდვილად ღირს:

„ყოველდღიურობის ხანგრძლივი ზეწოლა მძიმედ აწვება ადამიანის ცნობიერებას; უმრავლესობა ვერასოდეს აღწევს თავს მის ტყვეობას... ეს რუხი შხამი სამყაროს ჭეშმარიტ სურათს გამრუდებული სახით გვიჩვენებს, მისით გაჟღენთილი ადამიანი იდუმალებისა და სასწაულის შეგრძნებას კარგავს, ველარ გრძნობს მარადისობის სუნთქვას, ავიწყდება, რომ მარადიული მუდამ ჩვენს გვერდითაა... მაგრამ დროდადრო სული მაინც იღვიძებს და სასოწარკვეთილი ცდილობს თავი დააღწიოს ყოველდღიურობის სიყალბეს, დაიბრუნოს სამყაროსთან სიახლოვის განცდა, რომელიც მკვდარ საგნებს კვლავაც აახმიანებს, რომლის წყალობითაც ყოველივე ალაპარაკდება, ათრთოლდება და იდუმალ, მრავლისმთქმელ საზრისს შეიძენს...

რა არის ფილოსოფოსთა მოსაზრებები თუ ღვთისმეტყველთა წარმოსახვანი, თუ არა მოგონებები ოდესღაც წამით სულში გაელვებული ნათელის შესახებ?.. სწორედ ასე იბადება ფილოსოფიური სისტემები, ასე ბედავენ მოკვდავნი, იმსჯელონ ღვთისა და მისი თვისებების შესახებ, მიადგნენ უკანასკნელ ზღურბლს, აბსოლუტურ ზეყოფიერებას... ჩვენ ზურგი შევაქციეთ მიწიერსა და ყოველდღიურს, მაგრამ მარადიულ რეალობას მაინც ვერ ვეზიარეთ. არადა, ამ რეალობის განცდა, მისი გათავისება ადამიანისათვის აუცილებელია... ადამიანი ხომ წარმავალი არსებობის ფანტომი კი არა, პიროვნული მონადაა, ცოცხალი სულია და უსათუოდ უნდა შეეხოს ცოცხალი ღვთის სამოსის კალთას, გაიგონოს მისი ხმა, შეიგრძნოს იგი საკუთარ თავში და ყოველივეში, რასაც ხედავს."

დასასრულს გავბედავ და ვიტყვი: მამა ალექსანდრესთვის ღმერთი რაღაც აბსტრაქტული ცნება ან უსახო აბსოლუტი როდია. იესო ქრისტეს პიროვნებასა და ქრისტიანობაში მისთვის უმნიშვნელოვანესი ის უნარია, რომლის მეშვეობითაც მაცხოვარი უშუალოდ ცალკეულ პიროვნებასთან, მის ნებასა და გონებასთან, მის სინდისსა და გულთან ამყარებს დიალოგს. თავის წიგნში „დუმილის კარიბჭესთან" მამა ალექსანდრე წერს: „ქრისტე არის სიცოცხლე და ნათელი, რომელიც გაანათლებს ყოველს".

წინამდებარე წერილის თითოეული სტრიქონიც იესო ნაზარეველისადმი უდიდესი მოწიწებითაა გამსჭვალული.

ბიბლიას მართებულად უწოდებენ კაცობრიობის მარადიულ თანამდევს. თვალსაჩინოა მისი უდიდესი გავლენა ჩვენს არსებობასა და შემოქმედებაზე. შეუძლებელია შემთხვევით და, მითუმეტეს, კონიუნქტურულ მოვლენად მივიჩნიოთ ის, რომ XX საუკუნის მწერლები დაჟინებით მიმართავენ ბიბლიურ თემებს. ეს მოვლენა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მომდინარე ტრადიციის ორგანულ ნაწილად უნდა აღვიქვათ. რათა განვსაზღვროთ, თუ რა ადგილი უკავიათ ამ ტრადიციის ფარგლებში თანამედროვე მწერლებს — სახარების ინტერპრეტატორებს, — რათა ჩავწვდეთ იმას, თუ რატომ ეკუთვნის სახარება ჩვენთვის მუდამ მნიშვნელოვან თემებს, რაც, სხვათა შორის, მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახება, გულდაგულ უნდა მივადევნოთ თვალი ბიბლიური სიუჟეტიკის ისტორიას როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. მაგრამ საჟურნალო ნარკვევის ფარგლებში იძულებული ვიქნებით, მხოლოდ საკვანძო მომენტებს შევეხოთ, იმას, თუ რა წახნაგებით გამოიკვეთა იესო ქრისტეს ცხოვრება დასავლელ პროზაიკოსთა შემოქმედებაში. ფილოსოფიასა და ესეისტიკაზე თითქმის არ შევჩერდებით, რადგანაც ეს განცალკევებული თემაა და საგანგებო განხილვას საჭიროებს.

მანამდე კი აუცილებელია, ბევრად უფრო შორეული წარსულის შესახებ ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

უძველესი აპოკრიფებიდან შტრაუსამდე

სახარების ლიტერატურულ-მხატვრული ინტერპრეტაციის პირველი მცდელობები ლამის თვით ამ წიგნივით ძველია. ისინი ეგვიპტესა და სირიაში გაჩნდა ჯერ კიდევ ახალი აღთქმის ტექსტის საბოლოო ჩამოყალიბებამდე.

უძველესი აპოკრიფების ავტორები ცდილობდნენ შეექმნათ ქრისტეს ცხოვრების საკუთარი ვერსია, განევრცოთ სახარების მონათხრობი იმ დეტალებით, დიალოგებით თუ ეპიზოდებით, რომლებიც კანონიკურ ტექსტში მოისაკლისეს. თვით სახარებათა გვერდით აპოკრიფთა ავტორები ნიმუშად იყენებდნენ ძველ აღთქმას, ანტიკურ რომანებსა და ბიოგრაფიებს, აგრეთვე აფორიზმებისა და ლეგენდების იმ კრებულებს, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც უხსოვარი დროიდან რომ არსებობდა. მთლიანობაში აპოკრიფულ ლიტერატურას შეიძლება „მეორადი“ ვუწოდოთ, რაკიღა ის, ასე თუ ისე, კანონიკური სახარებებიდან იღებს სათავეს.

ძველ სამყაროს ხშირ შემთხვევაში ახასიათებდა სწრაფვა ყოველივე ზებუნებრივისაკენ. თუკი აპოკრიფებს მათ პირველწყაროსთან შევადარებთ, ადვილი შესამჩნევია, რომ ავტორებს არა მხოლოდ შემოაქვთ თხრობის ქსოვილში ბელეტრისტული ელემენტები, არამედ განსაკუთრებული გზნებით აღწერენ ეფექტურ, წარმტაც სასწაულებს. აპოკრიფებიდან ვგებულობთ, რომ იესო ბავშვობაშივე ლამის ყოველ ნაბიჯზე ავლენდა საოცარ ზებუნებრივ ძალას, რომ მისი აღდგომა მრავალი გაოცებული თვითმხილველის თანდასწრებით მოხდა და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, მახარებელთა მკაცრი და უმწიკვლო თავშეკავებულობა ფანტაზიის თავაშვებულმა პარპაშმა, ფოლკლორულმა ქარაგმებმა, ზოგჯერ კი გნოსტიკური თეოსოფიისაგან ნასესხებმა ურთულესმა მეტაფიზიკამ შეცვალა.

მიუხედავად ამისა, გარკვეულწილად კი ამის წყალობითაც, აპოკრიფებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და სახვით ხელოვნებაზეც იქონია გავლენა, მაგრამ კანონიკურ ბიბლიაში მაინც არ შესულა. ახალი აღთქმის კანონიკური ტექსტის შემდგენლებმა ამ მხრივ შეუცდომელი ალღო გამოავლინეს.

თუკი გვერდზე გადავდებთ დამაჯერებლობის პრობლემას (აპოკრიფებში კი თვალშისაცემია ანაქრონიზმების სიმრავლე), აშკარაა ისიც, რომ მხატვრული დონით აპოკრიფები ბევრად ჩამორჩება კანონიკურ სახარებებს. ახალ აღთქმასა და აპოკრიფულ ლიტერატურას შორის ისევე დიდი ზღვარია, როგორც დიდ ორიგინალსა და ტლანქ იმიტაციას შორის. სახარების ავტორებთან შემოქმედებითი პაექრობა გრანდიოზული მარცხით დასრულდა. ამ გაგებით, შემდგომი საუკუნეების ყველა მსგავსმა მცდელობამაც აპოკრიფების ბედი გაიზიარა.

და მაინც, მართებული არ იქნება იმის მტკიცება, თითქოს სახარებისეულ თემებზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურა მთლიანად ფუჭი იყოს. მთელი თავისი ნაკლულოვნების მიუხე-

დავად, მას გარკვეული ღირსებებიც აქვს. ის სახარების ამა თუ იმ ასპექტის *აქტუალიზაციისა* და გააზრების ერთ-ერთი ფორმაა.

ამგვარი აქტუალიზაციის მოთხოვნილება მას შემდეგაც არ ამოწურულა, რაც ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდა ბიბლიის კანონიკური ტექსტი. ამაზე მეტყველებს შუა საუკუნეების ევროპაში, ბიზანტიასა და ძველ რუსეთში დაწერილი აპოკრიფების დიდი სიმრავლე. ისინი ნაწილობრივ ძველი ტექსტების თარგმანებს წარმოადგენდნენ, ნაწილობრივ კი — ახალ ცდებს. კანონიკური ტექსტის არსებობა თავისთავად გამორიცხავდა სახარებასთან ნებისმიერი გაჯიბრების შესაძლებლობას. ამიტომ ეს მწერლები სჯერდებოდნენ მხატვრულ პერიფრაზს, რომელიც საკრალურ მნიშვნელობაზე პრეტენზიას აღარ აცხადებდა.

რენესანსიდან მოკიდებული, სიტყვის ქრისტიანი ოსტატები უპირატესობას ძველაღთქმისეულ მოტივებს ანიჭებდნენ. ეს გასაგებიცაა. პოეტები და მწერლები არაერთხელ დარწმუნებულან ახალი აღთქმის შემოქმედებითად ათვისების განსაკუთრებულ სირთულეში. ძველი აღთქმა აღწერს ღვთის წინაშე მდგარ ადამიანს მთელი მისი ნაკლოვანებებით, წინააღმდეგობებითა და შინაგანი ჭიდილით. ხოლო სახარება სრულიად ცვლის პერსპექტივას, რადგან ის მარადისობის პასუხია ადამიანის მიერ დასმულ შეკითხვაზე. ამ წმინდა სიტყვის „გადათარგმნა“ პოეზიის თუ პროზის ენაზე ურთულესი საქმე აღმოჩნდა.

თვით ჯონ მილტონისთანა ბუმბერაზის გაბედულმა მცდელობამ, 1671 წელს რომ განხორციელდა პოემით „დაბრუნება სამოთხეში“, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ დასახული ამოცანა გენიოსისთვისაც კი თითქმის გადაუჭრელია. მაშ, რაღას უნდა ველოდოთ, თუკი მას ნაკლები მასშტაბის მწერალი შეეჭიდება?

ეს ყველაზე თვალსაჩინოდ მაშინ გამოვლინდა, როდესაც 1773 წელს ფრიდრიჰ კლოპშტოკმა გამოსცა ეპოსი „მესიადა“, ვნების კვირის მოვლენებს რომ ეძღვნება. თანამედროვე ადამიანის აღქმაში პოემის ხარვეზებს რამდენადმე არბილებს ჰენდელის მუსიკა, — ამ კომპოზიტორმა კლოპშტოკის ტექსტზე ორატორია შექმნა. თავისთავად კი „მესიადა“ მეტისმეტად ვრცელი და გადაპრანჭულია, ზოგან — ზედმეტად სენტიმენტალურიც, ღვთისმეტყველური მსჯელობითა და ალეგორიებით გადატვირთული. ეს ბრჭყვიალა გარსი მთლიანად ფარავს და აფერმკრთალებს სახარების შინაგან სიდიადეს. კლოპშტოკს უძველეს აპოკრიფთა ავტორების ბედი ეწია, თუმცა მას, ცხადია, სულაც არ უფიქრია საკუთარი პოემით კანონიკურ სახარებას გაჯიბრებოდა.

XVIII საუკუნის დასასრულს ზოგიერთ ავტორს მოეჩვენა, თითქოს მიაკვლიეს იმის მიზეზს, თუ რატომ დამთავრდა მარცხით იესოს ცხოვრების ასახვის ყველა მცდელობა. კონვენტის წევრმა, ასტრონომმა შარლ დიპუიმ და რომანტიკოსმა მწერალმა ვოლნეიმ განაცხადეს, რომ ქრისტეს სახე სინამდვილეში მზის ღვთაების უძველესი მითოსის ერთ-ერთი ფორმაა და ამიტომაც ვერავინ შეძლო მასში ადამიანური ნაკვთების დანახვა.

ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა საკუთარი მარცხის შეფარული — ისტორული ჰიპოთეზის ნიღაბს ამოფარებული — აღიარება, მტკიცება იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე ლიტერატურა მიუღწევად მიზანს ელტვოდა.

დიპუისა და ვოლნეის მოსაზრება თითქმის არავინ გაიზიარა. ჯერ კიდევ მათი უფროსი თანამედროვე ჟან-ჟაკ რუსო ამბობდა, რომ „მითოლოგიური ჰიპოთეზა“ მხოლოდ ახალ გადაუჭრელ სიძნელეებს ქმნის. მისი თქმით, „სახარება იმდენად დიად, გასაოცარ, განუმეორებელ ჭეშმარიტებას შეიცავს, რომ თუკი ის შეთხზულია, მაშინ მისი შემთხზველი თვით მასზე უფრო გასაოცარი უნდა ყოფილიყო, ვისზედაც მოგვითხრო“. რუსო როდი ხუჭავდა თვალს იმაზე, რომ სახარების მრავალი მომენტი რაციონალურის ფარგლებს სცილდება, ამიტომაც მოგვიწოდებდა, მოწიწებით დაგვეხია უკან შეუცნობელის წინაშე.

მაგრამ „საღი აზრის“ შეუცდომლობაში დარწმუნებული რაციონალიზმისათვის რუსოს ფრთხილი პოზიცია ისეთივე მიუღებელი იყო, როგორც მითოლოგიური ჰიპოთეზა.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე რაციონალისტებმა ზუსტად ჩამოაყალიბეს პრობლემა: თუკი ქრისტე არც ღვთის გამოცხადებაა და არც გამონაგონი, მაშ, ვინ არის იგი? ხომ არ შეგვიძლია მივუახლოვდეთ მის პიროვნებას, თუკი სახარებას ყოველივე ირაციონალურისაგან გავწმენდთ?

ეს ორიენტირი მრავალმა მწერალმა თუ მოაზროვნემ დაისახა მიზნად და შეეცადა, განმანათლებლური მორალის საშუალებით აღედგინა ქრისტეს ცხოვრების დეტალები. მათ შორის იყო ახალგაზრდა ჰეგელიც, რომელმაც 1795 წელს საკუთარი „აპოკრიფი“ შექმნა. მასში გაწონასწორებული ცხოვრების მქადაგებელი მოძღვრის ყოვლად უფერული ფიგურაა წარმოდგენილი, ვერანაირად რომ ვერ მივა ახლოს სახარებისეულ ქრისტესთან. მაგრამ ამგვარმა მარცხებმა ქრისტიანობის სათავეების ისტორიულ-მხატვრული რეკონსტრუქციის შემდგომი მცდელობები ვერ შეაჩერა. მეტიც: რაც უფრო მძლავრობდა რაციონალიზმის გავლენა, მით უფრო იპყრობდა ქრისტეს პიროვნება ლიტერატორთა ყურადღებას.

საფრანგეთის რევოლუციის ქარცეცხლიანმა მოვლენებმა შთააგონა კარლ ვენტურინი, ქრისტე სახალხო ამბოხის მეთაურად წარმოედგინა. მის მიერ დაწერილი „ნაზარეთელი წინასწარმეტყველის რეალური ამბავი“ (1800-1802) სახარებისეულ თემაზე შექმნილი პირველი რომანი გახლავთ და მასში ფანტაზიას უკიდეგანო ასპარეზი ეთმობა. შემდგომი დროის ავტორებმა მის მიერ დასახული გეზი აიღეს. მიუხედავად მათი რაციონალიზმისა, მათი წარმოსახვა ისეთსავე მონაწილეობას იღებდა შემოქმედებაში, როგორც ეს აპოკრიფების ავტორთა მაგალითზე ვნახეთ.

ამ ყოველივეს შეჯამება მოხდა 1835-1836 წლებში, როდესაც გამოიცა ჰეგელიანელი ავტორის, დავიდ ფრიდრიჰ შტრაუსის თხზულება „იესოს ცხოვრება“. როგორც თეოლოგი, შტრაუსი თავდაპირველად ქრისტიანობის იდეალურ არსსა და ისტორიულ კრიტიკას შორის კომპრომისის გამონახვას აპირებდა. მაგრამ შედეგი გამანადგურებელი აღმოჩნდა. შტრაუსმა ქრისტე უნივერსალური ჰუმანურობის მატარებელ „იდეამდე“ დაიყვანა. ხოლო ასეთ იდეას, თვით შტრაუსის განსაზღვრების თანახმად, „არ უყვარს“ ერთი პიროვნების სახით განხორციელება. შესაბამისად, ისტორიული ქრისტე მხოლოდ რწმენისა და ეთიკის მქადაგებლად გვევლინება, ხოლო ის, რასაც მის შესახებ სახარება მოგვითხრობს, თითქმის მთლიანად წარმოადგენს მხსნელი მესიას ძველაღთქმისეული მოლოდინით განმსჭვალულ მითებს. 30 წლის შემდეგ, როცა მისი წიგნის გარშემო ამტყდარი ქარიშხალი უკვე დამცხრალი იყო, შტრაუსმა დაწერა საკუთარი „აპოკრიფი“, რომელიც „ისტორიული ქრისტეს“ ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. მაგრამ ამ დროისათვის საფრანგეთში უკვე გამოიცა სხვა წიგნი ქრისტეს შესახებ, რომელმაც უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა და ყველა იმ ავტორზე იქონია გავლენა, ვინც კი ამ თემას შემდგომში მიმართა.

წიგნის ავტორი ერნესტ რენანია.

რენანის ექსპერიმენტი

1845 წლის 6 ოქტომბერს წმინდა სიულპიციუსის სემინარიის ფართო კიბეს მღვდლის სამოსში შემოსილი ახალგაზრდა კაცი მიუყვებოდა. კარგად იცოდა, რომ უკანასკნელად უწევდა ამ კიბეზე ჩასვლა. მხოლოდ 22 წლის იყო; სულ ცოტა ხნის წინათ მღვდლად კურთხევისათვის ემზადებოდა, თუმცა ეს ყოველივე ახლა წარსულს ჩაბარდა. გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ძალზე გაუჭირდა. ვიდრე თავის რუბიკონს გადალახავდა, ფაქიზი და მგრძნობიარე ბუნების ერნესტ ჟოზეფ რენანი დიდხანს ყოყმანობდა, საკუთარ თავს ებრძოდა, რჩევას ეკითხებოდა მეგობრებსა და დამრიგებლებს.

ის ბრეტონელი მეთევზის შვილი იყო, პროვინციული ქალაქის ლეგენდებით გაჯერებულ, ტრადიციულად ღვთისმოსავ ატმოსფეროში გაიზარდა. დედას ახარებდა ვაჟიშვილის წარმატებები სწავლაში და მისი მომავალი საეკლესიო კარიერა. ბრწყინვალე მონაცემებით დაჯილდოვებული ყმაწვილი ღვთისმეტყველების შესასწავლად პარიზში გაგზავნეს.

ამან მთლიანად შეძრა მისი შინაგანი სამყარო. შემდგომში მწერალი იხსენებს: „ბუდისტი ლამა ანდა მუსლიმი ფაკირი, თვალის დახამხამებაში აზიის წიაღიდან ამ ქალაქის ხმაურიან ბულვარზე გადატყორცნილი, ალბათ ნაკლებად გაოცდებოდა, ვიდრე მე, ასე ერთბაშად ჩამოშორებული ბრეტონელ პასტორთა საზოგადოებას, — ამ პატივცემულ, სრულიად გახევებულ თუ გაქვავებულ მოხუცებს, რომლებიც ჰგავდნენ ოსირისის გოლიათ ქანდაკებებს, შემდგომში ეგვიპტეში რომ ვიხილე, თავიანთ ნეტარ სიმშვიდეში გამტკნარებულნი. პარიზში ჩამოსვლა ჩემთვის რელიგიის გამოცვლის ტოლფასი გახდა. ჩემი ბრეტონული ქრისტიანობა ზუსტად ის-

ევე ჰგავდა იმას, რაც აქ დამხვდა, როგორც ძველი, ფიცარივით უხეში ტილო წააგავს უფაქიზეს ბატისტს“.

თუმცა ხმაურიანი ზედაპირული ცივილიზაციის მოძალებას რენანი მალევე გაუმკლავდა. თანდაყოლილი და აღზრდის შედეგად შეძენილი უმწიკვლოების, მეცნიერების სიყვარულისა და მოძღვართა მზრუნველი ყურადღების წყალობით ის პარიზის ვულგარულ ცდუნებებს არ დაჰყოლია.

მას სულ სხვა ცდუნებანი ემუქრებოდა.

იმხანად საფრანგეთში კათოლიკური მეცნიერება ყველანაირი საშუალებით ეწინააღმდეგებოდა ბიბლიის გერმანელი მკვლევრების მიერ შემუშავებულ ახალ მეთოდებს და მათ მიერ გამოტანილ დასკვნებს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ წმინდა წერილის ყველა წიგნი როდი ეკუთვნის იმ ავტორებს, ვისაც მათ ტრადიცია მიაწერს; რომ ზოგიერთი ბიბლიური ნაწარმოები თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ იწერებოდა და რომ მთელი ბიბლიური ქრონოლოგია გადამოწმებას საჭიროებს.

დღესდღეობით ცოტა ვინმეს თუ მიაჩნია, რომ ამგვარმა წმინდა ისტორიულმა პრობლემებმა შეიძლება არსებითი დარტყმა მიაყენოს ადამიანის რწმენას და ვინმე ბიბლიური მოძღვრების არსში დააეჭვოს. ეკლესიას ხომ ამა თუ იმ წიგნების სიწმინდე მათი ქრონოლოგიური სიზუსტის თუ ფაქტობრივი დეტალების უტყუარობის გამო არ უღიარებია, არამედ იმიტომ, რომ ისინი ცოცხალ გადმოცემას, მოციქულთაგან მიღებულ რწმენას შეესაბამებოდა. მაგრამ XIX საუკუნის შუა ხანებში კათოლიკენი სულ სხვა აზრს იზიარებდნენ. ბიბლიაში ასახული ფაქტების ეჭვქვეშ დაყენება და ტრადიციულ წარმოდგენებში რაიმე კორექტივის შეტანა ყოვლად მიუღებელი იყო. რენანმა კი ამასობაში ბიბლიის პროტესტანტი მკვლევრების ნაშრომები შეისწავლა და თანდათან დარწმუნდა, რომ მრავალი მათი თეორია არცთუ უსაფუძვლოა. ამან მის გონებასა და გულს შორის უმძიმესი განხეთქილება წარმოშვა. მეგობრებისადმი წერილებში ის გულისტკივილით ამბობდა, ნეტავ პროტესტანტად დავბადებულიყავიო.

თუმცა მალე უკვე აღარც პროტესტანტიზმი მიაჩნდა დამაჯერებლად. მის რწმენას შეუქცევადი ბზარი გაუჩნდა. როდესაც დედამ შეიტყო მისი ეჭვების შესახებ, გაოგნდა, როგორ შეეძლო მის ვაჟს რაღაც საკამათო თეორიების გამო დაეკარგა რწმენა, ვაჟის აზრით კი დედას, მართალია გონება უჭრიდა, მაგრამ „განათლება აკლდა“. ბედის საოცარი ირონიით, უახლესმა კათოლიკურმა ღვთისმეტყველებამ სწორედ ამ უბრალო ქალის პოზიცია გაიზიარა.

მაგრამ საქმე მხოლოდ ბიბლიურ მეცნიერებას როდი ეხებოდა.

პოზიტივიზმმა და რაციონალიზმმა დამანგრევლად იმოქმედა რენანის აზროვნებაზე. თანაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მის სკეპსიზს მხარი დაუჭირა მისმა დამ ჰენრიეტამ, ვისთანაც რენანს უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული აკავშირებდა. სწორედ დამ შეუწყო ხელი ყოფილი სემინარისტის საერო კარიერას. ამიერიდან რენანი მთელ დროს აღმოსავლური ფილოლოგიისა და აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლას უთმობს, აქვეყნებს უძველესი ენებიდან თარგმანებსა და გამოკვლევებს.

თანდათანობით უყალიბდება სრულიად ახალი მსოფლმხედველობა, რომელიც ერთურთში გადახლართულ წინააღმდეგობათა გორგალს შეადგენს. იგი უარყოფს რელიგიას და, ამავე დროს, მისით აღფრთოვანებას გამოთქვამს; გამუდმებით ახსენებს ღმერთს, მაგრამ ვერასოდეს ვიტყვით დანამდვილებით, თუ რა აზრს დებს ის ამ სიტყვაში; ქადაგებს სკეპტიციზმს და, ამავე დროს, რომანტიკოს-იდეალისტად დარჩენას ლამობს. მის აზროვნებას მისივე ახირება უდევს საფუძვლად: ის თამაშობს; ტკბება იმით, რისიც არ სწამს და სწამს იმისა, რასაც ეჭვქვეშ აყენებს. მუდამ XIX საუკუნის სულისკვეთების ერთგულ „პროგრესისტად“ რჩება და, ამასთან, როცა კი ამის შესაძლებლობა ეძლევა, ადამიანის ყველა ძალისხმევის ამაოებაზე გვესაუბრება.

რენანის შინაგან დრამაზე შემთხვევით არ შევჩერებულვართ. ჩვენს მიერ თქმულმა გასაგები უნდა გახადოს მისი წიგნების არაერთი თავისებურება. ის ეკლესიას განერიდა, მაგრამ ქრისტეს პიროვნების მიმართ გარკვეული მოწიწება შეინარჩუნა. 1857 წელს ის წერს ერთ-ერთ ნარკვევში, რომ ისტორიკოსები ისეთივე რუდუნებით უნდა მოეპყრან ახალ აღთქმას, როგორც ძველი დროის ოსტატები ეპყრობოდნენ, როდესაც ბიბლიურ თემებზე მხატვრულ ტილოებს ქმნიდნენ. თუ რამდენად ერთგული აღმოჩნდა თავად მწერალი საკუთარი თვალსაზრისისა, ამას ცოტა მოგვიანებით დავინახავთ.

1860 წელს რენანმა მონაწილეობა მიიღო ნაპოლეონ III-ის მთავრობის მიერ ორგანიზებულ მოგზაურობაში და აღმოსავლეთის ქვეყნები მოინახულა. იმ დროისათვის ახალგაზრდა მეცნიერს უკვე მოეპოვებინა ავტორიტეტი ფრანგ სემიტოლოგთა წრეებში. მისი დაც თან ახლდა მოგზაურობისას და ქრისტეს შესახებ წიგნის პირველი ჩანახატების სულისჩამდგმელი და თანამონაწილეც სწორედ ის იყო. თხზულება გზადაგზა იწერებოდა აღმოსავლური პეიზაჟის ფონზე, რაც მახარებელთა მონათხრობს განსაკუთრებულ სიცხადეს ანიჭებდა. რენანს ხელთ მინიმალური რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა ჰქონდა, მაგრამ თვალწინ გადაშლილი პანორამები, მისავე თქმით, „მეხუთე სახარებად“ მოევლინა.

ჰენრიეტა ძმის სამუშაოს დასრულებას ვერ მოესწრო. ლიბანში ორივენი მძიმე ციებ-ცხელებით დაავადდნენ და, როდესაც რენანი მრავალდღიანი სნეულების შემდეგ გონს მოვიდა, დის გარდაცვალების ამბავი ამცნეს. სწორედ დას მიუძღვნა რენანმა პარიზში, 1863 წელს გამოცემული „ქრისტეს ცხოვრება“.

წიგნი ისტორიული მონათხრობის სახითაა დაწერილი, მაგრამ რომანის ნიშნებითაც ხასიათდება. ამ უკანასკნელ გარემოებას ვერც ისტორიული ფაქტების უბადლო ცოდნა და ვერც წყაროების მითითება აბათილებს. აქ ვხვდებით ძველი ყოფის ამსახველ ფერსავსე სურათებს, ბუნების აღწერას და ავტორის სუბიექტურ განსჯას. რენანს სულმა დასძლია და წიგნის დასასრულს, კლასიკური რომანების კვალად, ასეთი თავიც კი მოათავსა: „რა ბედი ეწიათ იესოს მტრებს“.

წიგნმა დიდი წარმატება დაიმსახურა. ბევრი აღფრთოვანებას გამოხატავდა, ბევრიც — აღშფოთებას, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, წელიწადნახევრის მანძილზე „იესოს ცხოვრება“ ცამეტჯერ გამოიცა.

ავტორს არ დაუმალავს, რომ მისი მიზანი იყო, სახარებისეული ქრისტე მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის მქონე რეალურ ადამიანად წარმოეჩინა, თანაც ისე, რომ ეს სახე სახარებაში გადმოცემულ მოვლენებთან წინააღმდეგობაში არ მოსულიყო. და, მხატვრული თვალსაზრისით, მან ეს ამოცანა თითქოსდა შეასრულა კიდეც.

რისი მომსწრენი ვხდებით რენანის წიგნში?

მისი საყვარელი მხატვრული ხერხია კონტრასტები. ის ხატოვნად აღგვიწერს პალესტინის ჩრდილოეთს, აყვავებულ გალილეას, მის ბაღებსა და ყანებს, რასაც კლდოვან, ქვაღორღიან და პირქუშ იუდეას უპირისპირებს. გალილეაში ქალები და ბავშვები მღერიან და ფერხულს უვლიან ყვავილოვან მდელოზე, იუდეა კი მკაცრ ფანატიკოსთა და სჯულის მცოდნეთა მხარეა. იესო ნაზარეველი ჩრდილოეთის „ნეტარ“ გარემოში აღზრდილ ჭაბუკად წარმოგვიდგება. ის სუფთა, უმწიკვლო და გულუბრყვილოა, ადამიანთა მიმართ შემწყნარებლურადაა განწყობილი. ის უბოროტო ღარიბთა ბედნიერი სასუფევლის მოსვლას წინასწარმეტყველებს, ქადაგებს „გულის რელიგიის“ უშფოთველ მოძღვრებას და კეთილი ზეციური მამის რწმენას. რენანის თქმით, ეს უნდა ყოფილიყო „წმინდა კულტი, რელიგია, არც სამღვდელოებას რომ არ იცნობს, არც რიტუალებს და მხოლოდ გულისთქმას უსმენს და ღვთაებრივ იდეალებს ესწრაფვის“. ერთი წლის განმავლობაში, წერს რენანი, „ღმერთი მართლაც სახლობდა მიწაზე“. მაგრამ იდილია მალე დაირღვა. „მომხიბვლელი მოძღვარი“ შეუპირისპირდა მკაცრ იუდეველ მეუდაბნოეს, იოანე ნათლისმცემელს. სწორედ მან ჩაუნერგა იესოს გულში შეშფოთება. ამ შეხვედრის შემდეგ სიყვარულის მქადაგებელი იღებს გადაწყვეტილებას, უფრო ენერგიული ზომებით დაიპყროს სამყარო. ის იწყებს კამათს განსწავლულებთან, ახდენს მოჩვენებით სასწაულებს (ან ყველას არწმუნებს იმაში, რომ, რასაც ახდენს, მართლაც სასწაულებია), ულმობელი და უხეში ხდება, თავის მიმდევრებს შეუძლებელ მოთხოვნებს უყენებს, საბოლოოდ კი იერუსალიმს მიემგზავრება ფარისეველთა შავბნელ საუფლოსთან შესაბრძოლებლად. მოკლედ, იესოს ცხოვრებასაც რენანი იმავე კონტრასტული მეთოდით აგვიწერს, როგორც ბუნებასა და ყოფას.

იერუსალიმში ლაშქრობა ტრაგიკულად მთავრდება. „მეორე“ იესომ, ამ „პირქუშმა ბუმბერაზმა“, მთლიანად დათრგუნა „პირველი“ და ეს „მეორე“ ჯვარზე აღასრულებს თავის სიცოცხლეს. გოლგოთაზე გათამაშებულ სცენას რენანი უცნაური სახოტბო სიტყვით აგვირგვინებს: „აწ განისვენე, დიდებით მოსილო კეთილშობილო მოძღვარო; შენი საქმე აღსრულებულია; ურყევია

შენი ღვთაებრივი არსი. ნუ შეშფოთდება სული შენი, რადგან ვერანაირი საბედისწერო შეცდომა ვერ ჩამოამხობს შენს მიერ საუკუნოდ აღმართულ ნაგებობას...“ და ასე შემდეგ.

ზოგიერთი ალალი მკითხველი ამ ქებას გულწრფელი აღტაცებით იღებდა და ვერ ამჩნევდა, რომ მათ წინაშე მხოლოდ ფუჭი რიტორიკაა. რადგან, რა იყო აქ საქებარი? ვინ წარმოგვიდგინა ფრანგმა ბელეტრისტმა? სუსტი ადამიანი, იოლად რომ ექცევა გარეშე გავლენების ქვეშ, ყავლგასული ილუზიებითა და გულუბრყვილო დოქტრინებით რომ ცხოვრობს; მუდამ მოჭოჭმანე და შინაგან ჭიდილში მყოფი ადამიანი, ვინც, საჭიროებისამებრ, „უვნებელ ტყუილზედაც“ კი მიდის. მისი მოძღვრების არსი სხვა არაფერია, თუ არა პარიზელ მეშჩანთა გემოვნებით შედგენილი სენტიმენტალურ ბანალურობათა კრებული. ამ შთაბეჭდილებას ვერც ეპოქისა თუ ბუნების მოხდენილი სურათები აუმჯობესებს. ამ დიდებულ ჩარჩოში უბადრუკი ადამიანის პორტრეტია მოქცეული...

დაუჯერებელია, ამ რომანის გმირს საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რელიგიისათვის, რომელმაც ისტორიის მსვლელობა შემოაბრუნა. რად ღირს თუნდაც აღდგომის მოვლენებზე რენანის მსჯელობა! თურმე ყველაფრის თავი და თავი მარიამ მაგდალინელი ყოფილა. „ხილვების მჭვრეტელი ქალის ვნებამ მსოფლიოს მკვდრეთით აღმდგარი ღმერთი მოუვლინა!“ — პათეტიკურად აცხადებს რენანი. მაგრამ, განა ცოტა ყოფილა წარსულსა თუ აწმყოში ჰალუცინაციებით შეპყრობილი ქალი? განა ცოტა იქნებოდა გალილეაში ფაქიზი სულისა და წრფელი რწმენის მქონე ახალგაზრდა? მაშ, რატომ იქცა მაინცდამაინც სახარებისეული მოვლენები ქრისტიანობის მსოფლიო ნაკადის სათავედ? ერთი სიტყვით, წიგნში ჭეშმარიტი ქრისტე არ არის. ავტორის მიერ შექმნილი სახე მთლიანად ყალბი და არადამაჯერებელია. ამ მთავარი მარცხის ფონზე მეორეხარისხოვანი დეტალები უკვე ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს.

თვით რენანის მოწოდებაც, მოწიწებით მოვეპყრათ ქრისტიანობის ფუძემდებლის სახებას, ყალბი გამოდგა. ამის საბუთი თუნდაც გეთსიმანიის ბაღში წარმოთქმული ლოცვის მისეული ინტერპრეტაცია გახლავთ, რომელიც უკიდურესად ტრივიალურია. „იქნებ გალილეას კამკამა ნაკადულები მოაგონდა, — კითხულობს მწერალი, — რომლითაც შუბლს იგრილებდა ხოლმე, ანდა ვაზის თუ ლეღვის ტევრები, სადაც დასასვენებლად ჩამოჯდებოდა; ან იქნებ ის ნორჩი ასულები მოაგონდა, რომელთა შორის ერთი მაინც შეიყვარებდა“. ყოველი სიტყვის მიღმა ერთადერთი აზრი ჟღერს: „ის ადამიანია, ჩვეულებრივი, ჩვენნაირი ადამიანი — მეტი არაფერი“. და ეს საკმარისი გახდა, რათა ის, რაც ტრაგიკული და წმინდაა, უგემოვნოდ, ელემენტარულად და ყოვლად გაცვეთილად წარმოჩენილიყო.

ასეთი გახლდათ რენანის ექსპერიმენტი.

ამ წიგნით გამოწვეული პირველი შოკის შემდეგ როგორც ქრისტიანმა, ისე არაქრისტიანმა მწერლებმა მისი წყალობით მრავალი სასარგებლო გამოცდილება შეიძინეს — როგორც უარყოფითი, ისე დადებითი. ერთნი მას თვითნებობისა და გამონაგონისათვის მწარედ აკრიტიკებდნენ, სხვანი ამ კრიტიკას ეთანხმებოდნენ, მაგრამ ისტორიის მხატვრულად ასახვას სწავლობდნენ მისგან. პროზაიკოსთა უმეტესობა გუმანით მაინც ჩასწვდა მის უმთავრეს ხარვეზს: ის ქრისტე, რომელიც „სამყაროს ნათლად“ მოევლინა, რენანმა თავის წიგნში ვერ გააცოცხლა.

რენანიდან შვაიცერამდე

1877 წელს რენანის მეგობარმა გუსტავ ფლობერმა შექმნა მოთხრობა „ჰეროდე“, რომლის პირველი რუსული თარგმანიც ი. ს. ტურგენევს ეკუთვნის. მასში დაწვრილებითაა აღწერილი მკვდარი ზღვის მიდამოებში განლაგებული ჰეროდეს სასახლეც, „გაქვავებული ზვირთების მსგავსი“ მთებიც, სამეფო კარის სახასიათო სცენებიც და იოანე ნათლისმცემლის მქუხარე რისხვაც, ჰეროდეს რომ დაატყდა თავს. ერთადერთი, ვისაც აქ ვერ ნახავთ, ქრისტეა. იგი „კადრსმიღმა“ რჩება. დრამატულ პერიპეტიებში მისი მონაწილეობა მხოლოდ ბუნდოვნად თუ შეიგრძნობა.

ფლობერმა ჯეროვნად დააფასა რენანის წიგნის უძლიერესი მხარე: „ჩარჩოს“ იუველირული კაზმულობა, თავად კი ამ „ჩარჩოზე“ უფრო შორს წასვლა აღარ გაურისკავს.

თითქმის ასეთსავე სურათს ვხვდებით რენანის დიდი მოტრფიალის, ანატოლ ფრანსის ნოველაში „იუდეის პროკურატორი“ (1892), რომელიც ფლობერის ნაწარმოებზე ბევრად უფრო

ღრმა და საინტერესოა. ფლობერმა მხოლოდ გარდასული დროის ერთი, სამუზეუმო ექსპონატივით მკვეთრი და დასამახსოვრებელი ეპიზოდი დაგვიხატა, მაშინ როდესაც ფრანსი შეეცადა ჩასწვდომოდა იმ ადამიანის ფსიქოლოგიას, ვინც იესო ნაზარეველს სიკვდილი მიუსაჯა, სურდა მასში ამოეცნო ადამიანთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელი ნაკვთები.

მოქმედება გოლგოთას შემდეგ რამდენიმე წლის თავზე ვითარდება. იუდეის ყოფილი მმართველი იმ მოვლენების შესახებ თავის მეგობარს ესაუბრება. მეგობარი შეახსენებს მისი ბრძანებით სიკვდილმისჯილ იესოს. მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ პროკურატორი ვერაფერს იხსენებს. თვით მეძავი მარიამ მაგდალინელის სილამაზეც კი არ დავიწყებია, უდანაშაულოს დასჯა კი მეხსიერებიდან სრულებით ამოეშალა. თანამოსაუბრე სულ ამაოდ ცდილობს გაუღვიძოს მოგონებები. პილატე კვლავაც და კვლავაც დაჟინებით იმეორებს: „არა. არ მახსოვს. არაფერი მახსოვს“.

ფრანსს, როგორც ჩანს, იმის ხაზგასმა სურდა, რომ მავანი გალილეველის სიკვდილი პილატესათვის ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტი უნდა ყოფილიყო. ისტორიული მასალებიდან მართლაც ცნობილია, რომ პროკურატორი ხშირად სასამართლოსა და გამოძიების გარეშე უსწორდებოდა თავისთვის არასასურველ პირებს. ამ სისხლიან ფონზე „იუდეის მეფის“ ჯვარი თითქოსდა აღარც კი მოჩანს. და მაინც, სურდა ეს თვით ავტორს თუ არა, მკითხველი რაღაც ალღოთი გრძნობს, რომ საქმე არც მთლად ასე მარტივადაა. რომაელს *არ სურს* იმის გახსენება, რაც ბუნდოვან ტვირთად აწევს მის სინდისს...

ასეა თუ ისე, არც ფრანსს გამოჰყავს თვით ქრისტე მოთხრობის გმირად. მისი სახის მოხაზვას შეეცადა ოსკარ უაილდი თავის ნაწარმოებში „De profundis“, რომელიც მხოლოდ ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა; მაგრამ ეს სახარების ბელეტრიზაცია არ გახლავთ, ეს ესეისტური ფორმით ჩამოყალიბებული განსჯაა. „სულაც არ მიჭირს, ვირწმუნო მისი პიროვნების მომაჯადოებელი ხიბლი, — წერს უაილდი, — მწამს, რომ მისი სიახლოვე თავისთავად ჰგვრიდა სიმშვიდეს გატანჯულ სულებს და რომ ვინც მის კალთას შეეხებოდა, ყველა ტკივილსა და დარდს ივიწყებდა; და როდესაც ხედავდნენ მას, წუთისოფლის შარაგზაზე მიმავალს, ადამიანები ეზიარებოდნენ მათთვის მანამდე დაფარულ სიცოცხლის საიდუმლოებას... და როდესაც ის, მაღლობზე შემდგარი, ბრბოს წინაშე ქადაგებდა, არც შიმშილი, არც წყურვილი, არც ამ ქვეყნის საზრუნავი აღარავის ახსოვდა. და მასთან სერობად დამსხდარ მის მეგობრებს უბრალო საკვები მდიდრულ კერძად ეჩვენებოდათ, წყალი — უტკბეს ღვინოდ, მთელი ოთახი კი ვარდის სურნელით ივსებოდა.“

პატიმრობისას უაილდი ხშირად კითხულობდა სახარებას, თუმცა თავადაც არ მალავდა, რომ ქრისტეზე წარმოდგენა დიდწილად რენანის წიგნის გავლენით შეიქმნა. მისივე თქმით, ის „მომაჯადოებელი მეხუთე სახარებაა, რომელსაც შეიძლება „თომას სახარებაც“ კი ვუწოდოთ.“ ისევე, როგორც ფრანგ მწერალთან, უაილდთანაც შეფასებისა და აღქმის ესთეტიკური კრიტერიუმია წამყვანი. მაგრამ სწორედ ამ კრიტერიუმმა არ მისცა უფლება, გამოეყვანა ქრისტე დრამა „სალომეას“ (1893) პერსონაჟად; ეს დრამა მრავალი გაგებით ეხმიანება ფლობერის „ჰეროდიადას“, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ეროტიზმის მუხტითაა გაჯერებული (ჰეროდეს ქალიშვილი, მოცეკვავე სალომეა უიმედოდაა შეყვარებული იოანე ნათლისმცემელზე და შურისძიების გამო ღუპავს მას).

მაშასადამე, ფლობერის, ფრანსისა და უაილდის მიერ სახარებისეულ თემაზე შექმნილ მხატვრულ პროზაში ქრისტე არ ჩანს. ეს უდაოდ საგულისხმო ფაქტია. თითქოს პროზის ოსტატები მორიდებულად უვლიან გარს უმთავრეს საიდუმლოს, ცენტრალურ სახეს, და მასთან მისაახლოვებლად ზღვრის გადალახვას ვერ ბედავენ.

აღსანიშნავია, რომ იგივე სიფრთხილე გამოიჩინეს XIX საუკუნის ქრისტიანმა მწერლებმაც. კერძოდ, უნდა გავიხსენოთ ამერიკელი მწერლის, ლუ უოლესის რომანი „ბენ-ჰური“ (1880), დღესდღეობით ეკრანიზაციის წყალობით საყოველთაოდ ცნობილი რომ გახდა. წიგნი მოგვითხრობს კეთილშობილი წარმომავლობის იუდეველი მეომრის შესახებ, ვინც სახარებისეული მოვლენების თვითმხილველი ხდება. ბენ-ჰურს სწამს, რომ იესო მართლაც მესიაა, ამაოდ ცდილობს, აარიდოს ჯვარცმა, შემდგომში კი იესოს მოწაფეებს უერთდება. რომანი აშკარა რელიგიური ტენდენციით გამოირჩევა და ქრისტეც, გარკვეულწილად, მისი ცენტრალური სახეა,

მაგრამ თვითონ მოქმედების ფარგლებს გარეთ რჩება. ბენ-ჰური მხოლოდ წუთით შეავლებს მას თვალს.

მსგავს სურათს ვხედავთ პოლონელი კათოლიკე პროზაიკოსის, ჰენრიკ სენკევიჩის შემოქმედებაშიც. მის მოთხრობაში „გავყვეთ მას“ ჯვარცმის სცენაა ასახული. მდიდრულად წარმოდგენილი ისტორიული ანტურაჟი მრავალი გაგებით რენანისგანაა ნასესხები, ხოლო ის, რაც ხდება, გარეშე თვითმხილველის თვალითაა დანახული. მოთხრობის პერსონაჟის ჭეშმარიტი შეხვედრა ქრისტესთან არა ისტორიულ, არამედ შინაგან განზომილებაში ხდება.

თავის რომანში „Quo vadis“ („ვიდრე ჰხვალ“, 1896) სენკევიჩი ასევე ფართოდ იყენებს რენანის წიგნიდან „ანტიქრისტე“ (1873) ნასესხებ ისტორიულ მასალას — ეს წიგნი ნერონის ეპოქის ქრისტიანობას ეძღვნება; თუმცა თვით რომანის ავტორიც კარგად იცნობდა ამ ეპოქას, მას ანტიკური წყაროები ორიგინალში ჰქონდა შესწავლილი. სენკევიჩის რომანმა იმთავითვე დიდი წარმატება მოიპოვა, ის ყველა ევროპულ ენაზეა თარგმნილი (რუსულმა თარგმანმა დღეისათვის უკვე ოცამდე გამოცემას გაუძლო).

სენკევიჩი მკითხველს მხატვრულად წარმოუდგენს I საუკუნის 60-იანი წლების რომაული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს და ამ ფონზე ორი სამყაროს — იმპერიისა და ქრისტიანობის — ურთიერთშეპირისპირებას გვიჩვენებს. კეისართა სახელმწიფოს დიდებული ფასადის მიღმა ავტორი შინაგანი ხრწნისა და სულიერი კრახის ნიშნებს ჭვრეტს. ხოლო დევნილი და განკიცხული ქრისტიანული საკრებულოები საკუთარ თავში სულიერი აღორძინების მარცვალს დაატარებენ. მომავალი მათ ეკუთვნით. რომანის პერსონაჟთა შორის გვხვდებიან სახარებისეული ფიგურები — მოციქულნი პეტრე და პავლე, მაგრამ სიუჟეტი უკვე ახალი აღთქმის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს მიღმა ვითარდება. სენკევიჩი სწორედ იმ მომენტიდან იწყებს თხრობას, სადაც მთავრდება ბიბლიური „მოციქულთა საქმენი“. ამიტომ ქრისტეს ცხოვრება რომანში მხოლოდ პეტრეს მონათხრობის სახით შემოდის. ამგვარად, ამ ნაწარმოებში მკითხველი ვერ ნახავს სახარების უშუალო მხატვრულ ინტერპტერაციას.

განსხვავებულ ხერხს მიმართა შვედმა მწერალმა ქალმა სელმა ლაგერლოფმა, რომელიც ჩვენში კარგადაა ცნობილი თავისი საბავშვო ნაწარმოების წყალობით, ბიჭისა და ბატის მოგზაურობაზე რომ მოგვითხრობს.[1] მისი წიგნი „ლეგენდები ქრისტეზე“ (1904)[2] შეგნებულად შორდება კანონიკურ სახარებას და აპოკრიფულ ტრადიციას განაგრძობს. თუმცა ბრძნული და საოცრად წარმტაცი თქმულებების ეს კრებული სულაც არ ლამობს, მოვლენები ისე წარმოგვიდგინოს, „როგორც ისინი სინამდვილეში მოხდა“, ან თუნდაც ისე, „როგორც შეიძლებოდა მომხდარიყო“. ლაგერლოფისეული სიმბოლოები და ალეგორიები სახარებაზე უფრო მეტად ჩრდილოეთის უძველეს ლეგენდებს მოგვაგონებს.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ლიტერატურამ, როგორც ჩანს, ახალი ძლიერი იმპულსი მიიღო იმ ისტორიკოსთა და კრიტიკოსთა ფართო კვლევების წყალობით, ვინც შეეცადა, რენანის შეცდომებისთვის აერიდებინა თავი. მათ ავანგარდში ეგრეთ წოდებული „ლიბერალური ღვთისმეტყველების“ მიმდევრებს ვხედავთ. მათ მიზნად დაისახეს „სახარების ლეგენდარული დანაშრევებისაგან გაწმენდა“, რათა იესოს მოძღვრება „პირველადი, წმინდა სახით“ მიეწვდინათ მკითხველისათვის. ლიბერალური სკოლის მამამთავრად ისტორიკოსი ადოლფ გარნაკი ითვლებოდა. თავისი შეხედულებები მან ლექციათა ციკლში ჩამოაყალიბა, რომელიც მოგვიანებით გამოიცა საერთო სათაურით „ქრისტიანობის არსი“ (1901). იესოს სახარებისეული გამოცხადება მან მშრალ მოძღვრებამდე დაიყვანა, რომლის თანახმადაც ღმერთი კაცობრიობის მამაა, უდიდესი ფასეულობები კი სული და ზნეობრივი იდეალისადმი მსახურებაა.

რენანისგან გარნაკს განასხვავებს წყაროებისადმი უფრო მკაცრი და ობიექტური მიდგომა და რწმენა იმისა, რომ „ჭეშმარიტი ქრისტიანობა თავისუფალია მეტაფიზიკისა და დოგმებისაგან“ (მაშინ როდესაც რენანი საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს ჭეშმარიტების წვდომის შესაძლებლობას).

არაერთი მწერალი ჩაეჭიდა გარნაკის მიერ მიწვდილ „კომპასს“ და გულადად შეუდგა იმ ამოცანის შესრულებას, რაშიც XIX საუკუნის ლიტერატურას მოეცარა ხელი.

მაგრამ მკითხველს აქაც იმედგაცრუება ელოდა.

[1] სელმა ლაგერლოფი: „ნილსის მოგზაურობა გარეულ ბატებთან ერთად“.
[2] წიგნი ქართულ ენაზე გამოიცა 2004 წელს გამომცემლობა „საარის“ მიერ.

ახალი მიდგომა, მართალია, უწინდელზე რამდენადმე მეტად მიუახლოვდა სახარების სულისკვეთებას, მაგრამ მან მაინც ვერ მოუტანა ლიტერატურას სასურველი შედეგები. ამის სახასიათო ნიმუშად გვევლინება გერმანელი მწერლის, გუსტავ ფრენზენის რომანი „წმინდა მიწა“ („Hilligenlei“, 1905).

ნაწარმოების მთავარი გმირი, პროვინციელი ახალგაზრდა კაი იანსი ერთფეროვანი გარემოდან თავის დაღწევაზე ოცნებობს და ახალ იდეალებს დაეძებს. სიღარიბის მიუხედავად, ის მაინც ახერხებს უნივერსიტეტში სწავლის დაწყებას და ბევრს ფიქრობს სამყაროში ადამიანის მოწოდების შესახებ. ამ კვლევებისა და განსჯის შედეგად იწერება ხელნაწერი, რომელსაც ის თავის საცოლეს ჩუქნის. მისი სათაურია: „მაცხოვრის ცხოვრება უახლესი გამოკვლევების საფუძველზე; საძირკველი, რომელზედაც აიგება თანამედროვე აღორძინებული საზოგადოება“.

რომანის ბოლოსიტყვაობაში თვით ფრენზენი აცხადებს, რომ ეს ჩანართი (ანუ თავი „ხელნაწერი“) „მრავალწლიანი კეთილსინდისიერი კვლევისა და მთელი შესაბამისი ლიტერატურის შესწავლის შედეგია“. დასასრულს ბიბლიოგრაფიაც კი მოჰყავს, რომელიც ცხადყოფს, რომ ავტორი „ლიბერალური ღვთისმეტყველების“ უშუალო ზეგავლენას განიცდის. მაგრამ, მართლაცდა, რომ იტყვიან, მთამ თაგვი შვაო. ტექსტი ასზე მეტ გვერდს იტევს და სავსეა აღტკინებული რიტორიკით, ბანალური და უინტერესო მსჯელობით. პრინციპში, ყველაფერი აქ გამოთქმული რენანისგანაა ნასესხები, ოღონდაც მრავალი გაგებით ჩამოუვარდება ამ თავის პირველწყაროს. ყველაფერ ამასთან ერთად, ფრენზენმა თავი ვერ შეიკავა და დასასრულს თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა რენანის წიგნის დამაგვირგვინებელი ფრაზა.

ფრენზენის აზრით, ადამიანებმა იმიტომ ირწმუნეს იესოს მკვდრეთით აღდგომა, რომ უზომოდ სურდათ ამის დაჯერება.

„ის კვლავაც მოვა“, — ასე იუწყებოდნენ უძველესი წიგნები... „ის უნდა მოვიდეს“, — ჩურჩულებდნენ ადამიანები და დარდიან თვალებს ავლებდნენ არემარეს... „ის უნდა მოვიდეს...“ — ასე ჩურჩულებდნენ ტბის წყალი, ხეები და ღამის ქარი, იქ, სადაც მან მხოლოდ ორიოდე კვირის წინ გამოიარა. „უსათუოდ უნდა ვნახო კიდევ,“ — ამბობდა პეტრე, რომელმაც უარყო იგი, — „თუ არ ვნახე, ვერ ვიცოცხლებ“.

„ჩუ!.. რაიმე ხომ არ დაგინახავს, პეტრე?..“

მეორე დღეს მთელ მიდამოს მოედო ცნობა: პეტრემ იხილა იგი საღამოს, იმ ტბის პირას, სადაც ის ასე ხშირად დადიოდა. ის ბნელში იდგა — გაცისკროვნებული, მოღიმარი აჩრდილი, და თვალებში შეჰყურებდა პეტრეს“.

აი, ასეთი მარტივი ფსიქოლოგიური მოტივებით ხსნის ავტორი მოვლენას, რომელმაც ქრისტიანულ რელიგიას ჩაუყარა საფუძველი. როგორც ჩანს, იმაზე არ დაფიქრებულა, რომ მოსემ და ბუდამ, ესაიამ და სოკრატემ ასევე წარუშლელი კვალი დატოვეს თანამედროვეთა ხსოვნაში, მაგრამ არცერთის თანამედროვეებს არ უთქვამთ, რომ მათმა მოძღვარმა სიკვდილს სძლია და მკვდრეთით აღსდგა.

ან კი რა ნახა ფრენზენმა ორიგინალური „მარადიული საუფლოს“ იმ რწმენაში, რომელიც, მისავე სიტყვებით, ქრისტეს მოძღვრების არსს შეადგენს? მსგავს იდეებს მსოფლიოს არაერთ წმინდა წიგნში ვხვდებით. ამ შეკითხვაზე დამაჯერებელ პასუხს ვერც „ლიბერალური ღვთისმეტყველება“ გვაძლევს და ვერც მისი მიმდევარი ფრენზენი.

„Hilligenlei“-ს გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ გამოიცა რელიგიის ფილოსოფოსისა და მუსიკოსის, ალბერტ შვაიცერის ნარკვევი, რომელსაც მეორე გამოცემაში ეწოდა „იესოს ცხოვრების ძიებათა ისტორია“ და იგი ამ სახელწოდებით გახდა ცნობილი. მან შეისწავლა სახარებისეული ისტორიის რეკონსტრუქციის ის მცდელობები, XVIII-XIX საუკუნეებში რომ განხორციელდა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბელეტრისტებიცა და ისტორიკოსებიც ერთნაირად სუბიექტურნი იყვნენ. თითოეული მათგანი სახარებაში მხოლოდ იმას ხედავდა, რისი დანახვაც თავად სურდა, რასაც საკუთარი ხედვა კარნახობდა. მაგრამ, რა უცნაური პარადოქსია! შვაიცერი თვითონვე დაჰყვა ცდუნებას და წიგნის დასასრულს ქრისტეს ცხოვრების საკუთარი ვერსია წარმოგვიდგინა, რომელიც დიდად არ შორდება მის მიერ ეგზომ გაცამტვერებულ „ლიბერალურ“ თვალსაზრისს...

ახალი მცდელობები

შვაიცერის წიგნის გამოქვეყნების შემდეგ მოდაში შემოვიდა იმის მტკიცება, თითქოს მან „იესო ნაზარეველის პიროვნების დამაჯერებლად ასახვის ყოველგვარი იმედი დაასამარა“. მაგრამ, რა საკვირველიც არ უნდა იყოს, სწორედ მას შემდეგ დაიტბორა წიგნის ბაზარი სახარების ახალ-ახალი, როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული ინტერპრეტაციებით. ეს ნაკადი ვერც მითოლოგიური თეორიის ხანმოკლე აღორძინებამ შეაჩერა, რაც XX საუკუნის დასაწყისში ზოგიერთი პუბლიცისტისა და ფილოსოფოსის (ა. დრევე, ა. ნემოევსკი, პ. კუშუ და სხვები) ენერგიული პროპაგანდის შედეგად მოხდა.

საინტერესოა ის, რომ პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზა მაინც ვერავინ მონახა. მორის მეტერლინკი ფლობერის, ფრანსისა და უაილდის გზას დაადგა. თავის დრამაში „მარიამ მაგდალინელი“ (1909) ის მომნანიე ცოდვილი ქალის შინაგან კონფლიქტს გვიჩვენებს. რომაელი სთავაზობს მას, დაუბრუნდეს უწინდელ აღვირახსნილ ცხოვრებას, რის სანაცვლოდაც იესოს განთავისუფლებას ჰპირდება. მაგრამ ქალი უარს აცხადებს და თავისი მოძღვრის დანაბარების ერთგული რჩება. ქრისტე დრამაში არ არის გამოყვანილი.

გერჰარდ ჰაუპტმანმა ზოგიერთი დასავლელი ხელოვანის ტილოების შთაგონებით შექმნა რომანი „ქრისტესა მიერ სალოსი ემანუელ კვინტი“ (1910), სადაც ქრისტე თანამედროვე ცხოვრების ფონზეა დახატული. მისი პერსონაჟი XX საუკუნის დასაწყისში ცხოვრობს. იგი რაღაცით მოგვაგონებს ქრისტეს; მისი ცხოვრების არაერთი ეპიზოდიც სახარებისეულ მოვლენებს იმეორებს. საბოლოოდ ის თავადვე ირწმუნებს, რომ ქრისტე ხელმეორედ განსხეულდა მასში. მართალია, მას ჯვარზე არ აცვამენ, მაგრამ საზოგადოებისაგან გარიყული, ქალაქებსა და სოფლებში დაეხეტება და მათხოვრობით ირჩენს თავს. ამასთან, ყველგან ერთი და იგივე სცენა მეორდება: როდესაც კარზე აკაკუნებს და შიგნიდან ეკითხებიან, ვინ არისო, იგი უცვლელად პასუხობს: „ქრისტე“, და კარს იმწამსვე ცხვირწინ უკეტავენ.

„უნებურად უნდა შევწიროთ მადლი ზეცას იმისათვის, რომ ეს მაწანწალა სინამდვილეში უბადრუკი სულელია და არა თვით ქრისტე, — სევდიანი სარკაზმით აცხადებს გერჰარდ ჰაუპტმანი, — თორემ ურიცხვი კათოლიკე თუ პროტესტანტი მღვდელი, მუშა, მოხელე, მრჩეველი, ყველა სახის ვაჭარი, ეპისკოპოსი, არისტოკრატი და ბიურგერი, — მოკლედ, ურიცხვი პატიოსანი ქრისტიანი მისი გულისთვის საუკუნო სასჯელს დაიმსახურებდა“. ავტორი მოულოდნელად ამთავრებს თავის მსჯელობას: „ვინ იცის, იქნებ ეს ჭეშმარიტი მაცხოვარი იყო, გლახაკის სამოსით რომ მოევლინა ქვეყანას, რათა ენახა, ხომ არ მოწეულა მის მიერ დათესილი სასუფევლის მოსავალი?“

ემანუელი მთაში იღუპება. მისი საიდუმლო ამოუხსნელი რჩება. ამგვარად ჰაუპტმანმა მარჯვედ დაიზღვია თავი შესაძლო საყვედურისგან, რომ მან ქრისტეს მიმართ მკრეხელობა ჩაიდინა. ნებისმიერ მომენტში მას შეეძლო ეპასუხა: „არა, ეს მაცხოვარი კი არა, საბრალო სულელი გლახაკია“. და კიდევ კარგი, რომ ასეთი გამართლება მოიტოვა, რადგანაც მისი გმირი მეტისმეტად უბადრუკი და კურიოზულია, თუმცა, ზოგიერთ მომენტში მასში მართლაც გამოსჭვივის სულიერი დიდება.

საკვირველი იქნებოდა, ჩვენს რევოლუციურ საუკუნეში კვლავაც რომ არ შექმნილიყო ისეთი ნაწარმოები, სადაც ქრისტე მეამბოხეთა თაოსნად იქნებოდა გამოყვანილი. ამგვარი რომანი, ესე თუ ნარკვევი მართლაც მრავლად გაჩნდა. 20-იან წლებში მათ შორის უდიდესი წარმატება იქონია ანრი ბარბიუსის აპოკრიფმა „იესო“ (1927), რომელიც იმდენად ბაძავს სახარებას, რომ მის მსგავსად, თავებად და ლექსებადაა დაყოფილი. ამ წიგნს თან ახლავს ისტორიული ნარკვევი „იესოს იუდები“ (1927, რუსულ თარგმანში — „იესო — ქრისტეს წინააღმდეგ“, 1928) და დრამა-მისტერია „იესო ღვთის წინააღმდეგ“ (1927), რომელიც მხოლოდ რუსულ თარგმანში გამოქვეყნდა 1971 წელს. ამ სამ ნაწარმოებში ბარბიუსი სახარებაზე თავის რადიკალურ შეხედულებებს აყალიბებს. მისი მტკიცებით, ჩვენამდე მოღწეული ტექსტები მთლიანად გაყალბებულია. იესოს ქადაგება დამახინჯებული სახით გადმოგვცეს და ამიტომაც ვერ იქნა ის სწორად გაგებული. სინამდვილეში ამ რევოლუციონერი და ათეისტი ფრანგი მწერლის ერთადერთი ოცნება იყო, კაცობრიობა ყოველგვარი ძალაუფლებისაგან განთავისუფლებულიყო. მაგრამ თვით ანტირელიგიურმა ლიტერატურამაც კი სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია მისი თვალსაზრისი. სულ რომ

არაფერი ვთქვათ „იესოს ათეიზმის“ აბსურდულ იდეაზე, უნდა გავიხსენოთ ის, რომ სახარება (როგორც კანონიკური, ისე აპოკრიფული) ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებს იმას, რომ იესო ზელოტთა მეამბოხე დაჯგუფების შეხედულებებს იზიარებდა.

ბარბიუსისა და მისი მიმდევრების (ა. რობერტსონი, ჯ. კარმაიკლი და სხვები) ამგვარი მცდელობები ეხმიანება გარნაკის სიტყვებს: „არის რაღაც გულისამაჩუყებელი იმაში, თუ როგორ ცდილობს ყველა, საკუთარი გზით მიუახლოვდეს იესო ქრისტეს, ჰპოვოს მასში საკუთარი პიროვნების ნაწილი, ანდა მისი რაიმე ნაკვთი გაითავისოს“.

ამასობაში სახარების მეცნიერულმა კვლევამ ძალა მოიკრიბა. სურათი სულ უფრო მკაფიო ხდებოდა და სულ უფრო ნაკლები ადგილი რჩებოდა ვარაუდსა თუ ფანტაზიას. ამიტომაც, რამდენიმე სოლიდური მხატვრული ბიოგრაფიის ავტორი, გერმანელი მწერალი ემილ ლუდვიგი ქრისტეს შესახებ წიგნზე მუშაობისას მაქსიმალურად შეეცადა ისტორიული მონაცემების გათვალისწინებას. თხზულება 1928 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „ძე კაცისა“. ლუდვიგმა უარი თქვა სახარებაში მოყვანილი ქრისტეს გამონათქვამების ამა თუ იმ სახით პერეფრაზირებასა და შეცვლაზე. „ვინც არ უნდა ეცადოს, იესოს პირით გამოთქვას საკუთარი სათქმელი, სულ ცოტა იმის ტოლფასი ინტუიციური ძალა უნდა ჰქონდეს, რაც თვით იესოს ჰქონდა. ამიტომ შეგვიძლია განვიხილოთ იესოს მხოლოდ ის სიტყვები თუ ქმედებები, ოთხიდან ერთ-ერთ სახარებაში რომ გვხვდება.“ მაგრამ ლუდვიგმა სხვა შეცდომა დაუშვა: მან განიზრახა, თავისი პერსონაჟის სულიერ სამყაროში ჩაეხედა და მისი თვითშეგნების უხილავ დინამიკას ჩასწვდომოდა. ამგვარი ანალიზი ნებისმიერი სხვა დიდი ისტორიული პიროვნების შემთხვევაშიც ურთულესია, აქ კი გარდუვალად დამდაბლებასა და გაუფასურებას გამოიწვევდა. ასეც მოხდა. ლუდვიგმა სათანადოდ ვერ შეაფასა სახარების ავტორთა თავშეკავებულობა: ისინი ქრისტეს მუდამ „გარედან“ გვიჩვენებენ, ისე, როგორც მას მრავალი გარშემომყოფი ადამიანი ხედავდა.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ლუდვიგის სრულიად საპირისპირო შედეგს მიაღწია ფრანგმა კლასიკოსმა ფრანსუა მორიაკმა თავისი წიგნით „იესოს ცხოვრება“ (1936), რომელიც, მართალია, სათაურით იმეორებს რენანის წიგნს, მაგრამ სხვა მხრივ, არაფრით ჰგავს მას.

თუკი ლუდვიგი შეგნებულად უვლის გვერდს ღვთისმეტყველურ ასპექტებს, მორიაკი ქრისტიანია და ამის გამოაშკარავებას წუთითაც არ უფრთხის. იგი მაცხოვარს მახარებელთა თვალით უმზერს და მათ რწმენას იზიარებს; ხაზს უსვამს იმას, რომ ეკლესიის ხათრით კი არ სწამს, არამედ პირიქით, ქრისტეს გულისათვის მზადაა, მიიღოს ეკლესიაც. ის პირდაპირ აღიარებს, რომ მისი თვალთახედვა „მხოლოდ თვით მაცხოვარს ეფუძნება, და არა ქრისტიანობის ხიბლსა თუ ლიტურგიის მომნუსხველ დიდებას“. „ქრისტიანი რომ არ ვიყო, რელიგიასთან ვერ მივიდოდი იმ გზით, რითაც მასთან გიუსმანსი მივიდა“, — მორიაკი გულისხმობს ბელგიელ პროზაიკოსს, რომელსაც გაქრისტიანება საეკლესიო ხელოვნებისა და ღვთისმსახურების ხიბლმა გადააწყვეტინა.

თუკი ლუდვიგი მრავალგვერდიან მონათხრობს უთმობს სახარებისეული ეპოქის ისტორიულ ატმოსფეროს, მორიაკთან ის მხოლოდ გაკვრითაა მოხაზული. წიგნში აქა-იქ გაიელვებს კონკრეტული ყოფის თუ ინტერიერის ცალკეული დეტალები, რაც გრაფიკულსა და ხელშესახებს ხდის მონათხრობს, მაგრამ ისინი სრულიად დაცლილია „არქეოლოგიური კოლორიტისაგან“.

ლუდვიგს ქრისტეს შინაგანი სამყაროს ამოცნობა სურს, მორიაკი კი კვალდაკვალ მიჰყვება სახარებას. მომხდარის შესახებ ლაკონურად, ფრთხილად, მოწიწებით მოგვითხრობს. ძუნწი შტრიხებით ოსტატურად გვიხატავს ქრისტეს გარს მყოფ ადამიანთა პორტრეტებს, გვიჩვენებს მის სიტყვებსა და ქმედებებზე მათ განსხვავებულ რეაქციას. მისი სახე თითქოს მათშია არეკლილი. შედეგად მივიღეთ წიგნი, რომელიც შეხვედრის განცდას გვიტოვებს: ესაა შეხვედრა შეუცნობელთან, იმ სიყვარულთან, რომელიც ყველასათვის გახსნილია. მორიაკის თქმით, აღდგომის საიდუმლოებით „იწყება იესოს დაბრუნება სამყაროში. მაგრამ ამაზე საუბარი ნიშნავს სამყაროს ისტორიაზე საუბარს მის დასასრულამდე. რადგან მკვდრეთით აღმდგარი იესო დღესაც ჩვენთანაა... გავიდა რამოდენიმე თვე მას შემდეგ, რაც ის მოციქულთა თვალწინ გაუჩინარდა და, აი, მან თავისი ნათლით თვალი მოსჭრა თავის მდევნელ სავლეს და ესაუბრა მას. წმინდა პავლე ხომ არასოდეს დაეჭვებულა იმაში, რომ თავადაც ისევე იყო აღდგომის მოწმე, როგორც ისინი, ვინც მის გვერდით ისხდა და მასთან ერთად ჭამდა პურს მას შემდეგ, რაც მან სიკვდილი დაამარცხა“.

XX საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული სახარებისეულ თემატიკაზე შექმნილ მხატვრულ ლიტერატურაში ორი ტრადიცია იკიდებს ფეხს. ორივე თავისებურად ითვალისწინებს რენანის ექსპერიმენტს, ოღონდაც ერთი ქრისტიანულ, სახარებისეულ ხედვას ინარჩუნებს, ხოლო მეორე თემასთან წმინდა „მიწიერი“ მიდგომის ძებნას განაგრძობს.

მეორე ვერსიას ავითარებენ შვედი მწერალი პერ ლაგერკვისტი და ბერძენი ნიკოს კაზანძაკისი.

კაზანძაკისის რომანი „უკანასკნელი ცდუნება“ (1952) მხოლოდ გეთსიმანიის ლოცვის რენანისეული ინტერპრეტაციის ახლებური დამუშავებაა. რამდენიმე წლის წინათ შექმნილმა ამ წიგნის ეკრანიზაციამ მძაფრი პროტესტი გამოიწვია. ლაგერკვისტის ვრცელი მოთხრობა „ბარაბა“ (1950) უფრო ფართო მიზნებს ისახავს. ჯვარცმულ ქრისტეს ავტორი პილატეს მიერ ხალხის მოთხოვნით განთავისუფლებულ ავაზაკს უპირისპირებს. სიყვარულის სახარებისეული ქადაგება ბარაბასთვის გაუგებარია, ის ფიზიკურ ძალას უფრო ენდობა. მაგრამ ეს ტლანქი და პირქუში ადამიანი მაინც ვერ ივიწყებს იმ ღრმა შთაბეჭდილებას, რაც მისი განთავისუფლების გარემოებებს უკავშირდება. ის უნებლიეთ თითქოს ქრისტეს ორეულად იქცევა. ცდილობს საკუთარი თავი და სხვები დაარწმუნოს იმაში, რომ ქრისტე და მისი მიმდევრები ილუზიის მსხვერპლნი არიან. ფრენზენის მსგავსად, ლაგერკვისტიც გვიამბობს, თითქოს მოციქულნი თავიანთი მოძღვრის მკვდრეთით აღდგომას მოელოდნენ. პეტრე ეუბნება ბარაბას: „უსათუოდ აღსდგება. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ხვალ დილითვე... მართლაცდა, რატომ არ უნდა აღსდგეს, თუკი სხვებიც კი აღადგინა მკვდრეთით?..“ და, ბუნებრივია, ის, რასაც ასე დაჟინებით მოელიან, მართლაც ხდება (თუნდაც მხოლოდ ადამიანთა წარმოსახვაში). ოცდაათიოდე წლის შემდეგ ბარაბა რომაელ ქრისტიანთა გარემოცვაშია. როდესაც ქალაქში ხანძარი ჩნდება, ავაზაკი წამით ირწმუნებს, რომ ეს ჭეშმარიტი, შურისმაძიებელი ქრისტე მოევლინა ქვეყანას და, მის დასახმარებლად, ფანჯრებში ალმოკიდებული მუგუზლების სროლას იწყებს. ამას მოჰყვება დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა ჯვარზე, რომელსაც ბარაბა საბოლოოდ მაინც ვერ ასცდა. მაგრამ, ქრისტიანთაგან განსხვავებით, ავაზაკი რწმენის გარეშე იღუპება და მისი სულიც წყვდიადს უერთდება...

1953 წელს დაიბეჭდა პოლონელი მწერლის, იან დობროჩინსკის რომანი „ნიკოდემუსის წერილები“. ამ კათოლიკე ავტორმა შეგნებულად გადაწყვიტა შუა საუკუნეების აპოკრიფული ტრადიციის აღორძინება. თხრობა მიმდინარეობს იმ იუდეველი ღვთისმეტყველის, საკრებულოს წევრის სახელით, რომელიც იოანეს სახარებაშია მოხსენიებული. წიგნი ნიკოდემუსის მიერ დასავლეთში მცხოვრები მეგობრისადმი, იუსტუსისადმი მიწერილი ეპისტოლეების წყებას წარმოადგენს. ამით დობროჩინსკი გვერდს უვლის რენანისა და ლუდვიგის მიერ ნაცად სარისკო ექსპერიმენტს და ქრისტეს განცდებსა და ზრახვებში ჩახედვას არ ცდილობს. ყველა ფაქტი — იოანე ნათლისმცემლის ქადაგებიდან აღმდგარი ქრისტეს გამოცხადებამდე — ნიკოდემუსისა და რომანის სხვა პერსონაჟთა ხედვის პრიზმაშია გატარებული. უნდა ითქვას, რომ ავტორი ვერ ახერხებს ნამდვილი წერილის იმიტირებას. აქ ჭარბადაა იმდროინდელი მიმოწერისათვის უჩვეულო პეიზაჟები და გადახვევები. მაგალითად, გალილეაში იესოსთან შეხვედრას ნიკოდემუსი ამგვარ აღწერას წაუმძღვარებს: „ნამი გაბზარული დოქიდან გადმოღვრილი რძის წვეთებივით ფარავდა ბალახს. ხეობა შუაზე კვეთდა მწვერვალს და მის გაორკაპებულ კუზებს შორის, თითქოსდა სამკუთხედ სარკმელში, მოჩანდა რომაული ცირკივით მომრგვალებული გენისარეთის ტბის ლიკლიკა ზედაპირი. ამ დილით მზე ამაოდ ცდილობდა ჩვენს წინაშე ჩამოწოლილი კუპრივით შავი ჯანღის სხივებით გარღვევას.“ ამგვარი სურათები ყოველ „წერილში“ გვხვდება. გარდა ამისა, ავტორი ქრისტეს ისეთ სიტყვებს მიაწერს, რაც არცერთ სახარებაში არ წერია და ამით ადასტურებს ლუდვიგის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ ასეთი მცდელობები უაღრესად სარისკოა.

გერმანელი მეცნიერი ნ. გ. კუშელი სამართლიანად მიუთითებს იმაზე, რომ დობროჩინსკი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის გავლენას განიცდის. მაგრამ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რომანი ევროპის მრავალ ენაზე ითარგმნა და არაერთხელ ხელახლა გამოიცა. დობროჩინსკი ძალზე ნატიფად ასახავს ნიკოდემუსის შინაგან ჭიდილსა და დაეჭვებას, ყველა დაბრკოლების გავლით რწმენისაკენ მიმავალ მის სულიერ გზას. რომანის ტრაგიკულ ფონს ქმნის ახლობელი ადამიანის დაღუპვით გამოწვეული უმძიმესი განცდა, რაც მას აცოცხლებს და ძალზე პირადულ

ხასიათს ანიჭებს. ამ შთაბეჭდილებას ვერც ისტორიული კოლორიტი უშლის ხელს, ზოგან მეტისმეტად რომ ამძიმებს „წერილებს“. წიგნის წარმატებას განსაზღვრავს უცვლელი ინტერესი თემისადმი, რომელიც აქ ორიგინალთან მაქსიმალურად ახლოს, ზედმეტი ქარაგმების გარეშეა გავრცობილი. დობროჩინსკიმ საშუალება მისცა მკითხველს, მოვლენათა თვითმხილველი და თითქმის თანამონაწილეც კი გამხდარიყო. და ეს — მიუხედავად იმისა, რომ თვით ქრისტეს სახე რომანში არ გამოირჩევა სახარებისეული სიმძაფრით.

ამაში გასაკვირი არაფერია. მხატვრული ლიტერატურისათვის ეს ამოცანა დღემდე მაინც გადაუჭრელი დარჩა. ალბათ, ერთადერთი ბელეტრისტი ჩვენს საუკუნეში, ვინც მას თავი გაართვა, კლაივ სტეიპლზ ლუისია. ოღონდაც ფანტასტიკური ქვეყნის, ნარნიას შესახებ შექმნილ მის ციკლში არ ვხვდებით ისტორიულ ქრისტეს; აქ მის სიმბოლოდ წმინდა ლომი, ასლანი გვევლინება. რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ეს მეტაფორული სახე ახალი აღთქმის მოვლენათა შემოქმედებითი ასახვის მრავალ მცდელობაზე ბევრად უფრო ახლოა სახარებისეული ქრისტეს სულისკვეთებასთან.

ჰენრიკ პანასისა და მიგელ ოტერო სილვას რომანები

შევჩერდეთ რუსულ ენაზე არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ნათარგმნ რომანებზე.

რომანში „იუდას სახარება“ (1973) ჰენრიკ პანასი გამცემი მოციქულის პირით მოგვითხრობს. როგორც დობროჩინსკის შემთხვევაში (ვინც რწმენის მაძიებელი და, საბოლოოდ, მპოვნელი ნიკოდემუსის პოზიცია არჩია), აქაც უნდა ვივარაუდოთ, არჩევანი ავტორის პირად ბედისწერას უკავშირდება. ალბათ, სწორედ ამით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ პანასის იუდა ქრისტეს გარემოცვისათვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულო ფიგურაა. რომანში ის მდიდარი ალექსანდრიელი ოჯახის შვილია და კარგი დასავლური განათლება აქვს მიღებული. იუდა ტიპური სკეპტიკოსია, ღვთის ძიების გზა რომ გამოიარა, მაგრამ ვერცერთ ნაპირს ვერ მიადგა. ოჯახური ფირმის ფინანსური მდგომარეობა მთლიანად იპყრობს მის გონებას, მისი სული კი უიმედო სევდას შეუპყრია.

და, აი, ის ხვდება მშვენიერ მარიამ მაგდალინელს, ვისაც დამპყრობელ რომაელთან კავშირის გამო ყველა ზიზღით უყურებს. იუდა მოტყუებით ცდილობს მისი გულის დაპყრობას, მაგრამ მოულოდნელად ახალი მეტოქეები უჩნდებიან. მარიამი ვინმე იესოს მოწაფეებს უერთდება და ამიერიდან მისი გული მოძღვარს ეკუთვნის.

იუდა იმედს არ კარგავს და თავადაც უერთდება მოწაფეთა რიგებს. მათ შორის ცოტა ვინმემ თუ იცის მისი მდიდარი და კეთილშობილური წარმომავლობის შესახებ.

ის უკვე ღრმად მოხუცებულია, როდესაც თავის ჩანაწერებზე მუშაობს და, დობროჩინსკის პერსონაჟის მსგავსად, ისიც ნანახსა და განცდილს მეგობარს უამბობს. ერთგვაროვანი, გაწონასწორებული სტილის შენარჩუნება ვერც პანასს გამოსდის. იუდას ჩანაწერები ზოგან ისტორიული ნარკვევის შთაბეჭდილებას გვიტოვებს. პეიზაჟებს აქ ნაკლებად ვხვდებით, სამაგიეროდ მრავლადაა ისტორიული ქრონიკის მსგავსი პასაჟები.

და კვლავაც რენანის ლანდი გაიელვებს წიგნის ფურცლებზე. პანასი იზიარებს მის ზოგიერთ საეჭვო ჰიპოთეზას, თუნდაც იმას, თითქოს იოანე ნათლისმცემელთან შეხვედრას რადიკალურად შეეცვალოს იესოს მოძღვრება. თვით ქრისტეც რომანში სუსტი, დინებას მიყოლილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მან იცის, რომ მოწაფეები რომის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ (ეს უკვე ბარბიუსისგან ნასესხები მოტივია), მაგრამ არ აჩერებს, თუმცა მათი წარმატებისა არ სჯერა, და მათთან ერთად სიკვდილს არჩევს. მას შეგნებულად „გამოჰყავს თამაშიდან“ იუდა, რომლის ჭკუა და განათლება რახანია განჭვრიტა, რათა მან, როგორც ერთადერთმა გადარჩენილმა, შემდგომში ყველას უამბოს რაღაც მნიშვნელოვანის შესახებ (თუ რა არის ეს მნიშვნელოვანი, მაინც გაუგებარია).

ამბოხი ჩახშობილია. მეთაური ჯვარზე იღუპება. მაგრამ მარიამი მაინც მიუწვდომელი რჩება იუდასთვის. მისმა ეგზალტაციამ მკვდრეთით აღდგომის მითოსი დაბადა (როგორც ხედავთ, ესეც რენანის მიხედვითაა მოცემული). ქალის აღტაცებული საუბარი იუდასაც კი წამით აღუძრავს რწმენას. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, იუდა მალევე გამოდის ჰიპნოზის მდგო-

მარეობიდან. მაგდალინა აღარსად არის. იუდა გულმოკლულია, ის მოგზაურობს, მაგრამ ქალის დავიწყებას მაინც ვერ ახერხებს. იესოს ხსოვნის საპატივცემულოდ ის რაღაც საკრებულოს მსგავსსაც კი აარსებს. თუმცა, გაურკვეველია, თუ რა მიზნით აკეთებს ამას...

რომანი ღრმად წინააღმდეგობრივი გამოვიდა. ის, ერთი მხრივ, I საუკუნის საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების რეალიებითაა დახუნძლული, შეიცავს უძველესი ტექსტების ციტატებს, მეორე მხრივ კი იძლევა სახარებისეული მოვლენების აბსოლუტურად თვითნებურ ინტერპრეტაციას, რასაც ჰიპოთეტურ რეკონსტრუქციასაც კი ვერ ვუწოდებთ. ამის საბაბი მისცა ავტორს სახარებისეულ ჭეშმარიტებაში დაეჭვებამ და სურვილმა, საკუთარი გემოვნებისამებრ ახალი სახარება შეეთხზა. თუკი წამით დავუშვებთ, რომ ყოველივე მართლაც ისე მოხდა, როგორც პანასი მოგვითხრობს, მაშინ გამოდის, რომ ქრისტეს შესახებ სასიხარულო ცნობა, სულ რაღაც ორიოდ ათწლეულში იმპერიის ყველა კუნჭულში ათასობით ადამიანს რომ მოედო, მხოლოდ ფუჭი გამონაგონია და სხვა არაფერი. კი მაგრამ, საიდანღა აქვს მას ასეთი ძალა? თუკი მხოლოდ იმას უნდა ვუმადლოდეთ, რომ, როგორც რომანის ფინალში ვკითხულობთ, „მსოფლიოს თავის მოტყუება სურს“, რატომ გვავიწყდება სხვა მრავალფეროვანი დოქტრინები და სარწმუნოებები, რითაც მდიდარი იყო ის ეპოქა? მაგრამ ყველა მათგანს სახარების წინაშე უკან დახევა მოუწია.

სხვა ღერძზეა აგებული მიგელ ოტერო სილვას რომანი „და გარდაიქმნა ის ლოდი ქრისტედ“. სიუჟეტურად ის არ სცილდება სახარების ჩარჩოებს. ავტორი ბოროტად არ იყენებს არც ფსიქოლოგიას, არც ისტორიულ კაზმულობას. მაგრამ, სამაგიეროდ, წიგნის დიდ ნაწილს დიალოგები და ვრცელი მონოლოგები შეადგენს, ძირითადად კანონიკური ტექსტის პარაფრაზირებას რომ ახდენს. ამ პარაფრაზის მიზანია ტრადიციის მისადაგება თანამედროვე მეტყველებისა და აზროვნებისათვის. მართალია, ზოგან, მაგალითად იქ, სადაც სილვა ნათლისმცემლის მიერ ჰეროდესადმი მიმართულ გმობას გადმოგვცემს, მას ზომიერების გრძნობა ღალატობს, მაგრამ მთლიანობაში, სახარების აქტუალიზების ამოცანას ავტორი წარმატებით ართმევს თავს.

რატომ ჩაიფიქრა კომუნისტმა ოტერო სილვამ ქრისტეს შესახებ წიგნის დაწერა?

იმავე მიზეზით, რატომაც ამ თემას მიმართავდნენ მორწმუნენი, ათეისტები თუ სკეპტიკოსები. აშკარაა, რომ სახარების მაგნიტური მიმზიდველობა ორიათასი წლის შემდეგაც კი არ დაშრეტილა, ამიტომ მას კვლავაც და კვლავაც უბრუნდებიან. ძირეულ ფასეულობათა ძიებისას მას ვერავინ აუვლის გვერდს.

სახარებას ადამიანის პიროვნება არნახულ სიმაღლეზე აჰყავს, ადამიანში მარადისობის ანარეკლს ხედავს. სახარებისათვის ყოფიერება არ წარმოადგენს აბსურდს, მოვლენათა აზრსმოკლებულ დინებას, — ესაა ნათელი სულიერი საწყისის მარადი ჭიდილი სიძულვილის დამღუპველ სტიქიებთან, ეგოცენტრიზმთან, სიტლანქესთან. ადამიანი არ არის ნივთიერების შემთხვევითი პირმშო, წყვდიადიდან რომ იშვა და კვლავ წყვდიადში დანთქმა რომ უწერია. ის უკვდავი სულის მატარებელია, ზეციური მამის შვილია და მოწოდებულია, ხელმეორე, „სულიერი“ დაბადების გზით ესწრაფოს მასთან ზიარებას.

მთელი ქმნილების მიზანი ღვთის სასუფეველია, სადაც დამარცხდება სიკვდილი და ბოროტება. მაგრამ სახარება გვასწავლის, რომ ეს სასუფეველი აქვე, ჩვენს ყოფიერებაშია, ოღონდაც „უხილავად“, და მისი აღსრულება შესაძლებელია მაცხოვართან თანაზიარებით, მის მიერ განცხადებული სიყვარულით, ერთურთისა და მარადისობის მიმართ ადამიანთა განხმულობით.

ქრისტე სიცოცხლისაგან გაქცევას როდი გვასწავლის. სახარებისეული იდეალი ბუნებაში, შრომაში, ხორცის სიმრთელეში უნდა აღსრულდეს. ამაში ადამიანი შემოქმედის თავისუფალი თანამოღვაწეა. მისდამი სრული ნდობა და მსახურება, ადამიანში ადამიანობის გაღრმავება გვაახლოვებს ღვთის სასუფეველთან.

ქრისტემ უთხრა თავის მოწაფეებს, თქვენთან დავრჩები ქვეყნის აღსასრულამდეო. დარჩება არა მისი მოძღვრება, არამედ თვითონ, — მკვდრეთით აღმდგარი, სამყაროში გაცხადებული ღვთის საიდუმლოება. ამიტომაც ყველას, ვისაც კი სურდა, ქრისტე მხოლოდ მორალის მქადაგებლად წარმოედგინა, გარდუვალი მარცხი ელოდა. ის ეთიკური აფორიზმების მთქმელ ბრძენკაცზე შეუდარებლად მეტია. ამგვარი გამონათქვამები მრავლადაა ფილოსოფოსთა თხზულებებსა თუ უძველეს წმინდა წიგნებში. სახარების ძალა ზნეობრიობის ახალ სისტემაში კი არა, — იმ ცენტრალურ სახეში უნდა ვეძიოთ, რომელსაც ის გვიჩვენებს.

და ვინ შექმნა ეს სახე? ვინ არიან ის უბადლო ოსტატები, ვისაც ვერ გაუტოლდა მსოფლიოს ვერცერთი გენიალური პოეტი და მწერალი?

გერმანელი ისტორიკოსი ადოლფ იულიჰერი ამბობს, მახარებლები ბევრად ჩამოუვარდებიან მას, ვისი სახის წარმოჩენაც სურთ, ისინი თავიანთ სათქმელს თითქოს ძლივძლივობით უმკლავდებიანო. მაგრამ შედეგი სახეზეა. ლიტერატურის ისტორიაში ყველა დროის უნიკალურ ფენომენად რჩება მცირე მოცულობის ეს ოთხი წიგნი, არა პროფესიონალი მწერლების, არამედ მათ მიერ შექმნილი, ვინც ჭეშმარიტი სამოციქულო გადმოცემა შემოგვინახა.

არა, ქრისტიანობას ანონიმურად არ შეუქმნია ქრისტე. ამას თუნდაც ამ წერილში მოყვანილი მწირი მაგალითებიც კი ადასტურებს. დღეს ისტორიკოსები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ სახარებაში უძველესი ტრადიციაა აღბეჭდილი, — იმ გასაოცარი მოვლენების ნამდვილ მოწმეთა მოგონებანი. მაგრამ, ისტორიკოსთა დასკვნებისაგან დამოუკიდებლადაც ცხადია, რომ ოთხი სახარების მიღმა სრულიად განსაკუთრებული რეალობა დგას. გოეთე ამბობდა: „ოთხივე სახარება უეჭველ ჭეშმარიტებად მიმაჩნია, რადგან ყოველ მათგანს ის სულიერი სიმაღლე აცისკროვნებს, ქრისტეს პიროვნებას რომ ახლდა თან, ეს კი ყველაზე უფრო ღვთაებრივი რამაა, რაც კი შეიძლება არსებობდეს ამქვეყნად“.

ერთხელ მიხეილ პრიშვინს ასეთი შეკითხვა დაუსვეს: „ქრისტემ შექმნა საკუთარი თავი თუ სხვა ადამიანებმა შექმნეს ქრისტე?“ — იგულისხმება სახარების ავტორები, ეკლესიის მესვეურნი, ხალხურ თქმულებათა შემთხზველნი. მწერალმა მოკლედ უპასუხა: „რწმენის მიზეზი ქრისტეა“. ასეთია ქრისტიანული ცნობიერების პასუხი იმ გამოცანაზე, რომელსაც მსოფლიოს სახარება სთავაზობს. ის უკვე ოცი საუკუნეა, რაც ასაზრდოებს მსოფლიო კულტურას და მაინც შთაგონების უშრეტ წყაროდ რჩება, გვაღელვებს, გვაფიქრებს სიცოცხლის, სიკვდილის, მარადისობისა და ადამიანის მოვალეობის შესახებ.

რუსულიდან თარგმნა ***თამარ კოტრიკაძემ***

იოზეფ რაცინგერი

ახალი დროის ზღურბლზე

ნაწყვეტი წიგნიდან „მიწის მარილი. ქრისტიანობა და კათოლიკური ეკლესია ათასწლეულთა მიჯნაზე“ (საუბარი პეტერ ზეელანდთან)[1]

სახარების ორიათასწლიანმა ისტორიამ ხსნა ვერ მოგვიტანა?

უკვე ორიათასი წელიწადია, ეკლესია ქადაგებს სახარებისეულ მოძღვრებას და იესოს კვალდაკვალ ესწრაფვის ახალ ჰუმანურობას, მშვიდობას, სამართლიანობასა და მოყვასის სიყვარულს. მაგრამ სწორედ მეორე ათასწლეულის მიწურულს, ეს ცნებები თითქოს ყველაზე მეტადაა გაუკუღმართებული. ამერიკელი მწერალი ლუის ბეგლი XX საუკუნეს „სატანურ რეკვიემად“ მოიხსენიებს. მისი აზრით, ჩვენი დრო მკვლელობათა, ძალადობისა და ტანჯვა-წამების ჯოჯოხეთურ უფსკრულად იქცა.

XX საუკუნეში ყველა უწინდელ ეპოქაზე ბევრად მეტი მკვლელობა მოხდა. ამ დროს ემთხვევა ჰოლოკოუსტიც და ატომური ბომბის გამოგონებაც. ყველას ეგონა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მშვიდობიან დროს მოვესწრებოდით. წესით, ჰოლოკოუსტის მწარე მაგალითს უნდა დაენახვებინა ჩვენთვის, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს რასიზმმა. მაგრამ 1945 წლის შემდგომი პერიოდი არნახული რაოდენობის ომების ეპოქად იქცა. 90-იანი წლების ევროპაში რელიგიური ომი მძვინვარებს, ყველგან იმატა შიმშილმა, მიუსაფრობამ, რასიზმმა, კრიმინალმა, ბოროტება მთელ მსოფლიოზე ბატონობს. თუმცა, საუკუნის მიწურულს დადებითი მოვლენებიც მოხდა: დასრულდა სახელმწიფოებრივი ძალადობა ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოში, დაემხო რკინის ფარდა ცენტრალურ ევროპაში, კრიზისულ რეგიონებში შეინიშნება დიალოგისათვის მზადყოფნა და ახლო აღმოსავლეთშიც იგრძნობა შერიგების მოთხოვნილება.

მრავალ ადამიანს სამყაროს მოვლენებში ღვთისა და ადამიანის მონაწილეობასთან დაკავშირებით დიდი ეჭვები გაუჩნდა: მართლაც იხსნა მაცხოვარმა სამყარო? შეიძლება ქრისტეს შემდგომი საუკუნეები ხსნის ისტორიად აღვიქვათ?

ეს დაკვირვებებისა და შეკითხვების უზარმაზარი გორგალი გახლავთ. მთავარი საკითხი მართლაც ესაა: სინამდვილეში მოგვიტანა ქრისტიანობამ ხსნა თუ უნაყოფო გამოდგა? იქნებ დროთა განმავლობაში ძალა გამოეცალა?

მე მგონია, ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ითქვას, რომ ღვთისაგან ნაბოძები ხსნა და მადლი რაღაც რაოდენობრივი სიდიდე არ გახლავთ. კაცობრიობის მიერ დაგროვილი ტექნიკური ცოდნა რამდენადმე წყვეტილ, მაგრამ მაინც დროში განგრძობილ ზრდას განიცდის. ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ, იკლო თუ იმატა ამა თუ იმ რაოდენობრივმა მოვლენამ, მაგრამ ადამიანის სიკეთის პროგრესირებას ვერ შევაფასებთ, რადგანაც თითოეული ადამიანი სრულიად უნიკალურ არსს წარმოადგენს და თითოეულ ადამიანთან ერთად ისტორიაც ხელახლა იღებს სათავეს.

ამ განსხვავების წვდომა ძალზე მნიშვნელოვანია. ადამიანის სიკეთეს ვერ აღვრიცხავთ. ამიტომაც შეუძლებელია იმაზე საუბარი, რომ ქრისტიანობა, ნულოვან წელიწადში მდოგვის მარცვლის ოდენა რომ იყო, ისტორიის დასასრულს მძლავრ ხედ გადაიქცევა თუ არა, რათა ყველამ თვალსაჩინოდ იხილოს, თუ როგორ უმჯობესდება ის ყოველ ათასწლეულთან ერთად. მუდამ შეიძლება იყოს ჩავარდნები და მარცხები, რადგანაც ხსნა ადამიანთა თავისუფალ არჩევანზეა მინდობილი და ღმერთს არ სურს ეს თავისუფლება წაგვართვას.

[1] წიგნი გამოცემულია 1998 წელს, როდესაც მომავალი რომის პაპი ჯერ კიდევ ბავარიის კარდინალის წოდებას ატარებდა, თუმცა ყდაზე მოთავსებული ანოტაცია მას „პაპის შემდეგ კათოლიკურ ეკლესიაში ყველაზე გავლენიან პირად“ მოიხსენიებს (მთარგმნ.).

განმანათლებლობის ეპოქამ დაბადა აზრი იმის შესახებ, რომ ცივილიზაციის პროცესმა თითქმის ძალდატანებით უნდა მიიყვანოს კაცობრიობა ჭეშმარიტებასთან, მშვენიერებასა და სიკეთესთან, ისე რომ მომავალში სრულიად გამოირიცხოს ბარბაროსული აქტები.

სინამდვილეში ქრისტიანული ხსნის, ასე ვთქვათ, „მძაფრსიუჟეტიანი" სტრუქტურა სწორედ თავისუფლებას უკავშირდება. ხსნა არასოდესაა გარედან თავსმოხვეული ანდა მყარი კედელივით აგებული, ის ადამიანის პიროვნული თავისუფლების მსხვრევად ჭურჭელშია მოთავსებული. როდესაც ვფიქრობთ, რომ ადამიანურმა არსმა ერთი საფეხურით მაღლა ასვლა შეძლო, უნდა გვახსოვდეს, რომ ის ყოველწუთს შეიძლება კვლავაც დაეცეს. მე ვიტყოდი, რომ ზუსტად ამ კონფლიქტს განასახიერებს იესოს ცდუნებანი: უნდა იყოს თუ არა ხსნა რაღაც მყარი კედლის მსგავსი, რასაც რიცხობრივად გავზომავთ, თუნდაც ასეთი გაგებით: ყველამ საკმაო პური მიიღო და ამიერიდან აღარავინ იშიმშილებს? ან იქნებ ხსნა მაინც სულ სხვა რამაა? ის ადამიანის აგებულებაში თავიდანვე მოცემული რამ არ არის, ის ჩვენს თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებული და, ამ გაგებით, ჩვენს მიერვე შეიძლება იქნას ხელყოფილი.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ქრისტიანობამ მთელი ისტორიის მანძილზე სიყვარულის მძლავრი ძალები გამოაღვიძა. თუკი ჩავუფიქრდებით იმას, თუ რა შემოიტანა ქრისტიანობამ ისტორიაში, უდავოდ შთამბეჭდავი სურათი გამოვა. გოეთეს სიტყვებით, გაჩნდა იმის მიმართ მოწიწება, რაც ჩვენს სულშია. მართლაც, მხოლოდ ქრისტიანობის წყალობით გაჩნდა ავადმყოფების მოვლის ორგანიზებული სისტემა, სუსტთა და დაუცველთა მხარდამჭერი ინსტიტუციები. სწორედ ქრისტიანობამ მოიტანა პატივისცემა ყოველი ადამიანისადმი, განურჩევლად მისი საზოგადოებრივი მდგომარეობისა. თავისთავად საგულისხმო ფაქტია, რომ იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე თავი ვალდებულად იგრძნო, კვირადღე კანონის დონეზე საყოველთაო უქმედ გამოეცხადებინა და იმაზეც იზრუნა, რომ მონებს გარკვეული უფლებები ჰქონოდათ.

გავიხსენებდი ასევე ათანასიუსს, მეოთხე საუკუნის ალექსანდრიის დიდ ეპისკოპოსს, რომელიც ტომთა შორის სისხლის აღების სასტიკი ჩვეულების შესახებ გვიამბობს, რისი მომსწრეც თავად გახდა, და იმასაც დასძენს, რომ ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად თანდათან მშვიდობიანი განწყობა დამკვიდრდა. მაგრამ ამგვარი მოვლენები ერთხელ და სამუდამოდ პოლიტიკური კანონებით ვერ მოგვარდება. როგორც არაერთხელ ვნახეთ, ისინი კვლავაც შეიძლება უკუღმა დატრიალდეს.

იქ, სადაც ადამიანი შორდება რწმენას, წარმართობის შემზარაობა გაასმაგებული სიმძლავრით იჩენს თავს. მგონი, იმის მომსწრე ყველანი გავხდით, რომ ღმერთი ბევრად უფრო სუსტად ჩაერია ისტორიის პროცესში, ვიდრე ჩვენ ამას ვისურვებდით. მაგრამ ვნახეთ ისიც, რომ სწორედ ასეთია მისი პასუხი ჩვენს თავისუფლებაზე. და, თუკი მივესალმებით იმას, რომ ღმერთი ჩვენს თავისუფლებას გაგებით ეპყრობა, მაშინ მის ჩაურევლობასაც პატივი უნდა ვცეთ.

ქრისტიანობა არასოდეს ყოფილა მსოფლიოში ასე ფართოდ გავრცელებული, როგორც დღესაა. მაგრამ მის გავრცელებას ავტომატურად როდი მოაქვს ხსნა მსოფლიოსთვის.

ქრისტიანობის რაოდენობრივ გავრცელებას, რომელიც მიმდევართა რიცხვით განისაზღვრება, მართლაც ავტომატურად როდი ძალუძს გააუმჯობესოს სამყარო, რადგანაც ყველა, ვინც თავს ქრისტიანს უწოდებს, მართლაც ქრისტიანი როდია. ქრისტიანობა გაშუალებულად, ცალკეულ ადამიანთა სახით მოქმედებს სამყაროზე. მხოლოდ ახალი პოლიტიკური თუ სოციალური სისტემის დაფუძნება არ კმარა ბოროტების ამოსაძირკვად.

ხსნასა თუ წარწყმედასთან რა მიმართებაშია ბოროტება, როგორც არსი?

ბოროტებას შესწევს ადამიანის თავისუფლების ხელყოფის უნარი და ამ გზით თავის სტრუქტურებს ქმნის. ბოროტების სტრუქტურები ყველგან თვალსაჩინოა. ისინი გვთრგუნავენ, შეუძლიათ ჩვენს თავისუფლებას წინ აღუდგნენ და, ამგვარად, ღმერთსა და სამყაროს შორის კედელი აღმართონ. ქრისტეს სახით ღმერთმა ბოროტება იმ გაგებით კი არ დაამარცხა,

რომ ის ვეღარასოდეს შეძლებდა ჩვენს ცდუნებას, არამედ ხელი გამოგვიწოდა და მეგზურობა შემოგვთავაზა, მაგრამ ის ძალას არასოდეს გვატანს.

ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ღმერთს სამყაროში საკმარისი ძალაუფლება არ გააჩნია?

ნებისმიერ შემთხვევაში, მას არ სურს ძალაუფლება იმ გაგებით გამოიყენოს, როგორც ეს ჩვენ გვესმის. ცხადია, ამ შეკითხვას მეც დავუსვამდი „მსოფლიო სულს“: რატომ არ ერევა მოვლენებში? რატომ განაგებს სამყაროზე ამ სახით: როგორც ჯვარცმული, დათრგუნული და დამარცხებული? მაგრამ აშკარაა, რომ სწორედ ასე სურს სამყაროზე ბატონობა და სწორედ ეს უნდა იყოს ძალაუფლების ღვთიური სახე. ხოლო ძალდატანება და ჩაგვრა ძალაუფლების არაღვთიური გამოხატვაა.

დავუბრუნდეთ საწყის შეკითხვას: XX საუკუნის სამყარო, როგორც „სატანური რეკვიემი“ — განა ამან არ უნდა შეგვაძრწუნოს?

ჩვენ, ქრისტიანებმა, ვიცით, რომ სამყარო ჯერაც ღვთის ხელთაა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი მას ემიჯნება და თვითონვე მიაბიჯებს განადგურებისაკენ, სამყაროს აღსასრულის შემდგომ ღმერთი მაინც ახლიდან დაიწყებს ყოველივეს. ჩვენ კი მისი რწმენა გვავალდებულებს, ყველაფერი გავაკეთოთ საიმისოდ, რათა ადამიანი მას არ ჩამოშორდეს და კვლავაც მისი ქმნილების სახელი ერქვას.

მაგრამ შეიძლება ძალზე პესიმისტური დიაგნოზიც დავსვათ. სწორედ ღვთის ჩაურევლობა — თეოლოგი მეტცი ამას გამოხატავს საკმაოდ უცნაური ტერმინით „ღმერთის კრიზისი“ — განაპირობებს ადამიანის მორალურ დაცემასა და, საბოლოო ჯამში, სამყაროს განადგურებას. ესეც უნდა დავუშვათ როგორც შესაძლებლობა. აპოკალიფსური დიაგნოზი გამორიცხული სულაც არ არის, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი ღმერთი შეიწყალებს იმ ადამიანებს, ვინც მას ესწრაფვის; სიყვარული საბოლოოდ რისხვაზე ძლიერი აღმოჩნდება.

„მეორე ათასწლეულის დასასრულს“, ამბობს იოანე პავლე II, „ეკლესია კვლავ მოწამეობრივ გზას დაუბრუნდა“. თქვენ მსგავსი პარალელი გაავლეთ, როდესაც ბრძანეთ, რომ, თუკი ჩვენი ქრისტიანული იდენტურობა დავკარგეთ, ამ ჟამის გამოწვევას ვერ გავუძლებთ.

ეკლესიაც დროთა განმავლობაში იცვლის სახეს. ის სულ უფრო ნაკლებად უკავშირდება მასას, სულ უფრო მეტად იღებს მცირე ჯგუფების სახეს, რომლებიც გულწრფელად ირწმუნებენ და ამ რწმენის შესაბამისად იმოქმედებენ კიდეც. სწორედ ამის წყალობით ეკლესია, ბიბლიური სიტყვისამებრ, კვლავ „მიწის მარილად“ გადაიქცევა. ეს გარდატეხა საკუთარ თავში ურყევ ბირთვს იტევს: თავისი არსებით ადამიანი მაინც არ დაიღუპება. და მისი ამ არსის შემანარჩუნებელ ძალას მით უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცემა.

აქედან გამომდინარე, ეკლესიას, ერთი მხრივ, მოქნილობა მართებს, რათა სახეცვლილი საზოგადოებრივი ფორმაციები და პოზიციები შეისისხლხორცოს. მეორე მხრივ, უფრო მეტად მართებს ერთგულება, რათა ის ბირთვი შემოინახოს, რაც ადამიანს ადამიანობას, სიცოცხლესა და ღირსებას უნარჩუნებს. ეს ბირთვი უნდა გააძლიეროს და ზენა, ღვთიურ განზომილებასთან კავშირი გაუმყაროს; რადგან მხოლოდ ამ განზომილებიდან შემოდის სამყაროში მშვიდობის მადლი.

დღეს ბევრი იმ აზრისაა, რომ საუკუნეების მანძილზე ეკლესიის საქმიანობასა და სულისკვეთებას არაფერი ჰქონდა საერთო ღვთის გამოცხადებასთან. ლაპარაკია ქრისტიანობის ორიათასწლიანი ისტორიის ისეთ „ცოდვებზე“, როგორიცაა რელიგიის სახელით წარმოებული შეუწყნარებლობა და ადამიანის უფლებების წინაშე დანაშაული. დღეს თვით ეკლესიაშიც სულ უფრო ხშირად საუბრობენ ებრაელი ერისა და ქალების მიმართ უსამართლო ქმედებებზე. აქამდე მსგავსი აღსარებანი საკუთარი ავტორიტეტის შელახვად მიიჩნეოდა. იქნებ დღეს ეკლესიამ საკუთარი ისტორიული შეცდომები კიდევ უფრო დაუნდობლად უნდა განიხილოს?

ჩემი აზრით, გულწრფელობა საუკეთესო სათნოებაა იმ გაგებითაც, რომ მისი წყალობით ნათლად უნდა გამოჩნდეს, თუ რას წარმოადგენს ეკლესია. ილუზიებისაგან გამორკვევის ეს ახალი ტალღა, თუკი ასე შეიძლება ვუწოდოთ დღევანდელ განწყობას, სწორედ თავისი გულწრფელობის გამოა მნიშვნელოვანი. და, თუკი აღსარება, საკუთარი ცოდვის გამოთქმა და მონანიება ქრისტიანად ყოფნის განუყოფელი ნაწილია, რადგან მხოლოდ მისი წყალობით ვართ მართალნი საკუთარ თავთან, მაშინ ასეთივე აღსარება და მონანიება ეკლესიის კოლექტიური პიროვნებისთვისაც აუცილებელია. ეკლესიაში მართლაც რეგულარულად უნდა სრულდებოდეს „მონანიების ფსალმუნი", რათა ის ღვთისა და კაცთა წინაშე ცოდვებისაგან განიწმინდოს.

და მაინც, ეკლესიის ყველა შეცოდების გვერდით არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ის მაინც უწყვეტად ქადაგებდა უფლის სიტყვას და აზიარებდა თავის მრევლს წმინდა საიდუმლოებას, ამიტომ ქვეყნად მუდამ იყო ის კურთხევა, ბოროტებას რომ აბრკოლებდა. ღვთის ძალა სწორედ იმით იჩენს თავს, რომ როცა კი გვეჩვენება, ქრისტიანობა ბოლომდე ჩაიფერფლაო, ახალ სიცოცხლეს შთაბერავს მას. ამის მაგალითად გავიხსენებ X საუკუნეს, როდესაც პაპის ძალაუფლება ყველაზე მეტად დასუსტდა და ქრისტიანობა თითქოს საბოლოოდ ამოიძირკვა რომში. მაგრამ ამავე ეპოქას ემთხვევა სამონასტრო ცხოვრების ახალი აღორძინება და რწმენის სრულებით განახლებული დინამიკა. ერთი მხრივ, ქრისტიანობა თვით ეკლესიის წიაღშიც კი სრულ კრიზისს განიცდიდა, ის მხოლოდ ფორმალურადღა არსებობდა, მაგრამ მეორე მხრივ, ქრისტეს მადლი სამყაროში უხილავი დინამიკით ამოქმედდა და სრულიად მოულოდნელი მხრიდან მოიტანა განახლება.

ისტორიის წნეხი, როგორც ჩანს, უმძიმესად აწვება ეკლესიას. ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავის აღსანიშნავ ცერემონიებზე ქრისტიან მისიონერთა საქმიანობის შესახებ მსჯელობას ისეთი მძლავრი ემოციების აფეთქება მოჰყვა, თითქოს ეს მოვლენები გუშინ მომხდარიყო.

საქმე ნაწილობრივ მაინც ფუჭ ბრალდებებთან გვქონდა, ისტორიული სინამდვილით კი არა, წუთიერი ემოციით რომ იყო ნაკარნახები. სულაც არ მსურს გავამართლო ის უდიდესი დანაშაული, რომელსაც მართლაც ჰქონდა ადგილი. მაგრამ ამასთან დაკავშირებით არსებული ისტორიული გამოკვლევები ადასტურებს, რომ რწმენა და ეკლესია არაერთხელ აღუდგა წინ სიხარბით შეპყრობილ კოლონიზატორთა მიერ ადამიანთა და კულტურათა უმოწყალო გათელვას. პავლე III და მისი მიმდევარი პაპები დაჟინებით იცავდნენ აბორიგენთა უფლებებს და საამისოდ შესაბამის კანონებსაც იღებდნენ. ესპანურმა მონარქიამაც, პირველ რიგში კარლოს V-მ, ამერიკის მოსახლეობის უფლებათა დამცველი არაერთი ასეთი კანონი შემოიღო, რომელიც, მართალია, ვერ განხორციელდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან მაინც მონარქთა სასარგებლოდ მეტყველებს. ესპანეთის ამ ოქროს ხანაში თეოლოგებმა და კანონმდებლებმა ადამიანის უფლებათა იდეა შეიმუშავეს. შემდგომში ის სხვებმაც აიტაცეს, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარება მხოლოდ დედოფალმა ვიქტორიამ შეძლო.

ფრანცისკანელთა თუ დომინიკანელთა დიდმა მისიონერულმა მოძრაობამ მართლაც სახალხო დამცველთა ფუნქცია იტვირთა. ბარტოლომე დე ლას კასასის[2] გვერდით ჩვენთვის უცნობი მრავალი მისი თანამოაზრეც მოღვაწეობდა. ბოლო ხანებში გამოაშკარავდა მისიათა ისტორიის ერთი ძალზე საინტერესო ასპექტი. მექსიკაში მისიონერებად ჩასული პირველი ფრანცისკანელები ჯერ კიდევ განიცდიდნენ XIII საუკუნის სპირიტუალისტური თეოლოგიის გავლენას, ამიტომაც ძალზე მარტივ ქრისტიანობას ქადაგებდნენ, რომელიც მინიმალურ ინსტიტუციებს საჭიროებდა და ძალიან უშუალო იყო. შეუძლებელია, მომხდარიყო ქრისტიანობისაკენ ისეთი მასობრივი შემობრუნება, როგორც ამას დღესაც ვხედავთ მექსიკაში, მისიონერთა ქადაგება ადამიანებს მართლაც განმათავისუფლებელ ძალად რომ არ მოვლენოდათ. ისინი თავიანთი უძველესი კულტებისგანაც სიხარულით განთავისუფლდნენ. მექსიკის დაპყრობა ხომ მხოლოდ იმის ხარჯზე გახდა შესაძლებელი, რომ ჩაგრული ტომები რელიგიური ტერორისაგან გასათავისუფლებლად ესპანელებს მიემხრნენ. ასე რომ, მთლიანობაში ძალზე მრავალფეროვანი სურათი იქმნება, თუმცა ეკლესიის დანაშაულზე თვალის დახუჭვა ნამდვილად არ შეიძლება. ყველაფერი სულ სხვაგვარად დატრიალდებოდა, რომ არ გამოჩენილიყო ისეთი ძალა, სისასტიკეს წინ რომ

[2] ბარტოლომე დე ლას კასასი (1484-1566) — XVI საუკუნის ესპანელი დომინიკელი რელიგიური მოღვაწე, მწერალი, ამერიკაში ესპანური კოლონიის პირველი ეპისკოპოსი.

აღუდგა, რომლის წყალობითაც ცენტრალური და სამხრეთი ამერიკის მოსახლეობაში დღესაც მრავლად ცხოვრობენ ინდიელური წარმოშობის ადამიანები.

რითი ახსნით იმ ფაქტს, რომ საუკუნეები დასჭირდა გალილეის[3] რეაბილიტაციას?

მე ვიტყოდი, აქ ისტორიული ფაქტის დაძველების პრინციპმა იმოქმედა. არავის გასჩენია მისი რეაბილიტაციის კონკრეტული მოთხოვნილება. გალილეის შემთხვევა ხომ მხოლოდ განმანათლებლობის ეპოქაში იქცა ეკლესიასა და მეცნიერებას შორის კონფლიქტის სიმბოლურ ხატად. ამ მოვლენას თავისი ისტორიული დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ თავდაპირველად ის ასეთი მომნუსხველი, თითქმის მითიური საზრისით გაჯერებული არ ყოფილა. აღორძინების სულისკვეთებამ გამოიყენა ეს ფაქტი, რათა სიმპტომატურად ეჩვენებინა, თუ რა მიმართებაში იყო ეკლესია მეცნიერებასთან. თანდათან გალილეის ბედი ეკლესიის მეცნიერებასთან მტრობის, მისი სიბნელისა და ჩამორჩენილობის სიმბოლომდე აიყვანეს. მხოლოდ თანდათანობით მოხდა იმის გააზრება, რომ წარსული ადამიანების სულებზე მძლავრად მოქმედი ფაქტორია და მას საღად და რეალისტურად უნდა მოვეპყროთ.

შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ განვითარდებოდა სამყარო ეკლესიის გარეშე. ძნელად თუ დავხუჭავთ თვალს იმაზე, რომ ქრისტიანობამ სამყაროში თავისუფლება და კულტურა შემოიტანა, განავითარა ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა, ხელოვნება, მეცნიერება, ზნეობა. ამ განაყოფიერების გარეშე ძნელი წარმოსადგენია, რა აღმოცენდებოდა ევროპის ნიადაგზე. ებრაელი პუბლიცისტი ფრანც ოპენჰაიმერი წერდა: „დემოკრატია დასავლურ იუდეო-ქრისტიანულ სამყაროში შეიქმნა. ეს საფუძვლად უდევს ჩვენს პლურალისტურ საზოგადოებას. ამ ისტორიას უნდა ვუმადლოდეთ აგრეთვე იმ მასშტაბებს, რითაც შეგვიძლია გამუდმებით გავზომოთ, შევაფასოთ, შევასწოროთ ეს დემოკრატია“. ცოტა ხნის წინათ თავადვე მიუთითეთ იმაზე, რომ დემოკრატიის საზრისი პირდაპირ კავშირშია ქრისტიანულ ფასეულობებთან.

ოპენჰაიმერის გამონათქვამს შემიძლია მხოლოდ დავეთანხმო. დღეს ჩვენთვის ცნობილია, რომ დემოკრატიის მოდელი ბერ-მონაზვნური ტიპიკონებიდან აღმოცენდა. თითოეული პიროვნების თანასწორუფლებიანობის იდეამ სწორედ ამ გზით გაიკვლია გზა პოლიტიკაში. ცხადია, მანამდე არსებობდა ბერძნული დემოკრატია, მან მნიშვნელოვანი ბიძგები მოგვცა, მაგრამ ღმერთების დამხობის შემდეგ აუცილებელი შეიქნა მისი ხელახლა გააზრება. ყველასათვის აშკარა ფაქტია ის, რომ ორი ძირეული დემოკრატია — ამერიკული და ინგლისური — სწორედ ქრისტიანობაზე დაფუძნებული ფასეულობების კომპლექსიდან აღმოცენდა და მხოლოდ იმის ხარჯზე არსებობს, რომ მანამდე ამ ფასეულობების თაობაზე ურთიერთშეთანხმება მოხდა. ამის გარეშე ისინი ძალას დაკარგავდნენ და დაიშლებოდნენ. ამ გაგებით, შეგვიძლია ასე შევაჯამოთ ქრისტიანობის პოზიტიური მონაპოვარი: მან ადამიანს საკუთარ თავთან ახალი მიმართება, ახალი თვითშეგნება ჩამოუყალიბა. ანტიკური დემოკრატია ღმერთების საკრალურ ძალაუფლებაზე იყო დამყარებული. ქრისტიანული დემოკრატია ემყარება რწმენასთან დაკავშირებულ ფასეულობებს, რომლებიც უმრავლესობის ნებას არ ექვემდებარება. რაც წეღან XX საუკუნის მოვლენების შესახებ ბრძანეთ, საუკეთესოდ ადასტურებს იმას, რომ ქრისტიანობის გარეშე კვლავ თავს იშვებენ ბოროტების ის არქაული ძალები, რომელთა მოთოკვასაც მუდამ ახერხებდა ქრისტიანობა. ისტორიულ კონტექსტში შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ დემოკრატია ვერ იარსებებს რელიგიური, საკრალური საფუძვლის გარეშე.

ინგლისელმა კარდინალმა ნიუმენმა ეკლესიის მსოფლიო მისიასთან დაკავშირებით შენიშნა: „მხოლოდ ის, რომ ჩვენ, ქრისტიანები, ვარსებობთ, რომ მსოფლიოში სამრევლოთა ინტერნაციონალური ქსელია გაბნეული, ხელს უშლის სამყაროს განადგურებას. სამყაროს არსებობა ეკლესიის არსებობასთანაა გადაჯაჭვული. თუკი ეკლესიას სნეულება შეეყარა, სამყარო გოდებას დაიწყებს საკუთარი დაღუპვის გამო“.

[3] გალილეო გალილეი (1564-1642) — იტალიელი ფიზიკოსი, მექანიკოსი, ასტრონომი, ფილოსოფოსი. იყო სამყაროს ჰელიოცენტრისტული მოდელის მომხრე, რის გამოც ეკლესიამ აიძულა საჯაროდ ეთქვა უარი თავის აღმოჩენებზე.

ეს, შესაძლოა, ცოტათი მედიდურად წარმოთქმული სიტყვები იყოს, მაგრამ სწორედ XX საუკუნის დიდი დიქტატურების, ნაციონალ-სოციალიზმისა და კომუნიზმის ისტორია გვიჩვენებს, რომ ეკლესიის დაცემა, რწმენის ამოძირკვა და დაკარგვა სამყაროს მართლაც უფსკრულისაკენ უბიძგებს. თუკი ქრისტიანობამდელ წარმართობას მაინც თავისებური უმწიკვლობა ახასიათებდა და ღმერთებზე დამოკიდებულება გარკვეულწილად მაინც დაბრკოლებას უქმნიდა ბოროტ ძალებს, დღეს ამ კეთილი ძალების გაუქმება სამყაროს მართლაც წარმოუდგენელ კატასტროფას მოუტანს.

ემპირიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, თუკი დღეს კაცობრიობას იმ ზნეობრივ საწყისს წავართმევთ, რასაც ქრისტიანული რწმენა წარმოადგენს, ის აისბერგთან შეტაკებული გემის მსგავსად გადაყირავდება და მისი არსებობა კითხვის ქვეშ აღმოჩნდება.

კათარსისი — დროთა მიჯნა და მისი გარღვევის მცდელობები

სწორედ ათასწლეულის მიწურულს გვეჩვენება, თითქოს დრომ სვლას აუჩქარა, თითქოს მასზე რაღაც იდუმალი გარემოებები მოქმედებს. ასევე გვეჩვენება, თითქოს სულ ბოლოს, როდესაც ქვიშის საათის გადმობრუნების დრო დგება, ქვიშის მარცვლები ჩვეულებრივზე ბევრად უფრო სწრაფად იწრიტება ნასვრეტში. ბევრი თვლის, რომ სრულიად ახალი მსოფლიო საზოგადოების დაბადების მომსწრენი ვხდებით, რომელიც ისევე ფუნდამენტურად განსხვავდება წინამორბედისაგან, როგორც ინდუსტრიული რევოლუციის ეპოქა განსხვავდებოდა ხანგრძლივი აგრარული პერიოდისაგან, მას რომ უსწრებდა წინ.

ხდება ის, რასაც სოციოლოგები წყალგამყოფ მოვლენას უწოდებენ, ანუ დინება რადიკალურად იცვლის მიმართულებას და ძველი დროიდან მხოლოდ ორიოდე მნიშვნელოვანი ფასეულობა თუ შემორჩება. ჩვენს დროში ფაქტიურად აღარ არსებობს აწმყო: არის მხოლოდ და მხოლოდ იმის განცდა, რომ გუშინდელი დღე წასულია, ხვალინდელი კი ჯერ არ დამდგარა. თქვენი აზრით, ძირეულ შემობრუნებას უნდა ველოდოთ?

დაჩქარებული ისტორიული პროცესის განცდა მეც მაქვს. ამა თუ იმ მნიშვნელოვანი აღმოჩენის შესაძლო შედეგები დღეს ელვის სისწრაფით, თავისთავად ვითარდება. როდესაც იმაზე ვფიქრობ, თუ რამდენად შეიცვალა სამყარო უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, ცხადად ვხედავ ისტორიული პროცესის დაჩქარებასა და გლობალურ ცვლილებებს. სახეცვლილი სამყარო უკვე ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში იჭრება, ის გარკვეულწილად უკვე ჩვენს აწმყოდ იქცა. ეს პროცესი ჩვენ თვალწინ გრძელდება, მაგრამ მისი მიმართულების, მისი საბოლოო შედეგის განჭვრეტა ჯერაც არ ძალგვიძს.

თვალსაჩინოა სულ უფრო მასშტაბური კოლექტივიზაციის ტენდენცია. ვგულისხმობ ევროპულ გაერთიანებებს, ისლამური სამყაროს გაერთიანებასა და გაეროს კონფერენციებზე განხორციელებულ მცდელობებს ერთიანი მსოფლიო ცნობიერების ჩამოყალიბებისა. ამავე დროს, მომსწრენი ვხდებით ცალკეული იდენტურობის მზარდი და დაჟინებული თვითდამკვიდრებისა. გაერთიანებისა და დაცალკევებისაკენ სწრაფვა ურთიერთზეა დამოკიდებული. ძალთა მწვავე დაპირისპირება პარადოქსულად ისეთ გარემოში ვითარდება, სადაც ყველა ცდილობს, სულ უფრო მეტად დაემსგავსოს ერთიმეორეს. თუ რა ფორმებს მიიღებს ყოველივე ეს საბოლოოდ, ამას დღეს ვერავინ იტყვის. ჩემი აზრით, სწორედ ამ მდგომარეობაში, როდესაც სამყარო გამოუცნობი და უსწრაფესი ცვლილებების წინაშე დგას, ჭეშმარიტად ადამიანურ და მარად უცვლელ ფასეულობებს უდიდესი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

პლანეტის გადარჩენის შანსები დღითიდღე კლებულობს. ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული, მთელს მსოფლიოში სულ უფრო მატულობს კატასტროფათა რიცხვი. ამასთანავე, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ამ კატასტროფათა უმრავლესობის მიზეზი არა ბუნება, არამედ თვით ადამიანია. ის, ერთი მხრივ, უხეშად ერევა ბუნების სფეროში, მეორე მხრივ კი, კარგავს კონტროლს საკუთარ სფეროზე. ამას დღეს უკვე ხშირად უკავშირებენ ღვთის რისხვას. შესაძლოა, ამ

ყოველივეს მეშვეობით გარკვეული განწმენდა, კათარსისიც ხდება. იქნებ ძველის განადგურება აუცილებელია ახლის დასამკვიდრებლად. იქნებ ვულკანის ძირში გამართული ეს ცეკვა-თამაში, ეს თავაშვებული და ველური ლხინი ჟამიანობისას, მსოფლიო ისტორიის ეს გარდამავალი წლები აუცილებელია, რათა შემდგომში ყოველივე ახლიდან დავიწყოთ? იქნებ აპოკალიფსის ჭეშმარიტი მისიაც სწორედ ეს იყოს?

ძნელი სათქმელია. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ეს განახლება სწორედ შესაქმისეული და სახარებისეული წიაღიდან გამომდინარეობდეს. რათა ავამუშავოთ ის ძალებიც, რის ხარჯზეც ადამიანი საკუთარი ქმედებების *შეზღუდვას* ისწავლის. რადგანაც აშკარაა, რომ დღეს ყველაფერი სწორედ ამაზეა დამოკიდებული. მან ყველაფერი როდი უნდა მოიმოქმედოს, რაც კი შეუძლია, — მას ხომ შეუძლია საკუთარი თავიც გაანადგუროს და მსოფლიოც, — არამედ შესაძლებლობების გარდა აუცილებელი მოვალეობები და უფლებებიც უნდა ახსოვდეს; მხოლოდ ფიზიკური დაბრკოლებები კი არ აღიქვას შეუძლებლობად, არამედ მორალურიც. უნდა აღიზარდოს ისეთი ახალი კაცობრიობა, ცნობადის ხის ცდუნებას რომ გაუძლებს.

ეკლესიის მოვალეობაა, აღზარდოს ისეთი ადამიანი, რომელიც, ასე ვთქვათ, საკუთარი თავის ღირსი იქნება, ანუ, რომელიც საკუთარ ფიზიკურ უნარს შესაბამის მორალურ უნარს დაუპირისპირებს. თუმცაღა ჩვენთვის ცნობილია, რომ ასეთი რამ მხოლოდ მორალით კი არა, ცოცხალ ღმერთთან უწყვეტი კავშირით მიიღწევა. ჩვენი მორალი მხოლოდ მაშინ იძენს ჭეშმარიტ ძალას, როდესაც ჩვენს შინაგან საზომად ღმერთი გვევლინება; მხოლოდ საკუთარი გამოთვლებით ვერაფერს გავხდებით.

იქნებ მართლაც უკვე შეუძლებელი გახდა კაცობრიობის გარედან განკურნება და მხოლოდ შინაგანი კათარსისია შესაძლებელი, ისიც მათთვის, ვისი ცნობიერებაც არ იქნება ეგოისტურად განწყობილი. თქვენ ეს-ესაა ბრძანეთ: შესაძლოა, ბიბლიის შემზარავი წინასწარმეტყველება იმის შესახებ გვაფრთხილებს, რომ ბუნებრივი კატასტროფების გამომწვევი მიზეზი ჩვენი სულიერი მდგომარეობაა.

დიახ, უყოყმანოდ მიმაჩნია, რომ ადამიანი ბუნებას სიცოცხლეს აცლის. და რომ გარემოს დაბინძურება მხოლოდ სარკეა იმ შინაგანი დაბინძურებისა, რომელსაც ყურადღებას არ ვაქცევთ. მე ვფიქრობ, რომ ეკოლოგიური მოძრაობების ნაკლიც სწორედ ესაა. ისინი სრულიად მართებულად ილაშქრებენ ადამიანის მიერ გარემოს დაბინძურებაზე, მაგრამ ის, რომ ადამიანი საკუთარ თავს შინაგანად აბინძურებს, დღემდე მისი პიროვნული უფლებების ბუნებრივ ნაწილად აღიქმება. აქ შეუსაბამობას ვაწყდებით. ხილულ დაბინძურებას ვებრძვით, მაგრამ უყურადღებოდ ვტოვებთ სულიერ გამოფიტვას, ადამიანის მიერ თავისი პირვანდელი, შესაქმისეული სახის დაკარგვას, და ადამიანის ნებისმიერ ახალ ახირებას თავისუფლების გაყალბებული ცნებით ვამართლებთ.

ვიდრე თავისუფლების ამ კარიკატურას, ამ სულიერ თვითგანადგურებას ვუჭერთ მხარს, მისი გარეგნული გამოვლინებებიც უცვლელად დაგვატყდებიან თავს. მე მგონი, ამ მიმართულებით შემობრუნება უნდა მოხდეს. მხოლოდ ბუნებას როდი აქვს საკუთარი წესრიგი, ცხოვრების საკუთარი ფორმები, რომლებსაც გაფრთხილება სჭირდება, არამედ ადამიანიც აგრეთვე ღვთის ქმნილებაა და თავისი საკუთარი შინაგანი წესრიგი აქვს. რაც კი მოესურვება, ყველაფერს თვითნებურად ვერ მოიმოქმედებს. რათა შინაგანი, სულიერი არსებობა შეძლოს, საკუთარი თავი უზენაესის ქმნილებად უნდა სცნოს და შეიგნოს, რომ ვალდებულია, დაიცვას შინაგანი სიწმინდე; თუ გნებავთ, ამას სულიერი ეკოლოგიაც შეიძლება ვუწოდოთ. თუკი ეკოლოგიის ამ გულისგულს არ ჩავწვდით, ნებისმიერი ძალისხმევა ფუჭად ჩაივლის.

რომაელებისადმი პავლეს ეპისტოლეს მერვე თავში[4] ეს გარკვევითაა ნათქვამი: ადამი, ანუ შინაგანად დაბინძურებული ადამიანი მთელ ქმნილებას ისე ექცევა, როგორც მონას, თრგუნავს მას, და მის უღელქვეშ, მის გამო მთელი ქმნილება გმინავს და გოდებს. დღეს მთელი ქმნილების გმინვა და გოდება ისე ხმამაღლა ჩაგვესმის, როგორც არასოდეს. პავლე განაგრძობს, რომ

[4] რომ., 8:22.

უფლის ქმნილება ღვთისშვილთა გამოცხადებას მოელის, ის შვებით ამოისუნთქებს ისეთ ადამიანთა გამოჩენის შემდეგ, რომელთაგანაც ღვთის ნათელი მოედინება.

როგორც ჩანს, მომავალში კიდევ გველის დარტყმები, რადგანაც სამყაროს მრავალფეროვანი და დამანგრეველი ცვლილებები ჩვენთვის უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის. საკითხავია, აქვს თუ არა ქრისტიანობას პასუხი ყველა იმ ახალ გამოწვევასა და გაურკვევლობაზე, რომლის წინაშეც დღეს ვდგავართ.

რა თქმა უნდა, ქრისტიანულ სიბრძნეს ახალ-ახალ სფეროებზე გავრცელება უწევს და ეს ჭიდილის, ერთურთის გაცნობის, მოთმინებისა და გამოცდილების გაზიარების გარეშე შეუძლებელია. მაგრამ ქრისტიანობის უდიადესი ძირეული იდეები მართლაც გვიჩვენებს ისეთ მხსნელ მიმართულებებს, რომელიც შემდგომი გამოცდილების წყალობით იძენს კონკრეტულობას. ამ გაგებით, ქრისტიანობა მუდმივ საზროვნო და ცხოვრებისეულ დავალებად გვევლინება, ის არ არის რაღაც მზა რეცეპტი, რომელსაც საჭიროებისას გამოიყენებ. ის გვაწვდის ორიენტირსა და გზისმკვლევ ნათელს, რომლის წყალობითაც შეგვიძლია ვიმოქმედოთ, ვიაზროვნოთ და, საბოლოოდ, პასუხს მივაგნოთ. ვიდრე გვახსოვს, რომ ადამიანი ღვთის ხატი და მსგავსებაა, ვიდრე ათ მცნებად ჩამოყალიბებული ძირითადი კანონები ვიცით, ეს იმ არსებით ორიენტირად გვევლინება, რომელიც შემდეგ, პრობლემათა ახალ სფეროში უნდა დაკონკრეტდეს. აქ კი ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო, ყველა ერთად უნდა ვეცადოთ, მივაგნოთ საუკეთესო გამოსავალს, რათა ქრისტიანული ნორმები ახალ შინაარსთან მორგებისას არ დამახინჯდეს.

მესამე ათასწლეული — „ადამიანური სულის ახალი გაზაფხული“

ამ საუკუნის მიწურულს დაინგრა არაერთი ასე მრავლისაღმთქმელი საზოგადოებრივი მოდელი. ასეთი გახლდათ მარქსიზმი (მარქსი: „რელიგია ხალხის ოპიუმია“), ფსიქოანალიზი (ფროიდი: „რელიგია კაცობრიობის ნევროზია“) და აგრეთვე სოციოლოგთა მიერ შემუშავებული ეთიკა, რომლის მიხედვითაც ცალკეულმა ინსტიტუციამ შეიძლება საკუთარი შიდა მორალით იხელმძღვანელოს. ამას დაემატა სქესთა ახალი ურთიერთმიმართების შესახებ სრულიად რევოლუციური თეზისები და აღზრდის თანამედროვე ანტიავტორიტარული მოდელი. ათი წლის წინათ თქვენ იწინასწარმეტყველეთ: „ახალი დროება უკვე გვიახლოვდება“. როგორ წარმოგიდგენიათ ეს? ხომ არ იგულისხმეთ, რომ კვლავაც გაგრძელდება პოსტმოდერნული კულტურა, რომელსაც თქვენვე უწოდეთ „წინარე მეხსიერებისაგან (ანუ, თქვენივე სიტყვებით, „ღვთის შესახებ ხსოვნისაგან“) ადამიანის დაშორების კულტურა“?

ამით იმედი გამოვთქვი, რომ ამგვარ თეორიათა შინაგანი წინააღმდეგობანი და ცდომილებანი გამოაშკარავდებოდა. მეტწილად ხომ მართლაც ასე მოხდა. დღეს ვხდებით იმის მოწმენი, თუ როგორ კარგავს მრავალი იდეოლოგია თავის მითოლოგიურ შარავანდედს. თუნდაც, მარქსის მიერ შემოთავაზებული სამყაროს მარტივი ეკონომიკური ახსნა, თავდაპირველად ასე ლოგიკური და ყოვლისმომცველი რომ ჩანდა და ამის ხარჯზე მრავალი რომ დაარწმუნა თავის სიმართლეში, სინამდვილეში, როგორც დავინახეთ, ვერ ასახავს რეალობას მის მთლიანობაში. იგი სრულყოფილად ვერ ახდენს ადამიანის დახასიათებას. ნათლად დავინახეთ, რომ რელიგია ადამიანში არსებულ რაღაც ზერეალობას წარმოადგენს. იგივე დაემართა სხვა იდეოლოგიებსაც, მაგალითად, ანტიავტორიტარულმა აღზრდამ არ გაამართლა, რადგანაც ცხადად გამოჩნდა, რომ ადამიანს, მისი არსიდან გამომდინარე, ავტორიტეტი სჭირდება. აი, ამის იმედი მქონდა და დღესაც მაქვს: ისტორიული გამოცდილება ამგვარ იდეოლოგიებს თვითკრიტიკასთან მიიყვანს. ამის შედეგად გაჩნდება ახალი სიფრთხილე და დაფიქრებულობა და საბოლოოდ ქრისტიანობის ახალ გააზრებასთან მივალთ, რადგანაც თითოეული იდეოლოგია ჭეშმარიტების რაღაც ნამსხვრევს მაინც შეიცავდა და მათი გამთელება ხელახლა აღმოგვაჩენინებს ქრისტიანობის სულიერ საუნჯეს.

მაგრამ, როგორც დავინახეთ, ნგრევასა და მარცხს ხშირად არ მოსდევს რაიმე პოზიტიური

შედეგი. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მაგალითად, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებას, მართალია, კომუნისტური წყობის აღდგენა არ მოსდევს, მაგრამ არც ქრისტიანული ფასეულობებისაკენ მნიშვნელოვანი შემობრუნება შეიგრძნობა. პირიქით: მატულობს სულიერი გამოფიტვა, დაღლილობა, სასოწარკვეთილება. მხოლოდ წინამორბედი იდეოლოგიის უარყოფას თავისთავად როდი მოაქვს ქრისტიანული სულისკვეთების აღორძინება და გამოცოცხლება. ჩნდება იმედგაცრუება, რომელსაც კიდევ უფრო დიდი ზნედაცემულობაც შეიძლება მოჰყვეს, თუმცა, იგი ისეთ ღიაობასაც შეიცავს, რომლის წიაღშიც ადამიანები ქრისტიანული სულით განიმსჭვალებიან და სულიერი აღორძინების გზას დაადგებიან. მაგრამ, როგორც ვთქვით, აღორძინება თავისთავად როდი ჩნდება მისი მოთხოვნილების გაჩენასთან ერთად.

მოცემულ მომენტში ვხედავთ, რომ ის მეცნიერული, რაციონალურ-ტექნიკური მსოფლმხედველობა, ასე დამახასიათებელი რომ იყო ჩვენი საუკუნისათვის, სულ უფრო კარგავს საზრისსა და ქმედითუნარიანობას. ხომ არ გადაიქცევა მითოსი კვლავაც ჩვენი ცხოვრების ნაწილად მესამე ათასწლეულში? ხომ არ გავიხსენებთ იმ უძველეს მითებს, სულ ცოტა ხნის წინ სინამდვილის გამრუდებად რომ შევრაცხეთ, რათა მათი წყალობით უფრო ღრმა სინამდვილესა და უფრო ყოვლისმომცველ გარემოებებს ჩავწვდეთ? ასე იყო შუა საუკუნეებში, როდესაც ადამიანი იდუმალი ნიშნებით სავსე სამყაროში ცხოვრობდა. მისთვის არაფერი არსებობდა თავისთავად, უღრმესი მიღმიერი საზრისის გარეშე. „ადამიანი ილუზიებით იყო გარშემორტყმული“, წერს ისტორიის გამოჩენილი ფილოსოფოსი იოჰან ჰოიზინგა, „და, რადგანაც ყოველივე ილუზიას წარმოადგენდა, ადამიანი მეტაფიზიკურ წყვდიადს ჩასწვდა“.

ნებისმიერ შემთხვევაში შეინიშნება მითებისადმი ახალი მოთხოვნილება, დაბრუნება ქრისტიანობის მიღმა, უძველეს მითოლოგიებთანაც კი; მათში ეძებენ საარსებო მოდელებსა და პირველქმნილ ძალას. მაგრამ ამ ძიებაში დიდ როლს თამაშობს რომანტიკული განწყობაც. ისტორიაში შეუძლებელია უბრალოდ წარსულთან დაბრუნება, თუკი აწმყო აღარ გვაკმაყოფილებს. ქრისტიანობამდელი მითებით ამ აღტაცებაში ვხედავ იმ პასუხისმგებლობისაგან გაქცევას, რასაც ქრისტიანობა გვაკისრებს, სურვილს, რაც შეიძლება მეტი რელიგიური ცოდნის მოხელთებისა და, ამასთან, რაც შეიძლება ნაკლები შრომის გაწევისა.

იმას არ ვამბობ, რომ მითებში მართლაც არ იყოს ჩადებული უდიდესი სიბრძნე, დღესაც რომ შეიძლება გაგვამდიდროს. ეს ის ხილვებია, რითაც კაცობრიობამ ჭეშმარიტება შეიცნო და საარსებო გზა გაიკვლია. მაგრამ თვითნებური გამოწვლილვით და ჩვენს გემოვნებაზე მორგებით მათ ძალას ვაკარგვინებთ. თავად სიტყვა „რელიგია“ კავშირის მნიშვნელობას შეიცავს, კავშირი კი გარკვეული ვალდებულებების გარეშე შეუძლებელია. თუკი ასეთი კავშირისათვის, უზენაესი ჭეშმარიტებისადმი მორჩილებისათვის მზად არ ვართ, მაშინ ეს ყოველივე საბოლოო ჯამში მხოლოდ თამაშად დარჩება. ეს ყალბი მარგალიტებით თამაშს ჰგავს[5]. ახალი ტენდენციაც ამგვარი საფრთხის წინაშე დგას და ასეთ შემთხვევაში ის ახალი ძალები, რისი იმედიც გვაქვს, არ გამოჩნდება. მხოლოდ ოცნებებში ჩავეფლობით, დღევანდელ მსოფლიოს მისი მნიშვნელოვანი პრობლემებისაგან ვერ ვიხსნით და სწორ გზაზე ვერ დავაყენებთ. თუმცა, აშკარად შეინიშნება რელიგიის წყურვილი, მისგან სასიცოცხლო ენერგიის მიღების მოთხოვნილება, ისიც აშკარაა, რომ ადამიანები აღიარებენ, დღეს სულიერი დეფიციტის პირობებში ვცხოვრობთო. ეს უკვე დადებითი სურათია, მაგრამ ამ განწყობას ჯერ კიდევ მრავლად ახლავს თან თვითნებობა და მედიდურობა. ჯერ კიდევ არ გვსურს ვაღიაროთ, რომ თავად არ ვირჩევთ იმ უზენაეს ჭეშმარიტებას, რომელიც გვმართავს.

შესაძლებელია თუ არა თქვენი წარმოდგენით კაცობრიობის ახალი შემობრუნება? ეს უნდა იყოს კეთილი და თავისუფალი წამოწყებების ხანა, როდესაც რწმენის განზომილება ცხოვრებასა და აზროვნებაში კვლავ თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს. ამით იქნებ იმას მივაღწიოთ, რომ ადამიანი აღარ იყოს შინაგანად გახლეჩილი, შეიქმნას სამყაროს ახალი ერთიანი, ჰარმონიული ხედვა, რომელიც, რა თქმა უნდა, ღვთის გარეშე ვერ იარსებებს.

[5] მინიშნება XX საუკუნის გერმანელი მწერლის, ჰერმან ჰესეს რომანზე „ყალბი მარგალიტებით თამაში“.

ამის იმედი მუდამ აქვს მორწმუნე ადამიანს, მუდამ ვიმედოვნებთ, რომ გახლეჩილობის ბნელ პერიოდს კვლავ გამთლიანება მოჰყვება. ეს, როგორც ვთქვი, ძველთან დაბრუნებას არ უნდა ნიშნავდეს. გასულ ეპოქებს ვერ დავუბრუნდებით. თქვენც ახალ ჰარმონიაზე, ახალ შემობრუნებაზე საუბრობთ, მაგრამ, უეჭველად, ახალი ვერ იარსებებს იმ ძველის გარეშე, რომელიც არსებითია. ჩემი წარმოდგენით, ახლო მომავალში ამ იმედს განხორციელება არ უწერია, რადგან სულიერი ძალები ჯერაც მეტისმეტად ესწრაფვიან გახლეჩასა და ურთიერთგამიჯნვას. ერთი მხრივ, გვაქვს ამ ჰარმონიის დიდი წყურვილი, მეორე მხრივ — უკან დახევა, მასზე უარის თქმა; ისევ და ისევ, შიში იმ ვალდებულებათა წინაშე, რასაც ეს დაგვაკისრებდა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გზააბნეულობის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი გვაქვს გასავლელი. მაგრამ ქრისტიანმა მაინც ნებისმიერ ეპოქაში უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც ევალება, რათა ცნობიერების დანაწევრებულობამ, რომელიც ცხოვრებაზეც გამანადგურებლად მოქმედებს, საბოლოოდ არ ჩაკლას ადამიანისათვის ღვთისგან ნაბოძები შინაგანი მთლიანობა და მაშინ მსოფლიოს გამთლიანების შანსიც მუდამ იარსებებს. ამ მიმართულებით სვლას მუდამ უნდა ვეცადოთ, თუმცა არ მგონია ეს მალე განხორციელდეს.

იოანე პავლე II-მ 1995 წელს ნიუ იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომაზე ასევე ისაუბრა იმაზე, რომ მესამე ათასწლეულში მსოფლიოს მოწესრიგების ახალი იმედები გაჩნდება. „ჩვენ დავინახავთ, — განაცხადა პაპმა, — რომ ჩვენი საუკუნის ცრემლები ახალი სულიერი გაზაფხულის საწინდარია“. რა იგულისხმება „ახალი გაზაფხულში“? ადამიანის განახლებული არსი?

ეს ცალკე საკითხია. რომის პაპი მართლაც მოელის, რომ გათიშულობის, განხეთქილების ათასწლეულს შერიგების ათასწლეული მოჰყვება. მას ასე წარმოუდგენია: ქრისტიანობის პირველი ათასწლეული ერთიანობის ნიშნით მიმდინარეობდა — მართალია, როგორც ვიცით, განხეთქილებებიც არსებობდა, მაგრამ აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესია მაინც ერთი იყო, — მეორე ათასწლეულში დიდი განხეთქილებები მოხდა, ხოლო ახლა, მის დასასრულს, ყველამ ერთად უნდა ვეძიოთ ახალი შერიგების საშუალებები. პაპის მნიშვნელოვანი ეკუმენისტური საქმიანობაც ამ ისტორიოსოფიულ პერსპექტივაში მიმდინარეობს.

ვატიკანის მეორე მსოფლიო კრებაზე საფუძველი ჩაეყარა ეკუმენისტურ მოძრაობას და ეს უკვე მომავალი გაერთიანების წინაპირობად მესახება. პაპს სწამს, რომ ათასწლეულებს თავთავისი ფიზიოგნომია ახასიათებს; გასული ათასწლეულის მთელი ცრემლები, როგორც ის ამბობს, მომავალი შერიგებით იქნება გამართლებული. მართლაც უნდა ვეძიოთ ადამიანთა, ქრისტიანთა, განსხვავებულ რელიგიათა შორის ახალი კავშირები, რათა უფრო დადებითი მომავლის იმედი გვქონდეს. ეს მიზანი შთაგონებით აღგვავსებს და სამომავლო ქმედების სტიმულს გვანიჭებს. პაპის მოღვაწეობისთვის დამახასიათებელი დაუღალავი გულმოდგინება სწორედ ამგვარი მომავლის ხილვას უკავშირდება. ამგვარ ხილვებს თუ ოცნებებს უნდა მივენდოთ, ეს სამოქმედო გეზს დაგვისახავს და აუცილებელ ძალასაც მოგვცემს; საბედისწერო შეცდომა იქნება, მხოლოდ უარყოფითი მოლოდინით შევხვდეთ მომავალს. ოცნების განხორციელება, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ღვთის ხელთაა. დღევანდელ ვითარებაში არ მგონია, ის მალე განხორციელდეს.

ეკლესიის განვითარების ეტაპები

ეკლესია, სახელმწიფო და საზოგადოება

XIX საუკუნემ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამიჯნვით რწმენა სუბიექტურ საკითხად ანუ თითოეულის პირად საქმედ აქცია. დღეს ბევრი ვარაუდობს, რომ სეკულარიზაციის პროცესი როგორც რწმენის, ისე ეკლესიის სამომავლო არსებობას უქმნის საფრთხეს. განა ის, რომ სახელმწიფოს მიერ რელიგიის გაკონტროლების დრო სამუდამოდ წავიდა, ეკლესიასა და რწმენას ახალ შანსებს არ აწვდის? თქვენ თავად ბრძანეთ ერთხელ: „ეკლესია თავისი არსიდან გამომ-

დინარე სახელმწიფოსაგან გამიჯნულად უნდა არსებობდეს, რათა რწმენა სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეული ვალდებულება კი არა, თავისუფალი გადაწყვეტილების შედეგი იყოს".

საერთოდ, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამიჯნვის იდეა პირველად ქრისტიანობამ შემოიტანა მსოფლიოში. მანამდე პოლიტიკური კანონები რელიგიურს ემთხვეოდა. ყველა უძველესი კულტურისათვის დამახასიათებელი მომენტი იყო, რომ სახელმწიფო თავისთავად ატარებდა საკუთარ თავში საკრალურობას. იგივე შეიძლება ითქვას წინაქრისტიანულ ძველაღთქმისეულ კულტურაზეც. ისრაელში ორივე სფერო ერთმანეთთან იყო შერწყმული. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისრაელის რწმენა ხალხიდან გამოვიდა და ყველა სხვა ხალხის სიმდიდრედ იქცა, იგი განთავისუფლდა პოლიტიკური მნიშვნელობისაგან და ისეთ ელემენტად იქცა, ყველა პოლიტიკურ განსხვავებასა და გახლეჩილობაზე უფრო მაღლა რომ დგას. სწორედ ამაში მდგომარეობს ქრისტიანობის მთავარი შეპირისპირება რომის იმპერიასთან. სახელმწიფო სავსებით შემწყნარებლურად ეკიდებოდა პირად რელიგიებს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი სახელმწიფო კულტს, რომის ღვთაებათა პანთეონს, თავისზე უფრო მაღლა დააყენებდნენ.

ქრისტიანობამ უარი თქვა ამ პირობაზე, სახელმწიფოს საკრალურობა ჩამოაცილა, რითაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა არა მხოლოდ რომის იმპერიის ძირეული კონსტრუქცია, არამედ ზოგადად მთელი ანტიკური სამყარო. ეს დაცალკევება, საბოლოო ჯამში, მარადიული, ზოგადად ქრისტიანული მონაპოვარი და, ამავე დროს, თავისუფლების გადამწყვეტი ფაქტორიცაა. სახელმწიფო არ უნდა მივიჩნიოთ საკრალურ ძალაუფლებად, ის მხოლოდ სასრული ორგანიზაციაა, რომელსაც რწმენა ემიჯნება; რწმენა კი, თავის მხრივ, თაყვანს სცემს არა სახელმწიფოს, არამედ მის პირისპირ მდგომ და მის განმგებელ ღმერთს. ესაა ის ახალი, რაც შემდგომ სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმაციებში განსხვავებული ვარიანტების სახით წარმოჩინდა. ამ გაგებით, განმანათლებლობის ხანის შემდგომ განვითარებას — ხოლო სწორედ ამ ეპოქაში თვალსაჩინოდ გამოვლინდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან დაცალკევება — თავის მხრივ, პოზიტიური მხარეებიც აქვს. ამ პროცესის უარყოფითი მხარე კი ისაა, რომ რელიგია სუბიექტურ დონემდე იქნა დაყვანილი და ამით კვლავ სახელმწიფოს აბსოლუტიზაციას დავუბრუნდით, რაც ჰეგელთან ცხადად იჩენს თავს.

ერთი მხრივ, ქრისტიანობა, ყოველ შემთხვევაში, დასაბამისას, არასოდეს ისწრაფვოდა სახელმწიფო რელიგიის წოდებისაკენ, მას მუდამ სურდა სახელმწიფოსაგან ჩამოშორება. ის მუდამ მზად იყო, ელოცა კეისართა კეთილდღეობისათვის, მაგრამ მათთვის მსხვერპლშეწირვაზე უარს აცხადებდა. მეორე მხრივ, ის მუდამ საჯაროდ აცხადებდა პრეტენზიას იმაზე, რომ ყოფილიყო არა მხოლოდ სუბიექტური გრძნობა — „გრძნობა ყველაფერია", ამბობს ფაუსტი, — არამედ ისეთი ჭეშმარიტებაც, რომელიც საზოგადოების წინაშე ცხადდება, მისთვის ქცევის ნორმებს ადგენს და თვით სახელმწიფოსა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა გარკვეულ ჩარჩოებში სვამს. ჩემი აზრით, ამ გაგებით ახალი დროის წინსვლა კიდევ უფრო გააძლიერებს სუბიექტურობის უარყოფით მომენტს, მაგრამ ამაში დადებითი ისაა, რომ ეკლესიას თავისუფალი ინსტიტუციის სახით თავისუფალ სახელმწიფოში არსებობის შანსი მიეცემა. რწმენას მიეცემა შესაძლებლობა, გახდეს უფრო ღრმა და თავისუფალი და ამიტომაც უფრო ცოცხალი, თუმცა მოუწევს, წინააღმდეგობა გაუწიოს სუბიექტივაციას და კვლავაც ეცადოს, საზოგადოებას თავისი სიტყვა შეასმინოს.

პიერ პაოლო პაზოლინი[6] ეკლესიისათვის ხელსაყრელ შანსად რადიკალური ოპოზიციის როლის შენარჩუნებას მიიჩნევს. 1977 წლის ზაფხულში მან მისწერა რომის პაპს: „რადიკალური, შესაძლოა, უტოპიური ანდა სამყაროს დასასრულზე ორიენტირებული პერსპექტივის ფონზე ცხადზე ცხადია, თუ როგორ უნდა მოიქცეს ეკლესია, რათა მარცხი თავიდან აიცილოს. ის ოპოზიციურად უნდა განეწყოს. საკმარისად ხანგრძლივ ტრადიციაზე დამყარებული ამგვარი ბრძოლით, პაპიზმის ბრძოლით საერო ხელისუფლებასთან, ეკლესია შეძლებს, თავის გარშემო ის ძალები შემოიკრიბოს და განიმტკიცოს, სახელმწიფოს დიქტატს რომ არ ცნობენ. სახელმწიფოს ამ მოწინააღმდეგეთათვის ეკლესია მაერთიანებელი სიმბოლოს როლს შეასრულებს, თუკი საკუთარ დასაბამს — ოპოზიციასა და ამბოხს — დაუბრუნდება."

[6] პიერ პაოლო პაზოლინი (1922-1975) — იტალიელი პოეტი, მწერალი და გამოჩენილი კინორეჟისორი.

ამაში მართლაც არის ჭეშმარიტება. ის, რომ ეკლესია დროს არ უწყობს ფეხს, უარყოფითი მომენტია, — ამის გამო მას საზოგადოება რიყავს, — მაგრამ, მეორე მხრივ, ამაშია მისი სიძლიერეც. იქნებ ადამიანებს ჯერაც ძალუძთ შეიგნონ, რომ დღეს უნდა არსებობდეს მსოფლიოში გაბატონებული ბანალური იდეოლოგიის გამაწონასწორებელი ძალა და რომ ეკლესიას სწორედ თავისი არათანამედროვეობის ხარჯზე შეუძლია იყოს ძალზე თანამედროვე: არ გაიმეოროს ის, რასაც ყველა ამბობს. ეკლესიას წილად ხვდა წინასწარმეტყველური ამბოხის როლი და საამისოდ აუცილებელი გამბედაობაც მოეთხოვება. სწორედ სიმართლის სათქმელად საჭირო გამბედაობა, რომელსაც თავდაპირველად თითქოს საზიანო შედეგი მოაქვს, რადგანაც ეკლესიას არაპოპულარულს ხდის და გეტოში ათავსებს, სინამდვილეში გვევლინება მის უდიდეს ძალად.

და მაინც, ასე ზოგადად არ გავაიგივებდი ეკლესიის მისიას ოპოზიციასთან. ის მუდამ პოზიტიურ ქმედებასა და შენებაშია ჩართული. ის მუდამ იღვაწებს იმისათვის, რათა ვითარება პოზიტიურად შეიცვალოს და მოვლენებს თავიანთი ჭეშმარიტი სახე ჰქონდეს. ანუ მან მთლიანად ოპოზიციაში კი არ უნდა გადაინაცვლოს, არამედ უზუსტესად უნდა განჭვრიტოს, თუ როდის უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა სახელმწიფოს და როდის ამოუდგეს მხარში; როდის უნდა თქვას „ჰო“ და როდის — „არა“, რათა საკუთარი არსის ერთგული დარჩეს.

ეკუმენიზმი და ერთობა

თქვენ უკვე განგვიმარტეთ იოანე პავლეს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქრისტიანთა გაერთიანება ჩვენი ეპოქის უდიდესი სამომავლო ოცნებაა. კათოლიკურმა ეკლესიამ ამ მიმართულებით ნავსი გატეხა: სწორედ მან წამოიწყო კონფესიათშორისი დიალოგები თეოლოგიურ დონეზე. ეკუმენიზმის პრობლემებისადმი მიძღვნილ, 1995 წლის მაისში გამოცემულ კრებულში „Ut unum sint“ პაპი გამოთქვამს იმედს, რომ „ახალი ათასწლეულის, ამ განსაკუთრებული მომენტის ზღურბლზე ყველა ქრისტიანი გაერთიანდება და ყველა წინააღმდეგობა მოიხსნება“, რადგანაც „აშკარაა, რომ ჩვენი განხეთქილება ქრისტეს ნებას ეწინააღმდეგება და გვევლინება სამყაროს უდიდეს ტრაგედიად“. შესაძლებელია კი ქრისტიანთა გაერთიანება? იმავე კრებულში ნათქვამია, რომ „პრობლემის გამარტივების ანდა ზედაპირული შეთანხმების ყოველგვარ გამოვლინებას გვერდი უნდა ავუაროთ“.

გაერთიანების შესაძლებლობათა საკითხი მნიშვნელოვანი და რთულია. უპირველეს ყოვლისა, ჩნდება კითხვა: რისი მიღწევაა შესაძლებელი? რისი იმედი შეიძლება გვქონდეს და რისი — არა? და, მეორე მხრივ, რა არის მართლაც რომ სასურველი? ისტორიის შიგნით ქრისტიანობის აბსოლუტური გაერთიანების იმედი მე, პირადად, არ მაქვს. ხომ ვხედავთ, რომ გაერთიანებისაკენ სწრაფვასთან ერთად დღეს გამუდმებით კეთდება დანაწევრების მცდელობებიც. ვგულისხმობ არა მხოლოდ ახალ-ახალი სექტების ჩამოყალიბებას, — მათ შორის, სინკრეტისტული სექტებისა, რომლებშიც დიდია წარმართული, არაქრისტიანული ნაწილი, — არამედ იმასაც, რომ თვით ეკლესიებშიც მატულობს რღვევა, უთანხმოება. ეს ეხება რეფორმატორულ ეკლესიასაც, სადაც ევანგელისტური ელემენტი მუდამ ეწინააღმდეგებოდა უფრო თანამედროვე მიმდინარეობებს (თუნდაც, გერმანული პროტესტანტიზმის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ეს ორი ფრთა ერთმანეთს სულ უფრო მეტად სცილდება), და ეს ეხება მართლმადიდებლობასაც. ამ უკანასკნელს რაც შეეხება, ავტოკეფალიების არსებობის გამო აქ ერთობა მუდამ მეტ-ნაკლებად შესუსტებული იყო, მაგრამ დღესდღეობით აქაც საგრძნობლად იმძლავრა დანაწევრების ტენდენციამ, მთელ მსოფლიოში რომ მოქმედებს. კათოლიკურ ეკლესიასაც ძალზე ღრმა ბზარები გაუჩნდა, ასე რომ, ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ერთ ეკლესიში ორი დამოუკიდებელი ეკლესია თანაარსებობდეს.

უნდა შეგვეძლოს გაერთიანებისკენ და დაყოფისკენ სწრაფვის ორივე ამ ურთიერთსაპირისპირო ტენდენციის განჭვრეტა და უტოპიურ იმედებს უნდა ვუფრთხილდეთ. უმნიშვნელოვანესია, რომ ყველამ შევიგნოთ ის, რაც არსებითია; ჩვენს თავს ვძლიოთ და რწმენით ვეცადოთ, ჩავწვდეთ ქრისტიანობის დვრიტას. თუ მომავალში დანაწევრება აღარ გაგრძელდა, ამით უკვე ძალზე ბევრს მივაღწევთ. მთავარია შევიგნოთ, რომ ცალ-ცალკეც შეგვიძლია ძალზე ბევრ

საკითხში თანხმობას მივაღწიოთ. ნამდვილად არ მგონია, რომ უახლოეს მომავალში „კონფესიათა გაერთიანებებს“ მივაღწევთ. ამაზე ბევრად მნიშვნელოვანია, დიდი მოწიწებით და სიყვარულითაც კი განვეწყოთ ერთურთის მიმართ, ერთმანეთი ქრისტიანებად ვაღიაროთ, ვეცადოთ, მსოფლიოს არსებით საკითხებში ჩვენი საერთო თვალსაზრისი შევთავაზოთ; ეს ეხება როგორც მსოფლიოში წესრიგის დამყარებას, ისე უმნიშვნელოვანეს შეკითხვებს ღვთისა და ადამიანის არსებობის შესახებ.

ისლამი

რომანტიკულად განწყობილი ორიენტალიზმი გვიქმნის ისლამისა და აღმოსავლეთის ისეთ სურათს, რეალობას რომ არ შეესაბამება. შეუძლებელია არ დავინახოთ ის, რომ ისლამური თვითშეგნება დასავლური საზოგადოებრივი ნორმებისაგან ძირეულად განსხვავდება. თუნდაც პიროვნების სტატუსი ანდა ქალისა და მამაკაცის თანასწორობა დასავლეთსა და აღმოსავლეთში სრულიად განსხვავებულადაა შეფასებული. ექსტრემისტულად განწყობილ მუსლიმთა ტერორიზმი სულ უფრო ზრდის ამ რელიგიისადმი უნდობლობას და ევროპაშიც ფანატიკოს მკვლელთა წინაშე შიში მატულობს. ყველა დამეთანხმება იმაში, რომ ამ ორი კულტურისათვის ერთურთის უკეთ გაცნობაა აუცილებელი. რამ შეიძლება შეუწყოს ამას ხელი?

რთული კითხვაა. მე მგონი, პირველ რიგში, აქაც უნდა გვახსოვდეს, რომ ისლამი ჰომოგენურ ერთობას არ წარმოადგენს. არც ერთიანი ინსტანცია გააჩნია, ამიტომაც ისლამთან დიალოგი მუდამ განსხვავებულ დაჯგუფებებთან დიალოგს ნიშნავს. არავის შეუძლია ილაპარაკოს მთელი ისლამის სახელით, მას, ასე ვთქვათ, არ გააჩნია ერთობლივად შემუშავებული ორთოდოქსია. სუნიტებსა და შიიტებს შორის უთანხმოებასაც რომ არ შევეხოთ, ისლამი მრავალი ვარიაციის სახით წარმოგვიდგება. არსებობს „კეთილშობილური“ ისლამი, რომლის წარმომადგენლადაც შეგვიძლია მაროკოს მეფე დავასახელოთ, და არსებობს ექსტრემისტული, ტერორისტული ფრთა, რომლის გაიგივება ისლამთან უსამართლობა იქნებოდა.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია რომ, როგორც შენიშნეთ, ისლამი ჩვენგან სრულებით განსხვავებულ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და რელიგიურ სტრუქტურებს გვთავაზობს. როდესაც დღეს კამათობენ დასავლეთის სასწავლებლებში ისლამური თეოლოგიის ფაკულტეტების დაარსების ანდა იმის შესახებ, რომ ისლამი ჩვენთან საზოგადოებრივი სამართლის ერთერთ დისციპლინად შემოვიღოთ, ამოსავალი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა რელიგია გარკვეულწილად ერთურთის მსგავსადაა სტრუქტურირებული; რომ ყველა სამართლებრივი ნორმა ერთიან დემოკრატიულ სისტემაში უნდა მოექცეს. მაგრამ ეს, როგორც ჩანს, თვით ისლამის არსს ეწინააღმდეგება. მისთვის აბსოლუტურად უცხოა პოლიტიკური და რელიგიური სფეროების ერთურთისაგან გამიჯნვა, რომელიც ქრისტიანობაში იმთავითვე იყო ჩადებული. ყურანი წარმოადგენს ერთიან რელიგიურ კანონს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას მთლიანობაში რომ აწესრიგებს და, აქედან გამომდინარე, ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროს აკონტროლებს. ისლამური საზოგადოება მთლიანად განისაზღვრება შარიათის კანონებით. ისლამს შეუძლია გამოიყენოს ის მეტ-ნაკლები თავისუფლება, რასაც ჩვენი კონსტიტუცია სთავაზობს, მაგრამ ის ვერ განაცხადებს: აი, ახლა ჩვენც სამოქალაქო სამართლის ისეთივე ფორმაცია ვართ, როგორც კათოლიკენი და პროტესტანტებიო. ამ საკითხში ის მაინც სხვებისაგან გაუცხოებულია.

ისლამს ცხოვრებისადმი სრულებით სხვაგვარი მიდგომა აქვს, ის ცხოვრების უკლებლივ ყველა, უმცირეს დეტალსაც კი სწვდება და მისი წესები ჩვენი შეხედულებებისგან სრულებით განსხვავდება. ის ძალზე მკაფიოდ აყენებს ქალს მამაკაცისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, აქვს სასჯელის მყარი სისტემა, რომელიც ჩვენს საზოგადოებრივ წარმოდგენებს არ შეესაბამება. აქედან გამომდინარე, უნდა გვახსოვდეს, რომ ის არ წარმოადგენს ისეთ კონფესიას, რომელიც თავისუფალ, პლურალისტურ საზოგადოებრივ გაერთიანებას ადვილად მოერგება. დღეს ხშირად სწორედ ასე ცდილობენ მის დანახვას, ქრისტიანული საზომებით უდგე-

ბიან, ეს კი მის არსს კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ეს ყოველივე, ცხადია, შიდაქრისტიანულ დიალოგებთან შედარებით, ისლამთან დიალოგს ბევრად უფრო ართულებს.

შეიძლება კითხვა შემოვაბრუნოთ: რას ნიშნავს ქრისტიანობისათვის დღეს მთელ მსოფლიოში ისლამის გაძლიერება?

ეს ძალზე მრავალსახოვან ფენომენს წარმოადგენს. ერთი მხრივ, მოქმედებს ფინანსური ფაქტორები. არაბულმა ქვეყნებმა ფინანსური სიძლიერის ხარჯზე მოიპოვეს საშუალება, მთელ მსოფლიოში ააგონ მეჩეთები, გაამყარონ მუსლიმური ორგანიზაციები და ასე შემდეგ. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი მომენტია. მეორე ახალ, გაძლიერებულ ისლამურ თვითშეგრძნებას უკავშირდება.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის კულტურულ ვითარებაში, 60-იანი წლების ჩათვლით, ქრისტიანული ქვეყნები ინდუსტრიული, კულტურული, პოლიტიკური, მორალური გაგებით იმდენად დომინირებდნენ, რომ ისლამი ჩრდილში ექცეოდა და ქრისტიანობა, უფრო სწორედ კი, ქრისტიანობაზე დაფუძნებული ცივილიზაციები მსოფლიო ისტორიაში გამარჯვებულ მდგომარეობას ინარჩუნებდნენ. ამას მოჰყვა დასავლური ანუ ქრისტიანული სამყაროს დიდი კრიზისი. დასავლეთის ღრმა მორალური წინააღმდეგობებისა და შინაგანი გზააბნეულობის გვერდით გაიზარდა არაბული ქვეყნების ფინანსური პოტენცია, რამაც ისლამური სულის აღორძინება განაპირობა: ჩვენც პატივისცემის ღირსნი ვართ, ჩვენ უკეთესები ვართ, ჩვენი რელიგია მყარია, თქვენ კი თქვენსას კარგავთო.

სწორედ ეს სულისკვეთებაა დღეს გაბატონებული მუსლიმურ სამყაროში: დასავლეთის ქვეყნებს მორალის ქადაგება აღარ ძალუძთ, მათ ისღა შეუძლიათ, მსოფლიოს Know how[7] შესთავაზონ; ქრისტიანულმა რელიგიამ საკუთარი თავი ამოწურა, მას უკვე რელიგიას ვეღარც კი ვუწოდებთ; ქრისტიანებს აღარც მორალი შერჩათ, აღარც რწმენა, მხოლოდ აქა-იქ განმანათლებლური იდეების ნამსხვრევებს თუ წააწყდები: ჩვენ კი ისეთი რელიგია გვაქვს, დროსა და სირთულეებს რომ უძლებს.

მუსლიმებს გაუჩნდათ გრძნობა, რომ ისლამი საბოლოო ჯამში ყველაზე სიცოცხლისუნარიანი რელიგიაა, რომ მათ ბევრი აქვთ სათქმელი მსოფლიოსათვის და რომ მომავლის უმნიშვნელოვანესი რელიგიური ძალა სწორედ ისლამია. მანამდე შარიათი[8] თითქოს გაცვეთილი, მოძველებული ჩანდა, ახლა კი ის განახლებული სიამაყის შეგრძნებამ გადაახალისა. ამან გამოიწვია ახალი ინტენსიური სწრაფვა ცხოვრების ისლამური წესისადმი. მასში დიდი ძალაა: ჩვენ საუკუნეების მანძილზე, წინასწარმეტყველთაგან უწყვეტად მოგვდევს ზნეობრივი მოძღვრება და ჩვენ შევასწავლით მსოფლიოს ცხოვრების სწორ ფორმებს; ქრისტიანებს ეს აღარ შეუძლიათო, ასე თვლიან. ისლამის ამ შინაგან ძალას, რომელიც ბოლო ხანებში აკადემიურ წრეებსაც ძლიერ ხიბლავს, რა თქმა უნდა, ღირსეულად უნდა დავუპირისპირდეთ.

იუდაიზმი

ეს, შესაძლოა, ამ თემის უმნიშვნელოვანესი საკითხიც იყოს. დიდი ხნის მანძილზე ბატონობდა მოსაზრება, თითქოს იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის კონფლიქტი თვით რელიგიის სიღრმეშია პროგრამირებული. ახლა კი კათოლიკური რწმენის კონგრეგაციის პრეფექტმა განაცხადა: „ვარსკვლავი იერუსალიმზე მიუთითებს. ის ქრება და ხელახლა გამობრწყინდება უფლის სიტყვაში, ისრაელის წმინდა წერილში“. რას გულისხმობს ეს სიტყვები? იქნებ ეს იუდაიზმისადმი რადიკალურად ახალ დამოკიდებულებას ნიშნავს?

იუდაიზმთან მიმართებაში ჩვენი პოზიცია მართლაც ხელახლა უნდა გავიაზროთ და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ეს ჩვენს შორის განსხვავების გაუქმებას არ ნიშნავს, პირიქით: ის შეიძლება მომავალში უფრო მძაფრადაც კი აღვიქვათ. მაგრამ ის ერთურთისადმი მოწიწებისა და შინაგანი კავშირის საფუძველზე უნდა განვიცადოთ. ამ მიმართულებით მსვლელობა უკვე დაწ-

[7] (ინგლ.) აქ: პრაქტიკული ცოდნა.
[8] რელიგიური და ცხოვრებისეული კანონების კოდექსი ისლამში.

ყებულია. ჩემი აზრით, ჩვენს რელიგიებს შორის მუდამ არსებობდა უღრმესი შინაგანი ნათესაობა, რის მაჩვენებლადაც გვევლინება ის, რომ ძველი აღთქმა ქრისტიანული ბიბლიის ნაწილია. მაგრამ სწორედ ეს საერთო სიმდიდრე წარმოადგენდა მუდამ კამათის საგანს, ებრაელები ხომ თვლიდნენ, რომ ჩვენ მათ, უხეშად რომ ვთქვათ, ბიბლია წავართვით, მის წესებს კი ცხოვრებაში არ ვიცავთ. საკუთარი თავი მუდამ მის ნამდვილ მემკვიდრეებად მიაჩნდათ. მეორე მხრივ, ქრისტიანებსაც ჰქონდათ იმის შეგრძნება, რომ ებრაელები ძველ აღთქმას მცდარად კითხულობენ, რომ მისი მთავარი საზრისია მომავლისათვის გახსნილობა, ქრისტეს მოლოდინი ქვეყნიერების დასაბამიდანვე, რასაც ებრაელები არ იზიარებენ: მათ ეს წმინდა ტექსტი, ასე ვთქვათ, თავის თავში ჩაკეტილად წარმოიდგინეს, რითაც მას შინაგანი მიზანსწრაფულობა გამოაცალეს. ამ გაგებით ძველი აღთქმის გათავისება ქრისტიანებს ებრაელთა მიმართ უნდობლობისკენ უბიძგებდათ, ისინი ამბობდნენ: მართალია, თქვენ იგივე ბიბლია გაქვთ, მაგრამ მას სწორად არ იყენებთ, შემდგომი ნაბიჯის გადადგმა არ გსურთ.

გარდა ამისა, მეორე საუკუნიდან მოკიდებული, ქრისტიანობაში მუდამ არსებობდა მოძრაობები, რომლებიც ძველი აღთქმის უარყოფას ანდა მისი მნიშვნელობის დაკნინებას ისახავდნენ მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენცია არასოდეს გაუზიარებია ოფიციალურ ეკლესიას, ძველი აღთქმის გარკვეული უგულვებელყოფა მართლაც საკმაოდ გავრცელდა ქრისტიანობაში. ცხადია, სჯულის ზოგიერთი კანონის ანდა სისასტიკით აღვსილი ზოგიერთი სიუჟეტის კითხვისას უნებლიეთ გიჩნდება აზრი, რომ შეუძლებელია ეს ჩვენს ბიბლიაში ეწეროს. ქრისტიანულ ანტისემიტიზმსაც სწორედ ეს უდევს საფუძვლად. მას შემდეგ, რაც ახალი დროის ღვთისმეტყველებამ უარი თქვა იმ ალეგორიულ განმარტებაზე, რომლითაც ეკლესიის მამებმა ძველი აღთქმა „გააქრისტიანეს“, ამ წიგნის მიმართ გაუცხოება გაჩნდა; დღეს მისი სწორი წაკითხვა უნდა ვისწავლოთ.

მოგვიწევს, ხელახლა განვიცადოთ აბრაამის ისტორია, რომელიც გვაერთიანებს და გვყოფს კიდეც; მოწიწებით უნდა მოვეკიდოთ იმას, რომ ებრაელები ძველ აღთქმაში ქრისტეს კი არა, მომავალი, ჯერ არმოვლენილი მესიის მოლოდინს ჭვრეტენ; ამის მიუხედავად, ჩვენს რწმენას მაინც ერთი მიმართულება აქვს. ჩვენი მხრივ, ვიმედოვნებთ, რომ ებრაელებიც გაგვიგებენ, რომ, მართალია, სხვადასხვა კუთხით ვუდგებით ძველ აღთქმას, მაგრამ, სამაგიეროდ ჩვენც ვცდილობთ, გავითავისოთ აბრაამისეული რწმენა, ამიტომ ჩვენს შორის ურთიერთგაგება შესაძლებელია.

თუკი ასეა, რატომ დასჭირდა ვატიკანს ამდენი ხანი ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღიარებისათვის?

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისრაელის სახელმწიფოს დაფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას შეესაბამებოდა, რომლის თანახმადაც მსოფლიომ აღიარა, რომ ებრაელებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ საკუთარი სახელმწიფო. მაგრამ ამ სახელმწიფოს საზღვრების დადგენა სხვა ერების უფლებების შელახვას უკავშირდებოდა და საკამათო გახდა; ცნობილია, რომ დიდი რაოდენობით არაბ ლტოლვილებს ახალი სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვება და სასაზღვრო მიწაზე მძიმე და გაურკვეველ მდგომარეობაში ცხოვრება მოუწიათ. ვატიკანი ასეთ შემთხვევებში მუდამ იცდის, ვიდრე კონფლიქტი სამართლებრივად არ მოგვარდება. ხომ გახსოვთ, მსგავსი პოზიცია დაიკავა მან აღმოსავლეთ გერმანიასთან დაკავშირებითაც, ვიდრე ბრანტის მთავრობის აღმოსავლური პოლიტიკა პოლონეთ-გერმანიას შორის საკამათო საკითხებს აგვარებდა; როგორც ცნობილია, გფრ-სთან არასოდეს გვქონია დიპლომატიური ურთიერთობები. ისრაელის შემთხვევაში დიდ პრობლემას წარმოადგენდა იერუსალიმის საკითხიც. გასარკვევი იყო, შეიძლებოდა თუ არა სამი რელიგიის წმინდა ქალაქი, ამავე დროს, რადიკალური რელიგიური პოზიციის მქონე ერთი სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადებულიყო. დაბოლოს, სასურველი იყო ზუსტი შეთანხმების მიღწევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა სტატუსითა და უფლებებით ისარგებლებდნენ ქრისტიანები ახალ სახელმწიფოში.

დროთა განმავლობაში ეკლესიამაც საყოველთაოდ გაითავისა ის ფაქტი, რომ იესო ებრაელი იყო. მაგრამ, თუკი ეს ასეა, მაშინ იქნებ ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ, ღმერთი განკაცდაო, უნდა

ვთქვათ, ღმერთი გაებრაელდაო? იქნებ დროა, ქრისტიანობამ იუდაიზმის ისტორიული მისიაც სცნოს?

პირველ რიგში, მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ იესო ებრაელი გახლდათ. ამასთან დაკავშირებით ამის თქმა მსურს: მე ნაციონალ-სოციალისტურ რეჟიმში ვიზრდებოდი და „გერმანელ ქრისტიანთა“ იმ ტენდენციას შევესწარი, ქრისტეს „არიელად“ რომ აცხადებდა. მათ იმის დაჯერება სურდათ, რომ, როგორც გალილეველი, ის საერთოდ არ ყოფილა ებრაელი. ამის საპირისპიროდ ჩვენ რელიგიის გაკვეთილებზე ხაზგასმით ვასწავლით, რომ ეს გაყალბება იყო: ქრისტე ებრაელად დაიბადა, აბრაამისა და დავითის ძედ, ასეთია წინასწარმეტყველებებიც და ჩვენი რწმენის განუყოფელი ნაწილიც ესაა.

ეს უმნიშვნელოვანესი ელემენტი მართლაც მჭიდროდ გვაკავშირებს ებრაელებთან. მაგრამ მეორე ფრაზაც სწორედ ამის გამო ინარჩუნებს თავის მნიშვნელობასა და ჭეშმარიტებას: ღმერთი *განკაცდა.* საინტერესოა, რომ ახალ აღთქმაში იესოს ორი განსხვავებული გენეალოგია გვაქვს მოცემული: მათეესთან იგი აბრაამამდე ადის, მაშასადამე იესოს დავითის ძედ და ისრაელის წინასწარმეტყველებათა აღმსრულებლად წარმოგვიდგენს, ლუკასთან კი გენეალოგიურ ხეს სათავეში ადამი უდგას, მაშასადამე, იესო ზოგადად ადამიანად არის ნაჩვენები. უმნიშვნელოვანესია შევიგნოთ ის, რომ იესო ადამიანია და მისი სიცოცხლე და სიკვდილი თითოეული ადამიანისას შეესაბამება. სწორედ აბრაამისეული მემკვიდრეობა ანიჭებს წინასწარმეტყველებათა აღსრულებას უფრო მეტ ადამიანურობას. ამიტომაც ღვთის განკაცების მარტივი ფორმულა უმნიშვნელოვანესად დარჩება მუდამ. გარდა ამისა, უნდა ვაღიაროთ ის, რომ იესომ, როგორც კანონის ერთგულმა ებრაელმა, გადალახა იუდაიზმი და ძველ სჯულს ღვთისადმი ახალი, უფრო დიადი ერთგულების მნიშვნელობა მიანიჭა. სწორედ აქედან მოდის ჩვენს შორის კონფლიქტები. ამ საკითხზე კარგი დიალოგებიც ჩატარდა. დავასახელებ ამერიკელი რაბინის, იაკობ ნოისნერის არაჩვეულებრივ წიგნს, რომელშიც იესოს მიერ წარმოთქმულ „ნეტარებათა“ განხილვაა მოცემული. ავტორი მაცხოვრის ამ უმნიშვნელოვანეს ქადაგებასთან დიალოგში შედის, ძალზე მკვეთრად, მაგრამ სიყვარულით უსვამს ხაზს განსხვავებებს და საბოლოო დასკვნის სახით აცხადებს, რომ ჩვენც და ისინიც ერთობლივად ვაღიარებთ ცოცხალ ღმერთს. ასე რომ, განსხვავებების მიჩქმალვა არ შეიძლება. ეს მცდარი გზა იქნებოდა, რადგანაც ჭეშმარიტებისათვის გვერდის ავლით ნამდვილ მშვიდობას ვერასოდეს დავამყარებთ. ჩვენს შორის წიააღმდეგობანი მუდამ იქნება და ჩვენი მოვალეობაც სწორედ ესაა: წინააღმდეგობათა მიუხედავად, ერთურთის მიმართ სიყვარული და მშვიდობა შევინარჩუნოთ.

ალბათ შეიძლება ვთქვათ, რომ ჰოლოკოუსტი ეკლესიის ეპოქაში კი არა, ისეთ დროს მოხდა, როდესაც ეკლესიამ საბოლოოდ დაკარგა გავლენა ადამიანთა გულებზე. მაგრამ ყველა დროში სადისკუსიო საკითხად რჩება: მაინც როგორ გახდა შესაძლებელი ეს კატასტროფა ქრისტიანულ მიწაზე? უკვე შორს აღარ არის ის დრო, როცა ევროპაში იმაზე ნაკლები კათოლიკე იქნება, ვიდრე აქ ომამდე ებრაელი ცხოვრობდა, ვისი ამოჟლეტაც კათოლიკეებმა ვერ შეაჩერეს.

თქვენ სწორად შენიშნეთ, რომ ეს ჩვენი ისტორიის დიდი და შავბნელი თავია. მნიშვნელოვანია, რომ ჰოლოკოუსტი ქრისტიანთა მიერ კი არა, ანტიქრისტიანთა მიერ იქნა მოწყობილი და, მეტიც: ქრისტიანობის ამოძირკვის მთლიანი გეგმის პირველ საფეხურად იყო ჩაფიქრებული. ამ პერიოდს ჩემი ბავშვობა დაემთხვა. სულ უფრო ხშირად ჟღერდა ფრაზები გაებრაელებული ქრისტიანობისა და ქრისტიანობის მიერ გერმანთა გაებრაელების შესახებ, განსაკუთრებით — კათოლიკურ ეკლესიასთან მიმართებაში. მიუნჰენში „კრისტალის ღამის“[9] შემდეგ ეპისკოპოსის რეზიდენციაზეც კი მოხდა თავდასხმა. დევიზი ასეთი გახლდათ: „ებრაელთა განადგურების შემდეგ ებრაელთა მეგობრები გავანადგუროთ“. მაშინდელ წყაროებში, „შტიურმერში“, შესაძლებელია უამრავი მასალის მოძიება იმის თაობაზე, რომ ქრისტიანობა, განსაკუთრებით მისი კათოლიკური კონფესია, მიიჩნეოდა ებრაელების მიერ ძალაუფლებაზე პრეტენზიის განცხადებად, როგორც ამბობდნენ, „გერმანული რასის გასემიტების“ მცდელობად; ებრაელთა საბოლოოდ ამოსაძირკვად ერთ მშვენიერ დღეს მანამდე არსებული ქრისტიანობის უარყოფამდეც მივიდო-

[9] „კრისტალის ღამე“ ან „მინის მსხვრევის ღამე“ — ასე უწოდებენ ისტორიაში 1938 წლის 9-10 ნოემბრის ღამეს, როდესაც ნაციონალ-სოციალისტებმა მიუნჰენში სასტიკად დაარბიეს ებრაელი მოსახლეობა.

და საქმე, რათა ჰიტლერის მიერ გამოცხადებული „პოზიტიური ქრისტიანობა“ დამკვიდრებულიყო.

ის გარემოება, რომ ჰიტლერის მიერ ებრაელთა განადგურება შეგნებულად ანტიქრისტიანულ ხასიათს ატარებდა, ძალზე საგულისხმოა. ის ფაქტი, რომ ამ დანაშაულზე პასუხისმგებელნი მონათლული ადამიანები არიან, არაფერს ცვლის. მართალია, „ესესი“ ათეისტებისაგან შემდგარი დანაშაულებრივი ორგანიზაცია გახლდათ, მისი წევრები მაინც მონათლულნი იყვნენ. ჩვენ ვერ უარვყოფთ იმას, რომ ეს დანაშაული დიდწილად ქრისტიანულმა ანტისემიტიზმმა შეამზადა. ამგვარი განწყობა არსებობდა საფრანგეთში, ავსტრიასა და პრუსიაში და ეს ნაცისტურ დანაშაულთა შემამზადებელ ნიადაგად იქცა. ეს გვაძლებს საბაბს, გამუდმებით გადავამოწმოთ ჩვენი სინდისი.

აქვთ თუ არა ებრაელებს კვლავაც ისეთივე დიდი მნიშვნელობა მსოფლიოს მომავლისათვის, როგორც ეს ბიბლიაშია მოცემული?

ზუსტად არ მესმის, ბიბლიის რომელ მონაკვეთს გულისხმობთ. ისინი ნებისმიერ შემთხვევაში ღვთის გამოცხადების პირველი მოწმენი არიან; ხალხს, რომლის წიაღშიც ბიბლიური ისტორიის უდიდესი ძირეული ფაზა განხორციელდა, მსოფლიო ისტორიაში უდაოდ ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასე მცირერიცხოვანი ერი ამინდს ვერ შექმნის. მაგრამ, ჩემი აზრით, ყველა ეპოქაში, განსაკუთრებით კი დღეს, ნათლად ჩანს, რომ ამ ერს რაღაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და რომ მსოფლიო ისტორიის დიდი ძვრები თითქმის მუდამ სწორედ მასთანაა დაკავშირებული.

ახალი საეკლესიო კრება?

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვატიკანს გარეთ უკვე კარგა ხანია, რაც დიდი საეკლესიო კრება მიმდინარეობს. ხდება რელიგიური ფასეულობების გადასინჯვა, მათი უარყოფა ან მათთვის ახალი საზრისის მინიჭება. იქნებ საჭიროა ვატიკანის მესამე კრების მოწყობა, რათა ეს პრობლემები გაირკვეს და ახალი გზები იქნას დასახული?

ახლო მომავალში ამას არ ვისურვებდი. ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგითხრობთ. პაკისტანის კარდინალმა კორდეირომ მომახსენა, რომ სინოდის საბჭოზე ვიღაცას განუცხადებია, ვატიკანის მესამე კრების მოწყობაა საჭირო. იქ დამსწრე კარდინალმა დიორფლერმა შეშფოთებით აღაპყრო ხელები ცისკენ და წამოიძახა: „Not in my lifetime!“[10] მისთვის ცხოვრებაში ერთი კრების გამოცდილება საკმარისზე მეტიც კი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, დარწმუნდა, რომ ასეთი მოვლენები მხოლოდ დიდი ინტერვალის შემდგომ შეიძლება განმეორდეს.

ფაქტია, რომ საეკლესიო კრება მთლიანად თავდაყირა აყენებს ეკლესიას, როგორც ინსტიტუციას და მის შედეგებთან შეგუებასა და დამშვიდებას დიდი დრო სჭირდება. ვატიკანის მეორე კრებაც ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ „მოგვინელებია“. მესამე კრების დანიშვნა გამოსავალს სულაც არ წარმოადგენს.

სამაგიეროდ, რეგულარულად ტარდება საეპისკოპოსო სინოდები. ვფიქრობ, ეს ბევრად უფრო ზომიერი, რეალისტური ღონისძიებაა, რომლის დროსაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეკრებილი ორასამდე ეპისკოპოსი ეკლესიის მდგომარეობის გაანალიზებასა და მოგვარებას ცდილობს. დღეს მსოფლიო კრება ისეთ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიიღებდა, რომ თუნდაც ამის გამო თითქმის შეუძლებლად მესახება მისი მოწყობა. საამისოდ მოგვიწევს სამი-ოთხიათასი ეპისკოპოსის მოწვევა. ეს ისეთი რაოდენობაა, რომლის პირობებშიც აზრთა ნამდვილი ურთიერთგაცვლა, ნამდვილი დიალოგი შეუძლებელია. სასიკეთო გადაწყვეტილებები ხომ შინაგანად უნდა იქნას შემზადებული. საეკლესიო კრება არ წარმოადგენს რაღაც Deus ex machine[11]-ს, რომლის დროსაც ავტომატურად მიიღება აუცილებელი გადაწყვეტილებები, რის შემდეგაც

[10] (ინგლ.) „ვიდრე ცოცხალი ვარ, არა!“

[11] (ლათ.) „ღმერთი მანქანიდან“ — ანტიკური თეატრიდან ნასესხები ცნება, აქ: გამოუვალი მდგომარეობის მოულოდნელი მექანიკური მოგვარება.

ყველაფერი მოწესრიგდება. მას მხოლოდ უკვე რეალურად არსებულ გარემოებათა გათავისება და გადაწყვეტილებებად გარდაქმნა ძალუძს. ამიტომაც გვმართებს, მოთმინებით დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, დროთა განმავლობაში საკითხების მომწიფებას და მხოლოდ თავის დროზე მოხდება ყოველივეს სამართლებრივ ფორმაში მოქცევა, დასკვნებისა და ტექსტების სახით ჩამოყალიბება.

ამიტომ არ მგონია, რომ საეკლესიო კრებამ ჯადოსნური ეფექტის მოხდენა შეძლოს. პირიქით, საეკლესიო კრებას, როგორც წესი, მოჰყვება კრიზისი, რომელსაც, რა თქმა უნდა, საბოლოო შედეგად სნეულების განკურნება უნდა მოჰყვეს. დღეს ჯერ კიდევ მეორე კრების შედეგებს ვამუშავებთ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუსულიდან თარგმნა ***თამარ კოტრიკაძემ***

შალვა ბაკურაძე

ღორჯოები; GOBITIDAE; БЫЧКИ

ბავშვობიდანვე ღორჯოების რისხვა მერქვა
მეც ღორჯოს ვგავდი შავი და ხუჭუჭთმიანი
თუ ვინმე ღორჯოს დაიჭერდა
მიაყოლებდა
შაკო დავიჭირეო
შაკო მქვია
მოკლედ ღორჯოებს ჩემსავით არც არავინ იჭერდა და
ვერც ვერავინ იჭერდა
ეზოში ჭიას ვამრავლებდი
მდინარეებში ქვებს ვყრიდი (კაზიავკები რომ მიწებებოდნენ)
პურის სრესვას ძილისწინ ვიწყებდი
ანკესად მუდამ თხილის ჯოხი
ნემსკავად მუდამ ძალზე მცირე
დაჭერითაც მუდამ ყველაზე მცირეებს ვიჭერდი
მეც ღორჯო მერქვა
და ყველა ღორჯოს ვაცოცხლებდი
წყალში ვუშვებდი

ზღვაზეც ყოველთვის ეგრე იყო
სხვები ცურავდნენ
ბანაობდნენ
მე კი ვიდექი ზვირთმჭრელთან და ღორჯოებს ვიჭერდი
საკუთარ თავთან ვსაუბრობდი
ღორჯოებს ვესაუბრებოდი
მათი ენა — არა
მაგრამ
მათი მესმოდა

ჩვიდმეტი წელი გავიდა მას შემდეგ
ჩვიდმეტმა წელიწადმა ჩაიარა ჩემთვის ღორჯოების გარეშე
საკუთარი თავის გარეშე
ჩვიდმეტი წელია ჩემთვის ღორჯო აღარავის დაუძახია
ჩვიდმეტი წელია მათ ჩემთვის აღარაფერი უთქვამთ
ჩვიდმეტი წელია მე არ გამხსენებიან ისინი
მაგრამ წელს
ქობულეთში
როგორც იქნა იქ ვიქირავე ბინა სადაც მსურდა
სადაც კინტრიში ერთვის ზღვას
გული მიგრძნობდა სადმე მანდ უნდა გადავყროდი ჩემს ძველ მეგობრებს
ჩემს პატარა საკუთარ თავებს
თითქოს „ადნაკლასნიკში“ მიპოვნეს და ლინკი დამიგდეს
აი ზუსტად აქ გვიპოვნიო
პირველივე დღეს მივაკითხე მდინარის შესართავს
ასიოდე მეტრიდან ვიგრძენი მათი იქ ყოფნა
მეღორჯოვენიც იქ იყვნენ
ქობულეთის ყველა მთავარი მეღორჯოვე იქ იყო

იჭერდნენ ღორჯოებს და
„ყაზბეგის“ ორლიტრიან ბოთლში ახრჩობდნენ
ძალიან კარგი ანკესები ეკავა ყველას
„კატუშკებით“
ღორჯოს დაჭერა თუ გინდათ
თავად უნდა დაემსგავსოთ მეთქი ღორჯოებს
მაგალითიც მივეცი
ტალღებისგან გამორიყული ბამბუკის ნაგლეჯი მოვძებნე
აგვისტოს მზეზე გამომხმარი რთხმელის რტო მოვძებნე
და
იმავე წუთს დავაქორწინე
რთხმელა — ქმარი
ბამბუკი — ცოლი
იქვე მოვძებნე დამტვრეული რადიოლა
ნეკნივით ამოვაცალე ბოლტი
მეღორჯოვეებს ვესესხე
ძუა
ჭია
და ნემსკავი ყველაზე მცირე
ავაწყე ღორჯოებთან სასაუბრო აპარატი
დირიჟორის ჯოხზე უფრო მგრძნობიარე
დავხედე წყალს
შევაქნიე ჯოხი და ორკესტრიც ახმაურდა
15 წუთში დავიჭირე სამოცი ღორჯო
მაგრამ უკვე ვეღარ ვაცოცხლე
მეღორჯოვეებმა ჩამიხრჩვეს ბოთლებში
ჩემი გულიც მაშინ ჩაიხრჩო
იუდასავით მოვექეცი საკუთარ თავს და საკუთარ თავებს

ღამით კი ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს ვიღაც მჭამდა

შავი ზღვის ორაგული; SALMO TRUTTA LABRAX PALLAS;

იმ
ძველ და კარგ დროს
ყველა მეთევზეს ყავდა „ნივა“
მაგრამ მახუტის „ნივა“ ყავდა და „ვილისიც“
მაგას ძაღლიც ყავდა ყოველთვის
შიგადაშიგ კი
მიმინო
ზღარბი
კუ
ერთხელ სულაც დათვის ბელი მოიყვანა
„მალიში“ დაარქვა და საძაღლესთან დააბა
ჯვარზე გააკრა მოკლედ
მესამე დღესვე თავი ჩამოიხრჩო „მალიშმა“
ძაღლსაბელში აიბურდა
გუმისთიპირა ფერდობზე დავმარხეთ
მხოლოდ კოტიკომ შეძლო ტირილი
— მალიშ მალიშოო

ჩასძახოდა საფლავში
კოტიკოს ამბავს მოგიყვებით

ბავშვობაში ხშირად ვთამაშობდით თევზობანას
მე ხომ ისედაც ღორჯო ვიყავი
ჩემი ძმა, მასე, წვერა იყო
იურა — კეფალი
კოტიკო კი ორაგულობას იბრალებდა
მამამისიც უდასტურებდა „შენა ხარ ჩემი ორაგულიო“
ერთ მშვენიერ დღეს კოდორზე დაუჭირა კიდეც
მოუყვანა
ხელში ააყვანინა
და მერე მეგობრებთან ერთად შეჭამა.

მამა კოტიკოს ორაგულად თუ არა
საკუთარი თავის საუკეთესო ვარიანტად ზრდიდა
დაყავდა ბოქსზე
აკითხებდა „ვეფხისტყაოსანს“ (მეოთხე კლასში)
უყვებოდა ათასნაირ ყურმოკრულ ამბებს თევზებზე და ტყის არსებებზე:
ხუთი წლის წინათ პირისპირ როგორ შეეჩეხა
უკანა თათებზე შემდგარ უზარმაზარ დათვს
როგორ იღრიალა
და შიშისგან როგორ მომენტალურად აეშალა კუჭი ორივეს
როგორ ეფერებიან ერთმანეთს მაგიდისხელა ორაგულები კოდორში
ქვირითობისას
ამ დღეს თურმე ლათელი მეგრელები
მთელი წელი ელოდებიან
ადგილებიც წინასწარა აქვთ შეგულებული
ჩიტებივით შემოსხდებიან მდინარისპირა რთხმელებზე
ხელში ბარჯებით
და ზუსტად ორგაზმის დროს (ამ დროს თურმე ორაგულები ბრმავდებიან
ყრუვდებიან
ნირვანაში გადიან
და სიცოცხლის ყველანაირ სურვილს კარგავენ)
ახტებიან თავზე თევზებს.
მაგრამ კოტიკომ რა იცოდა ორგაზმი
მაშინ

მერე როცა წამოვიზარდეთ თევზები
ჩვენც გავმეთევზდით
ერთხელ ორწყალში შუაღამით ვითევზავეთ გუმისთისპირა ჩანჩქერის ქვეშ
სამი ბიჭი
სამი ფარანი
ღორჯო, წვერა, ორაგული,
სამი ფარანი.
ხის საცალფეხო ხიდიდან მხოლოდ ფარნის სამი მთვარე ჩანდა
სამი საგანგებოდ გაწვრთნილი ჭია სამ ნემსკავზე
ხელში ძუა
და სუნთქვაშეკრული მოლოდინი
ვინ იგრძნობს პირველი თევზის გულისცემას საჩვენებელ თითისგულზე
მერე კოტიკომ დაიძახა „ვაი“

და წყალში ჩავარდა
ჩვენც შიშისაგან ჩაგვიცვივდა წყალში ფარნები
სამივე მთვარე ჩაგვიქრა და
ავტეხეთ ყვირილი „გვიშველეთ, გვიშველეეთ“
კოტიკოც იგივეს იძახდა ხიდისქვეშიდან
ოღონდ ყოველი მარცვლის შემდეგ „ბულ-ბულ“-ს აყოლებდა
უცებ ტყიდან ფაჩუნის ხმა მოგვესმა
სუნთქვა შევიკარით
ვაითუ მგელი
ვაითუ რაღაც კიდევ სხვა...
მერე ნელ-ნელა ორი შუქი გამოჩნდა
მტაცებლის ორი თვალივით
ჩვეულებრივზე ბევრად მაღალი (იქნებ შიშისგან მოგვეჩვენა კიდეც)
წვეროსანი ჭაღარა რუსი გამოვიდა ტყიდან
ერთ ხელში სანთელი
მეორე ხელში ორლიტრიანი მანათობელი შუშის ქილა ეჭირა
ჩვენ არც შეგვიმჩნია
ხიდზე დადგა
წარმოთქვა „ВО ИМЯ ОТЦА И СЫНА И СВЯТОГО ДУХА“
შუშის ქილას თავი მოხადა და
იქიდან ათასობით ციცინათელა ამოფრინდა
არცერთს ხმა არ ამოგვიღია
რუსი უსიტყვოდ ისევ ტყისკენ შეტრიალდა
მაგრამ ჩვენ უკვე ვხედავდით ერთმანეთს
კოტიკოსაკენ ჩავიხედეთ და დავინახეთ
როგორ იდგა წყალში რაღაც მისი მსგავსი
და ხელში ახალშობილივით ეჭირა მთვარისფერი ორაგული.

ასეა ეს

ბარაბული (ხონთქარა); MULLUS BARBATUS BARBATUS; БАРАБУЛЬКА

ვის უნდა ვენდო საბოლოო წუთს?
ვინ გამიძღვება საბოლოო გზაზე?
სიბნელის ზღვაში ვინ იქნება ჩემი გზამკვლევი?

ზვირთმჭრელიდან უკანასკნელად ჩავყოფ შიშველ ფეხისგულებს მლაშე წყალში
უკანასკნელ ნემსკავს გავქლიბავ
უკანასკნელად მოვაბამ მიდიის ხორცს
ძუას მოვქაჩავ
და უკანასკნელ თევზს გავყვები
ჩემსავით მკვდარ თევზს.

ის არასოდეს ამოხტება წყლიდან
აღსარებას არ მომთხოვს
ცოდვებს არ შემინდობს
გაცოცხლებას არ შეეცდება
ის ჩემსავით მკვდარი იქნება
მოკვდება ჩემთან ერთად.

კეთილშობილი სოხუმელი მეანკესე იური პავლოვიჩი მამაჩემის ძმაკაცი გახლდათ
ის წარმოუდგენელი წარმატებით იჭერდა შავი ზღვის თითქმის ყველა ბინადარს
კაფალს — არასოდეს 10 კილოზე ნაკლებს
კალიუჩკას — რამდენიც უნდოდა
კატრანს — ერთხელ 6 ერთად დაიჭირა (საერთო წონა მგონი 70 კილომდე)
მაგრამ მისი სიყვარული ბარაბული იყო
ეგენი ძველი დიოსკურიელები არიანო
ჩაძირულ ქალაქში ცხოვრობენო
და ერთადერთი ნატვრა ის აქვთ
რომ როგორმე ისევ ხმელეთს დაუბრუნდნენო
მასწავლიდა:
ქალაქელის დაჭერა თუ გინდა
ქალაქურად უნდა მოექცეო
სატყუარა ცხვირწინაც რომ ეგულებოდეს — პირს არ დააკარებს
ყველა ქალაქელივით ზარმაცი თევზიაო
ნელ-ნელა უნდა გააჩოჩო და თევზი იფიქრებს:
დროა შევჭამო თორემ საუზმე გამირბისო
სწორედ მაშინ უნდა ამოიყვანო ბარაბული
და სოხუმის მიწაზე დაასვენოო.

აბა სადაა ჩემი მიწა?
სატყუარასაც არვინ მიგდებს
რომ დავეხარბო.

ან მე რა მეთქმის?
თავად იური პავლოვიჩი კრასნოდარის მიწაში წევს
ბალახს ზრდის იქაურს

ბარაბული
ხონთქარა
ძველი ბერძნები კილო თევზს კილო ვერცხლში ცვლიდნენო
მე კი კილო გვამს კილო მიწაში გადავცვლიდი
ოღონდ ჯერ არა
მერე ალბათ
როცა მოვკვდები

ქაშაპი; SQUALIS CEPHALUS; ГОЛАВЛЬ

მახსოვს თავის დროზე სასაცილოდაც არ გვეყო
როდესაც ერთ-ერთმა მეთევზემ (მარგალ კოჩმა)
ამ თევზს ქაშაპი უწოდა
დიდხანს ვღადაობდით:
ქაშაყის და ვეშაპის ნაჯვარს მეგრულად ქაშაპი რქმევიაო

ჩვენ „გალავჩიკს“ ვეძახდით
მეგობარი იყო
ფაქტიურად

მახსოვს ლექსიც დავწერე:
„ორმოცი ბუზი უნდა იკისრო

ჭამა თუ გიყვარს გალავჩიკისო“
ანდაზაა თითქმის

ბუზის დაჭერასაც ცოდნა უნდა
და ამ საქმის პროფი ჩვენს საძმაკაცოში ანზორი იყო მამარდაშვილი
მატსახელად „ბუზი“
თევზაობის არაფერი გაეგებოდა
მაგრამ ჭამა კი უყვარდა
ნამეტნავად
გალავჩიკის — განსაკუთრებით
მისი ხათრით სულ ლურჯტრაკა ჩასუქებულ ბუზებს გვიჭერდა ხოლმე
ნახევარლიტრიანი შუშის ქილით მოგვართმევდა
და
ჩვენც მივდიოდით სოფელ მერხეულში
მდინარე მაჭარკაზე სათევზაოდ.
ჩვენი არსენალი იყო:
გადასაბმელი ბამბუკები
ძუა — რომელიღაც ნომერი
შამპანურის საცობისაგან გამოთლილი
შიგგულშიასანთისღერგაყრილი ტივტივები
მუცელგამობზეკილი ნემსკავები
და რაც ყველაზე მთავარია
კოჭებთან ჩოგბურთისბურთმიხატული კედები

მდინარეზე უამრავი მცირე
მაგრამ საკმაოდ ღრმა მორევი იყო
ჩვენი წარმატებული თევზაობის და
ანზორის გემრიელი ვახშმის გარანტი

ჩემი მამიდაშვილი ავთო
ანკესის წყალში ჩაგდებამდე
წაუჩურჩულებდა ნემსკავზე გამობმულ ბუზს:
ბუზო ბუზი მშიერი არ დაგვიტოვოო
რა გამოლევდა მაჭარკაში გალავჩიკს

ერთხელ ისეც მოხდა
რომ ავთომ ორი ნახევარკილოიანი თევზი დაიჭირა
ადრე მაქსიმუმ 200-გრამიანებს ვიჭერდით
(ეტყობა შელოცვამ გაამართლა)
ჰოდა ავდექით
სანაპიროზე კოცონი დავანთეთ
შამფურებზე წამოვაგეთ თევზები
შევწვით და იქვე შევჭამეთ
სახლში დაბრუნებულებმა ეს ამბავი ბუზის ვუამბეთ
ისე ეწყინა რომ სულ ბებიები გვიგინა
აწი ბუზებს კი არა
ამ ჩემს იმას დაგიჭერთო
ბლიად (მიაყოლა)
მერე ომიც დაიწყო
და ყველამ ერთად დავიჭირეთ ის
რასაც ბუზი გულისხმობდა.

ნოსტრადამუსი იყო ფაქტიურად
ეგ ვეშაპის და ქაშაყის ნაჯვარი ეგა

ხამსა (ქაფშია); ENGRALULIS TNGRASICOLUS; ЕВРОПЕЙСКИЙ АНЧОУС

რომელმა სოხუმელმა თქვა?
„ხამსა ნე რიბა, გრეკ ნე ჩელოვეკ“
ვინ თქვა ეს სისულელე პირველად?
ვინ?
ვიცი
მე რომ არ მითქვამს
და თითქოს ამით ბედნიერიც ვარ

ვის წამოცდა?

ბერძნები იყვნენ პირველები
ვინც აფხაზეთის ომის დაწყებამდე გაერიდნენ სოხუმს
მწარე ღიმილით ტოვებდნენ უძველეს სამშობლოს
ქართველების და აფხაზების კამათზე ეცინებოდათ მწარედ
ბერძნულ მიწას და ზღვას რომ ვერ ვიყოფდით
და ქალაქს
უზარმაზარი ელინური გულით

ბერძნები წავიდნენ
„ხამსა“ კი ყოველ წელს ბრუნდება
ყველა წასულის ნაცვლად
და განსაკუთრებულად მათი
ვისაც ეს ქალაქი დაარსების შემდეგ არ დაუტოვებია

„მე მყავს ბერძენი მეზობელი“
„მე რომ მიყვარს, ის გოგო ბერძენთან დადის“
ბერძენი უყვარდა ჩემს პირველ სიყვარულს
ფეხბურთელი იყო
ყველაფერში მჯობდა
გარეგნობაშიც
მაღალი და ტანადი
დამთმობი და კეთილშობილი
და რაც მთავარია
სიგიჟემდე უყვარდა ეკა
ჩემი პირველი სიყვარული
პირველი უძილო ღამის ფიქრი

„ხამსა კი ნაპირზე იყო გამოსული“
იქნებ რამის სათქმელად?

მერე ომში წავედი
ავტომატიანი ყლე გავხდი
გავხდი
და ზვირთმჭრელიდან (ვალნარეზ) ჯერით ვხოცავდი „ხამსას“

ფუ ბლიად
ბერძნები უკვე წასული იყვნენ

ისიც წავიდა
ისიც

ეკა ვიღაც თბილისელს მითხოვდა
ჯარისკაცს თუ ნარკომანს
ზუსტად არ მახსოვს
მაგრამ ისიც მჯობდა
ჰო მჯობდა
რახან ეკას თავი შეაყვარა — მჯობდა

მე კი სიმწრისგან „ხამსას“ ვხოცავდი
მთელ მჭიდს ვცლიდი ზვირთმჭრელიდან
მერე ზღვაც შემძულდა
და შემძულდა ყველა თევზი
ვინაც მშვიდი ცხოვრება აღმითქვა

ეს ცოდვა ალბათ უკვე შემინდეს
მეპატია
მეპატია
მეპატია
ალბათ

УХА — РУССКОЕ НАЦИОНАЛЬНОЕ ЖИДКОЕ БЛЮДО

სრულიად რუსეთის სიამაყე უხა
თავად რუსების მოსაზრებით
ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნის ხელნაწერებშია ნახსენები
„Аще сливы обрашуться, съварать и ты и почерпають и тхъ оухоу“
საბჭოთა მეცნიერები მისი სახელწოდების წარმოშობას
უკავშირებენ ინდოევროპულ ფუძეს „ჯუს“
თუმცა მათი მოსაზრებები ხელს ვერ შემიშლის
გიამბოთ
უხას წარმოშობის ჩემეული ვერსია

ძველმონღოლური მითოლოგიის მასალებზე მუშაობისას
ერთ საინტერესო ლეგენდას გადავაწყდი:

„ყველაფერი წყლიდან დაიწყო
ყველაფერს წყალი დაასრულებს
ყველაფერს

თავდაპირველად იყო ბაიგ(კ)ალი
მან შექმნა ცა და ცამ ჩაიხედა მასში
სულპირველად ცამ ბაიკალის მხოლოდ გამჭვირვალობა დაინახა
და მიიღო მისი ფერი
გალურჯდა
მეორეჯერ ჩაიხედა ცამ ბაიკალში

დაინახა მისი ფსკერი
და მოიღრუბლა
მესამეჯერ უკვე ღრუბელმა ჩაიხედა ბაიკალში
შეუყვარდა და დალია
ასე დაიბადა წვიმა“

მოგვითხრობს ბურიატული ლეგენდა

ძველმონღოლთა რწმენით სამყაროს „ეძენები“
იგივე „ნოიონები“
იგივე „ხანები“ განაგებდნენ
წყალსატევთა ღმერთებს კი „ლუსუნ-ხანები“ ერქვათ
მათ შორის ყველაზე ძლევამოსილი უხა-ლუსუნ-ხანი
ბაიკალის ფსკერზე ცხოვრობდა
ჰქონდა თეთრი და უგრძესი წვერი
სამოსელი სპეტაკი
ღრმა გული
და ვერცხლის სრა-სასახლე.

სიტყა „უხა-ლუსუნ-ხანი“
ქართულად ითარგმნება
როგორც
„წყალთაგამრიგეს სული“
აქედან „უხა“ სულს ნიშნავს

მივყვეთ ლეგენდას:
„წვიმამ ბაიკალს ცა ჩამოუყვანა
ხანღრუბლიანი და ხანლურჯი
ხანშეუყვარდათ ერმანეთი — ხანშეძულდათ
ხანიქორწინეს — ხანუფროიქორწინეს
შეეძინათ მიწა (მხოლოდშობილი)
მიწამ შვა ბალახი
არცლურჯი-არცღრუბლფერი
არცმამასგავდა-ხანმიწასგავდა
მერე იყო აქლემი
მშობელიჭამა და მშობელისვა
შვა ბაბა
დიდი ხანის წინაპარი“ (იგულისხმება ჩინგის ხანი)

საფელ ტორიში (რუსეთი, ბურიატია, ტუნკინის რაიონი)
დღემდე ტარდება მსვერპლშეწირვის რიტუალი
ამ დღეს
ბაიკალის ტბაში ყრიან ყოველგვარ საკვებს
ან სულაც საყოფაცხოვრებო ნივთებს
(ტანსაცმელს, თეფშებს, მაგნიტოფონებს)
იჭერენ თევზებს
ხარშავენ
ჭამენ

„შიოდა ბაბას — ბაიკალმა შექმნა თევზი და აჭამა
შეცივდა ბაბას — ბაიკალმა გახადა აქლემს და შემოსა

ცოლი ისურვა ბაბამ — ბაიკალი შეწუხდა
წვიმაზე მიუთითა
ის გიპოვნოსო სასძლოს
ღრუბელზე მიუთითა
მან უკეთ იცისო
ცაში აახედა
მისი ბრალიაო ყველაფერი

განრისხდა წვიმა — მთელი წელი იდინა
გაშავდა ღრუბელი — მიწის ფერი დაედო
ჩალურჯდა ცა — დაკრიფა ვარსკვლავები
ბაიკალში ჩაყარა
გული აუდუღა

შეშინდა ბაბა
ცრემლი ჯერ არ იყო გაჩენილი
რომ ეტირა
ხმა ჯერ არ იყო გაჩენილი
რომ ეღრიალა
სიკვდილი ჯერ არ იყო
რომ მომკვდარიყო

მდუღარე ბაიკალთან მივიდა
მოხარშული თევზი დაინახა
ჭამა
თქვა: უხა-ლუსუნ მაპატიე
გაძღა
ბაიკალის წყალი დალია
თქვა: უხა-ლუსუნ მაპატიე
წყურვილი მოიკლა
ბაიკალის პირას დასახლდა
თქვა: უხა-ლუსუნ შენთან მინდა
განიწმინდა

ესეც თქვენი უხა
გაამოთ

მახუტი

აი ახლა ვზივარ და ვიხსენებ იმ ჩვენებურ მეთევზეს
რომელსაც სოლიდური თევზი დაეჭიროს და მერე გაეშვას
არც ერთი მსგავსი შემთხვევა არ მაგონდება
გარდა ერთისა
კოდორზე ვთევზაობდით
მამაჩემი და მახუტი — გასაშლელი ბადეებით
მე და ბავშვები — ბამბუკის ანკესებით
კოდორზე ათობით დასახელების უგემრიელესი თევზი იჭირებოდა
ყველაზე ხშირად — წვერა და ქაშაპი
ყველაზე იშვიათად — ორაგული

ორაგულის
მითუმეტეს დიდის დაჭერა
ყოველთვის დღესასწაული იყო
დაუსრულებელი დღესასწაული
რადგანაც მას ასობით მოყოლილი ისტორია ემატებოდა
და ახლა როდესაც ამ ამბავს ვიხსენებ
ეს გახსენებაც იმ დღესასწაულის ნაწილია -
სკოლაში აღლუმის წინ ნაჩუქარ პატარა დროშა გავს
შემთხვევით რომ ვიპოვე კარადაში

როდესაც თევზი გვემალებოდა
მდინარის ტოტებში რთხმელის ტოტებს ვაცურებდით
ვეჯიბრებოდით — ვისი გაასწრებდა
როდესაც ბადეში თევზი აფართხალდებოდა
ისევ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით
ვინ პირველი ამოიყვანდა ბადის ჯიბეებიდან

მახუტის ათასგვარი ტყის სულის სწამდა
მიუვალ ადგილებში დადიოდა სანადიროდ
და მიუვალ სოფლებში იმახსოვრებდა
ბუნებაში მოქცევის წესებს
ერთმა აფხაზმა მითხრაო — დაიწყებდა
ორაგულებს თავიანთი მფარველი სული ყავთო
ერთ-ერთ ირემში ცხოვრობსო თურმე მისი სული
დაწინწკლული ირემიაო
ყველა კარგი მონადირე ადვილად გაარჩევსო სხვა ირმებისგან
გაზაფხულზე უყვარს მდინარესთან გამოსვლა და
ორაგულების საუბრის მოსმენაო
მან იცის მაგათი ყველა დარდი და სიხარულიო
ამიტომ ზოგიერთები სხვებზე მეტად უყვარსო
კარგად იცნობს და იმიტომაც უყვარსო
მათ დაჭერას არავის აპატიებსო
რქებს არ დაყრის მანამ სანამ სამაგიეროს არ გადაუხდისო
ერთიც კიდევ საცოლე ყავსო
საწნახელისხელა ორაგულიო
მისი ასაკი არავინ იცის
ამბობენ დასაწყისიდანვე იყოო
სამჯერ ყავთო თურმე ბზიფზე ნანახი
ორჯერ დაურ ხაშბას
ერთხელ — გივი არახამიასო
მე ახლა ცოცხლებზე გეუბნებიო — მითხრა
თორემ ძველებიდან ბარე ოცამდე მეთევზეს ყავსო ნანახი
გამოქვებულებს აფარებს თავს თურმე
და მთელი ეს დრო ირემი უწიკავსო საკვებს
ფილო ფილფანის ბაბუას დაუჭერია ერთხელ
ბადეში გაეხვა და არც ინძრეოდაო
იმ კაცს თევზი ბადისაგან გაუთავისუფლებია
მუხლებზე დაცემულა
ღმერთის ლოცვა უთქვამს
და პატიება უთხოვია
ხომ იცი 14 და-ძმა ყავდა ფილოს

და მამამისს თორმეტიო — დაამატებდა
წარბს აწევდა
ღრუბლებს ახედავდა
და ბადეს მოისვრიდა
თუ ბადე ცარიელი იყო
მიაყოლებდა:
ის ორაგული თითქმის არასოდეს გადის ზღვაში
ან მხოლოდ იმიტომ რომ
მდინარიდან მდინარეში გადავიდეს
ახლა ეტყობა სხვა მდინარეშია
მერე ისევ წარბს აწევდა
ბადე კბილებში და...

იმ დღესაც ეს „პლასტინკა“ დაატრიალა
თევზის ჭაჭანება არ იყო ახლომახლო
ორაგულს ვინ ჩივის
წვერა და ქაშაპიც ვერ დავიჭირეთ
მახუტის წარბი წუთითაც არ დაუწევია დაბლა
და უთევზობის მიზეზად ისევ ის ორაგული მოიყვანა
დაურ ხაშბადან დაიწყო და
ფილფანების გენიოლოგიას გადაწვდა
მერე ირემიც გაიხსენა
„შარშან ვნახეო ფსხუში ეგ ირემი
ეგრევე ვიცანი და თოფი არც დამიმიზნებიაო“
არ ვიყავით ის ჩიტები ეგ ზღაპარი დაგვეჯერებია
მახუტიმ მკაცრი სახე მიიღო
თვალები აათამაშა
და ზუსტად ეს თქვა ყველას გასაგონად:
„ა გეუბნებით ახლა მე თქვენ
ის ორაგული კოდორშია შემოსული და სადღაც აქაა
მე თქვენ გეუბნებით
მაგიტომაა თევზი რომ არაა
მაგისი ეშინიათ“
ამის თქმა და მამაჩემის ჩაბჟირება ერთი იყო
ჩვენც გვინდოდა გაგვეცინა
მაგრამ მახუტის შეგვეშინდა
თვალებიდან ნაპერწკლები ცვიოდა
(ხელმოცარულ მეთევზეზე საცოდავი ადამიანი ვინაა
უკანასკნელ ხავსს რომ ეჭიდება და
უკანასკნელად და უიმედოდ რომ ისვრის ბადეს
ან ანკესს)
მერე შემოტრიალდა
ბადე მხარზე გადაიგდო
მდინარისპირას დადგა
კისერი მოატრიალა
გამოგვხედა და
ამღვრეულად წაილუღლუღა:
ახლა თუ ვერ დავიჭირე ის თევზი
მე არ ვყოფილვარ მახუტი კემულარიაო

ბადე მდინარეში ისე ბორგავდა
როგორც საბანი ქორწინების პირველ ღამეს

იგრიხებოდა
მერე რომელიმე ერთი მიმართულებით იწელებოდა
მერე ისევ ბორგავდა
და ყველაფერი თავიდან...

მახუტი გაყინული სახით იდგა და ბადეს ეჯაჯგურებოდა
დანარჩენებმა ვერც გავიაზრეთ რა მოხდა
ვიდექით და ვუყურებდით
მერე ბადე უცებ დამშვიდდა
გაყინული სახითვე გამოგვხედა მეთევზემ
თავლებით გვაგრძნობინა — თევზი გაიქცაო
თევზი იყო თქო — ვკითხე
აბა რა უნდა ყოფილიყო შე გამოყლევებულოო — მიპასუხა
ფუ ბლიადო — თქვა და ბადის წყლიდან ამოღება დაიწყო
მოქაჩა თუ არა თოკს -გაშეშდა
კიდევ ერთი მოქაჩა და იყვირა:
თევზი ბადეშია გამოიყვანეთო

ხუთივე ერთად შევვარდით წყალში და ბადეს მოვეხვიეთ
კაი მოზრდილი ორაგული იყო
10-12 კილო მაინც იქნებოდა
მაგრამ მთავარი ის იყო რომ თევზი არ ინძრეოდა
ელემენტარულ წინააღმდეგობასაც არ გვიწევდა
თითქოს ჩვენზე უკეთ იცოდა
წინააღმდეგობას რომ არა აქვს აზრი
ასე სუდარაში გახვეული მიცვალებულივით
გამოვიყვანეთ ნაპირზე ბადეშემოხვეული
მერე ინსტიქტურად მახუტის გავხედე
გაქვავებული იდგა და ტყისკენ იყურებოდა
მეც იქით გავიხედე
ბოლოს ყველამ იქით გავიხედეთ

ნაკადულის პირას იდგა უზარმაზარი ირემი და ჩვენსკენ იყურებოდა

DISEASES OF FISH

ყველა მთევზემ კარგად იცის:
„ყველაზე დიდი თევზი იქაა სადაც ჩვენ არ ვართ“
ყველაზე დიდი სიხარულიც ჩვენს გარეშე არსებობს
და სანამ ცოცხლები ვართ — სიკვდილიც შორსაა

როცა ვიხსენებ
რამდენჯერ დამიჭირა სიკვდილმა და უვნებლად გამიშვა
ვხვდები
ადამიანზე მიმტევებელი ყოფილა
ის
სიკვდილი
ჩვენზე სულგრძელი
ჩვენზე შორსმხედველი

ფოკას მონასტერი
მონაზვნების მეგობარი კალმახები
მათი ხელისგულების მკოცნელი კალმახები

ვრინდავანი
კრიშნას ერთგული თევზები
ვაიშნავების სიზმრებში მცურავი ლოქოები

ფსორიაზიანი ფეხები
მკურნალი ლიფსიტები
და...

ინდური მანუ
ნოეს პროტოტიპი
ბავშვობაში გაშვებული თევზი რომ ვეშაპად დაუბრუნდა
და წარღვნის დროს ზურგით ატარა
ის და მისი ოჯახი

ყველა მეთევზემ კარგად იცის:
ყველაზე დიდი თევზი მის დაბადებამდე რომ შეჭამეს
ზოგს წაუკითხავს კიდეც
ვოლგაზე დაჭერილი 800 კილოიანი ბელუგა 150 კილო შავი ქვირითით
ბიბლიური ვეშაპი იონა რომ გადაყლაპა
ან ბათუმის მუზეუმში შენახული „შავი ზღვის ვეშაპის“ ჩონჩხი
შავი ზღვის ვეშაპი
ვერავინ რომ ვერ გაუბედა შეჭმა
ჩაქვში
1880 წელს
მაისში

ზოგი მეტყვის
განა ვეშაპი თევზიაო?
გიპასუხებთ:
ის იმ ადამიანს გავს მიწიერს რომ განერიდა
და წყალში სუნთქვის შეკვრა ისწავლა
უკაპიტნო და უმეზღვაურო წყალქვეშა ნავს გავს
საბოლოოდ რომ ისევ ხმელეთს უბრუნდება.

ყველა მეთევზემ კარგად იცის:
ადამიანსაც რომ ყავს პატრონი
ვერ ხედავს და სახელს ვერ არქმევს
მაგრამ...

იყოს მისი სახელი „მიტევება“
იყოს მისი სახელი „ვითარცა ჩვენ მივუტევებთ“
იყოს ჩვენი პასუხი:
ამინ

ნიკა ჯორჯანელი

* * *

მზე ჩადის. დაჰკრა არემარეს მწარე ნიავმა.
ოდნავად ჭირხლი მოეკიდა ფანჯარას, გრაფინს.
ტბას ჟრუანტელმა დაუარა ფსკერზე იანვრად,
მოაგდებინა ნაპირებთან თხელ-თხელი ქაფი.
სერზე წკავწკავი შეუქმნია ნაგაზს დამშეულს.
მობოშდა ჭალა. აშრიალდნენ ჩუმად ფოთლები.
და იმდაგვარი განწყობაა, თითქოს გარშემო
გატყდნენ თხევადი მწუხარებით სავსე ბოთლები.
ღამე ნელ-ნელა, განუხრელად იჭერს თადარიგს.
ყოფს თავს სახლიდან ლოკოკინა. კრთება ლერწამი.
ვახშმობის დროა. კალოებზე მაინც აქა-იქ
გახურებული მანქანებით ჯერ კვლავ ლეწავენ.
ყანების თავზე, შეწყობილად და ულაღესად,
უწონო ბორბლად ფრინველების მიგორავს გუნდი.
და დაკვირვება რამდენადმე ავსებს ხალისით
ლანდშაფტს რკინიგზით, თავისთავად საკმაოდ უნდილს.
ღრუბლები თითქოს ზღვაოსნობის მთელი წარმტაცი
ისტორიიდან აშვებული იალქნებია,
და მთები თითქოს იგონებენ მწყემსებს გარდაცვლილს,
და ბილიკები კიდევ უფრო იკლაკნებიან.

მზე ჩადის. ზვრების, ქოხმახების, ხრამების ჩავლით.
სვამს საჰაერო ხაზებს შორის ნოტებს ფრთებიანს.
ჩადის. და შავი კლავიშები რჩებიან შავი,
ხოლო თეთრები გამალებით იისფრდებიან.
მიდამო ჩასვლას ვერ გაურბის მზისას ვერსაით
და ერთმანეთის მიყოლებით კარგავს უნარებს.
შესცივდათ ქალებს და იმავე სიცივესავით
უწყებს შეღწევას ხერხემლებში ბინდის კურარე.
მზე ისე უმზერს დედამიწას, მის დასვრილ ცხვირ-პირს,
როგორც ოსტატი დამაშვრალი შეგირდს ბედოვლათს.
დღე სიგიჟიდან, როგორც ბრბოდან, გადის და მირბის.
მირბის ქოშინით. მირბის უკანმოუხედავად.
უქმი ფიქრები ერთხანს კიდევ იზოზინებენ,
თუმც უკვე თითქმის ჩაილულის წყალი დალიეს.
და უსაშველო სიყვარულის ილუზიები
ესწრაფებიან ფორთოხლისფერ ცის დასალიერს.

იფშვნება შუქი, იქსაქსება, უჩინარდება.
შემდეგ ცოტა ხნით გაჩერდება ხიზნად თვალებში.
შემდეგ თვალებსაც გაუქრებათ მისი ნათება
და ერთი რამღა ენდომებათ თავებს: ბალიში.
ღამე ჭრიჭინით შეასრულებს საკუთარ ჰიმნებს,
მარტივს, ძველებურს, ძველებურად უცხოს და ურკვევს,
კვლავ აღმოჩნდება სხვადასხვაგან მრავალი ვინმე,
მზე არასოდეს არ ამოვა ვისთვისაც უკვე.
ნივთები მეტად გაამხელენ ერთურთთან კავშირს,

მეტი ყუჩილით იყუჩებენ სასაფლაონი,
და ბოლოს ღამეც დაიძინებს საკუთარ თავში —
ხელდაკრეფილი, როგორც ბერი ან ფარაონი.

იფშვნება შუქი, ველარ იბრძვის, ბრძოლას უარობს.
მზეს მჭკნარი ვარდის ფურცლებივით სცვივა სხივები,
უკვე სრულიად დავრდომილი და უუნარო,
ველარც გამჭოლი, ველარც თბილი, ველარც ირიბი.
ბაჯაღლო ოქროს ნაგავივით ჰორიზონტს იქით
მიაქვს მოკლული ოცნებები ნიავქარს მჩატეს,
და კლდეზე ხვლიკი გაირინდა თითქოსდა ფიქრით,
რომ მზე მთვარეზე მწუხარეა, როდესაც ჩადის.

მზე ჩადის. ჩადის. და უმღერე მთელი არსებით
მას, ვის ნებასაც იგი ისევ ამოეყვანა
დღეს დილით უკან, ჩამავალი გუშინ ასევე,
სამარადისოდ უარეყო თითქოს ქვეყანა!

2009

SOTTO VOCE*

სუნია ძველი ოთახის.
და ამ ოთახში ვრჩები.
მთქმელიც მე ვარ, და მოძახილს
თავს ვეუბნები მევე.
ყოფილიყავი მხოლოდღა
მაყურებელი ჩემი.
მსმენელი გინდა მყოლოდა,
გინდ არ მყოლოდა მერე.

ძახილს ეცემა დამბლა.
ხმას ეკარგება ნახმევი.
ჭერი მოიწევს დაბლა.
და ჰაერია მიწურის.
გარს კედლებია ყუჩი,
და მათი თავბრუდამხვევი
ყუჩილისაგან ყურში
ლითონის ქარი მიწუის.

ვხდები სულ უფრო სასრული.
როგორც მელოტი თოჯინა,
მომშტერებია წარსული.
ცხოვრების არსი ვლინდება
ძველი ონკანის სლუკუნში.
და ფანჯარაში მოჩინარ
უკიდეგანო უკუნში
დღე სანთელივით ინთება.

* SOTTO VOCE – (იტალ.) ხმის დაწევით, ნახევარხმად

ძლივსღა აღვიქვამ დღის შუქს.
სისხლი მოძრაობს ფორთხვით.
ალბათ, საკმაოდ პირქუშ
სახეს ვღებულობ თანდათან.
თითქოს ყინვაში პირიდან
აღარ ამომდის ორთქლი.
თითქოს ჩემ შიგნით თბილი და
ლამაზი ფილმი დამთავრდა.

და მარტოობა, რომელიც
ბოლომდე შევისისხლხორცე,
ტკივილებს დაუცხრომელი
საქმოსანივით ითვლის.
სანამ სიკვდილი ყვავილით
ხელში დგას. სანამ სიცოცხლე
მობერებული ქალივით
ეკეკლუცება სიკვდილს.

2010

წიაღსვლები

I

მზე მიჩლახუნებს ქუჩაში.
სხივებს, როგორც ყავარჯნებს,
ისე ჩაჰბღაუჭებია.

II

ისეთი სინათლეა,
თითქოს განათებული კი არ იყოს ყველაფერი —
ყვითელი ტყავი გადაჰკვროდეს ყველაფერს.

III

ბოლო რამდენიმე წელია
ლექსებს კომპიუტერში ვწერ.
და პოეზია კაქტუსის მაგივრობას სწევს.

IV

უფულობა ტარაკანივით დარბის ჯიბეებში.
ხანდახან ამოყოფს ხოლმე თავს ჯიბიდან,
გაიხედ-გამოიხედავს და უკანვე ჩაყოფს.

V

ფული შპალერად გაეკრა ცხოვრების კედლებს.
შეიძლება მას სუნი არ უდიოდეს,
მაგრამ უკვე ლამის ფოთლებიც კუპიურების სუნს გამოსცემენ.

VI

სად სიკეთეა და სად — ბოროტება,
მათი ერთმანეთში არევის გამო
იმდენად განურჩეველი გახდა,
რომ, როგორც ჩანს, მტკიცედაა დავიწყებული გემო ნაყოფის,
ხიდან ცნობადისა მოწყვეტილის.
ვინ იცის, იქნებ კიდეც დაგვაბრუნონ ედემის ბაღში.

VII

მომეცით საყრდენი მრავალწერტილი —
და აღარაფერს დავწერ
მოკლე შეტყობინებების გარდა!
ბოლოს კი მათ წერასაც მივატოვებ.

2010

კედლების ცეკვა

ავეჯი აბრკოლებს, გასაქანს არ აძლევს ბინაში სინესტეს.
აპრილი მთლიანად უკანვე წაიღეს მდუმარე მერცხლებმა.
უბერავს ორპირი დაბნეულ ნაყოფად ფანჯრების ინცესტის.
უკაცურ ოთახებს უსულო საგნების ქავილი ეწყებათ.

ობოლი სადგომი კუთხეში მიყუჟულ ქალსავით კანკალებს,
რომელიც, ვისაც კი არ დაზარებია, სუყველამ იხმარა.
არავინ მიჰყვება აქედან წასული ცხოვრების ნაკვალევს,
ცხოვრების, უკვე რომ არც კედლებს გამოღმა და არც მათ მიღმაა.

კარადის უჯრებში წრიალებს ძველმანთა დახშული ხავილი,
ისე, რომ აცქვეტდა პინჩერი ყურებს და კარადას დაჰყეფდა.
პატარა ვაზაში ნელ-ნელა ფესვს იდგამს დამჭკნარი ყვავილი.
ძალიან შორსაა, ძალიან შორსაა ცხოვრება აქედან.

არავინ აჰყურებს ამაო ფანჯრიდან ზეციურ კარჭაპებს.
კარს იქით ბაქანზე თითქოსდა ხორცს წვავენ დაღლილი კელტები.
ყირაზე დამდგარი, ბინაში სიჩუმე თავის თავს აჭარბებს.
ოთახთა ბინდბუნდში ჭაღარა წყვილებად ცეკვავენ კედლები.

2010

* * *

ველარ ტყუვდები — მაშასადამე, ბერდები.
და გამოცდილება აქ არაფერ შუაშია.
უბრალოდ თანდათან
ცვდება აფსკა შენსა და სინამდვილეს შორის
და სინამდვილის ზემოქმედება
სულ უფრო უშუალო ხდება.
ადრე იმ ცუდს, რაც იყო უკვე მაშინ,
თითქოს კიდეც ხედავდი,
მაგრამ მაინც ვერაფრით უშვებდი, გამორიცხავდი
და გუნებაში გაიძახოდი:
შეუძლებელია, ასე ვერ იქნება!
მაგრამ რაც მეტი დრო გადის, მით მეტად ხვდები,
რომ სწორედ ისე ყოფილა,
როგორც მაშინვე იყო.

2010

რუსუდან კაიშაური

დაღლილობა

ქალი ვარ,
ყველაზე ბუნებრივად
დაღლილობისკენ მივდივარ,
თორემ ქორწილში,
მაყრებს შორის ჩავლისას
ხმლები მაღლა რომ ეჭირათ,
არაბუნებრივად ვუღიმოდი მათ,
ვინც ვარდებს და
კანფეტებს მესროდა,
რადგან ვარდები ბუნებრივად იჩხვლიტებოდნენ,
კანფეტის ქაღალდშიც
ბუნებრივი ქვები იყო გახვეული
და ნეფემ ვერ გაუძლო,
არაბუნებრივად გამექცა,
შუამდეც არ მომყოლია.
წამოვიწყე მარტოობის
აქცია:
თვითონ გავტეხე თეფში,
თაფლითაც ჩავიტკბე
მჟავე ხასიათი.
სარეცელთან დაღლილობა მელოდა,
მომეხვია და საწოლზე წამომაქცია.

გამეორება

პირველი შვილი
რომ გავაჩინე,
მივხვდი, თავი გავყიდე,
ძალიან განვმეორდი,
მეორე უკუღმა დავბადე,
მესამე საკეისროთი,
მეოთხეც მე ვიყავი
და მეხუთემდე ავედი.
ცოცხი და ლექსიც
დავიმგვანე,
ამიტომ ყველაფერში
ვიქექები,
რაშიც ჩემი თავი დავინახე
ან ჩავაქციე.
დედაჩემსაც ვუთვალთვალებ,
ვარდებით ვაჩუქურთმებ,
ეკალსაც ვუჩხვლეტ ხოლმე,
რომ სურათად არ გადაიქცეს.
დედაჩემიც თურმე გამიმეორებია,

ახლა უკვე ნასწავლს ვიმეორებ,
ხელებითაც ავყვებ-ჩავყვები,
რომ არ დამავიწყდეს.

მე ვარ კომბლე

დატვირთული დღის ბოლოს
შავ დღეში ვარ ჩავარდნილი,
დალილავებული, დაწურული,
თოკზე გაფენილი.
ერთი დღის გამოფენა ვარ,
ჩემს ნაცვლად
სარეცხი იქნევს
ხელ-ფეხს ბეჯითად.
ღამით მე,
რაც ვარ დარჩენილი,
შვილებს დავისვამ წინ,
კბილებს ვაკრეჭინებ:
ხუთივეს ჩემი ჩიჩია აქვს
კბილში ჩარჩენილი.

თვითმკვლელი

ჩემი სახლიდან
საჭმელების სუნი არ გამოდის,
აქ ლექსები დუღს
და ორთქლი
თვალებს მიწყლიანებს.
ბავშვობაში, როცა მამწარებდნენ,
საშველად დედასთან კი არა,
ლექსებთან გავრბოდი,
თავზე ხელის გადასმით
შურისსაძიებლად რომ მაბრუნებდნენ ადამიანებთან.
აუტანელს მეძახდნენ ყველანი,
რადგან ვლეწდი და ვშლიდი,
ვძარცვავდი მათ,
პირი რომ მქონოდა
ლექსებთან მისასვლელად —
იქ ვინელებდი ნაძარცვ-ნაქურდალს.
რა ვქნა ახლა,
ყველა და ყველაფერი
ლექსებში ავრეკლე —
ასე შური ვიძიე მათზე
და ახლა მოსაკლავად
დამდევენ ლექსები.
ვზივარ, წინ მიდევს
ფურცელი და კალამი —
თვითმკვლელის იარაღია
ესენი.

ღუზა

ძილში ჩავიძირე,
მაშველი რგოლია
ჩემი სიზმარი,
როგორმე უნდა მოვიხელთო.
ქინძისთავივით გავეყრები
უდროო დროს
და მეღვიძება.
ძილის ტალღებით ვარ
აწეწილ-დაწეწილი,
მოულოდნელ დილაში
ამოყვინთული.
ბალიშის კუნძულს
ჩაფრენილი,
ზეწარს გადავფერთხავ
სარკმელში —
ასე მყარზე გადასვლას
განვიცდი,
ღუზასავით მოვბარბაცებ აქეთ,
ისე მღვრიეა ცხადი,
სად ჩავეშვა,
არ ვიცი.

შეტოპვა

სიბერეს მოვიზომებ-მეთქი
და ისე ჩავიცვი,
მხოლოდ თვალები მიჩანს.
ხელს მაძლევს კიდეც,
ჩემი მდევრებისგან მიცავს.
თავს დამტყდარ სიმშვიდეს
ხელში ვატრიალებ სახრედ,
სიბერით გავიმართლებ
ხელებაფარებულ სახეს.
რამდენმა შეჩვეულმა ჭირმა
მომასვენა,
რომ ვეღარ მიცნო,
შვილებს ბებია ვგონივარ,
ქალობა მადგია ტანზე,
ვიწროდ.
სიბერე გაუგებრობაა,
გარს შემომერტყა
ფარღარღალა შენობას
და თავს ვეღარ ვიძვრენ მისგან.
მგონი, ძალიან შევტოპე.

უკანდახევა

უკანდახევა რომ დავიწყე,
დედამიწა მაინც წაღმა
ტრიალებდა,
თავი ვერ გავიტანე.
უკან-უკან მოსიარულეს
აწმყო მესობოდა თვალში,
ვერაფერს წამოვედე შესაჩერებლად.
უკულმა რომ ვიარე,
გვერდში აღარავინ შემრჩა,
ჩემს წარსულში გაიხლართნენ.
ბედუკულმართობას თვალები
ავუჭრელე,
ვითომ უკან ვიხევ,
მაგრამ ასე მანძილს ვკრეფ,
წინ გასაჭრელად.

არჩევანი

ბოშასავით ვცხოვრობ
ავტობუსიდან ავტობუსში,
აქ ვჭამ, აქ ვწერ
და მიყვარს.
უკან მომდევენ ქუჩები,
ფლორა-ფაუნა.
საერთოდ, ქალაქი
მომდევს უკან
და მეც ვეღარ ვწუწუნებ მასზე:
მისი თუ უიმისო ვარ.
მახსოვს: ბავშვობას თავს
ვერ ვაფარებდი,
მცემდნენ ხოლმე
და დიდობას მივეტმასნე კი არა,
გულამოღებული კაბით
შემიტყუეს და დამცინოდნენ,
წესებს რომ ვარღვევდი.
ახლა სიბერისკენ ვიხრები,
მაგრამ თუ ვრისკავ,
იქიდან ვინღა გამომაჩოჩებს.
ამიტომ ბოშასავით
ბორბლებზე ვდგავარ,
ავტობუსის ფანჯარას აკრული
ვეჯღანები სახლებს: ბებრებს და ახალგაზრდებს,
ადამიანებსაც.
„ბარემ ცირკი იყავი“ — ჩემს თავს ვეუბნები.
ისედაც, განა ცირკმა
საქმე არ გამიჭირა?
გრძელსაყურებიანს,
ჭრელი კაბა მიფრიალებს მგონია და
თურმე დროშა მიჭირავს.

სასიკვდილო ორთაბრძოლები

ატმისკენ პირი არ მიქნია,
მარტო გული გავუსინჯე,
სადაც წვეტიანი კურკის
მუშტი დევს,
ვაშლისგან განსხვავებით,
ვისაც გული ისე გაუწვრილდა,
რომ თვითონ იქცა მუშტად.
ეს ხავერდოვანი სეზონი
ატმის კურკებს უჭირავთ,
მიწაშიც რომ აგრძელებენ
სასიკვდილო ორთაბრძოლებს.
გადაპარსული ვარდისფერი თავები
და ტკბილი სურნელი კი
მაშრიყით მოსული მტრის მსგავსია,
ნელ-ნელა ქართლის
გზისპირებს მოედება.
ვაშლები უფრო ქართველებს გვანან,
ცარიელა მუშტები არიან.
მაგრამ თუ მკვახე-მკვახე ლაპარაკი
ნაადრევია,
მაშინ წავიბაზროთ,
ვაშლ-ატამი ბლომად,
ხოლო მუშტარი
განა ბევრია.

პეიზაჟი

ქარი გამაზავებს
პეიზაჟში,
სხვა რა ვქნა?
სისხლნაკლულ სამშობლოს
ფერით ვავსებ.
ვიდრე ქარი აქტიურად ავდრობს,
მე ვეკითხები ჩემს თავს:
„სადა ვარ?“
სამშობლო ადგილზე ფეხმოუცვლელად
სახლობს,
მეც იქვე, ნაირ-ნაირი
ბუნებით,
ვშორიახლობ.
წინაპრებისკენ რომ მოვიხედო,
მასწავლიან:
ერთად უნდა ვიყოთ
მე და სამშობლო,
და თან ერთმანეთი
ვერ მოვიხელთოთ.

გიორგობისთვე

ნოემბერი გიორგობაში
ეძებს თავის გამართლებას,
საკუთარ ზიზილ-პიპილოებს
ასე თუ გადათელავს.
ნოემბერში ღრუბლები
იქცევიან ჩანჩურებად,
მაგრამ ვერ დასცინებ,
თოვლ-ჭყაპით გაჩუმებენ.
ერთი დღესასწაულის ამარა
გაცივდება ნოემბერი,
წმინდა გიორგის ერთი მახვილი
რამდენ გველეშაპს მოერევა.
ისედაც, რთველის შემდეგ
სამშობლო დამბარბაცებია,
ხეები, ტაშს რომ გვიკრავდნენ,
გაძარცული და ნაცემია.

იდიომა

უმოკლესი გზა ვარ,
როგორც ანდაზა და აფორიზმი,
რაც შეიძლება საწინააღმდეგოდ
შემომიტრიალდეს.
მარტო ლოცვისას ვიტკეპნები
ერთ ადგილას,
ვითომ ფეხს ვიდგამ,
ოღონდ იქვე მივდგებ-მოვდგები ხოლმე,
საკუთარ ლექსიკონში.
ერთი სულსწრაფი ტიპი ვარ,
ფეხის არსად გამდგმელი.
მხოლოდ მაშინ,
როცა კალმით ვამოკლებ მანძილს,
ადგილიდან მოვწყდები ხოლმე
ლექსის დასაბადებლად.

ბიოგრაფია

ჩემს მძიმე ბიოგრაფიას
კი არ ვყვები,
კბილებივით ვაკრაჭუნებ
ბებიის კუდად გამობმული,
დედის გაგრძელებებით
ქმარმა დამაკონკრეტა,
მაგრამ სასვენ ნიშნად
ვერ ივარგა
და ერთმანეთს გადავებით.
ახლა ჩემს შიშველ ნერვებს

ვცვლი კარგ ძახილის ნიშანზე,
რადგან ისტორიიდან
ლექსზე გადავიშალე.

დენთის კასრი

დედის წყევლებს,
შვილიშვილები რომ მოჰყავთ ახლა,
ბავშვობაში ნაფოტებად ვაცურავებდი.
დედის დარიგებებზე,
ახლა რომ მათი უძაღლო მწყემსი ვარ,
წინათ ფრთები მეტრუსებოდა.
დედის ლოცვა ალვის ხე იყო მუდამ,
ახლა მახვილია ბასრი.
და ვალმოხდილ დედას მოვუგორდი:
დაწყევლილი, დარიგებული
და ლოცვით ჩამქრალი დენთის კასრი.

გაზაფხულზე ხდება

სიყვარულს ვეძებდი
და რაღა არ
დავიტეხე თავზე,
ბუნებით ხე ვარ
და გაზაფხულზე
მივეშვები ხოლმე
გატყევებამდე:
ჩემი სიტლანქიდან
მაღლა გავრბივარ,
გულს ვერ ვეწევი...
მაინტერესებს,
ვინ ეფერება
ჩემს შიშველ
კენწეროს.

მასწავლებელი

დავბერდი, ადგილზე
ვერ ვჩერდები,
საათობას ვჯერდები,
დღე-ღამეს ვასწორებ.
ისრებს აღარ ვისვრი,
მიმართულებებს ვაჩვენებ
და ჭკუის დარიგებები დამჩემდა.
შემაწუხეს სხვების ჭირებმა,
ისრებით ვაჩვენებ, რომ
არსებობა მექანიკურია,
ხელ-ფეხის განძრევა გვჭირდება.

შუშანიკი

ჩემთვის ყოფნას რომ ვცდილობ,
იმ ციხე-კოშკში ვიმალები,
ლოგინი რომ ჰქვია.
თვალებს არ გავახელ,
რაც ნიშნავს: შეზღუდული
და დაკეტილი ვარ.
ასე მთელ დღეს
შემიძლია ვიტრიალო ჩემთვის,
ვიდრე ბრახუნს არ ამიტეხენ
იმის გასარკვევად —
შუშანიკივით, შუა ოჯახში
სენაკი ხომ არ აღვმართე.
ლოგინსა და ფიქრებში
ამაოდ ჩავეფალი,
რადგან ისევ მათ უნდა
დავუბრუნდე დიასახლისად,
ყოფილი დედოფალი.

ჩემი ლოცვა

რომ ვლოცულობ,
სიმაღლეში ვიწელები.
მიწეპებას ტანჯვასთან და
სხვა რამესთან ვეურჩები.
გაჩერებას მიუჩვევი,
საქმეებსაც ვერეკები
და ამ დროსაც ვიწელები,
ოღონდ ისე სიგანეში,
რომ კატებსაც შეშურდებათ
და კარგა ხანს ველარ ვტაძრობ.
მიწიდან კი ისევ მხოლოდ
ჩემი ლოცვა ამომაძრობს.

შეგრუნება

ფიქრისაგან აღდგომილმა,
მოვიხილე სამკალი,
ჯეჯილს კალამი დავკარი.
სანამ ლექსის ანგელოზებს
ფეხებში ვებლანდები,
ჩემი ყანა გააცოცხლა
ფიქრის მეხმა,
მზეკაბანი ჩამაცვა,
ცხადში რომ გამოვწიე,
კალამზე გამომეხა.
ფიქრისაგან, უძილობით
რომ მემუქრება,

ისევ ქალობისკენ ჩავიჩოჩე,
ძვალ-რბილში შევიბუდე.
ფიქრი აბრასავით მკიდია,
როცა ცხადი ითარსება —
ძილივით შევიბრუნებ.

მე და მამა

გულმოდგინედ ვაღიარე შეცდომები,
თავს არ ვიმართლებდი,
ალალ-მართალი სახე მქონდა
იმიტომ, რომ ისინი
არ ჩამიდენია, ჩამადენინეს მაშინ,
როცა მშობლები გარეთ
გასვლას მიკრძალავდნენ
და მგლით მაშინებდნენ.
მაგრამ მგელი სადღა იყო,
ცხვრები მევლებოდნენ თავს
გაცხარებამდე.
და ერთხელ მამამ,
ეს მიტევების დღეს იყო,
მოიცალა ჩემთვის
და სახეში შემომცინა,
მაგრამ მისთვის აღარ მეცალა,
ცოდვებს ვამზეურებდი
სახეზე ჩამოწერილს
და შეცბა მამა,
არ ელოდა ჩემგან
ასეთ უტიფრობას,
გაბრაზებულმა
სახე მომიჭმუჭნა,
რასაც დედა
არ ანებებდა
და მისი მცდელობებით დავისაჯე.
არ მიღირს
ჩემი დაბრეცილი სახის გასწორება,
ასე უფრო გულწრფელი ვარ:
როცა ჩემი ალმაცერი მზერა
მიემართება მამისაკენ.

ცოცხალ-მკვდრებში

მკვდრებს დაეკარგათ ცოცხლები,
სიზმრის მატარებლით
მოჰყვებიან ცოცხლების კვალს და
წყლიან ბამბებში გატრუნულ
ხორბლის მარცვლებში ამოიწვერებიან.
მკვდრები მაინც ვერ პოულობენ
ცოცხალ ჭირისუფლებს,

რომლებიც ისე გამრავლდნენ,
რომ ტირილს ვეღარ იყოფენ
და სიცოცხლის მხარეს გადადიან
მერყევად მგლოვიარენი.
მათში კი ძნელია ნამდვილი
ჭირისუფალი გამოარჩიო,
ამისათვის ცოცხალ-მკვდრის
გამოცდილებაა საჭირო.

ეკა ქევანიშვილი

წასვლის ერთ-ერთი წესი

მე შემეძლო ხმამაღალი განცხადებების გაკვრით ხეებზე.
მე მომწონდა მოულოდნელი ზარების შემდეგ მიტოვება.
საფოსტო ყუთში წერილების გაჩრა და გავლა.
ყურადღების მიქცევით წასვლა.
როცა იცი, თვალს გაყოლებენ.
როცა იცი — დაასწარი.

იცი, როგორი ეფექტურია,
სამარისებულ სიჩუმეში ჭიქას თუ ამსხვრევ?
საღამოს ლოცვის იდუმალებას უმიზეზო ხარხარით ლეწავ.
როცა მუდმივად ვიტრინაში დგახარ და დგახარ,
სხვები ტკბებიან, შენ იბერები, შენ სუქდები ამპარტავნებით,
საკუთარი ხორცის ალერსით
და გგონია, შენს საყურებლად მუდმივად მოვლენ.

მაგრამ უეცრად ისე გბეზრდება და იქვე ტოვებ
საგანგებოდ მორგებულ კაბას და ჭრელაჭრულა
ტანსაცმლის გროვა რჩება შენგან სანახაობად.
იცი, როგორი ადვილია ნგრევით წასვლა.
გახედავ უკან — ჩამოშლილია მყარი კლდეები,
გახედავ უკან — იწვის ხიდები.
და ზუსტად იცი, სხვის მფეთქავ გულებს — გაქცევამდე
ფეხი ზუსტად იმ დროს დაადგი,
როცა შენი ფანების ჯარმა თავი გვერდზე მიატრიალა.
ანუ განგებ.
ანუ გათვალე.

შემდეგი წასვლა იქნება მშვიდი.

ხელუხლებლად დატოვებ გაშლილ წიგნს მაგიდაზე,
დაუდევრად მიყრილ-მოყრილ ხელნაწერებს,
სარკის წინ გამოფენილ სუნამოს ბოთლებს
უხმოდ ჩაუვლი.
და ისე, რომ კარის ჩხაკუნით არ გააღვიძო,
და ისე, რომ ვერ შეამჩნიონ,
ფანჯარას აღებ.
აღებ ჯოჯოხეთს.

და თუ მოგინდა,
თუ მოასწარი — ჰაერს მიაწერ:
რა დამრჩენია სამოთხეში,
იქ მე მაინც არავის ვიცნობ.

სახლის გაყიდვა

სახლსა აქვს ერთი აივანი, ორი სართული,
ავტოფარეხი, დახვეული კიბე, მანსარდა,
რკინის ჭიშკრის ორივე მხარეს ყვავილების ხეივანია,
მანდარინის ხეების მწკრივი — ფარი ზურგიდან.
შინაური ცხოველები არ გვყოლია.

სახლში დარჩა უკლებლივ ყველა ფოტოსურათი:
ჩაყრილ საძირკველს დაჰყურებს კაცი,
ფოტოდან ბრწყინავს სველი ცემენტი.
ამოყვანილ კედელს ეყრდნობა და იღიმის.
მამა, ბაბუა, მეზობელი,
მათ სახეებს მკრთალად შემორჩა საღებავის თეთრი წვეთები.
სახელდახელოდ შეკრული ქუდი, ძველი გაზეთის,
ყვება, როგორ აშენდა სახლი.
ყვება, შიგნით როგორ შევსახლდით.
და მერე როგორ გავნაწილდით დილის ცხრიდან —
ვინ სკოლაში, ვინ სამსახურში
და ვინ დარჩა დიასახლისად.

სხვა დეტალები:

ფეიხოას ხე, გამოვითვალე, ოცი წლის გახდა.
სახლის უკან დამარხული განძია ჭრელი თუთიყუში — შორეული
კუნძულებიდან მეზღვაურებმა ჩამომიყვანეს.
ჩემი ხიდან მეზობლის ხემდე გაბმულია თოკი, წერილებს
ვცვლიდით ასე. როცა ღამით ყველას ეძინა.
ციტრუსისსუნაკიდებული დაცოცავდა სიყვარული.
როცა ღამით ყველას ეძინა.
აუზთან მდგარ თაბაშირის გედს ნისკარტი მოტეხილი აქვს.
ოდნავ დაფრთხა, როცა პირველად ავიფარეთ ყურზე ხელები.

ყველაფერი ასეთად დარჩა, ასე დავტოვე.
ამიტომაც ვყიდი ძველი მდგომარეობით.
დანგრეული მე არ მინახავს, უკან გახედვა ავკრძალე და
როგორც სიზმარში,
აფეთქების ხმაც გაფერმკრთალდა.

ოდესმე რომ დავბრუნდებოდე...
უჯრაში მიდევს ცნობა — დასტური, რომ:
„ეს სახლი თქვენი იყო,
თქვენი იქნება, ათასმა კაცმა რომც იყიდოს.
რომ დაანგრიოს, რომ გააშენოს მის ადგილას თუნდაც ედემი”...
აზის ბეჭედი, საკუთრების, ფლობის, ქონების.
ეს ფარატინა ქაღალდი ზოგჯერ ისე მძიმეა,
თითქოს მასზე კვადრატული მეტრების ნაცვლად,
(რომ ამხელა და ამხელა იყო ეს ჩემი სახლი)
დგას მთელი ეზო. ჩემი გაკრული ხელმოწერა კი
ჰკიდია ფურცელს

როგორც ნახევრად ჩამოვარდნილი აბრა ჭიშკარზე,
ქუჩის და ნომრის აღმნიშვნელი.

მე ვყიდი ამ სახლს.
რომლის ფასი — მიზეზია.
ფასი — ხიდია.
რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ ერთხელ მივუახლოვდეთ.
რომლის ფასი მე დავწერე მცოცავ წერილში.
შენს ენაზე.
მაშინ — შეცდომას მართლწერაში გაუსვი ხაზი.
დარჩეს ასე — შეცდომა ჩემი,
ფასი იგივე.
შენ მყიდველი.
მე გამყიდველი.
თუ დავბრუნდი, ერთად ვიქნებით.

მისი შესაძლო კაცები

ჩემი კაცი სოფლელია და როცა ვუყვარვარ
კილოკავზე კონწიალობს მისი სიტყვები.
რაც იცის და რაც გაუგია, რაც აქამდე დაიმახსოვრა:
ჩემო სიცოცხლე, ჩემო ქალო, ჩემო გოგონა.
მისი ხელები ფართოა და მიწისსუნიანი,
მისი ტვინი — ცარიელი და მსუბუქი.
მასთან ადვილია და უინტერესო.
მისთვის ამის თქმა სულაც არ არის სავალდებულო.
მე ის გავსინჯე.

გავიხედოთ და,
ჩემი კაცი მზეჭაბუკია.
თავზე ცეცხლი უკიდია, მკერდზე აგვისტო უბრიალებს,
თვალებში მგელი ჰყავს დამწყვდეული, სხეულში ეშმაკი.
ტანს ზოგჯერ ანაფორაში მალავს და ზედმეტი წარმოსახვისგან
ღამღამობით ეზმანება — თითქოს მირონი წამოუვიდა.
ზოგჯერ შიშვლდება და სულ ცოტაც და, მგონია გარეთ ასეთი გავა, დედიშობილა.
ეს ჩემი კაცი ამაყია და ამპარტავანი.
მისი ტორსი — დაჭიმული, ტერფები თხელი.
მასთან წოლა ჰგავს შუაღამისას შემთხვევითი სტუმრებისათვის
სუფრის გაშლას და ალაგებას.
მან ეს ყველაფერი იცის, მაგრამ არასოდეს აღიარებს.
მე ის მიყვარდა.

ჩემი კაცი პედანტია და ინტელექტუალი.
შუა თითით გამუდმებით აბალანსებს ცხვირზე სათვალეს.
როცა ვუყვარვარ და თუ საერთოდ ვუყვარვარ,
წინასწარ ლოცულობს.
ამ დროს ვარსკვლავებს ვათვალიერებ.
ეს კაცი ჯერ იხდის და წვება,
შემდეგ მეძახის. ის ღარიბია და აუტანელი.
მასთან ყოფნა ჰგავს ნახევარ განაკვეთზე მუშაობას.

დაღლაც ცოტა და შემოსავალიც.
მისთვის ეს ყველაფერი სულერთია და ადვილად ინელებს.
მე მას მივატოვებ.

ჩემი კაცი მდიდარია და ბებერი.
თითზე გასაღებს ატრიალებს.
არ ვიცი რისას, მთავარია, რომ ატრიალებს.
ჩემი ეს კაცი ჭკვიანია და ცინიკოსი.
მისი ტანი ათასტანგამოვლილია, მაგრამ სუფთა.
მისი სული თავისუფალი, მაგრამ დაღლილი, გადაწერილ-გადმოწერილი.
მასთან ყოფნა ჰყავს ჰამაკში ნაყინის მირთმევას.
მასთან ყოფნა ჰგავს მის ქვეშ ყოფნას.
მას ჰგონია, რომ ის წყვეტს და ეგონოს, მაწყობს.
მე მასთან მივხვდი.

დღეს ყველა ჩემი კაცი მოვა და ბოლო წრეს დამარტყამს.
დღეს ყველა ჩემი შესაძლო კაცი სხვისია.
მშვიდობაში მოიხმარეთ.
მიყვარს თავისუფლება.

მუჭანახევარი ქატო და ორი კგილი ნიორი

ცხრას დააკლდა თხუთმეტი წუთი.
აი გახდა ცხრა საათი.
აი მე — უტიფრად მივჩერებივარ საათს.
ხელში მიჭირავს ტელეფონი.
ბორგავს წვრილშვილი.
მესმის ძილისწინა ჭიჭყინი მოზარდების სუნით გატენილი ოთახიდან.
ვინც გავაჩინე. ვინც ავკრძალე და ვინც რიგშია.
ამ ოთახის კარი და ჩემი ყური გამყოფი ხაზია.
შვილებო, მე თქვენ საკმარისად მიყვარხართ.
მაგრამ მაცალეთ, მეც ვუყვარდე. ამიტომ ჩაგკეტავთ.
აი ასე ვდგავარ და ისრებს მზერით ვაწვები.
აი მანქანა გააჩერა. აი ჩაკეტა. აი ამოდის.
აი გავანგრიე კარი შუბლით. აი გულისკენ გამექცა მარჯვენა ხელი.
აი დაიმუხტა თმა.
აი დავსველდი.

შენ მომხსენი ხელი გულიდან.
შენ მომხსენი ფრთები.
შენ მომხსენი წინსაფარიც.
თვალებიდან გწვეთავს თაფლი.
ენაზე გაგიმრავლდა კაქტუსები.
ხან ერთის მჯერა, ხან მეორის.
ხან მწვავ. ხან აშუშებ.
შენ ჩამომხსენი და მე აღვსდექი.
შენ ახლა გწამს.

შემდეგ მელნისფერი ფარდა გადავწიე.
შემდეგ სინათლე ჩაქრა — სხეულები ანათებს.

შემდეგ ვხედავ, როგორი ალისფერია გული სიბნელეში
და როგორი გამჭვირვალე გახდა მკერდი.
შემდეგ დავჭერი ფორთოხალი და
ციტრუსის სურნელიანია თითები და პირი და ნიკაპი.
შემდეგ რატომ გაცვია ამდენი და რატომ არ გაცვია არაფერი.
შემდეგ ფერადი პლედებისგან ავაშენე კარავი.
შემდეგი სამი საათი აქ ვიცხოვრებთ.
სადაც შენ ხარ დაფა, მე — პლასტელინი.
დანას ნუ დამადებ, მეტასტაზივით შორს წავალ.

აი ამასობაში თორმეტია.
აი გულისკენ ისევ წავიდა მარჯვენა ხელი.
აი ადგა.
აი წავიდა.
აი ვაცილებ კარამდე.
აი ვაცილებ ფანჯრიდან.
აი ვაცილებ გზაში.
აი გავიწელე და ჭიასავით გავწყდი.
აი ველარ ვხედავ.
აი დავწექი.
აი დაწვა.
აი მომწერა.
დაუთვლია.
ჩვენს საწოლებს შორის გაჭიმული
17 კილომეტრი.
.....
რა მწარეა შენი რძე,
მაგრამ მშიერს სხვა გზა არ მაქვს, უნდა დავლიო.
წვავს შენი ფული, არ ახარებს.
მაგრამ ეს ფული ჩემთვის ყიდულობს ზიზილ-პიპილოებს.
ფართოა ჩემი სიყვარული, გადღაბნილი, როცა ვრჩები.
ვიწროა მისგან გასაქცევი ბილიკები.
თუკი მივდივარ.

ჩემი არალეგალური სიყვარული,
ეს ბარიგა, გადამყიდველი,
ჩემი კიბისქვეშ დასახლებული სიყვარული,
ჩემი გარყვნილი, ვითომ ლამაზი სიყვარული,
სხვისი მაგიდის პურია,
სხვისი მაგიდის მარილი.
სუფრის კიდეს ჩემსკენ ვქაჩავ და ყველაფერი დალეწილია.

ჩემი სეპარატისტი,
ტყეში ჩასაფრებული ყაჩაღი სიყვარული ახლა არის
დაჭრილი მხარში,
დაჭრილი მუხლში,
სულ ახლახანს გაჭირვებით გამოვაზამთრე.
მუჭანახევარი ქატოა და ორი კბილი ნიორია
ეს ჩემი სიყვარული.
ჩემი შავი, მწარე შოკოლადი.
რომელსაც ექიმები მიკრძალავენ.

რამდენს ხანს უნდა ვაფარო ნეტავ თეთრი ზეწარი,
როგორც დაგროვილ საუთოოს,
ურჩ სარეცხს ჩემსას,
უდროო დროს რომ ჩამოვარდება ცალი წინდა,
სტუმარი კი თავს უხერხულად მიატრიალებს.
როგორც ცხედარს,
რომელსაც მალავ, რომ ლამაზი დაგამახსოვრდეს,
მან კი, თითქოს გააპროტესტა, გამოჟონა სისხლის ლაქები.

ამ დროს,
რა ტკბილია მეტროში ჩახვეული წყვილის სიყვარული.
რა გამჭვირვალეა მათი სიყვარული.
რა გოიმურია მათი სიყვარული.
რა მათია მათი სიყვარული.
რა ბევრია მათი სიყვარული.

აქ ნდოგაა

ადგილი, სადაც ახლა ფეხი დაადგით,
ამ სხეულში შესასვლელია.
ველარ შეგიშვებთ.
მკაცრი კონტროლი დავაწესე სტუმრებისთვის.
ინფექცია შემომაპარეს.
დოლბანდიდან ვსუნთქავ ამ ქალაქს.

ტერიტორია დაცულია.

მახსოვს.
კარი რომ ღია დავტოვე,
შემომიცვივდნენ გულში ბოშები. დაანთეს ცეცხლი. იყაყანეს. ჭამეს. დალიეს. აიბარგნენ.
გამურული კედლები დამრჩა.

როცა მეგონა ვთვლემდი, მუცელში ამიშენეს სამხედრო ბაზა — აფეთქების
ხმა დღემდე მესმის. აღმოსავლეთი გადამწვარია.
ცივი ომი გრძელდება ტანში — შუბლზე ოფლია.
გულის და ტვინის გამყოფ ხაზზე დგანან ცისფერქუდიანები.
მოვიდნენ და უკითხავად ააშენეს საბავშვო ბაღიც.
სამხარი.
მაკარონის სუპის სუნი მაჯებზე.
წესით, თეთრი — უცებ ჭრელად გადაღებეს საავადმყოფო. დილაობით საკაცეები
ჭრიალებენ ხერხემალზე.

ეს — რაც დარჩა.
რაც გადარჩა, იმ მიწას ვავლებ ახლა მავთულხლართს.
უკანა კარი მერძევისთვის.
უკანა კარი.
მე დროებით შემოხედვას არ ვკრძალავ.
შაბათობით ნეიტრალურ მონაკვეთში ვმართავ მიღებას.
სამშვიდობო დიალოგი. ჩაი ალუბლით.

და გაცილებთ თავაზიანად.
ვიტოვებ მხოლოდ რამდენიმეს.
მკერდის მანსარდაზე გადავინაცვლოთ.
აქ საშიში არაფერია.
აქ ნდობაა.
როცა თავს მადებ.

არჩევანზე

სამკაული არჩევაზეა.
მაჯას ბაჯაღლო როცა ამძიმებს,
ან ყურს ქაჩავს მხრისკენ ალმასი — გასაკვირი არაფერია.

ჩემი სარკე ირეკლავს ყელს — ნახმის ასხმულით,
ზაფრანის კანტი კაბის ბოლოს ისე გიზგიზებს,
მზიანი ლუპა რომ დამიმიზნო, თივასავით ავბრიალდები.

არჩევაზეა იარაღიც.
ახლადდაზეთილ მაუზერს მაბჯენ საფეთქელთან.
ხანჯალს, კედელზე ჩამოძინებულს, აპრიალებ — სუფთა სისხლი გინდა აიღო,
დაუჟანგავი.

არმინდაომი. ლაყე სიტყვებით გავიტენი ჯიბეებს, ანდა
ქამარზე — ძახილის ნიშნებს ჩამოვიკიდებ.
ფარიკაობა ქინძისთავებით. გვეყო გვამები.

მეყო ექო — მთებს მოჰქონდა სხვისი ბრძოლის ნატეხებიც,
ჩვენ კი მათში ტყიურებივით ვიხედებოდით.

ირჩევ:
ნეტარების აბებს დაიწვენ ენაზე და დავიწყებას შეიშხაპუნებ.
თუ დაღვრი სითხეს.
წყვეტ: როდისა ხარ მოგებული:
როცა წვები თუ როცა ნახევრად.

რა უფრო მეტად გაჭუჭყიანებს —
ხიდისქვეშეთის მაწანწალებთან გამოთრობა თუ
წრუპვა სნობურ წვეულებაზე.

სულ მეგონა,
ადამიანიც არჩევაზეა.
ზურგზე მოიგდებ და გააქანებ შენი ცხოვრების მიმართულებით.

თურმე დგას და შესარჩევად ორ ხელს დაბლა ხრის,
წინასწარ იცის, ვის შეატყუპებს.
მერე ბრუნდება კულისებში.
ჩვენ კი, წყენას რომ გადაგვარჩინოს,
გვაჯერებს, რომ შეგვიყვარდა და შევუყვარდით.

უღელტეხილი ერწო, ვჩერდებით

ეს გზა არ იყო შემოვლითი,
გზა მოკლე იყო, უსწორმასწორო, დახვეული,
უღელტეხილზე ამოჭრილი.
თითქოს ვიღაცამ სუფთა ფურცელზე გაუთავებლად ხატა წრეები.
გზა შედიოდა უცხო ენაზე მოლაპარაკე ხალხის სახლებში,
ხალხის გულებში, ცხოვრებებში და სულ მეგონა, გაჩნდებოდა
ამკრძალავი ნიშანი ერთ დღეს — ხაზის აქეთ არ გადმოხვიდეთ.
ჩვენი მანქანა მარკით „ნივა“ (ტყეე-ღრეებში რადგან ვცხოვრობდით),
მაშინ იყო სპილოსძვლისფერი.
გზა კი ხრიოკი.
მოულოდნელი. ხიფათიანი, ჯვრებით სავსე. მარმარილოს ქვებით მორთული.
„აქ გადავარდა“. ამდენი წლის.
იქვე წყარო — ამის წყარო, იმის ადგილი.
სხვისი სიკვდილით მონიშნულ გზაზე
ჩვენ სიჩქარეს ვანელებდით.
სხვა თუ მოკვდა, რა იცი, იქნებ შენც გადავარდე.
და არავინ იცოდა მაშინ, ბევრი წელი
ამ გზის მტვერს რომ ვეღარ ვნახავდით.
და ვერავინ ხვდებოდა მაშინ, ამ ადგილებს
ვაშლის დამპალი გულივით რომ მოვიცილებდით.

ცხინვალში იდგა ქვის შენობები.
ასე მახსოვს, ერთ სახლს ერქვა სიკვდილის სახლი.
ლეგენდა ყვება,
აქ ვინც დასახლდა, ყველა ამოწყდა.
აქ ვინც ცხოვრობდა, შვილი მოუკვდა.
აქ ვერავინ გაიხარა.
ამ სახლს არავინ არ იყიდის.
სანამ თავისით არ დაინგრევა.

მახსოვს აჭედილი დარაბები. მახსოვს დაცული რადიუსი.
და სულ ვფიქრობ, რომელიმე ბომბი დაეცა თუ თავისით.
და სულ ვფიქრობ, ის ლეგენდაც თუ მოკლა ომმა.

ომამდე კი,
აბრას ეწერა სოფელი კეხვი.
ამით ვხვდებოდი, რომ ნახევარი გზა გავიარეთ.
და ეს იყო დათქმული დრო და დათქმული პური,
გაოფლილი და მოღიმარი ხაბაზი რომ გვაწვდიდა ხოლმე.
დღეს სულ მგონია, ყოველ ჯერზე ჩემს მგზავრობას
დასავლეთიდან აღმოსავლეთით,
ეს კონკრეტული თონე აკლია,
ამ კონკრეტული პურის სუნი,
იმ კონკრეტული ხაბაზის მკლავი,
გამოწვდილი ვიწრო სარკმლიდან.

აკლია ენა. სხვისი ენა. სხვა ხალხის ენა.
ერთ საერთო წინადადებას მოაჭრეს თითქოს შემასმენელი.

გზა დღეს არის შემოვლითი.
გზა არის გრძელი.
აბრაც — წარწერით „სოფელი კეხვი”
ჩაურჭვიათ სხვა ადგილას,
ნაუცბათევად აშენებულ დასახლებაში,
სადაც შხამიან მწვანე კედლებს ქარი ერევა,
სადაც ერთი სუსტი წვიმა თითქმის წარღვნაა.

გიორგი კეკელიძე

ბრაჰმას მედლის ორი მხარე

(ნაწყვეტი პოემიდან)

თანამოსასმენი: Nina Simone – Funkier Than a Mosquito's Tweeter

1.

მე მოსე ისტრახი ვარ. ყველაზე მახინჯი კაცი ამ სამეფოში. ეს ხორცმეტები დედის საშვილოდან დამყვა, სადაც ჩემს შობამდე ცამეტი ძმა მოკლეს. ეს ხორცმეტები მათი ხორცის ნაწილებია, გახრწნას გადარჩენილი და საშოს კედლებს გამოკიდული. ერთი სული მაქვს და თოთხმეტი ტანი მაცვია, ერთი სული მაქვს როდის გავიხდი. ცეცხლი დავანთე, დანას ვათბობ და მეტხორცს ვითლი, ცეცხლგადაღმა დაღლილი მოხუცი წევს და ჭაში სათლივით ჩამწყდარი ხმით ჩურჩულებს: კაენ, რად მოკალი ძმა შენი.. მე კი მოსე ისტრახი ვარ, ყველაზე მახინჯი კაცი მთელს სამეფოში.

2.

მე მოსე ისტრახი ვარ. ყველაზე ლამაზი კაცი ამ სამეფოში. უკვე შორს ვარ — აქ მზის ცივი ზურგი ჩანს და ძველი მიწა, როგორც წერტილი — უნებლიე წინადადების, ერთი სხეული და თოთხმეტი სული მაქვს, ტანზე გველი შემომხვევია და ვაშლებს ვისხამ. მე მოსე ისტრახი ვარ. ყველაზე ცრუ კაცი.

ბრაჰმას მედლის ორი მხარე

პოპ რიმეიქი

(ნაწყვეტი პოემიდან)

თანამოსასმენი Madonna – Frozen

სააქაო

მე მოსე ისტრახი ვარ. ყველაზე მახინჯი კაცი ამ სამეფოში

„ბრაჰმას მედლის ორი მხარე“
გიორგი კეკელიძე

ეს მოხდა შენი სკამის გვერდით, დაღლილ საწოლზე,
თრობის და ღვინის საათების დამსხვრევის იქით,
შენ გერქვა ეჭვით გატანჯული უნდო საცოლე

და ცრუ ექიმის მონაჭორი წამალი მიქე.
მე შემეშინდა ჩემი ჩრდილის უცხო სიმჩატის
და ჩემი წლების უსაშველოდ ყალბი სიმძიმის
და მოვიტყუე ახვეული თავი და თვალი,
სასთუმლად ენა ამოვიდე და დავიძინე.
მოთქვამდნენ სხვები, მე რომ სულის მოთქმა ვერ ვცადე,
სიკვდილის დილამ ჩემი მიწა როცა დაცვარა
და დედა მიწაც. და მინდვრები მეათე ცათა,
მინდვრები, ჩემი უსათუო დედინაცვალი
შემომეგება, დამახვედრა წითელი პური
და უმანკოთა მყუდრო კუთხე უფლის მარჯვენით,
საცა არ არის არცა ჭირი და არცა ურვა
და მხოლოდ ზეცის უქონლობით დავიტანჯები.

საიქიო

მე მოსე ისტრახი ვარ. ყველაზე ლამაზი კაცი ამ სამეფოში

„ბრაჰმას მედლის ორი მხარე“
გიორგი კეკელიძე

ბილიკმა შენი ყანის თავიც უეცრად მოჭრა
და ტყის ქარქაშში ჩაეგო და თან ჩაგიყოლა
და გავდი უფალს მიბარებულ კეთროვან მორჩილს,
ავი სალმობით შეეფარე მონაზვნის ყორეს —
ტკივილი ნიშნავს — რომ იყავი ორსული სულით,
რომ გაიზარდა და შიგნიდან ფეხით გატოკებს,
რომ ტანს შეშლილი მშობიარის კივილი უვლის
და მძივისაგან გაიშიშვლე ყელი სათოკედ

და დამიბრუნდი, ახალ სახლში დავაგეთ თივა,
თივაზე ვნება მივუშვით და ვნება ვაძოვეთ,
მერე ვიგრძენით, რომ სიმაძღრე აქ ვეღარ გვტკივა.

ვიხმეთ ტურები საკუთარი ყმუილის სუნზე
და სიჩუმისგან უკვე დაღრღნილი ექო გახრეს
და დანაყრდნენ
და შევისახლეთ დიდ ნათელში თვინიერი ნადირი,
და იატაკის ნაპრალიდან
კაცი და მხეცი მალულად ვუმზერთ,
როგორ მიგორავს მზე,
ჩვენი ბედნიერი ბავშვობის ბურთი
და ვხვდებით, რომ ამ სუფრაზე სული სულზე უფრო ტკბილია,
ჩვენ კი საოცრად მოგვენტრა სოფლის მარილი,
იქ დედაჩვენის სავსე საშოს რომ მოვაყარეთ.

ბატონი პის ჭოგრიტი სიკვდილის საჭვრეტად და სხვა

თვალზე სხვა სოფლის წყალი წავისვით,
რახან გამხმარი ცრემლები გვჩხვლეტდნენ
და უსიზმრობა გვაწუხებდა.
ჰოი, უდაბურო ზაფხულო,
ცრუდ მომაკვდავი აგვისტოსთვის ხვატით -
გზებზე თითქოს ბოლოჯერ რომ ამოახველა,
აქ ისევ ძაღლი ყეფს და ისევ ქარავანი მიდის,
გაქუცული აქლემები მძინარ უდაბნოს
ჩლიქით ოქროს ქვიშას პარავენ და
ნაკვალევში უცხო ჰაერს თესავენ...
ძაღლი ყეფს, მიდის ქარავანი.

ჩვენ სხვა სოფლის წყალი წავისვით
და სიზმრები დაგვიბრუნდნენ
და სიზმრები გვაღვიძებენ
და ღამითაც ვუმზერთ უდაბნოს
და ვხედავთ, რომ ხანდახან
ძაღლი არ ყეფს.
ძაღლი ყმუის.
ქარავანი მიდის. აღზევანს.
მარილზე გადის. გაღმა.
მზის და მთვარის მზერის იქით მიექანება.

ლექსის წერის ინტერნეტ-პროცესი

Hi, Giorgi
Sign Out
All-New Mail
Help
Yahoo!
Mail
My Yahoo!
News
Finance
Sports

Search
Web Search

Drafts (76) (ქვეცნობიერი)

- აგვისტოს ძლისპირი -

(ნაწყვეტი პოემიდან)

ნა-გუ-ს

თოვს —
და ღრუბლის ფერფლი თამბაქოს ფერფლს დაფარავს კართან,
ნიშნავს
სახლებს — თვალი რომ გაეყინათ და ღია დარჩათ.
ნიშნავს —
იქ სადაც სტვენის გეშინია და თან გინდება,
თოვს —
და რომ ცერებზე აიწია ნელ—ნელა მთები.
თოვს — ნიშნავს ვინმე უსათუოდ ყრუდ ჩაახველებს
და ნაბიჯს ექოდ ძველი უჯრის გახსნის ხმა ახლავს,

და გაამხელენ მოწყენისგან ჩათვლემილ სახლთან.

თოვს — ნიშნავს ახლა მძინავს
და
ისე თოვს.

Sent (1) (გონება)

ათენებს
კართან,
ანტენებს,
დარჩათ.
მაგონებს,
გინდება,
ვაგონებს
მთები.
ჩაახველებს
ახლავს,
გადანახული
სახლთან.

თოვს — ნიშნავს ახლა მძინავს
და სიზმრებს ვერ ვხედავ —
ისე თოვს.

Spam (1) (უცხო სტრიქონი)

მე შენ მიყვარხარ
მე შენ მიყვარხარ

Trash (1) (ურნა)

მე შენ მიყვარხარ
მე შენ მიყვარხარ

Inbox (1) (ფურცელი)

— აგვისტოს ძლისპირი —

(ნაწყვეტი პოემიდან)

ნა—გუ—ს

თოვს — ნიშნავს ღამეც ღამეს თეთრად ათენებს
და ღრუბლის ფერფლი თამბაქოს ფერფლს დაფარავს კართან,
ნიშნავს ტოტებცრუდაყვავებულ ანტენებს,
სახლებს — თვალი რომ გაეყინათ და ღია დარჩათ.
ნიშნავს — მე თოვლი მივიწყებულ ოთახს მაგონებს,
იქ სადაც სტვენის გეშინია და თან გინდება,
თოვს — ნიშნავს აქლემებად ქცეულ ვაგონებს
და რომ ცერებზე აიწია ნელ—ნელა მთები.
თოვს — ნიშნავს ვინმე უსათუოდ ყრუდ ჩაახველებს
და ნაბიჯს ექოდ ძველი უჯრის გახსნის ხმა ახლავს,
რომ კედლებს სუნი წასკდათ მზისთვის გადანახული
და გაამხელენ მოწყენისგან ჩათვლემილ სახლთან.

თოვს — ნიშნავს ახლა მძინავს
და სიზმრებს ვერ ვხედავ —
ისე თოვს.

საქართველო 2

(ნაწყვეტი პოემიდან)

მონაწილეობენ ფარნავაზ მეფე, ილია ჭავჭავაძე და ჩემი მეზობლის ბავშვი

აღარ თოვს.
ალბათ ცას წამოცდა
ჩემი მეზობლის ბავშვის ლოცვა
და მერე სხვა და სხვა ლოცვებმა პირი აუკრეს
და უკარნახეს გზა, რომელმაც კარგად იცის

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა,
მკრთალი ნათელი სავსე მთავრისა.

აქ სულ გვიანი შემოდგომაა,
მეეზოვები ხეების სისხლს აგუბებენ.
და სხვა სისხლი —
წყალი, რომელიც სისხლად იქცა.
მიწა, რომელიც პურად იქცა და

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა,
მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა.

ის დაბრუნდა გამოქვაბულიდან
მოკლული ირმით,
მზითპირდაუბანელი.
ის დაბრუნდა ბრმა და
გავაძღეთ

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა,
მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა.

ეს მისი სახლია,
ნიშნავს — ჩემს სახლს,
რომელსაც ტანში ჭიანჭველებივით ვუვლით
და ვუვლით გარს
და ვუვლით დედასავით,
რადგან დედაჩვენი უჩვენოდ მოკვდა.
ცაზე კი ვარკვლავები —
ცის მინდვრის თაგვების სოროები და

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა,
მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა.

ავი სიზმრის შიშით
ძილი დაგვიფრთხა.
ვფხიზლობთ.
სხვა ხეზე ჩაცვენილი თვალებივით ორ ბნელ ფუღოროს
და ჭერზე წვიმის შემხმარ წვეთებს
ვაკვირდებით
და ვაკვირდებით,
მაგრამ გვახსოვს ისევ ერთი

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა,
მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა.

ზღვა, მინდორი, მთები
და
მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა,
მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
ანუ
იგივენი და ჩვენ.
ჩვენ ანუ იგივენი.

6 თებერვალი. 2010.

სხვა სიკვდილი სიყვარულისგან

(ნაწყვეტი პოემიდან)

(მეოთხე ანდაზის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის და ჩემი ფსიქოდელიარანინული დაუჯდომელი)

თანამოსამენი — რომანოზ მელოდოსი — „საშობაო საგალობლები“

შენ წერდი, როგორ გამევლო უღრან ღამის უცხო ბილიკზე
და მე მომაკვდავ მთვარესავით მზისგან თეთრი სისხლი ვისესხე,
გავფითრდი და
თეთრფრთიანი შეშისმჭრელის ხშირი მადლი — ფითრი მოვისხი,
გავფითრდი და
თეთრფრთიანი შეშისმჭრელის ხშირი ფითრი — მადლი მოვისხი.
გავფითრდი და ხე ვარ —
შემახე ხელი და იგრძენი გამხმარ სისხლის უძრაობა — ბოლო სიბერე.
შენ წერდი.
თუმცა დავუძლურდი, ისევ გრცხვენია უსხეულო სიშიშვლისაც —
გინდა მზერას ჩადრი ჩააცვა,
რომ არ გაგიწყრეს სიჯიუტის ავი ალაჰი.
შენ წერდი ჩემი სევდის სიგრძეს, დაღლილ ღიმილს, სიტყვის სიმოკლეს,
მას მერე, რაც ზუბოვკიდან მომავალი გნახე, შეგირთე
და შენდამი ვცან სიყვარული —
ჩემს გზას წერდი მოურჩენი ზამთრის მიწაზე.
წერდი.
დღესაც წერ.
ვერ მიმხვდარხარ, რომ ფურცელი გათავდა უკვე
და წერილიც წავიღე.

მარსიანი

* * *

აღარ ვარ ბავშვი. გადიშალა მწვანე ფურცელი.
ჭაღარაც მაკრთობს. გამიმრავლდა სიზმრები ავი.
მეუბნებიან: მწუხარებას არ მისცე თავი
(აღარ ვარ ბავშვი. გადიშალა მწვანე ფურცელი).
ფერშეუცვლელი დახვდი ავდარს, ფერშეუცვლელი!
მოდის ავდარი — ამირანის ვეშაპი შავი
და თუ ამოჰყავ მის ხახაში ჯიუტი თავი,
ალმასის დანით გამოფატრე ბნელი მუცელი.

ფერშეუცვლელი დახვდი ავდარს, ფერშეუცვლელი!

და თუკი მართლა არ შეჰფერი ამ საუკუნეს,
ჭუპრად იქეცი, აღორძინდე იქნებ სხვა დროში,
ეს საუკუნეც გადაივლის, გადიგუგუნებს
თავისი კვამლით, უხამსობით, სისხლით და დროშით;
განზე გადექი, ამ მასკარადს მშვიდად უყურე,
ჭუპრად იქეცი, აღორძინდე იქნებ სხვა დროში.

* * *

„სალამი სევდავ!“
ეშმაკეული
ჩამესაუბრა ღამის სიოთი,
„ამ წუთისოფლის დაბზარულ გზებზე
უფლება გქონდა და მიდიოდი“.

„სალამი სევდავ!“
მესმის ხმა შორი,
ისევ მოჟონავს სინათლის ჩრდილი:
„სურვილი არ გაქვს და ვეღარ ივლი“, —
მესმის ხმა შორი,
მეწამულ ღამით, რომელიც ითხოვს:
„ნება მომეცით, ვიყო ზოგჯერ ირონიული,
ნება მომეცით, ნამდვილი ვიყო!“

მეწამულ ღამით, როცა გმინავს ლანდი მარსისა:
„რამ მიგარინდათ ჩემო ძმებო, ჯვარი გეწეროთ?“
სილამაზისგან დავისვენეთ, სილამაზისგან!“

* * *

— ადამიანობაა ეს ცხოვრება,
სხვა არაფერი! —
სკეპტიკურად თქვა,
იხილა რა თვისტომთ საქმენი
ბრძენმა შიმპანზემ.

ნამდვილი ამბავი

ძალიან მომდგამს უიღბლობა.
შევნატრი იღბლიანთ:
თუკი სხვები ღრუბლების ცქერისას
ხედავენ:
ფანტასტიურ არსებებს,
კოშკებს ოცნებისას,
საყვარელ ქალის თუ კაცის სახეს
და თვით ღმერთსაც კი —
მე — გატანჯულმა ადამიანმა
ერთხელ მოლურჯო-ტყვიისფერ ღრუბლებში
ვიხილე პროფილი ლ. ი. ბრეჟნევისა —
ჩამავალ მზის სხივით განათებული.

* * *

მემუქრებიან მიტოვებით და უარყოფით.
მე ნიღბებს ვიგლეჯ — დაგროვილა, ღმერთო, რამდენი!
ზრიალით მოდის მომავალი — ჟამი არყოფნის,
ჟამი სიგიჟის, დაცემისა, წყევლის, განდევნის;
მემუქრებიან მიტოვებით და უარყოფით.

რად მემუქრებით მიტოვებით და უარყოფით?
მიტოვება და უარყოფა ძმებია ჩემი,
მე მათ გარეშე ერთი დღითაც არ მიცხოვრია,
მე ნიღბებს ვიგლეჯ: აჰა, ჩნდება სახე ნაგვემი
და გადარჩენის მწვანე ხავსი ისე შორია,
ხელის გაწვდენაც აღარა მსურს, ძალა არ მყოფნის,
ცოფმორეული მომავალი ნთქავს ისტორიას
და ყველა ტაძარს სიყვარულის — ვხედავ დამხობილს!

...ნუ მემუქრებით მიტოვებით და უარყოფით...

მძიმე მარხვა

მძიმე მარხვაა
ჩემს მშიერ სულს მძიმედ ბარდნიან გალაქტიკები
ზეცის უფსკრულთაგან ჩამოქცეულნი
მძიმე მარხვაა
თავს ავუკრძალე საზრდო —
შენი მოსმენა და შენი ცქერა ელორა
მძიმე მარხვაა
და მძიმეა აწ გარდასული საუკუნის წყეული ლანდი
ჯერაც რომ ყბებით ჩაჰფრენია ჩემს მორჩილ სხეულს
მძიმე მარხვაა
ამ მძიმე მარხვაში ვარ დამარხული
შორით მოჩანს
კიპარისებში მოცრიატე ტაძრის გუმბათი
შენი ტაძარი შენი ბუდე — სადაც შენ გალობ ელორა

მძიმე მარხვაა
ჩემში უფსკრულნი მშობიარობენ
აღდგომის წინარე წყვდიადთა გმინვაა
ვერ გისმენ ვერ გხედავ ელორა ელორა
მე ვარ კოლაპსი
მე უნათლობის ზღვარი ვარ
მე უშენობის მაქსიმუმი ვარ ელორა
მძიმე მარხვაა
მხოლოდ დუმილის შავი ხმა წიწინებს
არარსი სუნთქავს უსაზღვროებას
და რამდენადაც ახლოვდება
იმდენად შორეულდება აღდგომის ნათელი
იმდენად მძიმდება
უშენობის უსასრულობა
მძიმე მარხვაა
მძიმე საშინელი კვირაა
ვერ გისმენ ვერ გხედავ ელორა ელორა

სონეტი მამას

წახვედი უკვე. სამი წელი ებრძოლე სიკვდილს.
შენი ვენახიც შენთან ერთად მოკვდა ერთგულად.
სიზმრად კი გხედავ გაცოცხლებულს, მაგრამ არ მიკვირს:
მოხვალ, საუბრობ, საქმიანობ კვლავ ძველებურად.

მაგრამ სიზმარი ხანმოკლეა — სიცოცხლე ფიფქის
და მტკნარ სიცხადეს საიმედოდ ვეღარ შებურავს;
აღარ ხარ უკვე და გულგრილი ქვეყანა იტყვის:
ვით სხვა მრავალი, შენი შვილიც დაობლებულა.

ალბათ ცასავით მსუბუქია ძილი მარადი!
აქეთ კი — ავად აფოფრილი, სიზმართა მკვლელი,
განმავრცობელი სიავისა, შიშის, ღალატის —

მოდის ვეშაპი და განწირულს ვერვინ დამიცავს:
შენს დაღრღნილ ფილტვებს დაემსგავსა ქვეყანა მთელი,
შენებრ სისხლისგან დაიცალა დღეს დედამიწა.

მომაკვდავი ნიღაბი ითხოვს პატიებას

პატიებას გთხოვ, რადგან მიყვარდი...
(შეურაცხგყოფდი თურმე!)
პატიებას გთხოვს ჩემი ნიღაბი,
ჩემი კეთილი ცრუ-მე...
პატიებას გთხოვს ნიღაბი-მეთქი
(ვინ უწყს, რა ხდება შიგნით);
მოღალატეა ჩვენ ორში ერთი:
დაე, მე ვიყო იგი!
შენს თეთრ ღამეში მე არ მელიან,

აგრე სჭრის ჩემი ბედი,
ეს ბადრი მთვარეც მწვანე გველია
რაღაც სხვაგვარი ხედით!
უცოდველობა რომ დაიჩივლე,
ცოდვას რომ შესთხოვ მიწას,
ჯერ ჩემი გულის გვამი იხილე,
მკვლელის ხელწერა იცან!
დავიკარგები, სადმე შორს წავალ,
სადმე, სამყაროს ბოლოს,
პატიებას გთხოვ, კვლავ რომ ცოცხალ ვარ
(გულს ვასაფლავებ მხოლოდ)...
პატიებას გთხოვ, რადგან მიყვარდი...
(აღარ მიყვარხარ, არა!)
პატიებას გთხოვს ჩემი ნიღაბი
გარდაცვალების კარად!..

* * *

მაინც რა არის ტრაგედია?
— ბავშვს ვეფერები,
ის კი ცდილობს თვალში თითი მკრას...

* * *

ღამით ტრასაზე
ერთიციცქნა სულთმობრძავი სინათლე გდია —
ციცინათელა გაუტანია მანქანას.

ლუკა ბაქანიძე

როცა არ მყავდა ძაღლი, ანუ ერთი ყმაწვილური მოგონება ბნელი ოთხმოცდაათიანებიდან

მაშინაც და ახლაც, გაუკაფავი და მოუვლელი
უფრო მიყვარს, რატომღაც, ეს საფლავი...
და ეს მცენარე მიყვარს, არ ვიცი რა ჰქვია,
სარეველებში მარტო რომ ამოდის,
და ძლივს რომ მივუსწრებ ხოლმე გაზაფხულობით,
სანამ ამასაც სხვა სარეველებთან ერთად გაკაფავდნენ.
თუმცა, შეიძლება სარეველაა ესეც... ლამაზი კია.
ვწყვეტ და დამაქვს ასე, გამხმარი, ჯიბით,
შარვლიდან შარვალში, გაზაფხულამდე.

და ამ ბალახის გამო, როცა არ მყავდა ძაღლი,
მიმათრევდნენ ხანდახან განყოფილებაში,
წამომარტყამდნენ ერთი-ორს და შემაგდებდნენ იქვე,
გალიასავით კამერაში, სანამ დილით ფულს არ მოიტანდა
ვინმე ჩემიანი, და თვითონ ეწეოდნენ ჩემს ბალახს:
— „კიდევ ტრუხა პლანით დადიხარ, ბიჭო?!“
მე კიდევ, ფიზიონომიასა და რეპუტაციაზე მეტად,
სიმორცხვე მიშლიდა ხელს, რომ ამეხსნა მათთვის,
მეთქვა, რომ სხვა ბალახი, ჩემი ბალახი იყო ეს,
ძლივს რომ მივუსწრებდი ხოლმე გაკაფვამდე,
გაზაფხულობით...

„— რა ხდება, რატომ არ გვაძინებთ ამ შუაღამისას!“
„— უკაცრავად ქალბატონო... დამნაშავე გაგვექცა და
ამ ეზოში შემოვარდა. “
„— თუ რამის დამჭერები ხართ, დაიჭირეთ და მოგვასვენეთ,
ტყვილა რომ დაბრაგუნობთ ამ კიბეებზე!“
„— რო ბნელა ქალბატონო, ვერა ვპოულობთ... ფანარი არ გვაქს!“
და ქალბატონს გამოაქვს ფანარი და თან, რა ფანარი —
პროჟექტორივით, დასატენი და რადიოიანი,
ადრე რომ იყო, ბნელ ოთხმოცდაათიანებში,
ძაღლი როდესაც არ მყავდა, მაშინ...

ვერ ითმენენ და მირტყამენ, იქვე, ქუჩაში,
მაგრამ მე ვიღიმები და მირტყამენ წიხლებსაც,
და იქ, განყოფილებაში, ხახვის სუნი რომ დგას,
და ქეიფობენ მთვრალი მეძავები და „მენტები“ —
იქაც გავიღიმებ და ისევ შემდგებიან, გაღიმებულს,
სანამ ერთ-ერთ მეძავს არ შევეცოდები,
კაცის ხმა რომ აქვს,
პომადით საყვარლად მოთხვრილი ტუჩები,
და ჩემს შემხედვარეს,
მფრთხალი და უგზოუკვლო უხდება თვალები,
მაინც, მაინც, ბავშვის თვალები... (შევამჩნიე და დამამახსოვრდა)

ესენი კი ვერ მეშვებიან ისევ,
ვერ მიტანენ გაღიმებულს, და არ იციან,
რადიატორზე ჩამორტყმული ნიკაპით, და დაბეჟილი გვერდებით,
რა მშვიდი ვარ, და რა ბედნიერი... რა ბედნიერი —
რომ ერთხელ მაინც გავბედე და ასე, შლეგივით
გავიქეცი, როგორც სიზმარში, ან ბავშვობაში:

გავრბივარ, გავრბივარ და ფეხებზე მკიდია
ცხვირწინ ჩამოფშხვნილი ბათქაშები...
გავრბივარ ნაწვიმარ ქვაფენილზე, შუაღამისას,
შვებით ვსუნთქავ...
და მომსდევენ უთვალავი ფეხის ბრაგუნით, გინებით,
ზემოდან აივნები ჩამომკივიან,
მომსდევენ, მომსდევენ და ვერ მეწევიან..

ვერ გვეწეოდნენ, როგორც სიზმარში და ბავშვობაში,
მე და ჩემს ბალახს,
გაკაფვამდე ძლივს რომ მივუსწრებ ხოლმე,
გაზაფხულობით...

2008

ქირომანტია

ირინას

არათითზე — ბოდიში.
უშენოდაც მშვენივრად მახსენდება
რელსები, ძეხვი და კრემისფერი პალტო.
და გზა...
ამ გზაზე ერთხელ, თუ გახსოვს,
მთვრალი ჯარისკაცი შეჭამეს ტურებმა.

საჩვენებელი თითიდან, ლამის მაჯამდე —
ქირომანტულად არასწორია,
მაგრამ ჩემი ხაზებით, ჩემებურად,
სისხლისფრად ჩავსერავ, ლამის მაჯამდე.
ლამის მაჯამდე ვიმხიარულოთ,
ვიმხიარულოთ!

წყლის კუ და უწყინარი გველებიც მოშორდებიან.
ცემენტის ნაპირებზე, სხვის თითებში შეხოხდებიან.
გვაცლიან მაჯამდე მხიარულებას.
და თუ ამ ჩემს მთვრალ ლექსს ვერ მოუსმინე,
მაშინ ჯანდაბას...

უბრალოდ, გავშლეგდეთ, როგორც გვჩვევია,
ასე: ბავშვურად.
ჩვენს ხელისგულზე, მთვარის მინდვრებზე
ხელბურთი ვითამაშოთ ისევ.

ისევ ეს კანაქერცლილი, ბებერი მდელო
ჩამოვხსნათ ჯვრიდან.
ავიკლოთ და ავაწრიალოთ...
ავაწრიალოთ...

ღმერთი ჩემი, მოხეტიალე

დამელოდები სადარბაზოსთან? თუ მოიწყინე,
ისევ ჩვენს,
წვიმაში დანთებულ ცეცხლთან დაბრუნდი,
მეც მალე მოვალ —
აქაც ისეა, როგორც ყოველ დღეს,
ან არ სჯერათ, ან არ სცალიათ...
მეც მალე მოვალ.

იცი, ახლა რა გამახსენდა?
იმ ვიწრო შუკაში რომ დაგვაღამდა,
ცარიელი ჩიტის გალიებით და თაბაშირის ბიუსტებით,
გამოტენილ სარდაფში რომ ჩავიპარენით,
ღამის სათევად.
და ის თბილი, თბილი რატომღაც,
ვიღაცის გაშლილი საძილე ტომარა,
და გაუხსნელი კონსერვის ქილა,
და რა ტკბილად გვეძინა, მთვრალებს!
სულ ის სარდაფი გამახსენდება,
როცა არ სჯერათ, ან არ სცალიათ...

ისევ აქა ხარ? ხომ არ შეგცივდა,
წამო, წავიდეთ, დავბრუნდეთ ჩვენს ცეცხლთან.
თუ ცოტა კიდევ ვიხეტიალოთ.
იქნებ დღეს მაინც წავაწყდეთ ვინმეს,
ვისაც სჯერა, და ვისაც სცალია...

შირაქი

(მადლობის ნიშნად — ვუძღვნი ტრაქტორს, რომელმაც,
ასე თუ ისე, გაანელა ჩემი ფანატიკური მტრობა,
ყოველგვარი ტრაქტორების თუ ბულდოზერების მიმართ)

რუკაზე დარჭობილ, სხვა, ნაირფერ ჭიკარტებს შორის,
ყველაზე მეტად, ეს წითელი ჭიკარტი მიყვარს...

გაფუჭებული, თბილი ტრაქტორი,
უკიდეგანო, ნახანძრალ დაბლობზე...
შეხედე, როგორ მოჩანს კვამლში —
როგორც ზღვაში კეთილი ვეშაპის კუზი,
ზედ შერჩენილი, გადარჩენილი,
ცოცხალ-მკვდარი ადამიანით.

და ზემოთ, ცაში, თოლიების თუ ყვავების ყრანტალი,
როგორც ზღაპარში...
როგორც ზღაპარში...

ყოველთვის, როდესაც ამ ჭიკარტს ვუყურებ,
ისევ მახველებს, ისევ ოფლი მომდის წურწურით,
თითქოს აგერ, სულ ახლახანს მომეხსნას მხრებიდან,
კიდემომწვარი და გამურული ჩემი ზურგჩანთა...

თებერვლები

გიძღვნი შენ... და ყველას, ვინც შენსავით მოკვდა

ექიმები, თუ მეზობლები, თუ... ეს ბრიყვები!
მარტო ფეხსაწმენდს რომ დახედავენ და მეტს ვერაფერს.
არც ჩვენს ეზოს, არც მოჩურჩულე აივნებს,
და აქეთ — კარსუკან, ვერც ჩემს ცარიელ, ჩაკეტილ,
უჩვენო თებერვალს...

სხვა ეზოებში არაფერი გვესაქმება — იქ ბევრნი არიან.
თავს აწონებენ ერთმანეთს და ძაღლებივით იქექებიან...
ვზივართ სკამებზე ჩვენს ეზოში, ღამე.
ბეტონის გეჯაზე ფეხები გვაქვს შემოწყობილი.
გეჯაში წყლით სავსე ვედრო დგას და ხანდახან,
დაკეტილი ონკანიდან ჩამოწურულ წვეთს ვედროში გააქვს ტკაპანი.
ზაფხულია, გაკრეფილია ყველა ქალაქიდან.
გარშემო, იარუსებად მომწკრივებულ აივნებზე
თუ გაისმის ჩურჩული, აქა-იქ...
ან რომელიმე ფანჯარა, ფარდა აცისფრდება
და ტელევიზორის დახშული ხმა მოისმის —
ნელ-ნელა რომ ძლიერდება,
უცნაურად მნიშვნელოვანი ხდება და ყვირის, სადღაც შორიდან,
ხან აგერ, შენს ცხვირწინ დუდღუნებს თავისთვის,
და ისევ იშლება — იზრდება,
დაზრიალებს გარშემო, ყველგან...
და წვეთიც იზრდება, ფართოვდება.
გადმოლახავს მისთვის განკუთვნილ, თუნუქის ნაპირს,
მოგადგება ფეხისწვერებზე. აუყვება რგოლებად
წვივებს და მუხლებს, ტანს...
გებურცება კანზე ტალღასავით. უფრო და უფრო მოიწევს,
გამძლავრებული... შენ კიდევ მშვიდი ხარ,
თითქოს ასეც უნდა იყოს, თითქოს ამისთვის ცოცხლობ
დასაბამიდან — წვეთს შეეშვირო, დაეხმარო...

და წვეთსაც რომ სჯერა, შენი სწამს —
მე და წვეთს რომ ერთმანეთისა გვწამს —
მოჩურჩულე აივნებს რომ მივეხლებით —
გადავტყლაშუნდებით სახურავებზეც —
ჰორიზონტებზეც...

წვეთებს შორის კიდევ, საათები — დრო, წამს რომ ჰგავს,
უკანასკნელ წამს, მოსახდენსა და მომხდარს შორის,
რომელშიც უკვე აღარც მოლოდინია, აღარც შიში
და საერთოდ, შენთვისაც აღარაა ადგილი, ამ წამში.
ამ წამში ახლა სხვა დგას, ძლიერი და ღრმად ფესვგადგმული
სამყაროში, ყველა მოსახდენსა და უკვე მომხდარ
ტკივილებს შორის დაბადებული, გამობრძმედილი.
რომელსაც ვერ იხსენებ, მაგრამ გეცნობა,
ისე გეცნობა, რომ ცრემლები გაწვება ყელში,
ვიღაც, თუ რაღაც, სიზმრებიდან... თუ დაბადებამდე...
შეიძლება შენ იცანი, შენ გაიხსენე. უჩემოდ.
შენ გაიხსენე და მერე ალბათ, სხვა ყველაფერი,
სხვა დანარჩენი, სულერთი იყო...
მერე ასე: — ფეხსაწმენდზე სიკვდილიც ღირდა.

ჩვენს თებერვლებს კარგახანია გამოვცდი, ბრატ.
ეს ერთი-ორი კინკილა ფობია კიდევ ჯანდაბას, ცხადში.
მაგრამ საბნისქვეშ...

ღამის დარაჯი

ტალღით აჭრიალებულ ფიცრებზე მიაბიჯებ, ფრთხილად.
გაწვდილი მარცხენით ჭრაქს დაახრჩოლებ.
მარჯვენით საყრდენს დაეძებ, მყუყე ჰაერში,
თუმც შეჩვეული ხარ ტალღებზე ბარბაცს.
უსაყრდენოდაც, ასე გიწერია:

მხოლოდ მაშინ იყო მშვიდი, როცა სხვებს სძინავთ.
იხეტიალო მთვარის სუნით სავსე დერეფნებში,
აქეთ-იქით გამწკრივებულ საწოლებს შორის.
გზადაგზა აბლაბუდასავით გადაქსელილი სიზმრები ათვალიერო.
ხანდახან რომელიმე, ბედნიერებისგან ათრთოლებულ ქუთუთოს დაჰხედო
და უყურო დიდხანს, განთიადამდე...

ასე გიწერია, უსაყრდენოდაც.
სიზმრებით დაქსელილ, მთვარიან დერეფნებს მიუყვები
ჭრაქმომარჯვებული, ჩუმად, ლანდივით...

თეონა დოლენჯაშვილი

რეალური არსებები

მოთმინება არ მყოფნის ცხოვრებისთვის
სიორენ კირკეგორი

ბოლოს აქ თხუთმეტი წლის წინ იყო. მას შემდეგ თითქმის არაფერი შეცვლილა, იგივე სასტუმრო, ევკალიპტები, ტბის სანაპირო... აქაურობა დროს არ მიჰყოლია. თითქოს ისევ ის ზაფხული დგას... მაშინდელი უდარდელი, თხუთმეტი წლის წინანდელი ზაფხული.

შეიძლება ამის გამოცაა, ახლა ყველაფერი უფერული და მოსაწყენი რომ ეჩვენება. თუმცა, ვიდრე წამოვიდოდა, სხვაგვარად ფიქრობდა. ქალაქში ცოლ-შვილსაც შეძლებისდაგვარად მიმზიდველად დაუხატა ლურჯი ტბის სანაპირო, ოდესღაც აქ გატარებული ზაფხული და ისინიც უხალისოდ, მაგრამ მაინც დათანხმდნენ. ბოლოს და ბოლოს, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. ჰოდა, მანაც შეუკვეთა — საუკეთესო ნომერი სასტუმროში... ბარგი ჩაალაგა, მანქანა დაქოქა და აჰა, უკვე აქ არის. ოთახიდან გადაშლილ ხედს უყურებს და ნანობს. ხვდება, რომ შვებულების აქ გატარება უსიამო იქნება. მეტიც, მტანჯველი.. ეს ჯერ კიდევ იქამდე იგრძნო, ვიდრე ტბას და სასტუმროს ღია მწვანედ შეღებილ ფასადს დაინახავდა, ვიდრე ბარგს ამოალაგებდნენ და ლანა ჩვეულ, ნერვული უჯრედების მკვლელ კონცერტს გამართავდა სახლში დარჩენილი პარფიუმერული ჩანთის გამო, ვიდრე გააცნობიერებდა, რომ წარსულთან დაბრუნება დაღლილი გულით და ცარიელი აწმყოთი მტკივნეული ყოფილა.

ახლაც ამ დამთრგუნველი შეგრძნების გაფანტვას ცდილობს. ოთახიდან გამოდის და ნელა მიუყვება სანაპიროს... მოშორებით დამსვენებლებს ხედავს, მათი ერთმანეთში არეული ხმები და მხიარული კისკისიც ესმის. უცხო და ბედნიერი სახეების დანახვა არ უნდა და იქვე ჯდება. ტბაში უხალისოდ ისვრის კენჭს. გრძნობს, როგორ დაღლილია, იარაღაყრილი, მხნეობაწართმეული... შეიძლება ამის მიზეზი თხუთმეტი წლის წინანდელ, აქ დატოვებულ სილაღესა და აწმყოს დამთრგუნველ სიმძიმეს შორის კონტრასტია. შეიძლება ყელზე ძაღლის საბელივით გამობმული და მოჭერილი ლანას ნევროზი, ამოსუნთქვის საშუალებას რომ არ აძლევს, ან სულაც, ეს უცვლელი და უდრტვინველი პეიზაჟი, რომელიც ფეხს არ გიწყობს, შენთან ერთად არ ბერდება და ეშვება, რომელიც კიდევ ერთხელ გიდასტურებს, რომ უკან არაფერი ბრუნდება და ერთ ტბაში ორჯერ ვერ შეხვალ.

დიდად არც წარსულში აქ გატარებული დღეების გახსენება სიამოვნებს. იმ დღეების ფურცვლა რაღაცით ძველი ალბომის თვალიერებას ჰგავს, ფოტოებს, რომელიც დიდი ხნის წინ გაცვდა და რომელთანაც აღარანაირი ემოცია აღარ გაკავშირებს, აღარაფერი აღარ გიზიდავს: არც გარემო, არც ადამიანები, მხოლოდ შიგ ჩასმული საკუთარი თავი მოგწონს. ზუსტად ისეთი, როგორიც მაშინ იყავი და მეტი არაფერი.

არადა, კარგი იქნებოდა რამე რომანტიკული ისტორია ჰქონოდა. რამე ისეთი ისტორია, მერე გონებაში რომ ალამაზებ და ახალ-ახალი დეტალებით ავსებ. ასეთ ისტორიებში ყოველთვის არის ვიღაც გოგო... მისი დავიწყებული, მაგრამ ამავე დროს, უცვეთი სახე. გოგო, რომელიც უყვარდა და ეს ადგილები სწორედ ამ სიყვარულს გაახსენებდა. ცოტა გულს აუჩქროლებდა, ცოტა სევდას მოგვრიდა, აი, ისეთ... სიხარულნარევ სევდას.. სასიამოვნო ფიქრს, რომ ოდესმე ის გოგოც ჩამოვიდოდა აქ, ჩამოჯდებოდა ნაპირზე და მის მეხსიერებაში მასაც ექნებოდა თავისი უცვეთი ადგილი.

მაგრამ ასე არ არის და წარსულის დღეებსაც კენჭებივით დაუნანებლად ისვრის წყალში. კენჭი სწრაფად უჩინარდება, წყლის ზედაპირი მკრთალ წრეებს იკეთებს და მერე ისევ დგება, სწორდება, ძველ სიგლუვეს და უშფოთველობას იბრუნებს. მიკა ფიქრობს, რომ ადამიანის

ცხოვრებაც არსებობის ზედაპირის ოდნავი შერხევაა. რამდენიმე უმნიშვნელო წრე და წკაპ, — სამუდამო გაუჩინარება...

ზურგსუკან ფეხის ხმა ისმის. მიხედვა არ უნდა, ვითომ აქ არ არის. მარტოობა უნდა. სიჩუმე... მაგრამ ვინ გაცლის.. რა თქმა უნდა, ლანაა. დამშვიდებულა და სახეც ღრუბელგადავლილ ცას მიუგავს. თითებში განუყრელი სიგარეტის ღერი უჭირავს. მის გვერდით უხმოდ ეშვება, ქსუტუნებს და ჟაკეტის ჯიბიდან სანთებელას იღებს. ასევე უხმოდ უკიდებს. ისეთი რბილია, ისეთი უწყინარი, თითქოს რამდენიმე წუთის წინანდელი უკონტროლო რისხვა იმ ლოკოკინასთვის მოუკიდებია, აგერ, საკუთარი ტვირთით ამაღლებული რომ მიღოღავს ტბისკენ.

მირიანს ნერვებს უშლის ცოლის ასეთი სწრაფი მეტამორფოზა. მის გაუგებარ რისხვაზე უფრო სწორედ ეს — რადიკალურად შეცვლილი განწყობა აცოფებს. კიდევ უფრო უმიზეზო და გაუგებარი მხიარულება... ლანა ერთ წუთს თუ ნამდვილი ქარიშხალია — დამანგრეველი, თვალებანთებული, ბოლო ხმაზე მომკივანი... მეორე წუთს შეუძლია ეს ქარბორბალა საკუთარ დუღილშივე შაქარივით დაადნოს და შუაგულ ოთახში, სადაც რამდენიმე წამის წინ ჭურჭელს ამსხვრევდა, ამ ნამსხვრევებზე საცეკვაოდ დაბზრიალდეს... ახლაც, როგორც ჩანს, რაღაც მხიარულის მოყოლას აპირებს. სიგარეტს ბალახზე აქრობს და პირს აღებს...

ამბობს, რომ აივნიდან ძველი მეგობარი დაინახა, ქეთა. თურმე ისიც აქ ისვენებს. აი, ის, რამდენიმე წელი გერმანიაში რომ ცხოვრობდა და სკაიპით ელაპარაკებოდა. როგორ არ ახსოვს? ქეთათო, ქეთა! ქერა, დიდძუძუებიანი... მიკას ასეთი ქალები არ ავიწყდება, მაგრამ ცოლის დაქალებით არ ინტერესდება. ლანას მოღიმარი სახე ისევ ექუფრება. მიიჩნევს, რომ მიკას მისი არაფერი აინტერესებს. უფრო სწორად, თვითონ ლანა არ აინტერესებს, არც ისე, არც ასე, არც დღე, არც ღამე, არც ბალახში, არც საწოლში.. არადა, მასაც შეეძლო თმები ქერად შეეღება და ძუძუები სილიკონით დაებერა. იქნებ, ასე მაინც მიექცია მისი ყურადღება... მიკა ოხრავს. ხვდება, რომ მეორე სერია იწყება. მთის ჰაერი აშკარად ახალი და ენერგიული ძალებით აღავსებს ლანას.

საბედნიეროდ, სადილის დრო დგება და დამსვენებლებიც სასტუმროს რესტორნისკენ მიიჩქარიან. მიკა სიგარეტის ანთებულ ღერს ტბისკენ ისვრის და დგება. ლანას ყურადღებაც უცხო ადამიანებზე გადადის. ლანასთვის თვალის ერთი შევლებაც საკმარისია სხვებზე დასკვნების გამოსატანად. ეს დასკვნები, როგორც წესი, უცვლელი და ურყევია, საბოლოო განაჩენის სახეს იღებს და გასაჩივრებას არ ექვემდებარება...

მიკა და მისი ცოლ-შვილი ტერასაზე სხდებიან. აქედანვე ჩანს, რომ დამსვენებელთა კონტიგენტი ჭრელია — ტბის სანაპიროზე გარუჯული თინეიჯერები, ოჯახური წყვილები, მთის ჰავის სარგებლობაში დარწმუნებული პენსიონრები... ტერასადან არც თუ ურიგო ხედი იშლება, მაგრამ ამას ახლა მარტო მიკა ამჩნევს. ლანა ისევ სხვებზე დაკვირვებითაა დაკავებული, ნია საკუთარი თავით, დათუნა — ბლექბერის ტელეფონში აღმოჩენილი ახალი თამაშით. თანაც ისე, რომ მხოლოდ დროდადრო თუ მოწყდება თამაშს და რამეს უგემურად გაღეჭავს.

დათუნა ისედაც ვერ იტანს ამ ოჯახურ ტრაპეზებს, სუფრებს, კოლექტიური ჭამა-სმის რიტუალებს. ამ დროს პირი საჭმლით, კუჭი — ნაგვით და გული დარდით ევსება... ოცნებობს, რაც შეიძლება მალე დასრულდეს ყველაფერი. საერთოდ, დათუნას სძულს აქაურობა. აქაურობა, ანუ რეალობა. ეზიზღება ცოცხალი ადამიანები, ყველაზე მეტად კი მშობლები, რადგან ისინი ყველაზე ახლობლები და რეალურები არიან. ის ხომ ყოველდღე ხედავს მათ ადამიანურობას — სიმახინჯეს, სისუსტეს, დაუსრულებლობას... დათუნა წამით თავს სწევს და ადამიანების მოძრავ და სხვადასხვაგვარ სახეებს შეფარული ზიზღით უყურებს. ამათ ჰგონიათ, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებიან, არადა, ყველა ერთნაირი ნეხვია — საკუთარ ყოველდღიურობაში გამოკეტილები, შეზღუდულები, მოკვდავები... საჭმლის ხარბად, დიდ-პატარა ულუფებით მყლაპავები, მოფარებულში შვებით და ხმაურით რომ დაიცლიან მუცლებს და კმაყოფილები წამოწვებიან სანაპიროზე, ან ძაღლებივით ალოკავენ ერთმანეთს.

დათუნას გულს აზიდებს. არა, ის ამათიანი არ არის. ის უცხოპლანეტელია. აქ განსაკუთრებული მისიით მოგზავნილი. ამას, ჯერ კიდევ ძალიან პატარა რომ იყო, მაშინ მიხვდა და აქედან გაქცევას, უფრო სწორად, მისიის შესრულებას შეუდგა. იქ გაიზარდა, განვითარდა, გამრავლდა... ახლა ცამეტი წლისაა, სინამდვილეში დევიდი ქვია და მალე ამ საცოდავ, გადაგვარებულ არსებებს ახალი, ლამაზი, სრულყოფილი ადამიანებით ჩაანაცვლებს. ადამიანებით, რომლებიც

არც დედასავით იკივლებენ, არც მამასავით დონდლოები და უინტერესოები იქნებიან, არც ბებიასავით დაემანჭებათ სახე და არც ბაბუასავით იჩანჩალებენ აქოთებული და საკუთარი შარდით სავსე ღამის ქოთნით საძინებლიდან ტუალეტისკენ. დათუნა ამათ ყველას ვირტუალური არსებებით ჩაანაცვლებს. მთავარია, იმათი აქ გადმოყვანა შეძლოს. რა? უტოპიაა? სულაც არა. თუკი ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ ვირტუალურ სამყაროში, იმათ რატომ არ შეუძლიათ გადმოვიდნენ აქ? ეს აუცილებლად შექცევადი პროცესია, — ფიქრობს დათუნა და საკუთარ ოთახში საათობით შეკეტილი, კომპიუტერში თავჩარგული და მის მიერვე შექმნილი სრულყოფილი ვირტუალური არსებებით გარემოცული დაკისრებული მისიის განხორციელებაზე მუშაობს...

— სადილი მშვენიერია, — ამბობს მიკა.

— ჰო. თან ამ ჰაერზე მადაც მოგემატება. და კიდევ გასუქება გინდა? — ტუჩს იბზუებს ლანა და ახალ სიგარეტს უკიდებს.

— დესერტიც იქნება? — კითხულობს ნია და პირზე ხელს იფარებს. ამთქნარებს. აქ მოწყენილობაა, მაგრამ ალბათ, არც ისეთი, როგორც თავიდან მოეჩვენა. ტბაა... ცურვა, გარუჯვა და ბიჭების გაცნობა შეიძლება... ასე რომ...

— აი, ქეთაც, — ამბობს ლანა, — დგება და მისკენ წამოსულ ქალს უღიმის. ქალს ღია ვარდისფერი, გულამოჭრილი კაბა აცვია, მაგიდებს შორის მოირხევა და ლანას ხელს უქნევს. „მართლაც ბარაქიანი ძუძუები ჰქონია“, — ფიქრობს მიკა და მისი ასოციაციებიც მრავალგვარია: მადამ ტიუსოს ცვილის ქალები, ბოულინგის ბურთები, წვნიანი ატამი, ტინტო ბრასი, ნოყიერი ვახშამი, დედალი ხოხობი, მუცლის ცეკვა...

ქალები ტერასის შუაგულში ჩერდებიან და ერთმანეთს მანერულად კოცნიან. მიკა ქალებს უყურებს და ფიქრობს, რომ საერთოდ, ყოფილი დაქალების შეხვედრა რაღაცით წააგავს მოკრივეთა შეხვედრას რინგზე. ისინი ერთმანეთს ათვალიერებენ, ესალმებიან და გონგის ხმაც ისმის. ახლა უკვე ყველაფერი დარტყმების სიძლიერესა და მათ ტაქტიკურ აცდენებზეა დამოკიდებული.

პირველი რაუნდი ლანასია. ლანა მეგობარს მიკას და წამოზრდილ შვილებს აცნობს. ქეთა აღტაცებულია ლანას ოჯახით. განსაკუთრებით კი ნიათი, რომელიც უკვე თხუთმეტი წლისაა და მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება გრძელი, ღია თაფლისფერი თმით და ლამაზი, ნორჩი სხეულით. ლანასგან განსხვავებით ქეთა გვიან გათხოვდა. ამიტომ მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს, 5 წლის ბარბარა. აი, იქ სხედან. ის და მისი ქმარი. დარბაზში.

— ბებე! — იძახის ქეთა და მიკა პატარა, ქერათმიან გოგოს ხედავს. დედისკენ მორბის. უკან კაცი მოყვება, რომით გაჟღენთილი ძველი მეზღვაურივით მოაბიჯებს, უხალისოდ, რწევა-რწევით... სახე წამოჭარხლებია. ხელში ლუდის ბოთლი უჭირავს. ლანა დაქალის „მეზღვაურს“ საკუთარ ქმარს ადარებს და კმაყოფილია. მეტისმეტად კმაყოფილი...

* * *

სადილის შემდეგ დათუნა ნომერში იკეტება. ნია ჭრელ ტანსაცმელს ჩანთიდან ილუზიონისტივით ყრის და საწოლსა და იატაკზე ისე ფანტავს, გეგონება ოთახში ბოშათა ბანაკი ჩამოდგა. საბოლოოდ, მოკლე, თეთრ სარაფანს არჩევს. მერე საწოლზე დაგდებულ წიგნს იღებს და ტანსაცმლის ნაირფერ ხალიჩაზე გადავლით ოთახიდან გადის... ჯერ ტბისკენ მიმავალ ხეივანს მიუყვება. ნელა მიაბიჯებს. კევს მონდომებით ღეჭავს და თინეიჯერი გოგოსთვის დამახასიათებელი უგულისყურობით ათვალიერებს გარემოს. სანაპიროსთან ბამბუკის ფანჩატურები ჩაუდგამთ. იქვეა რამდენიმე ბუნგალო. ბუნგალოებისგან ოდნავ მოშორებით ლურჯი და მოხერხებული ჰამაკები გაუჭიმავთ. ნია ცარიელ ჰამაკში ჯდება, ფეხებს ერთმანეთზე ბუდასავით აჯვარედინებს და წიგნს შლის. რამდენიმე წუთის შემდეგ ბუნგალოებისკენ იხედება და ერთდროულად რამდენიმე მზერას იჭერს. მაშ ასე, მახე დაგებულია, წამზომი ჩართული. რამდენიმე წუთი და პირველი მსხვერპლიც ამ მახეში თავფეხიანად გაბმული...

ნია კევს ბერავს და ატკაცუნებს. თან წიგნს ფურცლავს და შიგ ცალი თვალით იჭყიტება. ცოტა ხნის მერე მსხვერპლისკენ იხედება. ალბათ, 40 წლის მაინც იქნება. ან ცოტა ნაკლების. ზომიერად ფერხორციანი, მოწიფული მამაკაცი ორმოცწლიანთა კრიზისის ზღვარზე. ნია უყურებს, მიამიტად უღიმის და ისევ წიგნს უბრუნდება. მსხვერპლი კი ბუნგალოს ტოვებს და ლუ-

დის ქილით ხელში მის მახლობლად, ჰამაკში ჯდება. ნია გულში ქირქილებს. ო, რა ავხორცია სამყარო! ჯერ თხუთმეტი წლის არის, მაგრამ უკვე ბევრი იცის. ამათ ჰგონიათ, რომ მისი თანატოლებივით პატარა, სულელი და რომანტიული ისტორიებით თავგამოტენილი გოგოა. რა სასაცილოა. შეიძლება ჯერ კარგად არ იცის რა უნდა, მაგრამ ის ნამდვილად იცის, რა არ უნდა. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც იცის, როგორ იცხოვროს, რომ დედას და ათასობით მისდაგვარ სასოწარკვეთილ დიასახლისს არ დაემსგავსოს...

ნია ცალი ფეხით ჰამაკს აქანავებს. ბეჭიდან სარაფნის ბრეტელი უვარდება და კითხვაში გართულს თხელი ქსოვილი ქვევით ცურდება. ნიას ნორჩი და უზადო მკერდი ნახევრად უშიშვლდება. ის დოყლაპია კი ლუდთან ერთად უზარმაზარ ნერწყვს ყლაპავს. როგორ უყურებს... ამხელა კაცი... არც კი რცხვენია....

— ნია სად წავიდა? — მიკა ახლაღა ამჩნევს რომ ტბაში ბანაობის მსურველთა რიცხვი კიდევ ერთი კაცით შემცირებულა.

— წიგნი წაიღო. სადმე ჩამოჯდებოდა. ან შეიძლება სანაპიროზეც დაგვხვდეს, — პასუხობს ლანა, რომელიც სარკის წინ დგას. მსუბუქი მაკიაჟი უკვე გაუკეთებია და ახლა ცდილობს საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი საკუთარი თავი ობიექტურად შეაფასოს. კარგად ვერ ხედავს საჯდომს ქვემოთ ბარძაყებზე უხვად დაგროვილ ცელულიტს და ფიქრობს, რომ თუ მოშვებულ მუცელს პარეოთი დაფარავს და ცოტასაც შეისუნთქავს, აი, ასე... ძალიან კარგადაც გამოიყურება.. მშვენივრად.

— შემხედე რაა. ნორმალურია? — გასძახის ქმარს.

— რა? — კითხულობს მიკა.

— რა და რაც მაცვია.

— კი.

ლანას ქმრის პასუხი არ აკმაყოფილებს. რას ნიშნავს „კი“? უნდა უთხრას, რომ ძალიან კარგია. საუკეთესო... რომ ულამაზესია, რომ იდეალური ტანი აქვს და რაც არ უნდა ჩაიცვას, ყველაფერი მოუხდება.

— და ტანზე როგორ მაქვს?

— კარგად თქო, ხომ გითხარი.

ლანას მიზეზი აქვს აფეთქდეს, მაგრამ ეს დიდ დროს წაიღებს. ამასობაში მზეც ჩავა და გამოდის, რომ დღევანდელი საბანაო საღამო დაკარგულია. ამიტომ რისხვას დროებით გულში იბრუნებს და ჭილის ჩანთაში ბრაზით ყრის ნივთებს — სხვადასხვა ტიპის კანისთვის განკუთვნილ მზისგან დამცავ კრემებს, სავარცხელს, ტელეფონს...

სანაპიროზე ქოლგებს შლიან. შეზლონგებს აწყობენ. ნავებს აქირავებენ. კოქტეილებს აზავებენ. მოკლედ, ყველა და ყველაფერი მათ მოლოდინშია... როგორც ჩანს, ქეთაც. შეზლონგზე გულდაღმა წევს, ნიკაპი ხელებზე დაუყრდნია და მზის სათვალის მრგვალი და მუქი მინებიდან სასტუმროდან ტბისკენ მომავალთ ათვალიერებს. და ვის უნდა შეეგებოს, თუ არა ამდენი ხნის უნახავ მეგობარს, რომელთან ერთადაც ბედის წყალობით ახლა ერთ სასტუმროში მოხვდა და ერთი მზის ქვეშ გაირუჯება?...

ქეთაც ლანას და მიკას ხედავს თუ არა, შეზლონგიდან დგება. არა, დაიცადეთ... ასე მარტივად არა... ეს ხომ მთელი აქციაა, პერფორმანსი, წლების მანძილზე დამუშავებული მოძრაობების, მანერების და მიმიკების ნაზავი. ქრონომეტრაჟიც წამებში გაწერილია და მაყურებელზე ზუსტად გათვლილი...

და ქეთა თავდაპირველად, როგორც აერობიკის ინსტრუქტორი ვარჯიშის ჩვენებისას, ხელებს ეყრდნობა და ტანს უკან სწევს. გამოზომილად. ნელა... ავაზასავით გრაციოზულად იჭიმება. თანდათან მუხლებზე დგება და უკანალს ბზეკს. ამ პოზიციიდან მისი დიდებული და წარმტაცი მკერდის სრული სურათიც იშლება. მისკენ ერთდროულად რამდენიმე თავი ტრიალდება... ქეთა კი ნელ-ნელა სწორდება წელში, ხელები მკერდთან მიაქვს, შეზლონგზე ისევ მუხლებით დგას და მიამიტი და მოღიმარი სახით საკუთარი ცოდვების უცოდინრობის გამო დაბნეულ მლოცველს წააგავს. შეუდარებელია! და რა თქმა უნდა, მას ეკუთვნის სრულიად სანაპიროს მამაკაცთა მზერა! მიკაც აღფრთოვანებულია, მაგრამ ცოლის შიშით არაფერს იმჩნევს.

ქეთა შეზლონგიდან გადმოდის. ოდნავ შენელებული მოძრაობით ჯერ ერთი ფეხი გადმოაქვს, მერე მეორე. ნაზი ფეხისგულები აქვს და ამის გამოა, ქვიშაზე ფეხისწვერებზე რომ დგას. თუმ-

ცა, ისიც კარგად იცის, რომ ასე უფრო მაღალიც ჩანს და უფრო ასხლეტილიც. მოკლედ, ასეთია და რა ქნას... შავ საცურაო კოსტიუმში გამოკვართული, მადლიანად დაბურცული, ზომიერად გარუჯული...

სრული ფურორია, მაგრამ როგორც ნამდვილი პროფესიონალი, ქეთა საკონტროლო გასროლასაც აკეთებს. ბოლო დეტალისთვის მზის სათვალეს იხსნის და თმებს კეკლუცად არხევს. ზუსტად ისე, როგორც სამანტა ფოქსი „მალიბუს“ მაშველებში. შველაც ბევრს სჭირდება.პირველ რიგში კი ლანას, რომელიც დაუნდობელ ნოკაუტშია. მეორე რაუნდი ქეთასია. თან სუფთად. პირველივე დარტყმით.

მიკა ცოლის სახეს ახლა გვერდიდან უყურებს. ხვდება, რომ ღამით ამ მყუდრო და უწყინარ ადგილს დამანგრეველი შტორმი გადაუვლის. ეს ცხადია. თუმცა, ამის მიუხედავად, თავად უჩვეულო სიმშვიდეს გრძნობს. გარდა იმისა, რომ ამინდის ასეთ მკვეთრ ცვალებადობას წლების განმავლობაში შეეჩვია და აღარ აღელვებს, ახლა კიდევ სხვა რაღაცეებიც უწყობს ხელს, ხასიათი არ გაიფუჭოს. გვერდით შეზლონგზე ქეთა წევს, ამჯერად გულაღმა...

ლანა ემოციების დასაფარად, თუ იმის საჩვენებლად, რომ არც თუ ურიგოდ ცურავს, ტბაში შედის. მიკა წყალში შესულ ცოლს უყურებს და ცდილობს გაიხსენოს როდის შემდეგ დაიწყო ლანას ისტერიკების ეს დაუსრულებელი სერია. ახლა უკვე ჰგონია, რომ თანამეცხედრე თავიდანვე ასეთი იყო და საკუთარ თავს მხოლოდ იმაში ადანაშაულებს, დროულად რომ არ გაწყვიტა მასთან ცოლ-ქმრული კავშირი და ორი ბავშვის გაჩენის, გაზრდის და მის ცხოვრებაში ფესვების ასე ღრმად გადგმის საშუალება მისცა. თუმცა, ისიც კარგად იცის, ლანა სულაც ხორცშესხმული დემონი რომ იყოს, მაინც ვეღარაფერს შეცვლის. მასთან ცხოვრება დიდი ხანია იმ რეალობად იქცა, რომელსაც საპირწონე არ აქვს. შეჩვეულ ჭირად, რომელზეც შეუჩვეველ ჭირს აღარ გადაცვლის. უბრალოდ, არც სათანადო მოთმინება აქვს, არც ენერგია და რაც მთავარია, არც ძალა ამ ცვლილებებისთვის. ახალი დრამატურგიისთვის. ახალი ცხოვრებისთვის.

ლანა ტბის სიღრმეში შედის. სწრაფად მიცურავს. „ახლა რომ დაიხრჩოს? — ფიქრობს მიკა — აი, ახლა რომ ვთქვათ, ძარღვი გაესკვნას და დაყვირებაც ვერ მოახერხოს, ისე ჩაიძიროს. ისე სწრაფად, რომ შველაც ვერ მოასწრონ და ნაპირზე გამოყვანისას უბრალოდ, აღარ სუნთქავდეს...“ — აგრძელებს ფიქრს მიკა და ამ სურათის წარმოდგენაზე ენითაუწერელი ნეტარება ეუფლება. ადრეც არაერთხელ უფიქრია ასე. უფიქრია, მაგალითად, ავტოკატასტროფაზე, სადაც მხოლოდ ლანა იღუპება, დანარჩენები კი მცირედი დაჟეჟილობებით გადარჩებიან. უფიქრია ხანძარზე, მაშინ, როდესაც მხოლოდ ლანაა სახლში, ან საკვებით მოწამვლაზე, რომელიც დილით სუპერმარკეტში ლანამ შეიძინა და მარტო თვითონ მიირთვა. თავდაპირველად ასეთი ფიქრების გამო სინდისი ქენჯნიდა და მათ სწრაფადვე იცილებდა თავიდან. მერე და მერე მათგან მოგვრილი სიამოვნებისთვის წინააღმდეგობის გაწევა გაუჭირდა. და თანდათან ისინი იქცნენ მის ტკბილ, აკრძალულ, ჯოჯოხეთურ ნეტარებად და გადაფარეს აქამდე არსებული ყველა ფიქრი და წარმოსახვა. მოზარდობის სექსუალური ფანტაზიებით დაწყებული, ჭაბუკობის ყველაზე თამამი ოცნებებითა თუ განუხორციელებელი კარიერისტული მიზნებით დასრულებული.

— ცეცხლს ხომ ვერ წამიკიდებ? — ესმის მიკას და შეზლონგიდან მისკენ გადმოხრილ ქეთას ხედავს.

— ცეცხლს? ახლავე... — იცინის მიკა და შორტის ჯიბეში სანთებელას ეძებს, ქეთას სიგარეტზე უკიდებს და კიდევ ერთხელ ავლებს თვალს მისი სხეულის მმ... მიდამოებს. ქეთას ცალ ხელში სიგარეტი უჭირავს, მეორე ხელის თითებით სილას ცრის და ორაზროვნად უღიმის. მიკას ასოციაციები ახლა უფრო კონკრეტულ სახეს იღებს და მათში არეულია სასტუმროს რომელიღაც ნომერი, პლეიბოის მაცდური კურდღლები, წყლის სწრაფი მიქცევ-მოქცევა, ხმამაღალი კვნესა...

* * *

მიმტანს დაორთქლილი ლუდის ბოთლები და კათხები მოაქვს. თენგო ბოთლს კათხაში აპირქვავებს და მის ცივ, სასიამოვნო ზედაპირს ქალის წელივით ბღუჯავს. ეს უკვე მეოთხეა. მართალია, პირველივე კათხაზე თვრება, მაგრამ სმა მხოლოდ თრობა არაა. ეს არის რიტუალი. საქმე, რომელიც უმჯობესია სხვასთან ერთად აკეთო. ამიტომ სხედან ახლა ის და მისი აქვე გაც-

ნობილი თანამეინახე ასე წყნარად, გემრიელად. გახურებულ შუბლებს მთის სასიამოვნო ნიავი უგრილებთ და ყელს — ცივი ლუდი. მაგიდაზე თევზი, კიდევ რამე-რუმეები და უკვე დაცლილი ჭიქები აწყვია, სადაც რამდენიმე წუთის წინ ხორბლის სუფთა და გემრიელი არაყი ესხა.

— თავიდანვე მთელი ბოთლის აღება ჯობდა. გრამობით რომ ვსვამ, ასე მგონია, ყლუპებს მითვლიან ეს ჩემისები, — ამბობს თენგო.

— მართალია, კიდევ შევუკვეთოთ, — ეთანხმება თანასუფრელი და მიმტანს არყის ჭიქებზე ანიშნებს, — კიდევ ორ-ორი ყლუპი თუ შეიძლება...

უაზროდ იცინიან. ბუნგალო ირწევა და თენგოს ეჩვენება, რომ ძალიან დიდი ხანია რაც აქ ზის. იმდენად დიდი ხანი, რომ დრომ სვლა შეანელა და ახლა ის წამებით და წუთებით კი არა, ბარმენის მიერ ჩამოსხმული არყის ყლუპებით ითვლება.

მზე ჩადის, ცა ჯერ ლამაზად წითლდება და მერე ნელ-ნელა მუქდება. სანაპიროდან ხალხი იკრიფება. სასტუმროს ნომრებში სინათლეები ინთება. ადამიანები ახალი საათის, ახალი საქმის, ახალი რიტუალისთვის ემზადებიან. ალბათ მათ შორის თენგოს ადამიანებიც არიან, მაგრამ მათ ახლა რა ჰქვიათ და რას შეიძლება აკეთებდნენ, თენგოს აღარ ახსოვს და არც აინტერესებს...

ისევ სვამენ, სიგარეტს ეწევიან და კიდევ თითო-თითო ჭიქას უკვეთავენ. ბუნგალო ტბაში გაშვებული ნავივით ირწევა და თენგო ფიქრობს, რომ ბუნგალო კიდობანია და მხოლოდ აქ მსხდომნი გადარჩებიან. შეგრძნება სასიამოვნოა, მაგრამ უცებ რაღაც ახსენდება და წუხს. ეს რაღაც თითში შერჭობილი ხიჭვივით აწუხებს, თითქოს თითი ეს-ესაა რაღაცას გამოსდო... გონებას ძაბავს და ეჩვენება, რომ ამ კიდობანში კიდევ ვიღაც უნდა იყოს, მასთან ერთად კიდევ ვიღაც უნდა გადარჩეს, ვიღაც მისთვის მნიშვნელოვანი, ძვირფასი... მაგრამ ვინ, კარგად ვერ იხსენებს. ხელს გაუგებრად ჩაიქნევს. ახლა უბრალოდ, ფიქრის და გახსენების თავი არ აქვს. ამისთვის, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უნდა გამოფხიზლდეს. კიდობნიდან გადმოვიდეს და უკან, ტკივილსა და წარღვნაში დაბრუნდეს..

— რამის თქმა გინდოდა? — ეკითხება კიდობნის მეორე მგზავრი.

— რისი და... ისაა.. ჩვენ გაგვიმარჯოს... — ბლუკუნებს და დამაფრთხობელ სიცარიელეში სიურეალისტურად გამოკიდებულ არყის ჭიქას ეჭიდება.

ის კი, ვინც უნდა გადაარჩინოს, იქვე სანაპიროზე ზის და თამაშობს. ხუთი წლის ბარბარე. ბებე, რომელსაც ახლა ნამდვილად არ უნდა მამის კიდობანში. ხელში პატარა ჯოხი უჭირავს და სილაში უცნაური ცხოველები გამოჰყავს. უცნაური, არარსებული ცხოველები. დაახლოებით ისეთები, ცაზე ღრუბლებით რომ იხატება. მზე ჩადის. ცა წითელია, ტბაში წყალი — ისევ ლურჯი და ზედაპირზე ცოტა წითელი. ყველაფერი ძალიან ლამაზია და ბებე ხვდება, რომ სამყარო მრგვალია და დიდი... ის კი მის შიგნითაა. ისე, როგორც ოდესღაც ჩანასახი დედის მუცელში. ის მის შიგნითაა და მასთან ერთადაა ჩიტები, პეპლები, ღრუბლები ჰაერში, ჭიანჭველები და პატარა მატლები — მიწაზე, მედუზები და თევზები — წყალში.

ბებეს უხარია ეს აღმოჩენა და ხვდება, რომ მარტო არაა. მიუხედავად იმისა, რომ არც დედა ჩანს სადმე, არც მამა, მარტო მაინც არ არის. ბინდდება და სანაპირო ცარიელდება... ყვითლად განათებულ ბუნგალოში თენგო სვამს და ფიქრობს, რომ უკვე ძალიან დიდი ხანია აქაა. იმდენად დიდი ხანი, რომ დრომ სვლა შეანელა და ის ახლა წუთებით და წამებით კი არა, არყის ყლუპებით ითვლება, ჰო... კიდევ ის, რომ ვიღაც ჰყავს მობარებული. მისახედი. მაგრამ ვინ, ვინ?.. ვერ იხსენებს და თავს უძლურად ჰკიდებს...

* * *

ნია ტბიდან ამოდის და პირდაპირ სილაზე წვება. უყვარს ასე შებინდებულზე ბანაობა, როცა ირგვლივ თითქმის აღარავინაა. შეზლონგზე დაწებებული მუტრუკი სათვალავში ჩასაგდები არაა. საწყალი... მგონი საბოლოოდ დაშტერდა. ისევ ისე ზის და თვალმოუშორებლად უყურებს. აქვე, სასტუმროში კი ალბათ ცოლ-შვილი ელოდება, ან შეიძლება ცოლი საერთოდ არც ჰყავდეს და მისნაირ ხელმოცარულ და მარტოხელა მეგობრებთან ერთად იყოს დასასვენებლად წამოსული. ასეთები ხომ ქალთან მიახლოებასაც ვერ ბედავენ, არა თუ ხელის თხოვნას.

ნია მუცელზე წევს და გრძელ კანჭებს აქანავებს. წიგნი და სარაფანი მოშორებით დაუყრია. მბზინვარე თმა სველ ზურგსა და ჯერ კიდევ ბავშვურ მხრებზე აყრია, უკვე ქალურ და მრგვალ

დუნდულებზე კი წყლის სველი წვეთები. მერე თავს სწევს და ზანტად ტრიალდება. მუცელი და მკერდი ოქროსფერი სილით აქვს დაფარული. ერთი ციცქნა ბიკინშიც სილა ჩაყრია. ნია ჯდება და ბიკინიდან სილის გადმოყრას და მოცილებას ცდილობს, ამას ისე ბავშვურად და ამავე დროს, ისე ურცხვად აკეთებს, კარლსონის ასაკში გაჩხერილ იმ საცოდავს პირი უშრება, სუნთქვა უხშირდება და შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები ასხამს. ნია სასტიკი, სასტიკი გოგოა. ადამიანების გრძნობებით თამაში უყვარს. აბა, თოჯინებით თამაში არც არასდროს ჰყვარებია. მას ართობს ეს ახლადნასწავლი ილეთები. ბავშვური, ინფანტილური ანცობიდან ქალურ ვნებიანობაში გადაზრდილი სახიფათო თამაშები. მაგალითისთვის, ასეთი: სილის გადმოყრისას ბიკინს იწევს და თითებით საკუთარ ფისუნიას ეხება. მსხვერპლი მთლიანად თვალებად არის ქცეული. ახლა მისგან მხოლოდ ორი უზარმაზარი თვალია დარჩენილი. ნია კი ერთი მაყურებლის თეატრის ერთადერთი პერსონაჟია. როლს მშვენივრად ირგებს და ნიჭიერადაც ასრულებს. ტყუილად ხომ არ უვლია სკოლის დრამატულ წრეში... თან თამაშობს და თან ცდილობს სიამოვნებაც მიიღოს. თითებიც ნელ-ნელა უსველდება და პატარა, ვარდისფერ ბაგეებს შორის შერჩენილ სილასა და საკუთარ წვენს გრძნობს...

მაყურებელი დამბლადაცემულია, მოძრაობის უნარი საერთოდ, საბოლოოდ წართმევია. ცოტაც და გულის შეტევას მიიღებს. მან ხომ ჯერ კიდევ არ იცის, ვისთან აქვს საქმე, რომ ამ პატარა ლოლიტასგან სრულიად შეპყრობილი და მოჯადოებული ისე დაიცარიელებს ჯიბეებს, საფულეს და სასტუმროს ფოიეში მდგომი ბანკომატიდანაც ისე მოხსნის მთელი წლის მანძილზე დაგროვილ თანხას, რომ მისგან შეიძლება ვერც ვერაფერი მიიღოს. მაგრამ ახლა ეს სცენა მართლაც რომ ყველაფრად ღირს, თუნდაც მთელ სიცოცხლედ. და მასაც ეჩვენება, რომ ეს გამაოგნებელი საღამო, ტბის სანაპიროზე გაწოლილი და საღამოს ბინდში გახვეული შიშველი და ნორჩი სირინოზი მის ცხოვრებაში გაელვებული საუკეთესო ხილვა და ზმანებაა.

* * *

საწოლიდან წვრილ ფეხებს აწყობს და ტუმბოზე დადებულ სათვალეს ცხვირზე ირგებს. ტუალეტისკენ მიფრატუნობს. ვერ იტანს ამ სავალდებულო, გაზეპირებულ მოძრაობებს — შარდის შხეფები უნიტაზის თეთრ ემალზე, ცივი წყალი სახეზე, კბილის ჯაგრისის რიტმული მოძრაობა კბილების ზედაპირზე. გარეთ მზე ანათებს. დამსვენებელთა ამაო ფაციფუცისა და ერთმანეთთან უაზრო ლაყბობით შეზავებული ხმები ისმის. რამდენი, მართლაც შინაარსისგან დაცლილი, არასწორი საქმით და რიტუალითაა სავსე ეს ცხოვრება, მაშინ როდესაც მის სამყაროში არაფერია ზედმეტი. არაფერზე ცდები. მხოლოდ იმას აკეთებ, რაც საჭირო და მნიშვნელოვანია, — ფიქრობს და ნოუთბუქს რთავს.

ეკრანზე ფერადი, 3 განზომილებაში შექმნილი არსებები ჩნდებიან. დათუნამ კიდევ ათასამდე ასეთი არსება უნდა შექმნას. იქამდე, ვიდრე ისინი გამრავლებას შეძლებენ და ადამიანებს ჩაანაცვლებენ. ადრე დათუნა ახლობლებს ცნობილი იმიჯებით ცვლიდა. მამამისი მირიანი ბრიყვი მიკი მაუსი იყო, დედა — რომელიმე გამხდარი ტროლი. ან შეუმდგარი და გამოცდაზე ჩაფლავებული საცოდავი ალქაჯი ჯადოქართა სკოლიდან. ძმის მუდმივი ჩაგვრისა და მერე მშობლებთან ოსტატურად თავის მართლების გამო განსაკუთრებით საძულველი უფროსი დაიკო კი სისხლისმსმელი ვამპირი, რომელიც მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ აჩენს საკუთარ შემზარავ სახეს...

დრო რომ გავიდა, დათუნა მიხვდა, რომ რეალური არსებები და მათი სურათ-ხატები საერთოდ არ უნდა არსებობდნენ და ყველაფერი თავიდან, ნულიდან უნდა დაიწყოს. ჯერ კიდევ იმ წერტილიდან, ვიდრე ღმერთი ადამს შექმნიდა. რადგან სულ ერთი უჯრედიც რომ დატოვოს, ეს დაუსრულებელი, არასრულფასოვანი ადამიანური ბუნება მაინც დომინანტი იქნება სხვა დანარჩენზე, მისი ერთი ნამცეციც კი აუცილებლად იმძლავრებს, იყვავილებს, ბაქტერიასავით გამრავლდება და ახალ სამყაროსაც ისევე გადაჭამს და წალეკავს, როგორც აქამდე არსებულს.

ნოუთბუქში თავჩარგულს მობილური ტელეფონის ზარი აფხიზლებს. ეკრანიდან თვალმოუშორებლად, ხელისცეცებით ეძებს ტელეფონს და რამდენიმე გაბმული, გულისგამაწვრილებელი ზარის მერე, მის პოვნას და ყურთან მიტანას ახერხებს.

ყურმილის მეორე მხრიდან ქალის ნერვიული ხმა ისმის.

— დათუნაა!

— ჰო, დედა, — უხალისოდ პასუხობს.

— ტბაზე ჩამოდი! — მოკლე ბრძანებას ისვრის მეორე მხარე.

— არ მინდაა...

— ჩამოდი, თორე მაგ ლეპტოპს მეათე სართულიდან გადავუშვებ!

დათუნა უცებ ვერ ხვდება, რომელ მეათე სართულს გულისხმობს დედად მოვლენილი, ამჟამად ტბის ნაპირას გაწოლილი ქაობის ტროლი, მაგრამ ნოუთბუქს მაინც თიშავს და საწოლზე დაგდებულ შორტს იცვამს. მისი ამბოხი დაუმორჩილებლობაში არ გამოიხატება. რადგან ის უბრალო, იაფფასიანი მეამბოხე არ არის. დათუნა მთელი სამყაროს გამანადგურებელია, არმაგედონია, რომელიც ცეცხლით და მახვილით კი არა, ქაუნთერ სტრეიკით მოევლინება კაცობრიობას. აპოკალიფსია, რომელიც სწორედ მაშინ და მისგან დადგება, როდესაც და ვისგანაც ყველაზე ნაკლებად ელით.

სანაპიროზე თავდახრილი, მზის შუქისგან თვალმოჭრილი მიაბიჯებს. შიშველ და მოძრავ ხორცის ნაჭრებს შორის ნაცნობ ხორცის ნაჭრებს ხედავს და მათკენ მიდის... თვითონაც ასეთივე ნაჭერია, მაგრამ უხორცო და ფერმკრთალი. მაისურს იხდის და ქოლგის ქვეშ ჯდება. ჯერ ისევ განუვითარებელი, ბავშვური სხეულიდან სუსტი ბეჭები ამოჩრია. თვალებს ხუჭავს. თავში ათასნაირი არეული ფიქრი უტრიალებს.

— კარგი წყალია, წამო, ცოტა მაინც გაცურე, — ეძახის მამა.

— იყოს, მერე ჩამოვალ, — ასევე თვალდახუჭული პასუხობს. თვალებში მზისგან დარჩენილი სინათლის თეთრი წრეები დაუდის.

— ნიაა, ჩემი მზისგან დამცავი კრემი სადაა? — ახლა დედის ხმა უხვრიტავს ყურს და უსიამოდ იშმუშნება. თვალებს ახელს, სათვალეს ისწორებს და მისიის პირველი ეტაპის შესრულებას იწყებს. წარმოსახვით იარაღს იმარჯვებს და პირველ სამიზნედ ოდნავ მოშორებით ჩამომჯდარ, ნაყინის ლოკვით გართულ ახალგაზრდა ქალს არჩევს. სასხლეტს თითს კრავს. ქალს ნაყინი ხელიდან უვარდება და გულისპირზე ეცემა. ნაყინის თეთრი, რძიანი მასა და გულიდან წამოსული სისხლი ერთმანეთს ერევა, ქალი ყირავდება, სილაში თავქვე ერჭობა, და ახლა მხოლოდ მისი სასაცილოდ აშვერილი მსუქანი ფეხები და უკანალი ჩანს. ქულა ჩათვლილია, დათუნა კი ახალ მსხვერპლზე გადადის და უკვე მობილურ ტელეფონზე საქმიანად მოსაუბრე მამაკაცს ისტუმრებს იმქვეყნად.

შემდეგი ტბიდან ამოსული მამაა. იქამდე, ვიდრე ის ჯანსაღი და სპორტული მამაკაცის ცრუ იმიჯის განმტკიცებას და ქოშინის დაფარვას შეეცდება, თავს ბიჭურად გაიქნევს და ირგვლივ-მყოფებს წყლის წვეთებით დაასველებს... მერე შეზლონგზე გაწოლილი, დამცავი კრემების უხვად მოხმარების მიუხედავად მზისგან დამწვარი და უსიამოდ აწითლებული დედის ჯერი დგება. ნია სადღაც მიმალულა, მაგრამ სად წავა... ჯოჯოხეთი ეს შენიანებია. პირველ რიგში, შენიანები და მერე უკვე სხვები. ჯოჯოხეთი — ეს, ზოგადად ადამიანებია. ამიტომ ყველა მოსაშორებელია. ყველა. უკლებლივ. ასე, ერთმანეთზე მიყოლებით... დათუნა ახლა უკვე მიჯრით ისვრის, მისი სასიკვდილო იარაღიც ძალას იკრებს და გამეტებით ცელავს სხვადასხვა ასაკის და სქესის „ხორცის ნაჭრებს“. ბევრი დაყვირებასაც ვერ ასწრებს. გაქცევაზე საუბარი ზედმეტია. სანაპირო ბრძოლის ველს ემსგავსება და გვამებით ივსება. ყველაფერი წითლად იღებება. ტბაში მოცურავეებსაც ადვილად პოულობს დათუნას მსახვრალი ხელიდან წამოსული ულევი და ულმობელი ტყვია. დათუნა აღტაცებულია. აღფრთოვანებული. ყველაფერი მის ხელშია და თავიც სამყაროს მბრძანებელი ჰგონია. სათვალის მინებზე სისხლის შხეფები ესხმება. დდდდ... დდდდდ..... აი, ეს არის ნამდვილი ცხოვრება. ყველაზე მართალი და ნამდვილი საქმე!

სიკვდილით გართული მკლავზე ვიღაცის ხელის შეხებას გრძნობს და ხტება. არადა, შესაკრთობი არაფერია. ბალახის ღეროს ან ჩიტის ფრთის შეხებას უფრო ჰგავს. გვერდით ხუთიოდე წლის გოგო უდგას და რაღაცას აწვდის. დათუნა იარაღს ნელა ატრიალებს და სამიზნეში მისი პატარა ქერათმიანი თავი ჩანს. თავი ასევე პატარა, ლამაზი სხეულით გრძელდება. გოგოს ლურჯი კაბა აცვია და ასეთივე ფერის თვალებით უყურებს. შეუძლია ახლავე ტვინი გაასხმევინოს და წარმოსახვითი გვამების რიცხვი კიდევ ერთით გაზარდოს, მაგრამ რაღაცნაირი ბავშვია, აი... ისეთი... ამათ არ ჰგავს... დათუნა ყოვნდება, მერე იარაღის ლულას დაბლა ხრის და ბრაზით ეკითხება:

— ვინ ხარ? რა გინდა?

გოგონა არაფერს პასუხობს. მხოლოდ უღიმის და პატარა მუჭს უწვდის. ხელში რაღაც უჭირავს. ალბათ, მხოლოდ მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი. მუჭს ხსნის და დათუნა ხედავს, რომ ხელისგულზე სანაპიროზე ნაპოვნი სხვადასხვა ფერის კენჭები უწყვია. სველი კენჭები მზეზე პრიალებს და ისეთი ჩანს, როგორიც სინამდვილეში სულაც არ არის. პატარა, სულელი ბავშვი...

* * *

— რა ლამაზიაა. მადლობა. რა ყვავილია?

— გეორგინუს ალენტუს... ღია წითელი შეფერილობის. იზრდება მთის ფერდობზე. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ტბებთან და წყალსაცავებთან. დამტვერვა ხდება წელიწადში ერთხელ. შედგება ღეროს, ბუტკოსა და გვირგვინისგან.

— მართლა? ბოტანიკოსი ხარ?

— არა, ეს ისე... სიმართლე რომ გითხრა, წარმოდგენა არ მაქვს რა ყვავილია, — მხრებს იწურავს მიკა და გემრიელად მოკისკისე ქეთას ღიმილით უცქერის.

— აი იქით კი... გთხოვთ, გამომყვეთ, — როლში შედის მიკა, — განსაკუთრებული ენდემური ჯიშები ხარობს, რომელთაც მხოლოდ ამ ადგილებში შევხვდებით. გინდათ, პატარა ბოტანიკური ტური მოვაწყოთ?...

— მხოლოდ ამ ადგილებში ხარობს? ენდემური...

— ჰო, და კიდევ ოდნავ სიღრმეში, — მიკა ქეთას ხელკავს გამოსდებს, — ფეხი მიწაში თუ გეფლობათ, შემიძლია ხელში აყვანილიც გატაროთ, ტურის ღირებულებაში შედის.

ქეთა თავს უკან აგდებს და ხმამაღლა კისკისებს. მიკა გარემოს ათვალიერებს. საკმაოდ ღრმად შემოსულან. აქედან აღარც გზა ჩანს და აღარც დამსვენებლების ხმები ისმის..

* * *

— მიკა, აქ ხარ? სად ხარ? გამიღე! — ოთახის კარზე აკაკუნებს ლანა. არავინ პასუხობს. ნომერში არავინაა და გაბრაზებული ლანა ჩანთაში იქექება. მაგრამ გასაღებს ვერ პოულობს. მშიერია, დაღლილია და ოთახში შესვლა უნდა, ბანაობა, ყავის დალევა... საშინელი დღე ჰქონდა. მთელი დღე მარტო იხეტიალა. ნია დილიდანვე გაუჩინარდა, ნაშუადღევს მიკაც სადღაც წავიდა და აღარ გამოჩენილა, დათუნა ხომ სათვალავში ჩასაგდებიც არაა... გინდ იყოს, გინდ არა. ბოლოს და ბოლოს, შეისრუტავს კომპიუტერის მონიტორი და ეგ იქნება, ისედაც დიდი ხანია ეჩვენება, რომ ეს ბავშვი პროცესორიდან წარმოიშვა, და არა მისი საშვილოსნოდან...

ტერასაზეც მარტო იჯდა. ოფიციანტს თითქმის მთელი საათი ელოდა, თან კანი საშინლად ეწვოდა და საიდანღაც მოფრენილი და შოკოლადგადასხმული ნაყინის გაზიარებას მოწადინებული კრაზანების მოგერიებას ამაოდ ცდილობდა. ამ ცოცხივით გაფარჩხული ბუნგალოების და თვითკმაყოფილი რეპტილიებით გავსებული სასტუმროს ატანა ხომ საერთოდ აღარ აქვს... მოკლედ, ყველაფერი აღიზიანებს, ნერვებს უშლის... და ახლა დაკეტილ კართან დგომა, ჩანთაში ქექვა და გასაღების უშედეგო ძებნა განსაკუთრებით აცოფებს. ჩანთიდან ნივთებს ძირს ყრის. გასაღები მათ შორის არ არის. ლანა მობილურ ტელეფონს ავლებს ხელს, გამალებული კრეფს ქმრის ნომერს და პასუხის მოლოდინში ცალ ფეხს მოუთმენლად აკაკუნებს. „მობილური ტელეფონი გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან“, — ამცნობენ მშვიდი, ტექნიკური ხმით. ლანა კიბეებზე ჩარბის. თან ისევ და ისევ კრეფს ნომერს, ხოლო ტელეფონი ისევ და ისევ გამორთულია. ლანა ჯერ ტბაზე გასვლას და ქმრის მოძებნას აპირებს, მაგრამ ხვდება, რომ ორთქლის გამოშვებას მერეც მოასწრებს და გაცილებით იოლი ახლა კონსიერჟის პოვნაა, რომელიც პრინციპში იქვე დგას და ლანა მას გასაღების დუბლიკატს თხოვს.

ნომერში შესული შხაპის ქვეშ დგება. თბილი წყლის ჭავლი ცოტა ამშვიდებს და დაღლილობასაც უხსნის. მაგრამ მზისგან დამწვარი კანი ისევ ისე ეწვის და ცოტა ხნის წინ გაღიზიანებული ნერვული სისტემაც ბეწვაშლილი კატასავით აჯაგრული და ზამბარასავით დაჭიმულია... აბაზანიდან გამოსული სიგარეტს უკიდებს, მერე პირსახოცს იხსნის, სარკის წინ დგება და შიგ

იხედება. ახლა არც საკუთარი გარეგნობა მოწონს. მხრებზე აქერცლილი კანი, ხშირი ღებვისგან დათხელებული სველი თმა და მოშვებული მკერდი. ბუნგალოებიდან ნიავს მუსიკის ხმა მოაქვს, ვიღაცეები ერთობიან, იცინიან, ერთმანეთი უყვართ... ან ჰგონიათ, რომ უყვართ... ლანა კი გრძნობს, რომ მისი დრო მიდის, ილევა... თანაც ისე, რომ ვერაფერი მოასწრო, ხელი ვერაფერს გამოსდო, საკუთარ თავს და სურვილებს ვერაფრით დაეწია... გრძნობს, როგორ მარტოა, როგორ არავის აინტერესებს არც ის და არც მისი მოშვებული მკერდი, დამწვარი კანი და უიმედოდ ჩამოცლილი დრო...

ლანას გული ეწურება. ვერ გაუგია, რატომ გამოვიდა ასე, რატომ ვერ მოხვდა საჭირო დროს საჭირო ადგილას, ან რატომ შეხვდა მხოლოდ მათ, ვინც მისი დაფასება და მისი სურვილების ასრულება ვერ შეძლო. რატომ არ იყვნენ ისინი მის მიმართ მოსიყვარულეები, მზრუნველები, კეთილები, ერთგულები...

ლანა ვერ ხვდება. შეიძლება იმიტომ, რომ მხოლოდ სხვების განსჯა შეუძლია და არასდროს უფიქრია იმაზე, რატომ თამაშობდა ყოველთვის ცალ კარში და არ სთხოვდა საკუთარ თავს იგივეს... იყო კი თავად სხვების მიმართ ასეთი? იმსახურებდა კი საპასუხო სიყვარულს?.. მაგრამ ლანასთვის ეს ხომ ისედაც ცხადია. ისედაც ნათელია... და მეტი ფიქრისთვის, ანალიზისთვის, განსჯისთვის არც დრო ყოფნის, არც მოთმინება. მხოლოდ მოუთოკავი ბრაზი ახრჩობს, სიგარეტს საფერფლეში მთელი ძალით ასრესს და კიდევ ერთხელ კრეფს თანამეცხედრის ტელეფონის ნომერს...

* * *

— ვაიმეე, ნემსიყლაპია!— კივის ქეთა. ყასიდად შეშინებული სახე აქვს და პატარა, უმწეო გოგოსავით ხტის ადგილზე. ამ დროს ძუძუები ისე უთრთის, რომ ლამისაა კაბიდან ბოცვრებივით ამოუხტეს. ყველაზე სახიფათო მწერის შემოსევებისგან დამცველი რაინდიც უმალ მის გვერდით ჩნდება. მაგრამ ნემსიყლაპია უკვე მათ თავს ზემოთ არტყამს წრეს და უჩინარდება, მიკას კი ისღა დარჩენია, შეშინებული თანამგზავრის დამშვიდება სცადოს...

ქეთა ფიჭვის ხეს მიყრდნობია, სახე აწითლებია და სუნთქვა გახშირებია. წითელი ლიკრის სარაფანში გამოკრული მკერდიც ისე მღელვარედ აუდ-ჩაუდის... მიკა გრძნობს, რომ სულ რამდენიმე წამში მათი ბოტანიკური ტური წარმატებით გადაიზრდება სექს ტურში და სასიამოვნო მოლოდინის ტალღა ჯერ ტვინის შესაბამის უჯრედებზე და მერე უკვე წელს ქვემოთ ურტყამს.

* * *

ბებეს პატარა ფეხები აქვს და პატარა ნაბიჯებს დგამს. სასტუმროს წინ დაგებული ფილები კი დიდებია და ბებე ისე სიარულს ვერ ახერხებს, რომ თითო უჯრაში თითო ფეხი ჩაყოს. მამა ამას ნამდვილად შეძლებდა და ისინი ერთად დაითვლიდნენ ყველა ფილას. მაგრამ მამა აქ არ არის. შეიძლება ოთახში სძინავს, ან სადმე, ბუნგალოში ზის. და ბებეც თავის გზას მიუყვება. ბებე მარტოა. ბებე ხშირადაა მარტო. ზოგჯერ ეს მოწონს, ზოგჯერ არა. ახლა არ მოწონს და უნდა, ძალიან უნდა ვინმე მოვიდეს და ერთად დაითვალონ გზა.

ბებე გამვლელებს უყურებს. ყველა მასზე მაღალი და დიდია. მიდიან, მოდიან და არავინ ცდილობს მასსავით სწორად, ფილებზე ფეხის დადებით იაროს. ბებე ოხრავს, ტრიალდება და ტბისკენ მიაბიჯებს. ვერ ხვდება რატომ ამბობენ, რომ წყალი საშიშია. მაშინ როცა წყალი ლამაზია, ლურჯია და ბებეც შიგნით სარკესავით ჩანს.

* * *

ტელეფონი ისევ გამორთულია. სამაგიეროდ კარი იღება. „მობრძანდა!“ — უხარია ლანას, მაგრამ მომზადებული ტექსტი პირზე აშრება, რადგან ოთახში ნია შემორბის.

— აქ ხარ, დე?

— მე კი აქ ვარ, თქვენ სად დადიხართ? დათუნა სად არის? მამაშენი არ გინახავს?

— ვცურავდი. დათუნა კიდე ხო იცი სადაც იქნება. კომპიუტერშიიი..

— მიკა?

— მე რა ვიცი. საყიდლებზე არ მიდიოდით? — ნია კარადიდან ჯინსებს და მაისურებს ყრის.

— სად?

— რაღაც საყიდლებზე. ეგ და ქეთა დავინახე მანქანაში სხდებოდნენ და მეგონა შენც იქ იყავი.

— რაა?

— აუ, თავი დამანებე რა, დე... რავი მე — ლანას ისტერიულ კივილს შეჩვეული ნია ოდნავაც არ კრთება, მხოლოდ ის უნდა, რომ დედა წამით მაინც მოიცილოს, რათა სარაფანში შემალული ფულის ჩანთაში შეჩურთვა და დამალვა მოასწროს.

* * *

მიკა ცალ ხელს ქეთას აფუებულ მკერდზე ადებს, მეორეს წელზე ხვევს. მის მკლავებში მოქცეული ქეთა თვალებს ხუჭავს. სადღაც, მათ ზემოთ ჩიტები სტვენენ და მიკას წამით ეჩვენება, რომ ქეთას ტუჩებს ფიჭვის ხის კევის გემო დაკრავს. ოდნავ მომწარო, გრილი, არომატული... ამ გემოს მზიანი ველების, დაბინდული ტყეების, კეთილი ზღაპრების, თავბრუდამხვევი საქანელების და სადღაც წლების სიღრმეში ჩაკარგული უდარდელი ბავშვობის გემო აქვს. მიკა ბედნიერია, მაგრამ წამით, რადგან გემო სწრაფადვე ქრება, ბავშვობის უმანკო მოგონებებიც უკვალოდ, უკანმოუხედავად გარბიან და მას ახლა სულ სხვა სურათები და ვნების ოხშივარი ცვლის. ქეთა ვნებიანად კვნესის, მიკას სიამოვნებისგან თავბრუ ესხმის, ქეთას გადახსნილ მკერდზე ეწაფება. ხელებს კაბის ქვემოთ უცურებს...

* * *

ლანას თავში ახლა ათასობით ნემსიყლაპია ჩამჯდარა და უამრავ წვრილ, წამახულ ნემსს ერთდროულად არჭობს. სიგარეტს ხელისკანკალით უკიდებს და აივნიდან იხედება. მოღალატეები! მოღალატეები! მკვლელები!!! — გამალებით უკაკუნებს ტვინში და ლანაც ლამის არის შეიშალოს. უკვე საბოლოდ დარწმუნებულია, რომ ქმარმა გაწირა. დაუფიქრებლად უღალატა, თანაც ვისთან... ალბათ, ასე სახლდებიან ადამიანის სულში დემონები, ფიქრობს თავისთვის და საკუთარი თავის ეშინია... უფრო სწორად იმ უცხო სხეულის ეშინია, რომელიც შიგნით ჩასახლებია, გულ-მუცელში უტრიალებს და გარეთ გამოშვებას სთხოვს. კართან მისულ ნიასაც ბუნდოვნად ხედავს. ნიას უკვე მოუსწრია იმ ლეღვისგან მოცემული ფულის თავის პატარა ჩანთაში, ბლოკნოტებსა და ტანსაცმელებს შორის შეჩურთვა, ახალი მაისურის გადაცმა და წასასვლელად მომზადებაც.

— სად მიდიხარ? — ლანას საკუთარი ხმაც ეუცხოვება.

— სად და გარეთ... გავივლი.

— დარჩი აქ. გთხოვ, — ლანას ახლა ხმის აწევის უნარიც არ აქვს.

— კაი რა, აქ რა მინდა? აქ რა ვაკეთო, დე? მალე მოვალ, — ნია დედის პასუხს აღარც ელოდება, კარს სასწრაფოდ იჯახუნებს და კიბეებზე ჩარბის.

ნია კმაყოფილია. ფული, ამქვეყნად ყველაზე საჭირო რამ, მისთვის ძალიან ადვილად იშოვება. მართალია, ვიდრე სრულწლოვანი არ გახდება, ცალკე ცხოვრებას ვერ შეძლებს, მაგრამ ცოტასაც მოითმენს. იქამდე დააგროვებს, შეიძლება ბინის ყიდვაც მოახერხოს, მანქანის... ბუნგალოში შედის. ბართან, მაღალ სკამზე სკუპდება. კოქტეილს უკვეთავს. წრუპავს და ბარმენს მხიარულად ეჭყანება. მუსიკას ბეჭებს და ტანს აყოლებს. ლამაზად ირხევა. მოპირდაპირე მაგიდასთან ჩამომსხდარი ტიპები ერთხმად მიშტერებიან. ნია მათკენ იხედება და იცინის...

* * *

ბებეს ახალი თამაში აქვს — გაჩერობანა. ისეთი თამაშია, სულ მარტომაც რომ შეგიძლია ითამაშო. ბებე სანაპიროზე ზის, სილას პეშვში იგროვებს და სილის საათივით ცრის. ცრის ნელა, ნელა... მერე მუშტს კრავს და დრო ჩერდება. თვითონაც ირინდება, შეშდება. ოდნავადაც არ

ირხევა და გრძნობს, როგორ იჭერს რომელიღაც განსაკუთრებულ წამს. როგორ ტრიალებს ამ წამის შუაგულში და მის ჰერმეტულ, ხავერდგამოკრულ შიგთავსში საკუთარი თავისა და გარემომცველი სამყაროს შეცნობას ცდილობს.

დრო ჩერდება. და დროსთან ერთად ყველა და ყველაფერი მის ირგვლივ და გარშემო: დაღლილი დედამიწა ორბიტაზე, ჩამავალი მზე ცაზე, მეთევზის ანკესზე წამოგებული თევზი წყალში, ლოკოკინების ხოცვაში გართული პატარა ბიჭები ქვებით ხელში, დედა და მსუქანი მიკი მაუსი სადღაც ტყეში, არყის სირჩაზე ხელწავლებული და აკანკალებული მამა რომელიღაც ბუნგალოში, საკუთარი ვენების გადასერვით დაკავებული ქალი სასტუმროს რომელიღაც ნომერში, რეალური არსებები მიწაზე და ვირტუალურები — დათუნას თავში..

და ბებეს უხარია, რადგან ხვდება რომ განსაკუთრებული უნარი აქვს. რომ ერთადერთია, ვისაც ეს შეუძლია. რომ შეუძლია გაჩერობანას თამაში სხვებსაც ასწავლოს. და თუ ასე მოხდება, ადამიანები სიბერეს და სიკვდილს დაივიწყებენ. დროში, როგორც შუქნიშანთან, ისე გაჩერდებიან. გაჩერდებიან და დაიცდიან... უკეთეს დრომდე, უკეთეს წამამდე... დაფიქრებამდე, სინანულამდე, შეცვლამდე...

* * *

ლანა ხვდება, რომ ვენების გადაჭრა მეტისმეტად მტკივნეული იქნება და ამის ძალა არ აქვს. არადა, თავიდან თითქოს სწორედ ეს უნდოდა. უნდოდა ტკივილი მიეყენებინა საკუთარი თავისთვისაც და ოთახში შემოსულთათვისაც შემზარავი სურათი დაეხვედრებინა. მაგრამ სამართებელმა კანი აუწვა თუ არა, შეჩერდა... ახლა სხვა გზას ეძებს და ტუმბოს უჯრაში ჩაგდებული საძილე წამლის შუშა ახსენდება. იღებს. შუშიდან აბებს ხელისგულზე იყრის და უყურებს... თვალები ცრემლით ევსება. საკუთარი თავი ეცოდება. მაგრამ ბრაზისგან გონებადაბინდული შვილებისა და ქმრისათვის უკეთესი სამაგიეროს მოფიქრებას ვერ ახერხებს და ხელისგულზე დაყრილ აბებს სასწრაფოდ ყლაპავს.

რამდენიმე წამი ასე ზის. მომავალი შურისძიების სურათებით ტკბება. მერე დგება. ფურცელსა და კალამს იღებს და უკანასკნელი, ყველაზე სასოწარკვეთილი, სასტიკი და გამანადგურებელი სიტყვების დასაწერად ემზადება.

* * *

მიკა ახლაღა გრძნობს, რომ მიწაზე დაწოლილს ნაძვისა და ფიჭვის წიწვები ზურგზე ჩხვლეტენ და ქეთას სხეულისგან განთავისუფლებას და წამოჯდომას ცდილობს. უნდა თავი გაიმხნევოს, მაგრამ არ გამოდის. რატომღაც, ყველაფერი რიგზე არაა. არა, თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო, არც თავი შეურცხვენია და ქეთამაც ასე თუ ისე, მისი მოლოდინი გაამართლა და დააკმაყოფილა. მაგრამ ბოლო წამებში რაღაც დაემართა. აი, დანაყრების პირს ყველაზე გემრიელ ლუკმას რომ ელოდები და ამ დროს რაღაც უგემური და მძაღე გემოსი შეგყვება... ამიტომ წევს ახლა რაღაცნაირად მოშვებული, მოლოშილი და საკუთარი თავის დანახვაც არ უნდა. მაგრამ აქ ძილი არ გამოდის და ისე კიდევ ვის სად დაემალები, ყველაფერი აუცილებლად საკუთარ სხეულს და ფიზიკურ არსებობას გაგახსენებს... წიწვები ზურგს გიჩხვლეტს, ხელზე ჭიანჭველები გაცოცდება, ნახევრად შიშველი ქეთა კი მთელი ძალით გეტმასნება და შეუსვენებლად ტიტინებს.

„რა იქნება ცოტა ხნით რომ გაჩუმდეს. ყველა ქალი ერთნაირია“ — ფიქრობს მოღუშული და სანაპიროზე მიტოვებული თანამეცხედრე ახსენდება. მასთან ერთად, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი ჩხუბიც, სკანდალიც და რისხვის ქარბორბალებიც... კიდევ უფრო იღუშება. ქეთაც ლანას სახელს ახსენებს. როგორც ჩანს, მის მრავალრიცხოვან ნაკლთა სისტემას განიხილავს. მიკა ქალების სულმოკლეობაზე ბრაზობს. ახლა უკვე არც ქეთას დანახვა შეუძლია. ამიტომ ზემოთ იხედება. ცას უყურებს და რომელიღაც საღამოს ჩიტის სტვენას აყურადებს. „იავ, ვია. კრუუუ“ — იძახის ჩიტი. მერე მოტივს ცვლის და მიკას ეჩვენება, რომ ჩიტი მის სახელს იძახის, თითქოს ზემოდან დაჰყურებს და აჯავრებს: „მი-კა, მი-კა, უუუ.. მიკა, მიკა, მოწყენილო და გასუქებულო მიკი მაუსო...“

მიკა კიდევ უფრო მაღლა წევს კისერს და ცდილობს ჩიტი დაინახოს. აი ისინიც, ცაში მოფრთხიალე ჩიტები — ყველაზე ლამაზი და სრულყოფილი არსებები. ხეების ტოტებშიც უამრავი დიდი და პატარა ჩიტის ბუდეა გახლართული და გაკვირვებული მიკა ხედავს, რომ ბუდეებში ბავშვისთავიანი ჩიტები და ჩიტისთავიანი ბავშვები სხედან...

* * *

ბებე ისევ სანაპიროზე ზის და ცაში იყურება. ცაზე ღრუბლები მიდიან და ბებეს ხელს უქნევენ. ბებე ფიქრობს, რომ ალბათ, ღრუბლებზე დაჯდომა და გასეირნება შეიძლება. რა კარგი იქნებოდა... და ბებე ვითომ ღრუბლებშია, ბებე ცაზეა..

მერე ბებეს ცაში ცქერა წყინდება და კენჭების შეგროვებას იწყებს. ლურჯ, ყვითელ, მწვანე კენჭებს აგროვებს. აქ ყველაზე ლამაზი კენჭებია. ნაპირზეც ლამაზებია, მაგრამ წყალში კიდევ უფრო ფერადები და ლამაზები. ბებე ნაპოვნ კენჭებს კაბის ჯიბეებში იყრის და გრძნობს, როგორ მძიმდება. ნელა მიაბიჯებს. ახლა ყველაზე ძლიერმა ქარმაც რომ დაუბეროს, ბებეს მაინც ვერ წაიღებს. რადგან ბებე მიწაზეა. ბებე მიწისაა...

სადღაც ბაყაყები ყიყინებენ. ბებეს აინტერესებს, როგორ ჩერდებიან წყლის ზედაპირზე ბაყაყები. იქნებ წყალზე ასე, ბაყაყივით სასაცილოდ რომ ჩაჯდეს, თავადაც შეძლოს... ყი-ყი... ბებე ტბაში შეჩრილ დიდ ქვაზე დგება და ტბისკენ იხრება. ქვა ცოტა პრიალაა და ზედ ფეხი ცურავს. ბებე ჩერდება და წყალში იყურება. საკუთარ დაბრეცილ სახეს უყურებს და ეცინება. ხვდება, რომ წყალი საშიში არ არის. ბებე ახლა წყალზეა, ბებე წყლისაა...

* * *

ლანას წინ ფურცელი უდევს, ხელში კალამი უჭირავს და წერილის დაწერას ცდილობს. მაგრამ სასოწარკვეთის და მრისხანების პირველ, ყველაზე მძლავრ ტალღას უკვე გაუვლია და ლანაც საჭირო სიტყვებს ეძებს. გარეთ იხედება. საღამოვდება და ოთახი ჩამავალი მზის რბილი შუქით ივსება. ნიავს საიდანღაც ახლადგაჭრილი საზამთროს სუნი მოაქვს და ლანას უცებ თავისი საზამთროსფერი პარეო ახსენდება. მისი ულამაზესი, გუჩის ფირმის პარეო! ეძებს... კარადაში არ არის. ჩანთაში არ არის. რა საწყენია... რა თქმა უნდა, სანაპიროზე დარჩა...

ამასობაში ბრაზი თითქმის ბოლომდე გადის, იფანტება და ლანა ტუმბოზე დადებულ წამლის შუშას უყურებს. „მე მგონი, ბევრი დავლიე“, — ფიქრობს ცოტა არ იყოს შეშინებული. ალბათ, ჯობს კუჭი ამოირეცხოს, ან სულაც, ექიმს დაურეკოს...

შიდა ტელეფონით სასტუმროს ადმინისტრატორის ტელეფონს კრეფს და ექიმს იძახებს. მერე წინ დადებულ ფურცელს ხედავს და ახსენდება, რომ ოჯახის წევრებისთვის გამოსათხოვარი წერილი უნდა დაეწერა. „სანაპიროზე პარეო დამრჩა“, — წერს. ღრმად ოხრავს, სავარძელში ჯდება და ფეხებს დაღლილი წეროსავით კეცავს.

* * *

თენგოს საღამოები ტყუპისცალებივით ჰგავს ერთმანეთს. უფრო სწორად, ეს ამათ ჰგონიათ, რომ თენგოსთან არაფერი ხდება. არადა, გული ათასი ამბით აქვს სავსე. ათასი ამბით, დარდით, თავგადასავლით. და ყოველივე ამის გაძლებას, გამკლავებას, დამარცხებას სასმელით ცდილობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორია ყოველ საღამოს კიდობანში იჯდე და გარდაუვალ წარღვნას ელოდებოდე. თენგოც ჭიქას ჭიქაზე ცლის და დაბინდული თვალებით იყურება საკუთარ თავში. სასმელში ჩაძირული ამბები ფსკერისკენ მიდიან და ბასრი, გულისმჭრელი პირები უბლაგვდებათ. კიდობანი ირწევა, აკვანივით ირწევა... თენგო თვალებს ხუჭავს და მშვიდად თვლემს. რა კარგია, როცა ყველა ტკივილი გაყუჩებულია, ყველა წარღვნა დასრულებული და მოსახდენიც მომხდარი...

თენგო თვლემს და ახლა მასთანაც ჩერდება დრო, მაგრამ მხოლოდ მასთან. სხვა ყველაფერი ისევ ბრუნავს, ისევ მოძრაობს და მისი ბარბარეც დადის, დადის, პატარა ფეხებით ქვიდან ქვაზე გადადის. ტბა ღრმავდება, წყალიც მუქდება, თუმცა კენჭები ჯერ ისევ ჩანს.

და რა საოცარია.. ბებე ამ სანაპიროზე, და ალბათ მთელს მსოფლიოში, ყველაზე ლამაზ კენჭს ხედავს. ყველაზე მშვენიერ, გლუვ, კრიალა ქვას. სწორედ ისეთს, იმ ძალიან გამხდარ, ყოველთვის მოწყენილ სათვალიან ბიჭს რომ მოეწონებოდა. ბებეს ძალიან უნდა ამ ქვას მიწვდეს და მოწყენილი ბიჭი გაამხიარულოს. გააღიმოს. ქვას ალბათ ადვილად მიწვდება. ცოტა ღრმად თუ ჩაყოფს ხელს, მიწვდება... ბებე იხრება და წყალში კვლავ მისი პატარა, დაბრეცილი სახე ჩანს. ბებე ხელს წყალში ყოფს. წყალი ირევა და მისი სახე ქრება. წყალი სარკე არ არის და იმიტომ... ბებე კიდევ უფრო იხრება. მართალია, წყალი სარკე არ არის. წყალი ღრმაა. სამაგიეროდ, წყალი თბილია, ქვები — ლამაზი. ცა — ცისფერი. მიწა — მწვანე. და ბებე ბედნიერია. ბებე ყველგანაა... ბებე ყველასია...

ᲨᲝᲗᲐ ᲘᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲕᲔᲓᲠᲔᲑᲔᲚᲜᲘ

II ნაწილი

ეს დრამა ანტიკურ სიუჟეტს — დანაიდების ისტორიას ეყრდნობა. ზევსისა და იოს შვილიშვილებს, ეგვიპტის მეფეს — ეგვიპტოსს და მის ძმას — დანაოსს, ყავთ ორმოცდაათი ვაჟი (ეგვიპტიდები) და ორმოცდაათი ქალიშვილი (დანაიდები). ეგვიპტიდები განიზრახავენ ცოლად შეირთონ დანაიდები, რომლებიც გაურბიან უკანონო ქორწინებას. ისინი მიაშურებენ არგოსს, თავიანთ პირვანდელ სამშობლოს და იქ ითხოვენ თავშესაფარს. მათ მისდევენ ეგვიპტიდები. დანაოსი ბოლოს ურჩევს თავის ქალიშვილებს, დათანხმდნენ ეგვიპტიდებს ქორწინებაზე იმ პირობით, რომ პირველსავე ღამეს ყელს გამოჰღადრავენ საქმროებს. დანაიდებიდან ყველა შეასრულებს პირობას, გარდა ერთისა — ჰიპერმნესტრა მოსაკლავად ვერ გაიმეტებს ლინკევსს.

ეს მითოლოგიური სიუჟეტი გამოყენებული აქვს ესქილეს თავის ტრაგედიაში „მავედრებელნი“. ჩვენამდე ამ ტრაგედიის მხოლოდ I ნაწილმა მოაღწია. იგი სრულდება იმით, რომ არგოსის მეფე შეიფარებს დანაიდებს და მოდის ცნობა იმის შესახებ, რომ ეგვიპტიდები არგოსს მოადგნენ. ამიტომაც ეს დრამა „მავედრებელნი (II ნაწილი)“ სწორედ ამ მომენტიდან იწყება.

ესქილეს „მავედრებელნი“, ისევე როგორც მისი სხვა ტრაგედიები, ძველბერძნულიდან ნათარგმნი აქვს პოეტ გიგლა სარიშვილს. რათა ესქილეს „მავედრებელნის“ შემორჩენილ პირველ ნაწილსა და ჩემს მიერ „აღდგენილ“ მეორე ნაწილს შორის ორგანული მთლიანობისთვის მიმეღწია, ჩემს მიერ გარკვეულწილად სტილიზებულ იქნა ესქილეს მთარგმნელის პოეტური ხელწერა და ენობრივი ფორმები.

ავტორისაგან

ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

I ᲛᲐᲪᲜᲔ
ხელმწიფეო, სისხლი ინთხევა!
ჩვენს პოხიერ წმიდა მიწაზე
ნილოსის უჭვრეტი წყლისპირებიდან
გრიგალთმძლეველი ხომალდებით გადმოღწეული
უკეთური ეგვიპტელების მძვინვარე ლაშქარს
არგოსელი მზვაობარი მეომრები ერკინებიან!

ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ
ო, ღმერთო, ომი, მხოლოდღა ომი,
რით შეიძლება გადავურჩეთ
მოწყალენი უმოწყალობას?

I ᲛᲐᲪᲜᲔ
ქალაქმა უკვე დააღვარა პირველ მსხვერპლთ ცრემლი.
ბრძოლა მძაფრი და ულმობელი რომ იქნება, იზაფრა ყველამ.
გაზაფხულის ამო სუნთქვით გაბრუებულ და
დამკრახული ხეხილის კრეფით გართულ არგოსელთ
სიკვდილის ეს შუშხი შოლტი შფოთად ეწვნიათ.
დამმდურავი სუფევს განწყობა,
დრტვინავს ქალაქი,

მოქალაქეთა ნაწილი თვლის, რომ
შეცდა მათი მეფე, როდესაც
ქვეშევრდომთა ჭკუათხელი წაქეზებებით
შეიხიზნა თვალწარმტაცი და ბედკრული ასულები დანაოსისა.
ზოგიერთი არგოსელი კი,
ენას როგორ დასცდეს, მაგრამ,
უკვე ისე იყვედრება, რომ
ზევსისადმი ლოცვასაც კი აღარ აღავლენს!

ხელმწიფე
ოჰ, ხვთაებათა ხვთაებაო,
ვგუმანობ მგონი,
იდუმალ აზრს შენი მკაცრი განჩინებების!
ვაგლახ, რამდენი ვიჭოჭმანე,
შენი და იოს ლაჟვარდოვანი ტრფიალების ნაყოფთა ნაყოფთ
სანამ ჩემი კაბის კალთის ქვეშ შევიფარებდი.
ამ ჭოჭმანმა განგარისხა, გაგაგულისა?!
იმან, რომ მე საუკეთესო არგოსელი ჭაბუკების თაკარა სისხლი
კბოდეებსა და ლოდებზე დასანთხევად
ასე სწრაფად ვერ გავიმეტე?
რომ ეს სისხლი
მიწიერი სიყვარულის და ამქვეყნიურ სიამეთა
მორჭმის გარეშე
არაფრით არ მეთმობოდა არესისათვის?
გულისხმმეყავ, ხვთაებათა ხვთაებაო!
მეც ხომ მამა ვარ ამ ოქროცურვილ, მდიდარ მიწაზე,
და ვიტანჯები, ხელთ კვერთხის ნაცვლად
ჩემი შვილების სისხლით აღვსილი
წყვილი პინა სასწორისა როცა მიპყრია!
გულისხმმეყავ, და ჩემსავ ხალხს ნუ ამიმხედრებ!
გამოსავალი თუ არ არსებობს,
ჩემი სამშობლოს ძარღვებიდან გამოსარწყავი
სისხლი დროზე გამორწყე და
ეს ქვეყანა კვლავაც დააცხრე!
გვედრებ, ზევსო,
აქცევინე პირი ზღვისკენ შავზრახვიან ეგვიპტელებს,
გულზვიადი არგოსელი მეომარნი კი
მომიბრუნე მალე უკან ძლევამოსილი
და ზარზეიმად მიქციე წყრომა ქალაქელების!
გვედრებ ზევსო, მეხთამტეხო!
გვედრებ, გვედრებ!
აჰ, ახალი მაცნეც გამოჩნდა...
ბრძოლის ველიდან რა ამბავი მოიტანა,
შევიტყო ჩქარა!

II მაცნე
ხელმწიფეო, ზვავდება მსხვერპლი!
სულ უფრო უჭირთ გამკლავება მტერთან არგოსელთ.
ეგვიპტელთა ძვალ-რბილში რაღაც უძლეველი
ავბნელი ძალა და წადილი შებუდებულა!
ასე თუკი გაგრძელდა, მალე

შედრკებიან ალბათ თქვენი აბჯაროსნები და
ეგვიპტელთა ბასრ მახვილებს ზურგს უჩვენებენ!

ხელმწიფე
ასეც ველოდი!
ხვთაებები ცალის ნაცვლად წყვილ პინა სისხლს
ითხოვენ უკვე,
რათა მე, ბრიყვმა, ბოლო-ბოლო შევიგნო, რომ
ბუნებისა და ბედისწერის ზეციური კანონებით
პინა სისხლი უსიკვდილოდ უნდა დაიქცეს,
და რომ უსისხლოდ და უმსხვერპლოდ ამ ცისქვეშეთში
ვერავითარი სიკეთე და მწყალობლობა ვერ აღსრულდება!
გულჩვილი და მოყოყმანე ხელმწიფენი კი
მუდამჟამ უფრო მეტ სატანჯველს
დაატეხენ თავზე სამშობლოს!

III მაცნე
დიდო პელაზგოს, ქალწულთა მამა დანაოსი გეწვიათ და
გთხოვთ, სასწრაფოდ ისტუმროთ და დაუგდოთ ყური.

ხელმწიფე
დანაოსი? ხომ არ გვეწია თავს ახალი უბედურება?
ჩქარა, ჩქარა შემოუძეხი!

დანაოსი
მოგესალმები და მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე,
მოწყალე და ბრძენო მეფეო!

ხელმწიფე
თავს რად იმცირებ, წამოდექ ფეხზე
მძლეთამძლე ზევსის შთამომავალო
და მიბრძანე, ღვთიური სისხლის
შენი უმანკო ქალიშვილები
თავს როგორ გრძნობენ.

დანაოსი
შენის შეწევნით კვლავ ეღირსათ
საყუდარი სულის და ხორცის.
არგოსის მეფის სიყვარული და მოწიწება
არა მგონია, რომ მათზე მეტი
ჰქონდეს ვინმეს ამ ცისქვეშეთში.
მაგრამ ახლა, დიდო პელაზგოს,
მათზე დარდი აღარ ეგების.
დროა, ყველამ ჩვენი ქვეყნის ბედზე ვიფიქროთ.

ხელმწიფე
ალბათ შეიტყვე, რომ შენი ძმის გულბოროტი ვაჟები და
საუკეთესო არგოსელი ვაჟკაცები ერთურთს შეებნენ!
რაც მართალია, ბრძოლა არის დაუნდობელი,
სისხლი ინთხევა ოთხსავ მხარეს,
მაგრამ გჯეროდეს,

ოლიმპოზე არ გაგვწირავენ,
და შენს ასულთა პატივსა და უმწიკვლოებას
სამშობლო მათი უცილობლად შეინარჩუნებს!

ДАНАОСИ
მწამს, კეთილო და მართლმსაჯულო,
და ამის გამო სულ არ ვჭმუნვარებ!
მე სხვა ხანძარი მინთია სულში,
სხვა ურვა მაწევს!
თვალნათლივ ვხედავ,
რა განსაცდელიც მოვუვლინეთ
ჩვენი აქ მოსვლით ჩვენს სამშობლოს
მე და ჩემმა ქალიშვილებმა!
ახლაღა ვხვდები:
ავ ბედისწერას, ისევე როგორც კეთილ ნებას, ვერ გადაუხვალ.
და თუ ორივე შენი ხვედრია, უნდა იცოდე,
ბედისწერა ბოლოს მაინც დაზიდავს ნებას.
და ამიტომაც, დიდო პელაზგოს,
გთხოვ გამიგო და დასტური მომცე!
მე გადავწყვიტე, დაუყოვნებლივ დავაქორწინო ქალიშვილები...

ХЕЛМВИФЕ
დააქორწინო?

ДАНАОСИ
დიახ!

ХЕЛМВИФЕ
და ვისზე?

ДАНАОСИ
ეგვიპტოსის ნაშიერებზე...

ХЕЛМВИФЕ
ეს რა მომესმა?! ყურმა მიმტყუნა?

ДАНАОСИ

არა, პელაზგოს, არ გიმტყუნა,
უნდა აფრინო მაცნე მყისვე ბრძოლის ველისკენ
და დანაოსის ეს სურვილი თუ განჩინება
შეატყობინო მებრძოლ მხარეებს.

ХЕЛМВИФЕ
მომიტევე მხცოვანო და კეთილშობილო დანაოს, მაგრამ
მგონი უკვე აღარა ხარ საღ გონებაზე!

ДАНАОСИ
საღ გონებაზე მაშინ დავდექი, როდესაც მივხვდი,
თუ რა სულმოკლე და ბეჩავი საქციელი იყო,
სამშობლო —

აყვავებული, მზის სხივებში მოციაგე, მძლავრი არგოსი —
ჩემი პირადი შეჭირვებისთვის
გამეწირა დასაღუპავად!
ახლა, როგორც კი ჩემს სიტყვას მაცნე
ბრძოლის ველამდე მიიტანს, ხელად
მიზეზი ომის გაქრება და
ბედისწერის მღვრიე მდინარე
ჩაუბრუნდება თავის კალაპოტს.

ხელმწიფე
დანაოს, ცუდად განგიჭვრიტავს შენ მომავალი
და გეტყობა, დიდი არგოსის ძლიერების ბოლომდე არ გწამს!
ეგვიპტოსის ყიამყრალი ვაჟიშვილები
ნუთუ გგონია მოსრავენ და დაბუგავენ ჩემს სამფლობელოს?
არა, დანაოს!
მაღალი ზევსის მფარველობით
ჩვენ განვდევნით ეგვიპტელებს
და ქორწინების წმიდა კანონებს
არაფრით არ შევაბღალვინებთ!

IV მაცნე
ხელმწიფეო, ეგვიპტელები იერიშზე გადმოდიან,
თქვენი სარდლობა დაიბნა და
შეუთანხმებლად მოქმედებს ჯარი.
შედრკა ბევრი და გაჰკურცხლა ბრძოლის ველიდან,
ბევრიც დაეცა გმირულად და
განადიდა მეფე არგოსის!
ბომონებზე ქურუმები წირავენ მსხვერპლს ზევსს
და აღუვლენენ მხურვალე ლოცვებს!
ხალხი ქალაქის დასაცავად ემზადება,
თუმცა ზოგან გაკერპდნენ და
მოსალოდნელ ხიფათს, მეფეო, თქვენ გაბრალებენ!
შეჯგუფულან მოედნებზე მოღალატენი
და ამბოხისკენ მოუწოდებენ მოქალაქეებს!

ხელმწიფე
ზევსო, მაღალო, რად მიმატოვე!

დანაოსი
ნუღარ აყოვნებ, ბრძენო პელაზგოს,
უბრძანე მაცნეს, გაჰქუსლოს და
ჩემი სიტყვა მიაწვდინოს ეგვიპტოსის ძეთ!

ხელმწიფე
ო, არა, ეს ხომ უკვე სრული
სირცხვილი და თავსლაფდასხმაა!
მე, დიდმა მეფემ არგოსისა,
შევიფარე ჩემი ქვეყნის ბედკრული შვილნი,
ახლა კი მინდა, რომ კვლავ გავწირო
და ურჯულო ეგვიპტიდებს ვათელინო მათი ნამუსი?

ДАНАОСИ
გულმოწყალე, ბრძენო პელაზგოს!
შენა ხარ მეფე ამა ქვეყნისა,
თუმცა ისიც არ დაგავიწყდეს,
რომ შენს მიერ ჭერშეფარებულ ქალწულთა მამა
მე ვარ და მევე მაქვს ბოძებული ღვთიური ნება,
გადავწყვიტო ბედი ჩემი ქალიშვილების!
შენ დაიცავი ისინი და ამისათვის
ქედს გიდრიკავთ უსამანო მადლიერებით.
მაგრამ ახლა დადგა ჟამი ქორწინებისა,
და დანაოსმა გადაწყვიტა,
ორმოცდაათივე მიათხოვოს
საკუთარი ძმის ვაჟიშვილებს.
დე, დაინთხას მათი თესლი ერთ სარეცელზე,
დე, ჩემს ასულთა საშოებში დაითესოს
მოსავალი ეგვიპტიდების!
კვლავ გიმეორებ:
ავ ბედისწერას, ისევე როგორც კეთილ ნებას, ვერ გადაუხვალ,
და თუ ორივე შენი ხვედრია, უნდა იცოდე,
ბედისწერა ბოლოს მაინც დაზიდავს ნებას.
შენ, როგორც მეფემ, კეთილი ნება გამოიჩინე.
მე, როგორც მამამ, აღვასრულო უნდა ავი ბედისწერა
ჩვენი ოჯახის,
და ამითი მთელი არგოსი ავარიდო ავ ბედისწერას.
მოწყალების ჟამი წავიდა.
დადგა ჟამი გონიერი განჩინებისა.
და ამიტომაც,
ნუღარ აყოვნებ, ბრძენო პელაზგოს,
უბრძანე მაცნეს, გაჰქუსლოს და
ჩემი სიტყვა მიაწვდინოს ეგვიპტოსის ძეთ!

ХЕЛМЩИФЕ
ო, დანაოს, მრავლისმცოდნევ, მრავლისმნახველო!
შენ ისეთი სიმტკიცით განსჯი,
რომ უკვე მიჭირს მოგაგებო
საკადრისი სწორი პასუხი!

V МАЦНЕ
ხელმწიფეო! ქარაფებთან მიიმწყვდიეს ჩვენი ლაშქარი ეგვიპტელებმა...

VI МАЦНЕ
ხელმწიფეო! ქუჩებსა და მოედნებზე ბობოქრობს ხალხი...

ХЕЛМЩИФЕ
მორჩა, გადაწყდა!
ოლიმპოზე ღმერთებმა ალბათ ასე ისურვეს,
და შენც ჩანს, რომ სწორადა გრძნობ მერმისს, დანაოს!
სანამ ბოლომდე ყველაფერი არ დაღუპულა,
მართლა სჯობს, რომ
მაცნეებს ბრძოლის ველისაკენ გავაქუსლინოთ!

ДАНАОСИ
მაშ მეც ვიჩქარებ,
ჩემს ასულებს მოვინახულებ,
და ვუბრძანებ, მოემზადონ ქორწინებისთვის...

ეპიზოდი მეორე

ДАНАОСИ
ასულნო ჩემო, სულით სპეტაკნო, პირმშვენიერნო,
შეგმთხვევიათ ბევრი ხიფათი,
გადასარჩენი გზის ძიებაში
ძველ სამშობლოს დაბრუნებიხართ,
რომელმაც მოგცათ საცხოვრისი
და გიცავდათ ბოლო წუთამდე,
მაგრამ ახლა დიდი არგოსი განსაცდელშია
და ჯერი უკვე თქვენზე არის:
საკუთარი სიმამაცით,
საკუთარი ხვედრის არსის ზუსტი ცოდნით
ქვეყანა უნდა გადაარჩინოთ!

ДАНАИДЕБИС ДОРО

სტროფი პირველი

რა შეგვიძლია,
ჩვენ, ნიავივით ნაზ ქალწულებს,
რა შეგვიძლია?
დევნილებმა, დანატრულებმა
სულისა და ხორცის სიმშვიდეს,
როგორ უნდა ვუშველოთ არგოსს?

ანტისტროფი პირველი

ნიავისაგან არაერთხელ შობილა ქარი,
ქარისგან კი ქარაშოტიც გამოვარდნილა
და დაულეწავს ყოველივე!
ვინ იცის, მალე ჩვენნაირი არსებების სუსტი ნიავიც
გრიგალში უნდა გადაიზარდოს!

სტროფი მეორე

მძლეთამძლე ზევსო,
უსინათლო, მართალო დიკე!
მოგვეცი ძალა,
გაჭირვების ჟამს
ამოვუდგეთ გვერდში სამშობლოს!

ანტისტროფი მეორე

მამავ, ძვირფასო,
რაკი შეგვკრიბე,
ალბათ ისიც კარგად უწყი, როგორ მოვიქცეთ.
არ დაგვერიდო,

დაგვაკისრე მშობლის სახელით,
რაც ღმერთების, მეფისა და ხალხის ნებაა!

ДАНАОСИ
ჩემო ყოჩაღო ასულებო!
ყმაწვილქალობის ჟამი უკვე გეწურებათ.
საპატარძლოდ განემზადეთ.
ეგვიპტოსის ძენი, თქვენი ბიძაშვილები
მალე მოვლენ თქვენს წასაყვანად.
სამაგიეროდ შეწყდება ომი.
გადარჩებიან საუკეთესო არგოსელი ჭაბუკები
ჰადესის ხილვას.
გადაურჩება არგოსის მეფე ხალხის რისხვას.
გადაურჩება სახელმწიფო არგოსისა
დაპყრობას და გავერანებას.

ДАНАИДЕБИС ДОРО
სტროფი მესამე
ვაგლახ, ვაგლახ,
მაინც ვერ ავცდით ბილწ სარეცელს,
მაინც უნდა დავიღვარძლოთ გულმუცელი
წუნკალი თესლით?!
ვაგლახ, ვაგლახ,
სამყაროში გზა არ ყოფილა,
უწმინდურზე უწმინდურ ამ ქორწინებამდე
რომ არ მივყავდეთ?!

ანტისტროფი მესამე
ყოველგვარი ჭირთათმენისთვის მზად ვიყავით,
მაგრამ მას მერე,
რაც დიდმა მეფემ პელაზგოსმა შეგვიფარა
თავის კალთის ქვეშ,
ნათესაურ სისხლთა აღრევა თუ მოგვიწევდა,
აღარ გვეგონა!
ქალღმერთო დიკე,
წამით მაინც გადმოგვხედე ოლიმპოს მთიდან!

ДАНАОСИ
დარწმუნებული ვარ, რომ დიკე გადმოგხედავთ,
და საჭირო წამს
წვერწამახულ თავის ხანჯალსაც ჩამოგაწოდებთ!
და პირველსავე საქორწინო ღამეს ამ ხანჯალს
თითოეული თქვენთაგანი
განუწონავს თანამეცხედრის ბალღამიან გულს!
ჩემო გულადო ასულებო,
მხცოვანი მამა დანაოსის ბრძანებაა,
ერთდროულად ორმოცდაათივე საქორწინო სარეცელი
მეუღლეთა ჭუჭყიანი სისხლით გასვაროთ!

დანაიდეგის ქორო

სტროფი მეოთხე

ძალგვიძს, ნუთუ,
ჩვენ, ნიავივით ნაზ ქალწულებს,
ძალგვიძს, ნუთუ,
ამ მთრთოლავი გულითა და მარჯვენათი
შეუცდომლად ჩავცეთ მახვილი
ალმასივით მტკიცესა და
სასტიკ ვაჟკაცებს?

ანტისტროფი მეოთხე

ნიავისაგან არაერთხელ შობილა ქარი,
ქარისგან კი ქარბორბალაც აგორებულა
და დაუმუსრავს ყოველივე!
ჩვენი მთრთოლავი სიო-არსებაც
მძლავრ ქარიშხლად უნდა გადიქცეს
და ნილოსის ნაპირების უკეთური ბუმბერაზები
უმოწყალოდ გაანადგუროს!

სტროფი მეხუთე

ქალღმერთ დიკეს მფარველობა და
საკუთარი მტკიცე მარჯვენა
მეუღლეთა მოსაკვდინებლად
საკმარისი შეიძლება არც კი აღმოჩნდეს.
ხმლის ჩაცემამდე რომ მიდგეს საქმე,
ჩვენი ქალური თანდაყოლილი
ცბიერება და ეშმაკობა
საჭიროა გამოვიყენოთ.

ანტისტროფი მეხუთე

ქალწულნი ვართ უმანკონი,
მაგრამ ჩვენმა უმანკოებამ
კი არ უნდა შეგვაჩქვიფოს
სარეცლის პირას,
პირიქით, უნდა აუმღვრიოს გონება ძმისშვილთ.
ქალწულნი ვართ უმანკონი,
და ბინიერ საქორწინო სარეცელზე
ჩვენს უბიწობას
მზაკვრობით და თვალთმაქცობით შევინარჩუნებთ.

დანაოსი

ვამაყობ თქვენით, ჩემო შვილებო,
და მწამს, სულ მალე,
მთელი არგოსი იამაყებს თქვენი გმირობით!
ახლა კი წადით, განემზადეთ,
ილოცეთ ბევრი და მხურვალედ,
იზრუნეთ სულის სიმტკიცეზეც
და ნარნარი სხეულის ხიბლზეც,
რათა მარჯვედ აღასრულოთ აღსასრულები!

ეპიზოდი მესამე

ქურუმი
მოიწიეთ საკურთხეველთან!
ნეფეები მარჯვნივ დადექით,
პატარძლები — მარცხენა მხარეს!
მოქუჩდით, ყველა რომ დაეტიოთ,
ოღონდ ისე, რომ არ გასრისოთ ერთიმეორე.
სხვებმა კი უკან დაიხიეთ,
სასძლოების მამა და მეფე გამოატარეთ.
გამოატარეთ, რა გითხარით,
გამოატარეთ!
აქეთ მობრძანდით დიდო პელაზგოს, დიდო დანაოს,
აქეთ, ცენტრში.
ახლავ დავიწყებთ!
ყველამ აანთო ჩირაღდანი?
პატარძლებს, ყველას, ზეთისხილის ტოტები თუ
გიჭირავთ ხელში?

დანაიდეგის ქორო
ჩვენ, ასულებს დანაოსისა,
პირმშვენიერ საპატარძლოებს,
ხელთ გვიპყრია ზეთისხილის ნაკურთხი ტოტნი!

ქურუმი
ნეფეებო, საქორწინო ბეჭდები თან გაქვთ?

ეგვიპტიდეგის ქორო
თან გვაქვს ბეჭდები თვალისმომჭრელი:
ლალისა და იაგუნდის,
ზურმუხტის და საფირონის,
ნეფრიტის და ალექსანდრიტის...
ჯერაც ყრმანი ვიყავით, როცა
საუკეთესო ოქრომჭედლებმა ეგვიპტისა
ეს ბეჭდები რუდუნებით დაუმზადეს
ჩვენს მომავალ საპატარძლოებს...

ქურუმი
დიდო პელაზგოს,
ნეფენიც და საპატარძლონიც
მზად არიან საქორწინო რიტუალისთვის...
გთხოვთ შეაწიოთ მათ თქვენი სიტყვა —
მადლიანი, ბრძნული, მაღალი,
მათ, ვინც ცხოვრების ახალ ტალღებში —
იდუმალში, ბობოქარში, სასიამოვნოდ მოლათქუნეში —
გულისჩქროლვით გადაეშვას უნდა სულ მალე!..

ხელმწიფე
არ დავიღვრები მე ამჟამად
არც რძედ, არც თაფლად,
არ შევყვები სათქმელის კაზმვას განსაკუთრებით.

ერთს ვიტყვი მხოლოდ:
ყველამ უწყის,
მზე ბრწყინავს მაღლა!
მაგრამ დღეს მზე ბრწყინავს აქაც,
ამ ტაძარში,
საკურთხეველთან მდგარ ნორჩ ქალწულთა
თაფლ გულებში
და რძე თვალებში!..
ბრწყინავს გულად ვაჟკაცთა მკერდზეც,
მათ ცეცხლოვან კუნთებში და
მგზნებარე სულში!
ბრწყინავს მზე და ათინათი ამ ბრწყინვალების
ჩვენ დაგვთამაშებს!
და ამ ქვეყნის მზე-ხელმწიფე — მე, შემოგხარით,
და ჩემი მწველი სხივებით გლოცავთ:
ამ წუთიდან სიყვარულის მზეებით ათბეთ ერთმანეთი და
რძე და თაფლი ზილეთ სულში ერთიმეორის!
ღმერთმა გვაშოროს,
მაგრამ მაღლა რომც მოაკლდეს მზეს მხურვალება,
თქვენს გულებში იგი მაინც გიზგიზებდეს
ისე, როგორც, ახლა გიზგიზებს,
და გვათბობდეს ჩვენ, ამ მიწაზე
უბედურად შემცივნულებს და გაყინულებს!

ДАНАИДЕБИС ДЗОРО
ჩვენ, ასულები დანაოსისა,
პირმშვენიერი საპატარძლონი,
ცხელი გულით მოვედით და დავდექით აქ და
დიდო პელაზგოს,
ასეთივე ცხელი გულით
ჩვენს საქმროებს მივეახლებით!

ЕГВИПТИДЕБИС ДЗОРО
ვართ ვაჟკაცები ბედნიერები!
მთელი ცხოვრება
ხელიდან ხმალს არ ვუშვებდით და არც გავუშვებთ,
ახლა კი, როგორც ხმლის ვადაზე,
ისე დავაწყობთ სიკვდილამდე
ჩვენს მარჯვენებს
ამ გულწარმტაც მაჯებზეც ჩვენი მეუღლეების!..
ვართ ვაჟკაცები ბედნიერები!
ერთ ხელში ხმალი გვიჭირავს და მეორეში
უნატრესი არსებების ხელისგულები!

ДЖУРУМИ
მამა დანაოს,
თქვენც დაგვილოცეთ
მშვენიერზე მშვენიერნი
და ვაჟკაცზე უვაჟკაცესნი,
ქორწინებას მიტანებულნი!

ДАНАОСИ
შვილნო ჩემნო,
არის წამი, როცა სიტყვა რთულია და შეუძლებელი!
ერთს გეტყვით მხოლოდ —
წმინდაა ფიცი!
მას ვერ შეცვლის ახალი ფიცი!
და გახსოვდეთ ამიტომაც,
რის პირობაც დაგიდიათ
აღასრულეთ აუცილებლად!

ქურუმი
მამა დანაოს,
მართალი ხართ ცამდე ზევსისა,
და ამიტომაც, დროა უკვე,
პატარძლებს და ნეფეებს ფიცი ერთგულებისა დავადებინოთ!

ДАНАИДЕБИС ქОРО
ვფიცავთ, ვფიცავთ...

ЕГВИПТИДЕБИС ქОРО
ვფიცავთ, ვფიცავთ,
ერთგულებას,
სიკვდილამდე თქვენთან ყოფნას,
სიყვარულს მაღალს...

ДАНАИДЕБИС ქОРО
ვფიცავთ, ვფიცავთ...

ЕГВИПТИДЕБИС ქОРО
ვფიცავთ, ვფიცავთ,
დიდ ხელმწიფეს,
ზევსს, მეხთამტეხს,
და ოლიმპოს ყველა ხვთაებას!

ДАНАИДЕБИС ქОРО
ვფიცავთ, ვფიცავთ...

ქურუმი
დააყარეთ, დააყარეთ,
ნეფე-დედოფლებს სასწრაფოდ თავზე
ჩირის, კაკლის და ლეღვის წვიმა!
დალოცეთ ყველამ!
შესთხოვეთ ღმერთებს
მადლი მათი ერთადყოფნისა!

(დანაიდებს და ეგვიპტიდებს თავზე აყრიან ჩირის, კაკლის და ლეღვის წვიმას)

ДАНАИДЕБИС ქОРО
ვფიცავთ, ვფიცავთ...

(ხმა იკარგება)

ეპიზოდი მეოთხე

ეგვიპტიდეგის ქორო

სტროფი პირველი

პატარძალთა სანთიობოსკენ ვიჩქაროთ აწი!
რამდენი გსდიეთ მშობლიური ჩვენი ნილოსის
შლამიანი წყლისპირებიდან,
მერე რამდენი ვაქნიეთ ხმალი
ზეთისხილის დიდი ქვეყნის მისადგომებთან,
რამდენ არგოსელს წავაწყვიტეთ
ლამაზი და უგონო თავი...
რა დაჟინებით ვესწრაფვოდით ამ საღამოხანს...
ჰოდა, ნუღა შევყოვნდებით
და პატარძალთა სანთიობოებს მივაშუროთ
ფიცნათქვამებმა მარადიულ ერთგულებისა!

ანტისტროფი პირველი

დაისის ჟამი,
საამური ნიავქარი,
ხმლის ვადაზე გვიდევს ხელი და
მოვიწევთ თქვენსკენ
სიყვარულის ნიავღმერთებო,
ლაჟვარდოვან სარეცელზე
მზე სისხლივით გაწითლებულა,
სანთიობომდე სულ რამდენიმე ნაბიჯი დარჩა,
ხეთა და წყალთა თბილშრიალები სალბუნივით გვეფონება
გადაქანცულ, სულსწრაფ სხეულზე,
ო, სიყვარული,
ქორწინება,
ო, სიზმრები ასახდენი,
ვნება ტკბილი,
ო, ნიავქარი...

დანაიდეგის ქორო

სტროფი პირველი

ამბრით და მუშკით გააბრუეთ საცხოვრისი, პირისფარეშნო!
თაფლის სანთლები ააალეთ მის კუნჭულებში,
სარეცლის თავს განტოტვილი შესდგით შანდალი!
ნელსაცხებლებით დაგვილბილეთ და აგვიბზინეთ
ნილოსის პირს ნარუჯი კანი!
აბრეშუმის საღამური გადაგვაცვით,
დალალები გადაკვირტულ ძუძუ-მკერდზე ჩამოგვიშალეთ...
მწუხრისათვის განგვამზადეთ,
ვით სიყვარულის ჯადოქრები ყოვლისშემძლენი...

ანტისტროფი პირველი

ჰე, აფროდიტე,
შეგვიბურე საქორწინო მწარე ღამე
გონწამმრთმევი სიტურფის ჯანღით,
სიქალწულის კდემასთან ერთად
ნაცადი ხარჭას სითამამე და სიკოხტავეც

მოგვანიჭე, რომ ალმურისგან
დავუბნელოთ ბიძაშვილთ თვალი...
ჰე, აფროდიტე,
სანთიობოს მოლიცლიცე შუქზე ჩვენი შილიფი ტანი
ზეციური ძოწეულით, როგორც აბჯრით, მოკაზმე და
დაიცავი ბილწი ხელისგან...

ეგვიპტიდეგის ქორო

სტროფი მეორე

ბავშვობიდან თქვენი ხიბლის ტყვეები ვართ და
ბავშვობიდან ვითანგებით უკანონო სიყვარულის
ტკბილი ბალღამით.
გახსოვთ, როგორ დავრბოდით ერთად
დანაოსის და ეგვიპტოსის ბაღნარებში ფეხშიშველები?
გახსოვთ, როგორ ვეხვეოდით ერთიმეორეს,
ზეცას როგორ შევმღეროდით წკრიალა ხმებით,
და მივცეკვავდით თემშარებზე სვებედნიერნი?

ანტისტროფი მეორე

სხვადასხვა მდედრთა წიაღებში ორმოცდაათივ
რად შთაისახეთ ერთი მამრისგან,
ორმოცდაათივ რისთვის იშვით დიაცებად,
ორმოცდაათივ რად აიზარდეთ უებრონი, კალმით ნახატნი,
თუ არა ჩვენთვის, რომ გეკუთვნით სისხლად და ხორცად
უგუნური ახირებით ბედისწერისა,
თუმც ჩვენ ულონო მორჩილთა დარად
გულში მჯიღი კი არ ვიცეთ, არამედ ხანჯლის
წვერითა და სულის სიმტკიცით
განგების ის სარეველა ვძირკვეთ, რომელიც
აყენებდა ეჭვქვეშ ჩვენი სიყვარულის უზაკველობას.

დანაიდეგის ქორო

სტროფი მეორე

ბალღობაში დაკრეფილი იის სურნელს
დღევანდლამდე მოუღწევია,
ბალღობაში დაწნულ იის ცვრიან გვირგვინებს
ვიდგამდით დღეს თავზე ტაძარში,
და ჩვენს გვერდით იქნებიან კვლავ ის ყმაწვილნი,
რომ დაგვსდევდნენ მინდორ-მინდორ,
ჩვენთან ერთად რომ ხარობდნენ,
რომ ერთობოდნენ,
რომ გვიკრეფდნენ ყვავილებს ან
გვირგვინებს რომ თავიდან გვგლეჯდნენ
და კისკისით იქვე, ჩვენს წინ მიმორბოდნენ ნიშნისმოგებით.

ანტისტროფი მეორე

დანა ავლესოთ,
უკვე დროა დანა ავლესოთ,
სადაცაა ჩვენი საქმრონი
საცხოვრისის კარს უკითხავად შემოგვიღებენ,
დანა ავლესოთ,

ხანჯალი და ხმალი ავლესოთ,
ბალიშის ქვეშ,
ქვეშაგების ქვეშ
ელვარება სიბასრისა
უჩინარვყოთ დროებით და
უდრტვინველად, ჯადოღიმილით
დავხვდეთ ზღურბლთან ნეფე-ზვარაკებს.

ეგვიპტიდეგის ქორო

სტროფი მესამე

იარებზე სალბუნიც კი არ დაგვიდია,
წამითაც არ შევფერხებულვართ,
ბრძოლის ველიდან ხელად აქეთ გამოვეშურეთ...
და საქორწინო გრძელ ადათს ჩვენ ვერც მოვითმენდით...
დაგვაპირქვავეს ნეფე-დედოფლებს სასწრაფოდ თავზე
ჩირის, კაკლის და ლეღვის წვიმა,
საზეიმო სიტყვა წარსთქვეს სულმოუთქმელად,
აღასრულეს მსხვერპლშეწირვა სახელდახელოდ,
აღავლინეს მოკლე ლოცვა ღმერთებისადმი,
და დაგვტოვეს მათთან, ვისაც
მიველტვოდით ამდენი ხანი!
არგოსელებთან ფიცხ ბრძოლაში მიღებული ჭრილობები
დაგვიამოს უნდა მათმა ტკბილმა ალერსმა,
აწი სპეტაკი მათი სისხლი უნდა დაიქცეს,
უნდა ახდეს ნილოსის პირს
დიდი ხნის წინ გაჩენილი
მხურვალე ნუკვა.

ანტისტროფი მესამე

მოვედით კიდეც!
ბიძაშვილებო, მიჯნურებო, ნიავქარებო,
მოვედით კიდეც!

ეპიზოდი მეხუთე

I დანაიდი

ძვირფასო, ეს როგორ დაჭრილხარ...

I ეგვიპტიდი

ეგ არაფერი...

I დანაიდი

რას ამბობ, ნახე, როგორა გაქვს
მარჯვენა მკლავი გადასერილი...
ერთი წუთი მოიცადე,
დედაჩემმა სიყმაწვილეში რომ მასწავლა,
იმ უებარ სალბუნს დაგადებ...

I ეგვიპტიდი
გთხოვ, შეეშვი...
ერთი უბრალო განაკაწრია.
თვითონ შეიკრავს პირს და მორჩება...
ვაჟკაცები ასეთ ჭრილობებს
ყურადღებას არც კი აქცევენ...

I დანაიდი
ვაჟკაცობაში, საყვარელო,
ეჭვი ვის შეაქვს...
მაგრამ დღეიდან შენ ხომ უკვე ჩემი ქმარიც ხარ...
ჰოდა, მომეცი უფლება, რომ გემსახურო,
გიმკურნალო,
შვება მოგგვარო...

I ეგვიპტიდი
ხო, კარგი, კარგი...

I დანაიდი
აბა აქეთ მოიწიე, ჩამოჯექი,
ჩამოადე ბალიშს მკლავი...

(ჭრილობას უწმინდავს, სალბუნს ადებს)

გესიამოვნა?..

I ეგვიპტიდი
კი, ლამაზო,
მალამო კი არა, შენგან
მე ხანჯლის დაკვრაც კი მეამება...

I დანაიდი
მართლა?.. მართლა?..

I ეგვიპტიდი
გეფიცები....

I დანაიდი
თუკი ასეა, ჰა, ძვირფასო...

(ხანჯალს ზურგიდან დაჰკრავს)

დაე, გეამოს...

II ეგვიპტიდი
ეს რა არის?

II დანაიდი
ხანჯალია, რა, ვერა ცნობ?

II ეგვიპტიდი
ხანჯალს თუ არა, აბა რას ვცნობ,
მაგრამ მე ის გავიკვირვე,
ჩვენს საქორწინო სარეცელზე
დაგდებული რომ აღმოვაჩინე.

II დანაიდი
ეს იმიტომ, რომ უნდა მოგკლა!

II ეგვიპტიდი
ჰმ, ხუმარა იყავი და ხუმარად დარჩი!
და მიყვარხარ ასე ხუმარა...

II დანაიდი
ნახე, ჩემო საყვარელო, შენი გულისთვის
ხანჯალი რა ბასრად ავლესე!

II ეგვიპტიდი

(ხელით სინჯავს ხანჯლის პირს)

ყოჩაღ, ყოჩაღ,
ასეთი ხანჯლით
ჰერკულესსაც კი დაამარცხებ!
თუმცა ეს შენს ნახელავს არ ჰგავს!..
ჩემო ხუმარა, გამომიტყდი,
რომ ვიღაც სხვას აალესინე
და თავს იწონებ
მზვაობარი ეგვიპტიდის წინ!
ისე ეგ კაცი, კაი მლესავი, სამომავლოდ გამომადგება...

II დანაიდი
აბა ერთი შენი მხურვალე გული აქეთ მომიშვირე,
ხანჯლის სიბასრე რომ შევამოწმო,
და მლესავსაც გაგაცნობ მერე...

II ეგვიპტიდი
აჰა ჩემი მხურვალე გული, ჩემო ხუმარა...

(მკერდს უშვერს. დანაიდი ხანჯალს ჩასცხებს)

II დანაიდი
აჰა, ჩემო ბოროტო ბრიყვო!
და ირწმუნე,
ხანჯლის მლესავი რომ მე ვიყავი!

III დანაიდი
ქალწულის კდემა მიბორკავს ტან-ფეხს
და არ მანებებს,
კანონიერ თანამეცხედრეს მივენდო ტკბილად...
შანდლებს დავაქრობ, შენის ნებართვით...
თორემ შუქის ამ ლიცლიცზე ლამისაა
კოცონივით აბრდღვიალდეს ჩემი სიმორცხვე...
შანდლებს დავაქრობ...
და კუნაპეტში უფრო იოლად გავიმეტებ გასამეტებელს...

(შანდლებს აქრობს)

III ეგვიპტიდი
საკმარისია...
აქაურობას სულმთლად კი ნუ ჩამოაბნელებ...
ერთი-ორი სანთელი მაინც დატოვე, რათა
რაღაც მაინც გამოვარჩიოთ...

III დანაიდი
მამაკაცი ხარ,
და არ იცი,
და ვერც ხვდები,
თუ რა არის კდემამამოსილი ქალწულისთვის პირველი ღამე...
ყველა შანდალი უნდა დავაქრო...

III ეგვიპტიდი
როგორ დაბნელდა,
თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი...

III დანაიდი
სამაგიეროდ ალესილი ხმლის პირს მივიტან
მე შენს მკერდთან,
რათა გულის ბილწი ძგერა გავაჩერო
მხცოვანი მამა დანაოსის ბრძანებით და
ქალღმერთ დიკეს სამართლის ძალით!

IV დანაიდი
გიყვარვარ?

IV ეგვიპტიდი
ნუთუ კიდევ შეგრჩა რაიმე ეჭვი?

IV დანაიდი
არა, მაგრამ პატარძლის ყურს
ეგ სიტყვები კვლავაც დაატკბობს...

IV ეგვიპტიდი
პირველი ხარ, სრულქმნილი ხარ, დაუჯერები,
და მიყვარხარ,

და მეყვარები,
სიკვდილამდე,
უკანასკნელ სისხლის წვეთამდე...

IV დანაიდი
ეს რა მესმის... გამიმეორე...

IV ეგვიპტიდი
მიყვარხარ...

IV დანაიდი
კიდევ... ერთხელ კიდევ...

IV ეგვიპტიდი
მიყვარხარ...

IV დანაიდი
კიდევ...

IV ეგვიპტიდი
მიყვარხარ-მეთქი!

IV დანაიდი
კიდევ...

IV ეგვიპტიდი
მიყვარ...

IV დანაიდი
ჰა! საყვარელო, მოკვდი, ჩაძაღლდი!

V დანაიდი
მეც ისეთი თრობა ვიგრძენი,
ლამისაა გონი დავკარგო...

V ეგვიპტიდი
ნუ, ნუ სულსწრაფობ, ყვავილო ზევსის,
მაგის დროც მოვა,
რომ ტრფობისგან მეუღლე გონს დაგაკარგვინებს...

V დანაიდი
ისე, ძვირფასო,
თავად ხომ არ ინებებდი გონის დაკარგვას?

(ხანჯალს ჩასცემს)

აჰა, ესეც შენ საჩუქარი ქალღმერთ დიკესგან!

VI ეგვიპტიდი
თოვლით დაფარულ კორტოხებს რომ
მწვერვალებზე თოვლი დაადნეს,
იმას გიგავს ეგ სასწაული,
თან რა ცივიااااა...

VI დანაიდი
დააკვდი, მიდი, ჰო, დააკვდი ამ ჩემს ძუძუ-მკერდს!
ორი თეთრი, უბიწო ბორცვი
შემიღებე ცხვირ-პირიდან წამსკდარი სისხლით!

VII ეგვიპტიდი
ბორეასის გამყინავმა ორპირმა სუსხმა
ჩემი ზურგი გამსჭვალა თითქოს!

VII დანაიდი
ჰო, გამსჭვალა!
ჩემმა მახვილმა —
ჰადესის ქარმა დაგიქროლა,
და აი, უკვე ტანგახვრეტილს, სულჩამძიმებულს,
მოუთმენლად გელის ქარონი!

VIII დანაიდი
ვითომ მე გსურდი?
მე მეტრფოდი?
ვითომ ჩემსკენ მოილტვოდი ბრძოლით, სისხლისღვრით?

VIII ეგვიპტიდი
რას მეკითხები?
ეჭვობ, ნუთუ?

VIII დანაიდი
დიახ, ვეჭვობ,
რადგან მახსოვს,
სიყმაწვილიდან მოყოლებული
ჰიპერმნესტრაზე გეჭირა თვალი...
შენ და ლინკევსი მაგის გამო
ვერ იყავით ერთურთში კარგად...
სულ ერთმანეთს უღრენდით და ექიშპებოდით...

VIII ეგვიპტიდი
კარგი ერთი, რა დროს მაშინდელ
სიცელქეთა გახსენებაა...

VIII დანაიდი
ეგ სიცელქე კი არ იყო,
სიყვარული იყო ძლიერი...

ამას თითქმის ყველა გრძნობდა,
ყველა ხედავდა...
ჰიპერმნესტრა კი ლინკევსისკენ იხრებოდა,
და ლინკევსიც გჯაბნიდა შენ,
ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ის მას ერგო,
ხოლო შენ კი ჩემი თავი შემოგაჩეჩეს...

VIII ეგვიპტიდი
ხმა ჩაიკმინდე!
და ნუ ყბედობ სისულელეებს!

VIII დანაიდი
აი, ხომ ხედავ, როგორ გაცხარდი,
გაღიზიანდი!..
ასე მხოლოდ მაშინ ხდება,
კაცს ტყუილში როცა იჭერენ...

VIII ეგვიპტიდი
აქეთ მოიწი, და შორიდან
ნუღა აფრქვევ მდედრულ სიბრიყვეს!
მოიწი და მყის გაჩვენებ
თუ როგორი უებრო გზნებით
გადმოვლახე ხმელთაშუა ზღვა,
არგოსელებს რა სიშმაგით ვერკინებოდი...
მოიწი და ნახავ, როგორ
გაგხვევ უმალ სიყვარულის მწვავე ალმურში...

VIII დანაიდი
თავს ნუ იკვეხნი,
ეგ ალმური, კარგადა ვგრძნობ,
მხოლოდ და მხოლოდ
კახპებისთვის განკუთვნილი
მყრალი ჟინია...

VIII ეგვიპტიდი

(დანაიდს უახლოვდება)

კიდევ რას იტყვი?
ჰო, რად გაჩუმდი,
ერთი სული მაქვს, გავიგო, კიდევ
რა საამურ სიტყვებს შეაფრქვევ
შენს კანონიერ თანამეცხედრეს...

(ხელს ჰკიდებს და სარეცლისკენ მიათრევს)

VIII დანაიდი
ხელი გამიშვი
ჰიპერმნესტრას ფეხის მტვერის
მლოკველო ძაღლო!..
ხელი გამიშვი, ნუ მეძალები!..

ერთგული და მოსიყვარულე
ჩემი ქმარი ვერასოდეს შენ ვერ გახდები...
ჩვენს საქორწინო სარეცელს მუდამ
ჩემი უმცროსი დის აჩრდილი ედგმება თავზე...

(ეგვიპტიდი დანაიდს საწოლზე წამოაქცევს. დანაიდი უძალიანდება. ჭიდაობისას საწოლის ქვემოთ დამალულ მახვილს გამოაძრობს და ეგვიპტიდს ჩასცემს)

VIII ეგვიპტიდი
ااااااا!..
გონჯო ქალო, ეს რა მიქენი...

VIII დანაიდი
რაც გეკუთვნოდა...
გეგონა, სხვაზე მოტრფიალეს
გიკადრებდი თანამეცხედრედ?..

(კიდევ რამდენიმეჯერ ჩასცემს მახვილს)

VIII ეგვიპტიდი
ზევსო მაღალო... ნუთუ ვკვდები...
ჰიპერმნესტრავ... ნუთუ ამქვეყნად
ვერასოდეს ვეღარ გიხილავ...

[...]

ეპიზოდი მეექვსე

ჰიპერმნესტრა
რა ტკბილად გძინავს...
დაკუნთული მკლავი თავქვეშ ამოგიდია
და ნილოსის პირს დაბერილი ნიავივით საამოდ ფშვინავ...
ასეთი ყოვლისწამლეკავი ღამის მერე რა
ნეტარი და ნებიერი ხარ...
შენი სახე, ბავშვობიდან
გულისგულში რომ ჩამებეჭდა,
მამაკაცური ნაკვთებით კიდევ
უფრო მეტად გამშვენიერდა!
გიყურებ და თვალს ვერ გაშორებ!
ჩვენი და-ძმობა თავიდანვე რაღაც სხვა იყო,
საკვირველი, გამორჩეული!
მარად ერთმანეთს ველტვოდით და გვიხაროდა ერთმანეთი,
გუშინღამ კი საბედისწერო სიხარულით
შევერწყეთ ერთურთს...
რა ყუჩად გძინავს...
დაგყურებ და ცრემლის ღვარის ამ სიმლაშეში
შენი ჩემგვერდით ყოფნის სიტკბო
მტკნარდება და მწარდება და უხიაგდება...
მშობელი მამა, ხელმწიფე და დედასამშობლო

ერთდროულად რასაც ითხოვენ,
უცილობლად უნდა აღსრულდეს...
გული, ჩემდამი ტრფობით რომ ძგერს,
წუთიწუთზე ჩემივ ხელით უნდა გაიპოს...
აი, მახვილიც...
მაპატიე, ერთადერთო, უძვირფასესო...
ჰადესს უნდა გაგამგზავრო, მაგრამ იცოდე,
მე აქ უარეს ჰადესში ვრჩები —
მარტოსული, მკვლელი, ტანჯული...
ვერა გხედავ... ცრემლი ფარდად ჩამომეკიდა...
თვალს მოვიწმენდ, რათა კარგად დაგინახო,
ზუსტად ჩაგცე გულში მახვილი
და უტანჯველად მიგგვარო ჰადესს...
რა ტკბილად გძინავს...
სიკვდილის წინ ერთ ამბორსაც წაგართმევ ბარემ...
მაღალო ზევსო, ბაგე არის ეს თუ ბადაგი?
ვაი, ოდნავ შეიშმუშნა, მგონი იღვიძებს...
ჰიპერმნესტრა, სულის ძალა მოიკრიბე, სანამ დროა,
და აღასრულე განაჩენი ხალხის და უფლის...
მშვიდობით, ლინკევს!..
მშვიდობით, ლინკევს!..
მშვიდობით, ლინკევს!..
ლინკევს!.. ლინკევს!..

(ჰიპერმნესტრას მახვილი ლინკევსის თავზე აქვს აღმართული, მაგრამ ჩაცემას ვერაფრით ვერ ახერხებს. იღვიძებს ლინკევსი)

ლინკევსი
ჰოი, რა ხდება?..
ჰიპერმნესტრა, შეიშალე?!.

(მაჯაში წვდება და მახვილს ხელიდან გლეჯს. ჰიპერმნესტრა მის გულმკერდზე დაეცემა მოთქმით)

რას მიპირებდი?..
გსურდა ჩემთვის გული გაგეპო?..

ჰიპერმნესტრა
მე არ მსურდა,
განჩინება იყო ასეთი...
მე არ მსურდა,
და ვერც შევძელი,
მაგრამ ვაი რომ, ჩემმა დებმა
ალბათ შესძლეს საქორწინო სარეცლებში
საკუთარი საქმროების ცხედრებად ქცევა.

ლინკევსი
ხვთაებათა ხვთაებაო, ეს რა მესმის?
ჩემი ძმები...
გულადი და მზვაობარი ჩემი ძმები...

(ჰიპერმნესტრას მოიშორებს და დერეფანში გავარდება)

ეპიზოდი მეშვიდე

(ლინკევსი დერეფანში დაჰქრის, სანთიობოებში შერბის,
დახოცილ ძმებს დასტირის.
დანაიდები სცენის მეორე მხარეს არიან შეჯგუფულნი)

ლინკევსი
ძმებო, ძმებო...
მზაკვრულად და დაუნდობლად დაგხოცეს ნუთუ?
ძმებო, ძმებო...
რასა ჰგავხართ, ეს რა დღეში ხართ?..

დანაიდების ქორო
ჩვენ, ნიავივით ნაზ ქალწულებს,
არც კი გვეგონა,
გულის თრთოლვა გამბედაობად,
გამბედაობა კი ქარიშხლად
თუ გვექცეოდა...

ლინკევსი
ძმებო, ძმებო...
ბიძაშვილებმა გაგწირეს ასე?..
ძმებო, ძმებო...
მათ დაგხოცეს, ვისაც ასე გულით ეტრფოდით?..

დანაიდების ქორო
ჩვენ, ნიავივით ნაზ ქალწულებს,
არც კი გვეგონა,
ბოლომდე თუ ვუერთგულებდით
მამისა და ხელმწიფის სიტყვას,
და ბოლომდე ვუღალატებდით
ჩვენს ჟინიან, შლეგ ბიძაშვილებს...

ლინკევსი
ძმებო, ძმებო...
მაშ არცერთი აღარა სუნთქავთ?..
ძმებო, ძმებო...
მაშ არ ფეთქავს არცერთის გული?

დანაიდების ქორო
ჩვენ, ნიავივით ნაზ ქალწულებს,
არც კი გვეგონა,
ჭეშმარიტი მეომრებივით შეუდრეკლად
თუ დავანთხევდით ამოდენა
სისხლის ნიაღვარს...

ლინკევსი
ძმებო, ძმებო...
სისხლი ტანზე უკვე გახმებათ?..
ძმებო, ძმებო...
გიცივდებათ უკვე სხეული?

ДАНАИДЕБИС ДОРО
ჩვენ, ნიავივით ნაზ ქალწულებს,
არც კი გვეგონა,
შემოდგომის ქარაშოტივით
ეგვიპტოსის ბერმუხა ხიდან
ყველა ფოთოლს თუ ჩამოვყრიდით
ერთ დაქროლვაზე...

ЛИНКЕВСИ
ძმებო, ძმებო...
ნუთუ მხოლოდ მეღა შევრჩი მამა ეგვიპტოსს?..
ძმებო, ძმებო...
ეგვიპტიდთაგან ნუთუ მხოლოდ მეღა უნდა მიცემდეს გული,
ნუთუ მხოლოდ მეღა უნდა ვაქნიო ხმალი?..

ДАНАИДЕБИС ДОРО
ჩვენ, ნიავივით ნაზ ქალწულებს,
არც კი გვეგონა,
საზარელი ერთი დაქროლვით
თუ წავხვეტავდით
მეუღლეთა ცოდვილ სულებს
საქორწინო სარეცლიდან
ჰადესისაკენ...

ЛИНКЕВСИ
ძმებო, ძმებო...
ვინ იძიოს აწ თქვენზე შური?
ძმებო, ძმებო...
თუ არა მე, ვინ იძიოს აწ თქვენზე შური?

ДАНАИДЕБИС ДОРО
ჩვენ, ნიავივით ნაზ ქალწულებს,
არც კი გვეგონა,
საძულველთა მოძულებას,
მოსაკვდენთა მოკვდინებას
ყველა ერთად თუ შევძლებდით
ასე იოლად...

ЛИНКЕВСИ
ძმებო, ძმებო...
თუ არა მე, ვინ იძიოს აწ თქვენზე შური?

ДАНАИДЕБИС ДОРО
ჩვენ, ნიავივით ნაზ ქალწულებს,
არც კი გვეგონა...

ЛИНКЕВСИ
ძმებო, ძმებო...
თუ არა მე...

დანაიდეგის ქორო
ჩვენ, ნიავივით ნაზ ქალწულებს...

ლინკევსი
ძმებო, ძმებო...

დანაიდეგის ქორო
ჩვენ, ნიავივით...

(ხმები თანდათან იკარგება)

დასასრული

ბესო ხვედელიძე

ორი მე

(გიუნტერ აიხის საკითხავი პიესის „მე და ის“ კომპილირებული ვერსია)

(სივრცის მიღმა)

ელენე: ექიმი ავალიშვილი, ჩვენი უბნის ექიმი თბილისში, ადამიანის ყოველ ცხოვრებისეულ შემთხვევას ამინდს აბრალებს. ავიღოთ თუნდაც ჩემი და მარინას ისტორია. რა ადვილად დაამტკიცებდა, რომ მარინას არსებობას ვერც კი გავიგებდი, 2013 წლის წლის ხუთ აგვისტოს ოდნავ გრილი ამინდი რომ მდგარიყო... ამის შესახებ მე მაინც არაფერს მოვუყვები. ავალიშვილის აზრი ამ შემთხვევაში ნაკლებად მაინტერესებს... თუმცა ვინ იცის, იქნებ მართლაც იმ 40-გრადუსიანი ხვატის ბრალი იყო ყველაფერი. სხვათაშორის, იმ კვირადღეს, დაბადების დღეც მქონდა — ორმოცდაერთის ვხდებოდი და გეზი სოხუმისკენ გვქონდა აღებული. წინა კვირები კვარიათში, ზღვაზე და ბოლოს, ბათუმში გავატარეთ. ისე, დაბადების დღეს ბათუმშიც სიამოვნებით გადავიხდიდი, მაგრამ დათოსა და ბავშვებს ერთი სული ჰქონდათ სულ წინ და წინ ექროლათ; დათოს დრანდის ციხის დათვალიერება სურდა, კოტიკო და თიკო ამის გარეშეც მშვენივრად გრძნობდნენ თავს. ასე რომ, იმ ცხელ შუადღეს, გზაში ვიყავით; მართალია გადახდილი მანქანით, თუმცა შემხვედრი ქარი მაინც ვერ გვაგრილებდა.

(ავტომობილი)

ელენე: ეს რა ქალაქი გავიარეთ?

დათო: ოჩამჩირე. რაიონის მთავარი ქალაქი. მოსახლეობა ოცი ათასი. ციხე-სიმაგრე და ტაძარი რუკაზე ერთი ვარსკვლავითაა მონიშნული.

კოტიკო: უკეთესი იქნებოდა მხოლოდ ორვარსკვლავიანი ადგილები გვენახა.

თიკო: ... მგზავრობაც უფრო გაგვიადვილდებოდაააა.

დათო: კი მაგრამ, რადგან გზად გვაქვს, მინდოდა შეგვევლო ბარემ...

კოტიკო: აგერ, ეს ქვის ყუთი რაღაა?

დათო: სწორედ ეგაა ციხე-სიმაგრე.

თიკო: სტაილი — ემფაია სთეით ბილდინგ!

კოტიკო: ოღონდ ეს უფრო დაბალია.

ელენე: მაღალი სახლები ისედაც ბევრია.

თიკო: დედა აჯაზეეებს!

დათო: ქალაქი შერვაშიძეების საგვარეულოს ეკუთვნოდა. აქ დაუწერიათ ლექსები კონსტანტინე გამსახურდიასა და დუტუ მეგრელს.

თიკო: დუტუ მეგრელიიიი?.. ვამე, რა დონეა! არც კი გამიგიაა...

დათო: ეს ქართული ლიტერატურაა.

თიკო: ნუ, მამას შოკი განათლება აქვს. დე, დუტუ მეგრელი გაგიგიაა?

ელენე: მე ბანაობა მინდა.

დათო: ეს კი, ჩემო კარგებო — ტაძარია.

თიკო: ახლა კოლაფსი დამემართებაა!

კოტიკო: თუ სწრაფად ჩაუქროლებ, შეიძლება კიდევ აიტანოს კაცმა.

თიკო *(მთქნარებით)*: მაგრამ საკმარისია გაჩერდეეე, ყველაფერი იმწამსვე აუტანელი ხდება�ა.

დათო: ფასადი კოლხურია. ძველი ბაზილიკა...

ელენე: მე ბანაობა მინდა.

თიკო: მა, დეს ბანაობა უნდა.

დათო: გასაგები სურვილია...

კოტიკო: დღეს დედას დაბადების დღეა.

დათო: მაგრამ, მაინც განუხორციელებელი...
ელენე: რატომ განუხორციელებელი?
დათო: სად აპირებ, ჩემო კარგო, აქ ბანაობას?
თიკო: აგერ ფანტანიი!
კოტიკო *(დაცინვით)*: თიკოს მაგარი იუმორის გრძნობა აქვს!..
ელენე: ზღვაში. აქედან შორს არ უნდა იყოს.
თიკო: აუ, ბანაობა მართლა გაასწორებდა. ჩემ ახალ ბიკინის გავამარიაჟებ სოფლელებშიი!
კოტიკო: თანაც რა ვალდებულები ვართ ამ სიცხეში ვიაროთ?
ელენე: თქვენ თვითონ არ გინდოდათ?!
კოტიკო: ჩვენ სოხუმში გვინდა.
თიკო: მერე პაჟარია ასე სასწრაფოდ ჩასვლაა?
ელენე: გააჩერე მანქანა, დათო! რუკაზე ვნახავ სად არის აქ ზღვაზე გასასვლელი.

(მანქანა ჩერდება)
დათო: ისევ ეს გაჩერებები!
ელენე *(შლის რუკას)*: აი, აქედან ტრასა პირდაპირ ზღვაზე გაგვიყვანს, დათი...
დათო: მე დრანდის დათვალიერება მინდა.
ელენე: ალიფაიაში. დაახლოებით 5 კილომეტრია.
კოტიკო: იქნებ იქაც იყოს რაიმე ტაძარი...
დათო: არანაირი ტაძარი იქ არ არის და დაგენიძლავებით, ერთი აყროლებული ადგილია.
ელენე: ტრასა ხეობას შორის გადის. საინტერესო იქნება.
თიკო: ჰო რა, მა! წავიდეთ რა საბანაოდ. გეხვერწებით რა! რა დროს ტაძარია?
დათო: ჯობდა ბათუმში დავრჩენილიყავით.
ელენე: მეც მაგას არ ვამბობდი?
კოტიკო: ბათუმში უკვე ყველა თბილისელმა იბანავა, ალიფაიაში კი — ალბათ ჯერ არცერთმა.
დათო: მაგას ალბათ თავისი მიზეზები აქვს. თუმც, რახან ასე ძალიან გინდათ...

(ავტომობილი იძვრის და რადიომუსიკიანად თვალს ეფარება)
(სივრცის მიღმა)
ელენე: 40-გრადუსიან სიცხეში, არაფრისმთქმელი ყბედობით, სრულიად შეუმჩნევლად, პირდაპირ ახალ ცხოვრებაში შევაბიჯე. არანაირი საგულისხმო ნიშანი ბედს არ მოუცია, არცერთი სიტყვა ჩვენს უმნიშვნელო ლაპარაკში არ ყოფილა ისეთი, მოგვიანებით რომ დავეფიქრებინე... არადა, მარინა ხშირად ფიქრობდა ამაზე — დროც საკმარისი ჰქონდა, ორმოც წელიწადზე მეტი. თავისებურ კმაყოფილებასაც ჰგვრიდა, რომ მაშინ, მაინცდამაინც მე მომინდა ზღვაზე გასვლა! მე, ვინც შემდეგ მარტომ გადავიტანე ყველაფერი. ბავშვებმა და დათომ განა რა შეამჩნიეს, გარდა იმისა, რომ ბანაობისას კინაღამ დავიხრჩე, ბეწვზე ვეკიდე და მერე რამდენჯერმე უმიზეზოდ ავტირდი... ოჩამჩირედან ალიფაიასკენ მიმავალი გზა არაფრით გამოირჩევა. ის ვაშლის ბაღებს შორის გაშლილ ვაკეზე, ორი სოფლის გასწვრივ მიემართება. მერე ასფალტი უეცრად წყდება და სოფლური, ოღროჩოღრო გზა იწყება. ასეთივე სისწრაფით იცვლება ხედიც: მცენარეული საფარი მეჩხერდება და ბოლოს, გამომშრალი მიწის ამარა რჩები. გზის ორივე მხარეს აზიდული მაღალი მიწაყრილები არაფრის დანახვის საშუალებას არ გვაძლევდა. შორს რაღაც უცნაური ხარაჩოები ჩანდა. როგორც მერე გავიგეთ, აქედან მიწას ეზიდებოდნენ.
დათო: ისინი ცდილობენ ზღვას მიწა წაართვან და ამისთვის მიწაყრილის ერთი შვერილიდან ამოთხრილი მიწით მეორეს ავსებენ.
ელენე: კვირადღეს მიწისმთხრელი მოწყობილობები უქმად იდგა და ლურჯი ცის ფონზე უშნოდ ახორხლილი რკინის ხარაჩოები დამთრგუნველ განწყობას ქმნიდა: თითქოს გეგმა, რომლის განხორციელებასაც დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ, უცებ უპერსპექტივოდ ჩათვალეს და უკუაგდეს. კიდევ უფრო ერთფეროვანი იყო მცენარეულობა — აქა-იქიდან ავისმომასწავებლად ამოჩრილიყვნენ ტორფით ამოვსებული ტირიფის გრეხილები. მოცისფრო-ფოლადისფერი უღ-

რუბლო ცის ქვეშ გაშლილ ლპობის ამ ლანდშაფტს რაღაცნაირი ავადმყოფური, ჭირიანი სიმყრალის სუნი ასდიოდა. არადა, წესით ეს ახალი ცხოვრების იმედის მომცემი მიწა უნდა ყოფილიყო: — წინ პატარა სოფელი კომანი ჩანდა. ზღვაზე ამ ადგილიდან მოშორებით გავედით, ისე რომ, ჩაჟამებული სახლების გაშავებული კედლებისგან ყურეს ერთ-ერთი ტოტი გვაშორებდა. ვუყურებდით პირწმინდად მოტიტვლებულ მიწას, გასაშრობად გაფენილ დაძონძილ თეთრეულს — იქვე მოგვჩერებოდნენ ნახევრადშიშველი ბავშვები და წყალში მდგარი მეთევზე.

(ავტომობილის ხმაური. ახლოვდება თოლიების წივილი)

ელენე: დათო, რითი ცხოვრობს აქ ხალხი?

დათო: მე მგონი, თევზაობით.

ელენე: და კიდევ, რა აქვთ?..

დათო: ის, რაც საერთოდ ყველას გააჩნია.

ელენე *(გულდაწყვეტილი)*: ის, რაც საერთოდ ყველას გააჩნია...

დათო: სასმელი, სიყვარული...

ელენე: კომანში?

დათო: იცი, რა კარგად ვიგრძნობდი თავს ახლა დრანდაში?

ელენე: დათო...

დათო: რა დაგემართა?

ელენე: მეშინია.

დათო: გეშინია? რისი?

ელენე: ჩვენივე თავის.

დათო: არ ვიცი... რა გჭირს ელე?..

ელენე: ესენი ამ წუმპეში ცხოვრობენ, ჩვენ კიდევ ასე არხეინად ვუყურებთ.

თიკო: თოლიები, დედა, აქაც ისეთივე თეთრები არიან, როგორც ყველგან.

(კიდევ წუთით ისმის თოლიების წივილი)
(სივრცის მიღმა)

ელენე: გზა იტოტება. მარცხენა განშტოებას ხიდს გადაღმა გადაყავხარ. მარჯვნივ გზა ალიფაიასკენ მიემართება. ხიდს იქით, მოპირდაპირე ნაპირზე ვიღაც დამჭკნარი დედაბერი იდგა. წამით მომეჩვენა, რომ მიყურებდა და მისი თვალები, მიუხედავად დიდი დაშორებისა, თითქოს სულ ახლოს იყო... სწორედ აქ ჩვენმა მანქანამ გადაუხვია. ალიფაიამდე არხის გასწვრივ მავალი გზით ხუთიოდე კილომეტრი რჩებოდა. აქედან, სამყარო საბედნიეროდ ნელ-ნელა ისევ საკუთარ თავს დაემსგავსა. ყურე უკან იხევდა და შავი ზღვიდან სასიამოვნო სიო ქროდა. პატარა ქალაქ ალიფაიას ქუჩებში გავლისას კი სულაც გადაგვავიწყდა შავი, თითქოს ჭირით დაღრღნილი კომანი. მომცრო, უბრალო პლაჟი კვირადღეს ხალხით იყო სავსე. შეზლონგი დიდი წვალებით ვიშოვეთ და ზღვის ტალღებში გაგრილებამ დიდი სიხარული მოგვგვარა.

(ღია ცის ქვეშ. პლაჟი)

კოტიკო: დე, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ზღვა აქამდეც თუ მოაღწევდა. არადა, წყალი ძალიან ნორმალურია და სუფთაა.

ელენე: თიკო და მამა სად არიან?

კოტიკო: ე, ეგერ მიცურავენ! ვერა ხედავ? მარცხნივ.

ელენე: იქ ალბათ ქვიშიანი ფსკერია.

კოტიკო: წამო, დავეწიოთ!

(სივრცის მიღმა)

ელენე: რა სასიამოვნო იყო გრილ წყალში ყოფნა... დათოს, კოტიკოსა და თიკოს უკან მივცურავდი, რომ უცებ ისევ იმ მოხუცი ქალის სახე დამიდგა თვალწინ. როგორ მიყურებდა... გულგრილად? არა, არა მგონია. გაკვირვებით? ჰო, გაკვირვებაც იყო, მაგრამ თან ხომ არ მელოდა კიდეც? განა თავიც არ დამიქნია? უნდა გამოვლაპარაკებოდი — გავიფიქრე — თავი მაინც დამექნია საპასუხოდ, ან რაიმე ნიშანი მიმეცა. ამის გამოსწორება ხომ ჯერ კიდევ შეიძლება?..

დათოს და ბავშვებს ხელი დავუქნიე. მომეჩვენა, რომ მიხვდნენ, რასაც ვაპირებდი და ნაპირისკენ გამოვცურე. სწრაფად გადავიცვი და გზას გავუყევი. ფეხით მივდიოდი. კომანში მანქანით დაბრუნება რატომღაც არასწორად ჩავთვალე. მსუბუქ, მხიარულ გუნებაზე ვიდექი. თითქოს კი არ მივდიოდი, მივფრინავდი. გზაზე არავინ შემხვედრია. როგორც კი ხიდი გადავიარე, კომანი ისევ უკაცრიელი მეჩვენა. სახლები ერთიმეორეზე ღარიბული და უსახური იყო. ოდნავ შევყოვნდი, ადგილზე დავტრიალდი და შემდეგ ერთ-ერთ ქოხში თამამად შევაბიჯე — წამით არ შემპარვია ეჭვი, რომ შეიძლებოდა ეს სხვა სახლი ყოფილიყო. თვალები უცებ შევაჩვიე სიბნელეს: გავარჩიე, სამზარეულოში ვიმყოფებოდი. ღუმელთან ქალი იდგა და ახლობლური ღიმილით მომჩერებოდა. თავიდან მეგონა, რომ ის დედაბერი ვიცანი, ვისაც ვეძებდი, მაგრამ ეს ის ვერაფრით იქნებოდა — ეს ბევრად ახალგაზრდა იყო. დავიბენი: სახლი ხომ არ შემეშალა? ან საერთოდ, რა მინდოდა მაინცდამაინც აქ? ბოლოს მაინც გამოველაპარაკე, ოღონდ ისეთი ხმით, მე თვითონაც რომ მეუცხოვა.

(სახლში)
მარინა: მე ვიღაცას ვეძებ.
დედა: მართლა?
მარინა: ერთ მოხუც ქალს.
დედა: მოხუც ქალს? კომანში ბევრია მოხუცი ქალი.
მარინა: იცით, არც კი ვიცი რა ჰქვია.
დედა: ვითომ არის აქ ვინმე, შენ რომ არ იცნობდე?
მარინა: მე აქ არავის არ ვიცნობ!
დედა: ეგ როგორ უნდა გავიგო?
მარინა: ჩვენ რომ მანქანით გავიარეთ, ხიდთან, ნაპირზე იდგა.
დედა *(მომთხოვნი კილოთი)*: ვინ?
მარინა: ისე შემომხედა, თითქოს ძალიან კარგად მიცნობდა.
დედა: რატომღაც რომ არ სცნობოდი...
მარინა: კი მაგრამ, საიდან?
დედა: რა გჭირს, მარინა?
მარინა: ვინ არის მარინა? თქვენ ვიღაცაში გეშლებით.

(სივრცის მიღმა)
ელენე: შეშფოთებული მიყურებდა — ვერაფერი გაეგო. მერე, ძალიან ახლოს მოვიდა, ხელებში ჩამაფრინდა და პირდაპირ სახეში ჩამხედა.

(სახლში)
დედა: ვინ არის მარინა?! შენ ხარ მარინა — ჩემი შვილი! თუ საკუთარ თავსაც ვეღარა სცნობ?! მარინა, გესმის?!

(სირცის მიღმა)
ელენე: მის მხარს ზემოთ, ჩემს პირდაპირ, კედელზე ჩამოკიდებულ, ჭუჭყიან სარკეს შევხედე. იქიდან ვიღაც ახალგაზრდა, შავთმიანი, გარუჯული გოგო მიყურებდა და ყელზე იაფფასიანი მძივი ეკეთა. კედლიდან სარკე ჩამოვგლიჯე.

(სახლში)
მარინა: ეს მე არა ვარ!
დედა: რას ნიშნავს ეს, მარინა?
მარინა: რაც ვთქვი, იმას!
დედა: ეს შენ არა ხარ?

(სარკე ძირს ეცემა და იმსხვრევა)
მარინა *(გაუნძრევლად)*: ლამაზი სარკე იყო...

ᲓᲔᲓᲐ: ახალი საიდან მოვიტანოთ...

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: საფასურს გადაგიხდით.

ᲓᲔᲓᲐ: გადამიხდი? საიდან?

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: მე ელენე გოგოლაძე ვარ. თბილისში ვცხოვრობ. ჩემი ქმარი კულტურის სამინისტროში მუშაობს. მე 41 წლის ვარ და ორი შვილი მყავს. თიკო — 20-ის, კოტიკო კი — 18 წლისაა. ჩვენ აფხაზეთში ვმოგზაურობთ. კომანში არასოდეს ვყოფილვარ. აქ სრულიად შემთხვევით მოვხვდი. ღმერთო ჩემო, თქვენ მე ნამდვილად არასოდეს მინახიხართ.

დედა *(ფრთხილად)*: კი მაგრამ, შენ ზუსტად მარინასნაირი ხარ და თან კიდევ მისი კაბა გაცვია...

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: მისი კაბა? *(შეშფოთებული)* ეს კაბა?

ᲓᲔᲓᲐ: და მისი მძივიც გიკეთია...

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: მისი მძივი? *(ტირის).*

ᲓᲔᲓᲐ: წამოდი, ჩამოჯექი ცოტა ხანს, მალე ისევ გადაგივლის. *(ნაზად)* რა ბოროტი გოგო ხარ, მარინა, საკუთარ დედასაც კი ვეღარ ცნობ...

(სივრცის მიღმა)

ᲔᲚᲔᲜᲔ: თმაზე ხელი გადამისვა თუ არა, გულზე მომეშვა. თავი ავწიე და შევხედე. მის მუქ, შუბლზე კულულებად ჩამოყრილ თმებში ვერცხლისფერი ძაფები ერია. ჭუჭყიანი იყო, მაგრამ თაფლისფერი თვალებით ისე ნაზად მიყურებდა, უცებ გავიფიქრე, იქნებ მართალიც იყო. განა მე სინამდვილეში მარინა არ მქვია? განა მართლაც მისი შვილი არა ვარ? ელენე გოგოლაძე... ვინ არის ელენე გოგოლაძე? ალბათ დამესიზმრა ან მომეჩვენა.

(სახლში)

ᲓᲔᲓᲐ: ეჰ, მარინა, რომ იცოდე, რა ხშირად მტკენ გულს...

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: გულს გტკენ?

ᲓᲔᲓᲐ: ძალიან, ძალიან ხშირად.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: ხშირად მომდის ასე? რომ... ვიცვლები?

ᲓᲔᲓᲐ: ყოველთვის.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: და დღეს რომ ვთქვი, ასეთი რამე სხვა დროსაც მითქვამს?

ᲓᲔᲓᲐ: არა, აქამდე არა. როგორ შემაშინე, შვილო!

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: საერთოდ როგორი ვარ ხოლმე, ჰა? როგორი ვარ, დედა?

ᲓᲔᲓᲐ: ხშირად თითქოს აქ არ ხარ, არაფერი გესმის, არავის პასუხობ, საათობით მიჩერებიხარ ერთ წერტილს, და სოფელში ისე დადიხარ, თითქოს მთვარეული იყო...

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: და დამცინიან, არა? *(დედა არ პასუხობს)* მითხარი!

ᲓᲔᲓᲐ: თვითონ არ იცი ვითომ...

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: შეიძლება ვიცი კიდეც... *(დაფიქრებით)* მაგრამ ძალიან თუ მოვინდომებ, ხომ შეიძლება რომ შევიცვალო?

ᲓᲔᲓᲐ: სულ ცოტაც რომ მოინდომო, მარინა! სულ ცოტაც!

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: ჰო.

ᲓᲔᲓᲐ: ო, რა მადლობელი ვიქნებოდი! რა ბედნიერი შეგიძლია გამხადო...

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: მერე, რატომ ვარ ასეთი?

ᲓᲔᲓᲐ: ზუსტად ეგ ვიფიქრე — დღეს რომ იყო, ასეთი საშინელი არასდროს ყოფილა-მეთქი... ახლა კი, მგონი, ყველაფერი კარგადაა. რა დალაგებულად ლაპარაკობ, მარინა! ჩემზე ჭკვიანურადაც კი.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: არაა!! *(იცინის).*

ᲓᲔᲓᲐ: იცი, ჯემალი უკვე აქ არის.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: ჯემალი?

ᲓᲔᲓᲐ: მამასთან ერთად ზის ოთახში.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ *(დაძაბული)*: მამასთან ერთად ოთახში?.. ვინაა? რა უნდა?

ᲓᲔᲓᲐ: მარინა, ძალიან კარგად იცი, რაც უნდა. შენ გგონია, ძალიან ბებერია? *(მორცხვად)* რა ვიცი, იქნებ არც უნდა გვიხაროდეს. სამი ნავი აქვს... არაფერი გაგიჭირდებოდა. არც ცუდი

ადამიანია. მე და მამაშენი ისე გავიხარებდით, შენ რომ ბედნიერი იყო. ძალიან გვეშინია შენს გამო.

მარინა: ნუღარ შეგეშინდებათ.

დედა: რომ გკითხოს, აღარ გაიქცევი?

მარინა: რა, გავრბოდი ხოლმე?

დედა: ყოველთვის. წინა ჯერზე თქვა, აღარ მოვალო, მაგრამ ხომ ხედავ, ისევ აქაა... უთხარი „ჰო“, მარინა!

მარინა: რახან ასე ძალიან გინდა, დედა...

დედა: მარინა, შენ ჩვენც გაგვაბედნიერებ და საკუთარ თავსაც.

(სირცის მიღმა)

ელენე: ყველაფერი თამაში მეგონა. ვიდექი და ვმოძრაობდი სცენაზე — საკმარისი იყო, კულისებში გავსულიყავი, ყველაფერი დამთავრდებოდა. რისი უნდა შემშინებოდა? მაგიდას ორი კაცი ეჯდა. წინ ბოთლი ედგათ და წითელი ღვინით სავსე ჭიქები ელაგათ. ორივენი ერთი ასაკის იქნებოდნენ, ასე, ორმოცდაათამდე. გავიფიქრე თუ არა, რომ ერთ-ერთი მათგანი მამაჩემი უნდა ყოფილიყო, გავმხიარულდი. შეზარხოშებულებს სახეები გაწითლებოდათ. ერთ-ერთს პიჯაკი სკამის ზურგზე გადაეკიდა და საყელო შეეხსნა. მრგვალი, კეთილი სახე ჰქონდა. მეორე — გამხდარი და თითქმის მთლიანად მელოტი იყო: თავზე რამდენიმე ღერი, ბალახის ბღუჯასავით თმა ეზრდებოდა. შავები ეცვა. შევედი თუ არა, ორივენი წამოდგნენ. იმან, პერანგის ამარა რომ იყო, ნაჩქარევად გადაიცვა და ჩემს შესახვედრად დაიძრა. მივხვდი, რომ ეს მამაჩემი იყო — მარინას მამა.

(ოთახში)

მამა: მარინა, ჩვენი მეგობარი ჯემალი ჭვიშბა მოვიდა. მიესალმე და ხელი ჩამოართვი.

მარინა: გამარჯობათ, ბატონო ჯემალი.

ჯემალი: გამარჯობა, მარინა.

მამა: ამხანაგი ჯემალი შენზე სალაპარაკოდ მოვიდა. შენი ხელი მთხოვა და ვუთხარი, რომ მივესალმები მის სიძეობას. კარგად იცი, ამხანაგი ჯემალი ჩვენი მეგობარი და პატივცემული ადამიანია. იმედია, დამჯერი გოგო იქნები და მისი და მშობლების ნების წინააღმდეგ არ წახვალ. ამხანაგი ჯემალი ჩვენი კეთილისმსურველია, ჩვენ კი მისი მოვალეები ვართ. ხომ გესმის?

მარინა: ყველაფერი მესმის.

(სივრცის მიღმა)

ელენე: საზეიმო სიტყვა რომ დაამთავრა, მამამ შემომხედა და მისმა შეშინებულმა მზერამ გული მომილბო. მართალია, მე კი არა, მარინას თხოვდა, უფრო ზუსტად მარინას კი არა — საკუთარ ბედისწერას, მაგრამ ახლა, სწორედ რომ ჩემზე, მისი აზრით ერთ ჭკუათხელ გოგოზე იყო დამოკიდებული, რა პასუხს მისცემდა ბედი. როგორც ეტყობოდა, ამხანაგ ჯემალის ვალი ჰქონდა და მე შემეძლო დავხმარებოდი. მან თავის სკამთან მიმიყვანა და მითხრა:

მამა: ახლა მარტო დაგტოვებთ, რომ ამხანაგი ჯემალი თვითონ დაგელაპარაკოს და შენ პასუხი გასცე. *(მორიდებით)* შენი იმედი მაქვს. *(გადის)*

ჯემალი: გაიგე მარინა, რა თქვა მამაშენმა? ახლა გეკითხები, გინდა ჩემთან გადმოხვიდე საცხოვრებლად და ჩემი ცოლი გახდე?.. არა, ახლავე ნუ მიპასუხებ... ჯერ დაფიქრდი, რომ სწორი პასუხი გამცე.

(სივრცის მიღმა)

ელენე: აი, ეს იყო ჯემალი ჭვიშბა, რომელსაც ცოლად მოსულელო მარინას შერთვა უნდოდა. ბებერი იყო. გამხდარი სახე უფერული და დანაოჭებული ჰქონდა. გავიფიქრე, ალბათ კუჭი აწუხებს-მეთქი. რატომღაც ცხენს მაგონებდა — ცხენივით მშვიდი და სევდიანი თვალები ჰქონდა. მაშასადამე, ეს იყო ის მაგნატი, მარინას მშობლების ბედ-იღბალს რომ განაგებდა. მე რატომღაც ძალიან საცოდავ ადამიანად ჩავთვალე და მომეჩვენა, რომ მარინას მშობლებზე არანაკლებ თანაგრძნობას იმსახურებდა. ამ მომენტში ლამის ტრიუმფის გრძნობა დამეუფლა.

სინამდვილეში ხომ მარინა კი არა — ელენე გოგოლაძე ვიყავი, რომელსაც დოსტოევსკი, კამიუ და იუნგიც წაუკითხავს, „კავკასიურ სახლში“ მოხსენებებითაც გამოსულა და საპატრიარქოსთანაც კი აქვს მიმოწერა თეოლოგიურ საკითხებზე. აქ მე ყველაფერი ერთი ხელის მოსმით შემეძლო სიკეთის ან ბოროტებისკენ შემებრუნებინა, საკუთარი გუნება-განწყობით დამეტრიალებინა ბედის ბორბალი, წინ ან უკან, სწრაფად ან ნელა: შემეძლო გამებედნიერებინა ან გამეუბედურებინა ეს ადამიანები... რა მნიშვნელობა აქვს... როდესაც ალიფაიაში დავბრუნდები, ხომ ისევ ელენე გოგოლაძე ვიქნები და ყველაფერი მაინც ჩემს სასარგებლოდ გადაწყდება.

(ოთახში)

მარინა: აბა, საკმარისად ვიფიქრე?

ჯემალი: შენი პასუხი აჩვენებს, რამდენად გეყო ეს დრო.

მარინა: ვიდრე გიპასუხებდე, მეც მინდა რაღაც შეგეკითხო...

ჯემალი: შემეკითხე.

მარინა: მამაჩემს შენი რამდენი მართებს?

ჯემალი: ეს შენს პასუხზეა დამოკიდებული.

მარინა: მამაჩემს უკეთესი ნავი სჭირდება.

ჯემალი: უკეთესი ნავი?

მარინა: შენ ხომ სამი ნავი გაქვს?

ჯემალი: ჰო, სამი.

მარინა: სამი კარგი ნავი.

ჯემალი: სამი კარგი ნავი.

კამლა: ორი რა, არ გეყოფა?

ჯემალი: მერე შენც რომ ორი გეყოლება?

მარინა: ეგ არაფერი.

ჯემალი: დღეს შენ რაღაც სხვანაირი ხარ, მარინა.

მარინა: მართლა?

ჯემალი: შენ ის მარინა არ ხარ, მე რომ ვიცნობ.

მარინა: იქნებ, ამის გამო აღარც გინდივარ?

ჯემალი: არა, უფრო მეტადაც მინდიხარ, ვიდრე ადრე!

მარინა: კი მაგრამ, რად გინდივარ, მე ხომ ყველა დამცინის?

ჯემალი: იმიტომ რომ ლამაზი და ღარიბი ხარ. ხომ იცი, ჩემი ცოლი უშვილო იყო. მას მერე, რაც მოკვდა, სულ მარტო ვარ. ვიფიქრე, შენ შეძლებდი ერთბაშად ჩემი ცოლიცა და შვილიც გამხდარიყავი. მეტი არავინ მყავს, ჩემს მიმართ სითბო რომ გამოიჩინოს. მგონია, შენ იქნებოდი ასეთი ადამიანი.

მარინა: ძალიან მეცოდები ჯემალ ჭვიშბა.

ჯემალი: მე კიდევ, შენ — მარინა. დღეს ძალიან სხვანაირი ხარ.

მარინა: იქნებ, აღარც ღირს პასუხის გაცემა?

ჯემალი: გამეცი. თუნდაც ერთხელ რომ დავინახო...

მარინა: რა?

ჯემალი: არა, არაფერი.

მარინა: ნავებზე ნუღარ ინერვიულებ.

ჯემალი: არც ვნერვიულობ. წაიყვანოს მამაშენმა, რომელიც უნდა. კიდევ გაქვს კითხვები?

მარინა: მქონდა, მაგრამ ახლა უკვე ზედმეტია.

ჯემალი: როგორ შევცდი მარინა, შენში... ჩვენზე, ყველა ერთად აღებულზე ჭკვიანი ყოფილხარ.

მარინა: არ დაიჯერო! ხვალ დილას შეიძლება აღმოაჩინო, რომ ეს ჭკუა მთლიანად დავკარგე!

ჯემალი: ახლა არ გინდა რომ მიპასუხო?

მარინა: თანახმა ვარ და ჩემი პასუხი სხვას არაფერს ნიშნავს.

ჯემალი: თანახმა ხარ, მარინა?

მარინა: დაკმაყოფილდი?

ჯემალი: ძალიან. ბედნიერი ვარ. მაგრამ შენ? შენ თუ ხარ ბედნიერი? ეს უნდა ვიცოდე.
მარინა: ეჰ, მეც ძალიან მინდა ეგ ვიცოდე, ჯემალი. ახლა კი, თუ ნებას მომცემ — წავალ.
ჯემალი: საით?
მარინა: საღამოს დავბრუნდები. ალიფაიაში უნდა გავიარო.
ჯემალი: იქნებ ჯობდეს, იქამდე მე წაგიყვანო ნავით? თუ გინდა ცხენს შევაბამ...
მარინა: მირჩევნია მარტო წავიდე. ფეხით.
ჯემალი: კარგი.
მარინა: აბა, კარგად იყავი!
ჯემალი: ჩვენ ხომ დანიშნულები ვართ, მარინა? ნუთუ ერთხელაც არ მაკოცნინებ?
მარინა: დღეს არა, ჯემალი. ჯერ არ მინდა.

(მარინა სამზარეულოსკენ მიდის)
დედა: აი შენც, მარინა!
მარინა: ოთახში შედით. ჯემალი ყველაფერს მოგიყვებათ.

(სივრცის მიღმა)
ელენე: ალიფაიაში ვბრუნდებოდი. შუადღე კარგახნის გადასული იყო. ცოტათი სინდისი მაწუხებდა, ჩემი სიტყვით მარინას ბედი რომ გადავწყვიტე. მე, ელენე გოგოლაძე, ვერ შევძლებდი ჯემალი ჭვიშბას კოცნას... ის ღვინისა და ნივრის სუნით ყარდა... მისი შავი კბილები და სველი ტუჩებიც მაშინვე შემეზიზღა. მაგრამ მარინასთვის განა უკეთესი არ იქნებოდა ამ კაცთან ყოფნა? იმას უყვარდა, თან სევდიანი და კეთილი გული ჰქონდა. კარგადაც იქნებოდნენ. სოფელ კომანის ვიწრო მასშტაბით ჯემალი შეძლებული კაცი იყო, მარინას მშობლებსაც დაეხმარებოდა. მოკლედ, იმის თქმაც შემეძლო, რომ კეთილი საქმე ჩავიდინე. ამ ფიქრებმა გამიტაცა. მუქი წითელი, ძველი კაბა მეცვა და ზუსტად მარინასავით გამოვიყურებოდი. ახლა, როგორმე სასწრაფოდ თავი უნდა მომეწესრიგებინა. არ ვიცოდი ამას როგორ მოვახერხებდი, მაგრამ ერთი წამით არ მეპარებოდა ეჭვი, რომ ალიფაიაში ყველაფერი თავისით მოგვარდებოდა, ჩვეულ სახესაც დავიბრუნებდი და ისევ ელენე გოგოლაძე ვიქნებოდი. მადლობა ღმერთს, ეს ელენე გოგოლაძე მაინც წარმოადგენდა რაღაც გარკვეულს: დაიბადა 1972 წელს და დღეს, 2013 წლის 5 აგვისტოს 41 წელი უსრულდება. მართლა, დღეს ჩემი დაბადების დღეა, მე კი ჯერაც არ აღმინიშნავს. დათოზე, თიკოსა და კოტიკოზე ფიქრი მიხაროდა. სულ უფრო ვუჩქარებდი ნაბიჯს და პირველ სახლებს აქოშინებულმა მივაღწიე. ახლაღა შევამჩნიე, რომ ალიფაია ბევრად უფრო ღარიბულად გამოიყურებოდა, ვიდრე რამდენიმე საათის წინ მომეჩვენა. სახლები კომანისავით ბინძური და ჩაჟამებული ჩანდა. მანქანისა და ადამიანის ჭაჭანებაც არსად იყო. დღის მეორე ნახევარში მობანავეებიც აღარ იყვნენ. მართლაც: საღამო ახლოვდებოდა. სანაპიროსკენ გავიქეცი და იმ ადგილის ძებნა დავიწყე, სადაც ჩვენი მანქანა იდგა, მაგრამ ვერც იმ ადგილს მივაგენი და ვერც მანქანას... ყველაფერი შეცვლილი დამხვდა. საერთოდ აღარ იყო მანქანები. თვალებით კოტიკოს, თიკოსა და დათოს ძებნა დავიწყე — მიუხედავად იმისა, რომ სანაპიროზე ძალიან ცოტა ხალხი იყო, მათ მაინც ვერ მივაგენი. ნუთუ უჩემოდ მოუწიათ წასვლა? იქნებ მეძებენ? მაინც რა სულელურად მოვიქეცი — ისე წავედი, მათთვის სიტყვაც არ მითქვამს. გაუბედავად მოვავლე თვალი გარემოს: სახლები, თოკებზე გაფენილი სარეცხი, ორი ნავი — რატომ მომეჩვენა ეს ყველაფერი ასეთი ავისმომასწავებელი? რაღაც შეიცვალა. არა, რაღაც კი არა — ყველაფერი შეიცვალა. მარტო ორი საათის წინ ნანახი ალიფაია კი არა, ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა, თან იმდენად, რომ იმასაც ვერ ვხვდებოდი, რაში გამოიხატებოდა ეს ცვლილება. იმ განსაცდელის საშინელი წინათგრძნობა დამეუფლა, რომელიც ესესაა თავს უნდა დამტყდომოდა და იმავდროულად ვგრძნობდი, რომ გასაქცევი არსად მქონდა. ქუჩაში ქალი და კაცი მოდიოდნენ. მამაკაცს ჭილის ქუდი ეხურა, ქურთუკი გაეხსნა და მხარზე დიდი ურო ედო. გვერდზე წითელთავსაფრიანი ქალი მოჰყვებოდა და ამაყად მოაქნევდა დიდ ნამგალს. ამ სანახაობას პირდაღებული შევყურებდი, მაგრამ როცა მომიახლოვდნენ, გამბედაობა მოვიკრიფე და გამოველაპარაკე.

(ღია ცის ქვეშ)

მარინა: უკაცრავად, საათს ხომ ვერ მეტყოდით?

კაცი: შვიდის ნახევარია.

მარინა *(დარცხვენით)*: და რა რიცხვია, მაპატიეთ?

კაცი: რიცხვი? რიცხვი — აგვისტოს ხუთი.

მარინა: და... უკაცრავად... წელსაც ხომ ვერ მეტყოდით?

კაცი: ათას ცხრაას სამოცდათორმეტი *(იცინის)*. ბოდიში, შვილო, ასეთ კითხვებს იშვიათად სვამენ.

მარინა: დიდი მადლობა.

ბატონი: არაფრის, გენაცვალე!

მარინა: ათას ცხრაას სამოცდათორმეტი... ათას ცხრაას სამოცდათორმეტი წლის ხუთი აგვისტო.

(სივრცის მიღმა)

ელენე: ახლაღა მივხვდი, რატომ მომეჩვენა ალიფაია ასეთი უცხო. თვითონ ცა და მიწაც განა სხვანაირი არ იყო? მზე უკვე ჩადიოდა, სადაცაა ეს დღეც მიიწურებოდა, 1972 წლის ხუთი აგვისტო, — დღე, როდესაც თბილისში, ქალბატონმა თამარ გლურჯიძემ, პროკურორ რევაზ გოგოლაძის მეუღლემ სწორედ ის გოგო შვა, ელენე რომ დაარქვეს და დაახლოებით ოცი წლის შემდეგ დავით ყანჩაველს რომ გაჰყვა ცოლად. თბილისამდე დაახლოებით 600 კილომეტრი იყო — ეს ძალიან შორია, კომანი კი ახლოსაა. ჩემი თავი შევათვალიერე. ისევ ის წითელი, მარინას გაცრეცილი კაბა მეცვა და მასვე ვგავდი. და ეს მხოლოდ მსგავსება იყო? დღეს, 5 აგვისტოს თბილისში ბავშვმა დაიყვირა. ეს მან დაიყვირა, ელენემ, რომელმაც მე ცხოვრება მომპარა, კარგად მოეწყო თავის კომფორტულ ყოფაში, მე კი შეუბრალებლად მიმატოვა კომანის აყროლებულ მიწაზე. ჰო, სწორედ მან მიმატოვა კომანში... რამდენიმე დღეში ჯემალ ჭვიშბას გავყევი ცოლად და მას შემდეგ მარინას ცხოვრებით ვცხოვრობ — მარილის კასრებსა და მკვდარ თევზებს შორის. *(პაუზა)*.

(ღია ცის ქვეშ. სანაპირო. ისმის თოლიების წივილი)

მარინა: ვერ ვიტან თოლიებს, ჯემალი.

ჯემალი: რატომ? თოლია ძალიან სასარგებლო ფრინველია. ის ზღვას ნაგვისგან ასუფთავებს.

მარინა: კი მაგრამ, ნუთუ იქ ცხოვრება არ შეიძლება, სადაც ნაგავი არ არის?

ჯემალი: ნაგავი ყველგანაა.

მარინა: როგორ მინდა ისეთ ადგილას ვიცხოვრო, სადაც ნაგავი გარედან მაინც არ ჩანს.

ჯემალი: მარინა, კომანის მეტი რა იცი რო?

მარინა: იმდენი კი ვიცი, რომ მესმოდეს — მთელი ქვეყანა კომანისნაირი არაა.

ჯემალი: მე კი მგონია, რომ მთელი სამყარო მხოლოდ ერთი გადიდებული კომანია.

მარინა: კომანის მეტი რა იცი რო?

ჯემალი: მე მინდა შენ იყო ბედნიერი, მარინა. სხვაგან რა, ბედნიერი იქნებოდი?

მარინა: კი! ვიცი ასეთი ადგილი: თბილისში.

ჯემალი *(იცინის)*: სად?

მარინა: თბილისში. დედაქალაქში.

ჯემალი: მე მეთევზე ვარ და კომანში ვცხოვრობ. ამის შეცვლა არ შემიძლია.

მარინა: არ შეგიძლია? კი მაგრამ, შეხედე ეს გველთევზები როგორ ფართხალებენ და იხრჩობიან ჰაერზე. გული მიკვდება, რომ ვუყურებ. წყალი აუცილებლად სჭირდებათ...

ჯემალი: როგორც შენ — თბილისი...

მარინა: უნდა წავიდეთ აქედან, ჯემალი... როგორც სხვები მიდიან!

ჯემალი: მიდიან იმიტომ, რომ საქმე ცუდად მისდით. ჩვენ რა? ცუდად ვართ?

მარინა: წასვლა მინდა, ჯემალი. ძალიან მინდა წასვლა!

ჯემალი: მერე ეგ როგორ წარმოგიდგენია... სახლი უნდა გავყიდო?

მარინა: რა დაგრჩენია ამ სოროში?

ჯემალი: და ნავები?..
მარინა: ნავებიც. რატომაც არა?
ჯემალი: თბილისში რაღა ვაკეთოთ? მე თევზაობის მეტი არაფერი ვიცი.
მარინა: ამას იქაც მოახერხებ. იქ მდინარე მტკვარია. წავიდეთ აქედან, ჯემალი!
ჯემალი: ეს მხოლოდ დროებითი კაპრიზია, მარინა.

(სივრცის მიღმა)

ელენე: დღითიდღე გულს ვუწყალებდი, თავს არ ვანებებდი. ისიც, იმ სევდიანი გულით, ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად რომ ვუყვარდი და ჩემი ბედნიერად დანახვის მეტი სურვილი არ გააჩნდა, ბოლოს და ბოლოს დამნებდა. ძალიანაც კარგად ვიცოდი, რომ დამითმობდა — რომ ერთხელაც იქნებოდა გაიზიარებდა ჩემს გეგმებს, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ამის გაგონებაც არ სურდა. ისე, მართლა, აბა როგორ შეძლებდა ამის გაგებას? განა მისი ხედვით საკმარისი საფუძველი არ მქონდა, კმაყოფილად მეგრძნო თავი? კომანში ყველა გოგოს შურდა ჩემი, რადგან საკუთარი სახლისა და ნავების პატრონმა, სწორედ მე შემირთო ცოლად. მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ მთელს სამყაროს თუ წარმოვიდგენდი, ჯემალი ერთი ჩვეულებრივი მათხოვარი იყო. რა საერთო ჰქონდა მას ჩემთან? რა საერთო ჰქონდა ჩემთან კომანს, თავისი უბადრუკი ქოხებითა და ამაზრზენი ყურეთი, რომლის ყურება ზღვასაც კი მავიწყებდა ხოლმე. მე მინდოდა უკან დამებრუნებინა ცხოვრება, რომელიც მეკუთვნოდა და ისევ საკუთარ თავად ვქცეულიყავი. კომანში ცხოვრებით კი როგორ მივაღწევდი ამას? რადგან ეს ასე ძალიან მსურდა, ჯემალიც ძუნწობამდე ხელმომჭირნე გახდა. ზღვაზე ერთი ნავით მარტოკა გადიოდა, მეორეთი მუშა თევზაობდა, ვისაც ჯერ კიდევ ვინარჩუნებდით. ხანდახან მეც ვჯდებოდი ნავში. მაგრამ ზანდუკში მანეთების რაოდენობა მაინც ძალიან ნელა მატულობდა. ციმბირში ბამის მშენებლობა გრძელდებოდა. რომა, ჩვენი მუშა, რომელსაც მაშინ მხოლოდ ოცი წელი შეუსრულდა, იქ უნდა წასულიყო. ჯემალი ძალიან ბებერი იყო და ამ მხრივ გაგვიმართლა. ამ დროს კარგი შემოსავალი გვქონდა. მარტო ჯემალი და მე კი არა, მამაჩემი და დედაჩემიც კი გადიოდნენ ზღვაში. შვებულებით ჩამოსული რომაც გვეხმარებოდა. მართალია, აჩადარაში ცხოვრობდა, მაგრამ შვებულებას მაინც კომანში ატარებდა. უკანასკნელად, ბამის მშენებლობის შუაწელი იდგა, რომ ჩამოვიდა. შვებულება ყოველთვის სამკვირიანი ჰქონდა. ჯამაგირს არ ითხოვდა... ისე, ჩვენთვის ირჯებოდა.

(სახლში. კარი იღება)

რომა: ქალბატონო!
მარინა: რომა?
რომა: ბატონი ჯემალი არ არის? მინდოდა დაგმშვიდობებოდით.
მარინა: ეს-ესაა უნდა მოვიდეს. შენ რა, ხვალ დილით არ მიემგზავრები?
რომა: დიახ, დილაადრიან.
მარინა: მერე დღესვე გვემშვიდობები?
რომა: თქვენთან მინდოდა დამშვიდობება.
მარინა: ჩემთან?
რომა: ქალბატონო, არასდროს მიკვირდა, რომ არაფერი დამმართნია ბამზე, მაგრამ უკვე ძალიან მაოცებს. ქალბატონო, თქვენ ხომ კარგად იცით სადაც მივდივარ?
მარინა: მე ყოველთვის ვლოცულობ, მათ შორის შენთვისაც, რომა. შენ არაფერი მოგივა.
რომა: იქნებ, ჯობდეს აღარ ილოცოთ ჩემზე, ქალბატონო.
მარინა: ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა.
რომა: დიდი ხანია ამას ვმალავ. რამდენი ხანია აქ ვარ? ექვსი წელიწადი! ხომ შეამჩნიეთ, რომ ყოველ შვებულებას კომანში ვატარებ. რატომ მერე? ჩემი მშობლები ხომ აქედან შორს ცხოვრობენ?
მარინა: ამაზე არასდროს მიფიქრია.
რომა: თქვენს გარდა ამაზე ყველას უფიქრია. თუნდაც ბატონ ჯემალის. დარწმუნებული ვარ, საკმაოდ ხშირად ფიქრობს ამაზე.
მარინა: გიკრძალავ, რომა, ასეთ ლაპარაკს!

რომა: მიკრძალავთ ასეთ ლაპარაკს? თქვენ ისეთ სამყაროში ცხოვრობთ, თქვენამდე არაფერი აღწევს. სად ცხოვრობთ, ვიცოდე მაინც! გული არა გაქვთ, ქალბატონო!

მარინა: ეჰ, რა მართალი ხარ, რომა! შენ თვითონაც არ იცი, როგორი სიმართლე თქვი. ვიღაც იპარავს ჩემს ცხოვრებას და თავისთვის ფლანგავს. ვინ იცის, სინამდვილეში სად იხარჯება ჩემი გული!

რომა: მგონი მესმის თქვენი. ისაა ხომ?

მარინა: რა არასწორად გესმის ჩემი, რომა!

რომა: ასეა. ვერაფერი გავუგე თქვენს ფიქრებს. მაგრამ იცოდეთ, რომ ერთხელაც...

მარინა: რომა!

რომა: მე სხვაზე აღარაფერზე ვფიქრობ!

მარინა: მაშინ, იცი რას გთხოვ? ნუღარ ჩამოხვალ კომანში.

რომა: თქვენ მე სასიკვდილოდ მიმეტებთ, ქალბატონო!

მარინა: სასიკვდილოდ? წადი შენს სოფელში, მოიყვანე ახალგაზრდა გოგო ცოლად. მე ხომ შენზე ხუთი წლით უფროსი ვარ, თანაც სხვაზე გათხოვილი. ასეც რომ არ იყოს, შენ მე არაფრად მარგიხარ. მე აქედან წასვლა მინდა, შენ კი, კიდევ ერთი ჯაჭვი იქნებოდი, კომანს რომ მიმაბამდა. მე ეს არ მინდა, არა.

(სივრცის მიღმა)

ელენე: რომამ ჩემი თხოვნა არ შეასრულა. მისგან სხვას არც მოველოდი. ერთი წლის შემდეგ ისევ კომანში დაბრუნდა. სამუშაოდ მამაჩემთან დადგა, რადგან ჯემალიმ აღარ აიყვანა. რა მართალი იყო და რა ფუჭი ეს ყველაფერი.

(ოთახში)

ჯემალი: შენ არ მითხარი ერთხელ თბილისის შესახებ?

მარინა: ჰო ჯემალი, მე გითხარი.

ჯემალი: მერე დაგავიწყდა?

მარინა: არა, არ დამვიწყებია.

ჯემალი: უკვე დროა.

მარინა: დროა?

ჯემალი: ახლა ფული უკვე საკმარისი გვაქვს.

მარინა: ჰოო?

ჯემალი: არ გიხარია?

მარინა: რამდენი წელია ამას ველოდი და ძალიან უნდა გამხარებოდა, არა?

ჯემალი: მაგრამ ახლა კომანში დარჩენა უფრო გირჩევნია.

მარინა: შევეჩვიე აქაურობას, ჯემალ! ახლა ვხვდები, რომ დიდი შეცდომა იქნებოდა აქედან წასვლა. მით უმეტეს ახლა, როცა ფულიც საკმარისი გვაქვს. შენ ხომ გინდოდა აქ დარჩენა — ჰოდა, მოდი დავრჩეთ.

ჯემალი: მე რომ უკვე ძალიან მინდა წასვლა?

მარინა: შეენ?

ჯემალი: ჰო, მართლა ძალიან მინდა წასვლა. თბილისში ნამდვილად კარგად ვიქნებით.

მარინა: რაღა აქ და რაღა თბილისში — სულ ერთია.

ჯემალი: ამას შენ მეუბნები?

მარინა: არ შემიძლია წამოსვლა, ჯემალი.

ჯემალი: რატომ?

მარინა: შვილს ველოდები... *(რადგან ჯემალი არ პასუხობს)* ახლა მე გეკითხები, გიხარია?

ჯემალი: მიხარია, მარინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემი შვილი არ არის.

(სივრცის მიღმა)

ელენე: არა, ახლა მე უკვე აღარსად წამსვლელი აღარ ვიყავი. რომას ვეღარ ვშორდებოდი. კომანში ეს უკვე აღარავისთვის იყო საიდუმლო. მაგრამ ჯემალს ამის შესახებ მეტი აღარაფერი უთქვამს და მეც აღარ ვაქცევდი ყურადღებას. *(პაუზა)* ბიჭს, რომელიც ოცდაცხრა წლის ასაკში

მეყოლა, ბესლანი დავარქვით. მის მიმართ ჯემალი დიდ სინაზეს იჩენდა და ჩემთანაც ძალიან კეთილგანწყობილი იყო. რა ხშირად ვფიქრობდი შემდეგ ჯემალიზე! მეტს იმსახურებდა. მე კი ისე გულგრილად ვექცეოდი. მარტოსული მოკვდა, ბესლანს წელიწადი რომ შეუსრულდა, — ისეთი მარტოსული, როგორიც მთელი ცხოვრება იყო.

(ღია ცის ქვეშ. ისმის თოლიების წივილი)

ჯემალი: ჩაიძინა?

მარინა: ჰო, პირდაპირ ჩემს ხელებზე დაეძინა. არაჩვეულებრივი ბავშვია, ყველგან შემიძლია ვატარო.

ჯემალი: მალე სიარულსაც დაიწყებს. ღმერთო, როგორ გარბის დრო! *(იცინის)* და კარგია, ასე ჩქარა რომ გარბის. სიარულს დაიწყებს და მალე სათევზაოდაც წავიყვან.

მარინა: რა თქმა უნდა, ეს ისე მალე იქნება...

(ისმის ნავის ჩართული მოტორის ხმაური)

ჯემალი: უკვე უნდა წახვიდეთ? ცოტაც რომ დარჩენილიყავით სანაპიროზე, კიდევ გიყურებდით. არ შეიძლება?

მარინა: როგორ არა, ჯემალი.

ჯემალი: ქარი ხომ არაფერს დაუშავებს?

მარინა: არა, ქარი არაფერს დაუშავებს.

ჯემალი: ჯობს ქარს ბავშვობიდანვე შეჩვიოს.

მარინა: ჰო.

ჯემალი: ამიტომ კარგია, ჰაერი უმოძრაოდ რომ არ არის.

მარინა *(პატარა პაუზის შემდეგ)*: ისევ ბრაზობ ჩემზე, ჯემალი?

ჯემალი: ვბრაზობ?.. არა, მარინა.

(მოტორის ხმა თანდათან შორდება)

(სივრცის მიღმა)

ელენე: როგორ მამშვიდებდა შემდეგ, რომ სწორედ ეს სიტყვები იყო უკანასკნელი, რაც მისგან მოვისმინე. კარგა ხანს გვიქნევდა ხელს. მერე ნავი არხის სიღრმეში მიიმალა და ამის შემდეგ ჯემალი აღარც მინახავს. რამდენიმე საათში ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და როცა ძალიან გვიან, სრულ სიბნელეში, ნავები დაბრუნდნენ, ჯემალი მათ შორის არ იყო. მეორე დღეს ძლიერ დაზიანებული ნავი სამხრეთიდან მოადგა ნაპირს. ჯემალის კვალი კი არ ჩანდა.

(ოთახში)

მამა: რაღაც იშვიათად გხედავ, შვილო.

მარინა: ხალხს ვერიდები. ჩემთვის ყველას ემეტება თითო კეთილი რჩევა.

მამა: სამწუხაროდ, ახლა მეც რჩევა უნდა მოგცე. რაც ჯემალი აღარ არის, ბევრი რამე შეიცვალა.

მარინა: დღეიდან უფრო მეტად შეიცვლება.

მამა: ჰო, მე გავაგდე რომა. კარგად იცი, რატომაც.

მარინა: გაგონებაც არ მინდა.

მამა: შენ ამაზე უბრალოდ თვალს ხუჭავ.

მარინა: რომა ჩემთვის გავა ხოლმე ზღვაში.

მამა: შენთვის? მერე, ნავი?

მარინა: ჯემალის ნავით.

მამა: ჯემალიმ ხომ მე მომცა ეს ნავი, უკან გინდა წამართვა?

მარინა: ჰო, უკან უნდა წავიღო.

მამა: აი, სწორედ ამის მეშინოდა. ჩემი გამორჩენის გამო არა, სწორედ გამიგე. ხომ არ გეგონა, რომ მოგატყუებდი.

მარინა: არა.

მამა: უარს ვერ გეტყვი. *(პატარა პაუზის შემდეგ)* იაროს რომამ ისევ იმ ნავით, თუმცა მე გავაგდე. კარგად რომ დავფიქრდეთ, არც არაფერი შეცვლილა.

მარინა: ახლა ის ჩემთვის ივლის.

მამა: თუკი ივლის...

მარინა: ისევ ივლის.

მამა: დაგპირდა რო? ჩემთან არც ისე ხშირად გადიოდა. დუქანი მაგისთვის ბევრად უფრო ძვირფასია და ალბათ, შენზე უფრო ძვირფასიც.

მარინა: რას მირჩევ, მამა?

მამა: ღირს კი ამის თქმა?

მარინა: არა, რომა ისევ ძველებურად იცხოვრებს.

მამა: მართლა?

მარინა: ჩვენ დავქორწინდებით.

მამა: მარინა, ეს იმაზე უარესია, ვიდრე მოველოდი.

(სივრცის მიღმა)

ელენე: თავს ვიბრმავებდი, თუმცა ვგრძნობდი, რომ რომა გამოიცვალა. მაგრამ რადგან მიზეზს ვერ ვხედავდი, ვფიქრობდი, ყველაფერი გამოსწორდებოდა. შეიძლება დავეხმარო, მასთან თუ დავრჩები, — ვეუბნებოდი ჩემს თავს და უფრო მაგრად ვეჭიდებოდი. უნდოდა თუ არა ჩემი ცოლად მოყვანა? არ ვიცი. ალბათ, მე შევაპარე ეს აზრი და ბოლოს, მივაღწიე კიდეც. ჩვენი ქორწინებიდან კიდევ სამი ბავშვი დაიბადა — დიმიტრი და ორი გოგო, ლანა და ინგა. რომა კი ისევ ძველებურად იქცეოდა და ერთხელაც, მივხვდი, რომ ბედნიერებას მის გვერდით ვერ ვეღირსებოდი.

(ოთახში)

რომა: ვერ გავიგე, სად მიდის ეს ფული. არ გეგონოს რომ სულ დავლიე: შეუძლებელია, იმდენი ფული, ჯემალმა რომ დაგიტოვა, სულ სასმელში დამეხარჯა.

მარინა: შეუძლებელია?

რომა: არ დაგავიწყდეს, რომ ამ ფულს ცოტა მეც შევმატე.

მარინა: როცა გაგიცანი, ჩვიდმეტი წლის იყავი — თითქმის ბავშვი... რა ალერსიანი იყავი, — ეჰ, ნეტავი მაშინ მყვარებოდი! მე კი რატომღაც ახლა მიყვარხარ.

რომა: ნეტავ, ნეტავ! მაგრამ შენ მე არ გიყვარდი. ისე, ჯობდა დაგეწყევლე და გეცლია, სადმე ხაბაროვსკთან, ან ნოვოსიბირსკთან ყინვაში მოვმკვდარიყავი. შენ კი ზეცაზე იერიში მიგქონდა ჩემი გულისათვის. ღმერთო, რისთვის დამინდო ბედმა.

მარინა: ხანდახან მიფიქრია, რომ ჩემი გულისთვის...

რომა: ერთ დროს მეც ასე ვფიქრობდი.

მარინა: ახლა აღარ ფიქრობ?

რომა: ახლა დავიწყება მინდა. ღვინო კი ამისთვის საუკეთესო საშუალებაა.

მარინა: შენი ვერაფერი გავიგე.

რომა: კარგია, რომ არ გესმის ჩემი. ძალიან მიყვარხარ, მარინა.

მარინა: მოდი, მაშინ წავიდეთ აქედან, რომა, სადაც გინდა! თბილისი...

რომა: ძალიან მაშინებს საკუთარი სიყვარული. თბილისში? ჰო, თბილისში კარგი იქნებოდა. ხვალვე წავიდეთ თუ გინდა. შეიძლება ყველაფერი გამოსწორდეს, აქედან რომ წავალთ.

მარინა: ყველაფერი გამოსწორდება, რომა.

რომა: ახლა ფული მომეცი.

მარინა: რისთვის?

რომა: იმდენი სავსე ჭიქა ღვინისთვის, შენს დასაჯერებლად რომ მეყოს.

მარინა: მარტო სამი მანეთი მაქვს.

რომა: ტყუი... არა უშავს, მომეცი. *(კარს აღებს და ზღურბლიდან ამბობს)* არ ვიცი, მიღირს კი ამდენი მათხოვრობა? შენ როგორ გგონია?

(გადის და კარს იხურავს)
(სივრცის მიღმა)

ელენე: რომას რომ მოენდომებინა, შეგვეძლო ბავშვებთან ერთად თბილისში წავსულიყავით. ის კი დამეთანხმა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, არაფერზე უზრუნია. მისთვის, თითქოს, ყველაფერი სულ ერთი იყო. მე კიდევ მიყვარდა და არანაირი გავლენა არ მქონდა მასზე. ჯემალისთან ყველაფერი ბევრად უფრო იოლი იყო. ხშირად მძიმე სევდა მიპყრობდა, როცა ვუფიქრდებოდი, თუ როგორ გარბოდნენ წლები. მალე ორმოცი მომიკაკუნებდა. ბავშვები წამოიზარდნენ. უმცროსს, ინგას ხუთი წელი უსრულდებოდა, ბესლანი — უფროსი კი — თერთმეტის იყო.

(ოთახში)

ბესლანი: ეს ხის ნაფოტი, დედა, გემია. აი, აქ. ეს რა არის?
მარინა: მე პირდაღებული ნიანგი მგონია.
ბესლანი: ეს — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა.
მარინა: ჰო, უნდა მცოდნოდა.
ბესლანი: აი, ეს?
მარინა: დავიღალე, ბესლანი. ეს რა, მაგიდა არ არის?
ბესლანი: მაგიდაა. მაგრამ მე ხომ ვთამაშობ.
მარინა: იქნებ, ეს — ამერიკაა?
ბესლანი: აი, ხომ ხედავ დედა, რა ადვილია! გემი საქართველოდან ამერიკაში მიდის.
მარინა: ეგეთი გემი რომ არ არსებობს?
ბესლანი: მე ვთამაშობ, დე... და აბა, გემზე ვინ არიან?
მარინა: ალბათ, კაპიტანი, მეზღვაურები...
ბესლანი *(მოუთმენლად)*: მაგას არ ვგულისხმობ.
მარინა: ბევრი ხალხი, ვისაც საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში უნდა წასვლა.
ბესლანი: ამ გემზე ხარ — შენ.
მარინა: მეე?
ბესლანი: და მე.
მარინა: მარტო ჩვენ ორნი?
ბესლანი: მამას ხომ არ უნდა ჩვენთან წამოსვლა?
მარინა: მამას ამერიკაში კი არა, თბილისშიც არ უნდა წამოსვლა... და შენ რა იცი?
ბესლანი: შენ ხომ თვითონ თქვი, დედა.
მარინა: მე ეს შენთვის არ მითქვამს, ბესლანი.
ბესლანი: მე არა! საკუთარ თავს უთხარი.
მარინა: მე რა, საკუთარ თავს ველაპარაკები ხოლმე?
ბესლანი: ყოველთვის, დედა.
მარინა: მაშინ, მეტს აღარ ვიზამ.
ბესლანი: რატომ?
მარინა: გააგრძელე თამაში, ბესლან.
ბესლანი: მე ამ თამაშს მარტო ვერ ვითამაშებ... უშენოდ არ გამოვა. რახან მამას არ უნდა წამოსვლა, მოდი, აქ დავტოვოთ.
მარინა: შენ ასე გგონია?
ბესლანი: რომ გავიზრდები, მე წამოვალ შენთან ერთად თბილისში. გპირდები, დედა.
მარინა: ძალიან მიხარია, ბესლან.
ბესლანი: მაგრამ ჩემი არ გჯერა.
მარინა: მჯერა შენი.
ბესლანი: პირობები აუცილებლად უნდა შევასრულოთ, არა?
მარინა: ამასაც საკუთარ თავს ვეუბნები ხოლმე?
ბესლანი: ჰო.
მარინა *(ამოიხვნეშებს)*: უკვე გვიანია, ბესლანი. დასაძინებლად წადი.

(სივრცის მიღმა)

ელენე: ჩემი საღამოები დღითიდღე სულ უფრო ერთფეროვანი ხდებოდა. ბავშვები რომ დაწვებოდნენ, მარტოკა ვიჯექი და ველოდებოდი რომას, რომელიც ჩემსავით მარტოდმარტო იჯდა კომანის რომელიღაც დუქანში. მომიყვნენ, რომ იგი ყველას ერიდებოდა და საუბარშიც არასოდეს ერეოდა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის იყო, ჭაღარა თმა ჰქონდა და მოხუცისგან არაფრით განსხვავდებოდა. მარტოკა ვიჯექი და ვაყურადებდი, როდის გავიგებდი მისი ფეხის ხმას ან კარების ჭრიალს. ხშირად ქარი ისე შეანძრევდა სახელურს, რომ ვტყუვდებოდი — თითქოს ვიღაცის ხელი შეხებოდა. ამ განმარტოებული საღამოების განმავლობაში, საკმარისი დრო მქონდა მეფიქრა ჩემს ცხოვრებაზე, რომელიც სინამდვილეში ჩემიც არ იყო, მაგრამ მაინც არ მიშვებდა; არავინ მეკითხებოდა, ვიზიარებდი თუ არა მის სიხარულსა და მწუხარებას, მისგან თავდახსნის იმედიც სულ უფრო კლებულობდა. ვინ იცის, მქონდა კი რაიმეს იმედი?

(ოთახში)

რომა: კიდევ არ დაგიძინია, მარინა?

მარინა: შენ ყოველ საღამოს ეს გიკვირს.

რომა: არ ვკარგავ იმედს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოგბეზრდები.

მარინა: იმიტომ რომ შენ მოგბეზრდი, არა?

რომა: ვითომ, ჩემი სიყვარული უშველის რამეს?! ექვსი წელია ვცდილობ ეს შეგაგნებინო. ძალიან ნელი ვარ.

მარინა: მომთმენი.

რომა: არა, უფრო სწორად ახლა უკვე ათი წელიწადი.

მარინა: ათი წელიწადი? რა?

რომა: აქამდე არ იცი?

მარინა: რა არ ვიცი, რომა?

რომა: უკვე ათი წელიწადია ვცდილობ როგორმე გითხრა. იქნებ, შენ დიდი ხანია იცი კიდეც, ოღონდ არაფერს ამბობ, თავს იკატუნებ და ზიხარ აქ...

მარინა: მე მარტო ის ვიცი, რომ სვამ, აი, ეს ვიცი!

რომა: მხოლოდ სმის გამო რომ ვსვამდე? მე კი იმიტომ ვსვამ, რომ კარგად მოვიფიქრო, როგორ გითხრა ეს.

მარინა: ნუ მაშინებ, რომა.

რომა: ესე იგი, უკვე ყველაფერი იცი?

მარინა: არაფერიც არ ვიცი, მაგრამ უკვე მეშინია იმის, რისი თქმაც გინდა.

რომა: ყოველთვის გინდოდა ამის გაგება.

მარინა: მეტი არაფრის გაგება აღარ მინდა, რომა. შენთვის შეინახე.

რომა: ჯემალი მე მოვკალი.

მარინა *(პაუზის შემდეგ, იძულებითი სიმშვიდით)*: ეს არ არის მართალი, რომა, ის მარტო იყო ნავში, დაიწყო ქარიშხალი და დაიხრჩო.

რომა: არც ისე ძნელი იყო მის ნავთან მიახლოება და მის ნავში გადაძრომა. ზღვა ჯერ კიდევ წყნარი იყო მაშინ.

მარინა: ტყუილია ყველაფერი.

რომა: მის ნავში რომ გადავძვერი, ჩაიცინა და მითხრა: „როგორც იქნა, მოხვედი!“

მარინა: დაწყნარდი, რომა.

რომა: „როგორც იქნა, მოხვედი!“ რატომ მითხრა? ამაზე მთელი ათი წელია ვიმტვრევ თავს. ელოდებოდა? ალბათ — კი, და მგონი, მეტი სიცოცხლეც აღარ უნდოდა, მარინა. ზოგჯერ, განსაკუთრებით კარგი დღე რომ გამოერევა ხოლმე, ვფიქრობ, თვითონ ჩამაგონა მკვლელობამეთქი. მაშინ თვითონაც ხომ დამნაშავე გამოდის. გესმის?

მარინა: მითხარი, რომ ეს ყველაფერი ტყუილია.

რომა: ტყუილია. ისე, გასართობად მოგიყევი პატარა ისტორია. სმით კი იმიტომ ვსვამ, რომ უბრალოდ მომწონს.

მარინა: ათი წელი ვიცხოვრე შენთან.

რომა: მეტი.
მარინა: ამის მერე ათი წელია.
რომა: უკვე დროსაც ანაწევრებ? ესე იგი, გჯერა, რომ ეს მართალია. დღეიდან ძნელი იქნება შენთან ცხოვრება, მარინა.
მარინა: ჰო.
რომა: შენ არ ინერვიულო.
მარინა: საით აპირებ?
რომა *(დამცინავად)*: თბილისში.
მარინა: თბილისი.
რომა: მშვიდობით, მარინა.
მარინა: საით...
რომა: არსაით. დავიღალე და მეძინება. დღეს თბილა, წავალ, ნავში დავიძინებ, ყველაფერს ეს აჯობებს.

(სივრცის მიღმა)
ელენე: ამ დროს ინგას ტირილით გამოეღვიძა. ბავშვი რომ დავამშვიდე და უკან მოვბრუნდი, რომა უკვე წასული დამხვდა. ცოტა ხნის მერე ნავთან გამოვედი, მაგრამ ცარიელი დამხვდა. ფარნით ხელში მთელი კომანი შემოვიარე. ყველგან სიჩუმე და სიცარიელე იყო, რომა კი არ ჩანდა. მერე მამა გავაღვიძე და ერთად განვაგრძეთ ძებნა. გამთენიისას ვიპოვნეთ: თავი ჩამოეხრჩო, ხიდის მოაჯირზე გამოება თოკი, ისე რომ, ფეხები ზედ წყალზე ეკიდა. *(პაუზა)* ეს 1990 წელს მოხდა, სწორედ იმ წელს, როცა თბილისში ელენე გოგოლაძე დავით ყანჩაველს გაჰყვა ცოლად და მშობლების სახლის სიმყუდროვე სხვა, არანაკლებ მოხერხებულ სამყაროზე გაცვალა. როგორ მეზიზღებოდა ის, ვინც ყველაფერი მომპარა და ტანჯვის მეტი საკუთარი ცხოვრებიდან არაფერი დამიტოვა. რომას სიკვდილის შემდეგ ჩემი ფიქრები სულ უფრო ხშირად უბრუნდებოდა მას. ჯემალის დანატოვარიდან ცოტა ფული კიდევ მქონდა შემორჩენილი. გარდა ამისა, პატარა სახლი და ნავიც მქონდა. ნავი რომ გამექირავებინა და მამაჩემისგანაც რაიმე მიმეღო, თანაც ხელმომჭირნეობასაც თუ გამოვიჩენდი, შესაძლოა ეს მე და ბავშვებს თბილისში გასამგზავრებლად და რაღაც ხნით თავის გასატანად გვყოფნოდა. კიდევ ერთხელ ვცადე, ეს მძიმე წლები იყო. საბჭოთა კავშირი იშლებოდა. ცხოვრება ძვირდებოდა. დრო სწრაფად მიქროდა, ბავშვების ზრდის მიხედვით ვგრძნობდი, როგორ ვბერდებოდი. ბესლანს არავითარი სურვილი არ ჰქონდა მეთევზე გამხდარიყო. თექვსმეტი წელი რომ შეუსრულდა, ოჩამჩირეში, ტყავის ფაბრიკაში დავტოვე შეგირდად; შეეძლო დეიდასთან ეცხოვრა, დედაჩემის დასთან, რომელსაც ქმართან ერთად იქვე ბოსტნეულის ფარდული ჰქონდა. ბესლანი ჩემი საყვარელი შვილი იყო და მის გარეშე სახლი სულ ცარიელი მეჩვენებოდა. კიდევ კარგი, კვირაობით მაინც ბრუნდებოდა შინ. თითქმის სამი თვე იყო ოჩამჩირეში. ბოლოს უკვე იმდენის გამომუშავება შეძლო, რომ ჩემგან ფულს აღარ ითხოვდა, სამაგიეროდ კვირაობითაც აიცრუა გული შინ მოსვლაზე. ხშირად მთელი კვირები გადიოდა, ვიდრე იგი ჩვენთან ერთად შემოუჯდებოდა მაგიდას. თანაც ძალიან ცოტას ლაპარაკობდა.

(ოთახში)
მარინა: გახსოვს, ბესლან, ერთხელ ჩემთან ერთად გამგზავრებას რომ დამპირდი?
ბესლანი: ჰო, მახსოვს.
დიმიტრი: გამგზავრებას? საით?
ბესლანი: თბილისში, და მერე ამერიკაში.
ინგა: მეც მინდა წამოსვლა, დედა.
ლანა: შენ რომ ჯერ ძალიან პატარა ხარ, ინგა?
ინგა: დედა, ლანა ამბობს რომ პატარა ვარ. მე კიდევ უკვე თორმეტი წლის ვარ. თორმეტის!
მარინა: ჩვენ ყველანი ერთად წავალთ.
დიმიტრი: მართლა ამერიკაში წავალთ?
მარინა: ნუ, ჯერ თბილისში... თუ შენ ამაზე უკვე აღარ ფიქრობ, ბესლან.
ბესლანი: ვფიქრობ, როგორ არა...

მარინა: ჩვენ უკვე საკმარისი ფული მოვაგროვეთ.
ინგა: როდის მივდივართ, დედა?
მარინა: მე მაინც მგონია, რომ ბესლანს აღარ უნდა წამოსვლა.
ბესლანი: სურვილი კი მაქვს...
მარინა: მაგრამ?
ბესლანი: არა, არაფერი.
მარინა: შენ დამპირდი, ბესლან, მაგრამ თუ აღარ გინდა...
ლანა: როგორ არა, ბესლანი ჩვენთან ერთად წამოვა. აქ რა დარჩენია მარტოს.
მარინა: შეიძლება იქ ვინმე იპოვნოს, არა?
ბესლანი: არ ვიცი, დედა.

(სივრცის მიღმა)
ელენე: შევამჩნიე, რომ ბესლანი ჩაფიქრდა და მეტი აღარაფერი უთქვამს. ღიმილი შევიკავე. ვინ იცის, ჩემგან განსხვავებით, იქნებ ის უკვე სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე თვე სახლში აღარ გამოჩნდა, თვითონ წავედი მასთან ოჩამჩირეში. ეს აუცილებელი იყო, — ბოლოს და ბოლოს, იმის უფლებაც მქონდა, მომენახულებინა, თუნდაც განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყო. თბილი დღე იყო. დეიდა მარტო დამხვდა დახლთან.

(ნახევრადღია სივრცეში)
მარინა: დილა მშვიდობის, დეიდა.
დეიდა: მარინა! აი იშვიათი სტუმარი!
მარინა: ბესლანის ნახვა მინდოდა.
დეიდა: ბესლანის?
მარინა: რა, არ არის? დღეს რა, დღესასწაული ხომ არაა?
დეიდა: ბესლანი, მარინა?
მარინა: ბესლანი.
დეიდა: ის რა, თბილისში არ არის?
მარინა: თბილისში?
დეიდა: ჰო, აბა...
მარინა: მე არაფერი ვიცი თბილისის შესახებ.
დეიდა: იქ უფრო კაი ადგილი იშოვა. წინა კვირას თქვენთან იყო. მე მითხრა, რომ აქ აღარ დაბრუნდებოდა და პირდაპირ თბილისში გაემგზავრებოდა.
მარინა: ჰო, მაგრამ ის არ ყოფილა კომანში.
დეიდა: სად შეიძლება წასულიყო?
მარინა: თბილისში სად უნდა ვეძებო?
დეიდა: არ მიკითხავს. მე რა ვიცოდი, რომ...
მარინა: არა, რა თქმა უნდა, შენ საიდან გეცოდინებოდა...
დეიდა: ღმერთო ჩემო! შემოდი მარინა, შეჭამე. დალიე მაინც რამე.
მარინა: არა, გმადლობთ, არ მინდა. არაფერი დაუტოვებია?
დეიდა: არა, თავისი ნივთები თან წაიღო. აჰ, მარინა, ცუდი არაფერი მოხდება, ის წესიერი ბიჭია, კარგად ვიცნობ, მალე მოგწერს.

(სივრცის მიღმა)
ელენე: კიდევ ორი დღე დავრჩი ოჩამჩირეში, მაგრამ ვერც ფაბრიკაში და ვერც სხვაგან ვერაფერი გავარკვიე. ბესლანი, ჩანს, საგულდაგულოდ მალავდა თავისი წასვლის ამბავს. მხოლოდ დეიდას გააგებინა. მასაც მხოლოდ ადგილი დაუსახელა: თბილისი. ახლა თბილისში უნდა წავსულიყავი, იქნებ იქ მაინც მეპოვნა. ამისთვის ერთი კვირა მაინც იყო საჭირო, თუ მეტი არა. თანაც, ეს ფული ღირდა. შევძლებდი ბავშვების ამდენი ხნით დედასთან დატოვებას? ის უკვე ძალიან მოხუცებული იყო. კომანში რომ დავბრუნდი, მაინც გადავწყვიტე წავსულიყავი. დედაც თანახმა იყო. ფულს კი დანაზოგიდან ავიღებდი. ზარდახშა, რომელშიც ფულს ვინახავდი, ჯერ კიდევ ჯემალისაგან დამრჩა. მაშინ, ისევე როგორც ახლა, ის ზანდუკის ძირში იდგა, ზემოდან

კი ბავშვების ტანსაცმელი, წინდები, პერანგები და დასაკემსი ზეწრები ელაგა. ოცი წელზე მეტია ეს საიმედო ადგილს წარმოადგენდა. მაგრამ ახლა, როდესაც ზარდახშისთვის გასაღების მორგება მოვინდომე, აღმოვაჩინე, რომ მისი გახსნა საჭირო აღარ იყო: ის გატეხილი და ცარიელი დამხვდა. ჩემს გარდა ერთადერთმა ადამიანმა იცოდა, სად ინახებოდა ფული და მივხვდი — ჩემს თბილისში წასვლას არანაირი აზრი არ ჰქონდა. ბესლანი იქ არ იქნებოდა. ასეთივე წარმატებით შემეძლო ის სოხუმში, მოსკოვში ან ლენინგრადში მეძებნა. ბესლანი შორს იყო. ჩემი უსაყვარლესი ვაჟი, რომელმაც მარტო ფული კი არა, მთელი ჩემი ოცნებები მოიპარა.

(ღია ცის ქვეშ. ისმის თოლიების წივილი)

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ *(შორიდან)*: დედა! დედა!

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: რა არის დიმიტრი?

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ *(ახლოს)*: მანდ რას აკეთებ? ჩვენ გეძებთ.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: მოვდივარ.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ: რა მოგივიდა, დედა?

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: დიდი ხანია ასეთი ქარი არ ყოფილა.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ: ბესლანს რამე დაემართა, დედა? ოჩამჩირეზე არაფერი მოგიყოლია.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: ბესლანი თბილისში გადავიდა, უკეთესი სამუშაო იშოვნა. ჯამაგირი მეტი აქვს, საღამოობით უფრო ადრე თავისუფლდება.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ: მერე, ამაზე ტირი?

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: არა, უბრალოდ ძალიან შორსაა და იმაზე ვტირი.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ: მე არასოდეს წავალ შენგან ასე შორს, დედა.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: ამას ნუ მეტყვი, დიმიტრი.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ: მე შენ ამას გპირდები.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: მპირდები?

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ: რამე ცუდი ვთქვი?

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: არა, დიმიტრი.

(თოლიების წივილი თანდათან ნელდება)
(სივრცის მიღმა)

ᲔᲚᲔᲜᲔ: მისი ბრალი სულ არ იყო და არც სურვილი ჰქონდა — მაგრამ დიმიტრი კომანიდან თბილისზე უფრო უარეს ადგილას წავიდა. როცა ქართველებს და აფხაზებს შორის ომი დაიწყო, ის ცხრამეტი წლის იყო. დიმიტრი აფხაზებს შეუერთდა. კომანშიც ისეთივე სიჩუმემ და სიცარიელემ დაისადგურა, როგორც ჩემს სახლში. მერე ლანა და ინგაც გაემგზავრნენ. ისინი ბესლანივით იმავე ფაბრიკაში მუშაობდნენ და დეიდასთან ცხოვრობდნენ. კვირაობით ხანდახან ისინიც არ ბრუნდებოდნენ შინ, ზოგჯერ კი მხოლოდ ერთი მათგანი ჩამოდიოდა. ომის დროს ისევ იმას ვაკეთებდი, რითაც მთელი ცხოვრება ვიყავი დაკავებული: თევზს ვშიგნავდი. ჩემი ხელიდან გადადიოდნენ ისინი მარცხნივ მდგარი ერთი კასრიდან მარჯვენაში. ულამაზო ხელები მქონდა. ველოდებოდი, მთელი ცხოვრება ველოდებოდი წერილებს, ვაყურადებდი სახლის წინ ნაბიჯებს, ველოსიპედის საბურავების შრიალს. ყველაზე ნაკლებად თბილისში წასვლას ველოდი. მოლოდინი თანდათან მცირდებოდა, ან იქნებ პირიქით, — სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. ერთხელ, შემოდგომის საღამოს მართლაც შემომესმა ნაბიჯების ხმა, რომელიც აშკარად ჩემს სახლს უახლოვდებოდა. ზუსტად კართან შენელდა და შეწყდა. ცოტა ხანს ვაყურადებდი, ბოლოს ვიკითხე:

(ოთახში)

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: რომელი ხარ? *(სიჩუმე. მარინა დგება და კარს აღებს)* ვინ არის?

ᲑᲔᲡᲚᲐᲜᲘ *(ჩუმად)*: მე ვარ, ბესლანი.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ *(ხმამაღლა)*: ბესლან?

ᲑᲔᲡᲚᲐᲜᲘ: ჩუმად, ჩუმად!

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ: რა დაგემართა?

ᲑᲔᲡᲚᲐᲜᲘ: შემომიშვი!

მარინა: აჰ, ბესლან, შვილო, ჩემო სიხარულო!

ბესლანი: დედა! *(კარები იხურება)*

მარინა: ეს რა გაცვია? ეს რა ფორმაა?

ბესლანი: თავის დროზე ქართული სამხედრო ფორმა იყო. არა, არა, შუქი არ გინდა! ფარდები ჩამოფარებულია? კარებს რომ აღებდი, მომეჩვენა, ქუჩაში ვიღაც იდგა. შეიძლება ქართველები მეძებენ.

მარინა: ვინ გეძებს?

ბესლანი: დეზერტირი ვარ, ოთხი დღეა მოვდივარ.

მარინა: დაჯექი, ბესლან, შეჭამე. აქ ცოტა რაღაც დამრჩა, ჯერ არ გაციებულა!

ბესლანი: იმათ იციან, რომ კომანიდან ვარ.

მარინა: მაშინ სულელურად მოიქეცი, აქ რომ მოხვედი.

ბესლანი: ხო, უჭკუოდ მოვიქეცი.

მარინა: სამაგიეროდ, მე ვარ ბედნიერი, ბესლან.

ბესლანი: მე გზა უნდა გავაგრძელო. რაიმე ტანსაცმელი არ გექნება ჩემთვის, დედა?

მარინა: ერთი ხელი შენი ტანსაცმლიდან აქ დარჩა... დიმიტრისიც კარგად გექნება.

ბესლანი: დიმიტრისი?

მარინა: აი, ღია ბარათი მისგან, მართალია სამი კვირის წინ მოვიდა.

ბესლანი *(კითხულობს)*: „ახლა დიდი ხანი ვეღარ მოგწერ. ისე არაფერი მაკლია, თუ ყველაფერი რიგზე იქნება, მალე შვებულებას მომცემენ.“

მარინა: თუ ყველაფერი კარგად იქნაო, ბესლან!

ბესლანი: ლანა და ინგა როგორ არიან?

მარინა: ოჩამჩირეში არიან, აქ მე ვარ მარტო.

ბესლანი: დედა, მაშინ...

მარინა: ჭამე, ბესლან. არაფრის ახსნა არ არის საჭირო.

ბესლანი: მაშინ... ერთი გოგოსთვის მჭირდებოდა, მაგრამ მაინც არ მეყო.

მარინა: რა სისულელეებს ლაპარაკობ.

ბესლანი: მერე დავჭკვიანდი... დედა... მე ძალიან...

მარინა: დაწყნარდი, ბესლან!

ბესლანი: აი, ხედავ ბეჭედს?.. ჩემს ცოლს ირმა ჰქვია.

მარინა: ირმა.

ბესლანი: აი, მისი სურათიც. *(სურათს უწვდის. თან ჩანგალს დააგდებს, წამოხტება)*

მარინა: რა მოგივიდა?

ბესლანი: რაღაც ხმაა. *(ორივენი აყურადებენ)*

მარინა: არაფერია.

ბესლანი: მანქანა.

მარინა *(იცინის)*: ქართველების მანქანებმა მოუხშირეს კომანში სიარულს.

ბესლანი: ჯობს ნავში წავალ. მომეცი ტანსაცმელი, დედა.

მარინა: ჰო. *(ავტომობილი ახლოვდება)*

ბესლანი: თუ ჩემს საძებნელად არიან, მაშინვე მივხვდები. თუ არა, გადავიცვამ და უკან დავბრუნდები. *(ავტომობილი სახლს უახლოვდება და მოშორებით ჩერდება)*

მარინა: ჩაგვიარეს.

ბესლანი: იმათ არ იციან რომელ სახლში ვცხოვრობ... ჩუ... გაჩერდნენ... ტფუი!.. მე კი მეგონა გამოძინებას მაინც მოვასწრებდი. (*იცინის)*

მარინა: ეჭვი არ მეპარება, ახლავე დაბრუნდები, ბესლან.

(კარი ჩუმად იღება და ბესლანი გადის. სიჩუმე. მერე ავტომობილი ბრუნდება და სახლის წინ ჩერდება)

მარინა: მართალი იყო, მაინც აქ გაჩერდნენ. *(სახლის წინ რაღაც ხმები ისმის, მერე კარზე აკაკუნებენ)* დიახ! *(კარი იღება)* მამა!

მამა: ეს ხალხი ბესლანს ეძებს.

მარინა: ბესლანს? *(იცინის)* ბესლანს აქ რა უნდა?

მამა: მეც ზუსტად ასე გამეცინა. *(პაუზა)*

(სივრცის მიღმა)

ელენე: ერთხელ ჩემთან უცნობი ქალი მოვიდა, ბავშვით ხელში. ჩემთან დავტოვე — ბესლანის ცოლი აღმოჩნდა, ირმა, თავის პატარა ვაჟთან, ჯემალთან ერთად. თავად ბესლანი ცოცხალი აღარ იყო: პარტიზნად წასულიყო, აფხაზებისკენ გადასულიყო და ბრძოლაში დაღუპულიყო. საფლავების რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. ბესლანის სიკვდილი რომ გავიგე, მალე, დედაც გარდაიცვალა. მამაჩემი ჩემთან გადმოვიდა და ჩვენ უფრო დავახლოვდით. ლანას და ინგას იშვიათად ვხედავდი. ნათესავებთან აღარ ცხოვრობდნენ, კომანელები კი მათ არცთუ კარგად ახსენებდნენ. ერთხელ წერილი მოვიდა, მოკლე ცნობით, რომ დიმიტრი სოხუმის აღებისას უკვალოდ გაქრა. მერე გამოაცხადეს რომ ომი დამთავრდა. კაცები, რომლებიც იბრძოდნენ, ბრუნდებოდნენ. ზოგმა ძველებურად მეთევზეობას მიჰყო ხელი, ზოგიც ალიფაიასა და ოჩამჩირეში შოულობდა სამუშაოს. ზოგიერთი კი სულ აღარ დაბრუნდა. მათი სახელები ეკლესიის წინ აღმართულ დაფაზე ეწერა. დიმიტრის სახელიც მათ შორის იყო. მაგრამ, განა მე ეს დაფა მიშველიდა? ლანა ოჩამჩირეში გათხოვდა, დეიდა კლარა რომ გარდაიცვალა, ქმართან ერთად მისი ფარდული ჩაიბარა. ინგა კომანში ბავშვთან ერთად დაბრუნდა. ძალიან ლამაზი იყო და მთელი კომანის კაცები კუდში დასდევდნენ. უბედურება ის იყო, რომ ინგაც არავის ეუბნებოდა უარს. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ოჩამჩირეში გადავიდა ქარხანაში სამუშაოდ. პატარა ქალიშვილი კი, რომელიც ჩემს სახელს ატარებს, ჩემთან დატოვა. პატარა სახლი ვერ გვიტევდა ამდენ ხალხს, თანაც ძალიან ღარიბები ვიყავით. ნავები დალპა და უკვე არაფრად გამოდგებოდა. ნაწილები, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, მოვხსენით და გავყიდეთ. ნახევრად წყლით დაფარული ნარჩენები კი ნელ-ნელა ლპებოდა. უკვე ოთხმოც წელს მიღწეული მამაჩემი ცოტა ფულს ბადეების შეკეთებით შოულობდა. ირმა სახლს და ბავშვებს უვლიდა. მე კი კვლავ ჩემს ძველისძველ სამუშაოს ვასრულებდი — მარილს, ფარფლებსა და თევზის ნაწლავებს შორის განვაგრძობდი არსებობას. ამ საქმის ოსტატი ვიყავი, მაგრამ ჩემი გამომუშავებული ფული მაინც არ იყო ამდენი ხალხისთვის საკმარისი. კვირაობით ინგა, ზოგჯერ კი, ლანა და მისი ქმარიც ჩამოდიოდნენ, და ყველა ერთად რომ შეიყრებოდა, მთელი სახლი სიცილით, ყაყანითა და ბავშვების გნიასით ივსებოდა. ხანდახან ღვინის სმითაც ვიქცევდით თავს. მეც სხვებთან ერთად ვსვამდი და ვიცინოდი, თან კი გამუდმებით ვფიქრობდა ჯემალიზე, რომაზე, ბესლანსა და დიმიტრიზე, — ჯერ კიდევ ველოდებოდი ჩემს დიმიტრის. დროდადრო ხომ ისინიც ბრუნდებოდნენ, ვინც კარგა ხანია დაღუპულად ითვლებოდა და ვისი სახელებიც დიმიტრის გვერდით ეწერა მემორიალურ დაფაზე.

(ოთახში)

მამა: უკვალოდ გაქრა, მარინა, სულაც არ ნიშნავს, რომ დაიღუპა. გაიხსენე ვლადისლავ მირველიას ამბავი.

მარინა: მე მარტო დიმიტრი მახსენდება.

მამა: ალიკაც უკვალოდ დაიკარგა. უკვალოდ დაკარგვა ნიშნავს, რომ მის შესახებ არავინ არაფერი იცის. მირველიაზე მართლა არავინ არაფერი იცოდა და ომი რომ დამთავრდა, მაშინაც არ დაბრუნდა, არც წერილი გამოუგზავნია. ყველამ დაიჯერა, რომ მოკვდა. სინამდვილეში კი საღ-სალამათი ბრძანდებოდა და სამი წლის მერე ცოლითა და სამი შვილით დაბრუნდა გერმანიიდან.

მარინა: რატომ არაფერს იწერებოდა?

მამა: აბა, რა ვიცი? შეიძლება ცოლის მეტი აღარაფერი ანაღვლებდა. ან ფოსტა მუშაობდა გერმანიიდან აფხაზეთში ცუდად.

(სივრცის მიღმა)

ელენე: მერე დიდი სამშვიდობო შერიგება მოხდა. აფხაზებმა და ქართველებმა ისევ ერთად გადაწყვიტეს ყოფნა და ცხოვრება. ქართველები კოლონებით ბრუნდებოდნენ. გზები გაიხსნა. ცხოვრება ისევ გამოცოცხლდა აფხაზეთში. ომს აღარავინ იხსენებდა, და თუკი იხსენებდა, როგორც დიდ ჭირს და სახადს, რომელიც აუცილებლად უნდა მოეხადა ორივე მხარეს. ჩვენი სახლის უკან ერთი ადგილი იყო. იქ ვიდექი ხოლმე და დიმიტრის მოლოდინში გზას გავყურებდი.

აქედან კარგად ჩანდა ოჩამჩირედან მომავალი გზა, რომელიც გვერდს უვლიდა კომანს და ჩემი ადგილიდან არცთუ მოშორებით, მარჯვნივ, სწორი კუთხით ალიფაიასკენ უხვევდა. აქედან თავისუფლად შემეძლო მეჭვრიტა გზისა და მთელი ჩემი გავლილი ცხოვრებისათვის. ზუსტად აქ ვიდექი, წყლის პირას, პატარა ბესლანით ხელში, როცა ჯემალი უკანასკნელად გავიდა ზღვაში და თავი დამიქნია დამშვიდობებისას. მარჯვნივ ის ხიდი იყო, რომელზეც რომამ გამთენიისას თავი ჩამოიხრჩო. ოდესღაც აქ ჩემი შვილები, ახლა კი ჩემი შვილიშვილები თამაშობდნენ. აქ გაისმოდა თოლიების ხრინწიანი წივილი, რომელიც ფონივით გასდევდა მთელ ჩემს ცხოვრებას.

(ისმის თოლიების წივილი, რომელიც მთელი შემდგომი მოქმედების მანძილზე ხან მატულობს, ხანაც კლებულობს)

ერთ კვირადღეს სწორედ აქ ვიდექი, როცა დიდმა, გადახდილმა მანქანამ ჩამიქროლა. სწრაფად მიახლოვდებოდა თავისი რადიომუსიკით და ამ ხმაზე საშინელმა შფოთმა შემიპყრო...

(ისმის მოახლოებული მანქანის ხმაური, რომელშიც რადიომუსიკაა ჩართული)

როცა მანქანა გამისწორდა და მისგან წყლის ვიწრო ზოლიღა მყოფდა, შიგნით მჯდომმა ქალმა უცნაურად შემომხედა...

(ხმაური მიწყნარდება. დანარჩენი სივრცის მიღმა)

და მე ვიცანი ის...

(პაუზა)

ეს ელენე გოგოლაძემ ჩამიარა — მე კი რა ხანია დავიწყებული მყავდა. მაგრამ ამ ერთ წუთში ყველაფერი გამახსენდა. ეს მე თვითონ, მთელი ჩემი ცხოვრებით ჩავიქროლე საკუთარი თავის წინ. პატარა ბესლანი ნაპირზე დავსვი და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი წინ... მეჩვენებოდა, რომ უნდა გავფრენილიყავი ამ მანქანის კვალზე, თითქოს ყველაფერი მხოლოდ იმაზე იყო დამოკიდებული, დავეწეოდი თუ არა მას. ნაბიჯი გადადგმისთანავე წყალში გადავვარდი და ვიგრძენი, რომ ჩემს ირგვლივ წყალი მატულობდა — მევსებოდა პირი, ცხვირი, ყურები და თავბრუ მეხვეოდა. *(პაუზა)*

(ღია ცის ქვეშ)

 КОТИКО: დედა!

ДАТО: ელე! ელე, არ მოკვდე!!

ЕЛЕНА: რა მჭირს...

ДАТО: ცოტა ხანს იწექი ქვიშაზე, მერე შეზლონგზე გადაგიყვანთ.

ЕЛЕНА *(უაზროდ)*: ჰო, შეზლონგზე.

ДАТО: რა სულელურად მოგვივიდა ამ სიცხეში, პირდაპირ წყალში რომ შევვარდით. ელე, გესმის ჩემი?!

КОТИКО: დედა!

ЕЛЕНА: ვინ ხართ?

КОТИКО *(ჩუმად)*: ვინ ვართ?

ДАТО: ელე! დათო ვარ, კოტიკო, თიკო... ვერ გვცნობ?

ЕЛЕНА: თბილისი.

ДАТО: ჰო, საყვარელო!

ЕЛЕНА: ელენე გოგოლაძე!

КОТИКО: გაგახსენდა?

ЕЛЕНА: ახლავე უნდა წავიდე.

ДАТО: უნდა წახვიდე? სად?

ЕЛЕНА: კომანში.

КОТИКО: კი, როგორ არა. აბა, სხვაგან სად წახვალ?

ДАТО: ჯერ შეზლონგზე. და მერე სასტუმროში. აქ ოთახი უნდა ვიქირავოთ.

(სივრცის მიღმა)

ელენე: მეორე დღეს კვლავ ელენე გოგოლაძის გონზე მოვედი. ჩაბნელებულ ოთახში ვიწექი. დათო, კოტიკო და თიკო საბანაოდ წავიდნენ — მესმოდა როგორ მშორდებოდა მათი ხმები. ავდექი, ფარდებს შორის გავიხედე. პატარა სასტუმროს კიბესა და სანაპიროსაკენ მიმავალ გზას მზე აცხუნებდა. იქ ყანჩაველები მიაბიჯებდნენ — დათო, კოტიკო და თიკო, საბანაო კოსტუმებით და სამივენი მაღლები, გამხდრები. ჩემამდე აღწევდა თიკოს ოქროსფერი თმის ბრწყინვალება. უკან მოვაბრუნებდი, მაგრამ უკვე ძალიან შორს იყვნენ. ყოველი ნაბიჯით სულ უფრო მშორდებოდნენ. კაბინებს უკან რომ გაუჩინარდნენ, შიშისგან ცივმა ოფლმა დამასხა. თითქოს მთელი ჩემი ცხოვრება წავიდა ჩემგან და მის ზურგს უკან კაბინის კარების გასაღები გადატრიალდა. ჩავიცვი, სწორძირიანი ფეხსაცმელი შევარჩიე, გრძელ გზაზე სიარული რომ არ გამჭირვებოდა, სასტუმროდან გამოვედი და კომანისკენ მიმავალ გზას დავადექი. სიცხის მიუხედავად, სწრაფად მივაბიჯებდი და დანიშნულების ადგილამდე მისაღწევად საათიც კი არ დამჭირვებია. გადავედი თუ არა ხიდზე, დაბალი ქოხის კარი შევაღე და შევედი. ინგა სამზარეულოში, ქურასთან იდგა, მისი პატარა ქალიშვილი მარინა კი იატაკზე თამაშობდა.

(სამზარეულოში)

ელენე: ინგა!

ინგა: რა გნებავთ, ქალბატონო?

ელენე: მე მინდოდა... ინგა!

ინგა: ვინ ბრძანდებით?.. მე თქვენ არ გიცნობთ...

ელენე: შენ მე არ მიცნობ?.. *(პაუზა)* სამაგიეროდ, მე გიცნობთ თქვენ ყველას. ძალიან კარგად!

ინგა: ჩვენ ყველას?

ელენე: თითქოს ყველას ხმა მესმის: ლანასი, მარინასი, პატარა ჯემალის...

ინგა: დიახ, დღეს ყველანი აქ არიან.

ელენე: მარინა სადღაა?

ინგა: აგერ, სოფელს აშენებს. თუ ეს ციხე-კოშკი იქნება?

ელენე: არა, მე დიდ მარინას — დედაშენს ვგულისხმობ.

ინგა: დედაჩემს? იმას საიდანღა იცნობდით?

ელენე: ოოო, ეს ძალიან გრძელი ისტორიაა, ინგა... ძალიან დიდი ხანია ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ.

ინგა: დიდი ხანია?

ელენე: უკვე ძალიან დიდი ხანია.

ინგა: მარინა დიდ ოთახშია. შედით თუ გნებავთ...

ელენე: მადლობა.

ინგა: ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენ ალბათ ცოტათი ადრე უნდა მოსულიყავით!

ელენე: ალბათ.

(სივრცის მიღმა)

ელენე: ოთახის კარი გავაღე. ბნელოდა. ძლივს შევაჩვიე თვალი სიბნელეს და ნელ-ნელა გავარჩიე: დაბალ ხის ტახტზე ვიღაც იწვა და გულზე ხელები დაეკრიფა. ჰაერის მოძრაობამ მის ფეხებთან დანთებული ორი სანთელი შეარხია და მე ვიცანი მარინა... თუ ჩემი თავი... გული ყელში მომაწვა და საშინელი სისწრაფით ამიბაგუნდა. სწრაფად შევედი და კარი მივიხურე.

ჩვენ უკვე მარტონი ვიყავით:

მე და ის.

მარინა და მე.

მე და მე.

ორი მე!

მერაბ ღაღანიძე

ფრანც ვერფელი — პოეტი და რომანისტი

გერმანულენოვან მწერლობას ფართო გეოგრაფიული განფენილობა ჰქონდა და გასაკვირი არაა, რომ ამ ლიტერატურის ისტორიაში თავისი ადგილი აქვთ დამკვიდრებული პრაჰელებსაც, — იმ ქალაქის წარმომადგენლებს, რომელიც ერთ დროს „გერმანელი ხალხის საღმრთო რომის იმპერიის“ დედაქალაქიც იყო. პრაჰელი მწერლების განსაკუთრებული, არცთუ ჩვეულებრივი წვლილის დასადასტურებლად ფრანც კაფკასა და რაინერ მარია რილკეს სახელების დასახელებაც საკმარისად არის მიჩნეული, მაგრამ მათ გვერდით XX საუკუნის პირველ მესამედში ამ მრავალეროვან ქალაქში ბევრად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი სხვა გერმანულენოვანი მწერლებიც ცხოვრობდნენ, თუნდაც, გუსტავ მაირინკი ან მაქს ბროდი. მათ შორის იყო ფრანც ვერფელიც (1890-1945), რომელიც XIX საუკუნის მიწურულს დაიბადა პრაჰაში, მაგრამ რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას გარდაიცვალა არა მარტო პრაჰიდან, არამედ ცეცხლითა და კვამლით მოცული ევროპიდანაც შორს, — ამერიკის შეერთებულ შტატებში, ზღვისპირა კალიფორნიაში.

როცა უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურის მოყვარულებმა და, პირველ ყოვლისა, ვერფელის შემოქმედების პატივისმცემლებმა მწერლის რამდენიმე მრგვალი ან არამრგვალი თარიღი აღნიშნეს, აღმოაჩინეს, რომ მისი ოდინდელი, არცთუ მცირე პოპულარობიდან ახლა თითქოს ჩრდილიც აღარ დარჩენილა: მისი ნაწარმოებების სათაურებიც კი დავიწყებას მისცემია, მის წიგნებს მაღაზიებში ვეღარ გადააწყდებით, მის სახელს აღარ მოიხსენიებენ მონოგრაფიებსა და დისერტაციებში. თუმცა პოეტის ლექსების პირველ კრებულს თავის დროს რილკეც კი აღფრთოვანებული რეცენზიით გამოეხმაურა და ვერფელი კარგა ხანი ექსპრესიონისტული ლირიკის ფუძემდებლად იყო მიჩნეული.

ექსპრესიონიზმის ძლიერმა ტალღამ ლიტერატურასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში პირველი მსოფლიო ომის კატაკლიზმების შემდეგ, მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, მთელს ცივილიზებულ მსოფლიოს გადაუარა, და მათ შორის საქართველოსაც, — სამაგალითოდ, მარჯანიშვილისეული „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ და კონსტანტინე გამსახურდიას ადრეული ნოველების გახსენებაც კმარა, — მაგრამ დღეს ეს მიმდინარეობა მეტად გულგრილ ინტერესს იწვევს და მისმა წარმომადგენლებმა უმთავრესად სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიალექსიკონებში დაიმკვიდრეს ადგილი. ექსპრესიონისტული პოეზიის მემკვიდრეობიდან კი მომავალ თაობებს, ალბათ, მხოლოდ გოტფრიდ ბენის შემოქმედება თუ შემორჩება, რადგან ისტორიისა და ხელოვნების სამსჯავროზე მხოლოდ პოეტური მასალის სინჯს ენიჭება მნიშვნელობა და არა ბიოგრაფიულ ფაქტებს ან პოლიტიკურ ორიენტაციას. თორემ სხვამხრივ, დევნილ ებრაელ ვერფელს უფრო მეტი უფლება აქვს ადამიანურ თანაგრძნობასა და სოლიდარობაზე, ვიდრე პრენაცისტ და პრონაცისტ ბენს, რომელსაც ჰიტლერის მხარდასაჭერი მანიფესტი ჰქონდა დაბეჭდილი მაშინ, როცა ვერფელი საფრანგეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის გზებზე გესტაპოს საცეცეებს გაურბოდა. მართალია, შემდგომში მესამე რაიხის ტერიტორიაზე პროპაგანდის სამინისტრომ ორივე პოეტის ლექსები აკრძალა, მაგრამ, საბოლოოდ, ვერფელმა თავისი სიცოცხლე შორეულ ემიგრაციაში ისე დაამთავრა, რომ ერთი სტრიქონი არ ჩაუყენებია ძალადობისა და ტოტალიტარიზმის სამსახურში, ბენმა კი ომისშემდგომი ათწლეული, რომელიც მისი ცხოვრების უკანასკნელი ათი წელი აღმოჩნდა, დასავლეთ გერმანიაში, განმარტოებაში გაატარა და უარი თქვა დენაციფიკაციის კომისიის წინაშე წარმდგარიყო, რათა განტევების სიგელი მიეღო. თუმცა ნაციონალ-სოციალიზმიც, ბოლშევიზმისა და ფაშიზმის დარად, წარმავალი და ხანმოკლე აღმოჩნდა, ბენის ლექსები კი მსოფლიო პოეტური მემკვიდრეობის მარადიულ ფასეულობებს მიეკუთვნება, — როგორც პიკასოს ხელოვნება (მიუხედავად იმისა, რომ იგი კომუნისტი იყო) ან როგორც ეზრა პაუნდის პოეზია (თუნდაც ფაშიზმისადმი მისი უპირობო მხარდაჭერის გათვალისწინებით). ვერფელის შემოქმედება, ავტორის ღირსეული ცხოვრებისა და შინაგანი ინტენსიურობის მიუხედავად, მსოფლიო კულტურის ამგვარ მწვერვალებს შორის არ მოიხსენიება, — როგორც ცნობილია, პატიოსანი ცხოვრება და დიდი ხელოვნება სხვადასხვა განზომილებაში ხორციელდება და მეტად იშვიათად კვეთს ერთმანეთს.

* * *

მდიდარი და მართლმორწმუნე ებრაელების, ვერფელების ოჯახს პირველი და ერთადერთი ვაჟი — ფრანც ვიქტორი 1890 წლის შემოდგომის იმ მღელვარე დღეებში შეეძინა, 10 სექტემბერს, როცა პრაჰაში ისეთი წყალდიდობა იყო, რომ ცნობილი კარლოსის ხიდიც კი დააზიანა, მაგრამ შემდგომში პრაჰაში კარგა ხნით სიმშვიდემ დაისადგურა და ჭაბუკმა ფრანცმა იქაური სკოლა-გიმნაზიებიც წვალებ-წვალებით, დიდი ცოდვა-მადლის გაკითხვით, ბოლოს და ბოლოს მაინც დაამთავრა, თუმცა მას ერთი-ორჯერ კლასში ჩარჩენამაც კი მოუწია. მალე იგი იქაური დრამატული თუ საოპერო სპექტაკლების ვნებიანი მაყურებელი და მსმენელი გახდა, და, ამავე დროს, არცთუ მთლად სოლიდურ ღამის დაწესებულებათა ხშირი სტუმარიც, რომელთა ნაკლებობა პრაჰაში არასოდეს იგრძნობოდა. ამდენად, ჭაბუკი უხვად საზრდოობდა მომხიბლავი ქალაქის ინტელექტუალური, კულტურული თუ ხორციელი ცხოვრების უხვი ნაყოფიერებით.

1910-იანი წლების დასაწყისში, ახალგაზრდა პოეტისა და, ამავე დროს, პრაჰის გერმანელ მწერალთა ცნობილი მანიფესტის ავტორის პირველ წიგნს — 1911 წელს გამოქვეყნებულ ლექსების კრებულს „სამყაროს მეგობარს“ — უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად. ფრანც ვერფელის სახელი ცნობილი გახდა ავსტრია-უნგრეთისა თუ გერმანიის ლიტერატურულ და ლიტერატურის მახლობელ წრეებში...

მაგრამ სულ მალე სარაევოში საბედისწერო გასროლას — ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობას — მოჰყვა არა მარტო პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც მეტ-ნაკლებად მყარი ევროპული წესრიგისაგან ნასახიც აღარ დატოვა, არამედ მრავალსაუკუნოვან იმპერიათა მსხვრევაც — ავსტრო-უნგრეთის, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიები ნამტვრევებად დაიშალა, პრუსიის იმპერია კი უდღეურ ვაიმარის რესპუბლიკად გამოცხადდა. მსოფლიოს რევოლუციებისა და ტოტალიტარულ რეჟიმთა სისხლიანმა ქარიშხალმა გადაუარა, მაგრამ ეს შემდგომ... მანამდე კი სამხედრო სამსახურში გაწვეული და ფეხში დაჭრილი ვერფელი პრაჰის ჰრადჩანის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც იგი შემთხვევით შეხვდა ნედელეკ ჩაბრინოვიჩს — სარაევული თავდასხმის ერთ-ერთ მონაწილეს, რაც მწერალმა მისტიკურ მინიშნებად მიიღო; ამ შემთხვევითმა შეხვედრამ იგი ღრმად ჩააფიქრა იმ უპასუხო კითხვაზე, თუ რა გავლენა შეუძლია მოახდინოს ერთეულ ადამიანს ისტორიის მსვლელობაზე, ისტორიის განვითარებაზე.

თუ პრაჰული ჰოსპიტლის დერეფანში ამ საეპოქო ტერორისტისათვის თვალის მოკვრამ მას ხანგრძლივი განსჯისა და ერთი კარგი მოთხრობის დაწერის საბაბი მისცა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, პროდუქტიული და გარდამტეხი აღმოჩნდა ორიოდ წლის შემდგომი ერთი შეხვედრა — ის დღე, როცა შტეფან ცვაიგმა და ჰუგო ფონ ჰოფმანსტალმა იგი ცნობილი ვენური სალონის დიასახლისს, ალმა შინდლერს წარუდგინეს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ვერფელს უთქვამს: „ალმა რომ არ გამეცნო, შესაძლოა ორმოციოდე რიგიანი ლექსი დამეწერა და სულ ეს იქნებოდა ჩემი შემოქმედებაო“. როცა ახალგაზრდა პოეტი მასზე თერთმეტი წლით უფროს ამ უჩვეულო ქალს შეხვდა, იგი XX საუკუნის მუსიკის ერთ-ერთი უმთავრესი მესაფუძვლის, გუსტავ მალერის ქვრივი, XX საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვრის, ოსკარ კოკოშკას სატრფო და XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქიტექტორის, ვალტერ გროპიუსის მეუღლე იყო. ალმა და ფრანცი ოფიციალურად თორმეტი წლის შემდეგ დაქორწინდნენ, მაგრამ მათი გაცნობიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ მათ საერთო შვილი შეეძინათ. ლამაზმა, ძლიერმა და წარმტაცმა ალმამ არა მარტო შემოქმედებითად შემოაბრუნა ვერფელი, — მეუღლის გავლენით, პოეტი ქრისტიანად მოინათლა, რის შემდეგაც მის ნაწარმოებებში მეტად შესამჩნევი გახდა კათოლიკური მოტივები (აღსანიშნავია ისიც, რომ მალერის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ადრიდანვე შესამჩნევი ქრისტიანული სწრაფვის მიუხედავად, აღდგომის სიმფონიის ავტორმა სწორედ ალმასთან დაქორწინების შემდეგ მიატოვა ებრაული თემი, შეუერთდა კათოლიკე ეკლესიას და თავისი გრანდიოზული მერვე სიმფონია სულიწმიდის მომხმობი სიტყვებით დაიწყო და წმიდა ქალწული მარიამის განმდიდებელი ათასხმიანი გუნდით დაასრულა). როგორც ამბობენ, ალმა პირდაპირ აიძულებდა ვერფელს, არ მოშორებოდა საწერ მაგიდას; მესამე ქმარი ნიჭიერებით აშკარად ჩამორჩებოდა მის პირველ და მეორე გენიალურ ქმრებს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, 55 წლის ასაკში გარდაცვლილი მწერლის მემკვიდრეობა, ლექსების კრებულების გარდა, მრავალ რომანს, ნოველას, დრამასა და ესეის მოიცავს. ვერფელის შემოქმედების მცოდნეებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მის ნაწარმოებებში მრავალჯერ განმეორებული, გამჭოლი სახე, — სახე უფროსი, ასაკოვანი ქალისა, რომელსაც გაგების, დახმარებისა და თანადგომის

დიდი უნარი აღმოაჩნდება ხოლმე. მწერლის ბიოგრაფები ამ მოტივის ასახსნელად მის ჩეხ ძიძას, მორწმუნე კათოლიკე ქალს, ბარბარას იხსენებენ, რომლის ხსოვნა მწერალმა თავისი ერთი რომანის სათაურშიც აღბეჭდა; ფსიქოანალიტიკოსები, როგორც ყოველთვის, სახელგანთქმული ვენელი ექიმის, ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებას მოიხმობენ ხოლმე; თუმცა დასავიწყებელი არაა, რომ მწერლის გვერდით თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში მოუშორებლად იდგა ნიჭიერი, მტკიცე, ვნებიანი ალმა, რომელსაც, — რაც უნდა პარადოქსად ჟღერდეს! — შესაძლოა, უფრო მყარი ადგილი აქვს მოპოვებული XX საუკუნის პირველი ნახევრის კულტურის ისტორიაში, ვიდრე მის უკანასკნელ ქმარს — პოეტსა და რომანისტს, ფრანც ვერფელს.

* * *

ვერფელის შემოქმედება თემატურადაც და გეოგრაფიულადაც მეტად მრავალფეროვანია. მის ნაწარმოებებში სხვადასხვა ეპოქა და სხვადასხვა ქვეყანაა არეკლილი. იგი უკვე ბიოგრაფიულადაც იყო მზად, კოსმოპოლიტი გამხდარიყო, — დაიბადა რამდენიმეენოვან, რამდენიმეკულტუროსან პრაჰაში, გარდაიცვალა ჩვენი პლანეტის ბაბილონში — ამერიკაში, მაგრამ მისი პიროვნული და ინტელექტუალური ჩამოყალიბება მრავალეროვნულ და კულტურულად მეტად განვითარებულ ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში განხორციელდა (ჰაბსბურგების იმპერიის ინტელექტუალურ გარემოს, იქაურ ებრაელთა კულტურულ მისიასა და მათ კოსმოპოლიტურ განწყობებს განსაკუთრებული სიღრმითა და სიზუსტით, შიგნიდან აღწერს ვერფელის ახლო მეგობარი შტეფან ცვაიგი თავის სიკვდილისწინა მოგონებების წიგნში — „გუშინდელი სამყარო“). ვერფელის საუკეთესო რომანი „მუსა-დაგის 40 დღე“ 1915 წელს თურქეთში დატრიალებულ უბედურებას — სომეხთა მასობრივ ამოჟლეტას — აღწერს; მისი ცნობილი, თითქმის ყველა ენაზე თარგმნილი „ვერდი“ დიდი იტალიელი კომპოზიტორის ცხოვრებას ეძღვნება და მის შესახებ საუკეთესო ბიოგრაფიულ რომანად რჩება; „პავლე იუდეველთა შორის“ წარმართთა მოციქულის მარტოობას აღწერს თანამოძმეთა შორის; კათოლიკური მოტივებით გამსჭვალული „სიმღერა ბერნადეტას შესახებ“ იმ ფრანგი გოგონას ცხოვრების გადმოცემაა, რომელსაც ლურდში წმიდა ქალწული მარიამი გამოეცხადა; ესპანეთიდან გამომგზავრების, უფრო ზუსტად, გამოქცევის შემდეგ მწერალი წერს შესანიშნავ ნოველას იქაური სამოქალაქო ომისა და დამარცხებულთა დახვრეტის შესახებ; სიცოცხლის მიწურულს კი იგი მუშაობს ვრცელ უტოპიურ რომანზე — „უშობელთა ვარსკვლავი“, რომლის მოქმედება არღვევს ჩვეულებრივი დროისა და სივრცის საზღვრებს... ვერფელის ეს უკანასკნელი ნაწარმოები მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

ბუნებრივია, მწერლის შემოქმედებაში ხშირად ჩანს პრაჰა. ერთხელ მწერალმა თქვა კიდეც: „პრაჰა – ბანგით დათრობაა, ესაა ცხოვრების *ფატა მორგანა*“. მაგრამ ევროპიდან ლტოლვილ მწერალს სიცოცხლის უკანასკნელი წლების გატარება ოკეანის გადაღმა, ამერიკაში, მოუხდა...

ფრანც ვერფელი 1945 წლის 25 აგვისტოს ბევერლი ჰილზში გარდაიცვალა, თუმცა შემდგომ, გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ, იგი ვენაში გადაასვენეს.

* * *

1945 წლის აგვისტოში, კალიფორნიულ ფეისიფიქ ფელისეიდში თომას მანი „დოქტორ ფაუსტუსის“ თავებს წერდა, როცა მეზობელი სანტა მონიკადან მას ძველისძველი მეგობარი, ალმა ვერფელი ეწვია და სთხოვა, მისი მომაკვდავი ქმარი მოენახულებინა. მკაცრ და უკარება, მაგრამ, ამავე დროს, გულჩვილ თომას მანს საწოლში თვალებანთებული ვერფელი დახვდა, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე ხელახლა გადაეკითხა „ბუდენბროკები“ და ახლა მოხუც კოლეგასა და ყველაზე დიდ გერმანელ რომანისტს ამ სიტყვებით შეეგება: „მიჭირს დავიჯერო, რომ ჩემს წინ *ბუდენბროკების* ავტორი დგასო“.

თომას მანი იგონებს, რომ მათი შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გარდაცვლილი მეგობრის დაკრძალვაზე, მეტად თვალშისაცემი იყო ალმას არყოფნა. მალერისა და ახლა უკვე ვერფელის ქვრივს განუცხადებია, რომ მას, საერთოდ, არ უყვარდა სამგლოვიარო ცერემონიებზე დასწრება...

ზელიმხან უძილაური

აზრთამთხვევის უფსკრულნი
(ხატი ანუ სარკმელი რელიგიის კონტექსტუალური მრავალფეროვნებისაკენ)

ვაჟასთან — ამ მრავალმხრივ, უნივერსალურ მოაზროვნესთან ზოგიერთი მოტივი ახლადამოყლორტილი დარჩა. ასეთია მაგალითად, ღვთაებრივი ღირებულების დაკარგვა „უიღბლო იღბლიანში“. ორმოცდათოთხმეტი წელი ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ შემოქმედებით სთველს მოესწრო.

ვაჟას გენიის მომწიფებაში პეტერბურგულ ლექციებს უსათუოდ არამცირე წვლილი მიუძღვის. რასაკვირველია, ვაჟას ეყო დრო, რომ იმდროინდელი მსოფლიო შემეცნების ნატეხები თავისი მუზის ქურაში გადაედნო. ვაჟას დრო არ დაჰკლებია. დროს დააკლდა ვაჟა. რომ წაეკითხა ვაჟას მაგალითად, Durkheim-ის Les formes elementaires de la vie religieuse, 1912, ეს მას ვერაფერს შესძენდა, რადგან ცოდნა, რომელსაც დურკჰაიმის წიგნი მოიცავს, მას ისედაც ჰქონდა. დურკჰაიმის წიგნი ვაჟას ცოდნას ამოატივტივებდა, მუზას უბიძგებდა. ვაჟა ერთ თავის ეთნოგრაფიულ წერილში წაწლობის სოციალურ საფუძვლებსაც ეძიებს. ე. ი. სოციოლოგია არა მხოლოდ ლატენტური უნარია მისი ცნობიერებისათვის, არამედ ფაქტიური მეცნიერება, რომელიც იღვწის. ვაჟას „ბერიძე გაუტეხელს“ თარიღად 1911 ადგას (მზის შუქივით). საკრალურის, საკრო-სანკტურის ამ პატარა ბიბლიაში ჩანს დიდი პოტენცია თემის განვრცობისა. იგივე თარიღი ადგას შვედი რელიგიოლოგის Nathan Söderblom-ის „Holiness“-ს. შემოქმედებითი იდეები კოსმიური მტვერივით მიმოეფინება დედამიწას. ერთსა და იმავე თემას, ერთსა და იმავე დროს, თითქმის ერთნაირად, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა კუთხით აშუქებენ სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედნი, მხატვრული და მეცნიერული შემოქმედების ვარსკვლავნი, კორიფენი. თითქოსდა იდეების სამყარო იდეების ცთომილი იყოს, რომელიც ცარგვალზე ტრიალებს მთვარესავით და აგზავნის სხივთ პირის საბანად დედამიწური წყაროებისაკენ. და უფსკრულებისაკენ.

თუ დურკჰაიმი საკრალურ ფენომენს სოციოლოგიურ სათავეს უძებნის, ნათან ზოდერბლომი რელიგიის ფენომენოლოგიურ არეალში იღვწის. მისი სტატია Holiness, — Enziklopedia of Religion and Ethiks, 1912, — არის ერთგვარი ფარდობითობის თეორია რელიგიის შემსწავლელი მეცნიერებებისათვის (უიმისოდ ვერ დაიბადებოდა Rudolf Otto-ს Das Heilige,1917, საკრალურისადმი მიძღვნილი ეს უდიდესი ქმნილება).

ასევე, 1911 წელს დაიბადნენ და მომდევნო წელს გამოქვეყნდნენ:

Der Ursprung der Gottesidee, Wilhelm Schmidt-ის წიგნი, ეთნოგრაფია;

La Religione primitiva in Sardegna, Raffaele Petazzoni, რელიგიის ისტორიის სფერო;

Wandlungen und Symbole der Libido, Carl Gustav Jung, რელიგიის ფსიქოლოგია;

ამრიგად, ჩვენ გვაქვს რელიგიის სოციოლოგიური, ეთნოლოგიური, რელიგიის ისტორიული, ფსიქოლოგიური და ფენომენოლოგიური შესწავლის წელი — მწვერვალი; შვედური, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და იტალიური „ბერიძე გაუტეხელნი“.

თუ წავიკითხავთ ან თუნდაც თვალს შევავლებთ და მერე ერთმანეთს შევუდარებთ ზემოთ დასახელებულ ქმნილებებს, ასაკით ტოლებს, 911-იანებს, მაშინ გასაოცარი უფსკრულის წინაშე აღმოვჩნდებით, წინაშე ამოუვსები, შეუცნობი აზრთამთხვევის უფსკრულებისა.

08.IX.2003.

P.S. მაშინ ვფიქრობდი და აღარ მივაწერე, აქ რა მოსატანი იყო: ჩემი დედ-მამაც 1911 წელს ჩაისახნენ და მომდევნო წელს დაიბადნენ. ჩემთვის ესაც მნიშვნელოვანია ანუ სიმბოლური. თანაც უბრალოდ აუცილებელი, რათა ოდესმე დავმდგარიყავი „წინაშე ამოუვსები, შეუცნობი აზრთამთხვევის უფსკრულებისა“.

29.XII.2009.

რუდოლფ ოტო და მისი წმინდა წიგნი

რუდოლფ ოტოს წმინდა წიგნი, Das Heilige, 1917, დღემდე გამოცემულია დაახლოებით ასჯერ. მისი გავლენა რელიგიის შემსწავლელ მეცნიერებებსა და ზოგადად ჰუმანიტარულ „კანონზე“ 80-იან წლებამდე განუზომლად დიდი იყო (თუნდაც თეოლოგ თილიხიდან დაწყებული, ელიადეს გავლით კარლ გუსტავ იუნგამდე!..), მერე ეს გავლენა და ზეგავლენა შენელდა. რამდენადაც ვიცით, ქართულ ერუდიციას და სულიერებას „დას ჰაილიგე“ სრულიად ასცდა, ალბათ ერთეულებმა მოგვიანებით შეიტყვეს რაღაც მისი არსებობის თაობაზე, მაგრამ ტექსტი, კონტექსტუალური ინფორმაცია და ა. შ. ჯერაც არ ჩანს. ოტოს ჯერ ჩვენთან ნამდვილი სიცოცხლე არ დაუწყია; და ახლა იქნებ სამუდამოდ დაგვიანებულიც კია, თანაც არც ისე ჩვენი სფეროა ეს ნუმინოზური... მაგრამ მაინც ვცდით, ერთხელაც ვცდით, ამ შემოქმედებითი წვისათვის ძალიან მიუცილებელი წიგნის „გადმოქართულებას“, სულ მცირედი, ინფორმაციული შესავლის სახით მაინც.

ვინ არის რუდოლფ ოტო, რა არის ოტოს HEILIGE-ს გაარსებითებული ზედსართავი?

Rudolf Otto: 1869-1937, სისტემატური თეოლოგი, ინდოლოგი, რელიგიის ფილოსოფოსი, ინტერრელიგიური დიალოგის დიდოსტატი, სულიერ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ისტორიაში შევიდა წიგნით „წმინდა“, რომელიც მან საკრალურ ფენომენს მიუძღვნა; საბოლოოდ ამ წიგნმა დაუმკვიდრა მას რელიგიის პირველხარისხოვანი მცოდნის, ფენომენოლოგიური რელიგიისმცოდნეობის კლასიკოსის და უაღრესად გავლენიანი, თანაც საკამათო მოაზროვნის სტატუსი.

ოტოსთვის „წმინდა რამ“ ანუ „Das Heilige“ არის რელიგიური გამოცდილების ძირითადი კატეგორია, ცნება და ნიშანი. ქვესათაური წიგნისა წიგნის მიზანდასახულებაზე მიგვანიშნებს: „იდეა-ღმერთში ირაციონალურის შესახებ და მის დამოკიდებულებაზე რაციონალურთან“ — Über das Irrationale in der Idee des Göttlichen und sein Verhältnis zum Rationalen.

რელიგიური გამოცდილება არაა განსიტყვებადი, ენის ურთიერთგამმიჯნავი ცნებებით გამოხატვადი, არამედ იგი ენობრივი გამოხატვის იქით, სადღაც შორს და მიღმაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რელიგიური გამოცდილება რაციონალურს აღემატება, მაგრამ იგი არაა ანტირაციონალური. ობიექტი, საგანი (Gegenstand) სიწმინდისა არის ნუმინოზური, Das numinöse; ნუმინოზური მოიცავს ჩვენს ჩვეულ წარმოდგენას სიწმინდის შესახებ, ოღონდ ეთიკური და რაციონალური მომენტების გამოკლებით. ნუმინოზური არის სრულიად sui generis, „თავისთავადი მოდგმის“, იგი მხოლოდ განსჯადია, არადეფინირებადი — „nicht definibel, sondern nur erörterbar..“

ქრისტიანული დასავლეთისათვის „წმინდა რამ“ იყო ყოველთვის summum bonum და ens rationale, ე. ი. ჯამი სიკეთისა და გონიერი მყოფი. მაგრამ თავიდან და სინამდვილეში იგი არცერთი არაა, ყოველ შემთხვევაში, არსებითად არცერთი არაა — ასე გრძნობს, გვეუბნება და შთაგვაგონებს ჩვენი ავტორი; აქ განგებ ვამბობთ ოტოს მისამართით შთაგვაგონებს და არა გვასწავლის, ვინაიდან „ნუმინოზური სწავლადი კი არა, შთაგონებადია“.

როგორც კი საკრალურ ფენომენს განვიხილავთ ამ ორი ელემენტის გარეშე, — იგულისხმება ეთიკური და რაციონალური, — აი მაშინ ვიწყებთ აღმოჩენას და აღმოვაჩენთ რელიგიის გულთაგულს, დვრიტას, რელიგიის ძირითად მასულდგმულებელს და ბირთვს (გერმ. Kern). ამ დროს გამოჩნდება, აჩვენებს თავს განსაკუთრებული განცდის, — ვთქვათ გერმანულად, — განსაკუთრებული „erlebnis“-ის ნიმუში და განსაკუთრებული, შესაბამისი საქციელი ადამიანისა. ამ უჩვეულო განცდისა და საქციელის განსასაზღვრავად მოიხმობს ოტო შლაიერმახისეულ „სრული დამოკიდებულების“ — Schlechthinniger Abhängikeit გრძნობას და აღწერს მას, როგორც შექმნილის, ქმნილების, კრეატურის გრძნობას. თვითონ Das Heilige ანუ წმინდა, რომელიც ადამიანის ამგვარ რეაქციებს ბადებს, შეიძლება დახასიათდეს, როგორც Misterium Tremendum. ეს „საიდუმლო კრთომისა“ განასახიერებს „სულ სხვას“, თავს აჩენს ადამიანთან მიმართებაში, როგორც „სულ სხვა რამ“, გერმანულად — Das ganz Andere.

„სულ სხვა რამ“ ადამიანის მიერ აღიქმება როგორც მასთან, ანუ ადამიანთან სრულიად დაპირისპირებული არსების სახება. და ეს უცხო და უცნაურად განსხვავებულ-დაპირისპირებული არსება (გამო)იწვევს შიშს, კანკალს, კრთომას და „დიდ შიშს“ — Ehrfuhrcht-ს.

Das Heilige ცნაურდება, აღიქმება და შემოდის ქმედებაში — აგრეთვე როგორც Misterium

Faszinans — საიდუმლოს ფასცინაციური მიმზიდველობით. იგი აღარასოდეს უშვებს ადამიანს თავის გზაზე, იჭერს და იპყრობს ადამიანს, შემდეგ იგია „დაჭერილი“, Ergriffen (შეად. ქართული საკრალური ტერმინოლოგიის „დაჭერილი“; „ხატის მონა“, და მსგავსი). ის, ვინც წმინდას შეხვდება, ნეტარია, — beseligt.

აქ რომ მცირეოდენი პაუზა გამოვთხოვოთ ოტოს აჩრდილს და ვეცადოთ საკრალურის ამ ორმხრივობის, ე. ი. საშინელი და მიმზიდველი მხარეების დღევანდელი ტერმინოლოგიითა და რელიგიის, — არა რელიგიური, — გამოცდილებით კონსტატირებას, მივიღებთ რელიგიის ამბივალენტურობას, ავკარგიანობასა და ე.წ. „საკრალურ ძალადობას“. sacer ლათინურში ერთდროულად ნიშნავდა „წმინდასაც“ და „დაწყევლილსაც“. ასევე შეიძლება ითქვას, რომ მთის ჯვარ-ხატთა საკრალურ ენაში შეფარული „მიზეზი“ დაწყევლის ტოლფასია და მადლ-რისხვიანი ანუ ამბივალენტური საკრალურის „საშინელებითი“ მხარის გამოვლინებაა...

აქვე უნდა დავასრულოთ ოტოს წიგნზე ჩვენი პირველი ინფორმაციული ნაკადი. საკითხავია, რამდენად გავიგეთ რისი თქმა სურს ოტოს ან რას ვამბობთ მის შესახებ? რას გვამცნობს ნუმინოზური? საკრალურის, ნუმინოზურის ოტოსეული აღწერა ფენომენოლოგიურია. რელიგიის ფენომენოლოგიის მეთოდი კი, თვით ფენომენოლოგთა მიერ განიმარტება როგორც Kunst, ხელოვნება. მაშასადამე, ოტოსეულ შემოქმედებას გავიგებთ თუ არა, ეს ჩვენს შემოქმედებით და ინტუიციურ მონაცემებზე ყოფილა დამოკიდებული.

და აი, მივადექით მთავარ სათქმელსაც: „დას ჰაილიგე“ შეუძლია გაიგოს, ვისაც იგი თვითონაც გამოუცდია. ერთობ პარადოქსული მოთხოვნაა; რუდოლფ ოტო თავისი მკითხველის მიმართ მეტისმეტად მკაცრი და ნუმინოზური ჩანს, როდესაც იგი III თავის დასაწყისშივე, — მას შემდეგ, რაც იგი I და II თავებში „რაციონალურსა და ირაციონალურს“ და „ნუმინოზურს“ დაგვაახლოებს, ურჩევს მკითხველს, თუკი მას ნუმინოზური მომენტი არასოდეს ჰქონია, წიგნის კითხვას თავი გაანებოს. (იხ. გვ.8.1.: „Wir forden auf, sich einen Moment starker und möglichst einseitiger religiöser Erregtheit zu besinnen... Wer das nicht kann oder wer solche Momente überhaupt nicht hat, ist gebeten, nicht weiter zu lesen“.

ძნელი სათქმელია, მივაღწიეთ თუ არა ოტოს გაგების მწვერვალამდე, — იქნებ შორიდან მაინც შევავლეთ თვალი მას, — ახლა კი გვინდა ამ მწვერვალიდან დავეშვათ ქვევით და დავიწყოთ „საკრალურის“ სადაგი და ჩვეულებრივი ანუ პროფანული განხილვა.

რასაკვირველია, ოტო როგორც აკადემიური მოაზროვნე იმდენად მიამიტი ვერ იქნებოდა, რომ ფენომენოლოგიის შემოქმედებითი მეთოდის ანუ ნუმინოზურის პიროვნული გამოცდილების ანაბარა დარჩენილიყო: იგი თავის ფენომენოლოგიურ მცდელობებს ფილოსოფიურად ასაბუთებს და ასაძირკვლებს. ოტო უკავშირებს თავის არგუმენტაციას კანტს (ოტომ ჯერ კიდევ 1909 წ. გამოაქვეყნა რელიგიის ფილოსოფიის სახელმძღვანელო Kantisch-Fries'sche Religionsphilosophie). Das Heilige არის შეჯამებული a priori. ისევე, როგორც იდეები აბსოლუტურის, სრულყოფილების და მსგავსი გრძნობის ორგანოებშია მოცემული და ისინი გამოცდილებით კი არ ისწავლება, მსგავსადვე ნუმინოზურის განცდა ადამიანის სულშია მოცემული, შეიძლება ითქვას, ჩაფესვილი. ადამიანი, როგორც ჩანს, ნუმინოზურის განსაცდელადაა მოწყობილი, მას აქვს უნარი, რელიგიურ შთაბეჭდილებას მიეცეს, ადამიანისათვის რელიგიური სწრაფვა თანდაყოლილი თვისებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ და ერთ პატარა ციტატასაც დავესესხოთ „ჰაილიგეს“ შემქმნელს, „რელიგიური განცდა მარადიულ, ხანგრძლივ კავშირში და გადაჯაჭვულობაშია სხვა, მონათესავე განცდებთან. ნუმინოზურ გამოცდილებასთან, როგორც ინკომენსურაბელურ, სულ სხვა რამ გამოცდილებასთან, საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა დაკავშირება განცდათა ნათესაობისა და სქემატიზირების გარეშე. ისეთი ცნებები, კატეგორიები და პრინციპები, როგორიცაა ზემოთდასახელებული აბსოლუტურობა, სიკეთე ან ყოვლისშემძლეობა, აკავშირებენ ნუმინოზურს ჩვენს ფიქრსა და აზროვნებასთან, ისინი ნუმინოზურის სქემატიზირების შესაძლებლობას იძლევიან. მხოლოდ სქემატიზირების გზითაა შესაძლებელი საკრალურის აპრიორული ღირებულების დანახვა და მისი დახასიათება. — დახასიათება აქ ნიშნავს ნუმინოზურის ელემენტებზე საუბარს...“ ნუმინოზურის ელემენტებზე ოტო ვრცლად საუბრობს.

მიზანი, რომლის მიღწევასაც ოტო ამგვარი არგუმენტაციით ცდილობს, აშკარაა: ოტოს სურს რელიგიური განცდა, გრძნობა და გამოცდილება (ერთად: Erlebnis) წარმოაჩინოს, როგორც sui generis ე.ი. თავისთავად ღირებული, თავისთავად ვარგისი, საკუთარი ადგილის მქონე და არა

ევოლუციის შედეგი, სოციალური კუჭისმოქმედების თუ ხალხთა ფსიქოლოგიის ნამუშევარი. ოტო მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ებრძოდა მატერიალისტურ იზმებს: დარვინიზმს, დურკჰაიმიზმს, მარქსიზმს, ვუნდტიზმს და განსაკუთრებით ამ უკანასკნელს...

ოტოსთვის რელიგია ისტორიული, სოციალურ-ევოლუციონური და სხვა მსგავსი ფენომენი კი არაა, არამედ იგი ადამიანის სულიერ საფუძველში, ასე ვთქვათ გულისგულში, სულისსულშია დავანებული.

ოტომ თავისი დიდი მიზნის განსახორციელებლად არა იოლი, თეოლოგიური სპეკულაციის გზა აირჩია, არამედ ნამდვილი სულის წვა და შემეცნებითი რეფლექსია, რაც მის მცდელობას კაცობრიობის შემოქმედებით ისტორიაში სრულიად გამორჩეულ ორიგინალურობას ანიჭებს.

7.III.2006.

P. S. მგონი 11 წელიწადი მაინც იქნება, რაც ოტო აღმოვაჩინე რელიგიისმცოდნეობის წიაღში, ვისაუბრე კიდევაც მის შესახებ; ჯერ ბატონ ზურაბ კიკნაძის, მერე ქ-ნ ნაირა გელაშვილის მიერ დათმობილ იქნა მოხსენებისათვის აუდიტორია, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შევძელი ამ არაორდინალური მოაზროვნის მეცნიერულ-მისტიკური დიმენსიების წვდომა და გადმოქართულება. „დას ჰეილიგეც“ მათვე ვაჩუქე და მეგონა, ვინმე ჩემზე „ნუმინოზური“ გამოჩნდებოდა, გამოაჩენდა თვითონ ნუმინოზური სწრაფვა და ამ სულიერ დანაკლისს ქართული სააზროვნო სივრცე აინაზღაურებდა. ლოდინიც ამაო გამოდგა. ამიტომ ბოდიშის მოხდით და სინანულის განცდით დაკარგული დროის გამო, ვიწყებ ბ-ნ ზურაბ კიკნაძისადმი ოდესღაც მიცემული პირობის შესრულებას და ვცდილობ ოტოს რეციპირებას. სულ არარაობას და უოტოობას ისევ ჩემეული ოტტო სჯობდეს იქნებ.

12.III.2010.

თამარ ჯაყელი

რენე გენონის დიდი ტრიადა

ჩვენ კი თავად, მათეულს საკუთრად
მივიჩნევთ, რადგან ყველაფერი ღვთისაგანაა.

კლიმენტი ალექსანდრიელი

რენე გენონი ამ საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. ვერც კლასიკურმა სწავლა-განათლებამ და ვერც კათოლიკურმა ეკლესიამ მისი სულიერ-ინტელექტუალური მოთხოვნილებები ვერ დააკმაყოფილა. ამიტომაც სწავლის დასრულების შემდეგ გენონი ჩაება ნეოსპირიტუალისტურ მოძრაობაში, რომელიც იმხანად სულ ახალ-ახალი მიმართულებებით იფურჩქნებოდა. მან ბევრი ორგანიზაცია მოიარა და თითქმის ყველგან უმაღლეს ხარისხებს მიაღწია. მაგრამ შემდეგ დარწმუნდა ამ ორგანიზაციათა სიყალბეში და 1909 წელს ჩამოშორდა ნეოსპირიტუალისტურ მოძრაობას. ამის შემდეგ გენონის პიროვნებაში მოხდა რადიკალური გარდატეხა, რაც აისახა კიდეც მის ნაწერებში. როგორც შემდეგში გაარკვიეს მისმა ბიოგრაფებმა, გენონი დამოწაფებია აღმოსავლურ ტრადიციათა ნამდვილ[1] წარმომადგენლებს, რომელთაც ფრანგი მოღვაწე აზიარეს ტრადიციულ ჭეშმარიტებებს. აღმოსავლურ ტრადიციებში ჩაღრმავებამ გენონს აღმოაჩენინა ქრისტიანული ტრადიციის ის სიღრმეები, რომლებიც მანამდე მისთვის დაფარული რჩებოდა. იგი მიხვდა, რომ თუკი ქრისტიანობამ თავის დროზე მისი მოთხოვნილებები ვერ დააკმაყოფილა, ამის მიზეზი იყო არა ტრადიცია, არამედ ამ ტრადიციის დღევანდელი მესვეურნი, რომლებიც თავიანთი სულიერ-ინტელექტუალური შებოჭილობის გამო უკიდურესად ზღუდავენ და აკნინებენ ქრისტიანულ სწავლებას. შეიძლება ითქვას, რომ გენონის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის ტრადიციული ჭეშმარიტებების იმ არსობრივ ასპექტთა გამოვლენა, რომლებიც მხედველობის არედან დაეკარგათ არა მხოლოდ თანამედროვე მატერიალისტური ცივილიზაციის წარმომადგენლებს, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ ცივილიზაციას არც ააშენებდნენ, არამედ თვით ქრისტიანული ტრადიციის წარმომადგენლებსაც. სულ უფრო და უფრო მძიმე შედეგები მოაქვს იმ ფაქტს, რომ დაიმარხა და მიუწვდომელი გახდა ის არსობრივი ცოდნა, რომელსაც ფლობდა ქრისტიანული ტრადიციის სულიერ-ინტელექტუალური ელიტა (მხედველობაში გვყავს ეკლესიის წმინდა მამები). ახლანდელ ღვთისმსახურთა დიდ ნაწილს არ ესმის ან არ უნდა გაიგოს, რომ მძლავრი აღმადგინებელი ძალა აქვს სწორედ იმ სულიერ-ინტელექტუალურ ცოდნას, რომელსაც ეს ელიტა ფლობდა. მართლაც, პავლე მოციქული „ჩვილებს“ უწოდებს იმ მორწმუნეებს, რომლებიც ასეთ ცოდნას არ ფლობენ. სიჩვილე სხვა არაფერია, თუ არა უსუსურება. სხვა არის „ჩვილის“ ძალა და სულ სხვაა ძალა „სრულისა“, რომელზეც გადმოსულია „ჭეშმარიტების სული“. მაგრამ რაციონალური ცოდნის შიშით მღვდელმსახურები ზერაციონალურ ცოდნასაც უარყოფენ და აღარც მიელტვიან მის მოპოვებას. ასეთი მღვდელმსახურები ისევე ახშობენ წმინდა მამათა ხმას, როგორც ფარისევლები ახშობდნენ წინასწარმეტყველთა ხმას. იმედს გამოვთქვამთ, რომ სამღვდელოების შეგნებული ნაწილი ამ პრობლემას აცნობიერებს და ზრუნავს იმისთვის, რომ ეკლესიის წიაღში კვლავ წარმოიშვას მაღალი შეგნების ელიტა, რომელიც შეძლებს „საწოვარას“ ნაცვლად განმაახლებელი ცოდნა, ანუ „მაგარი საკვები“ მიაწოდოს მათ, ვინც მოწოდებულია მის მისაღებად, ვინც, კლიმენტი ალექსანდრიელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რწმენიდან მოსულნი, გზახსნილნი არიან ცოდნისკენ“. უამისოდ, ეკლესია კარგავს თავის საუკეთესო შვილებს, რომლებიც ქმედებაში მოიყვანდნენ მის დამარხულ შესაძლებლობებს. ეს კი ხელს შეუწყობდა ნამდვილი სულიერების აღორძინებას, რის გარეშეც დღევანდელობაში ვეღარაფერი გადაურჩება ნგრევისა და რღვევის საყოველთაო პროცესს. არსობრივი ტრადიციული ჭეშმარიტებების გამოსავლენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია თეორიული მსჯელობის ფარგლებში, რ. გენონი თავის ნაშრომთა ერთ ნაწილს უძღვნის მისთვის ნაცნობ ტრადიციულ მოძღვრებათა გაშუქებას. სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის წიგნი „დიდი ტრიადა“, სადაც ავტორი განიხილავს ჩინურ ტრადიციაში „დიდი ტრია-

დის“ სახელით ცნობილი სამეულის სიმბოლურ მნიშვნელობებს. შეუძლებელია ერთი სტატიის ფარგლებში გადმოვცეთ ამ წიგნში განხილული ყველა საკითხი თუ ასპექტი, ამიტომაც ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ მთავარ საკითხებს, რომელთა გაშუქება გამოავლენს „დიდი ტრიადის“ ძირითად შინაარსს. ამ სამეულს, ისევე როგორც საერთოდ ყველა საკითხს, გენონი განიხილავს ტრადიციულ მოძღვრებათა შუქზე.

ამდენად, პირველ რიგში საჭიროა განიმარტოს „ტრადიციის“ გენონისეული გაგება.

ღვთის სიტყვის გამოცხადება, რომელიც ებოძებოდა მიწიერ კაცობრიობას თავისი არსებობის დასაბამს, უნდა განსხეულებულიყო სიმბოლოებში, რათა შესაძლებელი გამხდარიყო გამოცხადების ჟამს შინაგანი ჭვრეტით მიღებული ცოდნის შენახვა და თაობებისთვის გადაცემა. გენონი „ტრადიციას“ უწოდებს სწორედ ამ დასაბამიერი გამოცხადების სიმბოლურ განსხეულებას. ამ თვალსაზრისით, ტრადიცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი კიდობანი, რომელსაც საუკუნიდან საუკუნეში გადააქვს საუკუნეთა უწინდელი ჭეშმარიტებები. დასაბამიერ ტრადიციას კაცობრიობის ბედი უნდა გაეზიარებინა: როგორც ადამის შთამომავლები განშტოვდნენ და სხვადასხვა ხალხებად ჩამოყალიბდნენ, ასევე თავდაპირველი ტრადიცია ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტრადიციულ ფორმებად. ამის მიზეზია ქმნადობის მუდმივცვალებადი გარემოებები. თავდაპირველი ტრადიცია თავისი გარეგნული ფორმით უნდა მისადაგებოდა დროის, სივრცის თუ მენტალობის კონკრეტულ პირობებს, რათა მის არსს დაუმახინჯებლად გამოევლო საუკუნეები და ეპოქები.

გენონისთვის თავდაპირველი ტრადიციის სიმბოლოებში განსხეულება წარმოადგენს ერთგვარ წინასახეს ქრისტეს განსხეულებისა, ქრისტეს ხორცით მოვლენა კი არის დასაბამიერი ტრადიციის და მისგან მომდინარე ყველა ტრადიციული ფორმის დაგვირგვინება. ასე რომ, გენონი ქრისტიანობასა და ძველისძველ ტრადიციებს შორის ისეთივე არსობრივ კავშირს ხედავს, როგორიც არსებობს ახალ აღთქმასა და ძველ აღთქმას შორის. ასეთი თვალთახედვით ნათელი ხდება ახალი აღთქმის „კათოლიკე“, ანუ უნივერსალური ხასიათი: ის თავის არსში სინთეზურად მოიცავს ყველა ჭეშმარიტებას, რომელიც დასაბამიდან დღემდე შემოუნახავს უხსოვარი დროიდან მომდინარე ტრადიციულ მოძღვრებებს.[2]

სანამ მთავარ თემას შევეხებოდეთ, ყურადღებას შევაჩერებთ ერთ საჭირბოროტო საკითხზე. ჩვენს ეპოქაში, თანამედროვე მატერიალისტური ცივილიზაციის მეშვეობით, უკვე ყოველგან აღწევს ის გამთიშველი და დამშლელი ძალები, რომლებიც ემტერებიან ტრადიციულ სულს. ეს ბუნებრივია, რადგან ტრადიციული სული არის ის ძალა, რომელიც წარმავალს წარუვალთან აერთიანებს, გარეგანს — შინაგანთან, რღვევადს — ურღვევთან. ამ მხრივ, ტრადიცია ფერდობზე გაშენებულ მცენარეულ საფარს ჰგავს: როგორც ეს უკანასკნელი იცავს ნიადაგს წალეკვისგან, ისევე იცავს ტრადიცია მიწიერ არსებობას გაქარწყლებისგან. ამდენად, ის „ცივი ომი“, რომელსაც თანამედროვე სული უკვე მსოფლიო მასშტაბით აწარმოებს ტრადიციული შეგნების წინააღმდეგ (რასაც ხშირად თვით ტრადიციის წარმომადგენლებიც ვერ აცნობიერებენ), სხვა არაფერია, თუ არა მომასწავებელი ნიშანი იმისა, რომ მიწიერი კაცობრიობა საბოლოო დაშლა-რღვევისკენ მიექანება. ამ საყოველთაო რღვევის პირობებში, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, კათოლიკე ეკლესიას ევალება ამოქმედდეს ამ პროცესის საპირისპიროდ. სწორედ მან უნდა იღვაწოს იმ საერთო არსის გამოსავლენად, რომელიც ტრადიციათა სიღრმეებში იფარება, რათა ჭეშმარიტების სულში გაერთიანდეს ყველაფერი, რაც თავისი არსით მას ეკუთვნის. სწორედ არსის დაკარგვა მხედველობის არედან იწვევს „ენათა აღრევას“, სეპარატულობას, დაქსაქსულობას, დაშლას და დაპირისპირებას. მართლაც, პავლე მოციქულს რომ არ შეეცნო იუდეველობის სიღრმისეული არსი, გადაულახავი კედელი აღიმართებოდა ახალ აღთქმასა და ძველ აღთქმას შორის. მან თავისი არსობრივი ცოდნის საფუძველზე შეძლო ერთმანეთთან შეერიგებინა გარეგნული ფორმით თითქოს შეურიგებელი იუდაიზმი და ქრისტიანობა, რადგან ის წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება ფორმებში წარმოიშვას, არსში უქმდება. სწორედ სიღრმისეულ არსს ჭვრეტდა მოციქული, როცა მან ნამდვილ იუდეველებად და აბრაამის ჭეშმარიტ მემკვიდრეებად გამოაცხადა არა „ხორცში“ წინადაცვეთილნი, არამედ წინადაცვეთილნი „სულში“: „იუდეველია ის, ვინც დაფარულად არის, და წინადაცვეთილია ის, რაც გულით არის, სულში და არა ასოში“ (რომ.2,29). იუდეველობის არსობრივ სიღრმეში ერთიანდება იუდეველი და ქრისტიანი, იქ ხორციელდება ამ ორი ტრადიციული ფორმის სინთეზი. ასეთ არსისეულ სინთეზს გულისხმობს

ჯვრის ყოვლისშემრიგებლური მნიშვნელობა: „რათა მისი მეშვეობით შემოერიგებინა ყოველი, დაემშვიდებინა მისი ჯვრის სისხლით, დედამიწაზე თუ ზეცაში“ (კოლ.1,20). ბევრ წმინდა მოღვაწეს ჯვრის შემრიგებლური ძალა მოქმედებაში მოჰყავდა სწორედ არსობრივ ჭეშმარიტებათა განჭვრეტის ძალით. ასე მოიქცა, მაგალითად, კლიმენტი ალექსანდრიელი, როცა ქრისტე ახალ ორფეოსად გამოაცხადა, რაც ნიშნავს იმას, რომ მან განჭვრიტა ორფიკული ტრადიციის და ქრისტიანობის არსობრივი ერთიანობა. მსგავს შეგნებასა და ცოდნას ამჟღავნებდნენ ათონსა და სხვა სულიერ კერებში მოღვაწე ბერები, რომლებიც წმინდა წერილთან ერთად იწერდნენ და მომავალ თაობებს უნახავდნენ ჰომეროსის პოემებსა თუ ანტიკური ხანის სხვა შედევრებს. ამ წმინდა მოღვაწეთა დღევანდელი მემკვიდრეები კი ლამის ყველაფერს, რაც თავისი გარეგნული ფორმით მართლმადიდებლობას არ ეკუთვნის, „სატანის ქმნილებად“ აცხადებენ და არ ესმით, რომ მსგავსი მიდგომით ისინი ერთი ნიშნის ქვეშ აყენებენ როგორც ყალბ, ისე ნამდვილ ფასეულობებს, ერთმანეთისგან რომ ვერ გაურჩევიათ თავისივე ახლომხედველობის გამო. ასეთი „მართლმადიდებლები“ უნებურ სამსახურს უწევენ იმ ბნელ, დამანგრეველ ძალებს, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ თავის არსს ჩამოაცილონ ყველაფერი, — თვით ადამიანიც, — რათა ყოველივე გაქარწყლდეს და განადგურდეს. არადა, განა „ახალი აღთქმის“ შვილებს არ უნდა ევალებოდეთ ტრადიციულ ცივილიზაციათა შინაგან-არსობრივი არხების გახსნა, რათა კაცობრიული მოღვაწეობის დაფარულ სიღრმეებში საყოველთაოდ ამოქმედდეს „ჭეშმარიტების სულის“ გამაერთიანებელი და განმაახლებელი ძალა? ამის ნაცვლად, ისინი ამ ღვთაებრივ ძალას საკუთარი ხედვის ვიწრო და დახშული ჰორიზონტით ბოჭავენ, თანაც ამ ძალისავე ფლობით თავი მოსწონთ. უპირატესობით იკვეხნიდნენ ფარისეველნიც, მაგრამ ძვირად დაუჯდათ ეს კვეხნა...

აუცილებელია შეინიშნოს, რომ, მიუხედავად ტრადიციათა არსობრივი ერთიანობისა, რენე გენონი დაუშვებლად მიიჩნევს ტრადიციულ ფორმათა ურთიერთაღრევას. ცალკეული ტრადიციული ფორმა, როგორც ცალკეული გზა, ინდივიდუალურია და არა უნივერსალური. უნივერსალური ის საერთო საწყისია, რომელიც ფორმათა მიღმა დგას. ასე რომ, ვინც ფორმათა ურთიერთაღრევას მოინდომებს, ის ხელოვნურად შეადუღებს ერთმანეთთან შინაგანად დაუკავშირებელ ელემენტებს და მიაღწევს არა რაიმე სინთეზს, არამედ სინკრეტიზმს, რაც ყოველთვის ხელოვნური ხასიათისაა და, უკეთეს შემთხვევაში, ჩიხისკენ მიმართული.

ყოველი ტრადიციის გულისგულს მეტაფიზიკური მოძღვრება წარმოადგენს. მეტაფიზიკის, ასე ვთქვათ, „საგანი“ არის უნივერსალური რანგის საწყისები. მეტაფიზიკური ცოდნა გულისხმობს რეალობის იმ სფეროების ცოდნას, რომელიც არსებობის, ყოფიერების მიღმაა. ამდენად, მეტაფიზიკური ცოდნა არის ზეადამიანური და ზეინდივიდუალური ცოდნა, რომლის მოპოვება შეუძლებელია რაიმე ადამიანური უნარით. ამ აზრს ეხმიანება პავლე მოციქულის სიტყვები: „რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისა არავინ არაფერი იცის, გარდა ღვთის სულისა“ (I კორ.2,11).

თეოლოგიაში ღვთაებრივი სული, ღვთაებრივი გონება არის ის ტრანსცენდენტური უნარი, რომლითაც ადამიანს შეუძლია მაღალი რანგის ჭეშმარიტებათა შეცნობა. ამ უნარს გენონი უწოდებს ინტელექტუალურ ინტუიციას, რამდენადაც იგი უშუალოდ მოქმედებს, პირდაპირ წვდება „ობიექტს“. ინტელექტუალურ ინტუიციაში სუბიექტი და ობიექტი ისე ერთვის ერთმანეთს, რომ მათ შორის სხვაობა ქრება. ეს უნარი ცოდნის მოხვეჭის საშუალებაცაა და, იმავდროულად, თვით ცოდნაც. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა სახის ცოდნაზეა აქ ლაპარაკი, ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ მოვიყვანთ მჭვრეტელობითი ცხოვრების მიმდევრის სიტყვებს: „ეს უნარი მთლიანად ნათელი ხდება და ერწყმის, შეურევნელად შეერთვის მას, რასაც ხედავს. როცა თავის თავს ხედავს, ნათელს ხედავს, როცა ჭვრეტს ხილვის ობიექტს, ისევ ნათელს ხედავს, როცა ჭვრეტს საშუალებას, რომლითაც შეიცნობს, ისევ და ისევ ნათელს ხედავს. ეს არის ერთობა“ (გრიგოლ პალამა).

როგორც ვხედავთ, შეცნობა, რომელსაც ერთობა მოაქვს, გულისხმობს სუბიექტისა და ობიექტის ერთგვარ იდენტიფიკაციას. ცხადია, ინტელექტუალურ ინტუიციას არაფერი აქვს საერთო იმ უნართან, რომელსაც თანამედროვე ფილოსოფოსები და ნეოსპირიტუალისტები ინტუიციას უწოდებენ. ეს უკანასკნელი გრძნობადი ინტუიციაა, რომელიც ქვერაციონალურია. მისთვის მისაწვდომია არა მაღალი რანგის რეალობები, არამედ ცვალებადი, წარმავალი სა-

მყაროს უმცირესი ნაწილი. ინტელექტუალური ინტუიცია კი ზერაციონალურია (და არავითარ შემთხვევაში — ირაციონალური). იგი მოიცავს რაციონალურ აზროვნებას და აღემატება მას.

ჩვენ ვთქვით, რომ მეტაფიზიკა არის ტრადიციის შუაგული. დავაზუსტებთ, რომ მოძღვრება შეიძლება პირწმინდად მეტაფიზიკური იყოს. ასეთ შემთხვევაში ინტელექტუალობა, ანუ სულიერება მოცემულია სავსებით დაწმენდილად. მაგრამ ინტელექტუალობა შეიძლება შეერწყას მგრძნობელობით ელემენტს. მაშინ მოძღვრება იქნება თეოლოგიური. თეოლოგია მგრძნობელობითი სამოსით მოსავს მეტაფიზიკურ ჭეშმარიტებებს, რათა ისინი მისაწვდომი გახადოს იმ ხალხების მენტალიტეტისთვის, რომელთა ბუნებაში მგრძნობელობა ჭარბობს გონიერებას. მგრძნობელობა განეკუთვნება ინდივიდუალურ სფეროს, იგი ფარდობითია და აქციდენტური და მასთან შერწყმისას, ბუნებრივია, მეტაფიზიკური რანგის ჭეშმარიტებათა უნივერსალურობა გარკვეულწილად იკარგება. ინტელექტისგან განსხვავებით, რომელიც ერთია, მგრძნობელობა მრავალნაირია, ამიტომ ის ტრადიციული ფორმები, რომლებიც მგრძნობელობას ითვალისწინებენ, უნდა მიესადაგონ მის მოდალობებს, ცვალებადთ რასებისა და ეპოქების მიხედვით. სწორედ ეს განაპირობებს რელიგიურ ფორმათა ნაირგვარობას. გენონი რელიგიურს უწოდებს მხოლოდ იმ ტრადიციებს, რომელთა შუაგულს ქმნის არა მეტაფიზიკური, არამედ თეოლოგიური ხასიათის მოძღვრება. იგი იმასაც შენიშნავს, რომ არსებობს ისეთი ტრადიციები, რომლებიც შეიცავენ ორმაგ ასპექტს: მეტაფიზიკურს და რელიგიურს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ქრისტიანული ტრადიცია, რომელიც გარეგანი ასპექტით რელიგიურია და ყველასათვის განკუთვნილი, ხოლო შინაგანი, ანუ ეზოთერული ასპექტით მეტაფიზიკურია და განკუთვნილი მხოლოდ მცირეთათვის. მართლაც, პავლე მოციქული განარჩევს „ჩვილთა“ საკვებს და „სრულთა“ საკვებს. ეს უკანასკნელი სულიერად ჩვილისათვის ვნების მომტანია. ამიტომაც მეტაფიზიკური რანგის ცოდნა ფარულსწავლების გზით გადაეცემოდათ „სრულებს“: „ინიშნე, რომ რაც კი ზეაღმატებულია და მრავალთა სმენაზე უზემოესი ღვთისმეტყველებისა თუ თავად ცხოველმყოფელი ღვთის განგებულების თაობაზე, ფარულად გადასცეს საღვთო მოციქულებმა, საიდუმლოებითად გაუცხადეს რა სრულებს.“ (მაქსიმე აღმსარებელი, გზა სამეუფო, 1995, 1, გვ.26, თარგმანი ედ. ჭელიძისა).

იმისათვის, რომ მეტ-ნაკლები სრულყოფით გავაშუქოთ დიდი ტრიადის სიმბოლური მნიშვნელობა, აუცილებელია ზოგად ხაზებში მაინც მოვხაზოთ მეტაფიზიკური მოძღვრება არსების მდგომარეობათა შესახებ.

მეტაფიზიკური მოძღვრების თანახმად, არსებობს რეალობის სხვადასხვა სფეროები. ერთ სფეროს შეადგენს არსებობა. არსებობას მეტაფიზიკური მოძღვრება უწოდებს უნივერსალურ მანიფესტაციას. უნივერსალური მანიფესტაცია შეიცავს სამყაროთა განუსაზღვრელ წყებას, რომელთაგან ერთ-ერთი არის მიწიერი სამყარო. მანიფესტაციის ყოველი სამყარო შეიცავს მოდალობათა განუსაზღვრელ სიმრავლეს. მაგალითად, სხეულებრივი სამყარო მიწიერი სამყაროს ერთ-ერთი მოდალობაა. მოდალობას განსაზღვრავს არსებობის გარკვეულ პირობათა ერთობლიობა. სხეულებრივი მოდალობის განმსაზღვრელია არსებობის ისეთ პირობათა ერთობლიობა, როგორიცაა ფორმა, დრო, სივრცე. ამ სამიდან ერთი პირობაც რომ მოვხსნათ, მაგალითად, დრო, მაშინ საქმე გვექნება უკვე სხვა, სხეულისგარე მოდალობასთან, რომლის წარმოდგენაც შეუძლებელია მათთვის, ვინც სხეულებრივი მოდალობის პირობებს ექვემდებარება.

მოდალობათა ანალოგიურად, მანიფესტაციის ყოველ სამყაროს განსაზღვრავს არსებობის გარკვეულ პირობათა ერთობლიობა. ამ სამყაროებს მეტაფიზიკა უწოდებს არსებობის მდგომარეობებს (თეოლოგიაში ამ მდგომარეობებს შეესატყვისება ანგელოზთა დასები და, აგრეთვე, პლანეტარული ზეცები). არსებობის მდგომარეობები იყოფა ორ ძირითად წყებად: ინდივიდუალური მდგომარეობები და ზეინდივიდუალური მდგომარეობები. ინდივიდუალურს ეკუთვნის ის მდგომარეობები, რომელთა განმსაზღვრელ პირობებში აუცილებლად შედის ფორმა. ზეინდივიდუალურ მდგომარეობათა დამახასიათებელი ნიშანი კი ის არის, რომ მათ განმსაზღვრელ პირობათა ერთობლიობაში არ შედის არსებობის ისეთი პირობა, როგორიცაა ფორმა.

ამრიგად, ზეინდივიდუალური მდგომარეობები არის ფორმის არმქონე, ანუ, ასე ვთქვათ, „გამოუსახველი“ მდგომარეობები. ისინი განეკუთვნებიან სულიერი მანიფესტაციის სფეროს. ინდივიდუალური მდგომარეობები კი ფორმის მქონე, ანუ „გამოსახული“ მდგომარეობებია, რომლებიც მიეკუთვნებიან სუბტილური, ანუ მშვინვიერი მანიფესტაციის სფეროს. ცხადია,

მიწიერი სამყარო მანიფესტაციის ერთ-ერთ ინდივიდუალურ მდგომარეობას წარმოადგენს. ბიბლიურ სიმბოლიზმში სულიერი და მშვინვიერი მანიფესტაციის ორ სფეროს შესატყვისება „ზედა წყლები“ და „ქვედა წყლები“, რომლებიც ღმერთმა ერთმანეთისგან გაჰყარა (დაბ.1,6-7). წყალი, ტრადიციულ სიმბოლიზმში, გამოხატავს პოტენციურ შესაძლებლობებს. „ზედა წყლები“ აღნიშნავს იმ პოტენციურ შესაძლებლობებს, რომელთა რეალიზაცია ხორციელდება სულიერი მანიფესტაციის სფეროში, „ქვედა წყლები“ კი იმათ, რომლებიც ღვთის სულის ზემოქმედებით გამოვლინდებიან მშვინვიერი მანიფესტაციის სფეროში. რაც შეეხება „გაყრამდელ“ წყალს, იგი გამოხატავს უნივერსალური მანიფესტაციის შესაძლებლობათა მთლიანობას. ინდივიდუალურ და ზეინდივიდუალურ მდგომარეობათა ერთობლიობა ქმნის უნივერსალურ მანიფესტაციას. მანიფესტაციის მიღმა არის არა-მანიფესტაციის სფერო, რომელსაც განეკუთვნება არსება. არსება არის მთელი მანიფესტაციის საწყისი. იგი თავისთავში სინთეზურად შეიცავს ყველა იმ შესაძლებლობას, რომელიც გამოვლენილია არსებობაში, ოღონდ, ცხადია, ამ შესაძლებლობებს იგი შეიცავს გამოუვლენელი მოდუსით, ანუ საწყისისეულ მდგომარეობაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, არსებობა ანუ მანიფესტაცია არის იმ შესაძლებლობათა რეალიზება გამოვლენილი მოდუსით, რომელთაც არსება შეიცავს გამოუვლენელი მოდუსით.

გარდა გამოვლენილი და გამოუვლენელი შესაძლებლობებისა, არის კიდევ გამოუვლენადი შესაძლებლობები, ანუ ისეთები, რომელთაც არა აქვთ ბუნებაში გამოვლენის უნარი. მათი მთლიანობა ქმნის გამოუვლენად მდგომარეობებს, რომლებიც ასევე განეკუთვნებიან არა-მანიფესტაციის სფეროს. დიონისე არეოპაგელის ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ეს მდგომარეობები განეკუთვნებიან „ზეარსულ“ სფეროს. არსება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიცავს გამოვლენად შესაძლებლობებს, ზეარსება კი მოიცავს როგორც გამოვლენად, ისე გამოუვლენად შესაძლებლობათა მთლიანობას. იგი — მთელი რეალობის უზენაესი საწყისია. ეს ზეარსული საწყისი რომ არ იყო ქრისტიანული მოძღვრებისთვის უცხო, ამას მოწმობს არეოპაგელის თხზულებები. ამ საწყისს იგი უწოდებს „ყოველი დასაბამის ზეარსულად ზედასაბამიერ დასაბამს“, სხვაგან კი მის შესახებ ამბობს: „ზეარსი არსება, გონება უგონებო, და სიტყვა ვერსათქმელი, უსიტყვოება, უგონებობა და უსახელობა, არცერთი არსისებრ არმყოფი და ყველასათვის არსებობის მიზეზი, ხოლო იგივე „არარსი“, როგორც მიღმიერი ყველა არსებისა“. (გზა სამეუფო, 1995, 1, გვ.8).

ოდნავ გამარტივებულად თუ გამოვიყენებთ ტრადიციულ გეომეტრიულ სიმბოლიზმს, შეიძლება მანიფესტაციისა და არა-მანიფესტაციის მდგომარეობები წარმოვადგინოთ ვერტიკალურად განლაგებულ პარალელურ სიბრტყეთა წყებით. სიბრტყეები გამოხატავენ მდგომარეობებს ანუ სამყაროებს. თითოეული სამყარო, როგორც უკვე შევნიშნეთ, შედგება განუსაზღვრელი სიმრავლის მოდალობებისგან, ისევე როგორც განუსაზღვრელი სიმრავლის არსებებისგან. გეომეტრიულ სიმბოლიზმში მოდალობებს გამოხატავს სიბრტყეთა განივი წრფეები, არსებებს — სიგრძივი წრფეები. გადაკვეთის თითოეული წერტილი აღნიშნავს ერთი არსების ერთ მოდალობას.

იმ შესაბამისობის კანონით, რომელიც არსებობს ნაწილსა და მთელს შორის, სიბრტყეთა სქემა შეიძლება განვიხილოთ არა მაკროკოსმიური, არამედ მიკროკოსმიური თვალსაზრისით, ანუ ეს სქემა შეიძლება მივუსადაგოთ მხოლოდ ერთი არსების მდგომარეობებს. მართლაც, ფუნდამენტური მეტაფიზიკური ჭეშმარიტებაა, რომ ყოველ არსებას აქვს მდგომარეობათა განუსაზღვრელი სიმრავლე. გამოვყოთ ერთი სიბრტყე: თუ მას განვიხილავთ მაკროკოსმოსური თვალსაზრისით, მაშინ იგი წარმოადგენს ერთ მთლიან სამყაროს, ვთქვათ — მიწიერს. მიწიერება არის ტოტალური, უსასრულო შესაძლებლობის ერთ-ერთი კერძო შესაძლებლობა, რომლის ინტეგრალური, მთლიანი გაშლა-განვითარება შეადგენს მიწიერ სამყაროს. თუ ამ სიბრტყეს განვიხილავთ მიკროკოსმოსური თვალსაზრისთ, მაშინ იგი წარმოადგენს იმავე შესაძლებლობების გაშლა-განვითარებას, ოღონდ მხოლოდ ერთ არსებაში. ეს იქნება მიწიერი კაცი, რომელსაც პავლე მოციქული „მშვინვიერ კაცს“ უწოდებს. ამას ვაზუსტებთ იმისთვის, რომ მიწიერი კაცი არ გავაიგივოთ ხორციელ, სხეულებრივ კაცთან. ხორციელება თუ სხეულებრიობა მიწიერი, მშვინვიერი კაცის ერთ-ერთი მოდალობაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მშვინვიერების ერთ-ერთი მოდალობა არის სხეულებრიობა, ხორციელება. მეტაფიზიკა მიწიერ კაცს უწოდებს ადამიანურ ინდივიდუალობას, რომელიც, ვიმეორებთ, შეადგენს არსების ერთ-ერთ მდგომარეობას.

ამრიგად, თითოეული მაკროკოსმოსი და მიკროკოსმოსი წარმოადგენს მთელი ქმნილების ერთ ელემენტს, ისევე როგორც თითოეული კერძო შესაძლებლობა წარმოადგენს ტოტალური შესაძლებლობის ერთ ელემენტს. ისე რომ, ერთის მხრივ, ქმნილების თითოეული ნაწილი ერთმანეთის ანალოგიურია და, მეორეს მხრივ, ყოველი ნაწილი მთელის ანალოგიურია. სწორედ შესაბამისობის ამ კანონს ეფუძნება ტრადიციული სიმბოლიზმი.

შევნიშნავთ, რომ მანიფესტაციის და მისი პირველსაწყისის ურთიერთმიმართებას გეომეტრიულ სიმბოლიზმში გამოხატავს ცენტრი და წრეხაზი. წრეხაზი მანიფესტაციის სიმბოლოა (იგი შეიძლება მიესადაგოს მანიფესტაციის ერთ-ერთ სამყაროსაც), ცენტრი კი — არსების. არ არსებობს წრეხაზი ცენტრის გარეშე, ცენტრი კი წრეხაზისგან დამოუკიდებელია. ცენტრი თავის თავში სინთეზურად შეიცავს ყველა იმ წერტილს, რომელიც მისი გამოსხივებისას წრეხაზზე განლაგდება. წრეხაზზე განლაგებული წერტილები განიხილება, როგორც ცენტრიდან გამომავალი სხივების დაბოლოებები. ისინი გამოხატავენ გამოვლენილ შესაძლებლობებს. ამრიგად, ცენტრი არის საწყისი წრეხაზისა, რომელსაც რეალობა მისი გამოსხივებით ენიჭება. უკვე რეალიზებულ წრეხაზთან მიმართებაში ცენტრი აღნიშნავს პირველსაწყისის მოქმედებას მანიფესტაციის შუაგულში. წრის ბრუნვა ცენტრის გარშემო გამოხატავს ქმნადობას, მანიფესტაციის მსვლელობას. მას „შიგნიდან“ მართავს ღვთაებრივი საწყისი ისე, რომ თვითონ უცვალებელი რჩება. იგი აღძრავს, მაგრამ თვითონ არ არის აღძრული. ჩინურ ტრადიციას ასეთი მოქმედების აღსანიშნავად აქვს ერთი ტერმინი: „უმოქმედო ქმედება“. იგი იმავე აზრს გამოხატავს, რასაც არისტოტელეს „უძრავი ძრავა“. ტრადიციულ სიმბოლიზმში უძრავ ძრავას განასახიერებს ბორბლის ცენტრი, რომლის უძრაობაც შესაძლებელს ხდის მთლიანი ბორბლის მოძრაობას. ეს სიმბოლიკა გამოხატავს აზრს, რომ ცვალებადობა, ქმნადობა თავის თავშივე არ ატარებს თვითკმარ მიზეზს. მისი საწყისი ცვალებადობის მიღმა დგას. ამიტომ ამბობს ლაო-ძი: „ისეთი არაფერია ქვეყნად: უმოქმედობა რომ არ იქმოდეს“ (დაო-დე-ძინი,112).

ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ შევნიშნავთ, რომ წრე და ცენტრი, ისევე როგორც მათთან უშუალოდ დაკავშირებული ბორბალი ერთ-ერთი იმ სიმბოლოთაგანია, რომელიც, გენონის რწმუნებით, დასაბამიერი ტრადიციიდან უნდა მომდინარეობდეს, რადგან იგი ყველა ტრადიციულ ფორმაში გვხვდება. ცხადია, იგი არც ჩინური ტრადიციისთვის არის უცხო:

ოცდაათი მანა ერთ მორგვზე ბრუნავს,
მაგრამ ბორბლის არსს
მორგვში მოქცეული სიცარიელე ქმნის.
(დაო-დე-ძინი, გვ.183)

სიცარიელე — არაარსის სიმბოლოა. იგი წარმოადგენს უნივერსალურ უცვალებელ შუაგულს, რომელიც თავისი უმოქმედო ქმედებით განაგებს სამყაროთა მოწესრიგებულ წრებრუნვას.

რეალობის ყველა სფერო, ყველა სამყარო, რომელთაც ზემოთ წარმოდგენილი სიბრტყეები განასახიერებენ, დაკავშირებულია ერთმანეთთან და იმ საწყისს, რომელიც მათ აერთიანებს, მეტაფიზიკაში ეწოდება „თვითობა“. იგი შეიძლება გამოისახოს სიბრტყეების შუაგულში გამავალი ვერტიკალური წრფით. თვითობა არის განუპირობებელი, უცვალებელი უნივერსალური საწყისი, რომლითაც არსებობს ყველა არსება, არსებობის ყველა მდგომარეობა, და რომლითაც „ზეარსებობს“ ყველა ზეარსული მდგომარეობა. ალბათ, შეგვიძლია მას მივუსადაგოთ მაქსიმე აღმსარებლის სიტყვები: „ვინც თავის თავიდან და უმიზეზოდ თვითღმრთეებაა“.

თვითობა თავის შესაძლებლობებს შლის ყველა მდგომარეობაში, რეალიზაციის ყველა მოდალობაში. ჩვენ ვსაუბრობთ თვითობის შესაძლებლობების გაშლა-განვითარებაზე, მაგრამ ამაზე ლაპარაკი დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას განვიხილავთ მანიფესტაციის მხრიდან, ანუ გარეგანი თვალთახედვით. საწყისის მხრიდან გამორიცხულია რაიმე თანმიმდევრობა, ყველაფერი სრულ თანადროულობაშია, მარადიულ აწმყოში.

თვითობას თავისი მთლიანი, განუყოფელი და უცვალებელი ბუნების ერთიანობაში არა აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე გარეშე საწყისი. მხოლოდ თვითობაა აბსოლუტურად რეალური, ყოველივე დანარჩენი რეალურია იმდენად, რამდენადაც აირეკლავს რაიმე მისეულს, ისევე როგორც ანარეკლი, რომელიც რეალობას საგნიდან იღებს. თვითობა, თუ მას განვიხილავთ ერთ

არსებასთან მიმართებაში, არის პიროვნულობა. ასე რომ, პიროვნულობა არის ის მარადიული საწყისი, რომლითაც არსებობს და „ზეარსებობს“ არსების ყველა მდგომარეობა. ქრისტიანულ ტრადიციაში პიროვნულობას გამოხატავს „მდოგვის მარცვალი“, ან სამ საწყაო ფქვილში ჩადებული საფუარი, რომლის გამოვლენამ თუ გამოსხივებამ ადამიანის შუაგულში, ამ ადამიანის ინდივიდუალობა, „მეობა“ უნდა აზიაროს უნივერსალურ-პიროვნულს, წარმავალი ბუნება — წარუვალს, ხრწნადი — უხრწნელს. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულ სიმბოლიზმში პიროვნულობის ანუ თვითობის გამოსხივება ადამიანის არსების „შუაგულში“ წარმოდგენილია, როგორც შესაქმის ანალოგიური მოვლენა. ამ ანალოგიას თავისი საფუძველი აქვს: საწყისი, რომელიც მაკროკოსმოსის შუაგულში გამობრწყინდა („იქმენინ ნათელი“), რითაც ქაოტური პოტენციები კოსმოსად აქცია, და საწყისი, რომელიც მიკროკოსმოსის შუაგულში უნდა გამოვლინდეს, რათა სრულყოს იგი, ერთი და იგივე საწყისია („ღმერთმა, რომელმაც თქვა: გამოიბრწყინოს შუქმა სიბნელიდან, მან გაანათა ჩვენს გულებში“ (IIკორ.4,6). ამავე აზრს გამოხატავს ლაო-ძის სიტყვები: „ბრძენი დუმს და ისხივოსნებს ქაოსს“ (დაო-დე-ძინი,131)).

ახლა გადავიდეთ უშუალოდ „დიდი ტრიადის“ საკითხის განხილვაზე.

მრავალი ტიპის სამეული არსებობს, რადგანაც სამი წევრის ურთიერთმიმართება მრავალგვარი შეიძლება იყოს. თუმცა მათ შორის ორია ძირითადი. პირველი ტიპის სამეულები შედგებიან პირველადი საწყისისა და ამ საწყისისგან გამომდინარე ორი ურთიერთშემავსებელი წევრისგან. ასეთი ტიპის სამეული წარმოისახება ფუძეზე მდგომი სამკუთხედით. ნახაზზე პირველი წევრი წარმოადგენს არსებას, ანუ არსებობის, მანიფესტაციის საწყისს, მე-2 და მე-3 წევრები



წარმოადგენენ იმ ორ უნივერსალურ საწყისს, რომელთა შორის თავსდება მთელი მანიფესტაცია. ეს ორი საწყისი წარმოიშვება პირველადი საწყისის პოლარიზაციით, ანუ მისი ბუნების დიფერენციაციით. ერთი „არსია“, მეორე — „სუბსტანცია“. მანიფესტაცია ამ ორი საწყისის ურთიერთშერწყმით წარმოიქმნება. ჩინური ტრადიცია, ბიბლიურის მსგავსად, ამ საწყისებს უწოდებს „ცას“ და „მიწას“ („თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“, დაბ.1,1). მათი ინდური შესატყვისებია „პურუშა“ და „პრაკრიტი“. უნდა შეინიშნოს, რომ არსი და სუბსტანცია არის ის პირველი დუალობა, რომლის სპეციფიკაციებსაც წარმოაგდენს მანიფესტაციაში გამოვლენილი ყველა სხვა დუალობა. დუალობის არსებობის ცნობა და მისთვის კუთვნილი ადგილის მინიჭება რეალობაში სულაც არ ნიშნავს „დუალიზმს“. ასე მაგალითად, ქრისტიანულ ტრადიციაში დუალობა დასტურდება სიკეთისა და ბოროტების სახით, მაგრამ მას თავისი ადგილი უჭირავს: იგი საწუთროში მოქმედებს, ხოლო რეალობის უფრო მაღალ საფეხურზე მისი მოქმედება უქმდება. ასე რომ, „დუალიზმზე“ ლაპარაკი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დუალობა გადაუჭრელია და შეურიგებელი. შეურიგებელი დუალობა კი შეიძლება ახასიათებდეს მხოლოდ ისეთ მოძღვრებებს, რომლებიც არ იცნობენ პირველი ტიპის სამეულებს, ანუ ისეთებს, რომელთა თვალსაწიერი ვერ სცილდება მანიფესტაციის სფეროს, რაც იმას ნიშნავს, რომ დუალიზმი არის ამასთანავე ნატურალიზმიც. ამდენად, თანამედროვე მკვლევარებმა ჩინურ მოძღვრებას სრულიად გაუმართლებლად დასწამეს დუალისტურობა.

ზემოთ წარმოდგენილი სამეულის პირველ წევრს, არსებას, ჩინური ტრადიცია უწოდებს TAI-KI-ს. მასზე მაღალი საწყისი არის „არაარსება“, ხოლო **დაო** არის არსებაც და არაარსებაც. იგი ფაქტიურად არ განსხვავდება არაარსებისგან, რომელიც მოიცავს არსებას, რომელიც მანიფესტაციის საწყისია და რომელიც პოლარიზდება ცად და მიწად, რათა წარმოქმნას მანიფესტაცია. ქრისტიანულ ტერმინოლოგიაში დაოს შეესატყვისება ზეარსი ღმრთეება, თეარქია, არსებას — „პირმშო ყოველი ქმნილებისა“, ანუ ღვთის სიტყვა, როგორც მთელი შესაქმის საწყისი: „მისით შეიქმნა ყოველივე, რაც ცაში და დედამიწაზეა, ხილული თუ უხილავი... იგი არის უწინარეს ყოვლისა და ყოველივე მისით დგას“ (კოლ.1, 16-17), ხოლო მანიფეტაციას კი — ქმნილება.

მეორე ტიპს მიეკუთვნება ისეთი სამეულები, რომელთა პირველი ორი წევრი წარმოადგენს

ორ ურთიერთშემავსებელ წევრს, ხოლო მესამე — მათი ურთიერთშერწყმის ნაყოფს. შორეულ-აღმოსავლური

ტრადიციის „დიდი ტრიადა“ სწორედ ასეთი ტიპის სამეულია. მისი პირველი ორი წევრი არის



კვლავ არსი და სუბსტანცია (ამიტომაც მეორე სამკუთხედში იმავე ციფრებით აღვნიშნავთ, რითაც პირველში), მესამე წევრი კი — პირველი ორის შეერთების ნაყოფი. ამ წევრს ჩინური ტრადიცია უწოდებს „კაცს“. ორ სამკუთხედს საერთო ფუძე აქვს და შეიძლება მათი გაერთიანება. ნახაზზე ფუძე განიხილება, როგორც არეკვლის სიბრტყე, მე-4 წევრი კი — როგორც პირველის ანარეკლი. ეს კი გამოხატავს იმ ტრადიციულ ჭეშმარიტებას, რომ კაცი ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი. მართლაც, მე-4 წევრი იერთებს იმ ორი საწყისის ბუნებას, რომელთაც თავის თავში დაუნაწევრებლად მოიცავს პირველსაწყისი.



ზოგიერთი ევროპელი მეცნიერი პარალელს ავლებს წმინდა სამებასა და დიდ ტრიადას შორის, მაგრამ რ. გენონი ამას დაუშვებლად მიიჩნევს. იგი საერთოდ უარყოფითად აფასებს ამ მეცნიერთა ცდას, სამებას დაუკავშირონ ყოველგვარი სამეული. იმისთვის, რომ ორი სამეული ერთმანეთის ექვივალენტურად ჩაითვალოს, ისინი ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდნენ: ერთის მხრივ, იდენტური უნდა იყოს მათი წევრების ურთიერთმიმართება, ანუ ორივე ერთი ტიპის სამეულს უნდა წარმოადგენდეს, მეორეს მხრივ კი, თითოეული მათგანი უნდა განეკუთვნებოდეს რეალობის ერთსა და იმავე სფეროს. თუ პარალელს გავავლებთ დიდ ტრიადასა და წმინდა სამებას შორის, ვნახავთ, რომ ამ ორი აუცილებელი პირობიდან ისინი არც ერთს არ აკმაყოფილებენ: ჯერ ერთი, რეალობის სხვადასხვა სფეროს ეკუთვნიან (წმინდა სამება არამანიფესტაციის სფეროს, დიდი ტრიადა კი — მანიფესტაციისას). მეორეც, სრულებით განსხვავებულია მათ წევრთა ურთიერთმიმართება: დიდი ტრიადის პირველი ორი წევრი ურთიერთშემავსებელია, მესამე წევრი კი მათი ურთიერთობის ნაყოფია. სიმბოლურ სახეებს ადამიანურ სამყაროს თუ დავესესხებით, დიდი ტრიადა შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც მამა, დედა და ძე. წმინდა სამების პირველი ორი წევრი აღინიშნება, როგორც მამა და ძე, მაგრამ ძე მეორე წევრია და იგი პირველიდან მომდინარეობს. არსებითად განსხვავდება მესამე წევრის მიმართებაც პირველ ორ წევრთან: იგი არაფრით არ შეესატყვისება „დედას“, რასაც მოწმობს ის „მამობრივი“ ფუნქცია, რომელსაც სულიწმინდა ასრულებს ქრისტეს ხორცით მოვლენაში. გენონი შენიშნავს, რომ სწორედ ქრისტეს ხორციელი შობა უკავშირდება გარკვეულწილად დიდი ტრიადის ტიპის სამეულებს. სულიწმინდის როლი ქრისტეს მოვლენაში შეესატყვისება „ცის“ უმოქმედო ქმედებას, ღვთისმშობელი არის ერთგვარი ხატი „მიწისა“, ხოლო ქრისტე, როგორც „უკანასკნელი ადამი“, სავსებით შეესაბამება „კაცის“ იმ გაგებას, რასაც დიდი ტრიადა გულისხმობს და რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამრიგად, თეოლოგიური ენით რომ ვთქვათ, დიდი ტრიადა უკავშირდება არა სიტყვის შობას ad intra (მარადიულ შობას), არამედ მის შობას ad extra.

დიდი ტრიადის პირველი ორი წევრი წარმოვადგინეთ ჰორიზონტალურ დაპირისპირებაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს წევრები რეალობის ერთ საფეხურზე დგანან და ყველა თვალ-

საზრისით ერთმანეთის სიმეტრიულნი არიან. მაგრამ ორი ურთიერთშემავსებელი წევრიდან ცა, არსი რეალობის უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე სუბსტანცია. ამის გამოსახატად ჩინური ტრადიცია ცასა და მიწას წარმოადგენს ვერტიკალურ დაპირისპირებაში, რაც მათ შორის იერარქიულობის აღმნიშვნელია. ასეთი განლაგებისას „დიდი ტრიადის“ მესამე წევრი — „კაცი“ — მათ შორის მოთავსდება (ცხადია, სამეულის ასეთ განლაგებას ვერაფრით ვერ მივუსადაგებთ პირველი ტიპის სამეულს, რადგანაც დაუშვებელია, რომ საწყისი მოექცეს მისგანვე გამოსულ და მასზე დაქვემდებარებულ წევრს ქვემოთ).

ცა ○

კაცი †

მიწა □

არ არის შემთხვევითი, რომ ტრადიციული სიმბოლიზმი ცას წრით გამოხატავს, მიწას — კვადრატით, კაცს კი ჯვრის ნიშნით. მართლაც, ცა მანიფესტაციის აქტიური საწყისია, მიწა კი პასიური. წრიული ფორმა დინამიური ხასიათისაა და იგი არსის აქტიურ ბუნებას შეესატყვისება, კვადრატი და მისი სტატიურობა კი — სუბსტანციის პასიურ ბუნებას.

ცა, როგორც არსობრივი საწყისი, მანიფესტაციაში ღვთაებრივ საწყისს წარმოადგენს და იგი შეესაბამება იმას, რაც მანიფესტაციაში შინაგანია, რაც უმოქმედოდ მოქმედებს, რაც ზეშეგრძნებადია და მხოლოდ მჭვრეტელობითად შეიმეცნება. ცა არის საწყისი, რითაც გამოვლენილია ყველაფერი, თუმცა თვითონ სრულებით გამოუვლენელია. მიწა კი პლასტიური საწყისია და მანიფესტაციაში შეესატყვისება იმას, რაც გრძნობის ორგანოებით აღიქმება. გავრცელებული სიმბოლიზმის თანახმად, ცას, როგორც აქტიურ საწყისს, შეიძლება ვუწოდოთ მამრული საწყისი, ხოლო მიწას — მდედრული. ამ ორ საწყისს უკავშირდება „ინ“-ისა და „იან“-ის სახელით ცნობილი ორი კატეგორია, რომელსაც ჩინური ტრადიციის კოსმოლოგიურ ნაწილში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ***იანი*** არის ის, რაც ცის ბუნებიდან მომდინარეობს, ***ინი*** კი ის, რაც მიწის ბუნებიდან გამოდის. ამდენად, არსებათა *იან* ასპექტი შეესაბამება იმას, რაც მათში არსობრივი, სულიერი და ნათელია, *ინ* ასპექტი კი არის ის, რითაც ისინი სუბსტანციასთან არიან წილნაყარი. არისტოტელეს ტერმინოლოგიით, *იან* არის ის, რაც ქმედებაშია, *ინ* კი ის, რაც ძალაში და პოტენციაში. მანიფესტაციაში *ინ* არ არსებობს *იანის* გარეშე, *იანი* — *ინის* გარეშე, რამდენადაც მანიფესტაცია ცისა და მიწის ურთიერთშერწყმის ნაყოფია.

ახლა განვიხილოთ ტრიადის მესამე წევრი, „კაცი“, რომელიც გამოიხატება ჯვრის ნიშნით. რამდენადაც მანიფესტაცია ცისა და მიწის ნაზავია, ამდენად ყველაფერი, რაც არსებობაშია გამოვლენილი, წილნაყარია როგორც ერთის, ისე მეორის ბუნებასთან. თუკი ცასა და მიწას მდედრულ-მამრული ელემენტების ასპექტით განვიხილავთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ყველა გამოვლენილი არსება ანდროგინული ხასიათისაა. მაგრამ არსებობს წილნაყარობის სხვადასხვა ხარისხი. ზეციერი და მიწიერი ბუნება ერთმანეთთან სულ სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა პროპორციით შეიძლება შეზავდეს და სწორედ ეს ქმნის არსებათა განუსაზღვრელ მრავალფეროვნებას. არსებათა შორის სრულყოფილ ანდროგინს მხოლოდ ადამიანის არსება წარმოადგენს, რადგანაც ინ-იანი, ანუ ზეციერი და მიწიერი ბუნება, სრულქმნილ თანაფარდობაში მხოლოდ მის არსებაშია მოცემული. ბიბლიის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი შექმნილია ღვთის ხატად „მამაკაცად და დედაკაცად“. ამავე აზრს გამოხატავს ჩინური ტრადიცია, როდესაც ამბობს, რომ კაცი არის „ცისა და მიწის შვილი“. არისტოტელეს ტერმინოლოგიით, ასეთ კაცში „ქმედება და ძალა“ ანუ „ქმედება და პოტენცია“ ერთმანეთის თანაფარდია. მაგრამ ეს ითქმის მხოლოდ და მხოლოდ სრულ კაცზე, რომელიც ფლობს კაცებრივი ბუნების სისავსეს. დაცემულ კაცში ცისა და მიწის, ანუ ინ-იანის პირველადი წონასწორობა დარღვეულია, ინ სჭარბობს იანს,

პოტენცია — ქმედებას. ამდენად, დაცემული კაცი არის არა ცისა და მიწის შვილი, არამედ „მიწის შვილი“. პირველს შესაბამება სამოთხისეული მდგომარეობა, მეორეს — წუთისოფლისეული. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

„ცისა და მიწის შვილი“ მიწიერი სამყაროს შუაგულს ქმნის, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ სამყაროში უშუალოდ მის ბუნებაში ხორციელდება არსისა და სუბსტანციის კავშირი. კაცი არის ცისა და მიწის ერთიანობის პირდაპირი და დასრულებული ნაყოფი. ყველაფერი დანარჩენი, რაც კი ამ სამყაროშია გამოვლენილი, მისი სინთეზური ბუნებიდან მომდინარეობს და წარმოადგენს მეორად, არაპირდაპირ და ნაწილობრივ ნაყოფებს. შეიძლება ითქვას, რომ ისინი არსებობენ, როგორც კაცებრივ ბუნებაში მოცემულ შესაძლებლობათა ნაწილობრივი და გარეგანი პროექციები. ამიტომ შეეძლო ადამს სახელი მიეცა ყველა არსებისთვის, ანუ განესაზღვრა და რეალიზაციაში მოეყვანა თითოეული მათგანის ბუნება, რომელსაც ის შინაგანად და უშუალოდ იცნობდა, როგორც საკუთარი ბუნების კერძო შესაძლებლობებს. ასე რომ, სრული კაცი თავის თავში მოიცავს მთელ გარესამყაროს, აერთიანებს რა თავის ბუნებაში ყველა შესაძლებლობას, რომელიც ამა თუ იმ სახით მიწიერ სამყაროშია გამოვლენილი (ამ ჭეშმარიტებებს ეყრდნობა ყველა ტრადიციული მოძღვრება, როცა ისინი კაცს მიკროკოსმოსს უწოდებენ: ყველაფერს, რაც გამოვლენილია მაკროკოსმოსში, თავისი შესატყვისი ელემენტი აქვს ადამიანში და ერთგვარად აისახება მის არსებაში). ამ მხრივ, კაცი მართლაც ღვთაებრივი საწყისის ამქვეყნიური ანარეკლია, რომელიც იმავე ფუნქციას ასრულებს მიწიერი სამყაროს მიმართ, რასაც ღვთაებრივი საწყისი — უნივერსალური მანიფესტაციის მიმართ: იგი „უძრავი ძრავაა“, რომელიც თავისი შინაგანობით მართავს და აწესრიგებს ამ სამყაროს წრებრუნვას (ადამიანის ამ უნარს გამოხატავს სიტყვები: „უხვსა ჰმორჩილებს ყოველი, იგიცა ვინ ორგულია“. სიუხვე არის შინაგანი სისავსე, რომელიც სრულ კაცს ახასიათებს). მიწის შვილი კი დეცენტრულ მდგომარეობაშია. იგი „გარეთ“, სამყაროს წრებრუნვაშია მოყოლილი, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ — „ბედის სამძღვარშია“ გამომწყვდეული. დაცემული ადამიანი (პოტენციით თუ არა, ქმედებით მაინც) თითქმის აღარაფრით განირჩევა სხვა არსებებისგან. იგი არათუ განაგებს მათ, როგორც მისადმი დაქვემდებარებულ არსებებს, არამედ მათ შორის დგას, როგორც ერთ-ერთი მათგანი. მაგრამ კაცს შეუძლია ამ უსუსური, დეცენტრული მდგომარეობიდან კვლავ აღდგეს შუაგულში, რისთვისაც უნდა მოხდეს მის არსებაში დამარხული შესაძლებლობების ერთიანი რეალიზაცია. ასეთ რეალიზაციას გამოხატავს ჯვრის ნიშანი: ცენტრიდან ოთხი მიმართულებით გამომავალი სხივი აღნიშნავს ქაოსის გასხივოსნებას, ანუ განუხორციელებელ, წყვდიადში დაფლულ პოტენციათა გამოვლენას, მათ ამოქმედებას. თეოლოგიური ენით, ეს არის შინაგანი გასხივოსნება, განსულიერება. განსულიერებული კაცი გამოხსნილია მიწიერი არსებობის განმსაზღვრელი პირობებისგან, „ბედის სამძღვარი“ გადალახული აქვს და მოპოვებული აქვს ნამდვილი თავისუფლება, სწორედ ის, რომელსაც გულისხმობს სიტყვები: „შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგანთავისუფლებთ თქვენ“ (ი.8,32).

ამრიგად, დიდი ტრიადა წარმოადგენს მიწიერი სამყაროს არსობრივ და სუბსტანციურ პოლუსებს და, ამავე დროს, სამყაროს შუაგულს — კაცს. კაცი თავისი ორმაგი ბუნების გამო მიწიერ სამყაროში წარმოდგება, ერთის მხრივ, როგორც მედიატორი ცასა და მიწას შორის და, მეორეს მხრივ, როგორც კოსმიური ღერძი: მის გარეშე თავისთავადობას მოკლებული სამყარო დაირღვეოდა და გაქარწყლდებოდა. იგი თავის მყოფობით იცავს სამყაროულ წესრიგს („ვეფხისტყაოსანში“ ასეთი მნიშვნელობა ენიჭება ღვთის ხატად — „სახითა მის მიერითა“ — წარმოდგენილ მეფეს. გავიხსენოთ, რომ დაქცეულ და გაპარტახებულ ინდოეთში უფლისწულთა დაბრუნება მოასწავებს სამყაროული წესრიგის აღდგენას: „ინდოეთს ზეცით სინათლე ჩადგა მართ ვითა სვეტია“).

მაგრამ დიდი ტრიადა შეიძლება განხილულ იქნას კიდევ უფრო ღრმა და უნივერსალური თვალსაზრისით: არსებას, რომელიც სრულყოფს კაცებრივ ბუნებას და საწუთროზე მაღლდება, ჯერ კიდევ დიდი გზა უდევს წინ სრულყოფილების მისაღწევად ტოტალური აზრით. კლიმენტი ალექსანდრიელის სწავლებით, სრულყოფის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს „საუფლო ცა“, რომელსაც იგი უწოდებს მერვე — უძრავ ვარსკვლავთა ცას (ცხადია, უძრაობა მიანიშნებს უცვალებლობასა და მარადიულობაზე). „საუფლო ცა“ შესაქმის ანუ უნივერსალური მანიფესტაციის მიღმაა. მის მისაღწევად ადამიანის არსებამ უნდა აიაროს შესაქმის შვიდი დღის

შესაბამისი შვიდი პლანეტარული ცა. პლანეტარული ზეცები სიმბოლურად წარმოადგენენ იმ რეალობებს, რომელთაც მეტაფიზიკა არსების მდგომარეობებს უწოდებს. მაშასადამე, მას შემდეგ, რაც ადამიანის არსება მიაღწევს სამყაროს შუაგულს (ჩვენს სქემაზე — წრფეს, ანუ პიროვნულობას), რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება სხვა სამყაროებთან შეკავშირება, მას შეუძლია განაგრძოს სვლა ღვთიური სხივის მიმართულებით, რათა გამოვლენილ, გამოუვლენელ თუ გამოვლენად მდგომარეობათა გავლით ამაღლდეს უზენაეს ჭეშმარიტებამდე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ, არსება თავის შესაძლებლობათა სისავსეს უნდა დაეუფლოს არა ერთ, არამედ ყველა მდგომარეობაში.

სრულყოფის ამ ორ მდგომარეობას, რომელსაც გამოხატავს მიწიერი სამოთხე და „საუფლო ცა“, ანუ ზეციური სამოთხე, შეესატყვისება ორი ადამი, რომლებზეც საუბრობს პავლე მოციქული: „პირველი ადამი გახდა ცოცხალ მშვინვიერად, უკანასკნელი ადამი — მაცოცხლებელ სულად“ (კორ.15,45). პირველი ადამი მიწიერი სამოთხის მკვიდრია, რომელზეც წმინდა მაკარი ამბობს: „სულს ეგულებოდა წარმართებად უწინარეს ურჩებისა და მისვლად საზომსა სრულსა“. სრული საზომი არის ქრისტე. მართლაც, პავლე მოციქული მოუწოდებს სრულყოფის გზაზე შემდგართ, რომ აღორძინდნენ „ქრისტეს სრული ასაკის ზომამდე“, ანუ უკანასკნელი ადამის ზომამდე, რომელშიც მკვიდრობს „ყოველი სისავსე“ (კოლ.1,19). ასეთი სისავსისკენ მიისწრაფოდა თვითონაც, რადგან განაგრძობდა სვლას მესამე ცამდე ამაღლების მიუხედავად (2კორ.12,2): „ვისწრაფვი, ვინძლო მივაღწიო, როგორც მომაღწია ქრისტე იესომ“ (პილიფ.3,12). ამ სიტყვებში გამოიხატება პირველი ადამის ლტოლვა უკანასკნელი ადამისკენ. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა პავლე მოციქულის სხვა სიტყვებიც: „მაშინ შევიცნობ ისე, როგორც მე ვარ შეცნობილი“ (1კორ.13.12).

თუ გავიხსენებთ გრიგოლ პალამას სიტყვებს, გავიგებთ, რომ მოციქულის სურვილი — შეიცნოს შემცნობელი ისე, როგორც თვითონ არის მისგან შეცნობილი — გულისხმობს შეცნობილის ერთგვარ იდენტიფიკაციას შემცნობელთან, ეს კი ნიშნავს იმ ერთობის განხორციელებას, რისთვისაც ჯვარს ევნო უკანასკნელი ადამი: „რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი — შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში... მე მათში და შენ ჩემში, რათა იყვნენ სრულყოფილნი ერთში“ (ი.17, 21-23).

ამრიგად, ჯვრის უნივერსალური, მეტაფიზიკური მნიშვნელობა არის ტოტალური არსების რეალიზაცია, რასაც უნდა გულისხმობდეს სახარების სიტყვები: „იყავით სრულყოფილნი, ისევე როგორც თქვენი ზეციური მამაა სრულყოფილი“ (მთ. 5,48). ჯვრის ჰორიზონტალური ხაზი აღნიშნავს არსების სრულყოფას ჰორიზონტალურ სიბრტყეში, ანუ კაცებრივი ბუნების სრულყოფას და პირველი ადამის მდგომარეობის განხორციელებას, ხოლო ვერტიკალური ხაზი აღნიშნავს არსების ყველა მდგომარეობის სრულქმნას, ანუ მის ტოტალიზაციას და უკანასკნელი ადამის მდგომარეობის რეალიზებას. სიზუსტისთვის უნდა შეინიშნოს, რომ ჰორიზონტალური ხაზი წარმოადგენს ჰორიზონტალურ სიბრტყეში გავლებული ჯვრის ანარეკლს ვერტიკალურ სიბრტყეზე. ასე რომ, არსების ტოტალიზაციას უფრო სრულყოფილად გამოხატავს სამგანზომილებიანი ჯვარი: ჰორიზონტალური ჯვარი აღნიშნავს ინდივიდუალობის ინტეგრაციას, ვერტიკალური ჯვარი — არსების ტოტალიზაციას. ჯვრის ასეთ მნიშვნელობას ეხმიანება მოციქულის სიტყვები: „დამკვიდრდეს ქრისტე ჩვენს გულებში... რათა შეძლოთ ყველა წმინდანთან ერთად ჩაწვდეთ, რა არის სიგანე და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე და შეიცნოთ აღმატებული ქრისტეს სიყვარულის შესაცნობად, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავსით“ (ეფეს.3,17-19).[3]

ამრიგად, დიდი ტრიადა მეტაფიზიკური აზრით წარმოადგენს მანიფესტაციის ორ უნივერსალურ პოლუსს — არსსა და სუბსტანციას — და უნივერსალური მანიფესტაციის შუაგულს — უკანასკნელ ადამს, ანუ უნივერსალურ კაცს, როგორც მას სხვადასხვა ტრადიციებში უწოდებენ. უნივერსალური კაცი თავისი შინაგანობით აერთიანებს და ერთმანეთთან აკავშირებს არსებობის ყველა სფეროს. იგი არის „Pontifex Maximus“ და ქმნის მთელი არსებობის კოსმიურ ღერძს („ყოველივე მისით დგას“).

ჩინური ტრადიციით, სისრულის ამ უნივერსალურ საზომს უნდა აღწევდეს ხელმწიფე, რომლის მთავარი ფუნქცია არის გაერთიანება. ამ აზრის გამომხატველია ხელმწიფის იდეოგრამა, რომელიც ხელმწიფეს წარმოაჩენს თავის მედიატორულ ფუნქციაში. მართლაც, ხელმწიფე რომ

გაიგივებულია უნივერსალურ კაცთან, ანუ უკანასკნელ ადამთან, ამას მოწმობს ლაო-ძის გამონათქვამი, რომლითაც დავასრულებთ ჩვენს მოხსენებას:

დაო — დიადია
ცა — დიადია
მიწა — დიადია
ხელმწიფე — დიადია
სამყაროში ოთხი დიადია: მათ შორის — ხელმწიფეც.

შენიშვნები

[1] ხაზს ვუსვამთ *ნამდვილს*, რადგან ამჟამად ყველგან არიან მოდებულნი აღმოსავლურ ტრადიციათა ცრუ წარმომადგენელნი, რომლებიც ამახინჯებენ ამ ტრადიციათა სწავლებას.

[2] არ უნდა ავურიოთ ძველი ავთენტური ტრადიციული მოძღვრებები იმ ნეოსპირიტუალისტურ მოძღვრებებში, რომლებიც ტრადიციულობას იჩემებენ ადამიანთა მისატყუებლად. ეს ფსევდო-მოძღვრებები აღმოსავლურ თუ დასავლურ მოძღვრებათა ტერმინოლოგიას იმ ანტიტრადიციული და მახინჯი იდეების შესამოსად იყენებენ, რომელთაც ისინი ავრცელებენ და ამკვიდრებენ ისედაც გზაარეულ თანამედროვეთა ცნობიერებაში. მათი სიყალბის აღმოჩენა არც ისე ძნელია, რადგან ყველანაირი სახის თუნდაც ერთმანეთთან დაპირისპირებული ნეოსპირიტუალისტური სკოლის ამოსავალი წერტილი არის პროგრესისა თუ ევოლუციის იდეა, რაც, ტრადიციული თვალსაზრისით, აბსურდულია. პირიქით, ყველა ტრადიცია ერთხმად ლაპარაკობს კაცობრიობის თანდათანობით დეგრადაციაზე.

[3] წიგნში „**ჯვრის სიმბოლიზმი**“ რ. გენონი შენიშნავს, რომ ჯვარი ერთ-ერთი იმ სიმბოლოთაგანია, რომელიც დასაბამიერი ტრადიციიდან მომდინარეობს, რამდენადაც იგი ყველა ტრადიციულ ფორმაში გვხვდება. მისი თვალსაზრისით, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ტრადიციული თვალსაზრისი, შემთხვევითი არ არის, რომ ქრისტე სწორედ ჯვარს ევნო. ჯვარცმამ მთელ სამყაროსთან ერთად განაახლა და სრულყო ჯვრის შინაარსიც.

ხათუნა თავდგირიძე

„გაუჩინარებისა“ და „დაბრუნების“ მითოსურ-ფილოსოფიური სიმულაციები ღმერთის გაუჩინარების თანამედროვე მითი

გამქრალი და დაბრუნებული

„ღმერთი ხან წარმართავს სამყაროს მოძრაობას, ხან კი ხელს იღებს მასზე, როცა კოსმიური წრებრუნვა დროში სათანადო ზომას აღწევს. მაშინ სამყარო, თავისი თავის ბატონ-პატრონი, საპირისპირო მიმართულებით იწყებს ბრუნვას... მესაჭეს განშორებული კოსმოსი ერთხანს კვლავ ძველებურად ასრულებს თავის წრებრუნვას, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ძველი უწესრიგობაც ეუფლება, მთელ კოსმოსს თვითგანადგურებისა და, რითაც სავსობს, ყოველივე იმის დაღუპვის საფრთხე ემუქრება. მაშინ არსთა გამრიგე ღმერთი, რომელიც ხედავს, რომ ამ განსაცდელში მყოფ სამყაროს მისივე ბორგვა დაშლასა და არყოფნის უფსკრულში დანთქმას უქადის, — კვლავ ხელში იღებს საჭეს, რათა მხსნელად მოევლინოს ყოველივე სნეულსა და დაშლილ-დარღვეულს და მისთვის ჩვეული გეზით წარმართოს სამყაროს წრებრუნვა.“

პლატონი. „პოლიტიკოსი“

პლატონის ფილოსოფიაში ჩვენ ვხვდებით კოსმოსის „ბრუნვის“, მისი ევოლუციისა და ინვოლუციის უჩვეულო განაზრებას — სამყაროსეული დროის ციკლების დასასრულისა და დროის ახალი ციკლების დასაწყისის ონტოლოგიას. ამგვარი კოსმოლოგიური ონტოლოგია პლატონთან ნახევრადმითოსურ და ნახევრადთეოლოგიურ ჭრილშია გადაწყვეტილი. პლატონი ყოფიერების მარადიულ „ბრუნვას“ საწყისიდან სასრულამდე და პირუკუ, ერთის მხრივ, ღმერთის კოსმოსში ჩართულობით, და მეორეს მხრივ, მისი განრიდებით ხსნის: „ღმერთი ხან წარმართავს სამყაროს მოძრაობას, ხან კი ხელს იღებს მასზე, როცა კოსმიური წრებრუნვა დროში სათანადო ზომას აღწევს...“ (ბრეგვაძე; 2006:203-204) — წერს პლატონი ერთ-ერთ გვიანდელ დიალოგში „პოლიტიკოსი“.

პლატონის ფილოსოფია გვთავაზობს თვისობრივად სრულიად განსხვავებულ „მითოსურ თეოლოგიას“ — კოსმოსიდან ღმერთის დროებით „წასვლას“ და „მობრუნებას“ უკიდურეს ზღვარზე — მაშინ როცა გაუჩინარებული ღმერთის კვალზე კოსმოსიც გასაუჩინარებლად, პირველარსებულ ქაოსში ჩასანთქმელად არის მიდრეკილი.

პლატონისეულ ყოფიერების „ბრუნვაში“ ღმერთის „დაკარგვა“ არ ნიშნავს ღმერთის სიკვდილს. პლატონი აქ არ საუბრობს არც ღმერთის სიკვდილზე და არც მის აღდგომაზე. პლატონისეული სამყაროს „ბრუნვის“ ონტოლოგიაში ღმერთი განსაზღვრული დროით „წასულია“, გაუჩინარებულია კოსმოსისთვის და მხოლოდ ყოფიერების განსრულების ზღვარზე კვლავმობრუნდება. კოსმოსიდან გამქრალი და დაბრუნებული ღმერთის პლატონისეული თეოლოგია თვისობრივად იმეორებს მცირე აზიის მითოლოგიებში გავრცელებულ „გამქრალი და დაბრუნებული“ ღვთაების მითოსს.

„გამქრალი და დაბრუნებული ღვთაების“ მითოსის სამშობლოდ ხეთური „ათასი ღვთაების ქვეყანა“ უნდა ვივარაუდოთ, ყოველ შემთხვევაში, არსად სხვაგან ასე მრავალფეროვნად (და ერთმნიშვნელოვნად) არ გვხვდება „გამქრალი ღვთაების“ ციკლი. ხეთურ მითოსში გამქრალი ღვთაების როლში გამოდიან თელეფინუ, ამინდის ღვთაება, მზის ღვთაება, ხანახანა, ინარა, ანცილი, ცუქი და სხვა... (ტატიშვილი; 2001:39). ინდურ მითოლოგიაში გამქრალი ღვთაების როლში გამოდის ცეცხლის ღვთაება აგნი. ეგვიპტურ მითოლოგიაში დასტურდება გამქრალი და დაბრუნებული ქალ-ღვთაება ქალღმერთი ტეფტუნი (მზის ღვთაების — რას ცეცხლოვანი თვალი).

„თელეფინუ განრისხდა. გონდაკარგული მარჯვენა წუღას მარცხენა ფეხზე იცვამდა და მარცხენას მარჯვენაზე... იგი წავიდა...

თელეფინუ წავიდა. მარცვლეული, ზრდა, სიმძლავრე ყანისა, მდელოსი თუ ტევრისა თან გაიყოლა. წავიდა თელეფინუ და ტევრს შეეფარა. დაღლილობა მოერია თელეფინუს და მოხდა ასე: ქერი და ხორბალი აღარ ხარობდა, საქონელი, ცხვარი თუ ადამიანები ველარ მრავლდებოდნენ. მიდგომილნიც კი ველარ შობდნენ. მთები დახმა. ხეებს კვირტები აღარ გამოჰქონდა. საძოვრები გადაიხრუკა, წყაროები დაშრა და დედამიწაზე შიმშილი დამკვიდრდა. ადამიანები და ღმერთები შიმშილით იღუპებიან...“

(ქრესტომათია; 1990:228)

— მოგვითხრობს ხეთური მითი ტაროსის ღვთაების ძის, თელეფინუს გაუჩინარების შესახებ. ეგვიპტური მითოსი კი გვამცნობს მზის ღმერთის — რას საყვარელი ქალიშვილის ტეფტუნის გადაკარგვის ამბავს:

„როცა ღმერთი — რა ჯერ კიდევ იყო ეგვიპტის მეფე, მისი ქალიშვილი ტეფტუნი, საყვარელი თვალი მისი წაეჩხუბა და წავიდა. მრისხანე ლომის სახით დახეტიალობდა იგი ნუბიის უდაბნოებში, თავისი ცეცხლით ხანძრავდა ქვიშას და ქვებს, იშორებდა მტრებს თავისი სუნთქვით. და ჩაინთქა ეგვიპტე წყვდიადსა და გლოვაში...“

(ნემიროვსკი; 2000:18)

ეგვიპტური მითოსის მსგავსად ინდურ კოსმოგონიაში სამყაროს განადგურება ემუქრება ცეცხლის ღმერთის აგნის გაუჩინარებით:

„გაიქცა აგნი ღმერთებისგან და დაიმალა მარადიულ წყლებში, რომლებმაც დიდსულოვნად შეიფარეს იგი. აგნის წასვლასთან ერთად დედამიწაზე წყვდიადი გამეფდა. ამით ისარგებლეს დემონებმა — წუთითაც არ დააყოვნეს და თავი გამოაცხადეს ღამის ღვთაებებად. მთელს სამყაროში ეძებდნენ შუქს მოწყურებული ღმერთები გაქცეულ აგნის...“

(ნემიროვსკი; 2000:385)

ამგვარია განრისხებული ღმერთის სამყაროდან გადაკარგვის ესქატოლოგიური კოსმოგონია — ესქატოლოგიური ენიგმური მარშრუტი მრისხანე შემოქმედი ღმერთისა, რომელიც თავისი გაუჩინარების კვალზე ანადგურებს და აუჩინარებს სამყაროს, ყოველივე ქმნილს. ამგვარ კოსმოგონიურ მითოსში გაცხადებულია ღრმად ონტოლოგიური საიდუმლო და ამ საიდუმლოს ტრაგიზმი მთელი თავისი დრამატულობით — შექმნილი კოსმოსის განადგურება მისივე შემოქმედისაგან.

განაწყენებული ღმერთი მიდის, ქრება, უჩინარდება სამყაროს შუაგულიდან და ყოფიერების განაპირას, სრულიად უცხო (უცნობ), ადამიანთაგან ჯერაც აღმოუჩენელ პერიფერიაში ინაცვლებს. კოსმიური გადანაცვლების კვალზე პერიფერიაში პროეცირდება სამყაროს ღერძი, რომელიც ადამიანისთვის ამიერიდან დაკარგულად ითვლება. უცნობ პერიფერიაში გადანაცვლებული ცენტრისა და ღმერთის კვალზე თანდათან უჩინარდება ყოფიერებაც. სწორედ ამ წუთიდან ჩნდება სამყაროს გაუჩინარების პირველი ნიშნები, რადგან ცენტრი არის „რეალობის“ ერთადერთი უბანი ყოფიერებაში და „რეალობაც“ თან მიაქვს „პერიფერიულ ღმერთს“. მ. ელიადეს აზრით, ცენტრი არის „რაღაც საკრალურობის უმაღლესი საფეხური, აბსოლუტური რეალობის ტერიტორია“ (ელიადე; 1998:8). როგორც ჩანს, სამყაროს ცენტრში კონცენტრირებული აბსოლუტური რეალობა, რომლიდანაც ის მთელს სამყაროულ ტერიტორიას განეფინება, ვუალირდება ცენტრთან დაშორებული მანძილის/სივრცის და დროს შესაბამისად. რაც უფრო ვშორდებით ცენტრს, მით უფრო ფერმკრთალდება რეალურობის კონტურები და ყოველივე აქამდე „რეალურად არსებული“ ეფემერულ, ილუზორულ თვისებებს იძენს. ამიტომაც ემუქრება სამყაროს გაუჩინარება გადაკარგული ღმერთისა და ცენტრის კვალზე. სწორედ ეს არის ფუ-

კოსეული „უდაბნოს ზრდა“, ის დრო, „როცა ღმერთებმა ზურგი გვაქციეს“.

უძველესი მითოლოგოსი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ დაკარგული თელეფინუს, ტეფტუნის თუ სხვათა გაუჩინარების მითი მრავალი ათასწლეულის შემდეგ კვლავ მობრუნდებოდა; რომ ღმერთის სიკვდილის თუ გაუჩინარების სნეულებით კვლავაც დაავადდებოდა სულ სხვა, თვისობრივად ახალი სამყარო. თუმც მარადიული ბრუნვა-მობრუნება ნაწინაწარმეტყველები იყო თავად „ბრუნვის მითსა“ და პლატონის (აგრეთვე ნეოპლატონიკოსებისა და სხვათა) ფილოსოფიაში, ოღონდაც ეს თითქოს არ უნდა შეხებოდა „ისტორიულ“ ეპოქებს, რომლებშიც „მობრუნების მითი“ „ისტორიულობისაგან“ (როგორც წრფივი, მოუბრუნებელი დრო) იყო ძლეული.

„ბრუნვის მითი“ მაინც მობრუნდა, რადგან მისი მობრუნება შეუქცევადია ნებისმიერი ტიპის სტრუქტურაში, ამგვარია ბრუნვის გადაულახავი შინაგანი კანონზომიერება, მისი ბუნება. ამასთან, სამყარო და ყოფიერებაც თავის მხრივ მობრუნების მუდმივ მოლოდინშია. ესაა ორმხრივი მოლოდინი — მომბრუნებლისა და ენიგმური შიშით შეძრწუნებული, გაყუჩული მომლოდინე სამყაროსი. მათ შორის კი ჩამდგარია „უდაბნო“, სიცარიელე, ყველასგან (ღმერთისგან და ადამიანისგან) მიტოვებული უცნობი პერიფერია.

„ბრუნვის მითი“ მობრუნდა, გაცოცხლდა თანამედროვე ყოფაში და კვლავაც უკიდურესად აქტუალური გახდა — ***ისევ გაუჩინარდა ღმერთი, ოღონდაც მისი კვლავმობრუნების იმედისა და პერსპექტივის გარეშე.***

მეოცე საუკუნის მითი აუჩინარებს ღმერთს, — რიტუალი კი ვეღარ „აბრუნებს“. ღმერთთან ერთად უჩინარდება სამყაროც. ყოვლისმომცველი გაუჩინარების ინტენცია მიმართულია ყოფიერების ყველა მხარის და ყველა სიღრმის ჰორიზონტისკენ, ყოფიერების გარშემო შემოსწერს ხილულ წრეს, რათა გამოკვეთოს სიცარიელე, რომელიც წრის შიგნით ჩადგება. ჟან ბოდრიარი უკვე ხედავს გაუჩინარების პირველ ნიშნებს, გამომსახველობითი კულტურის წიაღში შექმნილი ვიზუალური ხატები, სახეები, გამოსახულებები „მოკლებულია ჩრდილებს, კვალს, შედეგებს. ყველაფერი ის, რაც ჩვენ შეგვიძლია ვიგრძნოთ ნებისმიერ ამ გამოსახულებათა ცქერისას — არის გაუჩინარება რაღაც ადრე არსებულისა. მათში არაფერია სხვა, გარდა კვალისა იმისი, რაც გაქრა“ (ბოდრიარი; 2000:27-28). თანამედროვე ეპოქა „ორგიისშემდგომ“ (ბოდრიარის ტერმინოლოგიით) მდგომარეობაში იმყოფება, როცა ყველაფრისგან გათავისუფლდა და აღარ იცის, როგორ მოიქცეს ამიერიდან, ორგიის შემდეგ (ბოდრიარი; 2000:8). გათავისუფლებული ადამიანი დარჩა სიცარიელეში, გაუჩინარების გზაზე შემდგარ სამყაროში და მას ისღა დარჩენია, „დაბრუნების“ გზით მიმართოს სიცარიელის ამოვსების სიმულაციებს, რადგან რეალობა, რომელშიც ცხოვრობს, პარადოქსულად უსხლტება ხელიდან.

უსხლტება იმიტომ, რომ ამ რეალობის დრო უკიდურესად შემცირებულია; ეს დრო იმდენად სწრაფად, უწყვეტად და შემზარავად იკუმშება, რომ მის ირგვლივ ნთქავს უკლებლივ ყველაფერს; მიაქანებს უშორეულესი ერთი საწყისი წერტილისაკენ — „არარასკენ“, მიაქანებს მასში ჩასანთქმელად და საბოლოოდ გასაუჩინარებლად. ეს ინტენცია იძენს კონკრეტულ სახეს, ვიზუალურ გამოსახულებას, იქცევა რაღაც ტრანსცენდენტურ „ინდივიდუუმად“, ახალ ენიგმურ ძალად, რომელიც ძალიან ჰგავს უზარმაზარ ამაზრზენ ცოცხალ სარკეს, რომელშიც შეიძლება დაიკარგო; ან ჰგავს ქაოსის ურჩხულს — სწორედ ურჩხულის სიმბოლო მიესადაგება ყველაზე უკეთ პოსტმოდერნულ ეპოქას: „თანამედროვე ურჩხული“ ყლაპავს საგნებს, არსებებს, მოვლენებს და მალავს თავის წიაღში, ამ წიაღის უკიდურეს ამოვსებამდე. ურჩხულის წიაღი უსასრულოა, მისი ამოვსება კი — შეუძლებელი. ადამიანი დარჩა სიცარიელეში, მან უნებლიეთ თავად ჩააყენა თავი ამ მდგომარეობაში, როცა ღმერთი „მოკლა“ და ამით — თავისთავიც. აქედან მოდის გამაუჩინარებელთა და გაუჩინარებულთა სიმულაციები, ხელახალ უღიმღამო, უარსო გამოვლენათა ტრანსფიგურაციები; ახალი, ადამიანური ინტენციები — რეალური „ცარიელი სამყაროს“ გვერდით შექმნას პარალელური ყოფიერება. თავისთავში შემოიკრიბოს გაუჩინარებული ღმერთის ყველა ფუნქცია, სრულად ჩაენაცვლოს ღმერთს თავისი კაცებრივი, სიმულაციური შესაქმით. თანამედროვე ადამიანის გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული ინტენცია მიმართულია ახალი, მოჩვენებითი კოსმოგონიისაკენ, კვაზიშესაქმისაკენ. ეს არის „ამაო, მოჩვენებითი მცდელობები, შექმნას კიდევ რომელიღაც სიცოცხლე იმის გარდა, რომელიც უკვე არსებობს. ჩვენ ვცხოვრობთ იდეალების, ფანტაზმების, სახეების, ოცნებათა მუდმივ შექმნაში, რომლებიც უკვე თანაარსებობენ ჩვენთან ერთად და რომლებსაც ჩვენ, ჩვენს საბედისწერო არ-

ამონაწილეობაში აუცილებელია აღვადგენდეთ კვლავ და კვლავ“ (ბოდრიარი; 2000:8).

ამ ახალი ადამიანური კოსმოგენეზის შედეგი არის ყოფიერების ანარეკლი — სარკიდან არეკლილი „შემობრუნებული“ სამყარო, რადგან სარკე ირეკლავს და ატრიალებს გამოსახულებებს. ის არ „იმეორებს“, არამედ — „ამრავლებს“, ანაწევრებს, ქმნის ორეულებს — „სხვას“, განუსაზღვრელი რაოდენობით და რაც მეტია დანაწევრება, მით უფრო ძნელი ხდება შემოკრება. სარკის მოჩვენებითად გამჭვირვალე, გლუვი ზედაპირიდან მოსჩანს სამყაროს და ადამიანის ორეულები, რომელებიც ყოველთვის დაშორებულია „მე“-ს და არის მისი ტყუპისცალი „სხვა“.

ამ აზრით „ახალი კოსმოსი“ არის „სარკის კოსმოსი“, განსაზღვრული მნიშვნელობით ლაკანისეული „სარკის სტადია“ და დერიდასეული — „სარკისებური „მე“. ლაკანის აზრით „ჩვენი პრივილეგიაა სიმბოლური სინამდვილის ნახევრადუკუნში დავინახოთ მათი ვიზუალირებული გარეგნული გამოსახულებები. სარკისმიერი სახე გვევლინება ხილული სამყაროს ზღურბლად...“ (ლაკანი; 1949). სწორედ ამ ზღვარზე წარმოიშობა „ორეულები“. ფუკოსთვის „ადამიანის ორეული“ არის — „მოუაზრებელი“, „წარმოუდგენელი“, თანამედროვე „კოგიტო“. მისი თქმით, IX საუკუნიდან მოყოლებული „ეს **სხვა** არის ტყუპისცალი ძმა, შობილი არა მისგან (ადამიანისგან) და არა მასში, არამედ გვერდით, ოღონდ იმავდროულად იდენტურ სიახლეში, შეუქცევად დუალობაში.... ეს იყო Aan sitch საპირისპიროდ fur sich-ისა ჰეგელის ფენომენოლოგიაში; Unbewusste — შოპენჰაუერთან; გაუცხოებული ადამიანი — მარქსისათვის; იმპლიციტური, არააქტუალური, ნალექოვანი, ვერაღსრულებული — ჰუსერლისეულ ანალიზებში; ყოველ შემთხვევაში, იგი იყო გარდუვალი ორეული რეფლექსიური ცოდნისა, როგორც ბუნდოვანი პროექცია თავად ადამიანისა მისსავე ჭეშმარიტებაში, მაგრამ რომელიც ასევე წინასწარ ქმნის საფუძველს, რომ ადამიანმა თავი მოუყაროს საკუთარ თავს და გაიხსენოს საკუთარი ჭეშმარიტება“ (ფუკო; 2004:392). და ვიდრე ადამიანი „თავს მოუყრის საკუთარ თავს“ და „გაიხსენებს საკუთარ ჭეშმარიტებას“, ვიდრე ადამიანი თავს დააღწევს საკუთარ ორეულებს (ან „ორეულობას“), მას უწევს საკუთარი თავისავე „ორეულად“ ყოფნა, მას უწევს უსასრულოდ გაორებული ყოფიერების ბნელ, უცხო ენიგმურ ინსტანციებში ხეტიალი და არსებობა მხოლოდ არსებობისთვის, რომელშიც — ამ უკიდურეს სარკისებურ არეკლილობაში, მას, ისევე როგორც სამყაროს — სჯერა საკუთარი „ნამდვილობა“. ის აღარ ეძებს „პერიფერიულ ღმერთს“, უფრო პირიქით: ღმერთის „გასვლამ“ ის იმ ხელსაყრელ პირობებში ჩააყენა, როცა შეუძლია „ღვთაებრივი ვაკანსია“ თავად შეავსოს, რისკენაც ღმერთთან გენეტიკური სიახლოვეც უბიძგებს — ის ღმერთის პირდაპირი მემკვიდრეა, რაკი მის ხატად არის შექმნილი; რადგან ოდესღაც ღმერთმა ადამიანიც „სარკისებური ეფექტით“ შექმნა, მას შემდეგ რაც საკუთარ გამოსახულებას „ერთ წამს“ (მარადისობის წამი) გარედან დააკვირდა — გარეგანი ხედვა ყოველთვის „სარკისებური“ ხედვაა. ამგვარი „სარკისებური ეფექტით“ ქმნის ჩინური მითოლოგიის გველისტანიანი ქალღმერთი ადამიანს. მოვუსმინოთ ჩინურ მითოსს:

„მიწა უკვე განცალკევებული იყო ცისაგან; აღმართულიყვნენ წმინდა მთები; ზღვებში ჩაედინებოდნენ თევზებით სავსე მდინარეები; ტყეები და სტეპები გადავსებულიყო ველური ცხოველებით; მდელოების თავზე დაფრინავდნენ ფრინველები. მაგრამ არ იყო ადამიანი, ამიტომ სამყარო ჯერ ისევ რჩებოდა განუსრულებელი.

მაშინ პირველწინაპარი ნიუივა, ქალღმერთი — გველის ტანით და ადამიანური თეთრი სახით, ხრამიდან გუბურასთან მიცოცდა, პეშვით აიღო ყვითელი თიხა, წყალში დააკვირდა საკუთარ გამოსახულებას წელს ზემოთ და გამოძერწა პატარა ფიგურა. ფიგურა მაშინვე გაცოცხლდა და მხიარულად გაიქცა... “

(ნემიროვსკი 2000:490).

ეს იყო ადამიანის შესაქმე პირველწინაპარი ქალი-ურჩხულისაგან, რომელიც წყალში, როგორც სარკეში ათვალიერებს საკუთარ სხეულს და თავისი ანარეკლის დუბლირებით ქმნის ადამიანს „თავის ხატად“.

ჭეშმარიტად: ურჩხული და ადამიანი — თიხა („მტვერი მტვრისაგან“ — ნიცშე).

ისინი ერთმანეთის პირისპირ დგანან, როგორც შემოქმედი, დემიურგი და თიხა — „მასალა“ შესაქმისთვის, რომლისგანაც შეიქმნება ზღვარდადებული, უცილობელი, ესქატოლოგიისათვის განსაზღვრული გონიერი ცხოველი; იგი შესაქმეშივე ჩათქმულია, ჩაფიქრებულია „გასაუჩინარებელ“ ფატალურ არსებად. მაგრამ „სარკის სტადია“ შემოატრიალებს

ამ ურთიერთმიმართებას — ახლა თავად „მასალა“ განსაზღვრავს თავის შემოქმედს. ახლა „მასალა“, რომელიც ჩათქმულია გასაუჩინარებლად, პარადოქსულად თავად ხდება გამაუჩინარებელი თავისივე შემოქმედისა. გაუჩინარების ამ ზღვარზე სრულდება სარკის სტადია. სარკის ეფექტი და მისი მოქმედების ვადაც განსაზღვრულია, შეზღუდულია თავისსავე ხედვის ფარგლებში (ის მხოლოდ თავის წინ არსებულს აღიქვამს მგრძნობელობათა სენსორებით). ის არ არის განხვნილი სამყაროში, როგორც მთელში; მის წინ კი არაფერი და აღარავინ დარჩა ასარეკლი; მის წინ მხოლოდ სიცარიელეა, რადგან გაუჩინარებული ღმერთის კვალზე ყველა და ყველაფერი გაუჩინარდა.

ასე უჩინარდებოდა სამყაროც თელეფინუს თუ ტეფტუნის გაქრობის შემდეგ: ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ წყვეტდა ფუნქციონირებას სამყაროს სასიცოცხლო ძალები. ამიტომ იყო აუცილებელი გამქრალი ღმერთის პოვნა და მობრუნება, რომელიც თავს აფარებს უცნობ პერიფერიულ „ახალ საწყისს“. თანამედროვე სამყაროს გაცნობიერებული აქვს „მობრუნების“ ნამდვილობის აუცილებლობა. ფუკო ამბობს, რომ „თანამედროვე აზრი არსებითად და მთლიანად მოცულია საწყისის დაბრუნების მძიმე საზრუნავით, ფიქრით მის განახლებაზე, იმ უცნაური შფოთვით, თუ სახელდობრ, საიდან უნდა დაიწყოს პირველსაწყისის გამეორების გამეორება“ (ფუკო 2004:400).

თანამედროვე სამყარო საწყისის და ღმერთის მობრუნებას მათი გაუჩინარებითა და მკვლელობით იწყებს, რადგან მიაჩნია, „იგივეს მარადიული დაბრუნება“ (ჰაიდეგერის ტერმინოლოგიით (**ჰაიდეგერი 2000**) შეუქცევადი პროცესია — აქამდე სიკვდილს ყოველთვის აღდგომა მოსდევდა, გაქრობას — დაბრუნება. მეოცე საუკუნის წიაღში შეიქმნა საწყისის, ყოფიერების და ღმერთის გაუჩინარების თვისობრივად ახალი, თანამედროვე მითი, რომელშიც ვიხილეთ გაუჩინარება, ვიხილეთ გაუჩინარებულნი და გამაუჩინარებელნი, მაგრამ ჯერ არ გვიხილავს „მობრუნება“, ჯერ არ ვიცით როგორ აბრუნებს „მობრუნების ახალი მითი“ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: — არ ვიცით „აბრუნებს“ თუ არა იგი საერთოდ.

„მარადიული დაბრუნების“ ღვთაებრივი და ეგზისტენციალური ტრაგიზმი

„რა იქნებოდა მაშინ, თუ ერთხელაც, დღისით ან ღამით, შენს უგანმარტოვებულეს განმარტოვებულობაში შემოპარულიყო რომელიღაც დემონი და შენთვის ეთქვა: „ეს შენი ცხოვრება, ახლანდელი და განვლილი, კიდევ ერთხელ უნდა განვლო, კიდევ უთვალავგზის; და არ იქნება მასში არაფერი ახალი, მაგრამ დაბრუნდება ხელახლა და იმავე თანამიმდევრობით, თითოეული ტკივილი და თითოეული სიხარული, თითოეული აზრი და თითოეული სუნთქვა, ყოველივე სულ მცირედი და გამოუთქმელად დიდი, რაც კი იყო იმ ცხოვრებაში. დაბრუნდება ეს ობობაც და ეს მთვარის შუქიც ხეთა შორის... და ეს წამი და თავად მე. მარადიული ქვიშის საათები ყოფიერებისა ტრიალდებიან ისევ და ისევ, და შენც მასთან ერთად — მტვერი მტვრისაგან“.

„არ დავარდებოდი შენ მიწაზე კბილების ღრჭენით და არ დაწყევლიდი ამგვარი სიტყვებით მოვლენილ დემონს? თუ ოდესღაც უკვე გადაგატანინა საზარელი წუთი, რომელშიც შენ შეგეძლო მისთვის გეპასუხა: „შენ — ღმერთო, არასოდეს მსმენია ამაზე უფრო მეტად ღვთაებრივი!“ და თუ შეგიპყრობდა ეს აზრი, შეგცვლიდა ის სრულიად, ან, შესაძლოა, გაგანადგურებდა — შეკითხვა ყველაფრის შესახებ გამონაკლისის გარეშე, გსურს თუ არა ერთხელ კიდევ, კიდევ უთვალავჯერ, დააწვებოდა უდიდესი სიმძიმით ყველა შენს ქმედებას! სხვაგვარად როგორ უნდა მიგეღწია თანხმობისთვის ცხოვრებასა და საკუთარ თავს შორის, რომ არ გესურვა უფრო მეტი, გარდა მარადისობაში აღბეჭდვის ამ უკანასკნელი დადასტურებისა?...“

ფრიდრიხ ნიცშე, „მხიარული მეცნიერება“

მეოცე საუკუნის მითი „აუჩინარებს“, რიტუალი კი ველარ „აბრუნებს“.

ყველაფერი კი მაინც ღმერთის სიკვდილით დაიწყო, არადა უფრო მართებული იქნებოდა, ნიცშეს ღმერთი არა მკვდრად, არამედ — გაუჩინარებულად გამოეცხადებინა.

მარადიული დაბრუნება თუ საწყისში სასრულობა? სიკვდილი თუ გაუჩინარება? ეს ის კითხვებია, რომელთაც „დაბრუნების“ ფილოსოფია და წინარეფილოსოფიური აზრი — მითი უტრიალებს.

ამ კითხვების ზღვარზე აღმოვაჩენთ ერთის მხრივ „ღმერთის მკვლელთა“ ადამიანურ ეგზისტენციალურ ტრაგიზმს, და მეორეს მხრივ — მკვლელობის აბსურდს — მოკლულ ღმერთთან ერთად გაუჩინარებულ ყოფიერებას და ადამიანს.

„გმირის ირგვლივ ყველაფერი ტრაგედიად იქცევა, ნახევრადღმერთის ირგვლივ — სატირათა მოქმედებად; ხოლო ღმერთის ირგვლივ — რად? შესაძლოა — „სამყაროდ“ (ნიცშე, „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“,1886 წ.) — ნიცშეს ამ სიტყვებით იწყებს ჰაიდეგერი თავის ლექციას „იგივეს მარადიული დაბრუნება“ (ჰაიდეგერი; 2000), რომელიც ნიცშეს მთელი შემოქმედებიდან „დაბრუნების ფილოსოფიის“ სწავლების დეტალურ ანალიზს წარმოადგენს. თავად ნიცშე თავის მეტაფიზიკურ კონცეფციას ასე უწოდებს — „ყველა საგნის უცილობელი და მარადიულად განმეორებადი წრებრუნვის შესახებ“ („Esse homo“,1888 წ.), რომელიც წარმოადგენს თვისობრივად განსაზღვრულ მსჯელობას ყოფიერებაზე, როგორც მთელზე (das Seiende im Ganzen). ეს მას აახლოვებს შესაბამის, დასავლეთისთვის დიდი ხანია ჩვეულ მსოფლმხედველობრივ სწავლებებთან, რომელთაც კარდინალური გავლენა იქონიეს არა მხოლოდ ფილოსოფიის განვითარებაზე, არამედ — მთელს ევროპულ ისტორიაზე (მაგ. ნიცშეს სწავლება ძალზედ ახლოს დგას პლატონის სწავლებასთან იდეათა შესახებ, რომლის მიხედვით არსი ყოველივე არსებულისა იფარება იდეებში; აგრეთვე ქრისტიანული რელიგიური მსოფლმხედველობა და სხვა). მაგრამ ნიცშეს „მარადიული დაბრუნების“ ფილოსოფია — სწავლება ყოფიერებაზე, არ არის ერთ-ერთი რიგითი სწავლება მრავალთა შორის, არამედ ის წარმოიშვა პლატონურ-ქრისტიანული აზროვნების გავლენასთან უსასტიკეს ბრძოლაში, ახალ დროში გამოვლენილ შედეგებსა და მის ვულგარიზაციაში“ (ჰაიდეგერი; 2000).

ნიცშესეული „circulus vitious deus“-ით სრულადაა გამოხატული დაბრუნების ახალი, ნიცშესეული ფილოსოფია. ჰაიდეგერის ინტერპრეტაციით, „circulus: არის წრე, ბეჭედი — მარადიული დაბრუნება, მაგრამ vitiosus; vitium: უძლურება, სნეულება, დამანგრეველი რამ; circulus წრეა, რომელიც კვლავ და კვლავ, როგორც აუცილებლობა, აბრუნებს ამ vitium-ს. ეს საზარელი წრე circulus vitious არის deus-ი? თავად ღმერთი? მუდმივი დაბრუნება ერთნაირისა არის ყოფიერების საერთო თვისება მთლიანობაში: სამყარო“ (ჰაიდეგერი; 2000). სამყაროსა და ღმერთის გაიგივების დასტურად აქ ჰაიდეგერი ისევ უბრუნდება საწყის ეპიგრაფ ფრაზას — „ხოლო ღმერთის ირგვლივ — რად? შესაძლოა — „სამყაროდ“, რომელსაც რიტორიკული კითხვითვე პასუხობს — „სამყარო და ღმერთი ამგვარად ერთი და იგივეა?“ (ჰაიდეგერი; 2000). სამყაროსა და ღმერთის გაიგივების მიღმა პასუხი გაეცემა ერთ მნიშვნელოვან კითხვასაც — „ესე იგი ღმერთი არ მომკვდარა?“ ნიცშეს პასუხი ამ კითხვაზე არის — „ჰოც“ და „არაც“: რა თქმა უნდა მოკვდა, ოღონდაც რომელი ღმერთი? — მოკვდა „მორალური“, ქრისტიანული ღმერთი. როცა ნიცშე ამბობს „ღმერთი მოკვდა“, — იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ ეს „მორალური“ ღმერთი. ის მოკვდა იმიტომ, რომ ადამიანებმა მოკლეს. ხოლო მოკლეს იმიტომ, რომ გამორიცხეს თავიანთი შემოქმედებითი მოთხოვნილებების შესაბამისად და ამით დააპატარავეს მისი დიდებულება როგორც ღმერთისა“ (ჰაიდეგერი; 2000). მაგრამ ღმერთთან ერთად ქრება სამყაროც და აღარ რჩება ადგილი ადამიანისთვის — კვდება ადამიანიც. მართლაც, მეოცე საუკუნემ ღმერთთან ერთად ადამიანიც გააქრო. „ღმერთის მკვლელობის“ ონტოლოგიური კონტექსტი ნიცშესეულ კიდევ ერთ მკვლელობას მოიაზრებს, რომელიც „ქრონოლოგიურადაც“ და კონტექსტუალურადაც გადაკვეთაში მოდის. ეს გადაკვეთა გულისხმობს ღმერთთან ერთად ადამიანის მოკვლას, რაც ფაქტობრივად მათი გენეტიკური უწყვეტობის აღიარებასაც ნიშნავს. როგორც მიშელ ფუკო ამბობს, ნიცშემ „თავისივე ენის წიაღში ერთდროულად მოკლა ადამიანიც და ღმერთიც და **ღმერთების** მრავალფეროვანი და განახლებული ელვარების დაბრუნებას დაგვპირდა“ (ფუკო; 2004:369); ხოლო მოკლული ადამიანის ნაცვლად ნიცშე ზეკაცს გვპირდებოდა — „ბოლო-კაცის“ ძლევასა და „ზეკაცის“ დაბადებას.

ნიცშეს სიტყვით „ღმერთი მოკვდა“, მაგრამ ნიცშეს „ჰოს“ თან ახლავს მისივე „არა“, რომელიც უკან ახევინებს სიკვდილს „მარადიული დაბრუნების“ რეტროსპექტივაში. ამ მექანიზმით უკან იხევს საწყისიც. ჰიოლდერლინის, ნიცშეს, ჰაიდეგერის მიხედვით „დაბრუნება მხოლოდ პირველსაწყისის უკიდურესი უკან დახევით გვეძლევა. ეს ზღვარი არის იქ, საიდანაც ღმერთებმა ზურგი შეგვაქციეს, საიდანაც დაიწყო „უდაბნოს“ ზრდა...“ (ფუკო; 2004:401). უკან იხევს საწყისი, უკან იხევს სიკვდილი და უკან იხევს სიცოცხლე. ამ უკანდახევის ტრანსმიგრაციაში წარმოშობილ უჩინარ სიცარიელეში არსებობას განაგრძობენ საწყისისკენ მიმართული არსებები და საგნები, ღმერთები და ადამიანები. ამ უკანდახევით შეუძლებელი ხდება სიკვდილი, მას ჩაენაცვლება „გაუჩინარება“ — „მარადიული დაბრუნების“ ფილოსოფია „ინახავს“, „აკავებს“ ღმერთებს და ადამიანებს მათ ხელახლა მობრუნებამდე.

თუკი „მარადიული მობრუნების“ წინარეფილოსოფიურ, მითოსურ ტრადიციას გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ ნიცშემ არსებითად არაფერი ჩაიდინა ახალი. „ღმერთის და ადამიანის მოკვლა“ მისი მხრიდან არ ყოფილა საკრალური ნოვაცია. ამ მხრივ მან მოძველებული და გატკეპნილი გზა გაიმეორა. კიდევ ერთხელ, ღმერთის და გმირების (ადამიანების) მკვლელობის ის უძველესი რიტუალი განახორციელა, რომელიც ციკლურად სრულდებოდა ღმერთებისა და გმირებისთვის სიცოცხლისა და ღვთაებრივი სუბსტანციის ხელახალი აღორძინებისთვის, განახლებისთვის. ნიცშე განწილული ოსირისის, ადონისის, ატისის, დემეტრეს, პერსეფონეს, თამუზის, და სხვათა მსგავსად კლავს ღმერთს და ადამიანს (ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთმანეთის გვერდიგვერდ დგანან ღმერთები და გმირები — ადამიანები) მათი ხელახალი აღდგომის, კვლავმობრუნების მოლოდინში. ამდენად, ეს მითოსური „მკვლელობები“ არ უნდა დამთხვეოდა სიკვდილს და აღსასრულს, როგორც ასეთს და ეს კარგად ჩანს მომაკვდავი და აღდგენადი ღვთაების კალენდარული ციკლის წინარე ტრადიციაში — „გამქრალი და დაბრუნებული“ ღვთაების მითოსში, სადაც „მოკვლას“ ენაცვლება „გაქრობა“. ამ ციკლურ წრეში — „მარადიულ ბრუნვაში“ უგულვებელყოფილია, უფრო ზუსტად, იმთავითვე არ არსებობს ემპირიულად დადასტურებული სიკვდილის ფაქტი, რაც მისი ემპირიულიდან ტრანსცენდენტურ ჭრილში გადაყვანით ხორციელდება: სიკვდილის ემპირიული ფაქტი ჩანაცვლებულია ტრანსცენდენტური „გაქრობით“ (აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „გაქრობა“ თავად სიკვდილის ტრანსცენდენტური ასპექტია).

„გაქრობა“ (და არა „სიკვდილი“) აღმოჩნდება სწორედ ის საბედისწერო და ფატალური მექანიზმი, რომელიც პირველსაწყისისკენ, სასრულისკენ მიაქანებს ღმერთსაც და ადამიანსაც. „თანამედროვე ადამიანის“ და „თანამედროვე ღმერთის“ პირველსაწყისში „გაქრობა“, გაქარწყლება არ ტოვებს უკუგზას „დაბრუნებისთვის“. „დაბრუნების ახალი მითი“ ვეღარ აბრუნებს ძველი, განმეორებადი გზებით. ამდენად, ნიცშემ მაინც „აღსასრული“ იწინასწარმეტყველა — ღმერთის და მასთან ერთად ადამიანის. მიშელ ფუკო „ადამიანის არსებობის სასრულობის“ ფონზე, ამ სასრულობის „მუდმივი საფრთხის ქვეშ“ გვახსენებს არცთუ ისე შორეულ წარსულს, „როდესაც არსებობდა სამყარო თავისი სამყაროსეული წესრიგით, იყვნენ ადამიანური არსებები, მაგრამ არ არსებობდა თავად „ადამიანი“. ამით აიხსნება ის თავზარი, რაც ნიცშეს აზრმა, როგორც გარდუვალმა წინასწარმეტყველებამ — მალე აღარ იქნება ადამიანი და მის ადგილს ზეკაცი დაიკავებსო — დასცა საზოგადოებას და დღემდე კვლავაც აძრწუნებს მას. ამით დაბრუნების ფილოსოფიას სურდა ეთქვა, რომ ადამიანმა დიდი ხანია დაიწყო და კვლავაც აგრძელებს გაუჩინარებას, ხოლო ჩვენი თანამედროვე აზრი და ზრუნვა ადამიანზე, ჩვენი ჰუმანიზმი მშვიდად თვლემს მისი არარსებობის ქუხილში“ (ფუკო; 2004:387).

ნიცშეს „დაბრუნების“ ფილოსოფია ამ „დაბრუნების ფილოსოფიით“ ეძებს ადამიანსაც და ღმერთსაც, მაგრამ ვეღარ აბრუნებს მათ. მართლაც, ნიცშე ხეთური მითოსის იმ ფუტკარს და ადამიანს ჰგავს, რომელთაც საერთო ძალისხმევით უნდა დააბრუნონ გამქრალი ღმერთი. ფუტკარი პოულობს თელეფინუს, მაგრამ მის დაბრუნებაში ადამიანის მონაწილეობა არის აუცილებელი — „და თქვეს ღმერთებმა: ვუხმოთ ადამიანს!..“ (ქრესტომათია; 1990:230) — ამბობს ხეთური მითოსი გაუჩინარებული და ნაპოვნი ღმერთის მობრუნების ზღვარზე და ამით გვამცნობს კიდეც ადამიანის უნიკალურ, მარადუცვლელ მნიშვნელობას და ადგილს ყოფიერებისა და ღმერთის ონტოლოგიაში, მათ „მობრუნებაში“.

იპოვა და დააბრუნა ნიცშემ დაკარგული ღმერთი? როგორც ჰაიდეგერი ამბობს, ნიცშე

უკანასკნელი ფილოსოფოსი იყო, რომელიც ღმერთს ეძებდა. ნიცშემ მოკლული ღმერთი და ადამიანი ვეღარ გააცოცხლა. სამყარო თითქოს განჯადოვდა ღმერთებისა და ადამიანებისაგან და იმ წყვდიადში, არარაში ჩაინთქა, ღმერთებამდე და ადამიანებამდე რომ არსებობდა. ისტორიამ სძლია „მარადიული მობრუნების“ მითს და ღმერთი მოკლული თუ არა, „მობრუნების“ იმედის გარეშე დატოვა. ამ ზღვარზე ჩნდება „გაქრობისა და მობრუნების“ ახალი, თანამედროვე მითი და ღმერთის ახალი თანადროული „გაქრობის“, „გაუჩინარების“ სტრატეგია. აქ ნიცშე კარგავს „მოკლულთა“ კვალს, რადგან ისინი „არმომკვდარნი“ ახალ არსებობაში — „უჩინარში“ ინაცვლებენ. ამ სტრატეგიაში ღმერთი ისევე უჩინარდება, როგორც ადამიანი თავისი „არსებობის სასრულობაში“. ჟან ბოდრიარი ამბობს: „ღმერთის სტრატეგიაა გაქრეს საკუთარ გამოსახულებაში, ისე რომ არ დატოვოს საკუთარი არსებობის არანაირი კვალი. წინასწარმეტყველება ახდა: ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც უმაღლესი წინასწარდანიშნულება არის ნიშანი — დაფაროს სინამდვილე და ამასთანავე შენიღბოს მისი გაუჩინარება (ბოდრიარი; 1999).

„ღმერთის სტრატეგია — გაქრეს საკუთარ გამოსახულებაში“, რომელიც ბოდრიარმა პოსტმოდერნისტულ სამყაროს მიუსადაგა, ჯერ კიდევ იმ დროიდან იწყებს აქტუალიზებას, რაც მითიური დრო სრულდება და ღმერთის ამქვეყნიური სამყოფელი — მითი იმსხვრევა. ამ ნამსხვრევებში მოყოლილი ქრება საკუთარ გამოსახულებაში და გამქრალი, უჩინარი ღმერთი ზღაპარში განაგრძობს არსებობას. ზღაპარი, მიუხედავად თავისი ჯადოსნური და ფანტასტიკური სივრცისა, უცხო გარემო აღმოჩნდება მისთვის და ამას ორივე მხარე იგრძნობს. ზღაპარი თავის წიაღში ისეთივე ეჭვით და შიშით განიცდის უჩინარი ღმერთის სიმძიმეს, როგორც განაყოფიერებული ქალ-ღვთაება სასწაულებრივად ჩასახულ ემბრიონს. ზღაპარი ორსულია ღმერთით, ორსულია ღმერთის ყველა ნიშნით და ღმერთის ყველა ატრიბუტით. მაგრამ ზღაპარი უძალიანდება საკუთარ ენიგმურ „ორსულობას“ და მის მოსალოდნელ შედეგებს, რადგან ზღაპარმა ჯერჯერობით, დასაწყისისთვის, თავისი ჯერაც სახლიდანგაუსვლელი გმირივით, დანამდვილებით არაფერი უწყის არც ღმერთზე, არც წუთისოფელზე. მას წინ ელოდება ყოველივე: გზაჯვარედინები და აღმოჩენები. მანამ კი ბრმაა უხილავის სახილველად, შეუცნობლის შესაცნობად. ერთადერთი, რასაც ზღაპარი წინდაწინ გრძნობს, „სიმძიმეა“, რომლის „ზიდვას“ მის თავიდან მოშორებას ამჯობინებს. ის ემსგავსება ურჩხულებრივ კოსმიურ ქალღმერთს, რომელსაც მასზე ძლიერი საკუთარი ნაშიერის განადგურება განუზრახავს. ამ წუთიდან ზღაპარიც იწყებს სტრატეგიის შემუშავებას. ის მიზანს ადვილად აღწევს, პირველივე გამოვლინებიდან (თავფორმულიდან — „იყო და არა იყო რა“) თითქოს უწყინარი, მაგრამ ორაზროვანი და დამაბნეველი ხდება. ამ ორაზროვნებასა და ჯადოსნურ ეკლექტიკაში უკვე იკვეთება მთავარი სიმულაცია: „გასაუჩინარებლის გაუჩინარების“ სტრატეგია. ზღაპარს თავისი ღვთაებრივი ემბრიონის მკვლელობა განუზრახავს, მაგრამ მან არ იცის რომ თავად ამ ღვთაბრივი ემბრიონის კარნახით მოქმედებს; მან არ იცის, რომ ღმერთის საკრალურ სიმულაციებში თავად არის სიმულირებული. ზღაპრის მიერ ჩადენილი „სრულყოფილი დანაშაული“ — ღმერთის მკვლელობა, თავად ღმერთის სტრატეგიას იმეორებს: ზღაპარი ჯერ ნიღბავს ღმერთს და შემდეგ კლავს მას, რაც ღმერთის სიკვდილსაც ნიშნავს და იმავდროულად, მისი სიკვდილის გაუქმებასაც, რადგან ის, ვინც მოიკვლება, უკვე ღმერთი აღარ არის. ამგვარი ორმაგი სიმულაციით, ღმერთთან მებრძოლი ზღაპარი, სინამდვილეში მისი თავშესაფარია.

ვის ებრძვის ზღაპარი და ვინ შენიღბა ზღაპარმა?

ის ურჩხულია, მითის ნამსხვრევებს გადმოყოლილი მშვენიერი ურჩხული, რომელიც ვიდრე გველის ტყავს არ გაიხდის, არავინ იცის რომ მშვენიერია.

„ურჩხული მოკვდა!“ — გამუდმებით გვესმის ზღაპრებიდან პრენიცშეანული შეძახილი, რომლის ექოც მთელს შემდგომ საუკუნეებს, ეპოქებს გასდევს სერიული მკვლელობების ლაიტმოტივად, როგორც რიტუალური, მრავალჯერადად განმეორებადი აქტი. ამ რიტუალურ მკვლელობას თავისი მნიშვნელობით მხოლოდ მითიურ დროში, სამყაროს კოსმოგენეზში მომხდარი მკვლელობა (მსხვერპლშეწირვა) თუ შეედრება. პრენიცშეანული შეძახილის ექოს უწყვეტობა კი ცხადყოფს რომ ვერც მითი, ვერც ზღაპარი ამ „შეძახილის“ ვერცერთ ჯერზე ვერ კლავს ურჩხულს (თუმც კი ბუნებრივად აკანონებს მის მუდმივ დევნას და ლეგიტიმაციას აძლევს მის შესაძლო მკვლელობას), რადგან რიტუალური ბრუნვა და მარადიული დაბრუნება ურჩხულის თვისებაა, რომლითაც გაცხადებულია მისი ორმაგი — მშვენიერი და საზარელი მხარე. ეს ის ურ-

ჩხულია, წრეშეკრული, საზარელი და საშიში არსება — ურაბორასი რომელშიც უსასრულობა, მარადისობა და „მარადიული დაბრუნება“ — სამყაროს, ყოფიერების საკრალურ „ინდივიდუალიზაციაში“ პოლიმორფულ ხორცს ისხამს. ეს არის სწორედ ნიცშესეული „circulus vitious deus“ — საზარელი წრე, ბეჭედი, მარადიული დაბრუნება და თავად ღმერთი. მისი „წრე საზარელია. ეს საზარელი წრე მოიცავს ყოფიერებას, განსაზღვრავს მას მთლიანობაში, განსაზღვრავს მას, როგორც სამყაროს. სიჩუმე წუთიდან, რომლის კვალზეც ჩნდება კითხვა ღმერთზე — წარმოშობილი საზარელი წრის შეცნობის საკუთარ გამოცდილებაზე...“ (ჰაიდეგერი; 2000). ეს საზარელი წრიულობა, მარადიული დაბრუნება წარმოშობს ღმერთის და სამყაროს ტრაგიზმს. არა მხოლოდ გმირის ირგვლივ იქცევა ყოველივე ტრაგედიად, არამედ ღმერთის ირგვლივაც, რადგან ის, რაც ღმერთის ირგვლივაა — ყოფიერებაა, სამყაროა, ის „უდიდესი სიმძიმეა“; მარადიული დაბრუნება არის „უდიდესი სიმძიმე“, რომლის წიაღშიც ყოველივე იქცევა ტრაგედიად — „არა უბრალოდ რაღაც ტრაგედიად, არამედ მთელი ყოფიერების ტრაგედიად“ (ნიცშე, „მხიარული მეცნიერება“). ამიტომაც არის ურჩხულის მთელი ისტორია „ტრაგიკული ისტორია“. ეს არის ურჩხულის საზარელი წრის, მისი მარადიული დაბრუნების ტრაგედია, რომლის პოლიმორფულ გამომსახველობაში მოცემულია სამყარო, როგორც მთელი. ჰაიდეგერის აზრით, „ტრაგიკულსვე მიეკუთვნება საზარელი, მაგრამ არა შიშის აღმძვრელის მნიშვნელობით, რომლისგანაც უნდა ეძებო ხსნა, არამედ პირიქით: საზარელი უნდა იყოს მიღებული და დამტკიცებული, და სწორედ მშვენიერებასთან მის უცვლელ კავშირში. ტრაგედია არის იქ, სადაც საზარელი მიღებულია და დამტკიცებულია, როგორც მშვენიერების შინაგანი დაპირისპირებულობა. მწვერვალები განუცალკევებელია უფსკრულებისაგან, უდიადესი — საზარელისაგან: რაც უფრო მეტად სურთ ერთი, მით უფრო მეტად აღწევენ მეორეს. „არ ღირს თავის მოტყუება: უდიადესსავე ეკუთვნის საშიში“ (ჰაიდეგერი, 2000). სწორედ აქ, საშიში, საზარელი წრისა და მისი შინაგანი მშვენიერების განუცალკევებლობის ზღვარზე წარმოიშვება მშვენიერი ურჩხულის ტრაგედია; ტრაგედია — ურჩხულისტყავიანი მშვენიერი ღვთაებისა; ტრაგედია — ყოფიერებისა, ტრაგედია — სამყაროსი, ტრაგედია — გაუჩინარებული ღმერთისა, რომლის „მარადიული დაბრუნების“ კვალდაკვალ მეორდება საწყისიც და დაბრუნებაც, მეორდება მათ შორის გადაჭიმული, უსაშველოდ გაზრდილი და გაწელილი უდაბნო, უწყლო ქვიშა და სიცარიელე. ადამიანის აზროვნების ისტორია სწორედ ორი პოლარული მხარის დაპირისპირებით იწყებს ათვლას, ოდითგანვე დუალიზმი იდო მსოფლმხედველობათა საფუძველში (აქედან დაპირისპირებულობა და მარადიული ონტოლოგიური ტრაგიზმი), ამიტომაც სამყაროსა და ღმერთის „მშვენიერი შინაგანი“ ადამიანმა იმთავითვე დაფარა საზარელი პოლიმორფული ტყავით (აქ მეორეს მხრივ ჩანს „მშვენიერი შინაგანის“ დაცულობის სტრატეგია). ამ მხრივ ადამიანმა თავად სამყაროს გამოცდილება გაიმეორა, რომელიც მოვლენათა არსის იდეებში დაფარვას გულისხმობს (პლატონი).

მშვენიერი ღმერთი რეალურად არსად წასულა, ის გაუჩინარდა საკუთარ „ტყავში“, თავისთავში, თვითობაში და დროდადრო ბრუნდება გვლისტყავგახდილი და ტრაგიკული ასევე ტრაგიკულ სამყაროში, ტრაგიკულ მოკვდავთა გარემოცვაში.

ერთდროული გაუჩინარების შემდგომ ისინი ბრუნდებიან ერთდროულად, ისინი დგებიან ერთმანეთის პირისპირ: ღმერთი და ადამიანი — ორი გენეტიკური ნათესავი, რომელთა ირგვლივ „ყოველივე იქცევა ტრაგედიად“, ყოველივე პროეცირდება ტრაგიკულ ყოფიერებად. ამ ორი მხარის პირისპირ დგომაში — სარკისებურ ურთიერთჭვრეტაში ხორცს ისხამს, რეალიზდება უხილავი ტრანსცენდენტური და ხილვადი, მაგრამ გაუჩინარებული ემპირიული; ამგვარი ურთიერთშეღწევადობის ზღვარზე იკვეთება მათი სარკისებური ურთიერთარეკლილობის აბსურდიც. მათში ყველაფერია „იგივე“, „ერთნაირი“ და მარადიულად ბრუნვადია ეს „ერთნაირი“ ან უფრო ზუსტად — „ერთნაირობა“. ისინი განწირულნი არიან „მარადიული ბრუნვისთვის“, მარადიული შეხვედრებისთვის, პირისპირ დგომისთვის. ამ ბრუნვას ადამიანი სიზიფეს უსასრულოდ მბრუნავი ლოდივით აჰყავს მაღლობზე, რომ იქცეს ღმერთად, იქედან კი ლოდად ქცეული ღმერთი დაეშვას დაბლა — გახდეს ადამიანი, ან ეგზისტენციალური ღმერთი. სიზიფეს მარადიულად მბრუნავი ლოდის ერთ მხარეს ადამიანია (სიზიფე) თავისი ეგზისტენციალური ტანჯვით და ტრაგიზმით, მეორე მხარეს კი — საკრალური ტრაგიზმით ღმერთი. მბრუნავი ლოდი ყოფიერებაა, რომლის მარადიულ ბრუნვაში, სიზიფეს მიერ ლოდის სიმაღლეზე აზიდვის და იქედან დაშვების ყოველ ჯერზე იცვლებიან, ტრანსფორმირდებიან ამ ბრუნვის შემყურე და

თანამონაწილე ღმერთები და ადამიანები. „სიზიფე აბსურდული გმირია, ასეთია ის თავის ვნებებსა და ტანჯვაში“ — ამბობს კამიუ, — „მისი ღონემიხდილი სახე მცირედად განირჩევა ქვისგან“ (კამიუ, 1990:91); კამიუსთვის სიზიფეს ჩუმი სიხარული ბედთან დაუმორჩილებლობაშია, მის ნებისყოფასა და სიმტკიცეშია, რაც აიძულებს კერპებს დადუმდნენ. სიზიფე და ოიდიპოსი გვასწავლიან, რომ „ეს ყველაფერი არ არის, ჯერ ყველაფერი არ ამოწურულა. ისინი სამყაროდან დევნიან ღმერთს, შემოსულს მასში დაუკმაყოფილებლობისა და უმიზნო ტანჯვის სიმძიმესთან ერთად. ისინი ბედისწერას გადააქცევენ ადამიანის ხელში მყოფ საქმედ; საქმედ, რომელიც უნდა გადაწყდეს ადამიანთა შორის“. „დარწმუნებული მთელი კაცობრიობის ადამიანურ წარმოშობაში, მსურველი ხილვისა და მცოდნე, რომ ღამეებს არ ექნებათ დასასრული, უსინათლო (ოიდიპოსი) განაგრძობს გზას და ისევ ეშვება ლოდი... სიზიფე გვასწავლის უმაღლეს ერთგულებას, რომელიც ზურგს აქცევს ღმერთებს და ადგილიდან ძრავს ლოდებს“ (კამიუ, 1990:92).

სიზიფე და ოიდიპოსი (და მათი მსგავსი გმირები) სძლევენ „ღმერთებისგან შექმნილ“ ბედისწერას, რითაც ისინი თითქოს იმარჯვებენ ღმერთებზე, მაგრამ ღმერთს განა სხვა რამ სურდა მათგან? განა ღმერთს „მარადიული ბრუნვის“ ჭიდილში დამარცხებული ადამიანის ხილვა სურდა? ღმერთი „მარადიული ბრუნვის“ თავისივე ტრაგიკული გზით დაატარებს ადამიანს, თავისივე ტრანსცენდენტური „გამოცდილებით“ აზიარებს ტანჯვის სიხარულს, რომელიც ყველაფერში და ყოველთვის არსებობს. სიზიფე მართლაც გვასწავლის „უმაღლეს ერთგულებას“ და სიცოცხლის ძლიერი ნებით ბედისწერის ძლევას, ოღონდაც ეს მან ღმერთისგან ისწავლა, იმ ღმერთისგან, რომელიც არის „ლოდის მარადიული ბრუნვის“ ავტორიც და თანამონაწილეც და რაც მთავარია სიზიფეს — ადამიანის გულშემატკივარი და ამ გზის მასთან ერთად განმვლელიც. ეს არის სწორედ ადამიანისა და ღმერთის სარკისებური ურთიერთმიმართება, რაც კორელატურს ხდის მათ პოზიციურ „მდებარეობას“ (მდგომარეობას). ამიტომაც ღმერთები მარცხდებიან და იმარჯვებენ სიზიფესთან ერთად; მარცხდებიან — სიზიფეს დაუმორჩილებლობისა და სიმტკიცის წინაშე და იმარჯვებენ ისევ — ბედისწერისგან დაუძლეველი სიზიფეს კვალდაკვალ. ამიტომაც ისინი ყოველთვის პირისპირ დგანან, პირისპირ ორი გენეტიკური ნათესავი — ღმერთი და ადამიანი.

გაუჩინარებული დაბრუნდა, მოგვიახლოვდა ჩვენს ***უგანმარტოვებულეს განმარტოვებულობაში და გვიჩურჩულა: „ეს შენი ცხოვრება, ახლანდელი და განვლილი, კიდევ ერთხელ უნდა განვლო, კიდევ უთვალავგზის; და არ იქნება მასში არაფერი ახალი, მაგრამ დაბრუნდება ხელახლა და იმავე თანამიმდევრობით, თითოეული ტკივილი და თითოეული სიხარული, თითოეული აზრი და თითოეული სუნთქვა, ყოველივე სულ მცირედი და გამოუთქმელად დიდი, რაც კი იყო იმ ცხოვრებაში. დაბრუნდება ეს ობობაც და ეს მთვარის შუქიც ხეთა შორის... და ეს წამი და თავად მე. მარადიული ქვიშის საათები ყოფიერებისა ტრიალდებიან ისევ და ისევ, და შენც მასთან ერთად — მტვერი მტვრისაგან“.***

ჭეშმარიტად: მშვენიერი ურჩხული და მტვერი მტვრისაგან.

ისინი ერთმანეთის პირისპირ: პირისპირ — „მარადიულად მბრუნავი ლოდის“ მობრუნების ყოველ ჯერზე; პირისპირ — გაუჩინარებისა და დაბრუნების ყოველი ახალი შემთხვევისას; პირისპირ — მარადიული ბრუნვის მარადიულ სიახლეში. და აი მივადექით მთავარ მეტაფიზიკურ საკითხს — „მარადიული დაბრუნების“ „მარადიული სიახლე“?! არის ის „იგივე“, როგორც მას ჰაიდეგერი უწოდებს თუ „მარადიულ ბრუნვაში“ იძენს „მარადიულ სიახლეს“? ეს არის უმთავრესი მეტაფიზიკური კითხვა, რომელიც ხელახალი, მრავალჯერადი მობრუნების შემდეგ კვლავ და კვლავ აქტუალურია:

როგორი დაბრუნდა გამქრალი თელეფინუ? როგორი დაბრუნდა გამქრალი ტეფტუნი?

როგორი დაბრუნდება გამქრალი „თანამედროვე ღმერთი“?

— ისეთივე, როგორიც გაუჩინარებამდე იყო თუ სახეცვლილი?

მარადიული დაბრუნება არის „უდიდესი სიმძიმე“ და დაბრუნების გარდუვალობა არის „ტრაგიკული“ (ნიცშე). ამიტომ:

ის დაბრუნდება კიდევ უფრო მეტად ტრაგიკული, კიდევ უფრო მეტად ტრაგიკულ სამყაროში.

დამოწმებანი

ბოდრიარი 1999: Ж. Бодрийяр, Совершенное преступление, 1999.

ბოდრიარი 2000: Ж . Бодрийяр, Прозрачность зла, М.2000.

ბრეგვაძე 2006: ბ.ბრეგვაძე, დრო და მარადისობა, I, თბ. 2006.

ელიადე 1998: Элиаде М., Миф о вечном возвращении. Архетипи и повторяемость, М.1998.

კამიუ 1990: Камю А., Миф о Сизифе. Эссе об абсурде(1941). Камю А. Бунтующий человек.Философия. Политика. Искусство; Мыслители 20 века; Политиздат. 1990.

ლაკანი 1949: ЖАК ЛАКАН, СТАДИЯ ЗЕРКАЛА, как образующая функцию я, какой она раскрылась нам в психоаналитическом опыте. Доклад, прочитанный на XVI международном конгрессе по психоанализу в Цюрихе 17 июля 1949 г.

ნემიროვსკი 2000: А.Немировский, Мифы и легенды древнего востока, Р.2000.

ტატიშვილი 2001: ი. ტატიშვილი, ხეთური რელიგია, თბ. 2001.

ფუკო 2004: მ.ფუკო, სიტყვები და საგნები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა არქეოლოგია, თბ. 2004.

ქრესტომათია 1990: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ.1990.

ჰაიდეგერი 2000: Хайдеггер М. Вечное возвращение равного (Лекции 1923-1944 годов), Публикуется по изданию: журнал „Онтология времени“, №3, 2000 г.

ათრა

№16 2010

სალიტერატურო
რელიგიურ-ფილოსოფიური და
საზოგადოებრივი ჟურნალი

კავშირი — „კულტურულ ურთიერთობათა
ცენტრი — კავკასიური სახლი“
თბილისი, გალაკტიონის ქ. №20